

# საქართველო

თავისუფალი ქუთაისი

წამოწმებულია

№ XII

5-5-22

თბილისი, 1895

ტფილისი

საქართველოს საგარეო საზღვაო საზღვაო საზღვაო

1895

შ ი ნ ა ა რ ს ი

I მოტყუებული.— მოთხრობა რეგაზ ფაგელნიშვილასა (დასასრული) . . . . .	83
II ღაპარგული იმედი.— ეტიუდი დუტუ შეკრელისა . . . . .	39
III ზანთიადი.— მოთხრობა ეჟისა, თარგმანი თ. სახოკიასა (დასასრული). . . . .	58
IV „ეჰ, ჯანდაბას ჩემი თავი და ტანი!..“— საშობაო ეტიუდი შ. ანაგვისძარელისა . . . . .	88
V ცაცხლითა და მახვილითა.— ნაწილი შესამე. — რომანი გენრად სენკევიჩისა, თარგმანი გრ. ყ—ძისა (გაგრძელება). . . . .	97
VI „ვფხვის. ტჟაონისა“ ჟალბი აღგიღები“.— IV—XII. — ზღ. ს—შვილისა . . . . .	1
VII ენა და ეროვნება.— გ. ყ. . . . .	30
VIII რქა და მისი სხვა. და-სხვა ზვარად გამოყენება.— V.— კარაქა და კრემ. — პროფესორის ვ. პეტრიაშვილისა (გაგრძელება). . . . .	39
IX მთიულეთი 1804 წელსა.— XI.— ისტორიული ამბავი ზღ. ფრანკელისა . . . . .	66
X კერძო თაონობა და ჩვენი ძალები.— ბ. ს—ღისა. . . . .	87
XI მებრული დილაქტის ნათესაობრივი დამოკიდება.— ლაბა ქართულთან.— II.— შ. ჭარაიასა . . . . .	100
XII ეზნათე ნინოშვილი.— (მეგობრის მოგონება) თ. სახოკიასა . . . . .	116

1896

# „მოსამბე“

## თვიური ჟურნალი

(წელიწადი მესამე)

გამოვა უოველ თვის პირველ რიცხვებში

იმავკე პრეტრამით

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

	1 წლით	6 თვით	3 თვით
რუსეთის და კავკასიის ქალაქებში. . . . .	10 მან.	6 მან.	4 მან.
სახლკარ გარეჯ . . . . .	13 მან.	7 მან.	5 მან.

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე—4 მან., 1 აპრილამდე—3 მან. და 1 სექტემბრამდე—3 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ «მოსამბის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე № 13.

წიგნის მადანებს, რომელნიც იკისრებენ ჟურნალ „მოსამბე“-ზე ხელის-მოწერის მიღებას, შეუძლიანთ აიღონ მთელის წლის შემოსატანიდან კამისიისა და ფულის გამოგზავნისთვის ათა შაურა, ხოლო თუ ფულს ნაწილ-ნაწილ შემოიტანენ, არაფერა დაეთმობათ.

შენიშვნა: 1) ჟურნალის თავის დროზე მიღებისათვის რედაქცია პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფული გამოგზავნილ ან შემოტანილ იქნება რედაქციის კანტორაში. 2) ქალაქ გარეშე ხელის-მოწერით ფულად მიღების კვიტანცია გავგზავნებთ მხოლოდ იმათ, ვინც ჟურნალის ფასთან ერთად წარმოადგენს 7 კაპ. ფოსტის მარკას უოველ კვიტანციაზე.

ქალაქ გარეჯ მცხოვრებთათვის ადრესი: *Тифлис, Редакция „Моамбе“*.

რედაქციამ მოსახერხებლადა სცნო სოფლის მღვდლებს, სოფლის მასწავლებლებს, ხელოსნებს და მოწაფეებს ჟურნალი დაუთმოს რგა მანეთად წელიწადში. ვისაც 8 მანეთის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან პირველში ოთხა მანეთი შემოიტანოს და ორ-ორა მანეთი მარტში და აგვისტოში.

НОВОЕ ИЗДАНИЕ О. Н. ПОПОВОЙ. 2049055740  
20240110333

Вышла 1-ая часть I-го тома Ч. Дарвина, содержащая автобиографію Ч. Дарвина, пер. проф. Тимирязева. — Путешествіе на корабль „Бигль“, пер. Е. Бекетовой.

2-ая часть I-го тома выйдет въ самомъ непродолжительномъ времени.

**ПРОДОЛЖАЕТСЯ ПОДПИСКА  
НА**

**ОБЩЕДОСТУПНОЕ ИЗДАНИЕ  
СОБРАНІЯ СОЧИНЕНІЙ**

**ЧАРЛЬЗА ДАРВИНА.**

Въ двухъ томахъ, съ портетомъ Ч. Дарвина.

Полныя переводы, проверенныя по послѣднимъ англійскимъ изданіямъ.

**ТОМЪ I.** Вступительная статья проф. К. Тимирязева. — Автобиографія Дарвина. Пер. проф. К. Тимирязева. — Путешествіе вокругъ свѣта на корабль „Бигль“. Пер. Е. Бекетовой, подъ ред. проф. А. Бекетова. — Происхождение видовъ. Новый переводъ проф. К. Тимирязева.

**ТОМЪ II.** Происхождение человѣка и половой подборъ. Пер. проф. И. Сѣченова. — О выраженіи ощущеній у человѣка и животныхъ.

**ЦѢНА ПО ПОДПИСКѢ НА ВСЕ ИЗДАНИЕ  
ТРИ РУБЛЯ.**

Допускается слѣдующая разсрочка: при подпискѣ вносится 1 руб., при полученіи I и II тома по рублю.

По выходѣ въ свѣтъ второго тома цѣна будетъ повышена.

**ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ:**

Въ С.-Петербургѣ: въ конторѣ изданій (Невскій, 54, библиотека Черкесова), въ библиотекѣ Л. Т. Рубакиной (уголь Б. Садовой и Б. Подъяческой, № 63—24), и въ конторѣ журнала „Новое Слово“, Спасская ул., 15. Въ Москвѣ: въ книжн. маг. „Трудъ“ (Петровская библиотека), въ книжн. маг. журнала „Русская Мысль“ и въ книжн. маг. Конусова, у Страстного монастыря, Муринова, Трехпрудный пер., и у М. Ключкина, Моховая, противъ университета.

Новыя изданія О. Н. ПОПОВОЙ.



ОТКРЫТА ПОДПИСКА  
НА  
ПЯТОЕ ИЗДАНИЕ  
СОБРАНИЯ СОЧИНЕНІЙ  
Н. А. ДОБРОЛЮБОВА.

Въ четырехъ томахъ съ біографіей и съ портретомъ автора.

Изящное изданіе, дополненное письмами Н. А. Добролюбова и бібліографическимъ указателемъ.

Томъ I. Біографія Н. А. Добролюбова, со включеніемъ писемъ—А. М. Скабичевскаго.—Статьи о литературѣ Екатерининскаго времени и статьи педагогическія.—Критическія статьи 1857—1858 гг.

Томъ II. Критическія статьи 1858—1859 гг.

Томъ III. Критическія статьи 1859—1861 гг.

Томъ IV. По поводу одной обыкновенной исторіи Роберта Оуэнь.—Народное дѣло. О. Гавацци.—Кавуръ и др.—Свистокъ.—Стихотворенія.

ЦѢНА ПО ПОДПИСКѢ НА ВСЕ ИЗДАНИЕ

**ШЕСТЬ РУБЛЕЙ.**

Допускается слѣдующая РАЗСРОЧКА: при подпискѣ вносятся три руб., по выходѣ II и III тома по два рубля.

по выходѣ въ свѣтъ четвертаго тома цѣна будетъ повышена.

Томъ I выйдетъ въ декабрѣ.

**ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ:**

Въ С.-Петербургѣ: въ конторѣ изданій (Невскій, 54, бібліотека Черкесова), въ бібліотекѣ Л. Т. Рубакиной (уголь Б. Садовой и Б. Подъяческой, № 63—24), и въ конторѣ журнала „Новое Слово“, Спасская ул., № 15. Въ Москвѣ: въ книжн. маг. „Трудъ“ (Петровская бібліотека), въ книжн. маг. журнала „Русская Мысль“, въ книжн. маг. Конусова, у Страстного монастыря, Муринова, Трехпрудный пер., и у М. Клюкина, Моховая, противъ университета.

## გამოვიდა და ისუიღება

ქართულთა ამხანაგობის გამოცემა № 38

# კელლის კალენდარი

# 1896 წლისა

ფასი მჟვნი შაური



ვინც ქართულთა ამხანაგობის მადაზიაში ექვსი აბა-  
ზის წიგნებს იუიღის (ქართულთა ამხანაგობის მიერ  
გამოცემულს) კალენდარი **გუჯთად** დაეთმობა.



# მ ლ ა მ ბ ე

თ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი

წელიწადი მეორე

№ XII

დ ე კ ე მ ბ ე რ ი, 1895

ტ ფ ი ლ ის ი

08 В 6 19 В

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29 декабря 1895 г.

---





შ ი ნ ა ა რ ს ი

I მოტყუებული.— მოთხრობა რეგაზ ფაგლენაშვილასა (დასასრული)	ბპ.
II დაპარკული იმედი.— ეტიუდი დუტუ შეგრელასა . . . . .	1
III ბანთიადი.— მოთხრობა ეუასა, თარგმანი თ. სახოკიასა (დასასრული).	39
IV „მე, ჯანდაბას ჩემი თავი და ტანი!..“— საშობაო ეტიუდი შ. ანაგვისბერელასა . . . . .	58
V ცეცხლითა და მახვილითა.— ნაწილი შესამე.— რომანი გენრაჟ სენკევიჩისა, თარგმანი გრ. ყ.— მისა (გაგრძელება).	88
VI „ვეფხისტყაოსნის“ ყალბი აღვიღები“.— IV—XII. — ჯლ. ს— შვიდისა . . . . .	97
VII ენა და ეროვნება.— გ. ყ. . . . .	1
VIII რძე და მისი სხვა. და-სხვა გვარად გამოყენება.— V.— კარაქი და კრბო.— პროფესორის ვ. შეტრიაშვილისა (გაგრძელება).	30
IX მთიულეთი 1804 წელსა.— XI.— ისტორიული ამბავი ჯლ. ფრანკელისა . . . . .	39
X კერძო თაოსნობა და ჩვენი ძალები.— ბ. სა— ღისა. . . . .	66
XI მებრული დიალექტის ნათესაობის გამოკვლევა და მისი დიალექტისა.— II.— შ. ჭარბასა . . . . .	87
XII ვანათე ნინოშვილი.— (მეგობრის მოგონება) თ. სა— ხოკიასა . . . . .	100
	116



- XIII ბიბლიოგრაფია.**—ჩემო შინდავ<sup>ა</sup> სურათი შიო არაგვის<sup>ა</sup> პირელისა, სახალხო წიგნი, № 7.—გ<sup>რ</sup> ე—ქე. . . 130
- II.—*Di una grammatica inedita della Lingua Georgiana scritta da un cappuccino d'Italia, note di E. Teza. Venezia, 1894.* (დაუბეჭდავი გრამატიკა ქართულის ენისა, დაწერილი იტალიელ კაპუცინის მიერ, შენიშენა გ. ტუცისა.—ვენეცია. 1894 წ.) 141
- III.—*Gustave Le Bon—Les lois psychologiques de l'évolution des peuples.—Paris, 1894.*—(გუსტავ ლე ბონი—ერთი განვითარების ფსიხოლოგიური კანონები). . . 143

**ქრონიკა:**

- XIV შინაური მიმოხილვა.**—ზოგიერთი ჩვენი პატარა საქმეები.—ბათუმის ქართველობა და მისი ორი საქმე—სკოლა და ეკლესია.—ზონის მასწავლებლები.—სახალხო ბიბლიოთეკები, სახალხო კითხვა და „წერა-კითხვის საზოგადოება“.—ქართული საეკლესიო გალობის ნოტებზე გადაღება.—თ. დავ. გურამიშვილის სიტყვა, წარმოთქმული ქართლ-კახეთის თავად-ახნაურების კრებაზე.—გაზეთებს გაზეთებითვე უნდა ვუვით პასუხი.—პეტერბურგის სტუდენტების აზრი. . . 146

**XV შინაარსი 1895 წლის მოამბის ნომრებისა.** . . I—VIII

**XVI განცხადებანი.**

**XVII საქართველოს სიკვლეანი.** . . 129—144





# მღვთაუბეჭული

მოთხრობა

## IV

თამარი და გიორგი, თავ-დავიწყებულნი, ანგარიშ-მიუტეძლად მიეცნენ მძლეუთა-მძლე ტრფიალებას და მძლავრადაც დაეწაფნენ სიტკბოების ფიალას!... თამარმა, რომელსაც აქამდის აკრთობდა ნათესაობა, სრულიად გადაიყარა გულიდან ეს შიში და გიორგის აზრის თანხმად რომ: «სიყვარულმა ნათესაობა არ იცის»-ო, მიენდო უმწვიდეს კაცს სრულის თავის გრძნობითა და არსებითა. რამდენი ხანიც გადაიდა, უფრო უძლიერდებოდა გიორგისადმი სიყვარული! გიორგი შეიქნა იდეალი, ნეტარება, სიამოვნება და სიტკბოება!.. გიორგისთან კარგი, გიორგისთანაჲ ჭკვიანი, ტკბილი, ლამაზი, გაყვანი არ არსებობდა დედამიწის ზურგზე თამარისთვის!... ისე იყო გიორგისაგან მოხიბლული, რომ წარმოდგენითაც არ შეეძლო წარმოედგინა, ჭკვიანზე გიორგისთანაჲ იქმნება-ლა ვინმე კიდევო?! დიაღ, უძიოსოდ თამარისთვის მზე და მთვარე არ ანათებდა, უძიოსოდ არ შეეძლო თამარს სუნთქვა, სიცოცხლე!... დღე—დღედ არ მიაჩნდა და ღამე—ღამედ, წუთი—წუთად!... რა დროსაც გიორგისთან არ იყო და არ ნეტარებდა, იმ დღეს თამარი აჩხვლებდა, ცუდს გუნებასედ იყო ჭირვეულის ბავშვივით; იყდა მოწყენილი, დაღვრემილი, გაბუტებული, ფერ-მერთალი. რადესაც კი გიორგის ქსედავდა თავის მახლობლად, სისარულით აღარ იცოდა, რა ექნა: იყო გულ-კეთილი, სათნო, ღმობიერი, მსიარული, ცოცხალი, გიჟაყვი, ცქრიალა, შეუბრალებოდა ღოუბები, მოუკიდოდა კლ-ფერი, აუნთებოდა ციციანათელასავით და სხარტებოდ შეკრდა!...

\*) «მოამბე» № XI.



მელანია ჰსკდავდა, ამხნეკდა ქალს ამ ცუდიღებებს, <sup>გარდაცემული</sup> ~~საბოლოოდ~~ რადგან უბრუვილოდ ფიქრობდა: «ემაწვილები არიან, ნათესავეები და დაძმისაკით უუგართ ერთმანეთი და ხარობენ!»—ო ამკარად განულო კარგა სხნმა, თამარს ტუბილმა და ნექტარმა გრძნობამ უნაყოფოდ არ ჩაუარა და მალე ფეს-მძიმედ იგრძნო თავი. აქ კი შეშინდა თამარი, შეშოფოტდა, რადგან საიდუმლოდ ფარდა უნდა ახდოდა. ეთქვა დედისთვის, ასეა ჩემი საქმეო, კუინოდა, არა-და—როდემდის უნდა დაეფარა, როდესაც საქმე თვითონ სხნდებოდა?... საშინლად იტანჯებოდა თამარი, მაგრამ სხნსა კი კერსათ ჰსკდავდა. ერთადერთი მისი მხსნელი იყო გიორგი; მას შეეძლო მხოლოდ დაეცვა მისი სახელი!... გიორგიზე იყო დამოკიდებული თამარის ნამუსი და უნამუსობა. თამარის აზრით, რაკი გიორგი. უკარს დაიწყო, ყველს ჩაილუფის წყაღს მიეცემოდა: ტანჯვაც, სირცხვილიც და უნამუსობაც!...—იქნება ასედაც ყოფილიყო, მაგრამ როდესაც გაუხსენებდა ქალი თავის სათაუგანო გიორგის საშეშ მდგომარეობას, ის მოუუკებოდა აღერსს და ხელზედ ისეკვდა ათას გაარს დამბრკოლებულს მიზრებს, უჭარწულებდა სეკდას და ეუხნებოდა: «თუ დრომდის არ მოხდა ჩენი დაკავშირება, უნდა ფარულად მოილოგინო, ჩემო მშეკნაერო, რომ დაიცვა შენი და ჩემი ჰეტიონება!»—ო. რაკი ჰსნსა გიორგიმ, რომ ქალი მიეცა სრულის თავის გრძნობით და არსებობით, აღარ დასდებდა, რა მოხდებოდა, ან რა დაემართებოდა იმ უხადლო არსებას, რომედმაც შესწინა ნამუსი და თავისი ემაწვილ-ქალობა: გიორგის მხოლოდ თამარის სიყარულთ მოსწონდა თავი და ჰგრძნობდა მხოლოდ ჰირუტეულს საიმოგნებას და სსკას არაფერს. თამარიც ბრმად ემონებოდა საუკარელი კანცის სიტყვებს, მოჰქმედებას და იყო ასე ორ წყაღ-შეა!...

სანი სწრაფად გადიოდა. თამარს ტუკვილები მოხდიოდა და სსოწარკვეთილებში კარდებოდა. ერთს დღეს მელანია დაატქერდა თავის ჰირმშო ასულს და რადანა შიშმა და კანკაღმა აიტანა. დღემდის არც კი დაჰკვირვებია, რადგან ფიქრადან არა მოსკლია-რა, გარდა იმისა, რომ ახლს კი დროა ჩემი მზე და მთვარე დავაბინაკოე!..



— შეილა თამარ! რა დაგმართინა?!— ჭკითხს ხმის განკარგებით თითქო ეშინიან თავის სიტყვებისა და ფიქრისა, რომელმაც გაუ-  
კლვა თავში.

— რა, დედა?!— უპასუხს თამარმა და ფერმა გადაჭკრა, რად-  
გან დედა დაშტერებით შესტკეოდა, სანჯაგდა გოცნებულას თვა-  
ლებით. ამკარს ტკეკრას დედისას ქაღმა ვერ გაუძლო, თავი ჩაღუ-  
ნა, რაკი იგრძნო, რომ დედა უთუოდ მასკდა ხემს მდგომარეობასაო.  
მაგრამ ისევე მალე გასწოროდა, თავი შეიმტკრა და გაბედით ჭკით-  
ხს:— რა იყო, დედა-ჩემო?!— თან უნებურად ხელი მოიხსვა მუცელზე.

— მეღანია უფრო შეშინდა ამისევე, აიტანა შიშის წარმა და  
გაიღო გუნებაში: «ვაი თუ მართლად ამეხვს თვალები?!... მამ რად  
ისკამს ხელსა?! რამ გაასია?!» ბოლოს მართლად სმით დაიწყო:

— რაღა რა იყო, შეილა, დღითა-დღე სიკვდილი, იბერები, თი-  
თქო ფეს-მომიქედ იყო!

მეღანისას სიტყვებზე თამარი შეჭკრთა, გაფითრდა, ხორთოლ-  
და, მუსლით მოკეკვა, დაეცა ტანტზე და დაიწყო ჭკითინა. დედამ  
იგრძნო სამართლზე თავის სიტყვებისა და იტყვისა, თავ-ზარი დაეცა,  
აირია, აიღწია, გაუშწარდა სინოცხლე. გაბრაზებული მივარდა თამარს,  
დაუჭირა მკლავი, დაუწყო ხვლარე და კკითხებოდა:

— მითხარ, ვინ ამისვია თვალები?!... ვინ გამომტკრა ყელა?!...  
ვინ დამასხს თავზე ლაფი?!.. ვინ მოუღო ბოლო ხემს ქვრივ-ოხვრის  
სახლ-კარსა?!.. ვინ მამიკიდა გენა?!... მითხარ, მითხარ, შე არ დასა-  
ცალბელო, ვინ იყო ის იუდის კერძი?!... თამარი ხმას არ იღებდა,  
მხოლოდ ფერ-მანდილი მწარედ ჭკითინებდა... მეღანისას ელვასავით  
გაურბინა თავში: «გეორგი!» ამ სახელზე თმები ყალყს შეუდგა, თა-  
კმა და ყურებმა ყრიალი დაუწყეს. მწარედ დაიკლავნა, თითქო სა-  
შინელი ტკეილება იგრძნოო.. სასოებით აღაზერო თვალნი ზე-  
რად, გადამწერს პირჯვარბი: «დემეტო, მისსენ, დემეტო, ნუ წამწყემდ  
მე ცოდილსა!.. დემეტო, დამიფარე!» კკედრებოდა დემეტოს უსი-  
ტყუოდ გონება-დანეული ამ უცნარის ამბით და მიუბრუნდა ისევე  
თამარს:— მითხარ დროსე, შე ადრე და მალე დასამიწებლო მაგ  
დღისთვის!.. თამარი უარესად შეშინდა, გაშეშდა, გაუშრა ცრემლიც  
და უსულო არსებას დაემეზავსა!..— ქალო, შე მზე ბნელო, შენ გე-



კეთსები?—და გაუშვალა სილა, რომელმაც ისეთი დაწინაღობა  
 თამარის ლოყასე, რომ გვერდებოდათ მათრახი შემოჭკრეს სიპ-ჭკა-  
 სო. თამარი უნებ შესტა, ახსედა მალღა და უგრძობლად მიანერო-  
 თვალები მშობელს. დამწვარმა დედამ ერთი არ აკმარა, მეორეც გა-  
 აწნა და შექუიინა:—არ მეტყვი, შე სასიკვდილეკე!.

— რა გინდა, რა გქნა?!—ძლივს წაიფულეულა გამშრალმა  
 თამარმა.

— როგორ თუ რა მინდა, შე გველის წიწილო?! მამ ვის უნ-  
 და, თუ არა შე, შე უნამუსო?!... ვინ დამისხა ტრესლზე წყალი?!—  
 შეჭბლადოდა ცრემლ-მორეული მშობელი.

— გიორ...—წამოახრანტალა თამარმა და გვერდ გართავა სი-  
 ტუბა.

— გიორგიძე?!— შეჭკივლა მელანამ საშინლად და მეტის სი-  
 მწარით ლურჯი ღილის თეკრი დაეღო სასეკე!... მთელმა სსეულმა  
 თრთოლა დაწყო, მუხლთ მოკეკეთა და დაეშა ძირს!...

ჩამოვარდა დიდი სინუმი. დუმილმა იმოქმედა დედა-შვილზე და  
 უფრო გაამწარა ორივენი. თამარმა მხოლოდ ესლა იგრძნო თავისი  
 შეცდომა სრულის თავის სიღრმითა და სიკეთე-სიკანით!.. აიტანა  
 შიშისა და წამების წარმა!.. მელანია კი თითქო დამშვიდდა, მ-  
 იბრუნა სული, გაუარა თრთოლამ, ამოიხრან საშინლად, თითქო  
 გულ-გვამი თან ამოადუნა, წამოვარდა ზეზე გაათურებული, მი-  
 ვარდა გვერდით თამარს და დაწყო უწყალოდ თავსა და პირში  
 ტემ დაუხრეკავად!.. ვინ იცის, სადამდინ გასტანდა ეს საშინლე-  
 ბა, რომ თამარი, თავ-პირ სასხლიანი, უგონოდ არ გადმოვარდნი-  
 ლიყო ტახტიდან და არ შემოსულიყო ამ დროს ამითი პურის მცნ-  
 ბელი და მოსარეცხე ქროვი დედა-პაცი მათ, რომელმაც, რა ნახა  
 ეს სურათი, მივარდა განცვიფრებული მელანიას და დაწყო ვედრება:

— ქალბატონო, შენ თავ-შემოგველე, ეუფო! დამიდგა თვალე-  
 ბი, რა ამბავი?!. როგორ შეიძლება ანგრე გამეტება?!—და ცოცხალ-  
 მკვლარი თამარი ძლივს წაჭკლივა ხელიდან.

— წაიყვან, წაიყვან! თვალთ აღარ დამანახეო ეგ უბედური ევა!?.  
 უმაგიტომ დავეკანკლებდი, ფარვანასავთ თავს ვეკლებოდი!.. ჩავიძა-  
 რე წუთი-სოთხელი მაგ მსე-ბნელისათვის!..—გაიმხნდა მელანია და



ძლიერს-ღა იბრუნებდა სულსა და გავიდა თავის ოთახში. მაგრამ ვაი-ვაგლახით მიიტანა თამარი და დასსუენა საწოლზედ.

მაია იყო ორმეც და ათის-თხუთმეტის წლისა, შუათანა ტანისა, დარბაისელი, შორს-მჭერტი, გამონდილი, ჰატოისანი და ჭკვიანი ძველებური ადამიანი. ამან კარგად იცოდა, რომ არ არის დედამიწის ზურგზე ისეთი ოჯახი, გლეხისა გინდა თავადისა, რომელსაც არა ჭკონდეს თვისი საიდუმლო!.. გარდა ამისა, დასუდა თუ არა თამარს, მისუდა, რაც ამბავი იყო და სთქვა თავისთვის გულში: «ნუ თუ აჭმდინ არ იცოდა?!. დალოცვილი, ცუცსლივით უმაწვილს ქალს მარტო-მარტო მიანებებდა თავს იმ მშვენიერ უმაწვილთან და რატო არა ფიქრობდა, რომ ასე დაემართებოდა?!. ეს-ღა რაღა დროს ცუმა?!. ზოგის დედის თვალი ბრძანა!.. მაგრამ რეუბსა ვროტამ სუელელი?!... რას მოიფიქრებს ადამიანი, რომ ასეთი მსწობელი ნათესავეები ასე მოიქცეოდნენ?!. ბიძაშვილი-შვილები არიან ერთმანეთისა!..» თან სასხლით მოთხუზნულს თავ-პირს ჭბანდა თამარს. იგრძნო თუ არა ცივი წყალი თამარმა, ამოისლოკინა, გახსილა ოდნუ თვალები მომაკვდავით და მიატარ-მოატარა ოთახში.

— ახა, ჰატარა წყალი მიართვით და მოსურთელდება, — უთხრა მსწრუნელობით მაიამ, მაგრამ ქალმა თვალები მილულა ისე და მიბინარდა. ოდნუ-ღა ფუტქამდა. მაიამ კიდეც სცადა წყალი ესსურუბინა, მაგრამ თამარი აღარ მობრუნდა და ცოტა არ იყოს შეეშინდა; გავიდა მეორე ოთახში, რომ შუეტუობინებინა მეღანასათვის თამარის მდგომარეობა. მეღანა მიმჯდარიყო საცოდავად ოთახის ერთ კუთხეში და იმდულრებოდა მწარედ. მაიას უნდოდა ეთქვა, რისთვისაც გავიდა, მაგრამ სიტყვა პირში გაუეინა, ისე შეეცოდა დედა. თან თამარის მდგომარეობაც აშინებდა და ამიტომ მოკრძალებით უთხრა:

— ქალბატონო, თამარი ცუდად გასლავთ, მოჭსკდეთ, არა დაემართოს-რას, ცოდოა!..

მეღანა შეკრთა, ცრემლიანი თვალები მაიასეო მაიას და შეჭბდავლა გულ-ამოსკინაღმა:

— მე კი ცოდო არა ვარ, ჩემო მაია?!. ჩემი ჟანი და საცოცხლე მაგას შეეწირე!..



— შეიღეს რა დედის გულის ტკივილი ესმოდას, ქალბატონო, რაღა გვიშაშს? მაინც მიხედვა უნდა, რას უზამთ?!. — დისძინა მაიამ გულ-მტკივნეულად.

მართალია, მაია კარკად მიხვდა, რაც ამბავი იყო, მაგრამ ადამიანი, როგორც მოგეხსენებათ, რაც უნდა იყოს, ცნობის მოყვარე არსებია!.. ამ ბუნების კანონს ექვემდებარებოდა მაიაც და უნდოდა საშინლად შეეტყუა ნამდვილად თვით მელანიასაცნა მიზეზი ასეთის უსამართლობისა დედა-შვილს შორის; ამიტომ, მოკრძალებით, რომ არა ეწეინოს-რაო, ჰკითხა: — ქალბატონო, ნუ გი ვამირისხდებით და ვინ თქვენ და ვინ თამარის... სიტყვა აღარ დახლოვდა, რადგან დარწმუნებული იყო, მიუხვდებოდა მელანია, რის თქმაც უნდოდა...

— უბედურება, ჩემო მაია, უბედურება, სხვა რაღა?!.. შენ ჭკვიანი დედაკაცი ხარ, იმედი მაქვს, ამ ამბავს გულში დაიმარსავ!..

— უი ქა!... რას მიბძნებთ, გენატრათ?!... განა არ მიცნობთ რა?!...

— მჟერა, მჟერა, ჩემო მაია!.. — უზასუნს მელანიამ, საჩქაროდ მოიხსნა ძმარი, სასუნებელი კაზლები, რომლებსაც მუდამ ინახავდა გამოუღებელად და გავიდნენ თამარის ოთახში; ქალი ძლიერ-და ჰყუთქუდა და გაღურებული იყო!.. მელანიამ, რა ნახა შეიღი ამ ყოფით, დაეთუთქა გული, იგრძნო საშინელი ტანჯვა და უწეო თავის-თავს მტუუნება, წეველს, კრულვას, ტკემა, კბილით სორცს იღლევდა და შიშით კანკაღმა აიტანა. ერთ საათზედ მეტს ხანს გუდარს მოასერს-რა და იღლევდა ბეწეწებს. ბოლოს, როგორც იყო, მაიამ დაამშვიდა, ნუგეში მისცა:

— ქალბატონო, ნუ შეშინდებით, არა დაუშავდება-რა, სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემით?!... ორთავემ გაჭხადეს თამარს ტანთ და ჩაწეინეს ლოგინში. გაფითრებული, ცხარის ცრემლის ფრქვევით დასტრიალებდა გამწარებული მშობელი თამარს. ეს ცრემლი და მწუხარება არ ჰგავნდა წელანდელს. არა, ეს იყო მშობლიური, გულ-მტკივნეული, სინანულისა და სულიერის ტანჯვისა. თამარს უსკამდა ძმარს, ასუნებინებდა კაზლებს, უსრესდა საფეოქლებს, სცხებდა ცხვირის ნესტოებზე, გულზე. ქალი შეინძრა, სუნთქვას უძატა,



რამდენჯერმე ამოისფლავინა, ამოიხუნქა, თითქო გულ-გვამში  
 ამოადგენაო.. მეღანის სტანჯავდა ყოველივე ეს და ღახვარით  
 სვდებოდა გულ-გვამში. მზად იყო შეეწირა თავისი თავი, აღონც  
 თამარს მოესვდა. ზატარასხანს შემდეგ თამარმა ტუჩების ცმაცუნო  
 დაიწყო.

— ძმარი მოუსვით, ქალბატონო, ტუჩებსე, ძმარი!.. — ეუბნე-  
 კოდა გახარებული მათ, რაკი ჰსვდავდა, რომ ქალი ბრუნდებოდა. მე-  
 ღანამ მოუსვა ძმარი.

— წყა... წყა... — დაიწყო თამარმა სლავინი.

— წყალსა თხოულობს, ქალბატონო!.. ხავსო ჭიქა წყლით და  
 მათწოდ და დაუძიტა: — წამოკაყენოთ ზეზე, ზატარა წყალი ჩაულაპოს  
 და ფიქრი აღარა აქვს, ნუ გეშინიანთ, ღმერთი მოწყალეა, გენაცვალე  
 იმის სახელს, და გადაიწერა პირჯვარი მათამ.

მეღანამ მათს დახმარებით ასწია ფრთხილად თამარი, წამოა-  
 წეგვეს და მიუტანეს ტუჩებთან ჭიქა წყლით.

— აი, შეიღო, წყალი მოსვი, გენაცვალოს დედა!.. თამარმა  
 თვალი გახსილა ოდნავ, მიეწოდა წყალს, ჩაულაპა რამდენიმე ულუ-  
 ზი გაჭირვებით და მიესვენა ისევ. კარგა ხანი იყო ასე. ბოლოს  
 გახსილა კიდევ თვალები, მიაუღ-მოაუღო გარშემო, დახტქერდა დე-  
 დის გაფითრებულს და ტანჯულს სახეს, რომელიც ჩახურებოდა  
 ქალს თვალებში. მიხვდა კარგად, რომ მის საუკარეს მშობელს  
 მთელი ჯოჯოხეთი გამოეღო!... შერცხვა, შეებრალა საშინლად და  
 დაუწყო ყურება, მისმა თვალებმა და სახის მტყუველებამ ნათლად  
 გამოჰჩატა კვდრება და მიტუჩების თხოვნა; მეღანია კი უსკამდა  
 კანკლებს. აი გადაუსვა შუბლზე, თამარმა კონცა დაუწყო ხელზე და  
 დარცხენილმა ყრუდ წაიღუღლუდა:

— დედა, მანატიე!..

— შეიღო, მეც მანატიე, მეც!... — ჩასძახა გაწბილებულმა მე-  
 ღანამ და დაუწყო კონცა გულ-ამოსკენითა. დედა-შეიღნი ქეთი-  
 ნით ჩაკვერნენ ერთმანეთს. ამ მძლავრმა დედა-შეიღურმა გრძნობამ  
 აატირა ჭკრივი მათაც. თამარმა მოიხვდა. მათა წაკიდა შინ. თამა-  
 რი თუმცა სუსტად იყო, მაგრამ მანც უმბო დედას, როგორც  
 დამართა საქმე და რა ძვირადღაც დაუყვდა გიორგის სიუკარული.



თან დასძინა:—დიდი დამნაშავე ვარ, დედა, შენთანაც და დედასთანაც, მაგრამ, რა ვქნა, უმიხოდ სუნთქვაც აღარ შემეძლო. რაც გინდა მაეუა... მამკლ მ თუ მაცოცხლებ, სრული ნება გაქვს, ხმას არ გატყემ. გიორგი ამბობს: «ძრიალ შორეული ნათესავები კართ ერთ-მანეთისა და კანონი ნებას მოგვრემს ჯვრის წერისასაო. მანაც რაც უნდა ეწეინათ ჩემს მოხუცებულებს და დედა-შენსაც, თუ აქ არა, წაგიყვან რუსეთში და იქ დაგიწერთ ჯვარს!»-ო. — დაგიჯერო, ტყუილს მეუბნეოდან?!

ძნელი საწერია მეფანას მდგომარეობა!... აღარ იცოდან საბრძლოდ, ვინ გაემტყუნებინა?! თავისი თავი, ქალი თუ გიორგი?! ბუკრი იცა თავში, ბუკრი იფიქრა, ბუკრიანობა და აღ-დაიღო საქმე და გადასწევიტა, რომ ამ საქმეს აღარა ეშველება-რა. ესლა გიორგიცხელაა დამოკიდებული ამათი სიცოცხლეც, ცხოვრებაც, ბედნიერებაც, უბედურებაც, ნამუსიც და უნამუსობაც. თამართან მოლაპარაკების შემდეგ დაადგინენ დედა-შვილნი შემდეგს გზას: ამ ორ დღეში დავიბარათ გიორგი, მოველანარკოთ უსათუოდ და მოკუდოთ ბოლო ყოველ მოსალოდნელ უბედურებას და სიარცხვილს. ესე იგი, დროსე დაწეროს ჯვარი და შენს საშემს მდგომარეობას მისცეს კანონიერი გზა და კვლი, ღმერთთანაც და კაცთანაცაო.

იმ დროს, როდესაც დედა-შვილნი დაადგინენ შემოსენებულს აზრს, გიორგის უკვე მიაქნებდა რგინის გზა ქალაქისაკენ და აი რად: სწორედ იმ დღეს, რა დღესაც მეფანას შვილის მდგომარეობისაგან გაბოროტებული სტეფანა თამარს, გიორგიმ მიიღო მთავრობისაგან მიწერილობა: «ომი გამოცხადდა და მობძინდით თქვენს ადგილს, საჭირო ბძინდებით! ამ ორ დღეშივე!»... გიორგი მამინეკი მზადებას შეუდგა. კადეც გაესრდა ასეთი ამბავი, რადგან, ცოტა არ იყოს, თამარის მდგომარეობა და გატაცებული მისი სიყვარული გულზე ჭებუნდა და აწუსებდა. არც ის უნდოდა ეთქმეინებინა თამარისთვის, ვითომ გიორგიმ გული შეიცვალა და მომეტყუაო. ამიტომ გაჭვინჯა ბიჭი თამართან და შეუთვალა, გამოდი ჩვენსაო; ან არა-და მე მოვალ და გაიმბობ ჩემს გარემოებასაო. უნდოდა დაერწმუნებინა ამით თამარი, რომ მე ვატიოლანი კაცი ვარ და უპატიოსნოდ არ ვმოქმედებო. უნდოდა დამტკბარიყო უკანას-

კნელად ტრფიალებით და გამოსთხოვებოდა კიდევ. ბიჭი მივლინდა მეღანასთან სწორედ იმ დროს, როდესაც დედა-შვილიში ზემო-აღწერილი ამბავი გამწვანებული იყო. დაუგდო ყური, ხვრიფთა ყოველივე; დაბრუნდა უკანვე და მოასვენა დაწვრილებით, რაც ნახა და გაიგონა. გიორგი დაფიქრდა, ეწეინა, რადგან თამარის უნასავად წასვლა არ უნდოდა, მაგრამ მალე გადაიფარა გულიდან და სთქვა თავისთვის რუსულად: „ну дикари и дикарями останутся. Нетъ капельки воспитанности. Тѣмъ лучше, что не увижу ея и ускользну отъ непріятныхъ объясненій“. პატარა ხნის ფიქრის შემდეგ დასწერა შემდეგი ბარათი:

«თამარ, ჩემო ტურფა დიკარკა!! ეს არის ესლა მივიღე მთავრობისაგან სწრაფი მოწერილობა. ომიანობაა და უნდა გამოვსცხადდე სამსახურში ამ ორ დღეზე. მინდოდა შენსე, ბიჭი გამოგვგზავნე, რომ ან შენ გამოსულიყავი ჩემთან, ან მე შენთან. მაგრამ ბიჭს უნახავს და გაუგონია ყოველივე, რაც დედა-შენსა და შენს შორის მომხდარა, აღარ შემოსულა და მიაძბო დაწვრილებით ყოველივე, რამაც დიდად შემაწუხა. ავი გათხარ, ქართველები არ კარგივართ-მოთქი?! არა, ცუმა და ცუდი მოპყრობა რა საკადრისია კეთილშობილთა შორის?!.. დასინება არ შეიძლება ჩემი, მივდივარ და ნუ დამემდურები, შენ გენაცვალე, რომ უნახავად მივდივარ. რამდენი ხანი გასტანს ჩვენი უნახაობა, არ ვიცი, იქნება უკანასკნელადაც ტელაპარაკები, და კესალმები, რადგან ომში ბევრი ჩემისთანა იხრცება და შეიძლება მეც იმთა შორის მოვუყუ. მე ვიცი, რომ ვიყვარვარ, მაგრამ ყმაწვილია ხარ, გამოუცდელი, კიდევ მოგეწონება ვინმე და არ დაგიშლი, გათხოვდი, გაბედნიერდი... ეს კი იცოდა, მიყვარხარ მეც ძრეულ... ძრეულ! მშვიდობით! შენი გიორგი. ნუ გსპომინია შენია ლისომ!»  
 მიაწერა ქართულის ასოებით, გადასცა ბიჭს და უბრძანა, რომ მიეცა თამარისათვის მამინ, როდესაც მე უკვე ქალაქში ვიქნებო. ასედაც მოჭხდა, რადგან გიორგის მაგაურად მეღანას ბიჭმა მიუტანა დაბეჭდილი წერილი თამარის სახელობაზე. თამარმა წაიკითხა, შეჭკვილდა, საშინლად გაფითრდა, წერილი სელიდან გავარდა და დაეცა გულ-შემოყრილი. თამარზე არა ნაკლებ მოსწედა წელი მეღანისადაც გიორგის წერილით, მაგრამ შვილის მდგომარეობამ გაამხსნა, მი-



გარდა შეშინებულად, ბეჭის ენადა, მაგრამ კვლავ მოაბრუნდა და უნდა  
 ნახი ბიჭი ეჭითან, რომელმაც რის ვაი-ვაგვლანით მოაბრუნა, მაგრამ  
 სისიში ავადყოფილი შეიქნა თამარი...

დედასა და ეჭიმის უნებარე ცდამ უნაყოფოდ არ ჩაიარა და  
 ორი კვირის მძიმე ავადყოფილების შემდეგ თამარი მიღწა. როდესაც  
 სრულად კარგად გახდა თამარი, წაიკითხა გიორგის წერილი,  
 აკოცა გრძნობით და დაიწყო ტირილი. ბოლოს განიძრახა მისუ-  
 ლიველი გიორგის მოხუცებულებთან, შეეჩვილნა თავისი მდგომარეუ-  
 ბა და ეთხოვნა: მიეწერათ წერილი ან შეეტყობინებინათ, სად არის  
 გიორგი, შეიძლება წერილს მიწერა თუ არა?! უნდოდა შეეტყო-  
 ბინებინა გიორგისათვის, რომ უფრო ძალე ჩავალ ცივ სამარეში და  
 დავიყრი გულზე მიწას, ვიდრე გაუთხოვდებოდა; ამასთან უნდა შეეტ-  
 ყობინებინა, რომ სადამდინარე და რადრომდინარე გასტანს გიორგის  
 ომში ყოფნა, მე მოვიცდი და უოკელ დღე ფეხ-შიშველად ფეხით  
 ვივლი დილითა და საღამოთი კვლავსაში, შევეკადრება ყოვლად-მო-  
 წყალე ღმერთს, რომ შენ უნებლად და მშვიდობით დაბრუნდეთ.  
 თავისი განძრახვა დედასაც გამოუცხადა. მელანაც დასთანხმდა.

ერთს დღეს მივიდნენ დედაშვილები მოხუცებულებთან. ცოლ-  
 ქმარნი ძველი ხალხი იყო, ერთსულები და ერთგულები, ამასთანავე  
 დიდი ღვთის მოყვარულები, ნათესაობისა და ნათელ-მირონის მტკი-  
 რედ დამცველები და, როდესაც მელანიამ დაიწყო თამარისა და გიორ-  
 გის ამბავი, მოხუცებულები ალუღდნენ და ისე გაანხლდნენ, რომ  
 საშინელის წახმლვა-თრეკით და შანდურის ცემით გამოარკეს დედა-  
 შვილი!...

— ანია ჩვენსე!..—ამობდა მელანია თვალ-ცრემლიანი, რო-  
 დესაც მივიდნენ შინა:—თქვენოდენა ადამიანმა ნათესავი და თვის-  
 ტომი არ უნდა იცოდეს?!.. განა სამისო უგონონი იუჯით, რომ  
 კვ არ იცოდით, რანი იუჯით ერთმანეთისა?!..

თამარს შერცხვა, აილანდა, თავი ჩაღუნა და ყრუდ უმასუნა:

— დედა-ჩემო, სიყვარულმა ნათესაობა არ იცისო, გიორგიმა  
 სთქვა!.. მართლაც, განა ჩვენ ხელთ იყო?!.. ცოტა ვიტანე?! არ  
 კებრძოლე საკმაოდ ჩემს თავს და გრძნობას და გულს?!.. შემომ-

სედე მაინც, რასა გეტყვარ?!.. კერ დაკბლიე და რა ვუყო, რა ვჭმარ?!  
 გვიყვარს ერთმანეთი და რა ვუყოთ?!..

— რას მიჭქარამ, ნეტა, შეილო, სიყვარულმა თუ ნათესაობა  
 არ იცის, ზირტყეობა სომ იცის, კმანდერა?... რა? ზირტყეობი არა  
 ხართ?! მამაშენი და იორამი ბიძაშვილები იყვნენ და თქვენ იმათი  
 შვილები ხართ!.. რაში ეტყობა სიყვარული?!.. გასათხოვანი, ობოლ-  
 ოსური ქალი, მაგ მდგომარეობამდის მიგიყვანა, გკარ სელი და წა-  
 ვადა!... რა სიყვარულია, დედა-შვილობას?!..

— განა ეჭვიცა გაქვს, დედა, რომ არ უყვარვარ?! — უზახუსა  
 გულ-დათუოქელმა თამარმა და მიახურა თვალები იმ გვარად, თით-  
 ქო ეუბნება: «სირცხვილი არ არის, რომ გიორგის მაგისტანს ციფ-  
 სს სწამებ?!»-ო და განაგრძო:

— არა, დედა, არა, ის ისეთი ზატოლსანია, განათლებული და  
 ჭკვიანი, რომ თავის დღეში არ იკადრებს ჩემს მოტყუებას. თუ  
 მწერს: «გათხოვდიო», იმიტომ რომ, კინიცობას, მიმკლან: «ბედ-  
 ნიერი იყავიო...» უწინ მოკვებო, ვიდრე იმის უბედურებას გავაგო-  
 ნებდე რასმე!... აქ კვლავ შეუძლო ღაზარავს თამარმა და დაიწყო  
 მწარედ ტირილი.

— არ ვიცი, შეილო, მე ესლანდელის ხალხისა აღარა გამე-  
 გება-რა!!... ან ძრეულ ჭკვიანები ხართ და მე არა მეუფრება-რა, ან  
 მტენარი სულელები ხართ, აღარა გწამთ-რა: არც დემოთი და არც  
 თვის-ტომი!.. თუ კახონი, სვინიდისი ნებას გაძლევათ ზატოლსა-  
 ნის გავშირისას და იცოდა ზატოლსობა, რატო, ვიდრე მაგ საში-  
 შრობამდის მიგიყვანდა, არ იხმარა ზატოლსება და არ დაიწერა ვკა-  
 რი?!.. რას ნიშნავს: ვინც მოკვწონოს, გათხოვდი, არ დაგიძლი,  
 გაბედნიერდი!»-ო?!... სომ ჭნახე რა დღე დაგვაყენეს იმისმა მშობ-  
 ლებმა?! შენ იქნება ამტყუნებ, მაგრამ მე არა. ნათესაობის შერყევა  
 იქნება ადვილი გკონიათ?! ვკარინც რომ დაეწერა, მაინც ბედნიერები  
 არ იქნებოდით!... შენი მდგომარეობა მაშინებს და მაწუხებს, შეილო,  
 მთელი ქვეყანა გაიკებს და თავზე ღაფი დაგაკისმის!.. ვიდრე აზი-  
 რობდა გავრძობას ღაზარავისას, უნდოდა კოჭვა რამე, მაგრამ შეჭსე-  
 და მოტირალს თამარს, რომელსაც ზაფრანის ფერი დასდებოდა,  
 მწარედ იმდურებოდა და თავ-ჩაღუნული თრთოდა. შეებრალა მე-



ლანას თავისი სისხლი და სორცი, ღვიძლი შვილი და აღარ  
 სთქვა-რა. ამგვარად გადაიდა ხანი. თამარს დღითი-დღე ემატე-  
 ბოდა ტკივილები და ემჩნეოდა საშიში მდგომარეობა!.. სირცხვი-  
 ლით გარედ კვლავ გამოდიოდა. იწვა ერთთავად ლოგინში, რომ  
 არავინ არა მნახოსო, არავინ არა შემეტყუას-რაო. მაგრამ ის კი ავი-  
 წედებოდა საცოდავს, რომ შუბი ხალათში არ დაიმალებოდა!..



განგლო თითქმის სუთმა წელიწადმა. ბეკრი რამ მოჰხდა, ბეკრმა  
 რამ იცვალა ფერი ამ ხანში. ბეკრმა კოკა წყაღმა ჩაიარა.

თამარი მძიმე მელოგინე აღმოჩნდა. რის ვაი-ვაგლასით მოი-  
 ლოგინა, და მიეცა ვაჟი-შვილი!.. მელანამა და ორმა სსება სოფლის  
 ჟარა ბებიებმა თამარის შეუმჩნეულად ჰატომსებისა და ნამუსის  
 დასაცრეკლად მიახარეს ჰატარა ცოდვის შვილი შავს მიწას ჩუმიდ და  
 შეუმჩნეულად. მელოგინემ, როგორც იყო, მოისედა და სოსოკდა  
 დედას, ეჩვენებინათ თავისი მწარე ნაყოფი. ჟურ, რაკი ჰხედავდნენ,  
 რომ თამარი სუსტად იყო, ატყუებდნენ: სუსტადა ხარ, ბავშვის  
 მოვლა არ შეგიძლიან, ძიძისა ჰყავსო. თამარი სრულიად მოჩნა,  
 კეკდრებოდა დედას: ღმამიყვით ჩემი შვილი, მინდა ვნახო, მე თითონ  
 მოუვლი, რა საჭიროა ძიძისა-ო. ხალა კი დაფარვა აღარ შეიძლება-  
 და და მელანამ უაშბო, რაც დაჭმართეს მის ნაშობს. თამარი დი-  
 დად შეაწუხა ამ ამბავმა. ბეკრი იტირა, ბეკრი იცა თავში და ივა-  
 წრა ღოუები, მაგრამ კვლავ უშეკლარა!.. საწყალი ამდენის დარდი-  
 ს და მწუსარებისაგან გაუვითლდა, გახმა, თვალები ორმოკლებრ  
 ჩაუღრმავდა და უშნოდ აიწოწა: ჩრდილიც აღარ იყო უწინდელის  
 ელ-ფერითა და სინცხვლით სავსე თამარისა!.. ხალხი შორს-მჭკრე-  
 ტი და გულთა-მხილავა: გაიკეს ეველა, შეიქნა ჩუმიდ თუ ცხ-  
 დლივ ლაშარაკი!.. აჭამდის ხელის-ხელ საგოგმანბელი თამარი გა-  
 დაიქვა ვინცვისა და ჭრობობის საგნად. ხალხი დაშორდა თამარს  
 და თამარი კიდევ ხალხს.

— ჭა, რა გიორგი?!.. ბეკრს სხვასაც თუჩემე სწყალობს!—ამ-  
 ბობდნენ ერთნი.

— წელიწადი არ გავა თურქე, რომ არა მიეტყოს-არა თურქე! —  
ამბობდნენ მეორენი.

— ამბობენ, მოსამისხურე ბიჭებსაც უნუგეშოდ არა სტოკებ-  
სო! — დაურთავდნენ მესამენი და მრავალს ამისთანა მითქმა-მოთქმას  
დასასრული არა ჰქონდა.

გიორგი დაბრუნდა სამისხურიდან, რომელმაც ჩინსა და წარმა-  
ტებასთან ერთად კარგა ბლომა ფულიც შესძინა. ჰინსა თამარი, რომ-  
ლის გულშიაც მისდამი სიყვარულს უფრო ღრმად გაედგა ფესვები,  
მაგრამ გიორგიმ მისი სიყვარული სასაცილოდ აიგდო: აგა რა სიყვარ-  
ულიაო, — ამბობდა გულში: — სიყვარული კი არა, სისულელე იყო,  
რელქობა იყო ყმაწვილობისაო. მე არ ვაქნებოდი, სხვა იქნებოდა,  
სულ ერთია. მე შევსვდი პირველად და მე ჩამომეგოწიალა კისერ-  
ზედ. სხვა შესვდებოდა, სხვასაც ატრე მოქტრეოდაო. ამასთან თამა-  
რი ის მიმზიდველი თამარი აღარ იყო ახლა, როგორც ჩინსა პირ-  
ველში. ეს ხუთი წელიწადი იყო მისთვის დრო ტანჯვისა და უხომო  
მწუხარებისა. იმ ტრენსლთან შედარებით, რა ტრენსლშიაც ამ ხან-  
ში იყო, წინანდელი ვერ მოვიდოდა. მისი წინანდელი ტირილი და  
წუხილი აღარა იყო-რა. ვიღას ახსოვდა განუღილი დარდი და მწუ-  
ხარება?! თამარი დადნო იმ ტანჯვამ, რა ტანჯვაც გამოიარა უძი-  
სოდ, რა ტრენსლიც მოუკიდა იმ უმანკოსა და უდანაშაულო არსე-  
ბის დაკარგვამ; ეს უღრღნიდა და უწიწკნიდა გულ-ღვიძლს, უქვე-  
ნიდა სკინიდასს; მისი ლხინი არა შორდებოდა თავიდან; სულ თვალ-  
წინ უდგა ის პატარა ანგელოზი, მუდამ მძინარეს თუ მღვიძარეს  
ის ელანდებოდა!.. ამასთან ხალხის მითქმა-მოთქმაც ძნელი იყო,  
ცილის წამება და კიცხვა ათას გვარი ადვილი ასატანი არ იყო,  
მაგრამ ეგულა ამ ტანჯვასთან ესეები მოსატანი არ იყო იმასთან  
შედარებით, რაც თამარს ტანჯვა გადახდა ამ ხუთს წელიწადს გიორ-  
გის უნახაობითა და უამბობით!.. გარნა გიორგის გულს ოდნავაც  
არ უტრძენია თამარისადმი სიბრალეული!.. მან მხოლოდ ზრდილო-  
ბიანის ცივის ალერსით მოიშორა თავიდან თამარი, ვერ დაჰპირდა  
ძალე განხამო და გამოესაღმა ცივად!...

გიორგის უამბეს მოწუებულებმა საუკედური, თამარმა და  
მელანამ გიბიუესო. ამასთან დაუმატეს, რომ, თუ გაჰბედავ თამარ-



სე ჯვარის დაწერას, ამ მოსუცების დროს შენდა სამარცხვინოდ დაჯიკრეთ გულ-ხელს და გაკაღთ ამ სსხლიდანა! გარდა ამისა ვეცდებით სს-უღაერთ მთავრობასთან, მივართმევთ თხუენას არქიულს, ვანობებთ თქვენს ნათესაობას და არ მოვანცემებთ ნუბას ჯვარის წერისასაო. თუ ესე მოვანერსეთ, სომ რა კარგი, თუ არა-და—გადავ-ცვიკვებით წყალში და თავს დავეხრწობთა!.. ერთის სიტყვით, თავ-სე ლათს არ დავესხამთ და, ვადრე ცოცხლება კართ, ნათესაობის შეწყვეტის ნუბას შეიღს არ მივეცემთა!... გარდა ამისა გიორგიმ მოჭკრა უური ხალხში მოთენიღს ჭორობს და ძრეულ იტვიცა: «რო-გორ, განა მე, გიორგი, სსჭორობა და სსყუყუნა გაჭსდი თა-მარის გუღასთავის?! И все это изъ-за какой нибудь глупой бабы, дерзкой и дурной?!» ასე ფაქტობდა გულში ჩვენი ზოღზოღ-კოვნიკი გიორგი და ცოფებსა ჭყრიდა!..

— რა ხმები მოგიფენიათ?! რაო? მკითი გინდათ შემარცხვი-ნოთ და ჯვარი დამწერინოთ ძალათი?!.. არასოღეს, არასოღეს! სი-უმწვილეში ხუმრობა და სიგიჟე რა ხელსე დასასვეკვას?!..—უთხრა ერთხელ გიორგიმ სსყუადურით თამარს მელანას გამოჯვარებულმა...

— რად ჯვარობ, გენაცვა, გიორგი?! ღმერთმა სომ იცის, ჩვენ არსად არა გკითქვამს-რა, გარდა შენის მშობლებისა... სუ თუ არა კმარა დასამტვიცებლად ჩვენი მოქმედება?!.. ის უმანკო და უდანა-შაულა არსება... აქ კვლარა სთქვა-რა და ტირილი დაიწყო თამარ-მა. ჰატარა ხანს შემდეგ ტირილითვე განაგრძო:—ოღონც შენ მშვი-დობით იყავი, სუ გაჯვარდები, გიორგი, და რამდენი ხანიც გინდა, მოვიცდი. ავიტან უოკულ-გვარს ტანჯვას. თუ გი მე უბედურმა ავიტანე სრული სუთი წელაწადი იმდენი ტანჯვა-მწესარება, შენი უნასაობა, ახლა რა დამემართება, როდესაც გხედამ ჩემს სათაყვანოს, მესმის შენი ხმა, ახლა არ მოვიტმენ?! რამდენი ხანიც შენი ნუბას, მოვიცდი.

— მერე ქვეყნის უყანს, შენს ტანჯვას, შეიღო, დასასრული არ უნდა ჭქონდეს?! დიდი ბედნიერება იქნებოდა არ მოვხდენოდათი კვ უბედურება. სიუმწვილით იყო თუ უჭკუობით მოჭსდა, რა-ღას უშეკლით, სოღო ესლა სომ აღარა გიდეგათ-რა წინა, რადა გიშლით რომ დახინაკდეთ? მოცდა რაღას მოგიტანს მწუსარებისა და ხალხის განგამის მეტს?!.





— რა საჭიროა იყო, რომ შესწივოდით მოსუცებულებს?

— მანდოდა გამეგო შენი ბინა, რომ ზასუსი მამეცა შენს წერილისა, ამასთან შექტეო შენი ამბავიც.

— რა ჩემი წერილის ზასუსი?!

— აი შენი წერილი. — ამოიღო თამარმა კუბიდან და გადასცა.

— ჭი! — ჩაიციანა გიორგიმ და დასძინა: — როდინდელი წერილია, მე კიდევ დამავიწყდა. რა იყო აქ საზასუსო?!

— ნუ თუ კერა გრძნობ, რაც არი? — ჭიითსა გაკვირვებულმა თამარმა.

— კერა. აქ ბოდიშს ვისდი, რომ კერა გნახე და ისე მივდივარ-მეთქი. სხვა რა არი?!

— გათხოვდი, არ დაგიშლი, გაბედნიერდიო. — გაიმეორა გიორგის წერილილის სიტყვები თავ-ჩაღუნულმა თამარმა იმ გარის კალოთი, რომელმაც გამოჰსატა სამდურაჯი.

— რა არი შერე? ძღაერ კარგად მითქვამს!!.. რატო არ გათხოვდი? კნლაც გატყუი: ჭკეუნის უყუნს, ნათესაობის შერეკვას, არა სყობიან გათხოვდე?!. თუ რამე დანაშაული მაქვს, ბოდიშს ვისდი. ის იყო სიყმაწვილე, უგონობა ჩემიც და შენიც, ჩემო თამარ! კნლას სხვაა, მე სხვა წრეს ვადგეკარ, სხვა ხალხში ვარ გარეული და შენ ჭკეუანი ჭალი ხარ, დამეთანხმები, რომ შეუღლეობას ვერ გამოწევ. შერეეც ესა, აწრი სრულიად გამოვაცნალე, მე ცოლს აღარ ვართამ და, რა მომიცადო კიდევ, როდემდის?! რას გარეებს ჩემი ცდა? არაფერს, ტყუილი დროს დაკარგვა იქნება. გირჩევ, მონახო შენი შესაფერა მმარი, მე, რასაც შევიძლებ დაგეხმიერები, რასაც იქნება თუ სამასი ნაღდ ფულს მოგცემ!..

თამარი გააშტერა გიორგის სიტყვებმა! თითო სიტყვა ტყუიანსაგით ჰხვდებოდა გულში. კარგა ხანს იდგა გაფითრებულად, თითქო სამარადის ამოღებული სხეულიაო და შესტკეოდა გიორგის. ბოლოს მოიკრიფა ძალ-ღონე და ხმის თრთოლვით, მაგრამ მტკიცედ კი უზასუსა:

— გიორგი, ნუ თუ შენს ზატოასანს სიტყვას და სიყვარულს შეჭყურის ეგ სიტყვები?! მაგ ხუმრობით არ იცი რომ გულს მიკლამ?!

— სრულიადაც არ გესმოდები, თამარ!....

თამარი აღელვდა.

— არ იცი, რომ მე ქმარი მყავს და, კიდრე ზირში სული მიდგია, მის მეტს თამარი ვერ იხილამს?! რატომ მაშინ არ მეუბნე-ვოდი, ნათესავეები ვართო და ჩემი ტოლი და ღირსი არა ხარო?!..

— ჰმ!— ჩაინანა მწარედ მელანამ და დასძინა:— რა უღირ-სეულობის ტენსლი დაგვწამს?!— თამარი თან-და-თან ღელდებოდა, სიტყვა არ შეუწევტნია და ლაპარაკობდა:

— ესლა, როდესაც საუფროდ მომტარე გული... ესლა გავ-თხოვე?

— ჰმ!— ჩაინანა მწარედ მელანამ კიდევ.

თამარმა გა განაგრძო:

— შერე?! ნამუს-ასდილი!! ვის რად უნდოვარ?!. ან მე კი ვი-კისრებ?!. ანსადროს!.. ვის მივთხოვე?!. იქნება გონია მე ჩემს ნამუსს ფულზე ვუდდე?!.. ნუ იფიქრებ. ქალა და რას მისამოს?!. გარტად იცოდე, ღმერთი იმდონ ძალასაც მომცემს, რომ მოტყუე-ბულმა სამაგერო გადაგიხადო! ღმერთო!— გულარ შეუძლო მძლავრს მღელვარებას თამარმა და გულ-შემოურილი შოლტივით გაერთხა ძირს.

— ვაიმე, შეილა!— დაიკვილა მელანამ და მივარდა სასოწარ-კვეთილი. გიორგი გაშრა, კარგა ხანი იდგა გაშტრებული და გო-ნება-დაბნეული დასტკვროდა მომაკვდავს თამარს. ამ დროს რაღაც დაუმართა. გულმა რაღაცნაირი თრთოლა დაუწყო. გიორგიმ იგრძნო სიბრალეული თამარისადმი. შეებრაღა, შეეშინდა, მივარდა, აიყვანა და დაასვენა კარატზე. უგონიდა სელებს, გაფითრებულს და მო-მაკვდავს ტუჩებს.

— თამარ! ჩემო მშვენიერო, ჩემო ღვთაებავ! გესმოდებოდი, შენ განაგავ...— რის ტანჯვა-ვაებით მოაბრუნეს თამარი.

— შეილა გიორგი! რა ხუმრობაა?! თავად ურთავად ავანდმო-ფობს ეს უბედურის შვილი და რაღა ეკ უნდოდა?!. თუ გწამს ღმე-რთი, სვინდიასი, ჰატიოსნება, აი, მუსულ-მოდრეკით გვედრები.— უთხრა ესა და დაუწია გიორგის და შერე განაგრძო:— მოუღე ბო-ლო მაგ უბედურის დღის დაბადებულის ტანჯვას! არ ეეო, რაც

იტანჯა ეგ დედა-მკვდარი?!. ვაჟკაცი ხარ, ნასწავლი, ღირსებობს ტრონი, ნუ ჩასდგები ჩვენს ცოდეშში.— კეკეღრებოდა დახოქილი მელანია და მდუღარებს აფრქვევდა.

— რას სჩადი დედა, შე საცოდავო?! — შეჭბღავდა მისუსტებულმა თამარმა.

გიორგი მივარდა მელანიას და წამოაყენა სხჩაქროდ ფეხზე. ქედმაღალი ჰოდნოლეკოვნიკი ისე დაიბნა ამ საქციელით, რომ კვლარს მოასურსნა-რა ეთქვა და ისეკ თამარს მიუბრუნდა.

— რამ შეგაშინა, შე ღახარო?! ნუ თუ ხეძრობა არ იცია?! — თან უკონიდა ხელებს. ამისთანა აღერსმა თითქო გამეურნებელი მალამოა, ისე ამოქმედა თამარზე, ქაღმა მოისუნდა, ლოყები შეუწითლდა და გამოცოცხლებულის თვალებით დაუწყო გიორგის ტყვერ მადლობის მეტყველებით.

— რაც შენ გავიცანით, ჩვენს ტანჯვა-ვაებას დასასრული კი არ მიეცა, შეილო-და, რა ღეთის წურომა ჩვენს თავსა?! — სთქვა მელანიამ, როდესაც გიორგიმ დააბირა შინ წასვლა.

— აი მალე, ძლიერ მალე შეკითხვობთ ევკლას, დედა, ნუ სწუხართ. იმედია მამატებთ, თუ რამე დავაშაკე. — უშასუნა გიორგიმ, დაბნეულმა ზემო-აღწერილის სანახავით, დაჭკოცნა თამარი, აკოცა აგრეთვე ხელზე მელანიას, დაჭმირდა მალე გნახამთო, და წავიდა შინ. დიდს საგონებულში ჩავარდა, ახლა კი იწყო დაფიქრებულმა წინ და უკან სიარული თავის ოთახშია. მოაგონდა უწინდელი თამარი, ელფერით და ჭახ-ღონით სავსე! მასთან ხანგრძლიობი სიტკბობა და სიამოვნება! შეადარა წინანდელი თამარი ეხლანდელს, რომელიც აზრდილიც აღარ იყო ძველის სიტუირთვისა და ათასგვარმა ფიქრმა დაუწყო შეწუხება: «ნუ თუ მართლა — კეკითხობოდა თავის თავს, — ჩემის გულისთვის?! მე ჩავაგდე ამ დღეში?!. რათა, რა ნება მქონდა?!. რა დააშვა ჩემთან, რომ გული აკეყარე, აღარ მომწონს, აღარ მიმწეკს გული?!. ცოდევა არ არის?!. რათა ვსტანჯამ?!»

დაად, გიორგიმ იგრძნო თამარის სიბრალული, მკრამ ეს იყო გრძნობა წუთისა. დიდ ხანს არ გასტანა მის გულში აღმიანურმა და კაცობრიულმა სიბრალულმა და გრძნობამ. მალე გადაიყ-



რს გუფიდან და დაიწყო ისეკ თავის გუფში: «იმ არეულობის დროს და, რომელიც უნდა მოხდეს მე და თამარის დაკავშირების დროს, უნდა დაეშორდეთ მოხუცს მშობლებს, თათქმის უოკულ ჩემს ნათესავს!.. ნათესავები, შალაფი, ზლეკა, მაგრამ გერც გამოიწვევს კარგს მეუღლეობას, რადგან უსწავლედა, სოფლის ხელნისა და ცხოვერების მეტი არა უნახავს-რა, არა იცის-რა და სად და ვისთან გამოვაინო?!... Человекъ въ чинѣ подполковника, я долженъ вращаться совѣмъ въ другомъ обществѣ. Куда ей, деревеньской бабенкѣ, показываться въ обществѣ офицеровъ полка! Нѣтъ!.. როგორც იყავს, უნდა მოვისწავლო თავიდან! ან რასა ჭკავს, სწორედ «სკელეტი» და სხვა არაფერი!»

დაიდა, ასე ჭეჭრად და ლაშქრობდა თავისთვის ჩვენი შოღ-შოღეოანიკი თავადი გიორგი და გადასწევითა თავიდან მოეშორებისა თამარი!.. მართლაც, უკლე თან-და-თან თამართან სიარულს. სშირად დადიოდა სამ-დღეობით, კვირით, თვით აქეთ-იქით და უფრო ქალაქში, სადაც ჭინახ ერთი შორეულის ქვეყნის, ლამაზი, მდიდარი, განათლებული ქალი, მოეწონა საშინლად, გადირია ჩვეულებრივად და დანიშნა. თამარს ვი ატყუებდა: «რადგან ჩემმა მოხუცებულებმა გააკეს, რომ შენზე ჯერის-წერას ვაბირობ, ჩემ ჩემით მისცეს არქიელს თხოვნა, გამოგვიყვანეს მე და შენ მესამე ნათესავებზე და ესლამ იმითად დაუდივარ, რომ საჭირო დაგუშვებები წარუდგინო არქიელს და შეკატუობინო, რომ ჩვენ მესამენი ვი არა, შეთხუთმეტენიც არა ვართ. რაგი ამას შეიტყობს, არქიელი ნებას მოგვცემს ჯერის წერისას; ესლამ ვი აგრძალული გვაქვს და, სადაც უნდა წავიდეთ, ჯერის არ დაგვეწერნო. აი ამითად დაუდივარ და ვახერხებ ჩვენს დაკავშირების საქმეს, ჩემო თამარი!» ამისთან ელერსებოდა თავისებურად, ცბიერად და თამარი და მედანიამ იმედოვნებდნენ, მოკლოდნენ დღე-დღეზე საქმის თავიანთს სასარგებლოდ გადასწევტას. თამარი გაცოცხლდა, მოუვიდა ელ-ფერი, შეუწითლდა მშვენებრად ლოყება, მოვიდა ღონესე და მართლად მშვენებრი სანახავი იყო ამ დროს!.. ერთის სიტყვით, დედა-შვილის სიხარულს სამზღვარი არა ჭქონდა. თამარი სომ სიარულით ერთთაგად უწინდებურად ცუტობდა, რადგან დარწმუნებული იყო, მალე დაისკუთრებდა საყვარელს, მეტად ძვირფასს გიორ-

ვის და სამუდამოდ დაკავშირდებოდა იმასთან, რომელსაც სიამაღლის მეტი ვეღარა დაწმარებდა-რა. მაგრამ ერთს დღეს გაკარდა სოფელში სმა: «გიორგიმ ამა და ამ ქვეყნის ქალი დაწინაშა და ამდონ-ამდონი მზითვეა და ფული აიღო და მალე ვაგრესაც იწერ-სო!?!...»

შეესმა თუ არა ეს სმა თამარს, რაღაც ნაირად გული შეუთქმინდა და დაიწყო ისე გასტყუებული, უმოდნოდ. ბევრს ეცადნენ მელანია და მიახლოდნენ გონს მოეყვანათ გასტყუებული თამარი, მაგრამ ამაოდ. თითქო ვეითელი წაწინაშეს ფერი ქანდაკებას, იყდა გაწინდებული თავის კრატსე და დაეშტყუებინა უგრძნობლად თავლება ერთის ადგილისათვის!... საბრალე დედა დადნა; იმ სიამაღლე ადამიანი ოთხად მოაკაკა და მუშტის ტოლა-ღა სჩანდა. თავლება უფრო ჩაუგვივდა, ღოუბი დაუნაოჭდა, ტანისამოსი ზედ შემოიფლითა მეტის სიშწარისაგან. ერთი თავის სამარადის ამოდებულს გასწინდეს გაკამ დაემკნასეს!.. მისჩებოდა თამარს. აღარც დღე იყო დღედ ამასთვის და აღარც ღამე ღამედ! ბევრს ეკედრებოდნენ ექიმებიც—ნასწავლიცა და სოფლის დედაცაცებიც—ბევრსა სთხოვდნენ, გაუფრთხილდი შენს თავსაო, მაგრამ მელანია ქალს არა შორდებოდა და ეკვლას ეკედრებოდა: «მე არა მაშავს-რა, თამარი მამობრუნეთ, მამინინეთო!» ბევრსა ცდილობდნენ ექიმებიც, როგორმე დაემრათ თამარი ადგილიდან; ამგვარს ავადმოყოფს ზარეკლად ჭხედავდნენ. ვერა ღონისძიებით ვერ შეუშლეს ნაკრი თამარს! იყო ისე, თითქო კლდეა აშოტილიო, გამშრალი, თავლებ-დაჭეეტილი!.. ოდნავ ეტყობოდა, რომ სენთქავდა, სხვა მოძრაობა არა ჭქონდა. ექსი დღე იყო ასე თამარი, გახდა, გაყვითლდა, თავლები ჩაუგვივდა და ძელის ჩონჩხს დაემკნასეს! ადამიანს შეწარავდა სწორედ იმისი დანასეს!?!...

მელანიას შეიღის ამგვარი მდგომარეობა არ აკმარეს. ნათიერადან გაანანაგეს: წამლებსა, ექიმების ვანიტის ფულს გარდა, რა შეიტყეს სოფლის უსვანიდასო ქუჩა-ბაცაცა საღხმა, მელანიას ოჯახსა უზატრონოდ არის დაჩენილიო, მიესივნენ და, რასაც მოასწრებდნენ, შინ თუ გარედ, არა ჭწოგავდნენ, იზარავდნენ: ღორს, ქათამს, პურს, ღვინოს თუ ავეჯს! ერთის სიტყვით, წაუღებულს არასა სტოვებდნენ. ამასთან მოსამსახურე ბიჭებმა რაკი იცოდნენ, რომ



ქალი აუად არის და ქალბატონი აღარა შორდება, არ გამოდის. ვაჟი თანა, ხელთ იგდეს მარნის გასაღები, მარცვა-მარვის გარდა თავებს იწმინდებენ სასმელში, ამიტომ საქონელი უმატრონოდ ეყარა. ზოგი დაიშარეს, ზოგი ეინულხე დაიხეს, ზოგი ბოსკელში დაისრ-ხო უმატრონობით. ერთს საღამოს, მიაბინაკეს თუ არა ძალე-უმადურად, შემოიტანეს დიდი გუნძები, შეუკეთეს ბუსარში და თითონ გასწიეს მარნისაკენ, შემოუსდნენ ქვევრს და ისე დაითვრნენ, რომ იქვე უგოხოდ მიეყარნენ!.. ბოსკელში გი გადმოცვიუნულიყო გუნძები, დამდგარიყო საშინელი კომლი. საქონელმა შექნა ბლავილი, შეესმათ მეზობლებს, მიტკვიდნენ, გაღეს კარები, მაგრამ შესულა გი ვერაგინ გაბედა, ისე იყო გამოტენილი ბოლოთ ბოსკელი, დასადეს სანათურები, რის გაი-გავლასთო გავიდა კომლი, შეეიდნენ, მაგრამ რცხს სულ საქონელში ექვსი-ღა გადააწინეს ძლიეს, დასარჩენები გაუდღულები ეყარნენ!... აქეთ ეძებეს ბიჭები, აქეთ, მაგრამ ვერსად იპოვნეს!.. მეორეს დღეს გი, როდესაც მათა ჩავიდა მარანში ფქვილის გამოსატანად, რომ ჰური გამოეცხო, ჰნახა სამივე ბიჭები ეყარნენ ქვევრის შირხე, დათხუნულიები თავიანთსავე ნარწყეემა! თუმცა დიდად შეაწყუსა პატიოსანა მათა ამ სანახავმა, დაღანძლა კიდეც ბიჭები, მაგრამ რა შეეძლო?!... ვერცარა გაუბედა-რს მეღანას.

თამარი, მეშვიდე დღეს შეინძრა, ამოიხუნეშა ერთი საშინლად, თითქო გულ-გვაში თან ამოადვენაო და მძიმე ტვირთი მოიხსნაო. ექიმებს სინარული შეექნათ, რადგან ბეკრი რამ სცადეს, ბევრნაირად იკვლიეს თამარის მდგომარეობა და ვერა გაიგეს-რა!...

— შინან! წამოიკნაულა თამარმა, ძალზე მისუსტებულმა და გადავარდა ლოგინზე. ექიმებმა ძალე მოაბრუნეს ქალი და მისცეს მოსაღონიერებელი წამლები. ამეკარად ქალი მობრუნდა, სჭამდა ცოტას, მაგრამ ხმის გი ვერ არ იღებდა. რაც უნდა ეკითხნათ, ვეღაზე თავს უქნევდა, თანხმობის ნიშნად. მეღანას ამედი მიეცა, თავისუფლად ამოისუნთქა, გავიდა გარეთ რომ დაეთვალერებინა თავისი სახლ-გარი, რომლისათვისაც სრული რვა დღე იყო აღარ მიესხუნა! მაგრამ თქვენს მტერს დაადგეს ის დღე, რაც დღე მეღანას დაადგა, რა ნახა ახსრებული და შირქვე დამსობილი ოჯახი: ერა ელდა, ვეღარ აიტანა დასუსტებულმა, ნატანჯავმა მეღანას სხეულ-

მა ეს გარემოება და ჩაინიჭა მუსულ-მოკვეთილმა!... ერთის მაგონებად  
 ესლა ორი იყო ავადმყოფი. ხალხში შეიქმნა უყინი და გაისმა ტო-  
 რები:

— ნათესაგების შემარყვევლთ მა რა დაქმარებოდათ?!— ამობ-  
 დნენ ერთნი.

— მაშა, ქალა! ბიძაშვილები იყენენ ერთმანეთისა!— დაურთამ-  
 დნენ მეორენი.

აქამდის თუ საამოვნებით ახსენებდნენ თამარს, ესლა ზინ-  
 დებით და კიცხვით განგამობდნენ... თამარი მოჩნა, მაგრამ იყო სა-  
 შინელი გამხდარი, გაუკითლბული, მისუსტებული. თუმცა მოძრაობ-  
 და, სჭამდა კიდეც, მაგრამ ძრეულ სუსტად იყო, არა ჰქონდა ძალა  
 კვიქრის რამე და გაუთვალისწინებინა თავისი ანუ დედის მდგომა-  
 რეობა!... მელანია საშიში ავადმყოფი შეიქნა; მისას მოჩინის იმე-  
 დი თითქმის აღარავისა ჰქონდა, მაგრამ ორის კვირის ავადმყოფო-  
 ბის შემდგომ მოჩნა. განგება უმზადებდა უარეს განსაცდელსა და  
 ტანჯვას საბრალა მელანიას. თამარი მოღონაურდა, მისმა გონებამ  
 მოძრაობა დაიწყო, მაგრამ იყო საშინელი მოწყენილი, დაღვრემილი.  
 ცხოვრებამ ჩვეულებრივი ხასიათი მიიღო, ხალხის განგაში მისუსტ-  
 და. მელანია შეუდგა დაღუბულის ოჯახის მოვლა-მოშენებას. თამა-  
 რი, როდესაც დააკვირებოდა გონების თვალთ თავის თავ-გადა-  
 სჯალს, მდგომარეობას და მოაგონებოდა თავისი უზრუნველი,  
 უხადო ვიწვილობა, გიორგისთან გატარებული ნეტარება, დაუთო-  
 ტებოდა, აუჩქროდებოდა გული და დაიწყებდა მწარედ ქვითანს:

— რათა, რა დავამაკე?!.. ნუთუ ის მე მჯობიან და ჩემისთა-  
 ნად კვიარება, რომ მიმტყუილან?!.. რაზე გამოძვრის ეელი?! რისთვის  
 გამაუბედურის მერა და საწყალი დედაც?!... ოო, უსკინადისო! იუდა?!..

— შეილა, რაღა შენი ტირილი და მწუხარება უნდა ჩემს გადა-  
 ლეულსა და ახსრებულს თავს. რა უბედურებაა?!— უთხრა ერთსელ  
 მელანიამ, როდესაც შესწრო მომტირალს თამარს.

— მოტყუებულს, ნამუს-ახდელს, რაღა დამჩნენა, დედა, ტი-  
 რილის მეტი?!— უმანესა თამარმა იმკვარის შესაბრალისის კილო-  
 თი, რომ მელანიას დაუთოტა გულ-ღვიძლი და მოჩთო ამნაც ტი-  
 რილი...



კარგა ხანი იტირეს დედა-შვილთ; ბოლოს მელანა მღვდელის  
 ისეკ გონს და უხასუსხა გულ-მტკივნეულად:—არ მოგესლოდა, შვი-  
 ლო, ეს უბედურება, იცოცხლე, ბედნიერები ვიქნებოდით, კარგი იყო,  
 ახლაც რაღას მოუმატებთ ტირილით?! გამხსნეებს გვმართებს და არა  
 უძღურებს!..

მელანას სიტყვებმა იმოქმედეს თამარზე. ქალი გახუმდა, და-  
 ფიქრდა კარგა ხანს და თითქო უების რამემაო, უნებ შეკრთა, სხ-  
 სე და თვალები ანთო, წამოკარდა ზეზე, მივარდა დედას და დაუ-  
 წყო მხურვალედ კოცნა:—მართალი ხარ, დედა, მართალი! ტირი-  
 ლით ველარას დავიბრუნებ?! ჩვენს ასე შირქვე დამხსნობს, გამათას-  
 სირებულს გადახდა, შურის-ძიება უნდა!..—თითქო თავის სიტყვე-  
 ბისა შეეშინდაო, კანკალი დაიწყო და გააყრუოლა...

— რას ამბობ, შვილო?!— ჭკითხა შეშინებული მელანამ, რა  
 ჭინხა, თამარის ალექილი და სანაშაი სსხე.

— იმას, დედა-ჩემო, რომ არც ის უნდა იყვეს ბედნიერი ჩემს  
 შემდეგ! რა დაგაძვე მისატყუებელი?! ის, რომ მე რუსული ტიტ-  
 ნი არ ვიცი?! რაო მერე, ადამიანი არ ვარ?!. ამ რუსულის მცო-  
 ჳნებობისთანა გრძნობა არ მაქვს?!.— აუმაღლა ხმა თამარმა და მე-  
 ტის მელეკარებისაგან თრთოლა დაიწყო!..

— ჭი!..— ჩაიციხა მწარედ დედა და დაუმტა:— რას უნაბო,  
 შვილო!?. ჩვენ რა ზატრონი გეუოლოდა, ვერ გაბედავდა მგ ს-  
 ქეს; თუ გაბედავდა, იაფად არ დაუფდებოდა, მაგრამ გუნასა ოსერ-  
 ტიელი ქალები, უზატრონისი, ჩაგიგდო ხელში უგონო ბავშვი და  
 თავზე ლაფი. დაგასხა; როგორცა სურს, ისე იქცევა!

— ქალი ვარ?!— მამ ვასაცა სურს, თვე-ქვეშ გამოელს დედა-  
 ჩემო, ჭი?! ხა! ხა! ხა!..— გადისარსარა მწარედ და განაგრძო ალელ-  
 კებულმა:— შეგწირე უოკელივე, რაც კი ჩემს ღირსებას და ემაწილ-  
 ქალობას ამობდა: ჟან-ღონე, ნამუსი, სიცოცხლე, მშობელი, ს-  
 ხლი! მე ადამიანი-ღა ვარ?! ქვა რა მეკოდნა, ვერ გამოტეხდა და  
 ესლა მცირედი უსიამოვნება, ანუ სიამოვნება მაუძღურებს, რაღაც  
 მოაფუნებულ არსებად მქმნის!.. სად არი, სად, ჩემი უმანყო, ანგე-  
 ლოზი, უდანაშაულო არსება? ჩემი გულ-ღვიძლი, ჩემი შვილი?!. რათ  
 არის მოსნობილი დედამიწის ზურგზედ მისი სიცოცხლე, რათ?!





იმან რაღა დააშავა?! რა ბრალა ჰქონდა ჩვენს ცოდვაში?! დედა, ნეტა მე მოგაკალით და იმას კი ეროცხლას!!.—აქ ველარ შვი-  
მაგრძა თაკი და დაიწყო ჭკოთინი. ამას მიჰყვა მელანიაც და კარგა  
სახი ჭკოთინებდნენ ორივენი. ბოლო თამარმა განაგრძო ისევ.

— ის არ შეარჩენდა ამ დანაშაულს, ის!.. არ გაგვიტანა?! მო-  
გატყუა?! გვიღალატა?! უნდა მოეღოს ბოლო იმასაც!..—წააკლო  
სული დედას მელაკში, ჯღონებულის თელეებით, ჯღეწილის სახით  
და თითქო ეძლევა ვისმეს, თითქო ეშინიან, არ დაგვიანხონო, მი-  
იყვანა ოთახის ერთს ვუთხეში და უფრში ჩასძახა:—უნდა გადუხ-  
დოთ, რათაც უნდა დაგვიფხუეს, დედა!?!.

— რათა შევოთავ, დედა გენაცვალეს?!—უნდა მოკითხინოთ,  
შვილო, ღმერთი მოწყალეა, ის გადაუხდის ჩვენს სამაგაეროს!..

— განა ღმერთი ჩვენისთანა ცოდვილთ საქმეში ერევა?! არა,  
არა, დედა-ჩემო! ღმერთს საქმე არა აქვს ჩვენთან!.. იმან ისარგებლა  
ჩემის გამოუცდელის და უხადო გუფით, იმისი გაქნალი ენა მო-  
ქარგული მეგონა, მომაჯადოვა, შატრისანი მეგონა. თუმცა-ღა გვიან,  
მაგრამ ესღა კი ვიგრძენ, რომ საზიზღარი და გაქნალი ყოფილა!  
ტყუილად მამშიადებ, დედა-ჩემო, გადაწყვიტე და უნდა ავასრულო  
კიდევ ჩემი განძრახვა!..

— აბა, რას უხამთ, შვილო, რა შეგვიძლიან?!. იცი, რა ტა-  
ნჯვას და წამება გამოვიარე მას დღეს აქეთიან?! იქამდის გაპორო-  
ტდი, გადვირევი ზირველად, რომ იმ საშიშს მდგომარეობაში იყავი  
და სული შეგასე მე უბედურმა, მაგრამ რა ვუყოთ: ადამიანს ბეკრი  
ფათერაკი სდევს სიკვდილამდე!.. როდი უნდა ავეკეთ ეველას, უნდა  
ავიტანოთ, მოკითხინოთ!—ამშიადებდა მელანია ქალს...

— რას უხამ?! რა შეგიძლიან?!—იმერებდა თამარი და თან  
მწარედ იღიმებოდა დაფიქრებულა. ბოლოს ჰკითხა დედას:—დედა-  
ჩემო, გიყვარვარ თუ არა?!.

— განა კითხვა გინდა, შვილო?!—იყო ზასუსხი.

— კარგი, დედა, კარგი, მახტოვე. ხვალვე უნდა შეკუდგოთ  
საქმეს!..

— როგორ?!.



— უნდა წავიდეთ ბაზარში, შევაკერებინო ერთი ხელბურთი ტანისამოსი და იარაღიც უნდა კივიდოთ.

— რეებს ამბობ, შეილო?! — ჭკითხავდა გონცებუელი მელანია.

— გულანბარაკები, ესე უნდა მოვიქცეთ. თუ არა, დედა არ მიბოკვდება, დღესვე გაკარდები სჭკეუნოდ და არ გინდა, რას გინახი? მოტყუებული ვარ, დედა-ჩემო, და არ შემადღიან დავთმო, რადგან მეტი გზა აღარა მჭკვს და აღარას მოკვლი!.. იმედი ნუ გჭკვს, დედა, რომ მე გიოორგის მეტი გინალო ვინმე ჩემს სინჯონსღეში და, რაკი ის ჩემი არ არის, არც უნდა იეოს ცოცხალი. შერცხვენილი, უბედური, თავსე ლაფ-ღასხმული, მოტყუებული კერ ვიკვლი, კერა და კერა!..

მელანიამ კარგად იგრძნო, რომ წინააღმდეგობა უფრო ხალეულებდა თამარს. იფიქრა, გაუედისო და ჭკითხა:

— კარგი, მაგრამ მაგ ტანისამოსით და იარაღით რა გინდა ჭკინა?!

— გაიგებ, დედა! გვედრები მუსელ-მოდრეკილი, ამისრულთხონა და, რასაც მოვიჭმედებ, მაგას ჭკეუნას შეიტუობს. დეე, იცოდნენ, რომ მოტყუებულთ და ნამუს-ახდილთ გადახდაც იციან!.. ამისრულეებ თხონას თუ არა?! თანხმა ხარ, დედა-ჩემო, რომ სხდაც მე კიეო, იჭტ შენ იეო? თუ შევრცხვე, შენც შერცხვი! თუ მოკვდე, შენც მოკვდი!.. ჩემს შემდეგ მანინ რაღათ გინდა ან რისთვის გინდა სინჯონსღე?! რაღა დავრჩება სასისარულო, რას მოკვლი?!. ორივე მოტყუებულნი ვართ, დედა-ჩემო, და ორიენი უნდა კერადნეთ გადახდას!..

თამარმა კვლარ შეუძლო ბოდმა-მოწოლილს მელეკარებს, ჩაკერა დედას დულში და დაიწყო ჭკითინი... დედამაც კვლარ შეიძარა გაწყალებული გული და ადულდა ისიცა.

## VI

გაკვიდა ოთხ თვედინანდა. თიბათვის მშენიერი დღეები დადგა. ერთ დღეს თავად იოთამ უღანბარაკელის არე-მარეზე შეიჭმნა ლიბქოთი, დილიდგანვე დაიწყო დენა: ეტლებისა, ურმებისა და



ცხენებისა და რთულ-დაკანძმულის ხალხით. ოთხი მხარეულია, ხალხი  
 თქვამდის თუთრად შექმნილი, თითქმის თოვლის ადამიანები არი-  
 ანო, სუთი-ქვესა ღებია ფრეკებითა და თუთრის სელ-თათმანებით  
 სწრაფად მიდი-მოდიოდნენ. ხალხი ბუნებით იროდა. რიგი ასუ-  
 ფრეკებდა კარ-მიდამოს, რიგი მარბენინებდა სამხარეულადი ქვა-  
 ბებს, რიგი ჭურჭელს, რიგი დიდის დოქებით წყალს ეზიდებო-  
 და, რიგი მარბენინებდა სტოლებს და სკამებს. ერთ მხარეს  
 წამოქცნათ ორლოი უშობელი და გაჩქარებით ატყუებდნენ;  
 მეორე მხარეს ატყუებდნენ ცხერებს; ჰსოცდნენ: ქუბებს, ინდო-  
 ურებს და ქათმებს სომ თულა არა ჰქონდა. ერთის სიტყვით,  
 ყველაფერი შეატყობდით მხარულს მოძრ-ობას, რადგან დღეს  
 მოკლდნენ დიდ-ძალ სტუმრებს და მეფე-დედოფას. დიალ, დღეს  
 გასდლათ დანიშნული ჩუენის ჰოდზოლეკონიკას—თავადის გიორგი  
 იოთამის-მის ულახაშვილის ქორწილი და, რა თქმა უნდა, შეძლე-  
 ბულის, ერთად-ერთის წარმატებულის შეიღის ბუნეკრებს იოთამ  
 ულახაშვილისას დიდის სისარულით და სამიკნებით ეკებებოდა  
 ყველა. ზოგი მართლის გულით, როგორც ნათესავისას, ზოგი  
 იმიტომ, რომ კარგ დროს გაკატარებო და ზოგიც იმიტომ, რომ  
 ხალხს კეჩენება, იტყვიან, რომ მეც ადამიანებში ურეკივარო, კარ-  
 გადარ გამოქდები და ქალებსაც დაუთვალეკრებ, თვალს წყალს და-  
 ვაღეინებო. უმაწილი ქალები კიდეც იმიტომ, რომ ეკებ ჩუენც გა-  
 მოგეინდეს ვინმე და გასთხოვდეთო... დაბინდდა, იოთამის სას-  
 ლებში და მიდმოკებუე გაკარვარდა სანათები, ჩალები და ფერად ქა-  
 ლაღდის ფარნები. შორს განსმოდა ხალხის მხარული ჟიგ-ჟიგი და  
 სიცილი, სახინდრისა, ზურნისა, დაირა-ნაღარის ხმა, ქალების კის-  
 კისი.. ერთს ოთახში თავი მოკუარათ: ქაღაღდისა, ხარდისა, დო-  
 მინოს მოთამაშეთა და მწკანუ მუდ-გაღვარულ სტოლსეც გადადიოდ-  
 გადმოდიოდა ასიგნაციები. მეორე ოთახში მოკუარათ თავი მეჭორე  
 ქალებს და გაჭჭინდათ ერთი გასტობუბუ:

— ქა, თითქმის ამბობდნენ, თამარი უკვარს გაცეყებით და იმა-  
 ზე იწერს ჯვარსაო?!—ამბობდა ერთი.

— შენგან არ მიკვირს?!. თამარს როგორ შეიერთავდა?!. კაცი  
 ჰოდზოლეკონიკა, შეძლებული, განათლებული, ახალ-გაზდა, ლამა-



ზი და ვაჟაკი!.. გენატათ, ამბობენ: წელიწადი არ გავა ისე თურმე, რომ არა მიეცეს-რაო!—ამბობდა მურო.

— რას დამგზავსებია, ღმერთო?! დამიანს შეზარამს იმისი სხე!—გაძისხოდა მესამე.

— მართლეს ბძნებთ! ჭკუაზედაც შემცდარაო; ჩაიტყამს ქალა თურმე ჩერქეზულს ტანისამოსს, აისხამს იარაღს, შეკვდებ ცხენზე, დააქროლებს და ხან რას ესკრის ცხენ-და-ცხენ ლეკოლურს, ხან რას!?!..—ამბობდა მუროსე.

— მართლდა, თქვენმა მსემ. იმდღეს ჩემს შვილს ენახა. მითა ში გახლდებოდათ ღაღების ასაწერად და, ამითი გენახის ორდობეები რომ არის, იქ თურმე ერთს ვაწრო ბილიკზე ეყენა ცხენი. სხე აღანძოდა სსშინლად, თმა გასწეწოდა. უცებ თურმე აუგრიფხ სადაკე ცხენს, შემოჭკრა ქუსლი, გააქანა გზაზე, შეაყენა სწრაფად და გაისროლა ორჯედ-სამჯურ. მერე მივიდა ისევე წინანდელს ადგილს, გაახერა ცხენი, იდგა კარგა ხანს დაფიქრებული, მერე უცებ გამიასტურნა კიდევ ცხენი თურმე და გაისროლა და გაისროლა თურმე ლეკოლური, ასე თუნდა ათჯერ თურმე გაიმეორა. ბოლოს გააჭროლა ცხენი და მივიდა შინა. ჭკვირობდა ჩემი შვილი! მოგესხენებათ, კარგათა ზის ცხენზე და მართლა კაი მსედარიც გახლავთ, მაგრამ ჭუიტაკად: მე გამიჭირდება ისე მარდათ ცხენისა და იარაღის ხმარებაო. ისეთი ენახებოდა, რომ რაღა მოგახსენათ!? რა კარგი ქალი იქნება, რა კერე არ იყოსო!..—დაურთავდა მესუთე.

— ხუმრობა ხომ არ გახლამთ?! აბა, იფიქრეთ, რა დამართათ?! რა ბედნიერება დაჭკარვა?! წარჩინებულნი, ღამისი, ვაჟაკი ემაწვილი კაცი, შეძლებული და საკუთარი ოჯახი!..—ამბობდა მეექვსე.

— ვისი ბრალდა, მერე?!.. ბევრი თურმე უმაღლა გიორგიმ, ნუ მარცხევენ, კერე ნუ იჭრევიო, მაგრამ არ დამალა თავისი გარყვინალება და თავი მანება ემაწვილმაცა. მარა, უნამუსოს ხომ არ შემოიყენდა სხელში და თავზე ღაფს არ დაისხამდა?!—დასძენდა მეშვიდე და მრავალს ამკარს მითქმა-მოთქმის სამსლვარი არა ჭჭონდა.

დარბაზში კი შეყრილიყვნენ უფრო დროს გამტარებულნი ქალბნა, თამაშობდნენ, ხუმრობდნენ, სინარულითა და სინცოცხლით აგსებდნენ არე-მარეს. აივანზე იყვნენ მრავალი ახალ-გაზდანი, დარბაი-



სული ემაწილები და აწეობდნენ რიგს, ემსადებოდნენ «ნეფე-დედოფალის» მისაგებებლად...

ამ დროს სოფელ მ... დიდს ორღობებში გამტრისანი თვალი შესამჩნევად სასოფლო და ვენახების შესავალს ერთ-ერთს ბილიკზე ორს ჩრდილს ცხენებისას. მოისმა მყრორინის სიმღერა, ყიყინა, თოფისა და რეკოლეკრების ხათქა-ხეთქი. აგერ გამოჩნდა შირველი ეტლიც, რომელშიაც ისხდნენ: მეფე-დედოფალი უზრუნველს და მეტად მხიარულის სახითა... წინ, სკამეიკაზე, იჯდა სამხედრო ტანისამოსში ღამაზად გამოწყობილი, სრულის საზარადო ფორმით, გულზე გამწვრივებულის ჯვრებ-მენდლებით, ასოვანი, ღამაზი, თეთრ-წითური ემაწილი შოლეკონიკი, თეთრის ხელთათმანებით და ყვავილებით გულ-მოკირწყეული. ეს გახლდათ გიორგის მეგობარი, ამხანაგი და მეგობარი... ეტლმა მოატანა ორღობის ბეულში შეუმჩნეველ ჩრდილთ. ერთმა მათ შორის, რომელიც იდგა წინ, შეჭქმნა მსწრაფლი მოძრაობა. ამდროს ეტლის ფარნის შუქიც შაადგა ცხენოსნებს. ერთი ამათგანი იყო: მალაღი, გამხდარი, ძალზე ფერმისდილი, კარგად გაწყობილის ჩერქეზულის ტანისამოსით, იარაღში ჩამჯდარი ასაღ-გაზდა ემაწილი კაცი, რომელსაც ემჩნეოდა საშინელი დეკვა. მის გულის ძვა-ძეგს შორს გაიგონებდა ყურმისილი ადამიანი. მეორე იყო გულის ტანისამოსით, მალაღი, გამხდარი, ფერ-მერთალი, სასუ-დამხტული, გეგონებოდათ ქოსააო. ეტლი მოუახლოვდა ასაღგაზდა მხედარს. ამხანაგ აუერიოფა სადავე ცხენს და შურდულოვით გავარდა გზაზე, იმას მიჭყვა ქოსა მხედარიც. ესენი დაუმხარდამხარდნენ ეტლს; ასაღგაზდა მხედარმა ანთებულის თვალებით გადაჭქმნა ნეფე-დედოფალს ეტლში; ამით დანახავად მხედარი გააფრეოლა, ანთო სასუ, აკანკალდა. გიორგიმ უნებ თვალი მოჭკრა, დანახა სასუ, იცნო, შეჭკრთა, წაფრანის ფერმა გადაჭკრა, რადგან კარგად ამოავითხა ამ ნაწილს სასუში რაღაც საშინელი გადაწყვეტილება. დაალო შირი, უნდა დაუვირხა, მეგრამ გაისმა ნაზი და მთრთოლარე ხმა: «ადამიანი მხელადა სთიობს უსამართლო მოტყუებას და ნამუსის შეგინებას!». ამ მოტყუებთან გაისმა ხმა რეკოლეკრისა ერთი, ორი, სამი, ოთხი, ზედი-ზედ. ნასკამს მყრორინს, რა შეესმა რეკორველის ხმა, თავანთთავანი ეგონათ და შეიჭნა ყიყი-



ნა, თოფებისა, რეკორდებისა და დამახების სროლა. დედოფლისა  
 ნახი კაცილი სრულად შეუმხველი შეიქმნა და მეჭვარეს შვედნი  
 ჭალა დაეცა გულზე. მეჭვარე შეკრთა, დაიბნა და კერ მიმხვედარიყო,  
 რას ჭინისაჲდა ეს ამბავი. ასწია ჭალს, მაგრამ მოშვებული იყო...  
 ეს სტენა ისე უნებ და შეუმხველად მოჭხდა, რომ მეჭვარე, რომე-  
 ლიც ეტლში იჯდა, მისინ მოვიდა გონს, როდესაც მეჭვარე ჭალი  
 მისაგებას ეტლში და შესძახა გიორგის: „Георгій, что съ тобой, не  
 видишь какое несчастье?!“ ... მაგრამ გიორგი უძრავად იყო... დააყუ-  
 ნებინა ეტლი და შექმნა ღრიალი: „Господа, несчастье, помогите!“.  
 მოსტევიდა ხალხი. მეეტლემ ფარნები მიატრიალა და იმ შეჭვარედ დაი-  
 ნახეს შემდეგი შემადრწუნებელი სურათი: გიორგი მისკენებული იყო  
 ეტლში, გაუვითლებული, თვალებ-გადმოკარგული, პირ-დაღებული;  
 საცოდავს ერთს მტკაველზე ენა წამოგდო, ნიაღვრებით სდიოდა  
 სისხლი, რადგან შიგ პირში მოჭხვედროდა ტყვია და შესაწარი სანა-  
 ხავი იყო!... ჭალს მარჯვენა ძეძუსე ჭქონდა მოხვედრალი ტყვია.  
 ეს დედაკაცი იყო ხნით ოც და ერთის-ორის წლისა, ძალი, სუს-  
 ტი; ღურჭვი ვუჭუნა თვალები ოდნავ გასულილი ჭქონდა; მუჭა წაბ-  
 ლის ფერი თმა მეტად ღამისს იერსა სდებდა ჭალს! შემკრთალი  
 სახე ჭქონდა, ოდნავ ბაგე-გაპობილი, რომლიდანაც გამოსჴვივდა  
 მძივივით თეთრი კბილები, მიჯრით მიწეობილი, ტუნებუ დაღურ-  
 ჟებოდა. ჭალის სახე თითქო ამას ამბობდა: «თქვე უსამართლონო,  
 მე რა დაგიშვეთ?! ჯერ ხომ არც კი მიცხოვრია და რას შემართე-  
 ბოდიითო?!» ამ სანახავმა თავზარი დასცა ყველას. ყველანი განუძ-  
 ნენ, გაწამდნენ, თითქო ადამიან-პირუტყეებისად უსულო ანდრიატ-  
 ნი არიანო. კარგა ხანს იყო ეს ამოღენა ხალხი გამტერებული!...  
 ამ დროს ორმა ცხენოსანმა კი ხალხის შეუმხველად გაიარეს კენ-  
 სების გაწრო ნანლობი ბილიკები, საჩქაროდ მივიდნენ მეღანას გა-  
 რებსზე, გადმოხტნენ ცხენებიდან, შეიყვანეს თავლასში; ხატარა ხანს  
 შემდეგ შევიდნენ სასლში, გაიხადეს გაცურვი ტანისამოსი და შეი-  
 მოსნენ ქალღმრის ტანისამოსითა. რასაკვირველია, მისვდებოდით,  
 რომ ეს ორნი იყვნენ დედა-შვილი—მეღანა და თამარი!...

— ხომ არაინ შეგუამნია, შვილო?!—ჭკითხა დედამ ჭალს,  
 რომელსაც ყვითელი ზარნაშოს ფერი ედო და ძლივს-ღა ჭქმინავდა  
 აღუჯვებული.



— არა მგონია, არა!... საჭმე, როგორც მინდოდა, ისე  
და!.. — უზარულად აჩქარებით და ურყედ არეულმა თამარმა და წავიდა  
ღრმა ფიქრებში.

ღიაღ, თამარი, იმ დღიდან, რა დღესაც შეესმა, გიორგი და-  
ინიშნაო, რა დღესაც გაშეშდა და ცოტას გაწედა ჭკუასკედ არ შე-  
სცდა, კვლავ მობრუნდა რიგიანად, აღარ იყო სრულს ჭკუასკე, რა-  
დგან მეტად მოჭლალა და მოჭქანდა დიდმა ფიქრმა და ნადევლმა.  
როცა ტირილითა და ქუხილით კვლავ გააწეო-რა, სხვა ღონეს მი-  
ჭმართა და აზრად მოუვიდა, სამაგერო მიუწეო ჩემს დამღუპველ-  
საო. ბეერი იბრძოლა, ბეერი იღონა და ბოლოს გადასწვიტა, ბო-  
ლო მოკლო ნამუსის შემგინებელისათვის. იმ დღიდან, რა დღესაც  
დედასა სთხოვა, შენც ჩემი თანაზიარი იყავ, და სადაც მე ვიყო,  
იქ შენცაო, ღუდა დაითანახმა, ტანისამოსი და იარაღი შეიძინა და  
ყოველ ცისმარეს დღეს — სრული ოთხი თვე — გარჯიშობდა იარაღი-  
სა, გაუურის ტანისამოსისა და ცხენის სმარებაში. რამდენი ხანიც  
გაღიოდა, იმდენი ძვალსა და რბილში უკვდებოდა გადასდა და სულ-  
სწრაფობით მოკლოდა ქორწილის დღეს, რომ აქსრულებინა თავი-  
სი განძობსკა. მართლაც, ამ ხნის განმავლობაში ჩინებულად შექვია  
იარაღისა, ცხენისა და ტანისამოსის სმარებას. მოვიდა დროც და  
ჩაუსაფრდა ორდობის ვიწროებში. გადაწვიტაღი ქქონდა, მოკვლა  
გიორგი. ასე ქქონდა ღრმად გადაწვიტაღი და თუ ვერ მიასერსე-  
ბდა გიორგის მოკვლასა თვითონ უნდა მოკვლა თავი მეფაოან-მა-  
ყრიონის წინაშე. ეს უგანასკნელი აზრი დედისთვის არ უთქვამს,  
რადგან კარგად იცოდა, მელანია ამის ნებას არ მისცემდა და არც უნ-  
დოდა საუკრელი დედისათვის ეწეინებინა, იმ დედისათვის, რომელ-  
მაც თავი შესწირა. თამარმა შესწრულა გაყ-კაცურად თავისი წადილი,  
როგორც უკვე ვიცით, ისე უოხილად და მოსერსებით, რომ მე-სოარ-  
ციელს არ შეუმჩნევია, ან რას შეამჩნევდა იმდენი აჩუელი, ნასკამი  
და მხარული ხალხი?! ვინ მოიფიქრებდა, რომ შეძლებულს, წარჩინე-  
ბულს თავადს, გიორგი ყლანაშვილს, რომელსაც სულ სამი წელი-  
წადი არ უცხოვრია თავის მამის ჭერ-ქვეშ, ყოვლებოდა მტერი და  
ისიც იმისთანა, რომელიც ახლად დაგვირგვინებულს ცოლითურთ  
ტყუიით მოუღებდა ბოლოს?! ეს გარემოება მეტად მოულოდნელი



იყო. თამარმა, რაკი ხახხ თავისი მსხვერპლნი, შეკრთა, შეკრწუნდა და წავადა შინ. ისე იყო იმ უამად გარინდელი და დახსენი, რომ ხახხს ჰგონებოდა. შატრას ხახხ უგან, სახლში მოსვლის შემდეგ, გამოეკეკა; მაგრამ ისეკ მალე წავიდა ფაქრბეში. ერთლში დახსენილთა სურათი წარმოუდგა თვალ-წინ, აიტანა შიშის ზარმა და თრთოლამ. გავიდა საჩქაროდ თავის ოთახში, გაინადა ტანთ და დაწვა ლოგინში, რადგან შეტად ცუდად იგრძნო თავი, იფიქრა დაშემნება და გაიფლისო; მისცა ძილს თავი მაგრამ ძილი არ მოსდიოდა. რადგან სამძიმე დაწვა გულზე და მოსკენებს არ აძლევდა. ბეერი იტრიალა, იბორჯა და როდესაც მოიქანდა, წავიდა ბურანში, მაგრამ მოელანდა გიორგი თავის მოხდენილის ტანისმოსით. ქალი შეჭერთა, თვალები გახილა, მაგრამ საბანი წაისურა, თითქო ეძლეება ვისმესა და არ უნდა მისი დახახვაო. მოხიკნება თავს არ ანებებდა. მოვიდა ახლო, დაუწყო კონან და ეურში ჩასხურნულა ტუბილად: ჩემო მშვენიერო თამარ! რა კარგი რამ ხარ?! ჩემო ტურფა, მიყვარხარ და უნდა ცოლად შევიერთო!... თამარი შესთოთა ამ ტუბილმა ხმამ და ჩურჩულმა. გულმა მალზე დაუწყო ცემა, მარდებში სისხლი მსწრაფლად გაუქანდა-გამოუქანდა!.. ქალმა შექნა სელეზის ქნება, თითქო იგრებს ვისმეო და ჩაილაპარაკა:—მომშორდი, მატყუებ, გამიშვი!.. გიორგი თავს არ ანებებდა, ქალი წამოვიარდა რეზე, მიიხედ-მოიხედა აქეთ-იქით, მოკირიფა გონება, დაფიქრდა. თავმა და ეურებმა ყრიალი დაუწვეს, აისედა მალა და მიჩქრდა ერთ ადგილს. აი, წარმოუდგა თვალ-წინ გიორგი, გაყვითლებული, თვალბ-ჩანციერული, ზირ-დაღებული, რომელსაც ნაღვარით სისხლი სდიოდა, წვერი და მშვენიერი საგვირგვინო ტანისმოსო წითლად შექლებოდა. წარმოუდგა ამასთან ხაზი ქალი, გაფითრებული, ოდნავ თვალბ-ახელილი და ბაკე-განზობილი. თამარს მოესმა ხაზი მისურტებული ხმა: «მე რა დავიშაკე, რას მერჩოდი!» თამარმა თვალბი დახსენა, არ უნდოდა ეს სურათი დაენახა. ეურებში თითები დაიცო, აღარ გაევიო ქალის საყუდურიო, მაგრამ ამაოდ. ისეკ ის შესახარი სურათი, ისეკ ის ხაზი ხმა საყუდურისა. შატრას ხახხ შემდეგ წამოვიდა გიორგი, ზირ-დაღებული, ენა გადმოკდებული, სისხლში მოთხუნული—თამარისკენ. აი მოვიდა, დაუწ-



ყო ცქერა. თამარის მოქანტულმა გონებამ და ნატანჟმა სხეულმა კვლარ ზიტანს ეს საშინელება, ეს ღანდი და მოხუკება და უვირალია:—«გამიშვი, არ მინდა, გამიშვი!» ქალის ყვირილზედ შემოკარდა მელანა, შეჭხუდა თამარს, რომელსაც მოეხუჭა თვალები, სახე დაჭმრანსკოდა შესასწარად და თავ-ჩაღუნული ხელებს იჭქედა, თითქო იგერებს ვისმეო.

— თამარ, შვილო! რა დაგმართვიან?! რას ჩადისარ?!— ჭკითხა შემინებულმა მელანამ მზრუნველობით.

თამარმა გაიგონა თუ არა თავისი სახელი, შეჭკიკულა სასწარლად და წამოკარდა ზეზე.— გამიშვი-მეთქი, მოტყუებო!.. შენ კიდეც ცოცხალი ხარ?!— და დასტერდა დედას. ჩამოკარდა თავ-ხარ-დამცემა დედილი.

მელანა ზიტანს შიშის ზარმა, ქალის დასტურებულმა ცქერამ.

— შვილო, თამარ! ნუ მიფურბე ეგრე; რამ გამოგასტერა?! დამიშვიდე, დედა გენატყალას. ხომ შეისრულე გულის წადილი, სხვა რაღა გინდა?!

თამარს თითქო არ ეყურებოდა დედის ღაზარაკი, ხმას არ იღებდა და სულელურის სახის მეტყველებით შესტყეროდა უძრავად. უნებ, თითქო დანახა რამეო:— დედა, დედა! აგერ ჩვენი გიორგი, მადლა, ხელს მიჭნეს. მამეცი ჩემი თეთრი ტანისამოსი, უნდა ჩავიცვა და წავიდე ჩქარა. და დაიწყო რაღაც ნაირი ხარხარი. ადარ მოუნდა დედას, ან ეხასუნს რამე, ან მართლად მიეტანა ტანისამოსი. მელანა შესტყეროდა გაოცებული თავის შიშ-მშო ერთადერთს ქალს და კარგად ჭხუდა, რომ რაღაც ემართება. თამარი მიკარდა გამოდს, გამოსწია უფრო, ამოიღო თეთრი ფარხის კაბა, შირის-ფერისა და ცის-ფერის ხაკრდით მოართული. ჩაიცვა ისე სწრაფად, რომ ადამიანი თვალს ვერ მოასწრებდა მის მოძრაობას. მიკარდა მარდად სარკე-საკარცხელს და დაიწყო თავის ბარცხნა.

— შვილო თამარ, გენატყალას დედა! ახა, დაფიქრდი, რას სჩადისარ?! სად უნდა წახვიდე?! გინდა დაღუბო შენი თავი?! დამიშვიდე, შვილო, ნუ მისწორებ მიწასთან! შემობრალე, დიერთი არა გწამთ, თქვე უღვთოებო?!— კვლარ განაგრძო სიტყვა განწირულმა დედამ, რადგან თამარმა მოიხუდა უნებ მისკენ თმა-გაწევილი, შუ-



ნათა სკიპრესავით ანთებულა უმანკო თვალები და დაშტურებულა უწყო ტქერა.

— ჰა, რას ამბობ, დედა?!

— ესლად დრო არ არის წასვლისა-მეთქი, შვილო, აბა რას გეხსენარ?! სად უნდა წახვიდე, სად არის გიორგი?!. დაგავიწყდა, რაც მოიქმედა!.. ვისთან უნდა წახვიდე?!

— მოტყუებულა ხარ, მოტყუებულა!.. სსუ... არავის უთხრა!.. — გადისარსარს სულელურად თამარმა და დაატყუერდა მელანისა.

— რა, შვილო, ვის რა უნდა უთხრა?! — ჰკითხა მელანამ და დაიწყო მწარედ ტირილი, რადგან კარგად იგრძნო, რომ თამარი ამ ქვეყნისა ღარ იყო. თან განზგროდ მწარედ დაფიქრებულმა: — ოოხ, გიორგი! წაწედი, წაწედი ჩემის ცოდვით... ადრე და ძალე იყავ სასიკვდილე ჩემის ხელით. რაღა კქნა და რაღა წყლს მივეცი?! — ჰგმინავდა საწვალა დედა სასოწარკვეთილი. თამარი კარგა ხანს იყო ასე. ბოლოს წყნარად, თითქო ეპარება ვისმეო, მივიდა დედასთან, დადგა თავს და დაშტურდა ამკვრეულის თვალებით.

— რა გვარად მიეუბრება, შვილო!.. გაინახე, გენაცვა, ტანთ, დაწქი, დავიძინოთ, ავათა ხარ, შენი ჭირამე, შვილო!..

— მოტყუებულა, მოტყუებულა!.. ხა! ხა! ხა! ხა!.. — გადისარსარს და მიუთითა ერთს ადგილზედა. — გესმის?! მეძახის: ჩემო მშენიერო თამარო!.. — აქ თამარი უცებ განუძა, თითქო თავში ჩაჭკრეს და ძალით ჩააკმენდინეს ხმაო. დაფიქრდა, დაიწყო სელების შლა, თითქო იგონებს რისმეო. ბოლოს შესძახა დედას:

— შენ გინდა კიდეუ მამატყვილო განა?! — ჩაავლო სელი მელანკში. მელანამ შეტყვილა და შიშისაგან წნორის ფურცლეავით დაიწყო განკალი. დედის კავილზე თამარიც შეკრთა, გადასტა უკან, თითქო უგბინა რამეძაო და დაფიქრდა კიდეუ... შესაზარი და შესაბრალისი სახასხანი იყენენ ამ დროს დედა-შვილი: თამარი თეთრის ტანისამოსით თმა-გაწეწილი, თვალე-გაკარვარებული, თითქო საკირე უნთია თვალეშიო, სახე საცოდავად დამანჭული, გამხმარი, გამშრალი, მთრთოლვარე!.. თამარის სახე უფრო საშიში შეიქმნა...

— მოტყუებულა, მოტყუებულა!.. — დაიწყო თამარმა წივილი, კისკისი და გავარდა კარედ. მელანია თმის სოკვით და განწირულის ღრიალით დაედეგა უკან:

— მიშველეთ, ქრისტიანებო, თამარ ჭკუასე შემიცდა!..

ეს მოხდა სწორედ იმ დროს, როდესაც იოთამ ულახაშვილის სახლში, ლხინის მაგივრად, ტირილი და თავში ტემი იდგა. დიად, კარგა ხანი იყო თავ-სარ-დაცემული მყრიონი და, როდესაც მოვიდნენ გონს, შექნეს ღრიალი: «ვინ იყო?! რა უბედურებაა ეს?! ვისმა ბოროტმა მარჯვენამ მოუღო ბოლო ჩვენს ლხინს და ქვიშასა? აქეთ ეცნენ, აქით ეცნენ, მაგრამ გერც თავი გაიგეს ამ საჭმისა და გერც ბოლო. ამით მიეძატნენ ორმოცი ცხენოსანი და ოთხ-სა-სუთი ეტლი მიმტებებლნი, რომელთაც დასწვლათ წელები. ბეკრი იტეს თავში, მაგრამ გერც უშეკლეს-რა და ორთლი ცსკლარი მიავუნეს მოსურც იოთამს და იმის მუღლუე მარამს. მიმინდვია მკითხველისთვის გამოცნობა იმისი, რაც დღე დადგებოდათ მოსურცს მშობლებს. შეილის ამგვარმა ამბებმა თავ-სარი დასტა ორივეს და იქვე ადგილობრივ ჩაინაქეს გულ-შემოყრილი!.. შემოკრებილ სტუმართაც ეწეინათ საშინლად. გულთი გამსიარულებას აზარობდნენ და გლოვად კი გადაქცათ იმედი სიამოვნებისა. წითელ-ყვითლების მაგივრად შავად შეიმოსნენ. სახანდრების ადგილი დარჩათ მღვდელ-დაიკვნებს. გათენება იყო სწორედ, რომ დაიძახეს, თამარ ულახა-შვილის ასული ჭკუასედ შემცდარა!..

— საწყლს, ძლიერ არა ჭყვარება! — ამბობდნენ ერთნი.

— რა ხუმრობაა, ქალის საუკუნოდ დაღუპვა?! — ამბობდნენ მეორენი.

ამგვარად ბეკრს რასმე ამბობდა ხალხი: ზოგნი აზრლებდნენ, თამარს ცოდვით მოუვიდაო, ზოგნი ნათესაობის შერეუვას აზრლებდნენ. ხალხის უთავბოლო განგაშს დასასრული არა ჭქონდა.

მესამე დღეს მიჭქონდათ ახლად დაკვირკვიებულნი ცსკლარნი ეკლესიაში დიდის ზარითა და გლოვით. მოსურცბული მშობლები ძლიერ მიჭყვანდათ მელაგებში ამომსნდარ ნათესავებს. ამთი მწუსარება ჭასა და ხესაც კი ცრემლს მოჭკვრიდა. აუარებელი ხალხი მისდევდა ორს კუბოს. მათ შორის იყო თამარიც, რომლის თეთრი ტანისამოსი, გაწეწილი თმა და საკიერესავით აგზნებული უგონო თვალები აშინებდა მყურებულთ. როდესაც მარამი შეჭბლავლებდა: «შვილო, გიორგი, ვისმა შეჩვენებულმა მარჯვენამ მოვიღო



ბოლო, გენაცვალეს შენი მოხუცი დედაო, თამარი, თითქმის აძლეესო, გადიკასკასებდა და გაიძახოდა: ამოტყუებული, მოტყუებული!..

— ძლიერს ჰქონია გვერდებში გამოქვადარი, ძმაო!.. — ამბობდნენ ერთნი. მეორენი კი დასტინოდნენ და ათას გვარს ადამიანის დამინარებელს ცილსა სწამებდნენ. ზოგნი კი რხუნჯობდნენ.

— არ განდა აძლამ შენს სახელში იწვეს?! — ეკითხებოდა ერთი მეორეს უცუნურის სიცილით და უცუნურის რხუნჯობით.

— ნუ გამოუღიოს თქვენს რჯასს მაცისთანა ქალ-რძალი. — უბასუხა მეორემ.

— თქვენ, შეილო, სუმრობთ, მაგრამ მაცისი კაბის ფასი რაჟელ გვათამაშებდა ასონას, ან გამოგვათრობდა ერთი-ორჯელ დასათანად. ვინ ჩაატვა იმ მამა რხრის ტიელმა?! — ამბობდა ერთი ქალაღდასა და ბასუსის დადაღ თავყანასმცემელი.

შეიტანეს ცხედარი ეკლესიაში, შექვვა ხალხიც. შევიდა თამარი, არ უშეებდნენ, მაგრამ გერავინ დაიჭირა და მივიდა ისიც. განურდა ერთ ადგილს დაფიქრებული. ხან იღიმებოდა, ხან ჩაიკისკისებდა, ხან ჩუმად წაბუტბუტებდა: ამოტყუებული, მოტყუებული!.. ხან აუმაღლებდა ხმას. მღვდელმა სთხოვა სასოგადობას, გაეყვანათ სულით-ავადმოყოფი გარედ. მივიდა ერთი დაზნასიკელი გენიანა. თუმიც უშინოდა, მაგრამ მანც გაბედავით წაიკლა ხელი: თამარი, აქ წამო რა გითხრან!.. თან ეწეოდა თავისკენ, ვითომ ცდილობდა, უნდოდა გაეყვანა, მაგრამ თამარი თითქო დაღუფსმულია და გერავს გრძნობსო, იდგა უძრავად. დაზნასიკელი გენიანა მიწოდდა ურში და ჩასჩურჩულა: გეორგიმ შენთან სიტყვა დამხარა, წამო გითხრან!.. გეორგის ხსენებასედ თამარი შეკრთა, შეირყა, შეჭკვილდა და დამოთხალ შეკლივით გადასტა განსე. მანწყდა იტკე მდგომ ქალებს, ქალები გადაცვიდნენ აქეთ-იქით და შეჭკვნეს წივილი-კვილი. თამარმა კი, თითქო ძილისაგან გამოფხინდებოდა, მიადო ტუნსედ რთხი თითი: «სუ... სუ... გეორგის ქორწილია!..» ჩაიღანაჩაკა ჩუმად და დაიხლანა, თითქო საშინელმა ტკივალებმა დაურეს სხეულშია. აუკეს ანდერძი მღვდლებმა მაცვალებული. წარმოსთქვეს გრძნობით სავსე სიტყვებიცა. აგრედვე წარმოსთქვეს

გიორგის ამხანაგებმა. სსკათა შორის, ერთმა, გიორგის  
 ნაგმა თავისი ვრცელი სიტყვა დაბოლავ ასე: «ასე უნდა  
 რომ არ მოეღო ბოლო ბორბოტ-გამზრასკულს განსკენებულისათვის,  
 კარგი მომავალი მოელოდა, რადგან სულ უმაწვილი, ახალ-გაზდა  
 კაცი იყო. ბერს სარკებლობას მოუტანდა მთავრობასაცა და თავის  
 სამშობლო ქვეყანასაცა. ამიტომ ერთი უძვირფასესი მამულის-  
 შვილი დაჭკარვა საქართველოშია მოსურნი მწესნარენი ძლივს მო-  
 შორეს ცხედართ. გამოსკენეს კუბონი გარედ, სამარესთან. ძველდუ-  
 ბა შეუდგენენ ზეთის კურთხვას. აქ მოხდა საშინელი ამბავი: თამა-  
 რი, რომელიც იდგა კელესაში, დარბაისელის კნენის ჩურჩულის  
 შემდეგ, როდესაც მოსურებულები ესაღმებოდნენ მიტკალებულებს  
 და შეიქნა საერთო ქეთინი, თითქო გამოიკვამო, აათვლიერ-ჩა-  
 თვლიერა ხაღხი, თავისი თავი, შერცხვა საშინლად, რადგან უკ-  
 ლას თითქმის შუკები ეცვათ და ის კი თეთრის ფარხის კაბით იდგა  
 თმა-გაწვილი. თმა გაიწორა, ახედა ძაღლს, მათვლიერ-მოათვა-  
 ლიერა იქაურობა და ხასა, რომ გაკრეფილიყუნენ ეგელანი; კელესა-  
 ში დაჩენილიყო მხოლოდ რამდენიმე დიაკანი, რომელნიც ღამა-  
 რაკობდნენ:

— ეტყობა, სუქანი ძეკვარია!—სთქვა ერთმა.

— თითო მანეთი გვერდზე გდაია!—ისუძრა მეორემ.

— არა, ეს უბედური რაღას აკეთებს აქა, რატომ არ მიდის?!—  
 დაურთო ისევ პირველმა.

ამ ხამამ და სიტყვებმა სრულიად გამოარკვია თამარი, ახედა  
 ძაღლს, დასტერდა სატებს, დაერა მუხლის თავით, დაიწყო ქე-  
 თინი და სასოებით პირჯვრის წერა. რამდენჯერმე მუხლი მოიყარა,  
 ემთხვია დედიმიწას.

— ბიჭო, თითქო გიყვარ?! ეს კარვა სასოებით ღოცრულობს  
 და იქრს პირჯვარს! სარფის გიყა იქნება!..—სთქვა პირველმა  
 დიაკანმა. თამარი შეკერთო დიაკნის წინ-დაუსუნდაკმა ღამარაკმა,  
 წამოკარდა ზეზე, დაიკრიფა გულ-სელი და გავიდა საჩქაროდ გა-  
 რედ. დაინახა ერთ ადგილას შეკრუთული ხაღხი, ეს იყო სასოე-  
 ლაო, სადაც უნდა ჩაკსკენებინათ საუკუნოდ გიორგი, თამარის სა-  
 უყარული კაცი, და მიაშურა იქით. გადმოუდგნენ წინ ზოგაერთნი:  
 «სად მოსვალ, შე უბედურო, აქ რა გინდა?!»-ო.



— გამაშეთ! — შეუტია თამარმა გულ-სულ დაკრეფილი და მისი თვალები წიკნილია. — მინდა ვნახო ჩემი გამაშობელი გიორგი!.. მეკვარს სომეხებს არ დავიწერ და რისა გეშინიათ?! მინდა გამოვეთხოვო!.. — ხალხი გაცნადა, მაგრამ მაინც არ ამდგენენ ნებს მისუფიერ მიტაცებულს.

— თქვე უღვთობო, — დაიწყო ტირილით თამარმა, — მინდა ვნახო ჩემი გიორგი, თქვენ რა?! რათ მიშლით, რათ?! — შეჭბღვლა მან საცლად.

ისეთის საშინელის ხმით სთქვა ეს თამარმა, რომ ხალხი შეძრწუნდა, შეებრალოთ და ჩამოეცალნენ. სახე-გაფითრებული, გულ-სულ დაკრეფილი, მივიდა მიტაცებულს. თვალებზე დასა-ღუპით ჩამოსდიოდა წრემლები. ის-იყო მღვდლებსაც გაათავისუფლეს. მიაყარა უფროსმა ერთი მუჭა მიწა და უთხრა მეკვარს, ჩაუშეთო. ასწიეს კუბო, რომ ჩაეშვათ სამარში.

— ვთხოვთ, პატარა ხანს მომითინოთ!.. — შეკვიდრა თამარი ისეთის ბეჩავისა და შესაწყლელის სმიითა და ხანით, რომ ეველამ თვისდა უნებურად დაუშვეს ცხედარნი და დაატყდნენ თამარს, რომელიც მივიდა წინარად, დაიბოჭა და გადახვია ძველი კუბოს. ამ მოქმედებამ ხალხი გააშტურა, თითქმის სუნთქვაც შეეკრა!.. სიერ არ იბრუნდა, ჰიერი შედგა, შეკრებდა, თითქმის ქალის მღვდლობას თანაუგრძობს და უმეტესა წარა უნდა მისცესო. გახსმა თამარის მეათეო ხმა, რომელიც ელექტრონიკით მოვლო ხალხს, დაურბინა სხეულში და ეველამ მართო ჩემი, ყოველ ქვითანი: დიდმა პატარამ, ქალმა თუ კანმა. ასე გასინჯეთ, მღვდელ-დაიკანთაც კი მოადგათ თვლებზედ წრემლი!.. თამარი კი მოსთქვამდა:

— გიორგი, ჩემო სინოცხლე!.. ჩემო სათაყვანებლო, ჩემო მეფე... რად მოვლე ბოლო ასე აღრე და მალე ჩვენს წმინდა სიყვარულს?! შე უსამართლო, თუ კი ჩემზედ ძრავლ გიყვარდა ეგ უბედური ქალი და მე შენი ღირსი არ ვიყავ, რაღათ მატყუებდი?! რათ მომხიბლე?! რათ წამართვა უზრუნველა და უზაღო გული?! რათ ისარგებლე ჩემის გამოუცდელით?! რად დამახსნი თავზედ ლაფი და გამხადე ქვეყნის საყაყნო, საჭოროა?!.. სად არის ჩემი პატარა გულ-ღვიძლი?! რათ არის მიწაში?! რატომ არ იცოდი,



რომ მეც ადამიანი ვიყავ, გული მომიკიდოდა?! არ იცოდა, მერც კი-  
 ლი მქონდა და, რითაც იქნებოდა, გადაგისდიოდა?!? შე უბედურა  
 გგონა ქალია და კერძს გაჭებდავსო?!.. ამბობდი განა?!.. მოტყუ-  
 ვდი, ჩემო კარგო, ისე როგორც შე მოკრძეული შენში!.. გადაგო-  
 ხადე და შენი გულით სავარელიც თან გამოგადევნე!.. დეე, იცნო-  
 რეთ, იიქ, სიჭიოს, ბედნიერად, მაგრამ იცოდა, თავს არ დავანე-  
 ბებ, მერც მალე მოგეწევი და, სარც წასვალ, მეც იქ ვაქნები!.. არ იცი,  
 უშენოდ ცხოვრება არ შეიძლება?!... მანძილის კი შევედრებო ყო-  
 ვლად მოწყალე უფალს, რომ განატიოს ჩემი და სწავლ დედი-ჩემის  
 გაუბედურება. შე ვიდე შენ... არა, არა! შე შენთან დანაშაული არა  
 მაქვს!.. შენთან კი არა, ჩემს მეტოქესთან, რომელსაც ჩემთან არა-  
 ვითარი დანაშაული არა ჰქონდა, მაგრამ ჩემმა უფარ-გადასასდელმა  
 ტყვიამ ჩემდა უნებურად შენთან ერთად მაგასაც მოუღო ბოლო!..  
 რათ ჩამეყენე ცოდვაში, რათ მამკვლევიანე ეც საზრდალო?!

თამარი გადაეკლო გუბოს, უგონიდა ხელებს ქაღს:—მამა-  
 ტიე, შე საცოდავო, მამატიე!..—მერე დანეტქვრდა გიორგის გაწამე-  
 ბული და აურყვლებდა, მთელი სსეული უთროთდა. უნებ მოტრი-  
 ალდა, თითქო ხელი ჰქვრ ვინმე და მოატრიალდა, მაგრამ ისეე მი-  
 ტრიალდა, დანეტქვრდა გიორგის გვამს, დაწყო მწარე ქვითინი, ბო-  
 ლოს ერთი სასარლად შეჭბლავლა: «გიორგის»-ო და დავცა ზედ!..

დიდი იყო ზარი და მწუნარება!.. ჰკვირობდნენ აგრედვე: რო-  
 გორ მოახერხა ქაღმა იმდონ ხალხში, ისინ, როგორც ამბობდნენ,  
 შემდნარმა, ოროლის ადამიანის მოკვლა რეოლვეკრითაო?! თამარის  
 მწარე სიტყვებმა და მოქმედებამ გადააქცია გიორგის სიკვდილი სა-  
 ერთო მწუნარებად და კარგა ხანი ქვითინებდნენ დასფლავებაზედ  
 დამსწრენი... ბოლოს ისეე მღვდლები მოვიდნენ გონს და სთხო-  
 ვეს ხალხს, მოეშორებინათ უბედური თამარი. პოლიციელი კი, რო-  
 მელიც აქვე იყო და გაიგონა თამარის სიტყვები, ამბობდა ოქმის  
 შედგენას, რომ სსქვე გადაეცა გამოძიებლისათვის!... მივიდნენ რა-  
 მდენიმე უმაწილა, ასწიეს თამარი, რომ წამოეყვანათ, მაგრამ გვიან-  
 და იყო, თამარი გათავებულყო!.. შეიქნა ქაღებში წივილ-კვილი,  
 გაჭვანკეს მელანისთან კანი, რომ მოესუნა თავის ქაღისათვის,  
 მოჭბატონებოდა. დაუწევს წველა-კრულვა, ლანძლვა: ან მღვამ-

რეობაში ქალი ჰყავს და თავს როგორ ანებებსო?!... ჰკინხავდნენ უწყალოდ, ის კი აღარ იცოდნენ, რომ საბრალო მელანია მორი დღეს სდია ჭკუა-შეშლილს და ტკინ-შერყეულს თამარს ფეხ-და-ფეხ და მზლად დაეცა. სამადლოდ მუზობლებმა მოუარეს. იმ დროს იწვა ღოგინში, გმინავდა და გულ-საკლავად ღმუოდა. იმისი ჰატრონი მსოლოდ მია-ღა იყო; ის უკლიდა სამადლოდ.

რეგან ფავლენაშვილი





## „დაპარგული იმედი“

(ეტიუდი)

### I

ოდესის ნავთ-სადგურზე ხალხი ბუზივით ირეოდა: ყირიმ-კავკასიის ცეცხლის გემი წასასვლელად ემზადებოდა. საშინელი ხრიალი ორთქლის მანქანისა, რომლითაც გემს ჰტვირთავდნენ, ეტლების ხრიგინი ქვა-ფენილზე, მუშების ხმა-მაღალი ყვირილი, ჯაჭვების ჩხარა-ჩხური და სხვა ათასნაირი ხმაურობა ერთმანეთში არეულიყო და ყურთა სმენა აღარ იყო. მგზავრებიც ზოგნი შეკრებილიყვნენ, ზოგნი ახლა იკრიბებოდნენ, და ამ ერთ ხელის დადება ადგილზე რუსული, ფრანგული, გერმანული, ინგლისური, იტალიური და, ასე გასინჯეთ, ქართულიც კი თავისუფლად გაისმოდა. ქართულს უფრო ხშირადაც გაიგონებდით. ჯერ ერთი, გემის მტვირთავი მუშები ქართველები იყვნენ, იმერეთიდან მოსულები და მეორე, პალუბის მთელი ერთი კუთხე ქართველ სტუდენტებს დაეჭირათ.

— მოდის, მოდის! — ხმა-მაღლა წამოიძახა უცებ ერთმა სტუდენტმა, რომელიც სხვებს მოჰშორებოდა და გზისკენ იხედებოდა. — მოვიდა იასონი! ყველა მივიდა გემის მოაჯირთან და შეჰხედა მომავალ დროშკას. ყველას რაღაც შავმა ღრუბელმა გადურბინა სახეზე და რამდენიმე მათგანი წავიდა დროშკის მისაგებებლად.

— საწყალი, ვაი თუ გზაზე მოკვდეს! — სთქვა ერთმა დარჩენილთაგანმა, როცა დროშკიდან გადმოიყვანეს ავადმყოფი სტუდენტი, რომელსაც საზამთრო პალტოზე კიდევ თბილი

პლენი მოესურა, თუმცა შემოდგომის ერთი უკეთესი დღეა-  
განი იყო და გამტკბარი მზე ჩასვლის წინ უხვად აფრქვევდა  
თავის სხივებს.

— რა უბედურებაა ჩვენს თავსა? ეს მეოთხეა, რომ ამის-  
თანა ავადმყოფს ვისტუმრებთ აქედან ამ რამდენისამე წლის  
განმავლობაში, ვისტუმრებთ მოსარჩენად, მაგრამ უბედურთ  
მხოლოდ სიკვდილი-ღა მოელისთ სამშობლოში,—სთქვა მეო-  
რემ.

— მერე რაც უკეთესი ყმაწვილებია, ისინი ჰხდებიან  
ავად,—დაუმატა მესამემ.

— რა უკეთესი და რა უარესი! თავს არ ვუჯერებთ, თვა-  
რა ყველანი ავად ვართ,—სთქვა ისევ პირველმა:—გუშინ ჩვენ  
ნი ექიმი გვეუბნებოდა, რაა რომ არც ერთ ქართველ სტუ-  
დენტს გული არ გივარგათო; ჩამოხვალთ და რალაცას გავ-  
ხართ. მოგიგვიანდებათ ხანი და მოხარშულ მსხალს დაემზგავ-  
სებითო.

— მერე არ უთხარი, ამ თქვენი დაწყველილი ჰავის ბრა-  
ლია ყველაფერი-თქვა?—ჰკითხა მეორემ.

— ვუთხარი კი არა, მეტიც ვქენი, მაგრამ რა გამოვი-  
და?—მიუგო პირველმა.

— არა, ციმბირში თუ საჭიროდ დაინახეს უნივერსიტე-  
ტი და დაარსეს კიდევაც, ჩვენ ვის რა ვირი მოვპარეთ?—  
სთქვა მესამემ:—პირველ კლასში ვიყავი, როცა ჩვენში უნი-  
ვერსიტეტის დაარსებაზე შეიქმნა ლაპარაკი, მეგონა მომისწრე-  
ბდა და მიხაროდა, მაგრამ, მგონია, ჩემ შეიღსაც არ მოეს-  
წროს!—კიდევ უნდოდა ეთქვა რალაც, მაგრამ ამ დროს პა-  
ლუბაზე ამოიყვანეს ავადმყოფი და ყველა იმასთან მივიდა.

— შეენიერი ტაროსია, იასონ, შემოდგომის პირობაზე!—  
უთხრა ვიღამაც ავადმყოფს, რომელიც ისე დაეღალა გემზე  
ამოსვლას, რომ სულს ძლივს-ღა იბრუნებდა და პირველ სკამ-  
ლოგინზედვე დაეცა აქლოშინებულნი.

— ზღვა ხომ არა გწყენს, იასონ?—ჰკითხა ერთმა.



— როგორ არა მწყენს? მწყენს, ძალიან მწყენს! — ჩუბუჩაძე  
ლით წარმოსთქვა ავადმყოფმა.

— აბა გარგად ყოფილა საქმე! ამბობენ, ვისაც გული  
სტკივა და ფილტვები აქვს დაზიანებული, ზღვა არ აწყენ-  
სო, — უთხრა ღიმილით მეორემ. იასონმა ჯერ სკეპტიკურად  
გაიღიმა ამ სიტყვებზე, მერე სახე გაუბრწყინდა და თავი და-  
ჰკლუნა. აღბად იფიქრა, იქნება მართალია და ჭლეტი არა ვა-  
რო! ჩამოვარდა სრული სიჩუმე. ყველა სულ-განაბული დას-  
ჩერებოდა ავადმყოფ ამხანაგს. საშინელი წამი იყო: ყველას  
უნდოდა ეთქვა რამე, ან ნუგეში ეცა, ან სხვა რამე სახალისო  
ლაპარაკი გაეხა, მაგრამ ვერავინ ვერ ახერხებდა, რადგან ყვე-  
ლას ეშინოდა, უიმისოდაც აღელვებული ავადმყოფი კიდევ  
უფრო არ აღელვებულიყო. ამ დროს გაისმა ზარის რეკა და  
გემმაც იკივლა პირველად.

— რა გახარო, იასონ? ქუთათური ვაჭარი ვნახე. იმანაც  
მეორე კლასის ბილეთი აიღო და ერთად იქნებით სულ, — უთხრა  
ავადმყოფს ერთმა სტუდენტმა, — რომელსაც ის-იყო ბილეთი  
აელო მისთვის და აჩქარებით ამოვიდა პალუბაზე.

— კარგია! — სთქვა იასონმა და სახეზედ კმაყოფილება გა-  
მოეხატა.

— ვინ არის? — იკითხა ვილამაც და დაუმატა: — სწორედ  
ბედი გვქონია, რომ დღეს გადავწყვიტეთ იასონის წასვლა.

— ჭუმბურიანია, ბულვარის გვერდზე რომ ვაჭრობს. აი,  
თვითონაც.

ამ დროს მართლაც მოვიდა სტუდენტებთან ახალგაზნდა, გვ-  
რობულად ჩაცმული, კარგა ჩასუქებული ვაჭარი.

— აბა, გაიცანით ერთმანეთი! იასონ გვარამიძე, აღექსი  
ჭუმბურიანი, — სთქვა მოსულმა და იმათაც ჩამოართვეს ხელი  
ერთმანეთს.

— მე ადგილი გამოვიჩინე კიდევ, ბატონო, თქვენთვის  
და ჩემთვის კაიუტაში, — უთხრა ჭუმბურიანმა იასონს და და-  
კვირვებით დააკვირდა სახეზე, თითქო უნდა შეიტყოს, სასი-  
კვდილოა თუ სასიცოცხლოა, მაგრამ, აღბად, სანუგეშო ვე-



რაფერი დაინახა, რადგან უეცრად ამოიოხრა და თვალი.

— ძალიან მადლობელი ვარ.—უთხრა იასონმა:—მაშ ასე. სხვები ჯერ არც კი დაბრუნებულან საქართველოდან და მე კი იქით მივემგზავრები,—დაუმატა მან დალონებით და შეჭხედა ამხანაგებს.

— რა ეუყოთ მერე? იქნება გაზაფხულამდის კარგად შეიქმნე და ეგზამენების დასაქერად ჩამოხვიდე კიდეც,—უთხრა ვილაკამ, თუმცა ცხადი იყო, თვითონაც არ სჯეროდა, რასაც ამბობდა.

— ვაი შენს მტერს! ნეტა საგაისოდ ჩამოვიდე და ამ ერთ წელიწადს თქვენი ჭირი წაუღია,—სთქვა იასონმა და თვალეზზე მომდგარა ცრემლი ძლივს შეიმაგრა.

— ჩამოხვალ, აბა, რას იზამ?—უთხრა ახლა მეორემ:—გულს რათ იტებ წინდაწინვე? ხომ იცი შენთვის პირველი წამალი მხნეობაა?

ამ დროს მეორედ დარეკეს და გემმაც ორჯერ დაიკვილა.

— ვინც არ მობრძანდებით, გადაბრძანდით!—დაიძახა გემის უფროსმა და უბრძანა მეზღვეებს, კიბესთან დამდგარიყვნენ და თავის დროზე გადაეშვათ მიწაზე. ხალხი შეინძრა, შეიქმნა ჩოჩქოლი, არეულობა, გამოთხოვება, ტირილი.

— არ დარჩეთ!—უთხრა იასონმაც ამხანაგებს.

— აბა, შენ იცი, გამხნევი, თავს გაუფრთხილდი და მეტი არაფერია საჭირო! ჩვენის კურთხეულის საქართველოს ჰაერი უცხოეთიდან მოსულებს უხდება და ჰკურნავს და შენ, მის საკუთარ შვილს, როგორ არ მოგარჩენს თავისავე სასარგებლოდ?—სთქვა იმ სტუდენტმა, რომელმაც ბილეთი მოუტანა იასონს. ამ სტუდენტმა ცრემლებით თვალეზ-ავსებულმა რამდენჯერმე აკოცა საყვარელს ამხანაგს, რომელთანაც მთელი რვა წელიწადი გაეტარებინა და ახლა კი, ვინ იცის, სამუდამოდ შორდებოდა. სხვებიც მივიდნენ გამოსათხოვებლად. ხმა მეტს არავის ამოუღია, კოცნით კი ყველამ აკოცა, თუმცა იასონი წი-



ნალმდეგი იყო, რადგან ზოგიერთის თვალეში ცხადად ამოიკითხა: „ვიცი რომ ქლეკი გკირს, მაგრამ მაინც გკოცნია“.

— მშვიდობით, ძმებო, მშვიდობით!... არ დამივიწყოთ!... — ძლივს ამოილულულა იასონმა ტირილით, როცა ყველანი გამოეთხოვნენ. გაისმა უკანასკნელი ზარის რეკა, რომელსაც მოჰყვა გემის სამჯერ დაკვილება, და სტუდენტებიც იძულებულნი შეიქმნენ გადასულიყვნენ.

— მშვიდობით! — დაიძახეს მიმოვალმა სტუდენტებმა.

— მშვიდობით! მადლობელი ვარ, რომ პატივი მეცით, როგორც ავადმყოფობის დროს, ისე ახლა, — შესძახა იასონმა ძალ-ღონე მოკრებით.

— აბა, ალექსი, შენ იცი, თუ არაფერს გაუქირებ გზაზე! — დაავალა იასონის ამხანაგმა ჭუმბურჩანს, როცა გამოეთხოვა.

— ჩემ კისერზე იყოს! — მიუგო ალექსიმ. — ქართველი კაცი არა ვარ? სხვა რა შემიძლია, თუ აქაც ვერ დავებმარები ჩემი ქვეყნის შვილს? გემი შეინძრა, ჯერ ნელა-ნელა გაშორდა ნაპირს, მერე გაიბრუნა პირი ზღვისკენ და სწრაფად წასრიალდა. ერთხანს სხვებთან ერთად იასონიც მისჩერებოდა ნაპირს, რომლიდანაც ამხანაგები ცხვირსახოცებს უქნევდნენ; მერე კი დალაღვა იგრძნო, შესცივდა კიდევ და ალექსისთან ერთად ჩავიდა კაიუტაში.

ცოტა ხანს შემდეგ გაისმა ზარის წკარუნი, რომლითაც პირველ და მეორე კლასის მოგზაურებს სადილად იწვევდნენ.

— წამობრძანდით, სადილი ვკამოთ, — უთხრა ალექსიმ იასონს.

— არა; მაინც და მაინც არ მშია და ტყუილად დავიღალე.

— მაშ, აქ გამოგიგზავნით ბულიონს და ცოტა შექამეთ, თვარა დასუსტდებით.

— კარგი, — დასთანხმდა იასონი.

— უშველა ღმერთმა, კარგი ზღვა გვაქვს და საქმელს მაინც ნუ შევარჩენთ. ძალიან იეფად მივყავართ-და! — სთქვა ალექ-



სიმ და დაუძახა მსახურს, რომელსაც აუხსნა, რომ თავის აქვე მოეტანათ ბულონი.

— მაშ, ნახვამდის, — მიუბრუნდა იასონს და სიმღერით ავიდა საზოგადო კაიუტისაკენ, სადაც სუფრა უკვე გაშლილი იყო.

„ნეტავი შენ“, გაიფიქრა იასონმა და შურის თვალთ შეჰხედა მიმავალ ალექსის, რომელსაც ეტყობოდა, ძალიან კარგი მადა უნდა ჰქონოდა. შურის თვალთ შეჰხედა აგრედვე ალექსის ზორბა მხარ-ბეჭსაც, რომელიც აშკარად ამტკიცებდა, რომ ამ მხარ-ბეჭის პატრონს სრულიად საღი ფილტვები უნდა ჰქონოდა. „რას შეგშურდა?.. რომ შესაძლებელი იყოს განა გასცვლიდი შენს მდგომარეობას მის მდგომარეობაში?“ უთხრა გულმა იასონს და ავადმყოფს ახალგაზღვას მოაგონდა ყვავისა და არწივის არაკი, რომელიც ბავშვობისას სადღაც წაეკითხა. — რატომ არის, რომ შენ ჩემზე მეტსა სძლებო? — ჰკითხა თურმე არწივმა ყვავს. — იმიტომ, შენ ცოცხლებზე ნადირობ, თბილი სისხლი გიყვარს და მე კი დამბალ ლეშებიტაც იოლად გამოვდივარ, შენც ჩემსავით მოიქეცი და ჩემდენს იცოცხლებო, მიუგო ყვავმა. — არც დამბალი ლეში მინდა და არც შენი ხანო, უთხრა მამზე არწივმა: დაე ცოტა ხანს ეიცოცხლო და არწივად დავრჩე, ვიდრე დიდ ხანს და შენ დაგემგზავსო.

ამ არაკის მოგონებამაც, ცოტა არ იყო, ანუგეშა იასონი. „თუნდ ახლავე მოგვედე, მაინც ერთის საათის სიცოცხლე მირჩევნია მთელ იმის სიცოცხლეს“, გაივლო მან გულში: „და ერთი ხუთი წელიწადი თუ მაინც არ მოგვედის, მაშინ ხომ სულ“... „რა სულ?“ ჩასძახა ამ დროს რაღაც ხმაში ყურში: „რას გააკეთებ შენი ფილტვების პატრონი?... ჰუმბურინი თავის თავს მაინც ირჩენს და შენ კი უბრალო პარაზიტი ხარ მხოლოდ!... სიკვდილი, სიკვდილი დაგვრჩენია მარტო და, რაც უფრო მალე მოჰკვდები, ისა სჯობია, როგორც შენთვის, ისე ქვეყნისთვის“... „სიკვდილი სიკვდილი!“ თითქმის ხმა-მალლა წამოიძახა იასონმა და წარმოუდგა, ვითომ მის საწოლთან კედელი გაიხვრიტა და დამბაჩის ლულა გამოჩნდა. იასონმა მიაღო თავი იმ ადგილს და სულგანაბული იცდიდა, აგერ გავარდება დამბაჩა და მომიღებს

ბოლოსაო. «თუ ასე გინდა სიკვდილი, მაგაზე ადვილი რა გინდა? — ადი ზევით და გადავარდი ზღავაში!» — უთხრა გულმა იასონს; იმანაც წამოიწია და გადახედა ზღვას პატარა საარკმლიდან, რომელიც მის საწოლთან იყო გამოქრილი. კარგა ხანს უყურა იასონმა დამშვიდებულ, უსაზღვრო და უძირო ზღვას, თითქო რჩევას ჰკითხავს, როგორ მოვიქცეო... სხვიმისაც ბევრჯელ მოსვლია იასონს თავის-მოკვლის სურვილი, მაგრამ სიკვდილის შიში, თუ ის იმედი, რომ, ვინ იცის, იქნება ცოტა რამ მაინც გავაკეთოვო, უკუ აგდებინებდა ხოლმე ამ ფიქრს. ახლაც მოიშორა ეს ფიქრი თავიდან და დამშვიდებული დაწვა. «ამ ზამთარშიაც შემძლიან სარგებლობა მოვეუტანო ჩემ ქვეყანას», იფიქრა იასონმა: «რადგან მოვახერხებ ბერი კარგი ვუთხრა, ბევრი კარგი ვურჩიო გიმნაზიის შაგირდებს. დიად, დაფუხლოვდები იმათ (ბევრი მათგანი ხომ მეგობარია ჩემი) და შევადგენთ პატარა ამხანაგობას, ვისწავლით ქართულ ენას, ლიტერატურას, ისტორიას და ამნაირად შევიგებთ იმ ნაკლს, რომელიც თან გვდევს ახლანდელ მოზარდ თაობას... იასონს სახე გაუბრწყინდა; ტუჩებზე ღიმილი უთამაშებდა, თვალებიდან ნაპერწკლებს ჰყრიდა. ახლაც დაიწყო იმ სიტყვის მზადება, რომლითაც მიჰმართავდა შეგირდების კრებას და მის ნეტარებას საზღვარი აღარ ჰქონდა. მართლაც რომ ეს საათი იასონის სიცოცხლისა სჯობდა ალექსი ჭუმბურიანის მთელს სიცოცხლეს. იასონს ჰქონდა საგანი ცხოვრებისა, ჰქონდა აზრი ადამიანურის მოქმედებისა. ახლა პირუტყვის მგზავსი არსება კი არ იყო, რომელიც მხოლოდ თავის თავისთვისა ჰზრუნავს, სჭამს, სვამს, სძინავს, მრავლდება. ის იყო კაცი, რომელიც ვერ შეჰრიგებია ქვეყანაზე დამკვიდრებულ უსამართლობას და სურს იბრძოლოს თავის მოძმეთა ხვედრის გასაუმჯობესებლად, ტანჯულთა და დაზარულთა მძიმე ტვირთის შესამსუბუქებლად. იასონს სრულიად დაავიწყდა ახლა თავისი თავი, დაავიწყდა თავისი ტანჯვა-წვალებით სავსე წარსული, დაავიწყდა თავისი დღევანდელი საშინელი ყოფა და მხოლოდ თავის მომავალ მოქმედებისათვის-ღა ჰფიქრობდა, თავის მომავალ მოღვაწეობას-ღა ითვალისწინებდა.

## II

თოვლი აიღო. დედამიწა ზურმუხტად გადაიქცა, ცა ფირუზად. მზის სხივები, რომელიც აქამდის ანათებდა მხოლოდ, ახლა ათბობდა კიდევ. ხეხილი გამოცოცხლდა და თვალ-მარგალიტივით მორთული თავმომწონედ გამოიყურებოდა. ფრინველნი ბუდეების კეთებას შეუდგნენ და სიყვარულით აღფრთოვნებულნი, განუწყვეტლად ჭიკჭიკობენ, დახტიან, დანავარდობენ.

ოჰ, რა შევნივრად მოუწყვია ყველაფერი განგებას ამ ქვეყანაზედ, რომ...რომ თვითონ აღამიანი,—ეს გვირგვინი ქმნილებათა,—ეს მეფე ბუნებისა,—ასე უბედური არ დაებადა! განა მაშინ, როცა ყოველივე მის გარეშემო ნეტარებას მისცემია, ის უნდა იტანჯებოდეს? თუ კი ყველაფერს აქვს თავისი დრო, რატომ აღამიანსაც არა აქვს დანიშნული სიცოცხლის ვადა და ასე უკანონოდ რად ავლებს ცელს სიკვდილი ყველას, ვინც კი თვალში მოუვა, ჩჩვილს, ჭაბუკს, ვაჟაკს, მოხუცს?..

„ბუნება იღვიძებს, ბუნება ცოცხლდება. გაზაფხული დგება, ჩემი საყვარელი გაზაფხული და მე...მე კი ვილვევი, ვდნები, ვკვდები“. — ჰფიქრობდა ქუთაისის ერთ-ერთს სასტუმროში მწოლარე იასონ გვარამიძე, რომლის დღენიც დათვლილი იყო, და მისჩერებოდა ფანჯარას, საიდანაც მოსჩანდა ახლად აღყვავებული ხეები. „ვკვდები, მაგრამ რატომ, რა დავაშავე?.. რატომ მაინც და მინც მე უნდა მოვკვდე, რომელსაც არც კი დამიწყია ჯერ ცხოვრება და არა ის ბებერი, რომელიც ძლივს მიათრევს ფეხებს ნამეტანის სიბერისაგან?“ იასონმა თვალი მოჰკრა ქუჩაში მიმავალ ათასნაირად წელში მოხრილ მოხუცს და შეჰშურდა: „იმას ჯერ კიდევ კარგა ხანს შეუძლია იცოცხლოსო“. „რა უსამართლობაა, რა უსამართლობა!“ თითქმის ხმა-მალლა წამოიძახა იასონმა და უეცრად მოაგონდა ერთი არაკი, რომელიც ბავშვობისას ვილაცასაგან გაეგონა სიკვდი-



ლის შესახებ: როცა პირველ აღამიანს პირველი შვილი დაე-  
ბადა, მივიდა თურმე სიკვდილი და უნდოდა ბავშვის წაყვანა.—  
მოიცა პატარა, ჯერ სული მოითქვას, თვალი გაახილოს, იგე-  
მოს ცხოვრების სიტკბოება და მერე მოჰკალიო, — შეეხვეწა  
ბავშვის მამა და სიკვდილიც გაბრუნდა. გაიზარდა ბავშვი, და-  
ქაბუკდა და სწორედ მაშინ, როცა პირველად იგრძნო სიყვა-  
რული და დაქორწილებას აპირობდა, მოვიდა სიკვდილი.

— აჰ, აჰ, ახლა როგორ შეიძლება? ყმაწვილი ეს არის  
ჯვარს იწერს, აცალე ნაყოფი გამოიღოს მისმა სიყვარულმა  
და მერე მოჰკალიო, — შეეხვეწა ისევ ყმაწვილის მამა და სი-  
კვდილიც ისევ გაწმორდა. გავიდა რამდენიმე ხანი და როცა  
ყმაწვილს შვილი ეყოლა, მოვიდა სიკვდილი. — არა, არა, ახლა  
რომ მოჰკალიო, რა ეშველება მის ცოლშვილს, ხომ შიმშილით  
ამოწყდება ყველაო! — დაეღრიჯა ისევ სიკვდილს მოხუცი მა-  
მა: — მე დავბერდი, მეც პატრონობა მინდა, თვარა ქვრივ-ობოლს  
როგორ უნდა ვუპატრონოვო? წამოეზარდოს შვილი და, რო-  
ცა ეგ პატარა დავაჟაკცდება, მამა მაშინ მოუკალიო. სი-  
კვდილს არაფრად ექაშნიკა ამდენი გადადება ასასრულებე-  
ლის საქმისა, მაგრამ ბოლოს მაინც დასთანხმდა და წავიდა.  
გავიდა კარგა ხანი, პატარა ბავშვი გაიზარდა და, როცა ესეც  
ცოლის შერთვას აპირობდა, მოვიდა სიკვდილი. — პატარა კი-  
დევ დამაცალე, რომ დავსტკბე ჩემის შვილის ბედნიერებით და  
მოვესწრო შვილი-შვილსაო, — შეეხვეწა ახლა თვითონ, უკვე ხან-  
ში შესული და გაქალარავებული. — აჰუ!... როგორც ვხედავ,  
თქვენ არას დროს არ გინდათ მოჰკვდეთ და ყოველთვის შე-  
გიძლიათ იპოვოთ გადასადები მიზეზიო, — შეჰკვილა სიკვდილ-  
მა: — სისულელე მომივიდა, რომ მაშინაც დავუჯერე მამა-შენს და  
პირველადვე არ მოგკალიო. ამას შემდეგ სიკვდილი აღარავის  
ხვეწნა მუდარას აღარ აქცევს ყურადღებას და როგორც თვი-  
თონ უნდა, ისე ავლებს ცელს ახალ დაბადებულსაც, საქარ-  
წილოდ გამზადებულ ქაბუკსაც, დაცოლშვილებულ ვაჟაკსაც  
და შვილის ბედნიერების მომლოდინე მოხუკსაც!.. იასონი  
ისევ შეწუხდა და მიაჩერდა დალონებით ატმის ხეს, რომელიც



იქვე მის ფანჯარასთან იდგა და შვენიერ წითელ ყვავილებიან შვეფრქვეული მხიარულად გამოიყურებოდა. ამ დროს ოთახში მსახური შემოვიდა და ოთახის ლაგება დაიწყო.

— ნიკო!—დაუძახა იასონმა მსახურს.

— ბატონო!—ნიკო მოვიდა იასონთან.

— წადი, თუ ძმა ხარ და იმ ატმის ყვავილი მამიტანე. —უთხრა იასონმა. მსახური გავიდა. „რად მინდა, რას ვერჩი?“ გაუელვა უცებ იასონს თავში და დაუძახა ნიკოს, რომ უარი ეთქვა, მაგრამ ვეღარ გააგონა და გულ-დაწყვეტილი დაჩუმდა. „მე რომ უდროვოდ მომწყვტა ბედმა და მაქანობს, ხომ ვწუხვარ, იქნება ისიც შეწუხდეს“, ჰფიქრობდა იასონი, როცა ნიკო შემოვიდა და შემოიტანა მოზრდილი, ყვავილებიან სავსე ატმის შტო.

— უჰ, რამხელა მოგიტეხია!—მწუხარებით წამოიძახა იასონმა და სიბრაღულით სავსე თვალები მიაპყრო შტოს. ნიკო თავის საქმეზე წავიდა, დარჩა იასონი მარტო და აღერსი დაუწყო შტოს: ჯერ ცხვირთან მიიტანა ყვავილი. მერე ლოყაზე და თვალებზე მიისვ-მოისვა და გრძნობით აკოცა. „უჰ რამდენი ნაყოფი უნდა გამოეღო და მე კი მოვუსპე სიცოცხლე საბრალოს!“ მწუხარებით წარმოსთქვა იასონმა. „შენც ბევრი ნაყოფი უნდა გამოგელო, მაგრამ აგერ-აგერ ამოგხდება სული!“ ჩასძახა იასონს ყურში იდუმალმა ხმამ. „მერე ეს რა შუაშია?“ იფიქრა იასონმა და დაუწყო ხელის სმა და კოცნა ყვავილს, თითქო მოჰფერებოდა უნდა შენდობინოს თავისი დანაშაულიო. ოჰ რას არ მიცემდა ახლა იასონი, რომ შესაძლებელი ყოფილიყო, ამ შტოს ისევ თავის ადგილას გამობზა და განედლებო!

კოცა ხანს შემდეგ კარი გაიღო და ოთახში ექიმი შემოვიდა. იასონმა შეჰხედა ექიმს და მის თვალებში ცხადად ამოიკითხა: „კიდევ ცოცხალი ხარო?!“

— გაზაფხული!—სთქვა ექიმმა, როცა ატმის შტოს შეჰხედა და ნაძალადევად გაიღიმა. „ხომ გეუბნებოდა, რომ შენის



ფილტვების პატრონს მოციქულობა და წინასწარმეტყველებით არ შეშვენის-მეთქი. აი, ხომ ჰკვდები! ჩემთვის რომ დაგეჯერებინა თავისთვის მოგველო და ღამ ღამეობით შევირდების კრებაზე არ გველო, ცოტა ხანს კიდევ იცოცხლებდი, ეგებ მორჩენილიყავი კიდევ!“ ამბობდა ექიმის თვალები, როცა ხელები და ყურები ავადმყოფის მკერდს სინჯავდა.

— ჰმ!... Все одно и то-же \*), ცვლილება არაფერია, — სთქვა ექიმმა, როცა გასინჯვა გაათავა, ჩამოართვა ხელი და გავიდა.

— Нѣтъ, не одно и то-же \*\*!) — სთქვა იასონმა, როცა მარტო დარჩა: ჩემი საათები და, შეიძლება, წუთებიც დათვლილია.

მართლაც, იასონი ჰგონობდა, რომ ცალი ფეხი უკვე სამარეში ედგა. „პირველი საათია,“ იფიქრა იასონმა, როცა საათის რეკა გაიგონა: „ერთს საათს შემდეგ შევირდები განთავისუფლდებიან და, უეჭველად, შემოვა ვინმე. შევირდების მოგონებამ გული სიამით აღუვსო, რადგან იმათ გაუმართლეს იმედები და გულმოდგინედ შეუდგნენ მისის ხელმძღვანელობით მეცადინეობას. იასონი დარწმუნებული იყო, რომ სულ უქმად არ ჩაუვლია ჩემს სიცოცხლესაო და ბედნიერი იყო. წარმოუდგენელია ნეტარება იმის ძლივს მფეთქების გულისა: ვინ მოსთვლის რამდენ ღიდებულ სურათს არ უხატავდა ახლა მის თვალებს მისი აღფრთოვანებული გონება. იასონს თავისი თავი სრულიად დაავიწყდა და სიცოცხლითა და ძალ-ღონით სავსე ახალ-გაზდებზედ-ღა ჰფიქრობდა, რომელნიც ღირსეულად მოემზადებოდნენ სამშობლოს სამსახურისათვის და განახორციელებდნენ იმას, რის განხორციელებაც თვითონ აღარ შეეძლო. „რავუყოთ მერე რომ მოგვედები? ხორციით მოგვედები, თვარა სული ხომ აქვე დარჩება და იმ ახალგაზდებში იტრიალებს!“ ჰფიქრობდა იასონი, როცა უეცრად მეორე ოთახიდან მოისმა შექიფიანებულითა „მრავალ ჟამიერის“ სიმღერა. იასონს თავი

\*) ყველაფერი ისევ ისეა.

\*\*!) არა, არ არის ისევ ისე.



მოხებრებული ჰქონდა იმ ვითამ-ქართულ „მრავალმხრივ-რით,“ რომელიც ასე ხშირად ესმოდა სასტუმროში და რომელშიაც ქართული—სიტყვები იყო მხოლოდ. სიმღერის გაგონებამ შესცვალა იასონის ფიქრთა მიმდინარეობა. „ნეტავი იმათ, მხიარულობენ მხიარულ გაზაფხულთან ერთად“, იფიქრა იასონმა: „მაგრამ ეჰ, ვინ იცის, ერთ საათს შემდეგ რომელს რა მოუვა?“ ოთახიდან ხმაურობა და ხმა-მალალი ყიჟინი მოისმა. „აი თუ არა? მგონი, ჩხუბიც მოუვიდათ და ახლავე დაერევიან ერთმანეთს“. ხმაურობამ თანდათან იმატა, შეიქმნა ხრიალი, „გამოუშვით, გამოუშვით“-ის ყვირილი და სხვა. „ოჰ, ღმერთო, როდის გაჩნდება იმისთანა კაცი, რომელიც სასარგებლოდ გამოიყენებს ამდენს ძალას; ამ ძალას ახლა ვნების შეტი არაფერი მოაქვს თავის აღმზრდელ და მკვებავ სამშობლოსთვის?“ წამოიძახა იასონმა და შეხედა ზევით. „ესვამ სადღეგრძელოს, ესვამ სადღეგრძელოს და გაუმარჯოს ჩვენ საქართველოს!“ მოქეიფენი დამშვიდებულიყვენენ კიდევ და ხრინწიანის, ხმა-ჩახლფეჩილის ხმით ამნაირად იგონებდნენ თავიანთ მამულს. „ვინ სთქვა, რომ ქართველს მამული არ უყვარსო, აბა, თუ დაითვრება ისე ქართველი, რომ მამული არ ახსენოს? მამულის სიყვარული მეტი შეიძლება?... ოჰ, რომ შემექლოს ახლა, ავდგებოდი, მივიდლოდი იმათთან და ვეტყვოდი, გიყვარსთ საქართველო, გინდათ მისი გამარჯვება?... მაშ, აქ კი ნუ ქვითინებთ და ერთმანეთს ნუ სჩებთ იმ იარაღით, რომლითაც თქვენი წინაპარნი მხოლოდ მტერს იგერებდნენ!... ადექით და გამომყევით უკან. მე თქვენ გასწავლით რა უნდა ჰქმნათ, რომ საქართველომ გაიმარჯვოს!“... აქ იასონმა ხელახლავ აიხედა ზევით და მღელვარებით წამოიძახა: „ღმერთო, ღმერთო, რად მოგვეცი ასე სუსტი, ასე უძლური სხეული, როცა სული ყოველის შემძლებელი შთაგვებრე?... არ იცოდია, რომ მიწისაგან შემზადებული ხორცი შენ უკვდავ სულს ვერ დაიტევდა და კაცის სიცოცხლე საპრობილეში ტანჯვად გარდიქმნებოდა?... ოჰ, მესმის, ახლა კი მესმის, დიდებულო პრომეთეოსო, შენი ტანჯვა! შენ სულით მზად იყავ მთელის ქვეყნის ძლიერებას შებრძოლუ-

ბოდი და ხორციტ კი კლდეზე იყავ მიჯაჭვული; მესმის, რადგან შენ სახე ხარ კაცისა, რომელსაც მოქმედება უნდა, რომ კაცობრიობას სარგებლობა მოუტანოს და გარემოებას კი უზილავ ჯაჭვებით შებორკილებული დაუგდია საცოდავად!... ასე ჰფიქრობდა იასონი, როცა კარი გაიღო და ოთახში რამდენიმე შეგირდი შემოვიდა. იასონი მაშინვე დამშვიდდა და სახე-გაბრწყინებული მიესალმა მოსულებს. ერთმა მათგანმა დებეშა აჩვენა.

— ამაღამ ჩამოვა? — აღტაცებით იკითხა იასონმა, როცა დებეშა წაიკითხა.

— ჰო, ნომრები დავიჭირე კიდეც ამ სასტუმროში, — მიუგო შეგირდმა.

— ძალიან კარგი!... ვერ წარმოიდგენ, გიორგი, რა მიხარია, რომ ერთხელ კიდეც ვნახავ ძვირფას ნინოს, — სთქვა იასონმა.

— იმასაც გულისთ უნდა შენი ნახვა და ამიტომ ბოდის კიდეცაც, — უთხრა გიორგიმ: ყველიერში რომ ვიყავი შინ, მიუთხრა, უსათუოდ ჩამოვალ და ვნახავო.

— მერე რატომ აქამდის არ მიიხარა? — უსაყვედურა იასონმა.

— მეშინოდა, ვაი თუ ვერ მიახებხოს და ტყუილათ მოვატყუო-მეთქი. ხომ იცი, ქალი რომ გათხოვდება, ქმრის მორჩილი უნდა იქმნეს და ჩემი სიძე კი უბრალო ხარჯს ძალიან ერიდება.

— რა ბედნიერი ვარ, რა ბედნიერი!.. — ბუტბუტებდა ოცნებით გატაცებული იასონი და მისჩერებოდა გიორგის, თითქო სურს თვალებით გააგებინოს თავისი გრძნობა, რადგან ერთ მისი გამოთქმა შეუძლებელიაო. გიორგიც მიხვდა, რასაც გრძნობდა იასონი, რადგან იცოდა, რომ მის დას ნინოს და იასონს უყვარდათ ერთმანეთი, თუმცა ერთხელაც არ გაუმყდებიათ თავისი გულის პასუხი. არის ერთგვარი სიყვარული, სიყვარული წმინდა, უმანკო, როცა კაცმა და ქალმა იციან რომ უყვართ ერთმანეთი, მაგრამ სიტყვით კი არაფერს ამ-

ხელენ. ან კი რად გაამხილონ, როცა მათ აწმყოს ეს არაფერს შესძენს და მომავალი კი მათის სიყვარულისთვის არ არსებობს; არ არსებობს იმიტომ, რომ გარემოებას ისე დაუშორებია ერთმანეთისთვის ეს ორი მოყვარული არსება, იმისთანა მაღალი კედელი აუგია მათ შორის, რომ მის გადალახვას დიდი, ერთობ დიდი ძალა უნდა და ყველას ხომ არ ექმნება ამისთანა ძალა, ან კიდევაც რომ ჰქონდეს, ყველა ხომ მარტო თავის პირად ინტერესს არ მოახმარს მთელს თავის ძალ-ღონეს? შემთხვევამ შეახვედრა ერთმანეთს იასონი და ნინო და თან დასძინა: „შეგიძლიან თუ უყურათ ერთმანეთს, შეიყვაროთ კიდევ ერთმანეთი, მაგრამ არამც და არამც არაფერი ისურვოთ და გულშივე ჩაიკალით ეს გრძნობაო. ნინო და იასონიც დაემორჩილნენ ბედს, რადგან ბრძოლისთვის საჭირო ძალა პირველს არ ჰქონდა და მეორეს კი არ უნდოდა მისი ამ ბრძოლაზე შეღწევა, რადგან სულ სხვა ბრძოლისთვის ემზადებოდა.

წამები საუკუნეებად ეჩვენებოდა იასონს, როცა საღამოზედ შეგირდები თავ-თავიანთ სახლში წავიდნენ, გიორგი რკინის გზის სადგურზე დის დასახვედრად და თვითონ მარტო დარჩა. ოჰ, რა საშინლად უცემდა საბრალოს გული! მან იცოდა, რომ ჰკვდებოდა, და ღმერთს მხოლოდ საყვარელ არსების ნახვამდის-ღა შესთხოვდა სიცოცხლეს.

აი მოისმა მატარებლის კივილი და ცოტა ხანს შემდეგ ეტლების ხრიგინიც გაისმა ქუთაისის ოღრო-ჩოღრო ქუჩებში. რამდენი ეტლიც მოუახლოვდებოდა სასტუმროს, იმდენჯერ შესწყვეტდა იასონის გული ცემას, ხოლო თვითონ გაინახებოდა, სულ ხომ არ გაჩერდაო. ბევრმა ფაიტონმა გაიხრიგინა სასტუმროსთან, სანამ ბოლოს ერთი მათგანი არ გაჩერდა სასტუმროს წინ. პირველს მეორეც მოჰყვა და შეიქმნა დერეფანში მისვლა-მოსვლა, ხმაურობა. „მოვიდნენ, მოვიდნენ!“ წამოიძახა იასონმა და სული განაბა, რომ ხმაზედ ეცნო თავისი მეგობრები. აი, გაიგონა კიდევ გიორგის ხმა, გაიგონა ნინოს

ტკბილი, ნაზი ლაპარაკიც და მის ნეტარებას საზღვარი აღარა ჰქონდა. მაგრამ უეცრად შესწყდა ხმაურობა და იასონს მტკვლი ნალვლით აევსო. იქმნება ამაღამ არ აპირობს შემოსვლას და მე კი ხვალამდის ვეგებ მოვკვდე კიდევ“, ჰფიქრობდა იასონი, როცა კარი გაიღო და გიორგი შემოვიდა.

— ახლავე შემოვლენ ორივე ცოლ-ქმარი, ჩემი სიძეც ჩამოვიდა, ბავშვიც ჩამოიყვანეს!—სთქვა გიორგიმ. იასონმა მეტის-მეტის სიხარულისაგან თრთოლა დაიწყო, გიორგის შეეშინდა, როცა იასონი ამისთანა მდგომარეობაში ჰნახა და აღარ იცოდა, რა ექმნა.

— ნუ გეშინიან, — უთხრა ცოტათი დამშვიდებულმა იასონმა: — მე ახლა არ მოვკვდები. ამ დროს მოისმა ფეხის ხმა, მსახურმა ოთახის კარი გააღო და შემოვიდნენ ნინო და მისი ქმარი.

— იასონ!.. — დაიძახა ნინომ შემოსვლისათნავე და შემკრთალი ერთს ადგილს გაშეშდა, როცა სიკვდილისაგან ბეჭედ-დასმული იასონის სახე დაინახა. იასონიც ხმა-ამოუღებლივ მისჩერებოდა გაშტერებულ ნინოს. არის ხოლმე იმისთანა წამები, როცა კაცი გაქვავებულს ემზავსება, აღარც განძრევა შეუძლია, აღარც ლაპარაკი. აი ამისთანა წამები დადგა მაშინ იასონისა და ნინოსთვის, პირველისთვის მომეტებულ სიხარულის გამო და მეორესთვის კი... მაგრამ აუწერელია, გამოუთქმელია ის გრძნობათა ღელვა, ის აზრთა ბრძოლა, რომელიც ნინოს არსებას სძრავდა და არყევდა მაშინ, რადგან მწუხარება, სიხარული, შიში, სასოწარკვეთილება — ყველა ერთმანეთში არეულიყო. ნინო ჰხედავდა მომაკვდავს, ერთ დროს მშვენიერს და ახლა კი გარეგნობით საშინელს ახალგაზდა ჰაბუკს, რომელსაც არა მცირე ადგილი ეჭირა მის გულში; ჰხედავდა მის უიმედო მდგომარეობას, მის საშინელს ტანჯვას და შველა კი არ შეეძლო. საშინელი მდგომარეობა იყო ნინოს მდგომარეობა! ერთის მხრით სიკვდილის ზიზღი და მეორეს მხრით წმინდა სიყვარული მომაკვდავისადმი მწვავე ცეცხლად ეღებოდა საბრალოს გულს. ეს იყო?.. ოჰ რამდენი იმედი, რამდენი საო-

ცნებო სურათი ჰქონდა დაკავშირებული იასონის სახელოდან და ამ წუთში კი ყოველივე ჰქრებოდა, ყოველსავე რაღაც შავი ჩრდილი ეფინებოდა.

მხოლოდ ნინოს ქმარმა დაარღვია ეს საშინელი ღუმილი და დაუწყო იასონს ავადმყოფობის შესახებ ამბების გამოკითხვა... იასონი მოკლედ ეუბნებოდა პასუხს, რომელსაც საჭირო განმარტებას გიორგი აძლევდა. ნინო კი ჩუმად იყო და თვალეზე მომღვარ კრემლებს ჰყლაპავდა ფარულად, რომ ან თვითონ იასონისთვის არ შეემჩნევიდნენა ტირილი, ან ქმრისთვის.

— ნინო, წავიდეთ!—უთხრა ცოტა ხანს შემდეგ ქმარმა: მე საქმე მაქვს და ქალაქში უნდა წავიდე, შენც ბავშვი უნდა დააწვინო აწი!.. ავადმყოფისთვისაც მოსვენებაა საჭირო. ნინო არ ინძრეოდა, თითქო იმას არაფერი ეხებაო და ფართედ გახელილ თვალებით დასჩერებოდა ავადმყოფს, თითქო უნდა ზედ დააკვდეს და თავისი სული მის სულს შეუკავშიროსო.

— არ გესმის?.. რაღას უყურებ?...—გაიმეორა ქმარმა. დიად, რაღას უყურებს? მოქმედება გათავებულია და ფარდასაც ახლავე ჩამოუშვებენ. მართალია, გმირი ცოცხალია ჯერ კიდევ, მაგრამ ხომ უნდა მოჰკვდეს, მოჰკვდეს ახლავე და უკანასკნელი სულთ-მბრძოლის ყურება კი მხოლოდ განუფითარებელ ბრბოს შეჰშვენის. საბრალო ნინო! ოჰ, რას არ მისცემდა ახლა, რომ წარმოდგენა, რომელმაც სრულიად მოჰხიბლა, მოაჯადოვა და დაავიწყა ყველაფერი: თავის თავიც, ქმარიც, შვილიც, ქვეყანაც და ცაც, ჯერ არ გათავებულიყო და საუკუნოდ განგრძობილიყო, მაგრამ განგება, ეს თავისებური და მიუწოდომელი ავტორი, აქ სწყვეტდა მოქმედებას, აქ ათავებდა პიესას და ჰყლაპავდა უმთავრეს გმირს. ძაყურებელთაც აღარაფერი აღარ დარჩენოდათ იმის მეტი, რომ გასულიყვნენ სათეატრო დარბაზიდან და თავის კერძო ცხოვრებას დაჰბრუნებოდნენ. ამ წარმოდგენისა კი მხოლოდ მოგონება შეეძლოთ და სხვა არაფერი...



— მართლა, იასონს ვაჩვენებ ჩემს ბიქსა! — წამოიძახა უცებ სახე-ვაბრწყინებულმა ნინომ და უნდოდა წასულიყო და ეყვანა ბავშვი, მაგრამ ქმარმა რაღაც ჩასჩურჩულა და იმანაც დაიშალა დაღონებულმა.

— ახლა რა დროსია? სხვიმის ვერ მოესწრები? — სთქვა ხმა-მალა ქმარმა და გამოეთხოვა ავადმყოფს. იასონი მიხვდა, რაც უთხრა ქმარმა ნინოს და სთქვა:

— არა, არა!.. აქ ცუდი ჰაერია, საშიშია, ბავშვს ნუ შემოიყვანთ! ნინომ მწარედ ამოიოხრა და თითქმის ატირებული გავიდა ოთახიდან.

— როგორ გამოცვლილა, ვაკეთებულა, დაქალებულა! — უთხრა იასონმა გიორგის, როცა მარტო დარჩნენ.

— დედა! — სთქვა გიორგიმ და დააშტერდა იასონის სახეს, რომელიც თვალდათვალ ილეოდა, დნებოდა. ვის არ დასწვავს გულს ახალგაზდა ქაბუკის სიკვდილი, მაგრამ კიდევ უფრო საშინლად ჰმოქმედობს იგი ახალგაზდახედვე. ახალგაზდას გული უტყდება, როცა მომაკვდავ ახალგაზდას ჰხედავს, რწმენა ესპობა, იმედი ეკარგება. „განა ღირს წვალობდე, ეშხადებოდდე რაღაცასთვის, როცა არ იცი, რა გელის ხვალ?“ ჰფიქრობდა გიორგი: „საბრალო იასონი!.. უსარგებლოდ, ნაყოფ-გამოუღებლად ისპობა მისი სიქაბუკე, მისი სამაგალითო ნიჭი სწორედ მაშინ, როცა განვითარდა, მომწიფდა“.

იასონი თითქო მიხვდა, რასაც ჰფიქრობდა გიორგი, რომელიც ცრემლს ვეღარ იმაგრებდა და თვითონაც თვალეები აერია.

— „Не разцвѣтши, отцвѣлъ въ утрѣ пасмурныхъ дней\*)“, განა გიორგი?... ეჰ, რა ექნათ, ამხანაგი ბევრი მყავს, — დაიწყო იასონმა: გული მხოლოდ იმაზე მწყდება, რომ სრულიად არაფერი გამიკეთებია იმისთანა, რასაც შესძლებოდა ჩემი ცოტას ხნით მაინც არ დავიწყებამ ამ ქვეყანაზე!... იცო, რა გითხრა? ამ დილას მომავლანდა დობროლიუბოვის შესანიშნავი ლექ-

\*) აუყვავებულად დაქცა ნისლიან დღეთ განთიადზე.



სი, აი, ის ლექსი, მის თხზულებათა კრებულს რომ აქვს ეპი-  
გრაფად, გახსოვს?...

Милый другъ, я умираю,  
Отъ того, что былъ я честенъ,  
Но зато родному краю  
Вѣрно буду я навѣстенъ!

Милый другъ, я умираю,  
Но спокоенъ я душою,  
И тебя благословляю,  
Шествуй той-же стезею!\*)

ძლიერი ნათქვამია, მაგრამ მარალია და იმიტომ შევნიე-  
რია!.. ნეტავი იმას, ის არ მომკვდარა და არც როდისმე მო-  
ჰკვდება, სანამ კეთილს ფასი ექმნება! მისი ნაწერები არ მო-  
ჰკლავენ; მე... მე კი ვკვდები კვალ-წმინდად და აი, ესა მწყვე-  
ტავს გულს, თუმცა... იცი, გიორგი, მე ამ დობროლიუბოვის ლექ-  
სისებური ლექსი დაწერე ამ დილას... აი, წაიკითხე!.. იასონ-  
მა ბალიშ ქვეშიდან ამოიღო ქალაღდის ნაჭრები და გადასცა  
გიორგის, გიორგიმ აკანკალებულის ხმით და ცრემლების ყლაპ-  
ვით შემდეგი წაიკითხა:

რა ადრე ვკვდები,  
შენი ურგები,  
მრავალ-ტანჯულო საყვარელო, ჩემო სამშობლო!  
ცხოვრებამ მკაცრმა,  
სენმა საზარმა  
უცებ დამძლიეს, ჯერ ისევ ბავშვს მომიღეს ბოლო!

\*

ვკვდები და სულსა,  
შეწუხებულსა  
ის-ლა მიმშვიდებს, ნუგეშადა ის დამრჩენია,  
რომ, თუმც ხან-მოკლე,  
ჩემი სიცოცხლე  
ბევრ წმინდა გრძნობათ, მისწრაფებათ, სურვილთ მჩენია!...

\*) ძვირფასო მეგობარო, მე ვკვდები იმიტომ, რომ პატიოსანი ვიყავი, მაგ-  
რამ მაგიერად მშობელი ქვეყანა უეჭველად მიცნობდეს იქნება!

ძვირფასო მეგობარო, მე ვკვდები, მაგრამ სულით დამშვიდებული ვარ და  
შენც გლოცავ, რომ იმავე გზით იარო!

— იასონ!.. დაიძახა აღელვებულმა გიორგიმ არა თავის ხმით, როცა კითხვა გაათავა: ჩემო ძვირფასო, ჩემო საყვარელო იასონ!... და გადაეხვია თავის მეგობარს. ჩამოვარდა გულის შეშზარავი მღუმარება. ოთახში რალაც იღუმალი ძალა გამეფებულოყო. აშკარა იყო, საშინელი საიდუმლო ახლოვდებოდა.

— იასონ, გინდა, ჩვენს ამხანაგთა კრების გამო ვილაპარაკოთ!—დაიწყო პირველად გიორგიმ: შენ ხომ ძალიან გიყვარს იმათი ამბის გაგება.

— ჩვენის ამხანაგების, ამხანაგებისა... კარგი. მომიყევი, როგორ მიდის საქმე!—ძლიეს წარმოსთქვა იასონმა და გიორგიც ერთხელ კიდევ მოუყვა თავის მეგობარს მისგანვე დაარსებულ ამხანაგობის ამბავს. ავადმყოფს სახე გაუბრწყინდა, თვალები ცეცხლივით აენტო და უსმენდა, უსმენდა უკანასკნელად. გიორგი აღფრთოვანებით მოუთხრობდა, ვინ რას ჰკითხულობდა, ვინ რას სწავლობდა, ვინ რას სწერდა და განგებ აზვიადებდა და აფერადებდა ყოველს ნაბიჯს, შეგირდებისგან წინ ვადადგმულს; იასონი კი ჰკვდებოდა, ქვეყანას ესალმებოდა კმაყოფილი და ბედნიერი, რომ სულ უქმად არ ჩაუვლია ჩემს მოკლე, მაგრამ ბევრ ჭირ-ნახულ სიცოცხლესაო.

რამდენისამე დღის შემდეგ სასტუმროდან გამოასვენეს მიცვალებული იასონი. კუბო შეგირდებს მიჰქონდათ. ხალხი საკმაოდ მისდევდა ცხედარს, ნამეტურ ახალგაზღობა იყო ბევრი. კუბოს წინ ორი ყვავილისა და დაფნის ფოთლის გვრგვინიც მიჰქონდათ. ერთზე ეწერა: „ძვირფას მასწავლებელს და საყვარელ მეგობარს, მაღლიერი მოწაფე,“ მეორეზე: „დაკარგულ იმედს, ახალგაზღობა“. პირველი ნინოსაგან იყო, მეორე შეგირდებისაგან...

დუტუ მკგრეა



# გ ა ნ თ ი ა დ ი

მოთხრობა ეყისა

## XXIII\*)

პეტრეს მოულოდნელმა წასვლამ მოკრა ძალიან შეაწუხა. შვილმა რატომ არ შემატყობინა, თუ კი სადმე მიდიოდაო. ჯერ შშობლიურმა გრძნობამ ატკინა გული.

„ღმერთო!“ — სთქვა დედაბერმა გულში; — ეს ხო მესამე... და... უკანასკნელი იქმნება!“

მერე იფიქრა — ნეტა სად უნდა დაკარგულიყოვო? განა არა, ანკამ ვილაც ვლახის ქალის მოსვლა შემატყობინა; ის გლეხის ქალი მარიკა იყო; მაშ პეტრე წასული უნდა იყევსო. მაგრამ ჩემმა ქალმა ისიც რო მითხრა, საშინაო ტანისამოსით იყო და პალტოც არა სცმიაო? ოსმალებს ხომ არ დაუჭერიათ? ამ დროში ყველაფერი მოსალოდნელია, — სთქვა დედაბერმა თავის გულში. — ალბად, დაიჭირეს და მიმაღავენ. ამასაც შევიტყობ!“ — ინუგეშებდა თავს მოკრა: — კონაქში ბევრი მყავს ნაცნობებიო.

ანკას უბრძანა, არც მოსამსახურეებს და არც სხვას ვისმე, არ შესჩივლო შენი დარდი და არცა სთქვა სადმე — პეტრე გაიპარაო.

— თავი ისე დაიჭირე, ვითომ გასაოცარი არა მომხდარა, — დაარიგა ანკა დედამა, და თვითონაც ამ დარიგების თანახმად იქცეოდა; პეტრეს ამბავი არავისთვის უკითხავს, და მხოლოდ განსაკუთრებულის ხალისით ბაასობდა იმ მოხელეებთან,

\*) «მოამბე» № XI.

რომლებიც მის დუქანში მასტიკის სასმელოდ შედიოდნენ, ჩემს დვილოდ კი ძალიან სწყუხდა და თავის თავს ერთავედ იმას ეკითხებოდა, ნეტავ, რა მოუვიდა ჩემს შვილსაო.

პეტრეს წასვლის მეორე დღეს, ვახშამს შემდეგ, ანკამ დედას უთხრა:

— იმას თუ ეცოდინება, პეტრეს რა მოუვიდა.

— ვის იმას?

— ჩვენთან მოსვლას კი ველარ გაჰბედავს.

— ვინ არის, არ იტყვი?

— ჰაჯი ქრისტოს ქალი.

— ილენკა?

— ჰო, ილენკა.

— რატომ არ უნდა გაჰბედოს ჩვენსა მოსვლა?

— იმიტომ რომ მარტოდ-მარტო იყო პეტრესთან ოთახში. მე თითონ შევესწარი.

— რა იყო მერე?

— როგორ თუ რა იყო!.. თუ არ მეტი, მთელი სამი საათი ისხდნენ ორნივე ერთად. ჩემთან მოვიდა, ცოტა ხანს დაჰყო, მერე ოთახიდან გავიდა და დაიკარგა... მიკვირდა, რა იქნა ე ქალი-მეთქი... გლახის ქალი რო მოვიდა, შევედი პეტრესთან და ვნახოთ—ილენკა იქ კი დამხვდა... ჩემს თვალებს არ ვუჯერებდი... აღბად პეტრე ეტყოდა რასმე, რომ ისე დიდ ხანს ბაასობდნენ... როცა ბუქარესტიდან დაბრუნდა და ბოლგართა ლეგიონების ამბავი გვითხრა, ილენკამ, —მშვენიერად მახსოვს,—ჰკითხა—ომში რატომ არ წახვედიო?

მოკრამ რომ ეს ვითომ-და ბრალდება მოისმინა, ძალიან გაეხარდა, —ჩემი ვაჟა და ილენკა დაახლოვებიან ერთმანეთსაო, თვისის შვილის ამბავი კარგად იცოდა, —დარწმუნებული იყო, ახალგაზდა ქალს ურიგოსა და წრესგადასულს არასა ჰკადრებდაო, და ამიტომ ანკას სიტყვებს მნიშვნელობას არ აძლევდა. მაგრამ მეორეს მხრით, ისიც იცოდა, რა აღფრთოვანებული მამულის-მოყვარეობის გრძნობა უღვივოდა ილენკას გულში, და გაიფიქრა, ილენკა პეტრესთან მარტო ასე დიდ ხანს იმი-



ტომ თუ დარჩა, რომ საომრად გაეგზავნაო; ამიტომ მიმედი ჰქონდა, ილენკასაგან ცოტა-მატას გავიგებ რასმე პეტრეს ამბავისასაო.

„იმასა ვკითხამ“, — სთქვა გულში მოკრამ.

საჭიროა ჰაჯი-ქრისტოსას წასვლა, მაგრამ დედ მამასთან კი არას ვკითხავო; იმასაც კი არ ვიტყვი, რომ პეტრე სადღაც დამეკარგაო. მოკრა წავიდა მეზობლებისას და გაუბა დიასახლისის ლაპარაკი; როცა ჰაჯი ქრისტოს ცოლმა თავისი ავადმყოფობა შესჩივლა, მოკრამ ისეთის გულდადებით დაუწყოა ყურისგდება, თითქო საქმე ჩემს საკუთარ ავადმყოფობას შეეხებოა.

— გულის ფრიალი ხომ არ მოგდის? — ჰკითხა მოკრამა.

— ოჰ, ჯანემ, მომდის და აგრე!.. ხანდისხან ისე მიფრიალებს გული... რომ, ეს-ეს არი, ახლა გამათავებს-მეთქი.

— ოხ, შე საწყალო, მენანები!

— რა ვქმნა! — წუწუნებდა დიასახლისი, თან თავს აქნევდა.

— იცი, ერთი წამალი მაქვს, უეჭველად მოგარჩენს, — უთხრა მოკრამ, — ერთმა უნგრელმა ექიმმა მასწავლა.

— მიშველე, შენი ჭირიმე, მომეცი როგორმე!

— მოგცემ... აბა როგორ დაგიტერ! მხოლოდ იცი, რა გითხრა, — სთქვა მოკრამა, როცა ზეზე წამოდგა: — ილენკა გამომაცოლვე; ახლავე მოგირბენინებს. მერე დუქანში უნდა წავიდდე, და სახლში მხოლოდ საღამოზე დავბრუნდები, მანამდე რაღად უნდა იტანჯო!

— საიდან გამომიტყვრა ასეთი ავადმყოფობა, რომ არ ვიცი? თითქო ციდან მომეღვინაო! — წუწუნებდა დიასახლისი; მერე ქალს მიუბრუნდა და უთხრა: — მოემზადეო!

გზაში მოკრას ილენკასათვის არათფერი უთქვამს; შინ რო მივიდნენ, პეტრეს ოთახში შეიყვანა. ქალი კარებში გაჩერდა, თითქო ზღურბლზე გადაბიჯებისა ეშინიანო.

— შემოდი! — უთხრა მოკრამა: — პეტრე შინ არ არი.

როცა ილენკა შევიდა, დედაბერმა კარი ჩაიკეტა და ჰკითხა: — იცი, პეტრე სადღაც გაპქრა?

— გაჰქრა?— გაიკვირვა ილენკამ.

— ეს მესამე დღეა, შინ არ მოსულა.

— სად უნდა იყოს?

— ხომ არა იცი-რა, ხომ არასა ხარ მიხვედრილი?

— არა,— უპასუხა ქალმა და მხრები შეიშმუშნა.

— ომისა ხომ არაფერი გილაპარაკნიათ-რა?

— როგორ არა,— უპასუხა ილენკამ და მთლად აინთო.

— ხომ არ გისაყვედურებია, ომში რად არ მიდიხარო?

— არა,— უპასუხა ქალმა გადაქრით.— არა მისაყვედურებია-რა.

— ხომ კარგად გახსოვს— რაც ილაპარაკეთ?

— მე ვკითხე— რატომ კლადოვაში არა ხარ-მეთქი; იმან მიხეზი მითხრა; და მერე, როცა ეს მიჩვენა (თითით ალბომი ანიშნა), სხვა რისამე კითხვა ველარ გავუბედე.

— რატომ?— ჰკითხა მოკრამ.

— იმიტომ რომ, სამხედრო კაცებზე უფრო სასარგებლო-ნიც არიანო.

— რა იქმნა, მაშ სად არის ჩემი პეტრე?— სიმწარით წამოიძახა მოკრამა. შეხედა ილენკას და თვალეზში ის გრძნობა კი არ გამოჰხატვია, რა გრძნობითაც ოსმალებს თვალს უხვევდა, არამედ— გრძნობა დედობრივის წუხილისა, გრძნობა სიმწარისა და შიშისა.

— ვაი, მე უბედური!— წამოიკივლა გულის-გამგმირავის ხმით დედაბერმა.

— მოკრა...— დაიწყო ილენკამ და მიუახლოვდა დედაბერს.

— ეს უკვე მესამეა; მესამე!...— და დედაბერს თვალთავან ცრემლები გადმოსცვივდა. ილენკამაც ტირილი დაიწყო. მოკრამ ილენკას ცრემლები რომ დაინახა, გონს მოვიდა, ამოიოხრა და სთქვა: „დროა, საქმეს შევუდგე“. ამის შემდეგ წასვლა დააპირა, მაგრამ მოაგონდა საბაბი, რისთვისაც ილენკა წამოიყვანა, და გაჩერდა; — დედი-შენისათვის წამალს ახლავე გამოვიტან, ცოტა მოიცადე,— სთქვა აჩქარებით მოკრამა.



მოკრა მალე დაბრუნდა და ქალაქში გამოხვედნის წინ მალი ილენკას გადასცა და თან წამლის მოხმარებაც ასწავლა.

პეტრეს ოთახიდან ორივე ერთად გამოვიდნენ. მოკრამა ჰკითხა: „ანკასთან ხო არ შეხვალ?“

— ვერა, მოკრა, ვერ შევალ.

დედაბერი გაჩუმდა.

შვილის დაკარგვამ გაახსენა ის გზა, რომელზედაც მისი უფროსი შვილი იდგა და რომელმაც ბოლო მოუღო კიდეცა. უკვე წარმოდგინა ამ უკანასკნელ შვილის თავი, ქალაქის კარებთან დარქმულ ანძაზე წამოგებული; გული უკვდებოდა; მაგრამ ძვისის გრძნობის დაფარვა ისე ოსტატურად იცოდა, რომ ვერავინ შეატყობდა, რა მწარედ იტანჯებოდა. ეხუმრებოდა ოსმალებს და სრულიადაც არ შეჰკრთა, როცა არისტარხი-ბეა მივიდა და პირდაპირ უთხრა:

— შენი შვილი მშვენივრად იქცევა, მოკრა.

— იმედია, სხვაზე ურიგოდ არ იქცევა...

— აბა ვინ მოიფიქრებდა პეტრესაგან ამისთანა საქმესა!

— ყოველივე საფიქრებელია!...

მოკრას გულმა შემოჰკენესა. მიჰხვდა, რომ ოსმალთ უკვე რაღაც იციან, მაშასადამე, შემძლია ეკითხო კიდეცა, რა იციანო, და ამიტომ დაუმატა: — ღვთის წინაშე, მეც არ ვიცი, სად არის.

— მაშ შენთვის არ უკითხავს, როცა მიდიოდა?

— არა... რათ უნდა ეკითხნა?... პატარა ხომ არ არის!

— სისტოვის კაიმაქაანმა გვაუწყა პეტრესი და მის ამხანაგების ყოველი ამბავი.

მოკრა გაშრა; მოაგონდა, რომ სისტოვის მიდამოებში ჰაჯი დიმიტრიმ ხალხის აჯანყება უკვე დაიწყო.

— გადარეულები ყოფილან, — განაგრძო ბემი: — გაგონილა, სამი დღე ლოთობენ თურმე... ერთი, ცოტას გასწყდა, არ დამხვრჩვალა, მეორე — დაშავებულა... ფაშამ რომ გაიგო, ამ ლოთობაშებში მოკრას შვილიც ურევიაო, სთქვა: „აფერუმ, ჩვენო დოქტორო! ამაზე უკეთესი საბუთი საქირო არც კია, რომ ხონთქარის უერთგულესი ქვეშევრდომიაო“.



ამ სიტყვებში მოკრა მეტის-მეტად გააოცა. ბეჭეტი ვიღაც  
ლოთიბაშები და თან ხონთქრის ერთგული ხალხი ახსენა.  
თურმე მისი შვილიც იმათს შორის არის! რა ამბავია, ნეტაო!?  
მით უფრო ებნეოდა გზაკვალი, რომ ვერ მიხვდებოდა, რა შუაშია  
აქ სისტოვის ქაიმაქაიანის ნაუწყებო. ერთის სიტყვით, მთელს  
ამ დომხალივით არეულს ამბავში ერთი რამ იყო ცხადი: — იმე-  
დი, და ამ იმედს მნიშვნელობა ჰქონდა. უცდიდა ამოცანის  
ახსნას და მხოლოდ მგებუთე დღეს, როცა ღამე გატყდა კარ-  
გად, ეღიროსა მის ახსნას.

მოკრა დივანზე იჯდა, წინდასა ჰქსოვდა და ჰეტრეს ფიქრ-  
ში იყო. ერთბაშად ღამის სიჩუმეში მის სახლის წინ თოფი გა-  
ვარდა.

— ვუიმე, ღმერთო! — შეჰკივლა მოკრამა და წამოხტა დი-  
ვანიდან. ასევე შეჰკივლა და წამოხტა ზეზე მის გვერდით მჯდო-  
მარე ანკა. პირველ თოფის დაცლას, მეორე მოჰყვა, მეორეს  
მესამე.

— სტოიანი ხომ არ არის? — წამოიძახა ანკამ.

— რას ამბობ, ქალო, სტოიანს აქ რა უნდა? — ანუგეშა  
მოკრამ.

— კლადოვოდან მოვიდოდა ჯარი... — განაგრძო ანკამ  
აღტაცებულის ხმითა.

— გაჩუმდი, ერთი! — შეუტია დედამ, თუმცა თვითონაც  
არ იცოდა ამ თოფების გრიალის მიზეზი.

მოსამსახურეებმა საჩქაროზე მოიბრძინეს. ამასობაში, პატა-  
რა დავიცადოთ-და, მოისმა მესამე, მეოთხე, მგებუთე სროლა  
თოფისა.

ქუჩიდან რალაც ფაცა-ფუტის ხმა მოდიოდა, და ამბვე  
დროს ალაყაფის კარებს დაუწყეს ბრახი-ბრუხი.

მოკრა უცებ გადასხვაფერდა. კაცს ეგონებოდა, დედაკა-  
ცი კი არა, სარდალია და ჯარს მიუძღვის წინ, მტრის უეცა-  
რის თავს-დასხმის დროსაო.

— ალაყაფის კარები გაიმაგრეთ! — მიჰმართა მან მოსამსა-  
ხურეებს, — ურდული გაუყარეთ! მხოლოდ ჩვენები შემოაუშვით!...



უანდარმებს მე თვითონ გავუღებ. ჩვენიანები ყველა ბაღში გაგზავნეთ!... შენ კი, — განაგრძო მოკრამ და მიჰმართა ანკას, როცა მსახურნი მოშორდნენ, — ბალის შემოსავალთან დადექი და ყველანი ჰისაკენ გაუშვი. მე თვითონ იქ ეიდგები.

ეს განკარგულება რო გასცა, მოკრამ ხელში აიღო თუნარი, ასანთი და ბაღში გამოიქრა. რამდენსამე წამს შემდეგ ყველანი თავ-თავის ადგილას იდგნენ; მსახურნი ალაყაფის კარებთან დადგნენ დარაჯად, ანკა — ბალის შესავალში იდგა; დიასახლისმა ჯა აირჩია სადარაჯოდ.

მოხუცმა კოსტამ ალაყაფის კარები მაგრად დაჰკეტა, მერე მისი პატარა თვალი გამოაღო და გასძახა: — ვინა ხარ?

— მე ვარ, — მოესმა პასუხად, და ხმაზედ პეტრე იცნო.

კოსტამ შემოაუშვა და ყველამ ერთხმად შესძახეს: — ბაღში! ბაღში!

— რაღა? — ჰკითხა პეტრემ.

— ქალბატონმა გვიბრძანა — შინაურები ყველანი ბაღში გაუშვითო.

— ჩემს გარდა აქ არავინ შემოვა.

— ბაღში! ბაღში! — დაჟინებით გაიძახოდნენ მსახურნი, რომელნიც უარესად შეაშინა ახალმა თოფის სროლამ, — ქალბატონმა გვიბრძანა!

პეტრემ ბალისაკენ გასწია; შესავალში ანკა დახვდა; ძმის დანახვამე ქალი გაოცდა.

— ქალო, რა ამბავია?.. — ჰკითხა პეტრემ.

— გვეგონა, — კლადოვიდან ჩვენები მოვიდნენ, — ისეთი თოფის სროლა ატყდა.

— დედა სადღაა?..

— ჯასა ჰდარაჯობს.

მოკრას ძალიან გაეხარდა შეილის ნახვა. პეტრემ ყველაფერი უამბო. მოკრაც დამშვიდდა, თუმცა თოფის სროლა კი ჯერ კიდევ არ შეწყვეტილიყო. თოფის ხმა თან-და-თან შორიდან მოდიოდა. ბოლოს, სულ მიწყნარდა ყოველივე. ვახშამზე პეტრე მოჰყვა, როგორ წავედი, რას ვაკეთებდი ამ დროს

განმავლობაში და როგორ დავბრუნდიო. მეტის-მეტ ლოთობის გამო, რა თქმა უნდა, ვერაფერი ნადირობა მოგვივიდა. იმის მაგიერ, რომ ან კურდღლები, ან გარეული ქათმები დავგვხოცა, ან კიდევ სხვა რამე გარეული ფრინველი, თოფს ვესვრიდით ცხვრებს, ხბორებს, თხებს, ძაღლებს, ქათმებს და შინ გაზდილ ბატ-იხვებსაო. ასეთს ნადირობაში, ცოტას გაწყდა, რამდენიმე კაციც არ შემოგვაკვდაო. ბოლოს, მოქეიფე მონადირენი რუ-შჩუკში დავბრუნდით. მე აქ გადმომსვეს და, გამოთხოვების ნი-შნად, თოფების სროლა ასტეხეს. მოვიდა პოლიცია; ქვევითი და ცხენოსანი ქანდარმები იქითკენ გაექანნენ, საითკენაც თო-ფის ხმა მოისმოდა და ეტლს კი წააწყდნენ, რომელშიაც ჩე-ენი მონადირენი ისხდნენ. ყველანი მთვრალეები იყვნენ, თვით მეეტლეც კი. ნახეს, რომ მეეტლე საელჩოს კავასი იყო, ხოლო ბატონები—ინგლისისა და იტალიის საელჩოში მოსამსახურენი. ამისთანა მოხელეთა საერთაშორისო ხელ-შეკრულობის ძალით ხელს ვერაფერ ახლებს, და, მეეტლე რო მთვრალი არა ყო-ფილიყო, ქანდარმებიც თავისს გზას გაუდგებოდნენ. მაგრამ, რადგანაც საკონსულო კავასს ცხენების მართვა აღარ შეეძლო, ამიტომ ქანდარმები ეტლს ჯერ ინგლისის საელჩოში გაუ-ძღვნენ, მერე იტალიისაში. სანამ ქანდარმებს ცხენები მიჰყავ-დათ სადავითა, ბატონები თოფს ჰაერში ისვროდნენ და მხო-ლოდ მაშინ დაწყნარდნენ, როცა მხრებში შეეუსხდნენ და თავ-თავიანთს სადგომებში შეიყვანეს.

— შენ ის მითხარი, ისინი ხო წავიდნენ?—ჰკითხა დე-დაბერმა.

— წავიდნენ...—უბასუხა პეტრემა და ამით გათავდა მა-თი ლაპარაკი კომიტეტის აგენტების შესახებ.

რა თქმა უნდა, ფიქრად არავის მოსვლია მცხოვრებთა-თვის აენაზლაურებიანთ ის ზარალი, რა ზარალიც საელჩოების მოხელეებმა მიაყენეს. დაპრილებს უთხრეს... როგორც გერ-ჩიოსთ, ისე მოიჩინეთ თავიო, ხოლო იმათ კი, ვისაც ცხვრები, ხბორები და სხვ. მოუკლეს... უფლება ჰქონდათ... დამსხდარი-ყვნენ და ეგლოვათ თავიანთი დანაკარგი. ოსმალებს ყოველ-



თვის უხაროდათ ხოლმე, როცა უცხოელთ ადგილობრივ მცხოვრებთა თვალში სახელი უტყდებოდათ. რა თქმა უნდა, ევროპის სახელმწიფოთა ამის შესახებ არაფერი იცოდნენ, რადგან საელჩოებში მოსამსახურენი იშვიათად თუ იყვნენ ხოლმე რიგიანნი.

ამ შემთხვევაში ინგლისისა და იტალიის საელჩოებმა პეტრეს დიდი სამსახური გაუწიეს, ამიტომ რომ ზემოთ-აწერილ ნადირობის შემდეგ მასა და მისს სახლს პოლიცია თვალ-ყურს არ ადევნებდა. ეს ამბავი ფაშამ პირადად გამოუცხადა პეტრეს.

— აქამდე არ გენდობოდი... დოქტორო. თუმცა მე დიდს პატივსა გცემდი და ამ პატივის ღირსი ხარ კიდევცა, მაინცა ვფიქრობდი: *grattez le Bulgare, vous y trouverez un Russe* \*). ახლა კი ვხედავ, რო ვცდებოდი.

— ეგ ჩემთვის თავმოსაწონი სრულებით არ არის, თქვენო აღმატებულესობავ, — უთხრა პეტრემ.

— რა ვუყოთ!.. *Une folie*, — მიუგო ფაშამ: — სიყმაწვილე სიყმაწვილეს უნდა ჰგავდეს.

მას აქედ ფაშას ყოვლად რიგიან და სანდო კაცად მიაჩნდა პეტრე. ხოლო ეს ყოვლად რიგიანი კაცი „კანონის საწინააღმდეგო“ მოქმედებაზე ხელს არ იღებდა. მოკრას ოსტატობისა და ნაცნობების წყალობით, ისეთს ამბებს ატყობინებდა ბუქარესტში ამხანაგებს, რომ ფაშა და არისტარხი-ბეჯ სახტად რჩებოდნენ; გარდა ამისა, მონაწილეობას იღებდა ადგილობრივს კომიტეტში, ეხმარებოდა ფულით, აძლევდა რჩევა-დარიგებას და, საზოგადოდ, მხნე წევრი იყო კომიტეტისა; ერთის სიტყვით, საიდუმლო საქმე ოსტატურად მიჰყავდა. ოსმალის მმართველობის შევიწროება ბოლგარეთში, აი, ასეთს ოსტატობასა ჰბადავდა, ხოლო სასტიკი ღონისძიებანი — როგორც მაგალ. კატორღაში გაგზავნა, ასო-ასო დაქრა, საბრჩობელა, მოკრილ თავების ანძებზე ჩამოგება ამ ოსტატების ხასიათსა და გამბედავობას აორკეცებდა ხოლმე. პეტრეს ის ორი ძმა რომ არ დაჰხოცოდა, შეიძლება, თვითონაც სტოიანსა და ნი-

\*) ბოლგარელი რო გაფხიკო — რუსი დაგრჩება ხელშიო.

კოლასავით ემოქმედნა; მაგრამ ოსმალებმა თვითონვე გააჩინეს გაწურთენილი და დახელოვნებული შინაური მტრები.

პეტრეს დაკარგვა ილენკას ძალიან აკვირვებდა, მით უფრო, რომ მოკრა ეკითხებოდა: პეტრე შენის გავლენით ხომ არ წასულა ომში. თვითონ ილენკა ამას თავისდღეში ვერ მოიფიქრებდა, მაგრამ როცა ჰკითხეს, შეეცადა მთელი ბაასი მოეგონებინა, და ის იფიქრა, რომ, ალბად, ჩემმა სურვილმა „წითელის ჯვრის“ საზოგადოებაში შესვლისამა გასჭრა პეტრეზეო.

„თუ მე, ქალმა, მოვინდომე ომში წასვლა, პეტრეს, როგორც ვაჟს, ალბად, შინ დარჩენისა შერცხვაო.“ აი, ეს დაასკვნა ილენკამა და სთქვა: „აჟსუს!.. ძალიან მეცოდება!“

ნიკოლაზე კი თავისდღეში არ უთქვამს — მეცოდებაო. დარწმუნებული იყო: ნიკოლა კლადოვაში არისო, და ხშირადაც იყო იმის ფიქრში... ყმაწვილი კაცი ისე ეხატებოდა თვალ-წინ, ვითომ აცვია მუნდირი, ჰხურავს ფრთიანი ქუდი, ლეკური არტყია, თოფი მხარზე გადადებული აქვს და წელში რევოლვერები ურჭვიაო. ოცნებობდა, ვინ იცის, რა გმირობას იჩენსო და უხაროდა — აქამდის თავს ისახელებდაო. მაგრამ ის კი თავისდღეში არ გაუფიქრნია; „მეცოდებაო.“ პეტრე კი ძალიან ეცოდებოდა. ოღონდ პეტრე ისევ დაბრუნდეს, და მზადა ვარ ბევრი რამ შეესწიროვო. და ნიკოლა მაშინ რომ იქ ყოფილიყო, უეჭველად ეტყოდა: — წადი, საცა იყოს, პეტრე მონახე და აქ მომგვარე, უიმისოდ ტყუილად ნუ მოხვალა!

ძნელი წარმოსადგენი არ არის, როგორ გაეხარდა ილენკას, პეტრეს მოსვლა რო გაიგო. ანკას არ დაერიდა და იმათსა ხელახლა წავიდა. ისეთი დრო კი შეუჩიოდა, როცა პეტრე უეჭველად სახლში დაჰხვდებოდა. მაგრამ იმ დროს მისვლა, როცა პეტრე შინ იყო, ჯერ კიდევ იმას არა ჰნიშნავდა, რომ უთუოდა ჰნახავდა იმასა. ვინ იცის, მის იქ ყოფნაში ილენკა რამდენჯერ მისულა, მაგრამ პეტრე არც კი დაჰნახებია, თუმცა იცოდა ხოლმე, ილენკა აქ არისო. წიგნების კითხვაში ძალიან გართულიაო! წიგნები რომ არ მიშლიდეს... ილენკა ახლაც



არ იყო დარწმუნებული, პეტრეს ნახვდა თუ არა. მაინც წავიდა.

მოკრას ეზოში რო შევიდა, ილენკას მოაგონდა, კოსტას უკუდოდ დაბადებულ ბატკნის ამბავი უნდა ვკითხოვო. ამაზე მთელს უბანში ბევრი ილაპარაკეს, მაგრამ ახლა კი ყველას დავიწყებული ჰქონდა. ილენკას ერთბაშად მოაგონდა და მონდომა შეეტყო, რა შეემთხვა იმ ბატკანსაო. ამიტომ, კიბეზე კი არ ავიდა, თავლისაკენ გასწია, მაგრამ, რადგან ზვითონაც არ იცოდა, კოსტა სად იყო, ძახილს მოჰყვა:—კოსტა! ა, კოსტა!...

ილენკა ცოტა ხანს გაჩერდა. მაგრამ კოსტა აღარ გამოჩნდა. «არა უშავს, უკუდო ბატკნის ამბავს სხვა დროსა ვკითხავ»,—უთხრა თავის-თავს ქალმა და კიბისაკენ წავიდა. ამ დროს ეზოს ბოლოში მოსამსახურე გოგო დაინახა, რომელიც ბრინჯსა ჰრეცხდა.

— კოსტა სად არი?—დაუძახა ილენკამ.

— კოსტა აქ არ არი, წისქვილში წავიდა.

ახლა დანამდვილებით შეეძლო კაცს ეფიქრნა, რომ პეტრე, თუ არ დაყრუვდა, ილენკას მისვლას უეჭველად გაიგებდაო.

ილენკამ კიბეზე ნება-ნება იწყო ასვლა; პეტრეს ოთახის კარებთან გავლის დროს ერთიცი ჩაახველა. ამ დროს კარი გაიღო და პეტრე გამოვიდა. ქალს ესმოდა ესა და ჰხედავდა კიდევცა, მაგრამ თითქო აქ არაფერიაო, ისე მიდიოდა წინ, მხოლოდ ფეხი ააჩქარა; ანკასთან რომ შევიდა, მიესალმა, ფერეჯია და იაშმაქი მოიხსნა და, ის ის იყო, უნდა დამჯდარიყო, ამ დროს პეტრეც შემოვიდა. ილენკას თითქო გაუკვირდაო.

— ვუი!... მე მეგონა, შინ არ იყავი-მეთქი!

— მართალია, არ ვიყავი, მაგრამ მოვედი.

— სად იყავი?

— შორს არსადა,—იანტრის მიდამოებში ვიყავი.

პეტრემ უამბო, გამიტაცეს და მიძულეს ისეთს დროს-გატარებაში მიმელო მონაწილეობა, რომელიც ქირივით მეჯავრებო.

— მაშ ნადირობა არ გიყვარს?

— ნადირს ვერ მოვკლამ,—მეცოდება. ნადირის ხორცი კი მიყვარს; მაგრამ ტყეში როცა არიან, მათი ძილის დაფრთხობა ცოდვად მიმაჩნია.

— რა ვიცი, დიდს ხანს კი ნადირობდი-და!...

— ხუთი დღე... მე მხოლოდ სხვას თვალს ვუხვევდი; ჩემს ამხანაგებს კი, თუმცა უნდოდათ, მაინც არ შეეძლოთ ნადირობა.

— არ შეეძლოთ?!—გაიკვირვა ილენკამ.

— გარემოება ხელს არ უწყობდათ სანადიროდ.

— თქვი რაღა, ლოთობდნენ-თქო,—შენიშნა ანკამ, რომ ბელიც ვერ მიმხედარიყო, იტალიელთ და ინგლისელთ ჩემი ძმა ხელს რას აფარებსო.—მთვრალეები—წავიდნენ და მთვრალე-მივე დაბრუნდნენ.

— დიდის ზეიმით კი დაბრუნდნენ, აი,—შენიშნა პეტრემ.

— ჩვენც გვესმოდა, თოფებს რომ ისროდნენ,—სთქვა ილენკამ.

— ზოგი ჩვენა გვკითხე,—როგორ შევშინდით!.. მეგონა, კლადოვიდან ჩვენები მოდიან-მეთქი.

— ე რა საფიქრებელი იყო?!—გაიკვირვა პეტრემ.—სად კლადოვა და სად რუმჭუკი! ესეც რომ არ იყვეს, ციხეში შემოსვლა ისე საადვილო საქმე ნუ გგონია!

— ციხესთან მე რა საქმე მაქვს! თოფის ხმა რო გავიგონე, შიშით კინალამ გული არ გამისკდა; და როცა მომესმა, რომ ალაყაფის კარებს აკაკუნებდნენ, ვიფიქრე, ჩვენები მოსულან-მეთქი.

— ჩვენები კლადოვაში არ არიან.

ქალებმა პეტრეს ცნობის-მოყვარეობით შეხედეს. პეტრემაც განაგრძო:—წასულან.

— რაღა?

— როგორ თუ რაღა? საომრად... ომი მარტო ერთს აღგილას ხომ არ არის ატეხილი!...

— ოსმალებიც დადიან საომრად?—ჰკითხა ანკამა.

— დადიან, მაშ, — უპასუხა პეტრემ ღიმილით.

— მაშინ ისინი თავს არიდებენ, არა?

— ყოველთვის არა. ოსმალები კარგად ომოზენ.

— ჩვენებზე უკეთესად ხომ მაინც არ იბრძვიან; ნეტავი, ვიცოდე, როდის მოვლენ აქ და რომელ კარიდან შემოვლენ?

— ისა მკითხო, რა გზით შეიძლება მათი აქ მოსვლა?

— ვიცი: გემით მოვლენ, დუნაიზე ან რუმინიის რკინის გზით.

— ჩემს ოთახში წამოღით, გზას რუკაზე გიჩვენებთ, — უთხრა პეტრემ. უნდოდა ლაპარაკისათვის მეტი ხალისი მიეცა. — წავიდეთ, — განიმეორა ყმაწვილმა კაცმა, მიჰმართა-რა ქაღალცი: — რუკას გავშინჯავთ და მაშინ უფრო კარგად გავიგებთ ყველაფერს.

ანკა ცოტათი შეეყოყმანდა, ბოლოს, ადგა, მერე იღენკაც მიჰყვა. ერთს წუთს შემდეგ ქალები სავეროპიო ოსმალების რუკის წინ იდგნენ. პეტრემ ყველაზე უწინ რუშჩუკი უჩვენა და იმის მიხედვით ანიშნებდა მთებსა, მდინარეებსა და სამზღვრებსა. შემდეგ ბოლგარეთი შემოუხაზა ბალკანსა, დუნაის, შავის ზღვის და სერბიის საზღვარს შუა მოქცეული. მერე უამბო რუმინიას გარემოება, — ეს სხვათა ქვეყანა არისო, და მისს საზღვარზე გადასვლა არც სერბიას, არც ოსმალოს და არც ბოლგარეთის ჯარს არ შეუძლიანო. გამოიანგარიშა, რა მანძილი იყო რუშჩუკსა და სერბიის საზღვარს შუა და ჩამოუთვალა ის დაბრკოლებანი, რომელნიც უნდა სძლიოს ყველა ჯარმა, ვინც ამ გზაზე განიზრახავს გავლასაო. ამ განმარტებამ, როგორც ეტყობოდა, ქალები დააღონა.

— როგორ? — ჰკითხა ანკამ: — მაშ ისენი ჩვენთან ვერ მოვლენ?

— ძნელია იმედი ვიქონიოთ.

— მაშ რის იმედი უნდა გვქონდეს?

— აი, შეხედეთ... — პეტრემ მთის ქედზე მიუთითა, რომელიც ზღვის ნაპირებიდან იწყებოდა და სერბიის სამზღვრებს აწყდებოდა. — აი ჩვენი ბუნებრივი ციხე. თუ ამ ადგილში გა-



ვმაგრდით და ერთხელ, ორჯელ, სამჯელ ოსმალები დაემაძრ-  
ცხეთ, მაშინ მეზობელი ხალხებიც თავს წამოპყოფენ; აჯან-  
ყდებიან ისინიც, რომელთაც ტუნჯისა და მარიცას ქვეყნები  
აქვსთ დასახლებული; აჯანყდებით ჩვენცა, დუნაის სანაპი-  
როების მცხოვრებნიცა, და, თუ მწყობრად და შეთანხმებით ვი-  
მოქმედეთ—ჩვენს ბოლგარეთს განვათავისუფლებთ. აი, ამის  
იმედი უნდა გვქონდეს!

ქალები ფიქრმა წაიღო და თან რუკას დასცქეროდნენ.

— თუ ასეა, მაშ ჩვენმა ბოლგარელებმა ეს ლეგიონი რად  
შეადგინეს? — ჰკითხა ანკამ.

— იმიტომ რომ სამხედრო საქმის მცოდნენი გვჭირია.  
ამისთანები ჩვენ არა გვყვანან. ოსმალები კიდეც ნებას არ გვაძ-  
ლევენ, იმათს ჯარში ვმსახურებდეთ.

— ძალიან საჭიროა! ყველას შეუძლიან იომოს.

— არა, ყველას არ შეუძლიან, — უპასუხა პეტრემ: — მუ-  
შტი-კრივსაც კი ცოდნა უნდა. ხომ გაგიგონიათ ინგლისელ  
მოკრივეთა ამბავი?

აღმოჩნდა, რომ ანკამ იმათი არა იცოდა-რა. პეტრემ რა-  
ღაც სქელი და სურათებიანი წიგნი აიღო და ის ადგილი მო-  
ნახა, სადაც მოკრივენი იყვნენ სხვა-და-სხვა სახით დახატუ-  
ლნი.

— ხო ჰხედავ, ამასაც ცოდნა უნდა; სამხედრო საქმის  
შესასწავლად საგანგებო სკოლებია დაარსებული. ასეთი სკო-  
ლები ჩვენ არცა გვქონია და არცა გვაქვს. აი ჩვენებიც ლე-  
გიონში მიდიან და იქა სწავლობენ.

— სამხედრო სკოლაში შენ ხომ იყავი? — ჰკითხა ანკამ.

— ვიყავი.

— კიდეც იმიტომ არ წახვედი საომრად, განა? — არ ეშვე-  
ბოდა დაჲ.

ილენკამ პეტრეს იმნაირად შეჰხედა, თითქო ეუბნებოა:  
„ახლა კი მესმისო“.

პეტრემ ანკას არა უპასუხა-რა. დაჲ ეკითხებოდა ლეგიონ-  
ნების ამბავსა, მაგრამ ბევრი ვერაფერი უთხრა. ლეგიონების



ბედ-იღბლის გაგება ანკას იმიტომ უნდოდა, რომ სტოიანიტი იმათში იყო. აქამდე იმედი ჰქონდა, — რუსულებში ვნახამ მალეო, მაგრამ ამ იმედზე ხელი უნდა აეღო, და ამიტომ სცდილობდა, რაც შეიძლება, დაწვრილებით გაეგო, რა ბედი და უბედობა მოელოდა სტოიანსა.

წინაღ ისე ეგონა, სტოიანი მტერს უცბად დაამარცხებს და ჯვარის დასაწერად წავალთ ეკკლესიაშიო. ახლა კი დარწმუნდა, ყველაფერი ეს ოცნებაა და ნამდვილად ეს ასე არ არისო. მაინც, რა გზა ჰქონდა, უნდოდა შეეცვალა საგანი ლაპარაკისა. დაჯდა დივანზედ და ყურადღება მავთულებს მიაკცია.

— რას არ გამოიგონებს ე ჰერმანელი! — გაიკვირვა ანკა და მავთულები ყუფთუქის ბალიშებს დაადარა. ბოლოს, აღმოჩნდა, რომ ერთიცა და მეორეც კარგები ყოფილა.

ილენკა ამასობაში რუკის წინ იდგა და ბალკანებს გულდადებითა ჰშინჯავდა. უნდოდა პეტრესათვის ბევრი რამ ეკითხნა, მაგრამ ანკასი რცხვენოდა. ბოლოს, ანკა წავიდა; მეტი ღონე არა ჰქონდა, ილენკაც უნდა წასულიყო. ილენკას შემდეგ პეტრეც გამოვიდა ოთახიდან და, რაკი დაინახა, ილენკა ცოტა უკან ჩამორჩაო, წასჩურჩულა:

— ნიკოლამ მოკითხვა შემოგითვალა.

ილენკამ შეჰხედა და გაიღიმა.

## XXIV

არც ისე დიდი ხანია მას აქედ, — 1877 და 1878 წლებში, ბოლგარელთ ძალიან შესანიშნავი დღე გამოსცადეს. სიცოცხლის მაჯამ ჩქარა დაუწყო ცემა როგორც იმათ, ვინც არ იცოდნენ, ხელი რისთვის ჩაეკიდნათ, ისე იმათაც, ვინც უკანასკნელის ათის წლის განმავლობაში იმ საქმეს ადგნენ, რასაც პატივცემულნი და დარბაისელნი სისულელედა სთვლიდნენ. ბოლგარეთის აჯანყება ამ მოსაქმეობის შედეგი იყო. ამ აჯანყებამ იფეთქა ფრიად გარკვეულის აზრითა, მაგრამ დიდად მოუფიქრე-

ბელი საქციელი კი იყო. გარნა ეს დაუფიქრებლობა ცხადად ჰმოწმობდა, რომ ხალხი არ მომკვდარა, თავის თავისათვისა ჰზრუნავს და რომ ამ ხალხს ისეთი წადილი გაჰღვიძებია, რომელიც, მზად არის, იყიდოს, რადაც უნდა დაუჯდეს. ოღონდ ეს წადილი აესრულებინა და, რაც ჰქონდა და ებადა, არაფერს იშურებდა, — უნდოდა თავისის სისხლის დაქცევით ეყიდნა მისი განხორციელება.

მთელს ევროპას მოედო საშინელი ამბავი ბოლგარეთის აჯანყების შედეგისა.

პეტრემ, როგორც ვიცით, ბუქარესტში კომიტეტი გააფრთხილა ფაშას პირითა, და ეს გაფრთხილება ცარიელი სიტყვა როდი იყო. პორტამ გადასწყვიტა, ბოლგართა პატრიოტული მისწრაფებანი სისხლის მორევში ჩაეხრჩო და ეს გადაწყვეტილება აასრულა კიდეცა. ყველა ადგილები, სადაც კი ხალხმა აჯანყება დააპირა, ადამიანის საყასბოდ იქცა, ყველაფერი იმუხრებოდა.

ჰხოცავდნენ მოხუცებს, ახალგაზრდებსა, ჰხოცავდნენ ქალებსა, ბავშვებსა. მთელი სოფლები ლეშებით მოიფინა, და ადამიანთა გვამებს ტყის ნადირნი და ფრინველნი თავს დასტრიალებდნენ. ოტტომანის პორტას პრინციპი იმასა თხოულობდა, რომ ურჩნი სასტიკად დასჯილიყვნენ კიდეცა.

ბალკანში მომხდარ ამბებსა რუშჩუკმა მოსცა კენესით ბანი. პირველში ყველანი გარინდნენ, მერე ქალებმა ჩუმად ტირილი იწყეს, კაცებს კიდეც ენა ჩაუფარდათ, დამძარებულთა. როცა პეტრემ წაიკითხა თავისს ოთახში წერილი, სადაც ეს უბედურება იყო აწერილი, სახეზე ნაცრის ფერი გადაედო. ჯერ კიდეც გონს ვერ მოსულიყო, ისე ოთახში მოკრა შემოვიდა და მის წინ გაჩერდა. ერთხანს დედაბერი ხმას არ იღებდა. მოკრა შვილს შიგ თვალებში უცქეროდა და ბოლოსა სთქვა:

— რა ვქმნათ!... ღეთის ნებაა.

პეტრეს უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ დედამ არ დააცა-ლა.



— მე ეგვე ვსტქვი, როცა შენი უფროსი ძმა მოვედარა და როცა შენი უმცროსი ძმა მოჰკლეს. მაშინ დიდი უბედურება არ მომხდარა, ახლა კი ჩვენს თავს დიდი უბედურებაა... რა ვქნათ?

— გული მიკვდება, დედი, გული! — ამოიკვნესა პეტრემ; — სინილისი მაწუხებს... — მე ახლა ძველ-ზაგორაში უნდა ვიყვე და არა აქ!

— ამას ნუ ამბობ, შვილო, ნუ... ჯერი შენც მოგიწევს.

— აგრე გგონია?

— მაშ არა?... ღმერთი სამართლიანია!... ვიტყვით, ვინც დაიხოცნენ, მაგრამ ვინც ცოცხლები დარჩნენ, იმათთვისაც უნდა ვიზრუნოთ.

პეტრე დაიხარა. მოკრამ თავზე ხელები მოჰხვია და აკოცა. როცა სკამზე ისევ გასწორდა, თვალებზე ცრემლები მოადგა.

— შეიძლება, ამაზე უარესი დღე დაგვადგეს, — სთქვა დედაბერმა. — გახსოვდეს, შვილო, მარტო შენ არა ხარ. შენს მაგივრად თავი დასდო შენმა უფროსმა ძმამ, იმას მიჰბაძა და თავი დასდო უმცროსმაც.

ამ სიტყვებით უსწავლელმა დედაბერმა გამოხატა, შეიძლება, არა სრულის ცნობიერებით, ლოგიკის ის კანონი, რომლის თანახმად საპოლიტიკო ამბები იჩენს ხოლმე თავსა.

მაგრამ ყველანი ასე როდი ჰფიქრობდნენ.

— მოკრა, ის ის იყო, შვილის ოთახიდან უნდა გასულიყო, ისე ილენკა შემოიჭრა. ამ ხელად ქალი პეტრეს ოთახში პირდაპირ შემოვიდა. ფერი სრულებით არ ედო და გონება დაჰფანტოდა. პეტრე აღგა. ქალი შეჩერდა და აკანკალებულის ხმით წამოიძახა:

— ადრესი!...

ეს სიტყვა 1878 წლიდან პატროსანის ხალხის საფრთხობელად გადაიქცა. იმ ხანებში მცხოვრეთ „თავის“ ნებით“ უნდა მიერთმიათ მადლობის ადრესი, სადაც ჯერ იყო, ჰაჯი დიმიტრის ჩეტის გაწყობისათვის. ახლა რილასთვის უნდა ეთქვათ მადლობა? იმისთვის, რომ უიარაღო ხალხი ასობით აჰკათეს!...?

— ადრესი!... — განიმეორა ილენკამ: — მამა... მამა ჩემი შენს ნახვას აპირებს... სადაც არი, მოვა! — ესა სთქვა თუ არა, ქალი ანკასთან წავიდა.

ადრესის გაგონება მით უფრო თავში-საცემი იყო, რომ წინანდელი განათლებული, ზრდილობიანი გუბერნატორი ახლა სხვა თანამდებობაზე იქმნა გადაყვანილი, და მის მაგივრად ვილაც უგვანი დესპოტი დაენიშნათ. წინანდელი გუბერნატორი, თუ იტყოდა, გადაკვრით იტყოდა, „საჭიროა ნებაყოფლობით იქმნას შედგენილი ადრესიო“, ეს კი უბოდიშოდ, პირდაპირ, უბრძანებდა ხოლმე, შეადგინეთო. რადგან ჰაჯი ქრისტომ, სკოლების მოსპობის თაობაზე უქვეშევრდომესის ადრესის ავტორმა, მთავრობის ყურადღება მიიქცია, ახალმა ფაშამ აღიუტანტი გაუგზავნა და უბრძანა, „ნებაყოფლობითი ადრესი“ დაეწერა და სხვებისათვის ხელი მოეწერინებინა. ჰაჯი ქრისტო უამისოდაც ემზადებოდა ამის მსგავსი-რამ მოექმედნა. მომხდარ ამბების გაგონებამ ძალიან დააშინა და ერთად-ერთი ხსნა, იმის აზრით, ის იყო, რომ ოსმალების წინაშე პირქვე უნდა დამხობილიყო და ისე გამოეცხადებინა, — „ავაზაკებთან“ არავითარი დამოკიდებულება არა მაქვსო. ამიტომ, როცა ბრძანება მიიღო, სთქვა, ეს იმისი ნიშანია, მთავრობა განსაკუთრებულის კარგის თვალთ მიყურებსო. და სიამოვნებითა და ხალისით შეუდგა თავდარიგს ადრესი დაეწერა და ქვეშ კიდევ ყველასათვის ხელი მოეწერინებინა.

— კარგი, ეფენდიმ, — უპასუხა ჰაჯი-ქრისტომ აღიუტანტს: — ქალაქის საბჭოს პირველ სხდომაზედვე მოვახსენებ.

— არა, — უთხრა აღიუტანტმა: — კრებაზე ოსმალები და ურიებიც ესწრებიან, რომელნიც არა სჯანყდებიან ხოლმე; ისინი ფადიშაჰის ერთგულნი არიან. მხოლოდ თქვენ, ბოლგარელები, ხართ შფოთის მოყვარენი და ამიტომ თქვენ უნდა თქვენ-შორის შეადგინოთ ადრესი. დილაზე დასწვრე, შუადღისას ზაფთიების აუზბაში გნახავს და იმის დახმარებით სხვებს ქვეშ ხელს მოაწერინებ.



აი, რა აზრით უნდოდა ჰაჯი ქრისტოს მისვლა პეტრესთან; ილენკას თქმა ამ მოსვლას შეეხებოდა.

პეტრემ სტუმარი მუსაფირლიქში მიიღო. ჰაჯი ქრისტოს ყავის შემოტანისთვის არც კი დაუცდია, მაშინათვე საქმეს შეუდგა და, უამბო-რა მოსვლის მიზეზი, დაუმატა:—სწორე.

— არა,—უპასუხა პეტრემ:—ამას ვერ ვიზამ.

— რატომ?

— იმიტომ რომ მე თვითონ ვმოქმედებდი და ვამზადებდი ბალკანში მომხდარ აჯანყებასა.

ჰაჯი ქრისტო გაოცდა, თვალეზი დააქყიტა და წაიბუტბუტა:

— მე კი... მინდოდა... შენთვის მომეცა ილენკაცა და მთელი ჩემი სიმდიდრეცა.

— გმადლობ ასეთის გულკეთილობისათვის, მაგრამ...

— მაგრამ, — არ დააცალა ჰაჯიმ,—თუ ადრესს შევადგენ და ქვეშაც ხელს მოაწერ, ამით პასუხის-გებისაგან სრულიად თავს იხსნი. ყველაფერი მშვიდობიანად გათავდება და მეც ჩემს ქალს მოგათხოვებ,— შენ მხოლოდ მაყრები გამოგზავნე... მე და ჩემმა ცოლმა ასე გადავწყვიტეთ... აბა... რას იტყვი?...

— ვერც შევადგენ და ვერც ხელს მოვაწერ.

— იცი, ნალდ ფულად რამდენს მოგცემ?

— არა, არ ვიცი.

— ოც ათას მეჯიდიეს,—გააწყვეტინა სიტყვა ჰაჯი ქრისტომ.

— ამით ჩემს გადაწყვეტილებას ვერ შემაცვლევინებ.

— მა მეტი რალა გინდა?

— ყელამდე ოქროში რომ ჩამსვა, ამისთანა ადრესს მაინც ვერ შევადგენ და ვერც ხელს მოვაწერ.

— უშენოდაც დასწერენ,—უპასუხა ჰაჯიმ.—მაშინ რალას იტყვი, როცა მე და აუზბაში ადრესს ხელის მოსაწერად მოგიტანთ? ხომ დაილუბები, თუ ხელი არ მოაწერე?

— დეე, დავილუპო! ხელს კი მაინც არ მოვაწერ.

— მაშ ეს შენი უკანასკნელი სიტყვაა?

— დიდი, უკანასკნელია.

— კარგი, — სთქვა ჰაჯი ქრისტომ და წამოდგა, — იმას მაინც ვერ იტყვი, რომ მე შენთვის კეთილი არ მინდოდა.

—

ჰაჯიმ ამ ლაპარაკის შინაარსი ცოლსა და ილენკას უამბო, მერმე ქალს მიჰმართა და დასძინა:

— თუ სულელი არ არის, შენს შერთვასა და ფულის აღებაზე უარს როგორ ამბობს?

— დღეის შემდეგ იმათსა ფეხს ნულარ მიადგამ. ამოსაწყვეტები არიან და ამოსწყდებიან კიდევცა. — უთხრა დედამა.

ნახევარ საათს უკან ილენკა მოკრას დუქანთან მიდგმულ ოთახში იყო და ჩუმად უამბობდა, რა ხიფათი მოელოდდა პეტრეს და ისიც უთხრა, თუ საჭირო იქმნა, მე დაემაღაფო.

მოკრამ გულდადებით მოისმინა და მერე ჰკითხა: — კარგიდა, სად შეგიძლია დაჰმალო?

— ჩვენს საიდუმლო ოთახში. სახლის გაჩხრეკას ჩვენ აღარავინ დაგვიწყებს, და წაყვანით კი მე თვითონ წავიყვან.

— შეიძლება, უმაგისოდაც გადავრჩეთ ჰირსა, — უპასუხა მოკრამ.

მართლაცდა, რამდენისამე ხნის განმავლობაში საიდუმლო ოთახში თავის დამალვა საჭირო აღარ იყო, სანამ რუსეთი ოსმალეთს ომს არ გამოუცხადებდა. ომი გამოცხადდა თუ არა, მაშინათვე ხელი გაუხსევს საექვოებს; ხოლო საექვოებად ჯერ პირველად ისინი მიაჩნდათ, ვინც უარი განაცხადა ნება-ყოფლობის აღრესის ხელის-მოწერაზე. პოლიცია დაესია მცხოვრებთა.

პირველად რამდენიმე კაცი დაიჭირეს, მაგრამ მეორედა და მესამედ ვერავენ დაიჭირეს. მეოთხედა და მეხუთედაც ხელცარიელი დარჩნენ. საექვონი პოლიციას ხელიდან უსხლტებოდნენ და სადღაც კვალწმინდად იკარგებოდნენ. ამ წუთს რომ ჰხედავდი და უყურებდი... გაიხედავდი და — მეორე წუთს აღარსადა სჩანდა.



პეტრეს დაქერა მარტო იმისათვის, რომ ნება-ყოფილობის ადრესს ხელი არ მოაწერა, არ შეეძლოთ, რადგან ბევრი ნაცნობები ჰყავდა რუმშიუკის საელჩოებში; ამიტომ არისტარხი-ბეამ ბრძანება გასცა, სასტიკად უგდეთ თვალ-ყური პეტრესაო; თვითონაც უთვალ-თვალებდა და ჩუმი ცნობებსა ჰკრებდა, მაგრამ ვერაფერში დაიჭირა. კონაკში მოსამსახურეთაგან მოკრა ისეთ ამბებს გაიგებდა ხოლმე, რომ პოლიციის ყოველს მეცადინეობას ფრთა ეკვეცებოდა. არისტარხი-ბეა ეჭვობდა, პოლიციის მიერ დევნულთ პეტრე ჰყარავსო, მაგრამ ხელში მაინც ვერაფერი საბუთი ჩაიგდო. ქალაქის კარებთან და ღუნაის ნაპირებზე ყარაული ჩვეულებრივზე მეტად გაძლიერებული იყო, მაგრამ საექვოები მაინც, თითქოს დედამიწამ პირი უყოვო; — გაიხედავდნენ, — ბოლგართა რაზმებში ამოჰყოფდნენ ხოლმე თავსა; ამ რაზმებს კიდევ რუსების ფარი მფარველობდა. საექვოებს, მართლაც-და, დედამიწა უყოფდა პირსა! მოკრას ეზოში გაკეთებულ მიწის-ქვეშეთში, მგონია, იმდენ კაცს თავის-დღეში არ გაუვლია, როგორც მაშინ, როცა პოლიცია საექვოებს ყურებ-დაცქვეტალი დაეძებდა. ამ გზით მიდიოდნენ არამც თუ კაცები, ათასი სხვა და-სხვა დაწვრილებითი ამბებიც, ციხეებისა და ქვეყნის დაცვის შესახები; ოსმალებს ვერ გაეგოთ, — აგეთს ავაზაკობას როგორ ახერხებენ ისე, რომ, ერთ-ხელაც არი, მართებლობას ხელში არა ჩაუვარდა-რა მათის დანაშაულის საბუთიო? სამხედრო და სამოქალაქო უწყებანი დარწმუნებულნი იყვნენ, ყოველსავე ამას მოთავედ და ხელ-მძღვანელად ვინმე გამოცდილი და მარჯვე კაცი უდგაო: „უეჭველია, პეტრე იქნებაო“. მაგრამ, მეორეს მხრით, პეტრემ კონაკში ფეხი ამოიკვეთა, თანამდებობას არაფერს ასრულებდა, ციხეების სანახავად არ დადიოდა; მხოლოდ ხანდისხან სხვა-და-სხვა საელჩოების მოხელეებთან ერთად ყავახანებში თუ დანახავდნენ.

ქა და მიწის-ქვეშეთი მშვენიერს ხამსახურს უწედა ყველას, ვინც კი მიჰმართავდა, სანამ მტერმა რუმინის მხრიდან არ მოინდომა რუმშიუკის აღება. ამ ცდამ ფუჟად ჩაიარა, მა-



გრამ ოსმალეების ინჟენერები კი ფეხზე დააყენა; იმათ მოგონებად, რომ ტორპედების გარდა ნავთსადგურის დასაფარავად, მეტი არ იქნებოდა, ღუნაის ნაპირზედ რამდენიმე ბატარეია გაემართათ. ბრძანება ვასცეს—ნაპირი გაეშინჯათ. როცა ამ ბრძანების ამბავი მოკრამ შეიღოს უთხრა, პეტრე მოიღუშა და სთქვა:

— ცუდად არი საქმე.

— როგორ?

— თუ ინჟენერები ბრძანი არ არიან, ბატარეიას უეჭველად ჩვენს ხელში გამართავენ.

— არ გამართავენ, — სთქვა მოკრამ.

— იმასაც ვნახეთ: მაგრამ ეს იმაზე იქმნება დამოკიდებული, შტაბი რა ნაირ სიმაგრის გაკეთებას არჩევს.

ამ ლაპარაკის შემდეგ მეორე დღეს მოკრას ეზოზე ექვსმა აფიცურმა გაიარა, თან მოჰყვებოდნენ სალდათები, რომელთაც სარები, სამფეხები, ყუთები და კალოფები მოჰქონდათ. პირდაპირ ხელში შევიდნენ. პეტრე ოთახში იჯდა და უყურებდა— როგორ ჰზომავდნენ ადგილსა, მერე თათბირი როგორ დაიწყეს. დიდხანს თათბირობდნენ და, ბოლოს, გადასწყვიტეს. ერთი აფიცური განზე გადვა, გაჩერდა, ფეხი გაიშვირა, დაუძახა სალდათს და უბრძანა: — სარი იმ ალაგში დაარქე, სადაც ფეხი მიდგიაო.

— საქმე ცუდათაა, — სთქვა პეტრემ გულში.

მერე იმავე აფიცურმა სალდათებს რამდენიმე ადგილი უჩვენა და უბრძანა ყველგან სარები ჩაერქოთ, და მოკლეს ხანში ბატარეიასათვის ადგილი შემოჰხაზეს.

პეტრემ მწარედ ამოიოხრა. სახეზე დარდი ეტყობოდა; ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა.

— საქმე ცუდათაა, — უთხრა პეტრემ დედას იმ საღამოსვე. — ამ ბატარეიასათვის მიწა ბევრი მოუწოდებათ: სალდათები უეჭველად მიწის-ქვეშეთსაც მოსთხრიან.

— ჩვენც ვუთხრათ — არაფერი ვიცოდით-თქო. თუ რამ ისეთი ნივთებია დარჩენილი, იმას კი იქიდან გამოვიტანთ.



— ახლა კი გვიან-ღაა. მუშაობა დაწყებულია და  
 ლიც დააყენეს.

მოკრა ერთს წუთს შესწუხდა, მაგრამ ჩქარა ისევ გული  
 მოიცა და უთხრა:

— რას მიზამენ?... თუ მკითხეს, განომძიებელს ამას ვეტყვი:  
 არ მინახავს... არაფერი გამიგია, ეფენდიმ!—შენ კი უნდა და-  
 იმალო.

პეტრემ გაიღიმა. ამ ღიმილში ეჭვი გამოეხატა.

— უნდა დაიმალო... იცი, სად? ჰაჯი ქრისტოს სახლში.

— რა?—შესძახა პეტრემ:—ჰაჯი ქრისტოს სახლში?

— ილენკა წაგიყვანს.

მოკრამ უამბო, ასე-და-ასე უნდა მოახერხოვო. პეტრე  
 ჩუმად უსმენდა. მოკრა არამც თუ უამბობდა, სცდილობდა კი-  
 დეცა შეილი დაეჯერებინა, — თუ კი შეიძლება კაცი სიკვდილს  
 გადარჩეს, სისულელე იქნება მისის მხრით თავის ხსნას არ ეცა-  
 დოს, თუ, ამასთან, სხვასაც არას ავნებსო.

მთელს მეორე დღეს პეტრე ოთახიდან აღარ გამოსულა  
 და მუშაობისთვის თვალი აღარ მოუშორებია. საღამოხანზე  
 რალაც განსაკუთრებული-რამ დაინახა: შუბლი შეიკრა, ადგა,  
 პალტო ჩაიცვა, ანკას უთხრა, ნუ მიცდითო, შუბლზე აკოცა,  
 წავიდა და უკან აღარ დაბრუნებულა.

ამის იქ არ-ყოფნაში იმ ღამესვე მოკრას სახლი გაუჩხრი-  
 კეს და მეორე დღეს შუადღემდე სულ ჩხრეკდნენ იქაურობას.  
 ამხელად ოსმალებმა საშინლად გააოხრეს იქაურობა: აშალეს  
 იატაკები, დააქციეს კედლები და პეტრეს წიგნები თუ ხელ-  
 ნაწერები, რაც ხელში მოხვდათ, ყველაფერი წაიღეს; ანკა მე-  
 ზობლებმა შეიხიზნეს; დედაბერი სატუსალოში დაამწყვდიეს. სა-  
 მხედრო სასამართლოში გაარჩიეს მისი საქმე, მაგრამ ცნობა კი  
 ვერაფერი დასტყუეს. სასამართლომ პეტრეს თოფით გახვრეტა  
 და მის ქონების სახაზინოდ დადება გადასწყვიტა.

ამ უკანასკნელის შესრულება შესაძლებელი იყო და დაუ-  
 ყოვნებლივაც შეასრულეს. პეტრეს თოფით გახვრეტა კი მარ-  
 ჯვე დრომდე გადასდეს. მხოლოდ განგაშს დაუწყეს ცემა და



ისე გამოაცხადეს: ვინც პეტრეს ან ცოცხალსა და ან მკვდარს წარმოადგენს—ოც-და-ათას ყურუშს მიიღებს ჯილდოდანა.

სახაზინოდ დასდეს აგრეთვე სახლი, დუქანი და ფული ისე რომ, მოკრამ რის ვაივაგლახით გადაარჩინა იმდენი, რომ შეეძლო თავისა და ანკასათვის პატარა სადგომი დაექირავებინა.

პატრეს გულისათვის დანიშნულ ჯილდოს მიღება ვერავის შეეძლო, რადგან მოკრასა და ილენკას გარდა არავინ იცოდა, სად იყო.

მოკრას ბაღში ამოჩენილი მიწის-ქვეშეთი დააქციეს. ძველებური თაღები დინამიტით დაარღვიეს, და კლდე ჩამოიქცა, ასე რომ ამ ადგილას მდინარის ნაპირი დაქანებული გახდა.

ანკა ბევრსა სტიროდა. ენანებოდა სიმდიდრის დაკარგვა, ენანებოდა კარგად მოწყობილი სახლ-კარი, ენანებოდა იმედის გაცრუვება; დედა ანუგეშებდა და ყველაზე უკეთეს ნუგეშად ეს მიაჩნდა:

— ვნახოთ... ეს ყველაფერი რითი გათავდებოა.

— გათავებას იმიტომ ვუცდი, რომ მონასტერში შევიდე.

მართლაც, მეტი გზა აღარა ჰქონდათ, თუ არ ლოდინი. ან რა უნდა ექმნათ ორ ქალს, მტრის მიერ გარშემოდგომილ ქალაქში ღვთის ანაბარად ჩავდებულთ?

დედა-შვილი ელოდნენ და ისეთს სიხარულს, ისეთს ბედნიერებას ეწიფნენ, როგორსაც მოკრა მხოლოდ თვისის შვილის-შვილის-შვილებისათვისა ჰნატრობდა. სიხარულს წინ შიში წაუძღვა. მათს სადგომში მოულოდნელად პეტრე შევიდა. ამის დანახვაზე დედასა და დას ფერი ეცვალათ.

— ე რა ჰქენი?...—დაიძახა მოკრამ.

— რატომ?—ჰკითხა პეტრემ.

— შენი თავი ოც-და-ხუთ ათას ყურუშად არის დაფასებული.

— ჩემი თავი ახლა არაფრადა ღირს.

— რა იყო? რატომ?

— იმიტომ რომ, ჩვენ... ახლა...

შემდეგი სიტყვა ველარ გამოსთქვა: გრძნობა სიხარულისა და აღტაცებისა ყელში მოადგა და ახრჩობდა; უნდოდა სულ



ეცინა... სკდილობდა მეტის-მეტი სიხარული არ გამოეჩინა, მაგრამ თავს ვერ იმაგრებდა და მხოლოდ ამას-ღა იმეორებდა:

— ჩვენ ახლა... ჩვენ ახლა...—ბოლოს, როგორც იყო, წამოიძახა:—თავასუფლება გაბთ.—და ქვითინი მორთო.

მოკრასა და ანკას კარგა ხანს ვერც ლაპარაკი შეეძლოთ და ველარც ყურის-გდება. ბოლოს, ცოტათი დამშვიდდნენ: პეტრემ დედასა და დას უჟამბო, ზავი ჩამოაგდეს, ბოლგარეთი განთავისუფლებულია, ოსმალების ჯარი რუშჩუკიდან გადის და მისი ადგილი რუსებმა უნდა დაიჭირონო.

მოკრამ გულზე ხელები დაიკრიბა და დაიძახა:

— ღმერთო!.. ღმერთო!.. ჩემო შეილებო!..

პეტრემ მერე ის უჟამბო, როგორ გაატარა დრო ჰაჯი ქრისტოს სახლში.

— ჰაჯი ქრისტო რაღას გეუბნებოდა?—ჰკითხა ანკამ.

— ფიქრადაც არ მოსვლია, რომ იქ ვიყავი.

— ილენკამ დაგიფარა?... როცა მოდიოდი, ჰაჯი ქრისტომ რაღა გითხრა?

— არ დაუნახვივარ... არც მინდოდა ვენახე, ჯერ ილენკასათვის, და მერე იმიტომ, რომ ახლა რუსის ხელმწიფის მისართმევად ადრესის შედგენაშია გართული. არისტარხი-ბეგ და ისა ერთად ადგენენ ამ ადრესს და ისეთ გაცხარებულ ლაპარაკში იყვნენ, რომ ვერც კი შემაძინიეს, როცა გამოვიარე ის ოთახი, რომელიც მუსაფირლიქის გვერდზეა და რომელსაც კარი ღიად ჰქონდა დატოვებული!

— შეხედე,—აი ეს ლა დაგერჩა!—უთხრა მოკრამ და ხელითა და თვალებით თავისი ბინა ანიშნა.

— ვიცი, ვიცი... რა ვქმნათ!.. ვიმუშაოთ, ვიშრომოთ, ეგებ, როგორმე სულ არ დავიკარგოთ.

— ოსმალებმა რაც წაგვართვეს, ახლა ხომ უნდა დაგვიბრუნონ,—ჰკითხა ანკამა.

— რაღა უნდა დაგვიბრუნონ?.. დანგრეული სახლი და მიწა?.. დანარჩენი... დაღუპულია...

— ეჲ ჩემს დღეს! — წუწუნებდა ქალი: — ახლა მონასტერში უნდა ვიქნებოდე და მამა ჩემი და მამა ჩემი.

— ჩვენი ჯარი მალე მოვა, — სთქვა პეტრემ, თითქო დასამითი მისცა პასუხი.

— როდის? — ჰკითხა დამა.

— არ ვიცი.

ანკა დაფიქრდა და მთელი თავისი ყურადღება მიაპყრო საკერაეს, რომელიც ხელში ეჭირა. პეტრემ დედას საქმეებზე დაუწყო ლაპარაკი. იმედოვნებდნენ, ომის გამო შეჩერებული ვაჭრობა მერე კარგად წავაო. მოკრამ თან ცოტაოდენ ფულის წაღებაც მოასწრო. არც პეტრე გასულა სახლიდან ჯიბე-ცარიელი. გადასწყვიტეს ამ ფულით რომელსამე მარჯვე ქუჩაზე დუქანი დაეჭირათ და წვრილმანი საქონელი ეყიდნათ.

— მე კი ჩემი წიგნები მენანება.

— სამაგიეროთ, ბოლგარეთა თავისუფლება.

— მართალი ხარ, — უპასუხა პეტრემ: — თავი და თავი ესაა.

— ჩვენი ჯარი, — ჰკითხა ანკამ: — ისაა განა, კლადოვაში რო იდგა?

— არ ვიცი... შეიძლება... ალბად, ვინმე გადარჩებოდა.

ანკა ისევ დაფიქრდა და დედისა და ძმის ლაპარაკს ყურს არ უგდებდა.

პეტრე ქალაქში წავიდა, რომ, თვისის ქონების კვალობაზე, დუქნისათვის სადგომი დაეჭირა. რამდენისამე დღის შემდეგ, როგორც იყო, დაიჭირავე სახლი, იყიდა საქონელი და ვაჭრობა დაიწყო.

სანამ პეტრე თვისის საქმეებს დაწყობაში იყო, სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში ყველაფერი გამოიცვალა. ოსმალოს ჯარმა და მთავრობამ რუსის ჯარსა და მთავრობას დაუთმო ადგილი, სანამ ადგილობრივი მთავრობა არ შესდგებოდა. ნაირ-ნაირი ხმები დადიოდა, რომ საერო მთავრობა დაარსდებოდა. მაგრამ ერთი ხმა ყველას პირზე ეკრა, — ეს ხმა ჯარს ეხებოდა, ყველას იმედი ჰქონდა, რომ ბოლგარის ჯარი მოვიდოდა. დღითი-დღე მოუთმენლად მოელოდნენ, — მხოლოდ არ იცო-



დნენ, რომელის გზით მოვიდოდა ეგ ჯარი. ზოლოსკოროც გორც იყო, იმის ნახვასაც ელირსნენ. მცხოვრებლებმა გადასწყვიტეს, დიდის ამბით დახვედროდნენ თავისიანებს. ხალხი მისაგებებლად გამოიკრიბა და ხმა-მალლა მიესალმა ქვევითს ჯარს, რომელსაც წინ რუსის სამხედრო მუსიკა მოუძღოდა. სიხარულის ხმა-ყიჟინამ დაჰფარა ხმა მუსიკისა. ჯარი დარაზმული მწყობრად მოდიოდა; ჯარის წინ გაშლილი დროშა მოჰქონდათ, მას უკან ხმალ-ამოწვდილი აფიცრები მოსდევდა. ხალხი ამ ხუთის საუკუნის სიკვდილის შემდეგ აღდგენილ ჯარს, რომელიც ერის განთავისუფლებას ჰმოწმობდა, გარშემო ეხვევოდა და ქალაქის მოედნამდე მიაცილა. შეუძლებელია აიწეროს საზოგადო აღტაცება, რომელიც დიდის ხნის ლოდინისა გამო უფრო გაძლიერდა.

მოედანზე ქალაქის საბჭოს წევრები უკლებლად შეგროვილიყვნენ; მათს გვერდით დედა-კაცებმა მოიყარეს თავი. ქალაქის საბჭოს მოხელეების წინ ჰაჯი ქრისტო იდგა; დედა-კაცთა შორის იყო მისი ცოლი, ილენკა, მოკრა და ანკა. პეტრეც ხალხში ერია, მაგრამ თითქოს თავს არიდებს ყველასაო. განზე იდგა პლანც-კომენდანტი შტაბითურთ. როცა ჯარი მოედნის შუაგულ მოვიდა, წინამძღოლმა აფიცრმა ხმალი მალლა აიწოდა და სთქვა: „შესდევ!“

ხალხში ვიღამაც დაიძახა: „სტოიან!“ ჰაჯი ქრისტოს ცოლმაცა და ილენკამაც გაიმეორეს ეს სახელი; გაიმეორა ჰაჯი ქრისტომაც; განსაკუთრებულის აღტაცებით ანკამ წარმოიტქვა ეგ სახელი, თან ფეხის თითებზედა სდგებოდა, — სტოიანი დავინახოვო.

სტოიანმა სამხედრო წესით პლანც-კომენდანტს სალამი მისცა, რაპორტი მიართვა, მერე ჯარს უბრძანა დაშლილიყო. ჯარი დაიშალა თუ არა, მცხოვრებლებმა სალდათები თავთავის სახლებში მიიწვიეს.

ჰაჯი ქრისტო სტოიანს მიჰვარდა, გადაეხვია და იძახდა:

— შენ ჩემი ხარ!... შენს თავს არავის დავანებებ... ჩემთან უნდა წამოხვიდე!

— მოკრა... — უნდოდა ეთქვა სტოიანს.

— მოკრასთან რა გინდა!... ახლა მოკრა ვერც კი გაგი-  
მასპინძლდება... რა საჭიროა, არ გაგიშვებ!

მეტი ჯანი არ იყო, — სტოიანი ჰაჯი ქრისტოს წაჰყვა.  
ილენკასა და ჰაჯი ქრისტოს ცოლს გვერდთ მიჰყვებოდა და  
მოკრას ამბავი ჰკითხა.

— იმდენი იხუმრა, სანამ ცარიელზე არ დასვეს. — ოსმა-  
ლებმა, ბალში რაღაც ხვრელი უპოვეს, სისულელე შეატყვეს...  
და მთელი მისი ქონება სახაზინოდ დასდეს, პეტრეს კიდენ თო-  
ფით გახვრეტა გადაუწყვიტეს. — უთხრა ჰაჯი ქრისტომ.

— მაშ პეტრე დახვრიტეს?! — წამოიძახა სტოიანმა.

— არა... დაიძალა... არ ეიცო, ღმერთმანი, როგორ მოა-  
ხერხა: მისი თავი ოც-და-ხუთ ათას ყურუშად დააფასეს. სა-  
კვირველია, ამოდენა ფულს არავინ დაჰხარბდა!... მაგრამ მაინც  
დაიძალა და ახლა დუქანი აქვს გაღებული; მაგრამ რა დუქა-  
ნია, — საქონლითურთ ხუთასი ყურუშიც არა ღირს!

სხვა მცხოვრებლებს დანარჩენი სალდათები მიჰყავდათ.

ერთი მათგანი, სახელდობ მედროშე, არავის მიჰყვებოდა,  
მხოლოდ მოკრასა და პეტრეს ჰკითხულობდა.

— მოკრა! მოკრა! — დაიწყო ხალხში ყვირილი მედრო-  
შემ. მოკრა გამოერჩა ხალხში და წინ გამოვიდა.

— ემანდა მოკრა! — უთხრა ვიღამაც.

მედროშე მოკრას მიესალმა და უთხრა: — პეტრეს სახელზე  
წერილი მაქვს... გარდა ამისა, უნდა მოველაპარაკო კიდევცაო.

— ჯერ სხვას ვისმე გაჰყევი, სხვები ჩემზე უკეთესად გაგი-  
მასპინძლდებიან; როცა პური სჭამო, დუქანში შემოიარე, იქ  
პეტრე დაგიხვდება, წერილსაც გადასცემ, და, რაც სათქმელი  
გაქვს, ყველაფერს ეტყვი.

მედროშემ მოკრას მეტის-მეტ გაოცებით შეჰხედა და უთხ-  
რა:

— ნიკოლამ მიაშბო, რომ შენ მდიდარი ხარ, სახლიცა  
გაქვს, დუქანიცა და ბლომად ფულიცაო.

— მქონდა და ახლა არა მაქვს.



— მაშ ეს წერილი შენ წაიღე და მეც მერე შემოვიღო ესა სთქვა და უბიდან ძალზე გაქუჩყიანებული კონვერტი ამოიღო და მოკრას გადასცა.

დიდს ხანს არ გაუფლია, წერილი პეტრეს ეჭირა ხელში, გახსნა, წაიკითხა და შუბლი შეიკრა:

— ნიკოლასია, გამბროვოდან... ჰოსპიტალში წოლილი. სამი თთვეა, რაც დაუწერია... ალბად, ახლა უკვე საიქიოს იქმნება...

მოკრამა და ანკამ ამოიოხრეს.

— რას იწერება?—ჰკითხა დედამ.

— ისეთს რასმე მავალეებს, რომ მისი ასრულება არ შემძლია: მთხოვს, ილენკას უთხარი—სტოიანს არ მისთხოვდეს, თორემ საფლავშიაც არ მექმნება მოსვენებაო.

— რატომ ვერ უნდა აასრულო ეს თხოვნა?—ჰკითხა ანკამ, ცოტა არ იყოს, მოუსვენრობითა.

— იმიტომ რომ, სიბრიყვეა, — უპასუხა პეტრემ.

— მაშ მე ვეტყვი ილენკას, რასაც ნიკოლა იწერება.

— ღმერთი არ გაგიწყრეს! — შეუტია დედამა: — შენი საქმე არ არის... სტოიანი ღირსია ისეთის ჯილდოსი, როგორიც არის ილენკა. დეე, დაქორწილდნენ, თუ კი მათი სურვილი იქნება და დედ-მამაც ნებას დართავენ.

— ნებას დაპრთავენ, დაპრთავენ! — ამოიკვნესა ანკამა.

მოკრამა და პეტრემ ერთმანეთს გაოცებით შეჰხედდეს, მერე მოკრამ უთხრა: „ცოტა დაიცადე, დაიცადე!...“

მოვიდა მედროშე და ნიკოლას ამბავი დაწვრილებით ილაპარაკა, ნიკოლა ბალკანში გაღიპარა, იქ აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო, მერე ოსმალებს დაემალა და სხვა-და-სხვა ადგილებში იწოწიალა იმ დრომდე, ვიდრე არ ჩაეწერა ბოლგართა რაზმში, რომელიც რუსის ჯართან იყო დაარსებული. ჩინებული ჯარის-კაცი იყო. შიპკის ბრძოლაში რამდენჯერმე დასჭრეს და საავადმყოფოში დაწვა. საავადმყოფოში ჩემთან ერთად იწვა, — მეც დამსჭრეს შიპკის ბრძოლაში. ნიკოლამ ეგ წერილი დასწერა და ორის დღის უკან კიდევ სული განუტევა.



— ჩემ თვალ-წინ დალია სული, — ამბობდა მოსული: — სიკვდილის წინ დაბეჯითებითა მთხოვა, ეს წერილი უეჭველად პეტრეს გადაეციო.

— სტოიანს ხომ არ შეხვედრია სადმე? — ჰკითხა პეტრემ.

— ჩვენ ყველანი ერთს ბატალიონში ვმსახურებდით.

მედროშემ გაათავა თუ არა თავისი ლაპარაკი, სახლის ზღურბლზე სტოიანიც გამოჩნდა. იმის დანახვაზე ანკას ფერი წაუვიდა.

მოკრა და პეტრე სტოიანს აღტაცებით მიეგებნენ. სტოიანი მიესალმა, მერე ანკასთან მივიდა და ხმა-მაღლა ჰკითხა „ხომ მიცდიდი?“

ანკა გულ-წასული დაეცა.

ახლა კი გათენდა.

ბოლკარეთისათვის მზიანი დღე დგებოდა....



## „მე, ზანდაბანს ჩივი თავი და ტანი!..“

საშობაო ეტიუდი

«სვალ შობას!..» — მოწვევით წამოიძახა ალექსა სალანძმა \*) და ხორცილთ საკატრო დუქნის კარებს დაწაბუები აუგდო. ეს-ეს არის ოცნდის ნავთღუნში დაკლულ ცხვირის გატყვევებს მორჩა, დუქნის კედლებს გარს ჩამოურიგა და მთელი დღის ნაწოწილი და მუშაობით მოჭანტული ორად მოკრუნჩხვილი დუქნის კუთხეში დასაძინებლად მიეგდო. მაგრამ ძილი გაუერთა...

«სვალ შობას!..» — გაიძეოდა ალექსა სალანძმა და ძველი ფარაჯა აჭეთ-იქიდან ამოიკუნტა, მაგრამ დაცხსაკებული ფარაჯა არ ათბობდა.

«ჰმმ!..» — მწარედ ჩაიღიმა ალექსამ და გვერდი იცვალა, როდესაც თვალწინ წარმოუდგა უმწვეილობაში გატარებული შობა-ღამე...

ოხ, რა ბუნდური იყო, როდესაც გადაღვლებულ კერის პირას იჯდა თავის და-ძმებ შუა და სასწრაო თხილით და კაკლით საკსე პარტუქსანა კალთაში ედო!.. რა უდარდელად იცინოდა და-ძმებთან ერთად თხილისა და კაკლის შტერეკაში!..

ესლან?..

მწარე ჩაღიმება აძის პასუხი.

წელიწადი — თორმეტი თვეა — ფიქრობს ალექსა სალანძმა — და ამ თორმეტ თვეში არც ერთი დღე მოსვენება არა მაქვს... შობა, ახალ-წელიწადი, აღდგომა — ესაც არ მანთავისუფლებს, და ჩემ ცოლ-შვილში ვერ ვატარებ დროს... ეეჰ... — ოხრავს ალექსა და სინჯისგან შემფურცივით ტრიალებს თავის ფარაჯის ქვეშ.

ჭარი კი ამ დროს შემოგუგუნებს დარაბებე შუა დარჩენილ ფარაჯალებიდან და თან ნამქერი შემოაჭვს...

\*) სალანძმა — საქონლის დამკვლელის უწოდებენ.

— ჩემმა პატარა ანდრომ მანც გაცინაროს... გაცინაროს...  
პატარა. ის, ეინ იცის, დედას ჩაჭხუტების და ტუბილად სძინავს...  
— გადბორუნებით წაილანარაკა და ანდროს მომიკალხედ ფიქრს თავი  
მისცა...

ჭჭრის ქარი. ფიქრობს ალექსა, ფიქრობს და...

— მუუუ!..— უნდოდა წამოლანარაკება ალექსა სალასს, მაგრამ  
სიტყუების მაგივრად ზმიული გამოსცა იმისმა შირმა.

— ეს რა ამბავია ჩემ თავს?! თითქოს ლანარაკი შემქმლა?!  
ეს არის ესეა ჩემ ანდროსედ გუფიქრობდი, მანდოდა ღმერთისთვის  
შემეკედრებინა და სიტყვის თქმა გი აღარ შემძღვიან.— გაიფიქრა  
ალექსამ შიშით.

— მუუუ!... წამოიზმიუვლა «ღმერთოს» წარმოთქმის მაგივრად.

— კააა, რა ღმერთი გაშიწურა!.. გაიფიქრა ალექსამ და მიი-  
ხედ-მოიხედა...

ჭხედავს, ბაკში მუსღებამდის წუმბეში სხვა საქონელ შუა.  
დაიხედა ძირს და წელში თავის თავის მაგივრად ძროსა დაიხანა...

— როგორღაც მეტნობა ეს ძროსა!.. თითქოს, მინახავს სად-  
მე!.. ღმერთო, მომიგანე!..— ძირს ტყერით გაიძანდა უსიტყვოდ  
და გონს ვერ მოსუღიფო... უეცრივ შეკრთა. უნდოდა წამოეუვირნა:  
«ნუთუ მე ძროსა ვარო», როდესაც წუმშიდან ამომჭვრეტ ძროსის  
ლანდში თავისი ლანდი იცნო. თავი მალა ასწია. აღარ უნდოდა  
ქშირნა...

— ღმერთო, მანატრივე და მისსენ ამ განსაცდელისაცან!..—  
უსიტყვოდ შეკედრა უფალს და უგან მიიხედა. თავის გვერდით  
მდგომ სხოს თვალში მოჭვრა. ჩააკვირდა და—  
«ახ, ღმერთო,— თავისი  
ანდრო იცნო...

ამას გი აღარ მოელოდა. გაშმაგებული მოტრიალდა ანდრო-  
სბოსკენ და უნდოდა გულში ჩაეკრა, მაგრამ ხელების მაგივრად  
ხლოებანი ფეხები ჭჭონდა და კვლარ მოახედა.

— ანდრო, ანდრო!..— შეჭმუვლა ანდროსბოს და თან ლოკვა  
დაუწყო.

— რა მოკვდის, რისთვის ვართ აქა, ამ წუმბეში?— უსიტ-  
ყვოდ კითხებოდა თავის თავს და მასუსს გი ვერსაიდან ვერ ღ-  
ბულობდა.



დაუგვირდა თავის გარემოებას. მიიხედ-მოიხედა. მსკდარს უბრალო კების წინ გრძლად აძირთულ რაღაც ფიგურულს, საიდანაც გამოისმის სხვილ-ფეხ საქონლის საცოდავი ზმუილ-ხრიალი; ცხურისა და თხის კეკინ-ბლავილი; რახა-რუხი და ხალხის ღანძლვა - გინება და სიცილ-სარხარი...

— ღმერთო!.. — წამოიზმუკვლა ალექსა სალახმა და შიშის კანკაღმა აიტანა.

გერძნობს, რომ რაღაც უბედურება მოკლის. ტანში ყრუანტელი უკლის...

— კარები დახურეთ, კარები!.. — ეზოს ბოლოში რამდენიმე ხმამ შეჭყვიარა ერთად, და ამავე დროს ალახაფის კარებიც მიჭრიალდა. სასაკლავო ოთახების კარებიც დახურეს.

— ფუჟუ, ფუჟუ!.. — სამინჯლის ფუშეილით და თქარა-თქურით გამოარღვია ეზოს მორკვი გამმაგებულმა კამენმა და, ალახაფის კარებს რომ მიადგა, ტოკვა და თვალების ბღერიალი დაიწყო. სალახები და მესხეები\*) შიშისგან ეზოს ფიგურულს შეეკუნწლენ და იქიდან დაუწყეს ქამანდის სროლა.

სალახების ამგვარმა მოქმედებამ უფრო გაატიცხლა და გააღლამა კამენი...

ალექსა სალახმა თვალი მოჭკრა გატიცხლებულ კამენს და შემოწინდა. გასისხლიანებულ სალახების და მესხეების დანახვამა ხომ სულ გადარია. სისხლის სუნი მოკდინა. იგრძნო სიკვდილის მოახლოება. წინაგრძნობამ აძნო და...

— ოხ, ღმერთო, უნდათ სიცოცხლე მომისპონი.. წუთი-სოფელს გამომასალმონი.. რადა?!.. — გაიფიქრა ალექსამ და ტირილი მოკრია.

თავი ძირს დასწარა და წუმბეს საცოდავად ჩაჭმუკვლა, თითქოს იქიდან მოკლოდა შეკლას, მაგრამ...

— ძეგე!.. — მოესმა ანდრო-ხბოს ბლავილიც, და ამ ხმამ სულ მოშალა ტანში.

\*) მესხეები ჰშველიან ხალიხებს დიკვლისა და ყოველ მუშაობაში, რაც კი შეეხება საქონლის დაბოცვის, და ამ შრომაში ფაშეს იღებენ. შრომის გარდა მესხეები თითო ფაშეში 10 კაპ. იძლევენ საქონლის პატრონს.



— ჭახ-ჭახს!..— ჭახ-ჭახი და ლაწალუწი შეუდგა ეზოს ოფის-  
რებს.

— თოფი ესროლეთ!.. ოი, კვ კერანა, ოი, კვ კერანა!..—  
გაიძახოდნენ სალახები და მესხაშეები.

ალექსამ მიიხედა და მინდვრად გავარდნილ კამენს თვალი  
მოჰჭკრა.

— ნეტავი მაგას!.. თავს უშეგულა და ამ ადგილს მოჰშორდა!..—  
შეჭნატრა ალექსამ კამენს...

— რაგა გამტკობია ე ფინარი და გავარდა?!..— გაკვირვებით  
იძახდა მესხაშე და კამენს გასტკებოდა.

— გამორეკეთ საქონელი!..— ბრძანების კილოთი დაუვირა  
სალახმა მესხაშეებს, რომლებიც მაშინვე შენევიდნენ ამ ხმის გაგონე-  
ბაზე და რამდენიმე სული საქონელი კამენს უკან გამოუყენეს.

— ოსრად დაგარჩენ, ხელში კიდეე ჩაგიტყდებ და, ღვთის წყა-  
ლობა მაჭკეს, ურთავსავით დაგტანჯავ!— გაბრაზებით დაიღრიალა სა-  
ლახმა და ისიც უკან დაუდევნა.

მისწყდა ყიყინა. ჩვეულებრივი მუშაობის ხმა ჩამოვარდა. ალექს-  
სა სალახსაგ მიავიწყდა ყველაფერი, და გამოურგვეკვლამ გრძნობამ  
შეიძურა. თავის გარშემო აღარას ჰხედავს...

— რა აშაპია, რას მიშვრებიან?!..— შიშით გაიფიქრა, და ტა-  
ნის თახთანამ აიტანა, როდესაც სალახმა და მესხაშეებმა შემოადგეს  
ბაკის კარი, რომელშიაც ის იყო დამწყვდეული, შემოთქვიფეს წუმბე  
და რქებში თოვი ჩააბეს.

— მუუუ!..— წაიზმუგულა და მიჭხედა ანდრო-სბოს, რომელ-  
საც ამ დროს ვოხი წამოჰჭკრეს.

— მუუუ!..— წამოიზმუგულა უფრო საცოდავად, როდესაც თოვს  
გასწიეს და, რადგანაც ადგილიდგან არ იძროდა, ფეხებში კეტი  
სდრუნეს.

ანდრო-სბო კი ვოხის პირველ წამოკვრასვედვე გავარდა ბაკი-  
დან ეზოში. ამის დამნახავი ალექსაც გაჭყვავდა და, ოჰ, ეზოში რომ  
გაკიდა, საზარელ ოთახის კარი ღია დანახა. იქ უნდა შეეყვანათ.  
იქ მოკლებოდა ბოლო. ამას იმის სხეულის ყოველი წერტილიც გა-  
ჭკრძნობდა და შიშით თრთოდა. ტვინი აერია. ერთად-ერთი აზრი-



და შეჭრის თავში და ეს აზრი ძალსა და რბილში გაუფრდა... უნდა  
მომისპონ სიტყვებს!.. ოჲ, რა სასარგებლოა წინად ამის გაგება!..

მომრავისთვის მოსაზრების ძაფი გაუწყდა. კარებისკენ ეწეო-  
ლდნენ, ხლიჭებში კეტსა სცემდნენ, მაგრამ გონს ვერ მოსულიყო—  
საით და როგორ გადაეღვა ფეხი...

— კუდი, კუდი!..— დაუძახა თოკის გამწეებს უკან მდგომთ და  
უფრო ძლიერად გასწია თოკს.

უკან მდგომთ მოაკლეს კუდში ხელი და შუახედ გადაუტეხეს.  
საშინელი ტკივილი იგრძნო ალექსამ.

— მუუუ!..— გულ-საკლავად წაიზმუვლა და თავის-და უნე-  
ბურად წინ წატორტმანდა, მაგრამ ისევე შესდგა.

უნდოდა ამ ამოკუნესით ეთქვა: «წავიდოდი, მაგრამ, რა კენა,  
რომ ფეხები არ შემოწილდება, რომ არ გინდი—საით და როგორ გა-  
დაეღვა ფეხები!..»

— ოხ, რა ძნელი ყოფილა უნრობა!..— გათიქრდა ალექსამ და  
კიდევ უნდოდა შეეზმუვლა, მაგრამ ამ დროს ისევე იგრძნო საშინელი  
ტკივილი. კუდი ახლა მეორე ადგილას გადაუტეხეს. კიდევ წატორ-  
ტმანდა.

ამ ვაი-ვაგლასით შეიყვანეს სასაკლავო ოთახში; შეიყვანეს იქ,  
სადაც ხორცი და ყოველივე სიბინძურე ერთად იყო არეული.

— ბეე!..— გულ-საკლავად დაიბლაკლა სასისხლესთან წამო-  
ჭტეულმა ანდრო-სომი.

მშობლის გულმა იგრძნო, რომ იმისი ანდრო განსაცდელშია.  
თვალეები მოეწმინდა, და დაინახა, რომ სალახმა უელში დანა გაუგდო  
იმის საყვარელს შვილს... სისხლმა გადმოჰქაჩიფა...

— მუუუ!..— დაიზმუვლა და შვილისკენ გაიწია, მაგრამ ამ  
დროს მესამე მარცხენა ხელი ჭებნა უბაში ჩაავლო, მარჯვენა კიდევ  
მარჯვენა რჭაში...

— ღრრრ!..— უცნობე მოიღო ალექსას კისერმა ღრრანი, და  
ძირს მოწვევით ზღართანა მოსძვრა.

ამგვარი ტკივილი არას დროს არ უგერძნია თავის სიტყ-  
ვებს. თავის-და უნებურად წაიზმუვლა უკანასკნელად და გონება  
დაჭკარდა.

როდესაც გონს მოვიდა, ის უკვე ფეხებ-გაკრული და დაწვეული სასისხლესთან კვდოდა...

— ხა-ხა-ხა!.. ალექსი, მოგხვდა?!.. შენც რომ მავრე სტანჯავდი საქონელს, უენო საქონელს?!.. შენც რომ სალასი ხარ?!.. — ამ დროს ხარხარით ჩასძახა რაღაც ნაწილობა ხმაში.

— მე ეტანჯავდი?!.. ჰო, მე რომ სალა... — ღარ დასტაღდა აზრის დაბოლოებას. სალასმა უელში დანა გაუგდო და აზრის მიმდინარეობა შეუწყვიტა...

გაფითრებული ალექსა სალასი უეცრივე წამოვდა და ნამიქერ-წაურილი ფარაჟა იქით სტეოარცნა. გული საშინლად უსტოდა...

— შე ოჟახს-დაქცეული, მოჭკვდი, თუ რა მოგივიდა?! რამდენი ხანია დუქნები დაიღო! — შემოესმა ბრახუნთან ერთად დუქნის ბატონის ხმა.

— ჰო, კხლავი!.. — უმას-უხა ალექსა სალასმა და ხელი პირისას-სეზედ ჩამოისვა...

ყაბალას-შემობორბლილმა ალექსამ კახეთის გზიდგან გადმო-უსვია ნაკთელუნისკენ და...

— ფუი!.. — ბრახ-მორეულმა გადააფურთხა და ქალაქის მძრო-თველთ ერთი გემრიელად შეუკურთხა, რადგანაც, კახეთის გზას გად-მოუსვია თუ არა, მუნჯებამდის ტალახში შეურია.

ბურღღუნით და ღანძლვა-გინებით მიერეკებოდა საქონელს სა-საკლავოსკენ და საქონელზედ ყრილობდა თავის უდიერის ტყვით ქალაქის გამგობისგან გამოწვეულს ჟაერს.

ხან ერთ ცხვარს ამოძრობდა ტალახიდან და წინ ისროდა, და ხან კიდევ მეორეს. ხბო რომ თითქმის ზურგიით სახიდი გა-უსდა..

დაუხლოვდა სასაკლავოს. მესამეები მიეგებნენ და უშველეს ჟერ კზოში შერეკვა და შემდეგ ბაკში.

ქალაქი მოიწვია ამ დროს ზარების გუგუნმა. სასიხარულო ხმა გაისმოდა ტფილისის ქაერში. ეველას 'ეკლესიისკენ მიეშურებოდა, ეველას სახე უბრწყინავდა, და გაუგებარის სიხარულით იყო მოცული.



აქვი, სასაგლავოში — გაცხარებული მუშაობა იყო. საღასკებო, ბუღნი, რომ ამისთანა ბედნიერ დღესაც გვამუშაუებენო, უღმობელად ეტყვიანდნენ უენო საქონელს და შეუბრალებლივ უსზობდნენ სიცოცხლეს...

— გუდი, მოუგრიხეთ მაგ საკერანეს, მაგას!.. — შეტყვიით დაუვირბა ალექსამ მესაშეს და უფრო ძლიერად გასწია თოკს.

მესაშემაც გადუტება გუდი ძროხას, რის შემდეგაც მთრთოლარე ძროხა სასაგლავო ოთახის კარებში შეტორტმანდა, სადაც უელ-გამოღადრული წვრილეფხი და სხვილეფხი საქონელი ჭერასეზივით ეყარა.

რაკი ძროხა ოთახში შეიყვანეს და სასისხლესთან დააყენეს, ალექსა საღასკმა თოკს ხელი ანება და იქავ, ძროხის თვალ-წინ, ხბოს ეელი გაუღადრა...

— მუუუ!.. — შეჭმეეელა ცრემლებ-ძორეულმა ძროხამ...

მთრთოლარე ტანი მოკლემ, მუნლები ჩაეკეტა, თავის შვილის გეგრდით წამოიჭრა და ეელის გამოსასტრელად კისერი გადაჭიდა.

— აი, შე დალოცვილო, შენა!.. ეველა ემაგრე რო წკებოდეს, კარგი იქნებოდა, თორე ზოგი რო გაცოფდება ხოლმე, რასა ჭკაკს!.. — დიმილით ღაზარაკობდა მესაშე და თან ეფხებს უვრავდა ძროხას.

ალექსა საღასკმა კი კისერი უფრო გადუჭიდა, რჭესედ ეფხი დაადგა და მარცხენა ხელით ეელის ტყავი მძლავ აუწია, მარჯვენათი კი სარტუელში ჩარჭობილ ქარჭაშიდან დანა ამოიღო და...

რა მოუვიდა ალექსა საღასკს, რომ ეელთან მიტანილი დანა ხელიდან გაჭკარდა, და გაფითრებულ სახესედ ჭირის-ოფელი გადამასკდა?!..

— ოოჭ, სიზმარი!.. — ღრმად ამოხეხეშით წამოიძახა, მოისკა მაგრე შუბლხედ ხელი და ოფელი მოიწმინდა.

— აღარ დაჭკლავ, ალექსა? — დაკეითსა მესაშე, რაკი ალექსა წელში აიმაართა და დანა ქარჭაში ჩააგო.

— აღარა... ჭო... ეფხები გაუსხენი... — დაბნევიით უზას-უხა ალექსამ და რაცრაცით გამოვიდა.

გამოსტრება ეზოს მორეეში და გზას გაუდგა, თუმცა კი არ იცოდა, რისთვის მიდის და ან საით?





ზარდაზირი ქარი კი გასურებულ სახეს და გადაღული მკვდარი უშენავს, ნამქერს აყრის და იდუმალად ჩაჭრუის: «სბოო... სბოო...»

— სბოო... უსუსური ანდრო... ვაიძე!— წამოიდრიადა, და ტანში ყრუნტკლმს დაუარა.

— შე, თათრო, შენა!..— მკაცრად მიჭმართა თავის თავს და ხელი მაგრად შემოიჭრა თავში.

— ნაუუუ!..— მოისმა ამ დროს წმიდა ბარბარეს კვლესიდან შუა წირვის წარის რეკვა.

— ღმერთო!..— ქუდის მოშლეებით წამოიძახა წარის ხმის გაგონებაზე და გულში იმედ-ჩასახული კვლესიანკენ გაეშურა.

იქ მოკლდა სხნას, სანუგეშებელ სიტყვის გაგონებას და შეებას. ოხ, რანაირად იტანჯებოდა!.. შობა დღეს სისხლის დაღვრა?!..

— ღმერთო, ღმერთო!..— გაიძახდა და თვალ-წინ სისხლის მორევა და იქიდან ყელ-გამოღადრულ სბოს ღმობიერად გამო-მჭვრეტი თვალები ეხატებოდა...

ტალახში ამოსურული, გასისხლიანებული შეგარდა კვლესი-ში და მაშინვე მუსლი მოადრიაკა წმიდა ბარბარეს ხატის წინ.

ამის დანახვაზე სალხს ფრუტუნ-ჩურჩული აუტყდა; მღვდელ-მთავარ-დიაკონის კადეკ ანაკი-პაკი, გოსპოდი, პომილუი! დნეს სრისტოსა-ს... გაიძახდნენ. წმ. ბარბარეს ხატი კი ერთს წერტილს მისჩერებოდა და ალექსა სალხს უურადლებას არ აქნედა.

ხალხმა დასცინა. მღვდელ-მთავარ-დიაკონისა იმას არა ეუურებოდა-რს და იმათი სიტყვები — «დნეს სრისტოსა»... — «დნება ქრის-ტე»-დ მოესმოდა.

— ღმერთო!— ცრემლით მიჭმართა უხილავს არსებას, რაკი ხილულთ შუა თანაგრძნობა ვერ ჰქნას და სანუგეშო სიტყვა ვერა გაიგონა-რა.

მაგრამ უხილავმა არსებამ ნუგეშის მაგიერად ეს ჩასძახა ყურ-ში: «სისხლი... სბო... ანდრო... ხა, ხა, ხა... სად შემოხვედი?.. აქ შენი ადგილი არ არის».

«სბო!...» — გული მოკეუმმა, ყურებმა შეიღო დაწვეს და ეს სიტყვა ძლივს-ღა წამოიღულღულა.



მასინკე წამოდგა და ჩუმიდ, მოხუციელი ფეხ-აკრეფით გამოვიდა.

«ესნა არ არის!» — ცეცხლის მოდებით წამოიძისა და შეუშინედად დუქნში შევიდა.

— ოს, ალექსი! ჭაჭან? — ცბიერად დაეკითხა დახლიდარი.

— ჯო!.. — უმასუსა ალექსამ.

— თხლაშო, თუ წრუტო?\*)

— თხლაშო!..

დახლიდარმა სანქაროდ ჭაჭის არყით საესე ჭიჭა გადმოაწოდა. ალექსამ ჩამოართვა და სწრაფ გადაჭკრა.

გული ჩაჭოხანა. უმა.

— კიდევ! — დაიძისა ალექსამ და ცარიელა ჭიჭა დახლზე დასეთა.

— ეჰ! ჟანდაბას ჩემი თავი და ტანი!.. — ხელის ჩაქნევით წამოიძისა, როდესაც დახლიდარმა საესე ჭიჭა გამოეწოდა, და ისიც ისე გადაჭულანა, როგორც პირველი.

მეორეს მესამე მოჭევა, მესამეს — მეოთხე და...

ალექსა საღახი კარგა შესურბული გამოვი დახლიდარს და სასკლაოსკენ გასწია.

ესლხ ალექსასთვის სულ ერთი იყო: თავის თავი დადუშვილად ჰსცნა. კაციც რომ წამოუჭტიონ, ამასაც კი უელს გამოჭლადრის, თორემ სანქანელს ხომ სიკეთეს არ დააერის და არა.

## შ. ანაკრისპირელი

\*) „თხლაშოს“ ხილიხეზი ეძიხიან შაჟრიან არყის ჭიჭას, „წრუტოს“ — სამკაპეიკიანს.

# შეხსლითა და მახვილითა

რომანი

გენრაჲ სენკეგიაჩისა

ნაწილი მესამე

II\*)

ერთს მშვენიერს ღამეს ვალადინკის მარჯვენა ნაპირად მიდიოდა ერთი რაზმი ცხენოსანთა.

ცხენოსანნი ნელ-ნელა მიდიოდნენ, თითქმის ნაბიჯითა. ორი ცხენოსანი დაწინაურებულიყო სულ 'რამდენისამე ნაბიჯითა, რაღასაც ლაპარაკობდნენ გაცხარებითა და მხოლოდ ათასში ერთხელ შესჭყიელებდნენ ხოლმე თავიანთ ამხანაგებს:

— ეჰეი, ჩუმაღ იყავით, ჩუმადა!

ამ დროს რაზმი უფრო უკლებდა ხოლმე ნაბიჯსა და ტატიით მიდიოდა წინ.

ბოლოს რაზმი გასცდა ჩრდილს, რომელსაც მაღალი მთა ისროდა, და გავიდა მთვარესაგან გაშუქებულს გზაზე. მხოლოდ ახლა მიხვდებოდა კაცი, რა მიზეზი იყო, რომ რაზმი ისეთის სიფრთხილით მიდიოდა: ორ ცხენს შუა საკაცე იყო გაბმული და ზედ ვილაც ადამიანი იწვა.

ვერცხლის ფერი შუქი დაჰნათოდა მის მკრთალს სახეს და დახუჭულს თვალებს.

საკაცეს ახლდა ათიოდე შეიარაღებული კაცი, რომელნიც, როგორც ეტყობოდათ, ყაზახნი უნდა ყოფილიყვნენ. იმ

\*) «მოამბე», № X.



ორ გარდა, რომელნიც წინ მიდიოდნენ, ყველა დანარჩენნი მოუსვენრად იცქირებოდნენ აქეთ-იქით.

გარნა გარშემო ყველგან დიდი ღუმილი და დაყუდება იყო.

მყუდროობას არღვევდა მხოლოდ ცხენების ფეხის-ხმა და შეყვილილი ერთ-ერთის წინ წასულის ცხენოსანისა, რომელიც ხანდაზმით იმეორებდა:

— ნელა! ფრთხილად!

ბოლოს ამ ცხენოსანმა მიჰმართა თავის ამხანაგს:

— გორბინა, ჯერ კიდევ შორს არის?—ჰკითხა იმანა.

ამხანაგმა, რომელსაც გორბინა ერქვა და რომელიც ყაზახურად ჩაცმული დედა-კაცი იყო უზარმაზარის ტანისა, შეჰხედა ცას და უპასუხა:

— აღარ არის შორსა, შუალამისას სახლში ვიქნებით. გავივლით მტრის სამყოფელს, გავივლით თათრების ტყეს და მერე იქვე ეშმაკეული იარი იქნება. ჰაი, დედასა, ვერაფერი სავალია იქ ნაშუალამეგს, ვიდრე მამალს არ უყვივლია. ჩემთვის არაფერია, მაგრამ თქვენთვის კი ძნელი იქნებოდა!

ბირველმა ცხენოსანმა მხრები შეიშმუშნა.

— ვიცი,—სთქვა იმანა,—რომ ეშმაკი შენი ბიძაშვილია, მაგრამ რაო მერე, ეშმაკის წამალიც არის ქვეყანაზედ.

— ბიძაშვილია, თუ მამიდაშვილი, ეგ არ ვიცი და წამალი კი არ გახლავთ. მთელს დედამიწის ზურგზედ რომ ეძებო, უკეთეს სავანეს ვერსად იპოვი კნიაჟნასთვის. ახლოსაც ვერავინ გაეკარება შუალამის შემდეგ იმ ადგილსა... ჩემთან ერთად თუ, თორემ... იარში კი ჯერ ადამიანის შვილს ფეხი არ დაუდგავს. ვისაც უნდა მაკითხვინოს, შორი-ახლოს იცდის და ფეხს ვერ გადმოსდგამს, ვიდრე მე არ გამოვალ. შენ ნუ გეშინიან, იქ ვერც ლიახები მოვლენ, ვერც თათრები, ჰაქანებად ვერავინ გაივლის, ვერა. ეშმაკეული იარი საშინელება რამ არის, თორემ შენ თვითონა ჰნახავ.

— დეე, საშინელება რამ იყოს, მე კი გეუბნევი, რომ, როცა მინდა, მაშინ მოვალ.

— მარტო დღისით შეგიძლიან.

— როცა მინდა-მეთქი; თუ ეშმაკი დამხვდა წინა, შიგ რქებში ვტაცებ ხელსა.

— ჰეჰეი, ბოგუნო, ბოგუნო!

— ჰეჰეი, ღონცოვნა, ღონცოვნა! შენ ჩემთვის ნუ დარდობ. ეშმაკი დამაკლებს რასმე, თუ არა, ეგ შენი საქმე არ არის, მე შენ აი რას გეუბნევი. მაგ შენს ეშმაკებს როგორც გინდა ისე გაეცი პასუხი; მხოლოდ კნიაჟნა კი მოსვენებული იყო; თუ იმას რამ დაემართა, იცოდე, ჩემის ხელიდან ველარც ეშმაკი დაგიხსნის და ველარც მავნე სულელები.

— მე ერთხელაც მახრჩობდნენ წყალში, როცა მე და ჩემი ძმა ღონის ნაპირადა ვსცხოვრობდით; მეორედ კიდეც იამპოლში ჯალათმა თმა გამკრიჭა, მაგრამ მით მაინც მე ვერა დამაკლეს-რა. აქ კი სხვა საქმეა. შენის მეგობრობისათვის ვუდარაჯებ კნიაჟნას ისე, რომ სულელებმა ბუზიც ვერ აუფრინონ, ხალხისა კი შიში არა მაქვს, კნიაჟნა აქედან ვერსად წამივა.

— აი, შე ბუქნაჟოტო, შენა! თუ აგრეა, მაშ უბედურებას რაღას მიწინასწარმეტყველებდი, რას ჩამძახოდი ყურში: „ლიახია იმის გვერდითა! ლიახია იმის გვერდითაო?“

— მაგას მე კი არ ეამბობდი, სულელები ამბობდნენ. იქნება ახლა გარემოება შეიცვალა. ხვალ გიმკითხავენ წისქვილის ბორბალზედა. წყალში ყველაფერი კარგადა სჩანს, მხოლოდ დიდ ხანს უნდა ცქერა. შენ თვითონა ჰნახავ. ეჰ, სწორე უნდა გითხრას კაცმა, ცოდვიანი ძაღლი ხარ, სულ ჰღრინავ და ხმაღზედ იკიდებ ხელსა.

ლაპარაკი შესწყდა, მხოლოდ ცხენების ფეხის ხმა ისმოდა და წყლიდან მოდიოდა რაღაც ჭრიჭინი, თითქო ჭრიჭინები ჭრიჭინებენო.

ბოგუნე ყურს არ უგდებდა ამ ჭრიჭინს, რომელიც იმ დროს მოსალოდნელი არ იყო. ყაზახმა მთვარეს შეჰხვდა და ღრმა ფიქრმა წაიღო.

— გორპინა! — სთქვა მან დუმულის შემდეგ.

— რა იყო?



— შენ კუდიანი ხარ, უნდა იცოდეს, მართლა თი ბალახი, რომ ვინც იმის წვეს დაჰლევეს, უნდა შეუყვარდეს ვინმე? საყვარელაა, სიყვარულის წამალია, თუ პირ-ბამბა ბალახია რაღაცა?

— პირ-ბამბაა. მაგრამ შენს საქმეს ეგეც ვერ უშველის. კნიაჟნას რომ არავინ უყვარდეს, დააღვინებდი და გათავდებოდა, ხოლო თუ სხვა უყვარს, იცი რა იქნება?

— რა?

— უფრო ძრიელ შეუყვარდება ის სხვა.

— გადაგიწყდეს და გადაჰყე თანა იმ შენს პირ-ბამბა ბალახსა! მარტო ბოროტსა და ავს მიწინასწარმეტყველებ და კარგს რჩევას კი ვერას მძღვევ.

— მაშ მომისმინე: სხვა წამალიც ვიცი ბალახისა. მიწაში ამოდის. ვინც იმას დაჰლევეს, ორ დღე და ღამეს ისე სძვეს, როგორც კუნძი, სინათლეს ვერა ჰხედავს. მაშ, აი ამ წამალს დავაღვინებ და მერე...

ყაზახს შეაქრეოლა სიმწარითა და თვისის მბრწყინავის თვალებით დააშტერდა კუდიან დედა-კაცს.

— რას დამჩხავი ყვაფივითა?

— მზად იქნება საქმე!—დაიძახა გორპინამა და ისეთ ნაირი ხარხარი დაიწყო, თითქო ცხენი ჭიხვინებოს.

მის ბოროტს ხარხარს ბანი მისცა ხევ-ხუვმა და კლდის ნაპრალებმა.

— აღქაჯი!—წაიტუტუნა ყაზახმა.

მისმა თვალებმა ნელ-ნელა დაჰკარგა ბჭყვრიალება. ყაზახი ფიქრმა წაიღო და ისე დაიწყო ლაპარაკი, თითქო თავის-თავს ელაპარაკებო.

— არა, არა! როცა ბარი ავიდეთ, მე პირველი შევეარდი მონასტერში, რომ დამეცვა ლოთებისაგან და თავი გამეხეტა იმისთვის, ვინც გაჰხედავდა კნიაჟნას ხელის-ხლებასა; იმან კი დანა დაიცა გულში და ახლა გრძნობა-დაკარგული წვეს საკაცებედ. ხელი რომ ეახლო, კვლავ დანას დაიცემს გულში,





— თავად ერემიასავით მდიდარი ხარ და იმისავით საბელოვანი. როგორც ამბობენ, თვით კრივანოსს ეშინიანო შენი. ყაზახმა ხელი დაიქნია.

— რა გამოვიდა მერე, როცა მე გული მტკივა.

კვლავ ჩამოვარდა ღუმილი. წყლის სანაპირო უფრო და უფრო ყრუ და უდაბური ადგილი შეიქმნა. მთვარის შუქი უცნაურს ფერსა სდებდა ხეებსა და კლდის წვერებსა. ბოლოს გორპინამ წარმოსთქვა:

— მტრის დაბა ახლოა. ერთად ვიმგზავროთ.

— რაღაო?

— ცუდი ადგილია აქა.

ცხენები შეაყენეს და დაუცადეს, ვიდრე მთელი რაზმი მოვიდოდა.

ბოგუნმა წამოიწია, შედგა უზანგზედა და გადაჰხედა საკაცსა.

— სძინავს? — ჰკითხა.

— სძინავს, — უპასუხა მოხუცმა ყაზახმა, — ისე ტკბილადა სძინავს, როგორც პატარა ყმაწვილსა.

— ძილის წამალი დავალეეინე და იმიტომა, — სთქვა კუდიანმა დედაკაცმა.

— ჩუმად, ფრთხილად, — სთქვა ბოგუნმა და თვალს არ აშორებდა მძინარესა. — არ გააღვიძოთ, მთვარე ზედ პირზედ დაჰყურებს... ჩემს სიცოცხლეს.

— დამშვიდებით დაჰყურებს, არ გააღვიძებს, — ჩურჩულითა სთქვა ერთმა ყაზახმა.

რაზმმა გასწია წინ. აგერ მტრის დაბაცა. ეს დაბა ერთი პატარა სერი იყო, ზედ მდინარის ნაპირად, დაბალი, შაქრის თავივით მორგვალეული. მთვარე ზედ დაჰნათებდა და აშუქებდა ქვებს, რომელიც მოფანტული იყო მის ზედა-პირზედა. ქვები ზოგან გაცალკეეებული ეყარა, ზოგან შეხროვილი იყო, თითქო ნასახლარების, ან დაქცეულ ციხე-დარბაზის და ეკლესიის ნაშთიანო. ალაღავ-ალავ ნახევრად მიწაში ჩაფლულ ქვებს ამოეყოთ თავი, თითქო საფლავის ქვებიაო, მაინც სა-



ზოგადოდ მთელი სერი სასაფლაოსა ჰგევანდა. შესაძლოა მე, იაგელლოს დროს, აქაც სიცოცხლე სდულდა და გადმოდიოდა; ამ ჟამად-კი სერიცა და არე-მარეც რაშკოვამდე ერთ ყრუ უღაბნოსა ჰგევანდა, სადაც მხოლოდ ნადირი სცხოვრობდა, ხოლო ღამ-ღამობით მავნე სულები აბამდნენ თავიანთ ფერხულს.

ავიდა თუ არა რაზმი სერის შუა წელამდე, სიომ უმატა და ისეთი ქარი ამოვარდა, რომ სტეენა და ზუზუნი დაიწყა. ისეთ ნაირად წუწუნებდა და გაჰქონდა თან გრიალი ქარაშოტს, რომ ყაზაღებს ეგონათ, იქნება ეს გმინვა ქარისა იმ ნანგრევთა შუა-გულიდან ამოდის და იქიდანვე ისმის ეს ხარხარი, ტირილი და წიფილი, თითქო პატარა ბავშვები დაუმწყვდევიათ იქაო! მთლად სერი გაცოცხლდა, ყვიროდა სხვადა-სხვა ხმაზედ; ქვებს იქიდან, კაცს ასე ეგონებოდა, ვილაც კაცების ჩრდილი მოსჩანსო; საშინელნი ლანდნი ნელ-ნელა მოხობავდნენ ერთ ფილაქნიდან მეორესაკენ, შორს, წყვილადში ცეცხლები ციმციმებდა, თითქო მგლების თვალები ანათებსო; ბოლოს, სერის მეორე მხრიდან მოისმა დაბალი ყმუილი ისეთს ხმაზედ, თითქო ყელში წაუჭერიათ ვისმესთვის და იხრჩობაო. ამ ყმუილს სხვებიც აჰყვენენ და ატყდა საერთო ხმაურობა, საერთო გულ-საკლავი ღმუილი.

— მგლები არიან? — წასჩურჩულა ახალგაზდა ყაზახმა მოხუცს ესაუღს.

— არა, ეგენი მვენე სულნი არიან, — უფრო ჩუმად უპასუხა ესაუღმა.

ცხენებმა დაიწყეს ყურების ბარტყუნი და ფრუტუნი. წინ მიდიოდა გორპინა და რალაც გაუგებარს სიტყვებსა ბურტყუნებდა, თითქო ეშმაკსა ლოცულობსო. მხოლოდ სერის მეორე ფერდობს რომ მიატანეს, მაშინ მობრუნდა და სთქვა:

— ახლა კი გათავდა. სამშვიდობოში მივედით. ძლივს შევიმარე, ძალიან დამშეულები არიან.

ყაზახებმა თავისუფლად ამოისუნთქეს. ბოგუნი და გორპინა კიდევ წინ წავიდნენ, ხოლო ამათმა ამალამ, რომელიც



აქამდე სულ განაბული იყო, ჩურჩული დაიწყო. თვეთქული იგონებდა, ასე და ასე შეეცებოდა მავნე სულეებსაო.

— გორბინა რომ არა ყოფილიყო, ჩვენ აქ ვერ შემოვიდოდითო, — სთქვა ერთმა.

— იცის-და, თავისი საქმე, კუდიანი დედაკაცია.

— ჩვენს ატამანს ხომ ქაჯისაც არ ეშინიან. ყურსაც კი არ უგდებდა არაფერს, მხოლოდ თავის კნიაენას უტკპეროდა.

— იმას რომ ის საქმე შემთხვევოდა, რაც მე შემემთხვა, ეგრე აღარ დაიწყებდა ვაჟკაცობით თავ-მოწონებასა, — სთქვა მოხუცმა ესულმა.

— რა შეგემთხვა განა, ოვისოი?

— მოვდიოდი ერთხელ ღამე სასაფლაოს ახლო რეიმენ ტარკვიდან გულიაბოლსა. ვნახოთ, უეცრად რაღაც შემოხტა ჩემს უნაგირზედ საფლავიდან. მოვიხედე — ძუძუთა ყმაწვილია, სულ გალურჯებული, ფერ-მკრთალი!.. ეტყობოდა, რომ თათრებს წაეყვანათ დედითურთ ტყვედ და იქვე მომკვდარიყო მოუნათლავი. თვალები ცეცხლივით უნათებს და სულ სტირის და იკლავს გულსა. უნაგირიდან ზურგზედ ამომახტა; ვგრძნობ, რომ მკბენს ყურს უკან. ღმერთო! ეს ხომ მავნე სულია — მეთქი! მაგრამ მე დიდ ხანს ვიყავ სამსახურში ვლახეთსა, იქ მავნე სულები უფრო ბევრია, ვიდრე ცოცხალი ადამიანები და ვიცი, როგორც უნდა გაუმკლავდეს კაცი ამგვარს ჭინკებს. ჩამოვხედ ცხენიდან და დავარქე მიწაში ხანჯალი. დაიღუპე, გაჭკერი-მეთქი! მავნე სულმა დაიწყო გმინვა, სწვდა ხანჯლის ტარსა და ჩაჰყვა წვერს მიწაში. მე ხანჯლით ჯვარი გამოვსახე დედა-მიწაზედ და გავსწიე ჩემს გზაზედა.

— მაშ ვლახეთში მაგდენი მავნე სულებია?

— ყოველი ვლახელი სიკვდილს შემდეგ მავნე სულად გადაიქცევა ხოლმე. ვლახეთის მავნე სული ყველა ქვეყნის მავნე სულზედ უარესია. ბრუკოლას ეძახიან იქით იმათა.

— რომელი უფრო ღონიერია, ნეტა: ქაჯი თუ მავნე სული?

— ქაჯი ღონიერია, მაგრამ მავნე სული უფრო გულადია. ქაჯი, თუ შეულოცე, სამსახურს დაგიწყებს, მავნე სული კი



არაფრისთვის არ გამოდგება, მხოლოდ სისხლის წოვა მაინც კი ქაჯი უფროსობს იმათში.

— გორპინას კი ქაჯებიც ხელში ჰყავს.

— აღბად ავრეა. სანამ იცის იმათი ხერხი, მანამ კიდევ მოისამსახურებს. გორპინას რომ იმათზედ ძალა არა ჰქონდეს, ჩვენი ატამანი იმას არ ჩააბარებდა თავის დანიშნულს, იმიტომ რომ ბრუკოლაკებს ყველაზედ ძრიელ გასათხოვარ ქალების სისხლის სმა უყვართ.

— ძრიელ მეცოდება საწყალი ქალი, — სთქვა ახალგაზდა ყაზახმა. — საკაცზედ რომ ვაწვევდით, დაიკრიფა თავისი თეთრი ხელები გულზედ და დამიწყო მუდარი: მომკალი, ნუ დამღუპავთ მე უბედურსაო.

ამ დროს გორპინა მოუახლოვდა ამ ორს მოსაუბრეს.

— თქვენ ეი, ვაქეაცნო! — შეჰყვირა მან, — აის თათრების ღელეა, მაგრამ ნუ შეგეშინდებათ, აქ მხოლოდ ერთი ღამეა წელიწადში საშიში, ახლა ეშმაკეული იარი და ჩემი სახლ-კარიც ახლოა აქედან.

მართლაც, მალე ძაღლის ყეფა მოისმა. რაზმი შევიდა ღელეში, რომელიც წყალს მისდევდა და ისეთი ვიწრო იყო, რომ ოთხს ცხენოსანს ძლივს შეეძლო გავლა. მაგრამ თანდათან ციცაბი კლდეები ღელესი განზედ იწევდა და ჩნდებოდა საკმაოდ ფართო ხეობა, რომელსაც პატარა შეღმართი ჰქონდა და აქეთ-იქიდან შეკრული იყო პირდაპირ ჩამოჭრილის კლდეებით. ქარი აქ ვერა ჰქროდა. ალაგ-ალაგ მაღალი ხეები მოსჩანდა. ეს ხეები გრძელს ჩრდილებს ისროდა. იქ კი, სადაც მზე იყო, თეთრად გაჰქონდა ქათქათი რაღაც მრგვალ და მოგრძო საგნებს. ყაზახებმა შეჰნიშნეს, რომ ეს საგნები იყო ადამიანის თავის ქალანი და ძვლები. შიშით თმა აებურძგნათ. პატარა დავაცადოთ და შორს, ხეებს შუა გამოჩნდა ცეცხლი, ხოლო შემდეგ მოიჩინა ორმა საშინელმა, უზარ-მაზარმა ქოფაკმა, რომელნიც თვალებს ცეცხლივით აბრიალებდნენ და იღრანებოდნენ. გორპინამ შეუტია, ძაღლები გაჩუმდნენ და დაიწყეს სირბილი ცხენოსანთა გარშემო.



— ეგენი ძაღლები არ არიან, — წაიბუტბუტა ოვსივოიმ ისეთის ხმით, რომ კაცს ეგონებოდა, სწორედ ღრმად დარწმუნებულია, ძაღლები არ არიანო.

აგერ ხეებს იქით გამოჩნდა ქობი, იმას იქით თავლა, მო-  
შორებით და ცოტა მალლობზედ რაღაც სხვა შავი შენობაცა.  
ქობს გარეგნობით არა უშავდა-რა, საკმაოდ კობტა იყო; თან-  
ჯრებიდან სინათლე გამოდიოდა.

— აი ესეც ჩემი სახლ-კარი, — თუხრა გორპინამ ბოგუნ-  
სა, — აიქ კიდევ წისქვესლია, იქ მარტო ჩვენს პურსა ვფქვავთ,  
ხოლო მე იმ წყალზედა ვმკითხაობ, რომელიც ბორბალზედ  
გადმოდის. შენც გიკითხავ. კნიაჟნა ოთახში იცხოვრებს და  
თუ გინდა კედლები მორთო, მაშინ დროებით სხვაგან უნდა  
დავაწვინოთ. აბა, გაჩერდით და ჩამოხდით ცხენებიდან.

რაში გაჩერდა. გორპინამ ხმა აიმაღლა:

— ჩერემის! ჰაი, ჩერემის!

ქობიდან ვიღაც კაცი გამოვიდა, ხელში ერთი ბლუჯა  
ნაფოტები ეჭირა ანთებული და მღუმარებით დაუწყო სინჯვა  
ახლად მოსულებსა.

მოხუცი კაცი იყო, საზიზღარი შესახედაობისა, ტან-და-  
ბალი, თითქმის ქონდრის კაცსა ჰგვანდა, პირ-პრტყელი და  
აცა-ბაცა წასულის თვალებითა.

— ვინა ხარ შენა, ე ეშმაკს რომ ჰგეხარ? — ჰკითხა ბო-  
გუნმა.

— ნურას ნუ ეკითხები; ენა აქვს მოჭრილი, — სთქვა გო-  
რპინამ.

— მოდი მომიახლოვდი.

— გამიგონე, ბოგუნო, — განაგრძო კუდიანმა, — იქნება  
უკეთესი იყოს, რომ კნიაჟნა წისქვილში წავიყვანოთ ჯერა?  
აქ ოთახს მოვლა უნდა, ლურსმებს დარქობა მოუნდება და არ  
გაეღვიძოს.

ყაზახნი შეჯგუფდნენ და დიდის სიფრთხილით დაუწყეს  
ჩამოხსნა საკაცესა. თვით ბოგუნნი დისტრიალებდა თავს ყაზა-  
ხებს და მერე საკაცეც დაიჭირა სასთუმალთან, როცა კნიაჟნა

წისკვილში წაიყვანეს. ქონდრის კაცი წინ მიდიოდა და უნათებდა გზას. კნიაჟნას, რაკი ძალის წამალი დააღვეინა გორპინამ, არ ეღვიძებოდა. ვინ იცის, იქნება სასიხარულო სიზმრები ეზმანებოდა კნიაჟნას; პირ-ლიმილი მოსდიოდა, როცა საკაცე წისკვილში მიჰქონდათ; ისე კი მიჰქონდათ, რომ კაცს ეგონებოდა ცხედარს მოასვენებენო. ბოგუნნი დასცქეროდა კნიაჟნას და ჰგონებდა, რა ძლიერ უცემდა გული. „ჩემო სიცოცხლე, ჩემო ანგელოზო!“ — ჩურჩულობდა თავისათვის, და მრისხანეს, თუმცა კი მშვენიერს სახეს ატამანისას სიმშვიდის ელფერი ედებოდა და ზედ ენთო ცეცხლი დიდის სიყვარულისა, რომელიც თან-და-თან უფრო-და-უფრო ეკიდებოდა მთლად მის არსებას, როგორც მგზავრისაგან დატოვებული ცეცხლი ძლიერდება და ედება უკაცურსა და ყრუ მინდვრებს.

— თუ არ გამოვლვიძა, კარგად იქნება, — სთქვა გორპინამ, რომელიც მხარ-და-მხარ მისდევდა ბოგუნს. — წყლული უმთელდება, კარგად იქნება.

— მადლობა ღმერთსა! მადლობა ღმერთსა! — უპასუხა ატამანმა.

ამ დროს ყაზახებმა ჩამოხსნეს ცხენებს საპალნეები და დაუწყეს ამოლაგება ბარში აღებულს ნააღაფეცს, — ხავერდს, ხალიჩებს, ფარჩას და სხვა ძვირფასს ქსოვილებსა. ოთახში ცეცხლი გააჩაღეს და სანათები აანთეს; შიშველ-ტიტველი კედლები მალე მოფარდა და აჭრელდა სხვა-და-სხვა ფერის ქსოვილებით. ბოგუნმა არა თუ იმიტომ იზრუნა, რომ მგარი გალია ეშოვნა, არამედ იმისთვისაც იფიქრა, რომ კარგად მოეწყო და მოერთო, რათა ჩიტისათვის ტყვეობა სამძიმო და ძნელად ასატანი არა სჩვენებოდა. ღამე გადიოდა და ოთახში კი მაინც ჩაქუჩის კაკუნი გაისმოდა. ბოლოს, როცა კედლები სულ მოფარდა და იატაკი ფიცრებით იქმნა დაგებული, მოიყვანეს მძინარე კნიაჟნა და დააწვინეს მბილს ლოგინში. ყოველივე მიჩუმდა. მხოლოდ თავლაში გაისმოდა კიდევ ხმაურობა და ხარხარი, რომელიც უფრო ცხენის ჭიხვისა ჰგვანდა: იქ იყო კუდიანი დედა-კაცი, ეალერსებოდა ყაზახებს და ზოგს სილებს აწნავდა, ზოგს ჰკოცნიდა.

## II

მზე კარგა მალლა იყო, როდესაც მეორე დღეს კნიაჟნამ თვალები გაახილა.

პირველად კედელს შეჰხედა და დიდს ხანს უყურებდა, მერე ქერს დააკქერდა, იატაკსა. ჯერ კიდევ კარგად არ გამოთხიზლებულიყო და სიზმარ-ზმანებას არ დაეთმო სრულად ალაგა სიფხისლისათვის. სახეზედ ნელ-ნელა გაკვირვება და მოუხვენრობა ეხატებოდა ელენეს. სადა ვარო? როგორ გაეჩნდი აქა და ან ვის ხელთა ვარ? სიზმარში ვხედავ ყოველსავე ამას თუ ცხადადა? რას ჰნიშნავს ეს სიმდიდრე-ფუფუნება, რომელიც გარს მარტყია? რა ამბავი იყო ჩემს თავს წინადა? ამ წუთს ცხოვლად წარმოუდგა თვალ-წინ საშინელი სცენები ბარის აღებისა. მოაგონდა ყოველივე: ის საშინელი ჩეხა-ჟლეტა, როცა ათასობით თავად-აზნაურნი, მოქალაქენი, მღვდელნი, მონაზონნი და ბავშვები იქლიტებოდნენ ხანჯლითა ვილაც მოსულთაგან, მოაგონდა სისხლით შეთხერილნი სახენი მდაბიოთა, კისერნი და თავები, გარს შემოხვეული ჯერ ისევ ორთქლ-ავარდნილ ნაწლევებითა, მთვრალ კაცთა ყიჟინი, განკითხვის დღე დასალუბად განწირულის ქალაქისა, ბოლოს ბოგუნის შევარდნა და მისი მოტაცება. მოიგონა ისიცა, რომ განწირულმა დანა დაიცა გულში და ცივმა ოფლმა დაასხა შუბლზედ. აღბად ხელი ამიკანკალდა და დანა კარგად ვერ დავირტყი, იმიტომ რომ ტკივილს არასა ვგრძნობ, პირიქით, ვხედავ ჯან-ლონე მომმატებია; მახსოვს ისიცა, თუმცა ბუნდად, რომ საკაცეთი მივეყვდიოთ სადღაც შორს, შორს. მაგრამ მაინც სადა ვარ ახლა? რომელსამე ციხე-დარბაზში, გადარჩენილი ვარ, მტრის ხელიდან გამოუტაცნივართ და უშიშარს ადგილასა ვარ დაბინავებული? და აი კვლავ დაუწყო ელენემ თვალიერება ოთახსა. ოთახს პატარა, ოთხ-კუთხი ფანჯრები ჰქონდა და იქიდანაც სინათლე არა შემოდრიოდა-რა, რადგან შუშის მავიერ,

ბუშტი ჰქონდა გადაკრული ფანჯრის თვლებს. მაშ, ეს გლენ-კაცის სახლი უნდა იყოს. მაგრამ ეს შეუძლებელია. ასე რომ იყოს, საიდან გაჩნდებოდა ასეთი უზომო სიმდიდრე? ჭერის მაგიერ ნაოჭად ასხმული ალის-ფერი აბრეშუმის ქსოვილი აქვს ოთახს, ზედ ოქრომკედით მოქარგული ვარსკვლავები ბრწყინავს, კედლები სულ ფარჩითა და ოქსინოთია გაკრული, იატაკზედ ჭრელ-ჭრელი ხალიჩები ავია. ყველგან სულ ოქროა, აბრეშუმი, ხავერდი, ჭერიდან დაწყებული ბალიშებამდე, რომელზედაც თავი მიდევს. ცხრა-თვალი მზე შემოდის ფანჯრებიდან, აშუქებს ოთახს, მაგრამ მისი სხივები აქვე იკარგება მუქის ხავერდის ნაოჭებ შუა. კნიაენა, გაოცებული იყო, თვალები ხომ არ მატყუებსო. რა ამბავია, ჯადოსნობაა, თუ რა არის? იქნება ერემიას ჯარმა დამისხნა, გადამარჩინა მტრის ხელიდან და თავადის ერთ-ერთს ციხე-დარბაზში დამაბინავა?

ელენემ გულ-ხელი დაიკრიფა.

— წმინდაო ქალწულო, გვედრები, რომ პირველი, ვინც გამოჩნდება ამ კარებში, იყოს მეგობარი და მფარველი ჩემი!

ამ დროს ფანჯრიდან ქალს შემოესმა ხმა ფანდურისა და მაშინდელის ცნობილის სიმღერისა. კნიაენამ წამოიწია ლოგინში და დაუწყაო ყურის-გდება. თვალები თან-და-თან უფრო ძრიელ გაეხილა შიშისა და ძრწოლისაგან; ბოლოს განწირულებით შეჰკივლა და მკედარივით დაეშვა ბალიშებზედ.

ელენემ იცნო ხმა ბოგუნისა.

ალბად ქალის დაკივლებამ მიაღწია მომღერალის ყურამდე, იმიტომ რომ რამდენსამე წუთს შემდეგ მძიმე ფარდამ შრიალი მოიღო და თვით ატამანი გამოჩნდა კარებში.

ელენემ თვალებზე ხელები მიიფარა. მისი გაფიჯრებული ტუჩები, თითქო გააცხელა ქალიო, წამ-და-უწუმ ამას იმეორებდა:

— იესო, მარიამ! იესო, მარიამ!

ის სანახავი კი, რომელმაც ასე შეაშფოთა ელენე, ისეთი იყო, რომ არა ერთსა და ორს ყმაწვილს ქალს აუძკერებდა სიამოვნებით გულს: ახალგაზდა ატამანის სახესა და ტანისამოსს სულ ნათელი გადასდიოდა, ისე ბრწყინავდა და ელვა-



რებდა. მისის ჯუბის ბრილიანტის ღილები ისე ციმციმებდნენ, როგორც ვარსკვლავნი ცაზედა, ხმალი და ხანჯალი ელავდა ძვირფასის წყალ-ჯავარიანის თვალ-მარგალიტითა, ჯუბა დიბა-ატლასისა და წითელი დოშლული აორკეცებდა მის შავგვრემანის სახის სილამაზეს და აი ასე იდგა ყმაწვილი კიცი მის წინაშე, თვალ-ტანადი, შავ-თვალ-წარბა, ყოვლად მშვენიერი უკრაინის ყველა ძეთა შორის. მისი თვალეები დამშვიდებით, თითქმის მორჩილებით უმზერდა ქალს. კაცმა შეამჩნია, რომ ქალს შიშმა აღარ გადაუარა და დაუწყო ლაპარაკი ნაზის, ნაღელიანის ხმით:

— ნუ გეშინიან, კნიაჟნა!

— სადა ვარ? სადა ვარ? — იმეორებდა ელენე და თითებ შუა გასცქეროდა ატამანსა.

— უშიშარს ადგილას: შორს იმ ადგილიდან, საცა ომია. ნუ გეშინიან, ჩემო სიცოცხლე. მე მოგიყვანე აქ ბარიდან, რომ ბოროტს ხალხს არა ეწყინათ-რა შენთვის. იქ ყაზახნი არავის არ ინდობდნენ; მხოლოდ შენ ვადარჩი ცოცხალი.

— როგორ იქცევით, რადა მღვევით?

— მე გღვევნი? ღმერთო მოწყალეო! — და ატამანმა თავი გადაიქნ-გადმოიქნია, როგორც კაცმა, რომელსაც უსამართლოდ დასდეს რამ ბრალი.

— მე შეშინიან თქვენი.

— რადა? თუ მეტყვი, ამ ზღრუბლს არ გადმოვსცილდები, მე მონა ვარ შენი. ჩემი საქმე ის არის, რომ სულ აქ ვიჯდე და შენ გიცქირო თვალ-წარბში. მე შენთვის ბოროტი არ მინდა და რისთვის გძულვარ? ბარში დანა დაიეცი გულში ჩემს დანახვაზედ, თუმცა დადი ხანია მიცნობ და მაშინაც იცოდი, რომ შენს დასახსნელად მოვედი. უცხო არა ვარ შენთვის, მეგობარი ვარ შენი... შენ კი დანა დაიკარი, კნიაჟნა!

კნიაჟნას გაფითრებული ლოყები უცბად გაუწითლდა.

— სიკვდილი მიჩვენებია შერცხვენასა, — სთქვა ელენემ, — და ვფიცავ ღმერთს, თუ ოდნავ ხელს მახლებ, მაშინვე თავს მოვიკლავ... სულს წავიწყმიდავ.



ყმაწვილს ქალს თვალები აენტო და ატამანმა იგრძნო, რომ ხუმრობა არ შეიძლებოდა ამ თავადიშვილის სისხლის ჩამომავალთან, რომ ელენე, თუ განწირულებაში ჩავარდებოდა, შესარულვებდა თავის ფიცს და აღარც ხელი აუკანკალდებოდა ახლა წინანდებურად.

ხმა აღარ ამოიღო, მხოლოდ ორიოდ ნაბიჯი გადასდგა ფანრისაკენ, ჩამოჯდა ტახტზედ, რომელსაც ოქრო ქსოვილი ფარჩა ჰქონდა გადაფარებული და თავი ჩაპლუნა.

დუმღიმა ორ-სამს წუთს გასტანა. ბოლოს ბოგუნმა დაიწყო:

— არხეინად იყავ. ვიდრე ფხიზელი ვარ, ვიდრე სასმელი თავ-ბრუს არ დამახვევს, შენ ჩემთვის ისევე იქნები, რაც ხატია ეკლესიაში. ხოლო მას შემდეგ, რაც ბარში დაგინახე, სმას თავი დაეანებე. ამას წინად კი სულ ვსვამდი და ვსვამდი, დარდსა და ნალველს ვიქარებდნი. სხვა რა გზა მქონდა? ახლა კი გემოდაც აღარა ვნახავ სასმელსა.

კნიაჟნა მღუმარებდა.

— შემოგხედავ, ჩემს ქიას გავახარებ შენის ნათელ-მოსილის სახის ცქერითა და წავალ ისევ.

— დამიბრუნეთ თავისუფლება.

— აქ კი განა ტყვეობაში ხარ? აქ ქალბატონი ხარ. და ან კი სად გინდა წახვიდე? კურცევიჩები დაილუბნენ, ცეცხლ-მა შთანთქა ქალაქები და სოფლები, თავადი ლუბნში აღარ არის, ხმელნიცკისთან მიდის საომრად, ხოლო ხმელნიცკი იმის შეხვედრას ელის, ყოველგან ომია, სისხლი კოკიპირულად იღვრება, ყველგან ყაზახები არიან, ურდოს კაცნი და პოლონეთის ჯარის-კაცნი. ვინ მოგეპყრობა პატივისცემით? ვინ შეგიბრალებს ვინ დაგიფარავს თუ არ მე?

კნიაჟნამ თვალები მაღლა აღაპყრო. მოაგონდა, რომ ქვეყნად არის კიდევ ერთი, რომელიც მზადაა გასწიროს ჩემთვის თავიო და დიდმა ნალველმა ატკინა გული. ვინ იცის, ცოცხალი-ლაა ის რჩეული მისის სულისა! ბარში მის ყურამდე მოაღწევდა ხოლმე სახელი იმ კაცისა მრისხანე თავადის ძლევა-მოსილების ამბებთან ერთად. გარნა მას შემდეგ რამდენი დღე



და ღამე გავიდა, რამდენი ომი იქმნა გადახდილი, რამდენსა-  
ფრთხეს შეემთხვევოდა! იმისი ამბავი ახლა ბოგუნის შემწეო-  
ბით თუ მოაღწევდა ქალის ყურამდე, ხოლო ელენე ვერა ჰბე-  
დავდა და არც უნდოდა იმის ამბავის გამოკითხვა.

ქალმა კვლავ ჩაჰმალა თვისი პირი-სახე ბალიშებში.

— მაშ, თქვენი ტყვე უნდა ვიყო? — ქვითინით შეეკითხა  
ქალი. — რა დაგიშავეთ, რაზედა მღევნით უბედურებასავით?

ყაზახმა აიღო მალლა თავი და დაიწყო ჩუმად, ნელის ხმით:

— არ ვიცი, რა დამიშავე, თუ მე გდევნი უბედურებასა-  
ვით, შენც უბედური გამხადე. მე რომ შენ არ შემყვარებოდი,  
ვიქნებოდი თავისუფალი, როგორც ქარი მინდორში, თავისუ-  
ფალი გულითა, თავისუფალი სულითა და ისეთივე სახელ-ქე-  
ბული, როგორც საგაიდელი კონაშევიჩი. შენმა სახემ, შენმა  
სხივ-მფენმა თვალებმა გამაუბედურა; აღარც თავისუფლებასა  
აქვს ჩემთვის მიმზიდველობა, აღარც დიდებას ყაზახისასა! რა  
იყვნენ ჩემთვის ქვეყნის კეკლუცნი, ვიდრე შენ ბავშვი იყავ?  
ერთხელ მთელი ნავი შევიპყარი ყმაწვილის ქალებით საესე;  
ხონთქართან მიჰყავდათ, მაგრამ არც ერთზედ გული არ შემ-  
ვარდნია. ჩემმა ძმობილმა ყაზახებმა დაუწყეს ალერსი და  
ხუნტრუცი. მერე ვუბრძანე თვითეულისათვის ყელზედ ქვა  
მოებათ და წყალში გადაეყარათ. არაფრისა არ მეშინოდა,  
არაფრისათვის არა ვზრუნავდი, დავდიოდი სალაშქროდ ურწმუ-  
ნოთა წინააღმდეგ, ვიღებდი დავლა-ალაფსა და, როგორც თა-  
ვადი ციხე-დარბაზში, მეც ისე ვსცხოვრობდი მინდორში. ახლა  
რაღა ვარ? აგერ ვზივარ აქ... ყმად, მონად გადაქცეული, გე-  
მუდარები, ერთს კეთილს სიტყვას გნუკვი და იმის ღირსიც  
არ გაგიხდივარ; არც როდისმე სხვა დროს გამიგონია შენგან  
ერთი მაგისტანა თბილი სიტყვა, მაშინაც კი, როცა შენი ბი-  
ძაშვილები და ძალუა შენი ჩემსკენ იყვნენ. ოჰ, უცხო რომ  
იყო ჩემთვის, უცხო რომ იყო! აღარ ამოვკვლევთავდი შენს ნა-  
თესაეებს, აღარ დავუძმობილდებოდი ტეტია ყმა-მონებსა, შენი  
გაღამკიდე კი დავკარგე გონება, ჰკუა. შენ შეგიძლიან, საცა  
გინდა, იქ წამიყვანო, ჩემს სისხლს შენ შემოგწირავ, სულს



გაეყიდი შენის გულისათვის. აი შემომხედე, ეხლა სულ შლიახტის სისხლითა ვარ შესვრილი, წინად კი მხოლოდ თათრებსა ველეტავდი და შენთვის მომქონდა ნადავლი, დეე სულ ყელამდე ოქროში იჯდეს და თვალ-მარგალიტით იყოს შემკული, როგორც ღვთის ქერუბიმი-მეთქი, რატომ მაშინ მაინც არ გიყვარდი? ოჰ, სული მეხუთება! ეაი მე უბედურს! არც შენთან სიცოცხლე, არც უშენოდ, არც შენგან შორს, არც ახლოს, არც მთაში, არც ბარად, ჩემო მტრედო, ჩემო სულის დგმავ! მაპატივე, რომ რაზლოგში ყაზახივით მოვედი შენთან ცეცხლითა და მახვილითა; მთვრალი ვიყავ მაშინ სასმელითა და თავადებზედ გულ-მოსულობითა... კაცის-მკვლეელი ვარ მე უბედური! მერე, როცა შენ გაიქეცი, ისე ვღმუოდნი, როგორც მგელი, წყლულნი დამიიარავედა და მტკიოდა. საქმელს ზედ არ ვეკარებოდი, სიკვდილსა ვნატრობდი... შენკი თხოულობ, რომ განგიტევე, კვლავ დაგკარგო!

ბოგუნი გაჩუმდა. ძალა აღარა ჰქონდა ლაპარაკისა. ელენეს სახე ხან ფითრდებოდა, ხან წითლდებოდა ატლასივითა. რაც უფრო მეტი სიყვარული სჩანდა ბოგუნის ლაპარაკში, მით უფრო დიდი უფსკრული ჩნდებოდა ყმაწვილის ქალის წინაშე, — უფსკრული უძირო, დახსნისათვის უიმედო.

— მთხოვე, რაც გინდა. აგერ, შეხედე, როგორი მორთულია ეს ოთახი, — ეს სულ ჩემია, სულ ბარში აღებული დავლაა; ექვსმა ცხენმა-კიდებულმა მოიტანა შენთვის ეს ყოველივე აქა. მთხოვე, რაც გინდოდეს: ოქრო, ძვირფასი თვალ-მარგალიტი, ფარჩა, ყურ-მოჭრილი ყმანი. მე მდიდარი ვარ, ჩემი საკუთარი დოვლათიც ბევრი მაქვს, ხოლო ხმელნიცკი ჩემთვის არაფერს არ დაიშურებს, არც კრივანოსი დაიშურებს; ისე იცხოვრებ, როგორც კენინა ვისნევეცკისა; შენთვის ათსა და ოცს ციხე-დარბაზს ვიშოვი, ნახევარ უკრაინას შენ გაჩუქებ... თუმცა ყაზახი ვარ, არა შლიახტიჩი, გარნა სამაგიეროდ ატამანი ვარ; მე გამომყვება ათი-ათასი ყაზახი, უფრო მეტი, ვიდრე თავად ერემიას. მთხოვე, რაც გინდოდეს, ოლონდკი ნუ ინდომებ ჩემგან წასვლას, ჩემო საყვარელო, ჩემო სიცოცხლე!



კნიაჟნამ წამოიწია და თავი მალლა აიღო ბაღში მიდრეკილ. პირისახეზედ მკვდრის ფერი ედო, ხოლო თვალებში მტკიცე გარდაწყვეტილების ალი ენთებოდა.

— თუ ჩემი პასუხი გინდათ, — სთქვა ქალმა, — იცოდეთ, რომ თუნდა მთელი საუკუნე რომ მეწეროს თქვენს ტყვედ ყოფნა, მაშინაც არ შეგიყვარებთ, არ შეგიყვარებთ, გეფიცებით ღმერთს!

ბოგუნე ერთ წუთს ტოკვასა და ბრძოლაში იყო.

— ნუ მეუბნები მაგისთანა სიტყვებსა, — სთქვა მან ხრინწიანის ხმით.

— თქვენც ნურას ნუ მეუბნევით თქვენის სიყვარულისას, ნუ მაუპატიურებთ მაგნაირის ლაპარაკით. მე თქვენთვის არა ვარ.

ატამანი ზეზედ წამოდგა.

— მაშ, ვისთვისა ხარ, კნიაჟნა კურცევიჩ? ვის ხელთ ჩავარდებოდი ბარში, მე რომ არა ვყოფილიყავი?

— ვინც გადამარჩინა სიკვდილს მხოლოდ იმისათვის, რომ ტყვეობაში მამყოფოს, გამაწბილოს და თავზედ ლაფი დამასხას, ის ჩემი მტერია და არა მოკეთე.

— შენ გგონია, რომ ტეტები მოგკლავდნენ? არა, ოჰ, არა! გახსენებაც კი საშინელებაა იმისი, რაც დაგემართებოდა.

— მე ხანჯალი მომკლავდა... თქვენკი ხელიდან წამართვით მახვილი.

— და არც ახლა მოგცემ. შენ ჩემი უნდა იყო!

— არას დროს! სიკვდილი მიჩვენია!

— უნდა ჩემი იყო და იქნები კიდევცა!

— არასოდეს!

— ეჰ, დაჭრილი რომ არ იყო, მაგ შენის სიტყვების შემდეგ, დღესვე გავგზავნიდი ყაზახებს რაშკოვსა და ბერს მოვაყვავინებდა, ხოლო ხვალვე შენი ქმარი შევიქნებოდი. დიად, დიად... ქმარიკი ცოდვია ქალს არ უყვარდეს და არ ეალერსებოდეს. ეჰ, პანა დიდებულო, შენ ისა გწყინს, ყაზახს რად უყვარვარო. შენ კი ვილა ხარ, რომ მე ტეტიადა მსახავ? სად

არის შენი ციხე-დარბაზები, შენი მსახურნი, ჯარები? გაჩნდა ეგ შენი რისხვა, შენი ბუტიაობა? ომში ჩამივარდი ხელთ, შენ ჩემი ტყვე ხარ. ოჰ, მე რომ ტეტია ვიყო, მათარახით გასწავლიდი ჭკუასა და უმღედლოდაც დავსტკებობდი შენის შევიერიებით... ტეტია რომ ვიყო და არა რაინდი!

— ანგელზნო ცისანო, თქვენ დამიფარეთ!—წაიჩურჩულა კნიაჟნამ.

ყაზახს კი თანდათან უფრო განრისხება ეხატებოდა. სიბრაზემ მთლად შეიპყრა კაცი.

— ვიცი, რისთვისაცა გწყინს ჩემი სიტყვები, ვიცი, რისთვისაც მირიდებ! სხვისთვის ინახავ შენს კდემამოსილებას, მაგრამ ამოდ, იცოდე არა გამოვა-რა, ვიდრე ცოცხალი ვარ! ვილაც ლატაკი შლიახტიჩი! მაწანწალა! კისერიც მოუტეხია! დაინახა თუ არა, ორჯელ არ გაველ-გამოველო ცეკვაში და სულ დაატყვევა, შენკი, ყაზახო, ითმინე, თავი ქვას ახალე! ჰო, დამაცადე, მოეძებნი მე იმას, ტყავს გავაძრობ და ამოვიყრი იმის ჯავრს მაშინ, სიცოცხლე მაქვს! იცოდე, ხმელნიცკი მიდის ლიახების საყლეტად, მეც იმას გავყვები და ვიპოვი შენს საყვარელს, თუნდ დედა-მიწის ქვეშ დაიმალოს, იქაც ვიპოვი, და როცა დავბრუნდები, საჩუქრის მაგივრად, იმის თავს დაგიგორებ ფეხ-ქვეშა.

ელენეს აღარ გაუგონია უკანასკნელი სიტყვები ატამანისა. გულის-ტყენამ, განრისხებამა, მღელღარებამა, შიშმა დაუკარგა გონება და დაუბნელა ფიქრი და კვლავ გული შეუწუხდა.

ატამანი ერთ ხანს იდგა განრისხებული და საშინლად აღეწილი, მაგრამ მერე, დაინახა რა, რომ ელენეს თავი გადმოუფარდა ბალიშიდან, მის მკერდიდან აღმოხდა ხმა განწირულებისა:

— აჰ მო, აჰ მო, გორპინა, გორპინა! გორპინა!

და ეს ამოდენა კაცი დაეცა ძირსა.

კუდიანი დედა-კაცი მალე გაჩნდა ბოგუნის ყვირილზედა.

— უშველე, დაიხსენი!—ჰყვიროდა ბოგუნი.—მოკალი ჩემი სიცოცხლე, ჩემი მზე და მთვარე!



— ხომ არ გაგიყდი?

— მოვკალი, მოვკალი! — გმინავდა ატამანი და იმტვრე-  
და ხელებს.

მეგრამ გორპინა, მიუახლოვდა თუ არა კნიაჟნას, მაშინ-  
ნადვე მიხვდა, რომ აქ სიკვდილი კი არა, ქალს გულს შემოპ-  
ყრიაო, გაუძახა ძალის-ძალაზედ ბოგუნს კარში და მიჰყო თავის  
წამლობას ხელი.

კნიაჟნამ მალე გაახილა თვალები.

— არაფერია, შეილო, ნუ გეშინიან, — ამწვიდებდა გორ-  
პინა. — უთუოდ ძლიერ შეშინდი; ფიქრი არ არის, მალე გაგივ-  
ლის. ჯერ კიდევ დიდ ხანს იცოცხლებ და ბიჭნები ბედნიერი.

— ეინა ხარ? — ჰკითხა კნიაჟნამ მისუსტებულის ხმით.

— მე შენი მოახლე ვარ, იმიტომ რომ იმან ასე მიბძანა.

— სადა ვარ?

— ეშმაკეულს იარში. აქ უდაბური ადგილია, იმის მეტს  
ვერაეის დაინახავ.

— შენც აქა სცხოვრობ?

— ჩვენი სახლ-კარი აქ არის. მე დონცოგნა ვარ, ჩემი  
ძმა პოდპოლკოვნიკია და ბოგუნის ხელ-ქვეითია, ყაზახნი დაჰ-  
ყავს სალაშკროდ, მე კი აქა ვარ და შენ გყარაულობ ამ ოქ-  
როს ოთახში. ქოხის მაგიერ მოქსოვილი დარბაზია. ისე  
ბჭყვრიანებს აქაურობა, რომ კაცს თვალები ეტკინება! სულ  
შენთვის მოიტანა ეს, ყოველივე.

ელენემ პირდაპირ თვალებში შეჰხედა კუდიან მოსამსა-  
ხურე დედა-კაცს და ძალიან გულ-კეთილ აღამიანად ეჩვენა.

— ოჰ, კეთილად მომექცევი, განა?

ახალგაზდა კუდიანის სახეს სიხარულით ნათელი გადაე-  
ფინა.

— კეთილად მოგექცევი, მაშ! რატომაც არა. შენც კეთი-  
ლად მოექცევი ატამანს. კარგი რამ არის, დახატულია, სახე-  
ლოვანი მემომარი, სულ ოქროში...

კუდიანმა თავი დაიხარა და რაღაცა უჩუროჩულო ყურში.

— გამშორდი! — შეტყვირა კნიაჟნამ.

III

მეორე დღეს, დილით, დონცოვნა და ბოგუნე იხდნენ ტირიფ ქვეშა, წისქვილის ბორბლის ახლო და უყურებდნენ აქაფებულს წყალს.

— შენ უნდა მოუარო იმ ქალსა. უყარაულო... თვალი არ მოაშორო, რომ არასგზით ამ ხეობიდან არსად არ გავიდეს,—სთქვა ბოგუნმა.

— ხევიდან წყლისაკენ ვიწრო გასავალია, აქ კი ადგილი ბევრია. უბრძანე ყორეთი ამოაგსონ გასავალი და მაშინ აქ ისე ვიქნებით, ვითომც ორმოში ეყოფილვართ. მე კი გზას ვიპოვი.

— რითი სცხოვრობთ მერე აქა?

— ჩერემისი კლდის ძირებში სიმინდსა სთესავს და მახეებით ფრინველს იჭერს. ახლა რაც შენ მოიტანე, აღარა დავაკლდება—რა. შენ ფიქრი ნუ გაქვს; ეგ აქედან ვერსად წავა და ვერცარაინ მაგის ამბავს გაიგებს, მხოლოდ შენმა მხლებლებმა არსად არა წამოაროშონ—რა.

— იმათ ვუბრძანე, რომ ფიცი მიეღოთ. ერთგული ხალხია, არას იტყვიან, თუნდა ტყავი გააძრო. მაგრამ შენვე სთქვი, რომ ხალხი მოდის ჩემთან სამკითხაოდო.

— ათასში ერთხელ მოდიან რაშკოვიდან, სხვა მხრიდანაც მოდიან, მაგრამ ისენი წყალს არ გამოსცდებიან ხოლმე, ამ ხევში შემოსვლისა ეშინიანთ, აი ძვლებს ხომ ჰხედავ, აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომ შემოსვლა მოინდომეს და ეგ იმათი ძვლებია.

— შენ დაჰხოცე ეგენი?

— ვინც დაჰხოცა, დაჰხოცა! ვისაც უნდა ვუკითხო, ხევის პირად იცდის და მე კი ბორბალთან მივდივარ. რასაც დავინახავ წყალში, იმას ვეუბნევი. შენთვისაც დავიწყებ წყალში ყურებას, მხოლოდ არ ვიცი, გამოჩნდება თუ არა... ყოველთვის არა სჩანს ხოლმე.

— ნეტავი ცუდი არა დაინახო-რა და!

— თუ ცუდი დაეინახე რამე, ვერ წახვალ, ისედაც რომ არ წახვიდოდე, კარგს იზამდი.

— წასვლა საჭიროა. ხმელნიცკიმ ბარს გამომიგზავნა წიგნი და კრივანოსმაც მიბრძანა. ლიახები დიდის ჯარით აპირობენ ჩვენთან ომსა, საჭიროა ჩვენც მოვემზადნეთ იმათ დასახვედრად.

— როდის-ლა დაბრუნდები?

— არ ვიცი. დიდი ომი იქნება, ისეთი, რომლისთანაც ჯერ არა ყოფილა. ან ჩვენ უნდა გავწყდეთ, ან ლიახები. თუ ჩვენ დაგვძლიეს, მე იქ დავიმარხები; თუ გავიმარჯვებთ, შემოვივლი აქ ჩემს მტრედთან და კიევში წავალთ ერთადა.

— რომ მოგკლან?

— ერთხელ დავბადებულვარ, ერთხელ უნდა მოგვკვდე.

— მაგ ქალს რაღა ვუყო? ყელი გამოვჭრა თუ?

— ხელი გიხლია მაგისთვისა და მაშინვე ვუბრძანებ, რომ მარგილზედ ჩამოგაცვან.

ატამანი მოიღრუბლა.

— თუ მოგვკვდე, უთხარი, რომ შემინდოს.

— ეჰ, სულელია, რომ არ უყვარხარ მაგნაირის სიყვარულის სამაგიეროდ. მე უნდა ვუყვარდეთ მაგრე, რომ ხმასაც აღარ ამოვიღებ.

გორპინამ მუჯღლუგუნი წაჰკრა ორჯელ ბოგუნს გვერდში და უშნოდ გაიღიმა.

— დამეკარგე იქით!— შეჰყვირა ყაზახმა.

— კარგი, კარგი! ვიცი, რომ შენ ჩემთვის არა ხარ გაჩენილი.

ბოგუნმა ცქერა დაუწყო აქაფებულს წყალს, თითქო თითონ უნდა უკითხოს თავის თავსაო.

— გორპინა!

— რა იყო?

— მე რომ წავიდე, დავენანები ნეტავი?



— რახან არ გინდა, ძალათი შეაყვარო თავი, ყაზახულად იქნება სჯობდეს, რომ წახვიდე.

— ეგრე არ მინდა, არ შემძლიან, ვერ გავბედავ! ვიცი, რომ მაშინვე მოკვდება.

— მაშ, წადი. ჯერ ზედაც არ უნდა შემოგხედოს და როცა ერთს-ორს თვეს დარჩება ჩვენთან, მე და ჩერემისთან, მერე უფრო სასიამოვნო იქნები მისთვის.

— არ ვიცი, რას არ მოვიქმედებ, ოღონდ კი ეგ კარგად იყოს. მინდოდა მღვდელიც მომეყვანა რაშკოვიდან, ჯვარი გადაეწერა ბარემ, მაგრამ ვშიშობ, ვაი თუ გული გაიხეთქოს და მოკვდეს. შენ თვითონ ჰნახე ხომა?

— დაანებე თავი ჯერ-ჯერობით. ან კი რად გინდა მღვდელი და ქორწინება? ვერა ხარ ნამდვილი ყაზახი, ვერა! მე სრულებითაც არ მებიტნავება აქ მღვდლისა და ან ქსენძის დანახვა. რაშკოვში დობრუჯის თათრები სდგანან, შენ ახლა იმათ გზასაც აჩვენებდი! ეგ რა ფიქრად მოსასვლელია? წადი შენთვისა და დაბრუნდი მერე ისევა.

— შენ მაშ აი წყალს დაუწყე ყურება და სთქვი, რასაც დაინახავ. მართალი სთქვი, ნუ იტყუებ, თუნდა მკვდარიც დამინახო.

ღონკოვნა მოვიდა სათავესთან და აუშვა წყალის მეორე გადასაგდები; წყალი გაექანა საშინელის ძალით, ბორბალმა გაორკეცებულის სისწრაფით დაიწყო ტრიალი და მალე დაიშალა წყალის ქაფსა და წინწკლებში.

კუდიანი ჩააშტერდა თავის შავის თვალებით წყალის ქოჩქოჩანას, იტაცა თმებში ხელი და დაიწყო ყვირილი:

— გუკ! გუკ! გამოჩნდი! მუხის ბორბალში. ქათქათა ქაფში, ნათელ-მოსილ ნისლში გამოჩნდი, კეთილი ხარ თუ ბოროტი!

ბოგუნნი მიუახლოვდა და ჩამოჯდა იმის გვერდითა. სახეზედ ეხატებოდა შიში და მოუსვენარი ცნობის-მოყვარეობა.

— ვხედავ!—დაიყვირა ბოლოს გოარბინამ.

— რას ჰხედავ?

— ჩემის ძმის სიკვდილსა. ღონეც მარგილზედ აცვამენ.



— ჯანაბას შენი ძმა!

ბოგუნს სხვა რამ უნდოდა, სხვა დარდი ჰქონდა.

ერთს წამს ისმოდა საშინელი შუილი წყალისა.

— გალურჯებული სახე აქვს ჩემს ძმას, გალურჯებული... ყვავ-ყორანი სწიწკნის იმის გულ-მკერდსა!

— რასა ჰხედავ კიდევ?

— არაფერსა. ოჰ, რა გალურჯებულია! გუკ! გუკ! მუხის ბორბალში, ქათქათა ქათში, ნათელ-მოსილ ნისლში გამოაჩნდი!.. ვხედავ.

— რასა?

— ომია! ლიახნი მირბიან და ყაზახნი მისდევენ.

— მე! მე კი არ მისდევ?

— გხედავ შენცა. შენ ვილაც ტან-დაბალ რაინდს შეე-ბრძოდლე... ოჰ! გაუფრთხილდი ტან-დაბალ რაინდსა.

— კნიაჟნა-ლა?

— ის არა სჩანს. კიდევ შენა გხედავ, შენთან არის ისა, ვინც შენ გაგცემს. შენი მუხანათი ამხანაგი.

— ვინ ამხანაგი?

— ვერა ვხედავ. არ ვიცი, ახალგაზდაა, თუ მოხუცი!

— მოხუცია, უთუოდ მოხუცია!

— იქნება მოხუციც იყოს.

— მაშ, ვიცი ვინც იქნება. ერთხელ კიდევ მიმუხთლა. მოხუცი შლიახტიჩია წვერ-ქალარა და თვალ-ბრუდვი. სიკვდილი იმასა! მაგრამ ის ჩემი ამხანაგი არ არის.

— როგორღაც გიახლოვდება. აი კიდევ ვხედავ. დაიცა, გაჩერდი! კნიაჟნაც აქ არის... გვირგვინი ადგია, თეთრი ტანისა-მოსი აცვია, ზედ ქორი დასტრიალებს.

— ეგ მე ვარ.

— იქნება შენცა ხარ. ქორია... თუ მიმინო? ქორია!

— ეგ მე ვარ.

— დაიცა. აგერ აღარა სჩანს ის ქალი... მუხის ბორბალ-ში, ქათქათა ქათში... ოჰ, ბევრია ჯარი, ბევრნი არიან ყაზა-ხნი, ოჰ, ძალიან ბევრნი, როგორც ხეები ტყეში, როგორც

მალალი ბალახი მინდორში, შენ კი ყველაზედ მალლა  
ხარ, შენ წინ სამი თული მიაქვთ.

— კნიაჟნა ჩემთან არის?

— ის არა სჩანს, შენ ურდოში ხარ.

კვლავ დუმილი. ბორბალი ისეთსა პროწილობს, რომ წი-  
სქვილს სულ მთლად ზანზარი გააქვს.

— ოჰ, რა აუარებელი სისხლია! რამდენი სისხლია! რა-  
მოდენა ხროვა მკვდართა! ზედ მგლები ესევინ, ყვავ-ყორანნი  
დასტრიალებენ! ქორი ტრიალებს მალლა. მარტო მკვდარნი,  
მხოლოდ მკვდარნი. შორს კიდევ მკვდარნი, სულ მკვდარნი!  
ალარა სჩანს-რა სისხლის მეტი!

უცბად ქარი ამოვარდა და გაჰფანტა ნისლი, რომელიც  
ბორბალს შემოაჰხვეოდა; ამ დროსვე წისქვილს ქვეშ გამოჩნდა  
მახინჯი ჩერემისი, რომელსაც ზურგზედ ერთი იღლია შეშა  
ჰქონდა წამოკიდებული.

— ჩერემის, გაამაგრე წყალის გადასადგები!—დაუყვირა  
კუდიანმა და წავიდა ხელ-პირის დასაბანად.

ბოგუნი იჯდა ფიქრში წასული, დალონებული. მხოლოდ  
გორპინას მოსვლამ მოიყვანა გონს.

— მეტი ველარა დაინახე-რა?—ჰკითხა ბოგუნმა.

— რაც გამოჩნდა, გამოჩნდა, მეტს ველარას დავინახავ.

— ხომ არა სტყუი?

— არა, გეფიცები ძმის სიცოცხლესა. მარგილზედ აცვა-  
მენ, ხარები მოუბეს ფეხებზედ და ისე ეწევიან. მეცოდება სა-  
წყალი. ეჰ, მარტო იმას არ უწერია სიკვდილი! რამდენი იყო  
მკვდარი! ჩემს დღეში მაგოდენა ხროვა არ მინახავს დახოცილ-  
თა; დიდი ომი იქნება!

— ელენე დაინახე, რომ თავზედ ქორი დასტრიალებდა?

— დავინახე.

— გვირგვინი ედგა თავზედა?

— გვირგვინი ედგა და თეთრი ტანისამოსი ეცვა.

— რა იცი მერე, რომ ეგ ქორი მე ვარ. მე გითხარი ერ-  
თის ყმაწვილის ლიანისა-შლიახტიჩისა, იქნება ეგ ქორი ის არის?



გორბინამ კოპები შეიკრა და ჩაფიქრდა.

— არა, — სთქვა ქალმა პატარა ხანს შემდეგ და თავი გაოქნია, — ლიახი რომ ყოფილიყო, არწივი იქნებოდა.

— მადლობა ღმერთსა! მადლობა ღმერთსა! მაშ, წავალ მე ჩვენებთან, ვუბრძანებ ცხენები შეჰკმაზონ. ამაღამ წავალთ.

— მაშ, უთუოდ გინდა წასვლა?

— ხმელნიცკიმ მიბრძანა, კრივანოსმაც მიბრძანა. შენ სწორედა სთქვი, დიდი ომი იქნებაო. მე თვითონ წავიკითხე ბარში წერილი ხმელისა, ისიც მაგასვე მწერდა.

— მაშ წადი. ბედნიერი ხარ, გეტმანი იქნები. წყალში დავინახე, რომ შენ წინ სამი თული მიჰქონდათ.

— გეტმანი ვიქნები და კნიაჟნასაც ცოლად წავიყვან. ტეტისას ქალს ხომ ვერ შევირთავ.

— ტეტისას ქალს სხვანაირად დაუწყებდი ლაპარაკს, ამისთვის კი შენ ტოლი არა ხარ. იმას ლიახი უნდა.

— მეც ლიახზედ უარესი არა ვარ.

ბოგუნი გამოტრიალდა და წავიდა თავლაში, ხოლო გორბინა სადილის მზადებას შეუდგა.

სალამოზედ მზად იყვნენ სამგზავროდ, მაგრამ ატამანს წასვლის დარდი არა ჰქონდა. ბოგუნი იჯდა ხალიჩების ხროვაზედ ფანდურით ხელში და შეჰყურებდა კნიაჟნას. ელენე წამომდგარიყო ლოგინიდან, მაგრამ ერთს კუთხეში მიკუნჭულიყო და კრიალოსანს ათამაშებდა; ბოგუნს სრულიად ყურადღებას არ აქცევდა, თითქო ოთახში არც კია ისაო. ხოლო ბოგუნი სულ იმას შეჰყურებდა, ცდილობდა არც ერთი ზისი მოძრაობა არ გამოჰპარებოდა, თვითეულს მის ამოხერას ყურს უგდებდა და არ იცოდა, რა ექმნა. ყოველს წუთს პირს აღებდა, უნდოდა ლაპარაკი დაეწყო, მაგრამ სიტყვები არ ამოდიოდა ყელიდან. გაფითრებული სახე ელენესი, შეკრული კოპები და მრისხანე შუბლი ართმევდა გამბედაობას ყაზახსა. ასეთი მეტყველება ჯერ არც ერთხელ არ ენახა ბოგუნს ელენეს სახეზე. და აი უნებურად მოაგონდა რაზლოგში გატარებული სალამოები... როგორც ცოცხლები, ისე წარმოუდგა თვალ-წინ,

საქართველოს  
1919

რომ მუხის სტოლის გარშემო სხედან კურცევიჩები, მოხუცი კნენა შეექცევა ზევიკრუტას, თავადნი რიგ-რიგით აგორებენ კამათლებს და თვითონ კი ზის და თვალს არ აშორებს კნიაჟნას, რომელიც მაშინაც ისევე შშვენიერი იყო, როგორც დღეს არის. მაგრამ მაშინ უფრო ბედნიერი იყო, მეტადრე იმ დროს, როცა უამბობდა თავის საშინელის თარეშობის ამბავს თათრების ქვეყანაში და კნიაჟნას შავი თვალები კარგა ხნობით დააცქერდებოდა ხოლმე მის სახეს, ხოლო ნახევრად გაბობილი ბაგენი ჰმოწმობდა, რომ ქალი ყურადღებით ისმენდა მის ნაამბობს. ახლა? ახლა აღარც შემოხედვა, აღარც ერთი სიტყვა!.. მაშინ ხშირად მოხდებოდა, ავიღებდი ფანდურს, დავუკრავდი და ის ისმენდა კიდევ; მიყურებდა კიდევ და გული ჩემი დნებოდა სიამოვნებით. საოცრება არ არის? ეხლა მისი ბატონი ვარ, ის ჩემი ტყვეა, მხევალია; ნება მაქვს, რაც მინდა, ის ვუბრძანო და მაინც წინად უფრო თითქო ნაკლები იყო ის მანძილი, რომელიც ჩვენს შორის იდო. კურცევიჩები ჩემი ძმები იყვნენ, ეს ქალი, იმათი ბიძაშვილი იყო და, მაშასადამე, ცოტაოდნად მეც ნათესავად მომხვდებოდა. ახლა კი ჩემ-წინ ზის პანა, ქედ-მაღალი, კუშტი, მღუმარე, უწყალო. ოჰ, რისხვა მიდულს გულში! მე ვაჩვენებდი, როგორც უნდა ზიზლი ყაზახისა... მაგრამ ვაი და ვაი, რომ მიყვარს მე ვგა, ვე უწყალო პანა, წვეთ-წვეთობით დავაქცევ ჩემს სისხლს მაგისათვის. და აი რისხვა მისი ნელდება და რაღაც ხმა ჩასჩურჩულებს ყურში: შეჩერდიო! ჰგრძნობს, რომ მასთან ახლო ყოფნა აწუხებს ქალს, ცულს გუნებაზედ აყენებს. ნეტავ გაილიმბდეს მაინცა, ერთი კეთილი სიტყვა მაინც წამოსცდებოდეს და მაშინვე მის ფეხთ-ქვეშ დავემხობი, წავიღოდი თუნდ ეშმაკებთანა და ქაჯებთან, იქ ჩავკლავდი ჩემს დარდს, ჩემს გულის-წყრომას ჩავახრჩობდი ლიახთა სისხლში. ახლა კი, როგორც მონა, ისე ვარ ამ კნიაჟნას წინაშე. წინად რომ ცნობა არა მქონოდა ამისი, ეს პოლონელი ქალი რომ პირველ შლიახტელ სახლიდანა ყოფილიყო, უფრო გაბედვით მოვექცევიდი, მაგრამ რა ვუყო, რომ ეს ქალი კნიაჟნა ელენეა, ის ელენეა, რომლის გულისათვისაც



თაყვანსა ვსცემდი კურცვეიჩებს, რომლისათვისაც მზად ვიყავე ყოველივე გამეწირა, რაც რამ მებადა. მით უმეტეს მრცხვენიან მისი, მით უმეტეს ვკრთი მის წინაშე.

დრო გადის, ეზოდან ყაზახთა ხმაურობა მოისმის, ისინი ეხლა უთუოდ უკვე ცხენებზედ სხედან და ელიან თავიანთ ატამანსა, მე კი გული ნაკუწ-ნაკუწ მეგლიჯება ტკივილისაგან. მთვარის სინათლე დასთამაშებს ბოგუნის სახეს, მის მდიდრულს ჯუბას და აბა თუ ერთხელ მაინც შეჰხედოს ზედა! ბოგუნმა აღარ იცის, რა მოიქმედოს. უნდა გამოეთხოვოს, გამოეთხოვოს ტკბილად, გულითა და სულით, მაგრამ ეშინიან, ვაი თუ ისეთი გამოთხოვება არ იყოს, როგორც ჩემთვის სასურველია, ვაი თუ ისე წავიდე, რომ სიმწარე გამყვეს თან, გულის წყრომამ ამიტანოს და სულის ტკივილმა, ქენჯნამ აღარ მომასვენოსო. ეჰ, ეგ რომ კნიაჟნა ელენე არ იყოს, ის კნიაჟნა, რომელმაც ხანჯლით თავი დაიჭრა, ის, რომელიც იმუქრება თავს მოვიკლავო... ის სასურველი, ძვირფასი და, რაც უფრო ქედმაღალია, გორაოზი და უკარებაა, მით უფრო სასურველი, საყვარელი!...

აი რომელმაც-ღა ცხენმა დაიჭიხვინა ეზოში.

ატამანმა იგრძნო, რომ თითქო გამბედაობა მომემბათაო.

— კნიაჟნა, — სთქვა ბოგუნმა, — დროა ჩემის წასვლისა.

კნიაჟნა სდუმდა.

— არ მეტყვი, მშვილობის მგზავრობა მოგცეს ღმერთმაო?

— წადით, ღმერთი იყოს თქვენთანა, — სთქვა გაბტყელე-ბით კნიაჟნამ.

ყაზახს გული შეეკუმშა: ისა სთქვა, რაც მინდოდა, მაგრამ ისე არა სთქვა... გულ-ცივი თქმა იყო, კინალამ ზიზლით იყო ნათქვამი.

— ვიცი, რომ მიჯავრდები, გძულვარ, მაგრამ ერთს გეტყვი მხოლოდ, რომ ჩემს აღაფას სხვა უფრო ცუდი იქმნებოდა. მე მოგიყვანე აქა, სხვა მეტი გზა არა მქონდა, მაგრამ აბა ავი რა წაგვიდე? განა ისე არ გექცეოდი, როგორც დედოფალს? შენ თითონა სთქვი. ნუ თუ ისეთი ავაზაკი ვარ, რომ



ერთს ტკბილს სიტყვას არ მეტყვი? მერე ისიც მაშინ, ჩემ ხელთა ხარ.

— ღვთის ხელთა ვარ, — ისევ ისე გაჭიანურებითა სთქვა კნიაენამ, — ხოლო თუ თავს იკაეებთ ჩემთან ყოფნის დროს, გმადლობთ მაგისთვისაც.

— წავალ, რა ვქნა, ეგეც ნუგეზია, ასე თუ ისე. იქნება შეეგეცოდო ცოტად მაინც; ან იქნება გული გეტკინოს ოდეს-მე ჩემთვის, როცა მე აღარ ვიქნები.

ელენე სდუმდა.

— გული მტკივა, რომ მარტოსა გტოვებ აქა, — განაგრძო ბოგუნმა. — გული მტკივა, რომ მივდივარ, მაგრამ მეტი ღონე არ არის — მოვალეობა მაწვევს. გულს მეფონებოდა, რომ გაგელიმნა, ჯვარი მოგეცა გულის წმინდით. მითხარ მაინც, რა უნდა მოვიქმედო, რომ შენი თანაგრძობა დავიმსახურო?

— დამიბრუნეთ თავისუფლება და ღმერთი ყველაფერს გაპატივებს, მეც შეგინდობთ და თქვენის ლოცვის მეტს არას გავაკეთებ.

— იქნება აგრეც მოჰხდეს, — სთქვა ყაზახმა, — იქნება კიდევ დაგნანდეს, რომ აგრე სასტიკად მექცეოდო.

ბოგუნს უნდოდა, რომ სანახევროდ დაპირებულ აღთქმით ეყიდნა ერთი წუთი ტკბილად განშორებისა. გაიტანა კიდევ თავისი. ელენეს თვალეზში გაიელვა იმედის სხივმა, ღრუბელი გადიყარა მისმა სახემ. გულ-ხელი დაიკრიფა და ეედრებით მიაპყრო ბოგუნს თავისი თვალეზი.

— თქვენ რომ...

— რ...ავიცი, — ნელის ხმით წარმოსთქვა ყაზახმა. სირცხვილმა და სინანულმა წაუჭირა ყელში და აღჩობდა. — ეხლა არ შემიძლიან, არ შემიძლიან, არ შემიძლიან, ყრუ მინდვრეზში თათართა ურდო სდგას, რაშკოვიდანაც თათრები მოდიან, არ შემიძლიან, მეშინიან, მაგრამ, დავბრუნდები თუ არა... მე ხომ ბავშვივითა ვარ შენ წინაშე. რასაც გინდა, იმას მატვირთებინებ... რა ვიცი... არ ვიცი...



— ღმერთიმც დაგლოცავთ, წმინდა ქალწულიმც დაგლოცავთ, ურთოვანებო და შთაგაგონებო კეთილსა... წადით, ღმერთი იყოს თქვენთანა.

ქალმა გაუწოდა თავისი ხელები. ბოგუნე ერთის კამარის კვრით გაჩნდა მის წინაშე, დააკვდა მის ხელს ტუჩებითა, მაგრამ უცებ აიღო მალლა თავი, შეჰქნიშნა სახეზედ საყვედური და გავარდა გარედ.

ფანჯრების იქით მალე მოისმა ყაზახთა ცხენების თქარათქური.

#### IV

— ჭეშმარიტი სასწაული მოგვივლინა უფალმა ღმერთმა სწორედ, — ეუბნებოდა ბან ზაგლობა ვოლოდიევსკისა და პოდბიჰენტასა, როცა ყველანი სქშეტუსკის სახლში იყვნენ, — ჭეშმარიტი სასწაული სწორედ, გეუბნებით, იმიტომ რომ ინება და შემადლებინა იმ ქოფაკის ხელიდან გამომეტაცნა ის ქალი და შემდეგაც უვნებლად გადაარჩინა იმდენის ხნის მგზავრობაში; იმედი გექონდეს, რომ ყოვლის შემძლებელი კვლავ შეგვიწყალებს. ოღონდ ცოცხალი კი იყოს ის საცოდავი. მერე სულ ის აზრი მაქვს ფიქრად, რომ ხელ-მეორედ გაიტაცა იმ ძაღლის ნაშობმა. ვარაუდი გქონდეთ, რომ პულიანის შემდეგ მისი აღგილი იმან დაიჭირა კრივანოსთან, იმ ცხვირ-მრუდესთანა (ეშმაკმა გაამრუდოს იმისი თავი და ტანი) და ბარის აღების დროსაც იქ იქნებოდა, რასაკვირველია.

— შესაძლოა, რომ ვერ იპოვნა იმოდენა უბედურთა შორის; ამბობენ, რომ ბარში ოცი ათასამდე სული იქმნა ამოწყვეტილიო, — შეჰქნიშნა ვოლოდიევსკიმ.

— თქვენ იმას არ იცნობთ, თუნდა დავიფიცავ, რომ ბოგუნმა იცოდა, ელენე ბარშია დამალულიო. სხვაფრივ არც იქმნებოდა; იმან გადაარჩინა უთუოდ სიკვდილს და წაიყვანა სადმე.



— ვერაფერი ნუგეშია. პან სქშეტუსკის ადგილას რომ ვყოფილიყავ, ჩემთვის უმჯობესი იქმნებოდა მომკვდარიყო ბარშივე, ვიდრე იმის ხელში ჩავარდნილიყო.

— ეგეც ვერაფერი სასიამოვნოა: თუ მოჰკლეს, ალბად მოჰკლეს გაწბილებული და ნამუს-ახლილი...

— სულ ცუდად მიდის საქმე!—სთქვა ვოლოდიევსკიმ.

— ოჰ, ცუდად არის საქმე!—განიმეორა პან პოდბიპენტამ.

ზაგლობამ დაიწყო წიწქნა უღვაშებისა და წვერისა და მერე დაიწყო გრგვინვა:

— ოი, ჭირმა და ჭიჭინამ ამოიჭამოს იმათი თავი, თათრებსაც დაუგრებიათ იმათი ნაწლევებისაგან მშვილდის ლარი თავიანთ მშვილდისრებისათვის!

— მე არ ვიცნობდი იმ პანნას,—მწუხარებითა სთქვა ვოლოდიევსკიმ,—მაგრამ ისევ რომ მე დამმართნოდა რამ უბედურება, ის მერჩინა სწორედ.

— ერთხელ ვნახე ჩემს სიცოცხლეში, მაგრამ როცა მომაგონდება, სადაც არის ახლა, სიცოცხლე შემეზარება ხოლმე.—სთქვა პან ლონგინუსმა.

— ეგ თქვენა,—დაიდრიალა ზაგლობამა,—ახლა ის იფიქრეთ, მე რა მემართება, როდესაც ისე შემიყვარდა ის ქალი, როგორც მშობელს მამასა, როდესაც თათართა ტყვეობიდან დავიხსენი! იფიქრეთ, აბა, რა ცეცხლი უნდა ტრიალებდეს ჩემს გულში?

— პან სქშეტუსკის აღარა კითხულობთ, რა ჯოჯოხეთს უნდა ჰგონობდეს ახლა ისა?

ყველანი დადუმდნენ. პირველად ისევ ზაგლობამ დაიწყო მოუსვენრობა.

— ნუ თუ ლონის-ძიება არა არის-რა?

— თუ სხვა ლონე არა არის-რა, უნდა შური ვიძიოთ. სამაგიერო გადავუხადოთ,—სთქვა ვოლოდიევსკიმ.

— ოჰ, ღმერთი რომ ინებებდეს და დიდს ომს მოგვივლენდეს!—ამოიოხრა პან ლონგინუსმა.—თათრებისას ამბობენ, რომ წყალში გამოვიდნენ და მინდვრად დაბანაკდნენო.



პან ზაგლობა თან-და-თან ცხარობდა და კრიახობდა.

— ნუ თუ უნდა უპატრონოდ დავსტოვოთ ის საცოდავი და არას ვეცადოთ იმის დასახსნელად! უკვე საკმაოდ ვეთრიე და ვიწინწალე ამ ქვეყნად, მოხუცებული ძვლები მოსვენებას ითხოვს, მაგრამ ჩემის კნიაჟნასთვის მზადა ვარ თუნდა სტამბოლს წავიდე. თუ საჭირო იქნება, ჯანაბას კიდევ გადავიცვამ ტეტის ტანისამოსს და ავიკიდებ ზურგზედ დიდს ფანდურსა... აი, დასწყევლოს ის ეშმაკმა! ისე არ გამახსენდება, რომ გული არ ამერიოს!

— მოხერხებული კაცი ხარ, გაოსტატებული, მოიფიქრე რამე, — შეაგულიანა პან პოდბიპენტამ.

— ხერხი ბევრი მოვიგონე კიდევ. თავად დომინიკს რომ იმისი ნახევარი ხერხი მოეგონებინა, ხმელნიცკი აქამდე სახრჩობელაზედ იქმნებოდა ჩამოკონწიალებული. სქმეტუსკისაც კი ველაპარაკე, მაგრამ ახლა ისეთს გუნებაზეა, რომ იმასთან ლაპარაკი აღარც კი შეიძლება. დარდი გულში ჩაუძვრა გველივით და ავადმყოფობაზედ უარესადა სტანჯავს. ყური უგდეთ, ემანდ ქკუაზედ არ შეიშალოს. ხშირად მოჰხდება ხოლმე, რომ დიდის მწუხარებისაგან mens დაიწყებს დუდილსა, თითქო ღვინოაო და, ბოლოს, დაქანკდება კიდევ, დამთავდება.

— მოჰხდება ხოლმე, მაშა! — და პან ლონგინუსმა დაიწყო თავის გადადდება აქეთ-იქითა. ვოლოდიევსკი მოუთმენლად მოტრიალდა იმ ალაგას, საცა იჯდა და ჰკითხა:

— რა და რა ხერხი მოიგონე?

— რა ხერხი? პირველ ყოვლისა, უნდა გავიგოთ, ცოცხალია თუ არა ის საცოდავი (წმინდა ანგელოზებმა დაიფარონ ყოველის ბოროტებისაგან!), ხოლო გავება ორის გზით შეგვიძლიან: ან უნდა ერთგულნი ყაზახნი მოვძებნოთ, რომელნიც თავს ისე მოაჩვენებენ, ვითომ ხმელნიცკის გვინდა შეუურთდეთო, გაიქცევიან მოგუნთან და იმის მხლებლებისგან გაივებენ რასმე...

— მაგისტანა მე მყავს, რუსის დრაგუნები! — დაიძახა ვოლოდიევსკიმ.

— მოიცადეთ... ან ჯაშუში უნდა შევიპყროთ, იმისთანა  
რომელიც ბარის აღებაში ერი, იქნება იმან იცოდეს რამე.  
ყველანი ბოგუნსა ლოკულობენ, თითქო ღმერთიანო, ისე მო-  
სწონთ იმ ვირებსა და სულ ქების სიმღერას ამბობენ იმის შე-  
სახებ ყველგანა (დაუსკდეთ იმათ ი ყანყარატობი) და უამბო-  
ბენ ერთმანეთს, აი ბოგუნმა ეს ჰქმნა, ეს მოიქმედო. თუ იმან  
მოიტაცა კნიაჟნა, ჯაშუშებს ეგ არ გამოეპარებოდათ.

— შეიძლება ყაზახებიც გავგზავნიოთ, მაგ ჯაშუშების შე-  
პყრობისთვისაც ვიზრუნოთ ერთსა და იმავე დროსა, — შეჰნიშ-  
ნა პან პოდბიჰენტამა.

— სწორედ ეგრე უნდა მოვიქცეთ. ძალიან მოსაზრება  
მოგვივიდა ფიქრად, ჩემო მეგობარო პან ლონგინუს. თუ გა-  
ვიგეთ, რომ ელენე გატაცებულია, სანახევროდ საქმე გაკეთე-  
ბულია. თუ გსურთ, (გთხოვთ მხოლოდ გულახდითა სთქვით)  
მართლა უშველოთ სქშეტუსკის, დაემორჩილეთ ჩემს განკარ-  
გულებასა; მე უფრო გამოცდილი კაცი ვარ. გლეხ-კაცურად  
ჩავიცვათ და ვეცადნეთ გავიგოთ, სად დაჰმალა ბოგუნმა ქა-  
ლი, ხოლო თუ ამას გავიგებთ, თავს მოვიჭრი, თუ ვერ გავან-  
თავისუფლებთ. დიდი დაბრკოლება მე და სქშეტუსკი ვართ —  
ბოგუნი გვიცნობს ჩვენა და ერთი თუ გვიცნო, ისე დაგვხდის,  
რომ ვგონებ მერე მშობელმა დედამაც ველარ გვიცნოს. თქვენ  
ორნი კი იმას თვალითაც არ დაუნახებხართ.

— მე უნახავარ, — სთქვა პან პოდბიჰენტამ. — მაგრამ ეგ  
არაფერია.

— იქნება, ღმერთმა ბრძანოს და ბედმა ხელში ჩაგვიგდოს  
ის კაცი! — დაიძახა პან ვოლოდივესკიმ.

— ეჰ, ეგ საჭირო არ არის, — უარობდა პან ზაგლობა. —  
დეე ისევ ჯალათს ჩაუგდოს ხელში იმის თავი ბედმა. საქმეს  
სიფრთხილით უნდა დაწყება, რომ არ გავციუდდეს ბოლოს  
იმედი. შეუძლებელია, რომ მარტო იმან იცოდეს კნიაჟნას ბინა.

— იქნება ჩვენებმა გაიგონ რამე. თუ მთავარი ნებას მო-  
მცემს, გამოვარჩევ, რომელნიც უფრო ერთგულნი არიან, და  
თუნდა ხვალ დილითვე გავგზავნი.



— მთავარი კი ნებას მოგვცემს, მაგრამ გაიგებენ თუ არა, მაგისი ეჭვი მაქვს. ერთი მოისმინეთ: მე ერთი აზრი მომდის ფიქრად: იმის მაგივრად, რომ სხვა ვინმე გავგზავნოთ, გადავიცვათ ტექტიურად და გავუღღებთ ეხლავე გზას, დაუყოვნებლივ.

— ოჰ, ეგ შეუძლებელია! — დაიძახა პან ვოლოდიევიჩი.

— რაღაო?

— მაშ, თქვენ სამხედრო სამსახური არა გცოდნიათ. თუ ჯარი სდგას და ღროს უცდის, ეგ წმინდა საქმეა. დედა ან ძმა რომ უკედებოდეს, მაშინაც არ წავა რაინდი და არ დაეთხოვება უფროსს, იმიტომ რომ ეგ დიდი სირცხვილია. დიდის ომის გადახდის შემდეგ, როცა მტერი დაძლეულია, შეიძლება და წინად კი არ შეიძლება. გახსოვთ, სქშეტუსკის რანაირ უნდოდა წასვლა დანიშნულთან, მაგრამ ხმაც არ ამოუღია ამაზედ. სახელი უკვე გათქმული აქვს, თავადს უყვარს, ის კი სულ ჩუმად იყო, იმიტომ რომ იცის თავისი მოვალეობა. სწორედ რომ ვსთქვათ, ეს საზოგადო საქმეა და ის კი კერძო საქმეა. არ ვიცი, სხვა ქვეყნებში როგორ არის, თუმცა მგონია, ყველგან ერთგვარი წესია, ჩვენს თავადს კი აგრე აქვს შემოდებული, რომ ბრძოლის წინად ვერავინ დაეთხოვება, მეტადრე აფიცარი. სქშეტუსკის რომ გული ნაკუწ-ნაკუწ ესერებოდეს, მაინც არ წავა თავადთან და არა სთხოვს, დამითხოვეო.

— დილაღ, რა თქმა უნდა, რომ სქშეტუსკი რომაელია სულითა, — სთქვა პან ზაგლობამ, — მაგრამ ვისმე სხვას რომ ჩაეგონებინა ეგ ამბავი თავადისათვის, შეიძლება, თავისით მოეცა ნება ჩემთვისაცა და თქვენთვისაც იმ ქალის საძებრად წასვლისა.

— ეგ ფიქრადაც არ მოუწია. მთავარს მთელის რესპუბლიკის ბედი და უბედობა აწევს ტვირთად. როცა ბედი უნდა გადასწყდეს მთელის ქვეყნისა, მთავარს შეუძლიან განა კერძო საქმეებს გამოეკიდოს? ვსთქვათ, თუნდა ჩვენ არა ვსთხოვეთ და თავადმა მაინც ნება მოგვცა, მერე რომელი ჩვენგანი დაანებებს დღეს ბანაკს თავსა? ჩვენს თავს კი არა, საცოდავს სამშობლოს უნდა ვემსახურნეთ ახლა ჩვენა.

— ვიცი მე ეგა, სამხედრო სამსახურის საქმეც ვიცი და დი ხანია და ამიტომ გითხარით, რომ მაგ აზრმა ოდნავ გამი-  
ელვა თავში და არა ფესვი გაიდგა-მეთქი შიგა. ისიც კი სა-  
თქმელია, რომ ვიდრე მძარცველთა ბრბონი არ შეგვიმუსრნია,  
ბერს ვერას გავხდებით, მაშინ კი, როცა იმათ ცხარე ღღე  
დაადგებათ, როცა ღვენას დაუწყებენ და ისინიც იძულებულნი  
იქმებიან ივლტოდნენ, ეგებ ცოცხლები გადავრჩეთო, მაშინ  
ჩვენც შეგვიძლიან თამამად გავერიოთ იმათში და ადვილად გა-  
ვიგოთ იმათგან, რაც გვინდა. ეგ არის, რომ ერთი ჩქარა შე-  
მოიკრიბოს დანარჩენი ჯარისკაცა, თორემ, მოწყენილობა დაგვხო-  
ცავს სწორედ. თავადი დომინიკი მეტად დიდ ხანს გვალოდინებს.

— სამს დღეს უკან მოელიან.

— ღმერთმა ჰქმნას, რომ მალე გაჩნდეს. პან სახელმწიფო  
პოდჩაში კი დღეს მოვა?

— დღეს ელიან.

ამ დროს კარები გაიღო და ოთახში სქშეტუსკი შემოვიდა.  
იმისი სახე, თითქო ქვააო ისე იყო, უძრავი; რალაც სამარის  
სიცივე და დამშვიდება მოჰბერდა იმის გაქვავებულს სახისაგან.

არ შეიძლება ისე შეგებედნათ ამ ყმაწვილი კაცის სახი-  
სათვის, რომ არ შეგცოდებოდათ. გეგონებოდათ, რომ ამ სახე-  
ზედ თავის დღეში ღიმილს არ შეუთამაშნიაო. წვერი დაჰგძე-  
ლებოდა, თითქმის მკერდზედ სცემდა და შიგა და შიგ ვერცხ-  
ლის ძაფებივით თეთრად ბქყვრიალებდა ქალარა.

არავის არ შესჩიოდა თავის დარდსა და მჭუხარებას, გა-  
რეგნობით სრულიად დამშვიდებული იყო და მთელის თვისის  
არსებით მისცემოდა თავის მოვალეობის აღსრულებას.

— თქვენის უბედურებისას ვლახარაკობდით აქა; ეგ უბე-  
დურება მასთანავე ჩვენი უბედურებაც არის, — უთხრა პან ზა-  
გლობამ, — მაგრამ, ღმერთია მოწამე, არაფრით არ შეგვიძლია  
ნუგეში გცეთ. ხოლო რადგან ოხვრითა და ცრემლის ღვრით  
არა საქმეს არა ეშველება-რა, ჩვენ გადავსწყვიტეთ, სიცო-  
ცხლე გავსწიროთ, ოღონდ კი კნიაჟნა ტყვეობიდან დავიხსნათ,  
თუ კი ცოცხალია საღმე ისევა.

— ღმერთმა გადაგიხადოთ სამაგიერო!

— შენთან ერთად წამოვალთ, თუ გინდ თვით ხმელნიცკის ბანაკში, — დაუმატა ვოლოდიევსკიმ და მოუსვენრობით დაუწყო ცქერა თავისს ამხანაგს.

— ღმერთმა გადაგიხადოთ სამაგიერო! — გაიმეორა სქშეტუსკიმ.

— ჩვენ ვიცით, — განაგრძო ზაგლობამ, — რომ დაიფიცე, ან ცოცხალი, ან მკვდარი იპოვო, საცა იქნება. ჩვენც თუნდ ეხლავე მზადა ვართ...

სქშეტუსკი ჩამოჯდა ტახტზედ, დააშტერა თვალები ერთ წერტილს და არათერს არ ამბობდა პასუხად, ისე რომ პან ზაგლობას გული მოსდიოდა, ასე რას გარინდებულაო. რა ამბავია, თავის განზრახვაზე ხელს იღებს, თუ რა არის? თუ ისეა, ღმერთმა ჰკითხოს მაგის პასუხი! აღარ არის, ალბათ, ქვეყანაზედ აღარც დახსომება რისიმე, აღარც მოვალეობის შეგნება. კარგი, დეე, ეგრე იყოს... იქნება ღმერთმა იპრიანოს და გამოჩნდნენ ისეთებიცა, რომ უმაგისოდაც სცადონ იმ ქალის მოძებნა და დახსნა, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლონ იმის გადასარჩენად.

ოთახში ჩამოვარდა დუმილი, რომელსაც მხოლოდ პან ლონგინუსის ოხვრა არღვევდა. ბოლოს, ვოლოდიევსკის მოეწყინა სიჩუმე, მივიდა სქშეტუსკისთან და დაჰკრა მხარზედ ხელი.

— სად იყავი?

— თავადთან.

— მერე, რა ამბავი გაიგე?

— ამაღამ მივდივარ არე-მარეს დასათვალიებრად.

— შორს მიდიხარ?

— იარმოლინცკისაკენ, თუ გზა თავისუფალია.

ვოლოდიევსკიმა და ზაგლობამ ერთმანერთს გადაჰხედეს და მაშინვე მიხვდნენ ყოველსავე.

— ბარისკენა? — წაიბუტბუტა ზაგლობამა.

— ჩვენც შენთან წამოვალთ.

— თავადს უნდა სთხოვო, მაშ, ნება, იქნება სხვა საქმე გაგიჩინოს რამე.

— ერთად წავიდეთ თავადთან. ცოტა რამ მინდა ვკითხო თავადსა.

— ჩვენც თქვენთან წამოვალთ!—სთქვა ზაგლობამ.

თავადის მისაღებ ოთახში მრავლად ირეოდნენ აფიცრები სხვა-და-სხვა სადროშოსი; ახლად მოსული ჯარები ცდილობდნენ მალე გამოსცხადებოდნენ თავადსა და მის დროშის ქვეშ დამდგარიყვნენ. პან ვოლოდივესკისა და პონდიპენტას საკმაოდ კარგა ხანს მოუნდათ ცდა; სამაგიეროდ, თავადმა, ჰნახეს თუ არა, მაშინვე ნება დაჰრთო, თქვენც შეგიძლიანთ წახვიდეთ და რუსის დრაგუნებიც გაჰგზავნათ ბოგუნის ყაზახთა ბანაკში, იქნება მართლა კნიაენას ამბავი რამ შეიტყოთო.

— განგებ ვცდილობ სხვა-და-სხვა საქმე გავუჩინო სქმეტუსკისა,—სთქვა თავადმა,—ვხედავ, რომ დარდი ჩაეარდნია გულში და ლამის ზეზეულად დაადნოს. თქვენთვის არა უთქვამს-რა?

— თითქმის არას გვეუბნევა,—უპასუხა ვოლოდივესკიმ.— პირველად ზეზედ წამოიქრა და უნდოდა მაშინვე თავს დასხმოდა ყაზახებს, მაგრამ პატარა ხანს უკან გონს მოვიდა, მოაგონდა, რომ ჯარები იკრიბება მტრის დასახვედრად, რომ ჩვენ ყველანი მოვალენა ვართ სამშობლო დავიცვათ და ამიტომ ვეღარც თქვენთან იტვირთა მოსვლა დასათხოვანად. მხოლოდ ერთმა ღმერთმა უწყის, რაც მის თავს ამბავია ეხლა.

— ძალიანა ჰნადვლობს და იტანჯება. ყური უგდეთ, ვხედავ, რომ ერთგულნი მეგობარნი ხართ იმისი.

ვოლოდივესკიმ დაბლა დაუკრა თავი და გავიდა ოთახიდან, რადგან სწორედ ამ დროს მოვიდა თავადის სანახავად კიევის მოურავ-ერისთავი, პან დენგოფი, უფროსი სტოპნიცკი და სხვანი მალალ-ხარისხოვანნი.

— აბა, რა ამბავი მოგაქვს?—ჰკითხა დანახვის უმაღლე სქმეტუსკიმ.



საქართველოს  
საბჭოთაო  
საზოგადოებრივი  
წიგნობის  
სისტემა

— მეც შენთან მოვდივარ. მხოლოდ ჯერ ჩემის კაცობის კაცები უნდა ვავგზავნო სხვა-და-სხვა საქმისათვის აქეთ-იქითა.

ყველანი გაუდგნენ გზას, ესე იგი ქსშეტუსკი, ვოლოდიევსკი, პონზიპენტა, ზაგლობა და ზაცვილიხოვსკი, რომელიც თავის სადროშოსკენ მიდიოდა. დრაგუნების ბინის ახლოს ჩვენს მეგობრებს შემოჰხვდათ პან ლაშჩი თავის ამხანაგებითა, რომელნიც ისევე გადაკრულნი იყვნენ, როგორც ლაშჩი. პან ზაგლობამ ღრმად ამოიოხრა. ზაგლობა ჯერ ისევ კონსტანტინოვს დაუმეგობრდა სახასო დარაჯს და მაშინვე გადაწყვიტა გულში, რომ ლაშჩი კარგის ხასიათის კაციაო. სახასო დარაჯი, ეს რისხვა და ზარი მტრისათვის, როცა თავისუფალი იყო და საქმე არა ჰქონდა-რა, სმასა და ქეიფს ეტანებოდა იმისთანათა შორის, როგორიც იყო პან ზაგლობა. სასაშინელი აბეზარი რამ იყო და იმდენი რამ ხათაბალა გადახდოდა, რომ სხვა ქვეყანაში თხუთმეტჯერ ჩამოახრჩობდნენ. რამდენჯერმე ჰქონდა სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი, მაგრამ ლაშჩი მშვიდობიანობის დროსაც ყურადღებას არ აქცევდა ამ განაჩენებსა და ომიანობის დროს ხომ აინუნშიაც არ მოსდიოდა. თავადს შეუერთდა როსოლოვცასევე და მცირედი სამსახური არ გაუწია კონსტანტინოვში, მაგრამ ზბარაზში კი საქმე გააჭირვა თავის აბეზარობითა. ვინ იანგარიშებს, რამდენი სასამელი დაუღია ლაშჩის პან ზაგლობამ, რამდენი სისულელე უამბო, მაგრამ ბარის აღების შემდეგ მოხუცი შლიახტიჩი ცუდს გუნებაზედ დადგა, სმისა და ქეიფის ეშხზედ აღარ იყო და თავი დაანება პან დარაჯთან სიარულსა. პან ლაშჩს ეგონა, უთუოდ ზაგლობა წავიდა სადმე სხვაგანაო და უცებ კი შეეხეა ახლა გზაში.

— ოჰ, გამარჯობა შენი! რატომ ერთხელ აღარსად შემოიარე, რასა იქ, როგორა ხარ.

— აი სულ პან ქსშეტუსკისთანა ვარ,—უბასუხა ზაგლობამ.

დარაჯთა უფროსს, ცოტა არ იყოს, არ უყვარდა სქშეტუსკი, პირ-კუშტი და დაღვრემილი კაციაო, ბრძენს ეძახდა დაცინვითა. ლაშჩმა კარგად იცოდა, რა უბედურებაც დაატყდა



თავს სქშეტუსკის, მაგრამ ჯერ-ჯერობით თავს იმაგრებდა და ამ საგნის შესახებ ერთხელაც არ გადუკრავს მისთვის სიტყვა. ახლა კი გადათხლეშლილი იყო, წაავლო ხელი ჯუბის ღილზედ პარუჩიკს და ჰკითხა:

— შენ კიდევ მაინც სულ შენს გულის ვარდსა სტირი? ჰა, ძლიერ ლამაზი იყო?

— თავი დამანებეთ! — უთხრა ყრუდ სქშეტუსკიმ.

— დაიცა პატარა ხანსა.

— საქმე მაქვს, მეჩქარება, სამსახურის გამო მივდივარ. გამიშვით!

— დაიცადე-მეთქი, — ახირდა ლაშჩი და დაიწყო ახირება, როგორც მთვრალს კაცსა სჩვევია. — შენ გაქვს საქმე და არა მე. მე აქ ვერავინ გამიბედავს, თავის ნებაზე მატრიალოს.

ლაშჩმა ხმა დაუდაბლა და დაიწყო:

— მითხარი, ერთი, ძალიან ლამაზი იყო?

პარუჩიკმა კოხები შეიკრა და სახე მოვლრუბლა.

— ჩემს წყლულს ნუ აკარებ ხელსა.

— ხელს ნუ ვახლებ? ნუ გვმინიან. თუ ლამაზი იყო, მაშ ცოცხალი იქნება.

სქშეტუსკის მკვდრის ფერი დაედო, მაგრამ მაინც თავი შეიმაგრა და უთხრა:

— ბატონო, დარაჯთ-უფროსო, ნუ გავიწყდებათ, ვის ელა-პარაკებით.

ლაშჩი სახტად დარჩა და თვალები დააჭყიტა.

— რაო, რაო? მემუქრებით, მე მემუქრებით?

— თქვენს გზაზედ წადით, ბატონო დარაჯთ-უფროსო! — დაუყვირა სიბრაზით აკანკალებულმა ზაცვილიხოვსკიმ.

— ჰაი, თქვე წუწკებო! — დაიწყო მიქარვა დარაჯთ-უმფროსმა. — არიქათ, ყმაწვილებო, ხმალი ამათა!

ლაშჩმა იძრო ხმალი და მიჰვარდა სქშეტუსკის, მაგრამ იმავ წუთს ხმალი ხელიდან გააგდებინეს და თვითონაც ბრაგვა გასძვრა მიწაზედ.



პან სქუეტუსკიმ ხელი აღარ ახლო. იდგა გაფითრებული და აღელვებული ხალხში, რომელიც უცბად მოგროვდა ამ აურ-ზაურის დროს. ერთის მხრიდან დარაჯთ-უფროსთა ჯარის კაცნი მოცვიდნენ, მეორედან ვოლოდიევსკისა. ასტყდა ყვირილი: „დაჰკა! დაჰკა!“ აი, გაიელვა ამოწვდილმა ხმალი, შეიქნა მიხლა-მოხლა, რომელიც შესაძლო იყო შემდეგ ბრძოლად გადაქცეულიყო. ბედი კიდევ, რომ ლაშჩის მომხრეებმა დაინახეს, ჩვენ კოტანი ვართო, დასთმეს გულის წყრომა, წაავლეს ხელი დარაჯთ-უფროსსა და წაიყვანეს ძალ-და-ძალ.

ნაკლებ-გაწერთილი ჯარის-კაცნი რომ ყოფილიყვნენ, იქვე წიწილასავით გაჰკლეჯდნენ ლაშჩსა, მაგრამ მოხუცი ზაცილიხოვსკი მალე მოვიდა გონზედ, დაიძახა „გაჩერდითო!“ და ყველამ ხმალი ქარქაშში ჩააგო.

მაინც ამ დროს პან კუშელმა გაიარა ახლოს, შეჰნიშნა ეს ჩოჩქოლი და თავის მოვალეობად დასახა, ყოველივე თავადისათვის ეუწყებინა. საჩქაროზედ შევიდა თავადთან და მოახსენა აღელვებით:

— თქვენო ბრწყინვალეებო, ჯარის-კაცნი ერთმანეთსა სჩეხავენ.

ამ დროს გაიღო კარები და ოთახში შეჭვარდა სიბრაზით გაფითრებული პან დარაჯი.

— თავადო, — ღრიალებდა ლაშჩი, — სამართალს ვითხოვ! თქვენს ბანაკში, დითქო ხმელნიცკის ბანაკიაო, არც დამსახურებას, არც ღირსებას ყურადღებას არ აქცევენ! ხმაღს იწვდიან სახელმწიფოს მოხელეთა წინააღმდეგ! თუ სამართალს არ მომცემთ, სიკვდილით დასჯას არ გადაუწყვეტავთ თავ-გასულს შეურაცხყოფელს, მე თვითონ ვიპოვი გზას.

თავადი ზეზედ წამოიჭრა.

— რა მოჰხდა? ვინ რა გაწყენინათ?

— თქვენმა აფიცერმა, სქუეტუსკიმ.

თავადი გაჰკვირდა და მეტად ეოცა ეს ამბავი.

— სქუეტუსკიმა?

გაიღო კარები და შემოვიდა ზაცილიხოვსკი.



— თავადო, მე თვითონ დავესწარი მაგ ამბავს, — სთქვა მოხუცმა.

— მე აქ იმიტომ კი არ მოვსულვარ, რომ პირში წავუღდე ვისმე, მე ვითხოვ სასჯელს, — ჰყვიროდა ლაშჩი.

თავადი მიუბრუნდა ლაშჩსა და თვალი თვალში გაუბნია.

— წყნარად, წყნარად! — დადინჯებითა და ტკეპნით წარმოსთქვა თავადმა.

ალბად ან თავადის სახე ან მისი წყნარი ხმა იყო იმდენად საშიში, რომ თავის ღირფობითა და აბეზარობით განთქმული დარაჯთ-უფროსი მაშინვე გაჩუმდა, თითქო ენა მუცელში ჩაუფარდა, ხოლო სხვა დანარჩენნი უცბად გაფითრდნენ.

— თქვენა სთქვით, რა ამბავი იყო, — უბრძანა თავადმა ზაცვილიხოვსკისა.

— ხომ მიცნობთ, თავადო, იცით, რომ სამოც და ათის წლის კაცი ვარ, და არც ერთხელ პირი არ შემირცხვენია ტყუილის ლაპარაკით. ახლაც, თუნდა დამაფიცოთ, ერთს სიტყვას ვერც მოვუმატებ და ვერც დაეუკლებ იმასა, რაც ვნახე და რასაც მოგახსენებთ.

თავადმა იცოდა, რომ ზაცვილიხოვსკი მართალი კაცი იყო, ამას გარდა, ლაშჩსაც კარგად იცნობდა, რა შვილიც იყო. თავადმა მოისმინა ყოველივე, ხმა არ ამოიღე, წააგლო ხელი კალამს და დაიწყო რაღაც ბარათის წერა.

— რასაც ითხოვთ, მიიღებთ, — უთხრა მან დარაჯთ-უფროსს, როცა ბარათის წერა გაათავა.

დარაჯთ-უფროსმა პირი გააღო, რაღაცა უნდა ეთქვა, მაგრამ სიტყვები არ ემორჩილებოდა როგორღაც, ბოლოს დოინჯი შემოიყარა, თავი დაუკრა თავადსა და თავ-მომწონედ გავიდა ოთახიდან.

— ელენსკი, — ბრძანა თავადმა, — წაუღე ეს ბარათი პან სქშეტუსკისა.

პან ვოლოდიევესკი, რომელიც სქშეტუსკის არა შორდებოდა, ცოტა არ იყოს, შეშინდა, თავადის პატი რომ დაინახა.



ეელენსკიმ ხმა არ ამოიღო, გადასცა პაკეტი და წავიდა. სქშეტუსკიმ წაიკითხა ბარათი ერემიასი და თავის ამხანაგს მისცა.

— წაიკითხე, — უთხრა მეგობარმა.

პან ვოლდიევსკიმ სიხარულით შეჰყვირა:

— პარუჩიკობის ფირმანი! — და გადაეხვია სქშეტუსკის.

პარუჩიკობის წოდება გუსართა სადროშოსი დიდს ადგილს ანიჭებდა კაცს სამხედრო იერარქიაში. იმ პოლკში, სადა სქშეტუსკი მსახურობდა, თვით თავადი იყო როტმისტრი, ხოლო პარუჩიკად ითვლებოდა ჩენჩელი სუფრინსკი, კაცი მოხუცებული, რომელსაც დიდი ხანი იყო, რაც თავი დაენებებინა სამსახურისათვის. პან სქშეტუსკი ასრულებდა de facto ორსავე თანამდებობას და ეს ამბავი არავის არ ეუცხოვებოდა. ბევრგან პოლკებში ორი პირველი ჩინი მარტო სახელი იყო მის პატრონთათვის. აი, მაგალითად, სამეფო სადროშოში თვით მეფე იყო როტმისტრი, პრემიასის სადროშოში — პრემიასი იყო, პარუჩიკებად კიდევ დიდებულნი კარის-კაცნი, ხოლო მათს თანამდებობას ასრულებდნენ სამაგიერო ჯინიშანები, რომლებსაც ჩვეულების გამო პარუჩიკებსა და როტმისტრებს ეძახდნენ. აი ასეთი პარუჩიკი იყო პან იან სქშეტუსკიცა, გარნა თვით წოდებასა და წოდებასთან დაკავშირებულ თანამდებობის აღსრულებას შორის დიდი მანძილი იყო. ახლა კი ახალის ბრძანების წყალობით პან სქშეტუსკი უცბად შეიქმნა უფროსი აფიცერი რუსეთის მთავარ-მოურავისა.

მეგობრები დიდის სიხარულით ულოცავდნენ ახალის და მალაღის თანამდებობის მიღებას სქშეტუსკისა, მაგრამ ის მაინც ისევ იმ გუნებაზედ იყო, როგორც წინაღ: მისი სახე ისევ გაქვავებულივით იყო. ისეთი პატივი და დიდება არა იქნებოდა-რა მთელს ქვეყნიერობაზედ, რომ მისი გული გაემხიარულებინა.

მაინც ადგა და წავიდა, რომ მადლობა გადაეხადა თავადისათვის. ვოლოდიევსკიმ ოთახში ბოლთისცემა დაიწყო და ხელებს იფშნეტავდა.

— არა, არა! — იმეორებდა ყმაწვილი კაცი, — გუსართანა დროშო პარუჩიკო. ჯერ მაგალითი არა ყოფილა, აგრე ახალ-გაზდას ეგ წოდება დაემსახურებინა.

— ის-ღა აკლია მხოლოდ, რომ ღმერთმა დაკარგული ბედნიერებაც დაუბრუნოს! — სთქვა ზაგლობამ.

— საქმეც ეგ არის, არა! შეჭნიშნეთ, რომ წარბიც არ შეუხრია, თითქო აქ არაფერი ამბავიაო.

— მე მგონია, რომ სიხარულით იტყოდა მაგ წოდებაზედ უარს, რომ მაგისი გული სხვაფრივ გამხიარულებულიყო.

— რა გიკვირთ, ყმაწვილებო? — ამოიოხრა ზაგლობამ. — იმ ქალის გულისათვის მეც კი გავწირავდი ამ ჩემს მარჯვენას, რომლითაც მტერს დროშა გამოეტაცე.

— მაშ, სჩანს, პან სუფჩინსკი მომკვდარა?

— აღბად.

— ჯინიშანი ვილა უნდა იყოს? მედროშე ჯერ სულ ბე-შვია და მხოლოდ კონსტანტინოვის ბრძოლის შემდეგ უჭი-რავს ეგ ადგილი.

ეს საგანი გადაუწყვეტელი დარჩებოდა, რომ თვით პარუ-ჩიკი სქშეტუსკის არ მოეტანა ახალი ამბავი.

— პან პოდბიჰენტა, — სთქვა მან, — თავადმა შენ დაგნიშნა ჯინიშანად.

— ოჰ, ღმერთო, ღმერთო! — ამოიკვნესა პან ლონგინუსმა და ისე დაიკრიფა ხელები, თითქო ლოცვისათვის ემზადებოა.

— თუნდ ეგ დაუნიშნაეთ, თუნდ ინფლანდიის იაბო, — წაიტუტუნა ზაგლობამ.

— გზად წასვლა-ღა? — ჰკითხა პან ვოლოდიეცკიმ.

— ეხლავ უნდა წავიდეთ, ეხლავა.

— როგორა ბრძანა თავადმა, ხალხი ბევრი წაიყვანეთო?

— ყაზახთა და ვლახელთა სადროშოვო, სულ ხუთასი.

— ეჰე, ეგ კარგი, ეგ ხომ მთელი ლაშქარია. როცა აგრეა, მაშ დროა გავწიოთ.

ორს საათს შემდეგ, მზეც ჩავიდა და ჩვენი ნაცნობი ოთხი მეგობარიც გაუდგა გზას სამხრეთად, ხოლო ამავე დროს გა-



სწია ჩრდილოეთად თავადის ბანაკიდგან დარაჯთ-უფროსმა თვისის კაცებითა. რაინდნი დასცინოდნენ, მასხარად იგდებდნენ ლაშქსა და გარშემო ეხვეოდნენ პან კუშელსა, რომელიც უამბობდა, რა მიზეზით იქმნა განდევნილი ბატონი დარაჯთ-უფროსი და როგორ მოჰხდა ყოველივე ეს საქმეო.

— მე წაველე თავადის ბრძანება, და არ დაიჯერებთ, ვერაფერი სასიამოვნო საქმეც მომანდო ჩვენმა მოუტრავ-ერისთავმა, მაგრამ მეტი რა ღონე იყო. ბრძანება რომ წაიკითხა, ხარივით დაიღრიალა, თითქო შამფურით დასდაღესო. მომვარდა ხმალო ამოდებული, მაგრამ მალე დაინახა ნემენცები პან კორიციკისა და ჩემი ღრაგუნები. მერე მოჰყვა ყვირილსა: „კარგი, ძალიან კარგი! წავალ! მაგდებენ განა! წავალ თავად ღომინიკთან, ის დამაფასებს, ის უკედ მიმიღებს! დიდი ამბავია, თუ ღარიბ-ღატაკებთან ერთად არ ვიმსახურე! იმ სალახანას კი მე ვაჩვენებ თავის სეირს, დაუფტკიცებ, ვინც არის ლაშქი!“ მე მეგონა სიბრაზე დაახრჩობს-მეთქი; სდგას სტოლთან და აცლის და დაჰკრავს ზედ ხანჯალსა. უნდა გითხრათ, მეფეიქრება კიდევ, რომ პან სქშეტუსკის არა აუტეხოს-რა; იმისთანა კაცთან ხუმრობა არ იქნება. გოროზი და ამპარჯავანი კაცია, თავის დღეში არავისთვის წყენა არ შეუტრჩენია.

პარუჩიკი ამასობაში უახლოვდებოდა თავის რაზმით ოცი-გოვცას ბარისა და მედვედოვკის გზითა. თუმცა სექტემბრის სიცივეებმა ათასფრად შეჰღება ფოთოლი ხეებზედ, მაინც თბილი და წყნარი ღამე იყო, თითქო ივლისიაო. ავდრიან ზაფხულს შემდეგ დადგა მშრალი და ტკბილი შემოდგომა. დღისით ცა მოწმენდილი იყო და ღამეები ნათელი. გზა კარგი იყო და შიში არაფრისა,—თავადის ბანაკს ჯერ არ დაჰშორებოდნენ საიმისოდ და ამიტომ რაზმი სწრაფად მიდიოდა წინ. პარუჩიკი წინ მიდიოდა და თან რამდენიმე ჯარის-კაცი ახლდა, ხოლო მას უკან მისდევდნენ ეოლოდივესკი, ზაგლობა და პან ღონგინუსი,

— ერთი შეჰხედეთ, რა ნაირი სინათლეა აიმ სერზედა,— ჩურჩულითა სთქვა პან ზაგლობამ,—ასე ჰგონია კაცს, დღეაო.



ამბობენ, რომ ამისთანა ღამეები მხოლოდ ომის დროს იქნის ხოლმეო; იმიტომაო, რომ სული, რომელიც ხორცს განშორებულია, სიბნელეში ხეებს არ დაეჯახოს, როგორც ჩიტები ქერს ეხეთქებიან ხის ფარდულში, და ადვილად ჰპოულობდეს თავის გზასაო. დღეს პარასკევია, დღე მაცხოვრისა, დღეს მკვდრები არ ამოდიან თავიანთ საფლავებიდან და მავნე სულები ვერას დააკლებენ ადამიანსა. თითქო ვგრძნობ, რომ არა მაძიებებს-რა, რალაც იმედი მეღვიძება გულში.

— საქმე დაწყებულია, რაკი წამოვედით, ახლა ფიქრი აღარ არის, — სთქვა ვოლოდიევსკიმ.

— იმაზედ ძნელი აღარა არის-რა, რომ უმოქმედოდ იჯდეს კაცი ერთს ალავას. — შეგდები თუ არა ცხენზედ, ჰგრძნობ, რომ თითქო ნელ-ნელა ყოველი დარდი და ნალევლი თავს განებებსო, ბოლოს ხომ სულ გადაგეყრება გულიდან ყოველივე მწუხარება.

— ვეკვობ, რომ აგრე იყოს, — ღრმად ამოიოხრა პან ლონგინუსმა. — თუ მწუხარება დიდია და ძლიერი, აგრე ადვილად ველარ მოიშორებ თავიდან.

ვოლოდიევსკიმ ჰკრა ქუსლი ცხენსა და სქმეტუსკის დაეწია. დიდ ხანს იარა ასე იმასთან დამხარდამხარებით, დიდ ხანს იყო ჩუმად და ათვალიერებდა იმის უმოძრაო სახეს და ბოლოს კი უზანგო ჰკრა მის უზანგოსა.

— იან, — უთხრა მეგობარმა, — არ არის კარგი, რომ აგრე ეძლევი ფიქრსა და დარდსა.

— მე არა ედარდობ, ვლოცულობ.

— ეგ კარგი საქმეა, მაგრამ ბერი ხომ არა ხარ, რომ მარტო ლოცვას მისდევდე.

პან სქმეტუსკიმ მოიბრუნა მისკენ თვისი დატანჯული სახე და ჰკითხა ყრუ და საშინელის განწირულებით აღსავსე ხმით:

— ერთი შითხარი, რალა დამრჩენია განა ბერის სამოსელს გარდა ამ ქვეყნად?

— ის დაგრჩენია, რომ უნდა გადაარჩინო სიკვდილსა და დაიხსნა მტრის ხელიდან ის ქალი, — უპასუხა ვოლოდიევსკიმ.



— მაგრეც მოვიქცევი, ყველაფერს გავწირავ, უკანასკნელს სისხლის წვეთს არ დავზოგავ. მაგრამ თუნდა რომ ცოცხალიც ვიბოვო, რა ბედენაა ჩემთვის, სულ ერთი არ არის. ოჰ, შემწყალე, ყოვლის შემძლებელო!... ყველაფრის ფიქრი შემძლიან და მაგ ფიქრს კი ვერ ავიტან... შემობრალე, ღმერთო, ლამის გონება დავკარგო. მაგის მეტი აღარა მინდა-რა, ოღონდ კი ის გადავარჩინო და გამოვიტაცო იმ ბოროტის კაცის ხელიდან. მერე ადგეს და ეძებოს თავისთვის სადმე სავანე, მეც ჩემთვის მოვძებნი ჩემს სავანეს. სჩანს ასეთია ნება უფლისა. ნუ დამიშლი, ვილოცო, ნუ ახლებ ხელს ჩემს წყლულს, ჩემს დასისხლიანებულს იარას...

ვოლოდიევისკის გული მოუკვდა; უნდოდა ეთქვა რამე კიდევ, მაგრამ ენის განძრევის ილაჯი აღარა ჰქონდა. ამხანაგები დადუმებულები მოდიოდნენ წინ მუნჯებივითა.

გრ. ე—ბე

(შემდეგი იქნება)





## „ვეფხისტყაოსნის“ ყალბი აღმწიგნობი

### IV\*)

შოქის ჰერკულს თავში, «ამხავი ჰერკული როსტეკან არაბთა შეფისა», საუბარი როსტეკან შეფისა და ავთანდილის მშვიდდოსნობაში შეცილებისა ესრედ გადასწედება (გვ. 15—16):

68. მე არ შეგარჩენ შენ ჩემსა მაგისა დაცილებასა, (ამოხბს შეფე)  
 „ჰბრძანე, ვისროლოთ, ნუ იქმო შედრიკილობა-კლებასა,  
 „კარგთა კაცთასა ვიქმოდეთ მოწმად ჩვენთანა ზლებასა,  
 მერმე გამოჰჩნდეს მოედანს ვისძი უთხორობდეს ქებასა!“

69. ავთანდილცა დამორჩილდა, საუბარი გარდასწყვიტეს,  
 იცინოდეს, ყმაწვილობდეს, საყვარლად და კარგად ჰზმიდეს,  
 ნაძლევიცა გააჩინეს, ამა პირსა დაასკვნიდეს:  
 „ვინცა იყოს უარესი, თავ-შიშველი სამ დღე ვლიდეს“.

70. კვლავ ჰბრძანა: „მონა თორმეტი შევსხათ ჩვენთანა მარებლად;  
 „თორმეტი ჩემად ისრისა მომრთმეველად, მოსახმარებლად;  
 „ერთთა შენი შერმადინ, არს მათდა დასადარებლად,—  
 „ნასროლ-ნაკრავსა სთვალვიდენ უტყუერად, მიუმცდარებლად.“

71. მონადირეთა უბრძანა: „მინდორი მოიარენით,  
 „დასცევით ჯოგი მრავალი, თავი ამისთვის არენით“.  
 ლაშქარნი სამზოდ აწვივნეს: „მოდიოთ და მოიჯარენით“.  
 გაჰყარეს სმა და ნადიმი, მუნ ამოდ გავიხარენით.

მე-69 ხანიდან სჩანს, სვალინდელ ბრძოლის პირობანი დადუ-  
 ბულია: «საუბარი გარდასწყვიტეს... ნაძლევიცა გააჩინეს». გარდა-  
 წვეტილს საუბარს, ბუნებითად, მისი ასრულება უნდა მოსდევდეს,  
 და ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ შეფე ბრძანებას გასცემდა

\*) „მოამბე“ № XI.



სვალინდელ ნადირობის გასარკებლად, როგორც მე-71 სანაშაპ ნაადობი, მაგრამ საქმე ეგრე არ ჰსდება. ნადირობის გარკებადვე მეფე სულმოკლედ უბრუნდება გარდაწვევითელ საუბარს, საგონებ-ფობა, იმიტომ რომ დაიწვევებულა, ხოლო საყურადღებო, გარემოება მოაგონდა. მართლაც, მე-70 ხანაში როსტოკის ასალ პირობასა სდებს: სროლის დროს თორმეტი მონა უნდა იხლოს, ჩემად (და არა ჩვე-ნად) ისრისა მომრთმეკლად, მოსხმარებლად, და აუთანდილს უთმობს სამაგეოროდ მხოლოდ შერმადინსა, რომელიც ვითომც იმ თორმეტ მონას უდრის.

ეს ახარებული პირობა აშარა უსამართლობას! მეფე როსტოკის დაილაშც დესპოტია, ხოლო მაგისტანა უსამართლობის გამო-ჩენა ნამეტანი გადაჭარბებაა მეფის თვით-ნებობისა და, როგორც ზოქმიდან სჩანს, მის ხსათს არ ეთანხმება. ნუ დავივიწყებთ, რომ როსტოკის მდებალი, მოსამართლე და მოწყალე მეფეა და აუთანდილ უყვარს ვით თავისი შვილი და გასრდილი; მეფეს «სამამარონი წენ-ნია» შეუსწავლია, და მშვიდდოსნობასა და ბურთაობაში თავისი სწო-რი არაინ ეგულება, მხოლოდ წოტასა შესწევს აუთანდილ, მის-განვე განსრდობითა» (63 ხანა). მაშ ნუ თუ დასაყურებელია, რომ მაგისტანა პატოლსანმა და დად-სულოკანმა მწკრთნელმა თავისი გა-სრდილი ასპარესზე გამოიწვიოს, და, რაც სასარკებლო პირობას, თავისკენ დაიღოს, ასე რომ განსრკება წინადვე მისთვის დამკვიდრ-დეს?! ამ პირობით აუთანდილ, უეჭველია, დამარცხებული დარჩება, რადგან, რაც უნდა მარდი და მოსწრებული იყოს მისი შერმადინ, მანც თორმეტი სელი არ აბია, რომ თავის პატრონს ეგრევე სწრა-ფად მიაწოდოს ისარი, როგორც მეფეს თორმეტი მონა მია-რთმეს.

მეფისაგან დადებული პირობა (მე-70 ხანაში) არა თუ მხო-ლოდ მის ხსათისა შესაფერი არ არის, არამედ თვით მოთხრობას ზოქმისას ეწინააღმდეგება: აუთანდილის შეცილებაზე მეფე უპასუხებს: «ვისროლოთ... კარგთა კანთას ვიქმოდეთ მოწმად ჩვენთანა ხლებასა, მერმე გამოჩნდეს მოკდანს, ესძი უთხრობდეს ქებასა» (68 ხანა). ესრეთაა მეფის პირობა, და რა გაკადნენ მორე დღეს როსტოკის და აუთანდილ სასროლად, მეფემ ბრძანა (გვ. 16):



74... „მონა თორმეტი მოდით ჩვენთანა ვლიდითა,  
მშვილდსა ფიქელსა მოგვეცემდით, ისარსა მოგვართმიდითა,  
ნაკრავსა შეადარებდით, ნასროლსა დასთვალვიდითა“.  
დაიწყო მოსვლა ნადირთა ყოველთა მინდორთა კილითა.

არსაიდან არა სჩანს აქ, რომ ეს თორმეტი მონა მხოლოდ  
მეფის მოსასმარებლად იყოს მოწვეული, — შირაქით, მეფემ ბრძანა  
მათ ორივეს ემსახურონ, — შერმადინ კი აქ სრულებით არ იმსახუ-  
რებდა, და არც ამას წინ ნათვლიან და არც შემდეგს ამბავიდან არა  
სჩანს, რომ შერმადინ ამ ნადირობას დასწრებოდეს.

ესრეთი ქრევა მეფისა, რასაკვირველია, უფრო მართებულა და  
მისის ღირსების შესაფერავი, მეტადრე იმიტომ რომ როსტკვანს  
სრულებითაც არა ჰსურს მანინა-და-მანინა აჯობოს აუთანდილსა  
მშვილდოსნობაში და ამისთვის უსამართლობა და ძალადობა იმხა-  
როს. რა სცნა აუთანდილის გამარჯვება (გვ. 18):

81. მეფესა ესე ამბავი უჩნს, ვითა მღერა ნარდისა,  
უხარის ვგრე სიკეთე მისისა განაზარდისა,  
აქვს მიჯნურობა ამისი, ვითა ბულბულსა ვარდისა,  
სიცილით ლალობს, მიეცა გულით ამოსვლა დარდისა.

ეს როსტკვან არაფერში არა ჰტაკს იმ შირაქეულს და თვით-  
ნება მეფეს, რომელიც მე-70 ხანაშია გამოყვანილი. ეტეობა, მე-70  
ხანის დამწერს კერ შეუგნია როსტკვან მეფის ხანაითი, კერ გაუ-  
გია «სამამცრანი ზნენი» და «ხელმწიფეთა ქრევა და ქმნა», და არც  
პოემის მოთხრობა მიუღია ყურადღებაში, თორემ მაგისტანს შეუ-  
საბამო ხანას ეგრე ანდეშედ არ ჩააკრებდა.

როგორც აზრით, ისე სტილითაც მე-70 ხანა არ ეთანხმება  
როსტკვანისეულს წერს. სტილისტიკის მხრით ეს ხანა მხოლოდ  
მიბაძვას და გამოკრება მე-74 ხანისა, — ისიც უხეარო. შეადარეთ  
თითო-თითოდ ლექსები:

- კვლავ ბრძანა: „მონა თორმეტი შევესხათ ჩვენთანა მარებლად, (70 ხ.)
- და უბრძანა: „მონა თორმეტი მოდით, ჩვენთანა ვლიდითა, (74 ხ.)
- „თორმეტი ჩემად ისრისა მომართმევად, მოსახმარებლად, (70 ხ.)
- და „მშვილდსა ფიქელსა მოგვეცემდით, ისარსა მოგვართმიდითა, (74 ხ.)
- „ნასროლ-ნაკრავსა სთვალვიდენ უტყუერად, მიუშკდარებლად“. (70 ხ.)
- და „ნაკრავსა შეადარებდით, ნასროლსა დასთვალვიდითა“. (74 ხ.)



და ნამდვილი და უაღბო მათში იაკის-თავად აღმოჩნდებოდა. მათ  
 რადღებოა მეტადრე მეფის ცხადი და ადვილად მისხდომი ბრძა-  
 ნება მე-74 ხანაში, — «მშვილდისა ფიცხელსა მოკვრემდით, ისარსა  
 მოგვართმიდითა», — რომელსაც მე-70 ხანა მიჰბაძავს «ჩემად ისრი-  
 სსა მომართველად»-ით და განუსაზღვრელის «მოსახმარებლად»-ით.  
 ამას გარდა მეფე ბრძანებს: «ნაკრავსა შეადარებდით, ნასროლსა  
 დასთვალვადითა» (74 ს.) და ასეთს ბრძანებს თავისი მნაშენე-  
 ლობანც აქვს ამ შემთხვევაში, რადგანაც ნაკრავის ღირსება შედარე-  
 ბით იცნობება, ნასროლს კი მხოლოდ დათვლას უნდა; ხოლო აპო-  
 კრიფში «ნასროლ-ნაკრავი» შეერთებულია, თითქო მშვილდისნობა  
 უსაგნო ჩხარკველსა იყოს და მის ღირსების საცნობლად მხო-  
 ლოდ «მოუმცდარი» დათვლას იყოს საჭირო. ნასროლის და ნაკრავის  
 განსხვავებას რუსთაველი ნადირობის შემდეგ გვიჩვენებს, რა-  
 დესაც მონანი მეფეს მოახსენებენ (გვ. 18):

81. „ორთავე ერთან მოკლული ყველი ასჯერ ოცია,  
 მაგრა ავთანდილს ოცითა უფროსი დაუხოცია,  
 არ დასცდომია ერთიცა, რაც ოდეს შეურტყოცია,  
 თქვენი მრავალი მიწითა დასერილი დაგვიხოცია“.

ხოლოს, (მე 70 ხანაში) როსტკვან დაურთობს: «სთვალვი-  
 დენ უტყუვრად, მიუმცდარებლად», თითქო მეფეს ეჭვი ჰქონდეს,  
 რომ მონანი გაჰბედავენ მის მოტყუებას! — ესეც ერთი უეცრობა  
 «ხელმოწყობათა ქვეა-ქმნისა». მოტყუების შიში უფრო ავთანდილს  
 უნდა ჰქონდეს, რომ მონებმა მეფის კრძალვით და პირველობით  
 იმას მეტი არ მიუთვალონ, თორემ მეფისთვის ეგ რა სათაქრებე-  
 ლია. ამას გარდა უდროოდ არის ეს სიტყვა სკაფინდელ ნადირო-  
 ბის დაპირების დროს: თუ მეფეს თავის მონების ღალატის ში-  
 ში ჰქონდა, თვით მონებს უბრძანებდა მკ სიტყვას, როდესაც ნა-  
 დირობა დაიწყო და თორმეტი მონა მოიხსოვ. ხოლო მე-74 ხანა-  
 ში მეფე მონებს უბრძანებს მხოლოდ: «ნაკრავსა შეადარებდით, ნა-  
 სროლსა დასთვალვადითა». გამოდის, რომ დაპირება უფრო მკაცრი  
 იყო, ვინემც თვით ბრძანება! ცხადია, რომ სიტყვები: «უმტყუვრად,  
 მიუმცდარებლად» ტყუილად არის მიკერებული, მხოლოდ ლექსის  
 შესაკესებლად.



შერმადინის სსენება მე-70 ხანაში, როგორც ზემოდა ვთქვამ, არა მართლდება ზოემის მოთხრობით, რადგან შერმადინის დასწრება არც თინათინის დაგვირგვინებიდან, არც მეფის ნადიმიდან და არც ნადირობიდან არა სჩანს. ხოლო შერმადინის სსენება, სტილისტიკის მხრითაც, უდროვო და უადგილოა. მკითხველმა ვერ არ იცის, ვინ არის შერმადინი ან რა დამოკიდებულება აქვს ზოემის სსეა გმირბთან, რადგან ზოეტი გვაცნობებს შერმადინის ზირველად მხოლოდ მე-148 და 140 ხანებში (გვ. 32). საუფრადლებოა, რომ რუსთაველი არასოდეს ისე არ სასახელებს რომელსამე ზოემის მომქმედ პირსა, რომ, მოთხრობაში გამოეყანისათხანავე, არ აგვიხსნას მისი დამოკიდებულება სსეებთან, მისი ხასიათი, ხარისხი და შესედულება. ამიტომაც დასაყურებელი არ არის, რომ მაგისტანა დასელოვნებულმა მოთხრობულმა, როგორც რუსთაველად, ეგრე უდროვოდ და უადგილოდ ახსენოს მკითხველთათვის უცნობი და ეგრეთის უმცირებით დაარღვიოს უზირველესი სასტილისტიკო კანონი მოთხრობისა, სასელობორ: თავის დროსედ და თავის ადგილზედ სსენება ყოველ დასახასიათებელ საგნისა.

დასასრულ, საჭიროდ ვრაცნ დაუერთო ერთი შენიშვნაც იმ მკითხველთათვის, რომელთაც იქნება სსეაფორიკ ესმოდეთ მე-70 ხანის ლექსი «ერთია შენი შერმადინი, არს მათდა დასადარებულად,» — ვითომც ეს ლექსი იმას ვა არ ნიშნავდეს, რომ თვითონ შერმადინ უნდა ჰხლებოდა ავთანდილს ისრის მისართმეველად, როგორც თორმეტი მონა მეფესა, არამედ აქ შედარება იეოს იმ თორმეტის მონისა და შერმადინისა. თუმცა ასეთი განმარტება ეწინააღმდეგება ლექსის სინტაქსიურ დაწეობილებას, მაგრამ ლექსი მაგ აზრისაც რომ იეოს, მანც რუსთაველს ვერ მიეწერება. მაშინ მოედ მე-70 ხანს სსეა ეგრე დაედება და ის აზრი მიეცემა, ვითომც როსტევეს ზირობადა სდებს, რომ მშვილდოსნობაში შეცდილების დროს თვითონ იახლოს თავის საშეველად თორმეტი მონა, სიმარდით შერმადინის სწორნი, ავთანდილმა ვა — არცინ! არა მგონია, რომ ეს იდეა რუსთაველს უფრო მიეწერებოდეს, ან მაგისტანა განმარტებით მე-70 ხანის საყაღბე გასადდეს...



ტარიელის ძეხნად წასკლას წინ ავთანდილ თავის ყმებს წიგნსა  
 სწერს (გვ. 36—37):

164. დასწერა თუ: „ჩემნო ყმანო, გამზრდელნო და ზოგნო ზრდი-  
 „ერთგულნო და მისანდონო, ამაზედან გამოცდილნო, ლნო,  
 „თქვენ ჩემისა საწადისა მიდგომილნო, ვითა ჩრდილნო,  
 „წიგნი ჩემი მოისმინეთ ყოვლნო, ერთგან შემოყრილნო.

165. „მიწამცა თქვენი ავთანდილ, ისმინეთ, გიწერ მე რასა,  
 „თვით ვიქმ ხელითა ჩემითა ამა წიგნისა წერასა,  
 „ცოტასა ხანსა ვირჩივენ გატრა სმასა და მღერასა,  
 „პურად და საკმლად მივენდევ ჩემსა მშვილდსა და ცერასა.

166. „საქმე რამე მიძს თავისა ზე, სამე გარდასახვეწელი,  
 „დაეყო მარტო და ღარიბად ესე წლეული მე წელი,  
 „გემუდარები ამისთვის, ვარ თქვენი შემომხვეწელი,  
 „მე დამახვედროთ სამეფო მტერთაგან დაულეწელი.

167. „მე შერმადინ დამიგდია, ჩემად კერძად ჰპატრონობდეს,  
 „სიკვდილსა და სიცოცხლესა სადამდისცა ჩემსა სცნობდეს,  
 „ყოვლთა მზეებრ მოგეფინოს, ვარდსა ჰზრეიდეს (?), არ ატკნობდეს,  
 „შემცოდესა ყველაკასა, ვითა ცვილსა, დაადნობდეს.

168. „თქვენცა იცით, გამიზრდია ვითა ძმა და ვითა შვილი;  
 „ამას ასრე მორჩილებდით, არის ვითამც ავთანდილი;  
 „ბუკსა იკრას, აქმნევენეთ ყოვლი საქმე, ჩემგან ქმნილი;  
 „მე თუ დრომდის არ მოვიდე, გლოვა გმართებთ, არ სიცილი.“

ავთანდილის წიგნი განკებ მთლად გადმოაწერე, რომ მკი-  
 თხველის თვალწინ წარმოსდგეს მისის აზრის ერთობა და სრუ-  
 ლიანობა, და ამით უფრო ცხადად გამოჩნდეს სიყალბე მე-16-  
 სანისა, რომლითაც ტყუილ-უბრალოდ დატყუართულია ეს აზრი.  
 ზიარკელ გაცსინჯოთ, რადენად შეესაბამება ავთანდილის წიგნი  
 თვით გმირის ხასიათსა და მის მდგომარეობას.

როგორც მე-40, 147, 148, 153, 155, 162, 177 და  
 სხვა მრავალ სანებთან სხანს, ავთანდილი არის როსტკვან მეფის



სხასპუტი ანუ მხედრთ-მთავარი, და, მაშასადამე, მისი ქვეშევრდომი ანუ უმა არის; ამასთანავე ავთანდილ მთავარს მთავარი და ქვეყნის ჰატრონი, რადგან თავისი სამთავრო და ქალაქი მავარი «სა-ზაროდ სანაპიროსა» აქვს, თავისი ყმები, ხასი, დიდებულნი და კაზირი ჰქვას. ეროზის თეოდოლოს-და გვარად ავთანდილ როსტკეანის კასაღია, სანაპირო მარის მივლობელი, ანუ მარკ-გრაფი, მარკიზი. ეს მთავარი თავის სამთავროს დიდის ხნით ქმარდება, და, რასაკვირველია, ეს უნდა, რომ უამისოდაც მისი სამთავრო მტერთაგან დაცული იყოს და შინაგან სამართალი და წესიერება სუფიქსად, ამისთვის მთავარი თავდარივს შეუდგება, რომ წასვლის დროს მმართველობა დაამყაროს.—ეს არის ავთანდილის წიგნის საგანი.

თავის წასვლის მიზნს ავთანდილ ყმებს არ უცხადებს, ამბობს მხოლოდ: «საქმე რამე მიძს თავისა ზე, სამე გარდასასკეწე-ლი», ე. ი. ისეთი, რომელიც თქვენ, ჩემს ყმებს, არ შეგეგებათ და მას თქვენთვის საცოდნელიც არ არის. ამ საქმისთვის ერთს წველიწადს მოვსრულები. საქმეს მარტო მე გაკარავებ, ნურავინ გამოძევი, თქვენი შუალა არ მიწირს, მხოლოდ ამას გეგეწევი: «მე დამასკედრო სამეფო მტერთაგან დაუღეწელი» (166 ს.). სამთავროს ჰატრონობას ავთანდილ შერმადინს აბარებს, მინამ დაბრუნდებოდეს და განსაზღვრავს მის უფლებას და მოკალეობას ყმათა შესახებ—(167 ს.). მოგვინებს თავის ყმებს, რომ შერმადინ მისი ნდობილი და ახლა კაცია, და ამიტომ ქმართებთ მისი მარჩილობა, როგორც თვით ავთანდილისა. ბოლოს ავთანდილ დაურთობს, თუ დროზედ არ მოვიდუ, მივლავითა—(168 ს.).

საუურადლებოა ავთანდილის წიგნი მისის საფუძვლიანობით. აქ მხოლოდ სასკლმწიფო საქმეზეა ლაპარაკი, ყმათა და მმართველის უფლება-მოკალეობაზე და მათს ურთიერთობაზე. თავის-თავსა და წასვლის მიზნს ავთანდილ ძლიერ ინსინიებს იმდონად, რადგანაც ეგ სამეფო საქმისთვის საჭიროა, რადგან მისი წასვლა მხოლოდ მისი კერძო და პირადი საქმეა. ერთის სიტყვით, ავთანდილმა თავის ყმებს, რაც მათთვის საცოდნელი იყო, ის ატნობა,— და ჰატრონის ბრძნება «ყმათა მიმართ» დაიღამე ესეთი უნდა იყოს.



ახლა გადავიდეთ მე-165 ხანაზე და ვხსოვთ რას ქმნიდა ავთანდილის ბრძანებას. ამ ხანის შინაარსი ორს უყვანს: ელექსის შინაარსი და მისი შემოკლება. — «ცოტასა ხანსა ვიწიოვენ გარდა სმისა და მღერასა», ეუბნება ვითომც ავთანდილ თავის ემებსა. მერე რად ირჩია, ან იმის ემებს რა, რომ ეგრე ინება? რა საბაბი აქვს ამ არჩევანსა, რომ ქვეყნის ზეტონი მკის გულისთვის თავის სამფლობელოს სტოკებს? რაში ჰგავს ავთანდილ იმ ზეტონს, რომელიც ბრძანებს: «საქმე რამე მიძს თავისა ზე, სამე გარდასასვეწელი?» ეკ სიტუაცია კერძო და ჭირვეულს ემაწილს მოგვარებებს, რომელსაც მოხერხდა ფუფუნებით ცხოვრება და საითღაც გარბის, — ისე, უმიზეზოდ, ვინ იცის რადა. «პურად და საჭმლად მივედევ ჩემსა მშვიდლსა და ცერასა», — ამის რისთვის-ღა ეუბნება თავის ემებს? იკვებნის თუ, ჩემის მკვლავით საზრდელს ვიშოვნიო, ან თავის ემებს თავი უნდა შეაბრალოს, — ჰსჯდავთ, მდიდრულსა და უხვს ცხოვრებას დაჩვეული, რა ჭირში ჩავყარდებოქ?!. არც ეგრეთი ტრიახისა და არც წუწუნი გმარს ავთანდილს არ შეჰქვენის. იტყვიან, ეკ ლექსი მეტაფორას და მარტოობას ჰნაშნავსო. — ერთქვით, ეგრეც იყოს, მაგრამ განა არა კმაროდა რაც მე-165 ხანაში ცხადად და უმეტაფოროდ არის ნათქვამი: «დაჟეო მარტო და ღარიბად ესე წლეული მე წელი»? რაღად უნდა ამის გამოკრება? და მეტადრე, რა საჭიროა და რადროსია მომავალ სმა და ჭამისათვის დარდი, როდესაც ავთანდილს, ტარიელის ძეგნის გარდა, სხვა მძიმე საქმეც უძს თავისა ზე», — სამეფოს ზეტონობის ჩაბარება.

გადიკითხეთ ავთანდილის შემადინთან საუბარი წიგნის დაწერის წინ (ხანები 150 — 163), სადაც სწავლული გამოუტყდება თავის ვაწარს, თინათინი მიყვარსო, აცნობებს თავის განზრახვას ტარიელის ძეგნად წასვლისას, თავის სამთავროს შეკედრის, არიგებს, რა გვარად უნდა უზეტონობს ქვეყანას, როგორ მოიქცეს მის მოსკლამდე, ან მის სიკვდილს შექმნებ. გულ ახდილ, შინაურულ და საიდუმლო საუბარში ზეტონსა და ემის შორის, გამხრდელსა და გაზრდილს შუა დაღაც მოსალოდნელი იყო, რომ გმირი კანონბრძოლ სისუსტეს გამოიჩინებდა და მომავლის მკვარობის სიმკვლე დაღონებდა, სასულდობრ, — რა სჭამოს, ან როგორ იცხოვროს





უდაბნოს სამი წელიწადი, — მაგრამ ამ საუბარში არც მგზავრობის  
 გაჭირვებასა და არც ჭამისკენ ერთხელაც სიტყვა არა თქმულა. მას,  
 ნუ თუ დასაჯებელია, კითხვით ღომი ავთანდილ თავის ყმებთან  
 გამოსაღმებლს და სასკელშიყო სექსუელ საუბარსა და დარიგებას  
 სძა და ჭამის სხენებით დაიწყებდა? განა უფრო სათვალველი არ  
 არის, რომ ამ სიტყვების შემდეგ, — წიგნი ჩემი მოსმინეთო უფ-  
 ლნო, ერთგან შემოყრილნო, — ავთანდილ შირ-და-შირ მის ყმები-  
 სათვის მოსასმენელ საგანსკედ გადავიდა და არა თავის უმარხუო და  
 უსაგნო მაგზავრობასზე.

სტილი მე-165 ხანისა ცრუ და შეცდომილია და არ შეესა-  
 ზამება სასაუბრო საგანსა. «მიწამცა თქვენი ავთანდილ» — ეს სიტყვა  
 მე-67 ხანიდან არის ნათხოვარი, სადაც ამ სიტყვით ავთანდილ  
 როსტკიანს მიჰმართავს, და ჰმართებს კიდევ უძისა კეტით თავის  
 დამდებლებს «დიდის არაბთა მფლობელის წინ»; ხოლო მთავარისა  
 და ხატრონისაგან თავის ყმების წინ მაგ სიტყვის წარმოთქმა მე-  
 ტისმეტით თავის შეუარსებაა. «ისმინეთ, გიწერ მე რასა» — ტუფი-  
 ლი გამოკრება, რადგან ავთანდილმა სთქვა უკვე (164 ხ.) — წიგნი  
 ჩემი მოსმინეთო უფლნო, ერთგან შემოყრილნო მეორე ლექსი:  
 «თვით ვაქმ სელითა ჩემითა ამ წიგნისა წერასა», თუმცა ძალიან  
 განრტყელებულია, მაგრამ აზრს მოკლებული ფრასაა. თუ ავთან-  
 დილს შიში ჰქონდა, რომ მისგან დაწერილ წიგნის სინამდვილე-  
 ზედ მისნი უმანი ეჭვს შეიტანდნენ, ან შემადინის მოწმობას არ  
 დაიჯერებდნენ, და მაგ სიტყვებით ჭლამობდა დაერწმუნებისა და სა-  
 ბუთი მიეცა, რომ წიგნი ნამდვილ მისია, იმასაც ადვილად მისკდე-  
 ბოდა, რომ თუ მისნი უმანი მის ხელს არ იცნობენ და წიგნს სხვა  
 საწმინთო ნაშანი არ უზის (ბეჭედი ან სხვა) მისი ცარიელი და-  
 რწმინება — ჩემის ხელით ვსწერო — მანც ამაოდ დარჩებოდა. არც  
 საჭირო იყო მაგდენი ცოდვილი წიგნის სინამდვილის დასარწმუ-  
 ნებლად, რადგან შემდეგის მოთხრობიდან სჩანს, რომ ეგ ადვი-  
 ლად მოხერხდა (გვ. 38): ავთანდილ რა წავიდა,

174 შერმადინ ერთგან შეჰყარა ხასი და დიდებულები,  
 უჩვენა იგი უსტარი, ამბავი მისი თქმულები; და სხვა.

«უჩვენა იგი უსტარი», რასაკვირველია, მის სინამდვილის დასარწმუ-



ნებლად, რადგან ხასია ჯ დადებულებისათვის ავთანდილის სქესის წესს შირველი არ იქნებოდა.

მესამე ლექსი: «ცოტასა ხანსა ვირჩიევენ გაჭრა სმასა და მღერასა» — ორს დიდს სინრუეეს შეიცავს: შირველი, ავთანდილ ცოტა ხნით კი არ მიდის, არამედ ერთის წლით, როგორც შემდეგ მე-166 ხანიდან სჩანს, და ერთი წელიწადი, — მეტადრე მომავალი, — უმაწვილ კაცისთვის დადი ხანია. მეორედ, ავთანდილ «გაჭრად» კი არ მიდის, არამედ იმიტომ, რომ ასაქმე რამე უძს სამე გარდასასკეწელი» (166 ხ.). «გაჭრა», — როგორც რუსთაველს, და მასთან დაშე ავთანდილს, ესმის, — ეელთა რბენაა, მიჯნურობის გასვლების გამო, მარტოობისა და უგაცურობისათვის, ამიტომ ვინც თავის «გაჭრას» იტყვის, თავის მიჯნურობასაც ამითი გამოაცხადებს. აქ კი არა სჩანს, რა აძიულებს ავთანდილს, — ამ «სრულს მიჯნურსა», და ამასთანავე თავდაჭერილს და წინდასვდულს კაცსა, — კერე ადვალად და ქარინაობით თავის მიჯნურობის საჭეუენოდ, უძების წინ, გამყვანებას, თუ თვით თავის შერმადინს, რომელსაც «მისნი საქმენი უოკელნი სცოდნანს, გაუელებიანს», ძლივს გამოუტყდა, თინათინი მიუვარსო, და ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც კვ დაიღამც საჭირო და აუცილებელი იყო?

უგანასკნელი ლექსი დადუსტირებულა პლეონაზმიითა: «მურად და საჭმლად» — რომელიც კერევე სახმარისი არ არის, როგორც მაგალითობრ: ღვინოდ და სასმელად, ან ცხენად და სახედრად, ან ჩექმად და ფეხსაცმელად და სსკ., — და მესტიარულის რითმიითა: «ცურასა». მარტო უგანო სიტყების აცილებისათვის მოქლი ხანაც ტექსტიდან ამოსაფხურელია.

## VI

თავისი გაზარვა ავთანდილმა ესრედ მოაკვარა: რა მინდორს ვითომც სანადიროდ გავიდა (გვ. 37),

170. ჰბრძანა: „წადით ყველაკი, აქა მომზრედ არვინ მინა“,  
 მონებიცა მოიშორა, თავი გაითავისწინა,  
 მარტო გარე შემობრუნდა, შამში შიგა გაიბრინა,  
 მიწყივ მისად საგონებლად მისი მკელელი თინათინ ა.

171. იგი ველი გაირბინა, ლაშქართავან გაეკიდა,—  
ვინმეა ჰნახა სულიერმან, ანუ ვინმეა გაეკიდა!  
ვის მახვილი ვერას აენებს, მისი მკლავი გაეკიდა,  
მისგან ტვირთი კაეშნისა ტვირთად ვარგად აეკიდა.

ამ ორი ხანის შეფარდებიდან სჩანს, რომ მე-171 ხანა მე-170-ის  
მიხედვით და გამოირჩევა. გაგონილით სიტყვა-სიტყვით მე-171 ხანა:

„იგი ველი გაირბინა“—იგივე „შაში შიგა გაირბინა“—ა მე-170  
ხანისა. „ლაშქართავან გაეკიდა“—უდრის „მონებთა მოიშორა“—ს. მეო-  
რე ლექსი: „ვინმეა ჰნახა სულიერმან, ანუ ვინმეა გაეკიდა!“ ე. ი. უნახავი  
და მარტო წაჰიდა, ცხადია, რომ ეკ ლექსი გამოირჩევა იმისი,  
რაც მე-170 ხანაში ითქვა: „თავი გაითავისწინა, მარტო გარე შე-  
მობრუნდა“. მესამე ლექსი: „ვის მახვილი ვერას აენებს, მისი მკლავი  
გაეკიდა, —ტყუილად დასლართული ფრახა, რომელიც, საგონე-  
ბულია, უნდა ჰნიშნავდეს: ღვთის შემწეობის არა გაჭევა, ე. ი.  
ისევე ავთანდილის მარტოდ წასვლას გაუწყებს, რომელიც ამდენ-  
ჯერ ითქვა და გადაითქვა. დასასრულ, მეოთხე ლექსის აზრი, თუმ-  
ცა ნათელი არ არის, (ვისგან აეკიდა ავთანდილს კაეშნის ტვირთი?  
ან რას ჰნიშნავს „ტვირთი ვარგად“?), მაგრამ მაინც სჩანს, რომ  
ავთანდილს გაჭევა თინათინის საგონებელი, მე-170 ხანაში მოხსე-  
ნებული.

ერთი სიტყვით, მთელ მე-171 ხანაში ერთი აზრიც არ მოი-  
პოვება, რომელიც მე-170 ხანიდან არ იყოს ნათხოვარი, და მისი  
შინაარსი მხოლოდ ნათქვამის გამოირჩევა. მოთხრობის მიმდინა-  
რება შეგუბდა, ხოლო თვით მოთხრობას ამით არა შეემატა—რა.  
მე-171 ხანა არას განმარტებს, არც რომელიმე მომქმედის უნებ-  
ხსიანთს ან თვისებას გვისახავს, და არც არა პოეტურ სურათს წარ-  
მოგვადგენს, ასე რომ ეს ხანა პოეტიკურ სურათებით უვარგისია  
და მოთხრობის მსუფლობისათვის მეტი, და რადგან უვარგისია და  
მეტი—რუსთველისა არ არის, არამედ ვისიმე უქმის მელექსისაგან  
არის ჩამატებული.

## VII

ზოემის თავი წასულა აეთანდილის ძებნად ტარიელისა (გვ. 39) იწეება მე-176 ხანით, რომელსაც პირდაპირი კავშირი არა აქვს მოთხრობასთან.

176. ამ საქმესა შემოწმების დიონისი ბრძენი, ეზრ.:ს: საბრალოა, ოდეს ვარდი დაეთრთვილოს, დაკაეზროს; ვის ბადაზში არა ჰგვანდეს და ლერწამი ტანად ეზროს, — იგი სადმე გაღარიბდეს, სამყოფთავან იაბეზროს.

ამგვარი ხანები სსკვანაც მოიპოვება «ეეფსის-ტუაოსანში», სახელდობრ: მე-824 ხანა, გვ. 185; მე-945 ხანა, გვ. 210; მე-1075 ხანა, გვ. 240; მე-1207 ხანა, გვ. 271; მე-1486 ხანა, გვ. 336. ყველა ამ ხანებს კვირაფის, ზედწარწერის მნიშვნელობა აქვს და კადად უმს ფილოსოფიურად გამოსთქვას იდეა ზოემის რომელიცავე თავისა, ისევე, როგორც, მკვლავთებრ, ვისრამიანის «ტოქმეთები» დაასკვნან სოღმე ნამბობის საზოგადო აზრს ან ზნეობითს მოძღვრებას. ყველა ამ ხანების რუსთველისადმი მითვისება, ჩემის აზრით, დიდად საუკუნო იქნება და ზოგს მათგანს სიყალბეც აჩვენავ. რაც შეეხება კერძოდ მე-176 ხანას, ამისა სიყალბე უმტკველია.

შესანიშნავია ამ ხანაში გაურკვეველობა და შეუსრულებლობა საგრამატიკო ფორმებისა, და მასთანადე აზრისაც. რას ჭნიშნავს სიტყვა «ეზროს» პირველს ლექსში? თუ ეს ქმნილი-უუსრულები დროს სათუო სქესისა, წარმომდგარი ზმნისაგან «ზრობა», მასინ ამ შესმენილს ქვეშდება რა აქვს და შესრულებაც აკლია, — ვის ეზროს და რა ეზროს? — არავის უწყის. «ეზროს», როგორც ზმნისა, აქ არავითარი კავშირი და დამოკიდებულება არა აქვს სსკვ სიტყვებთან და აზრს მოკლებულია. დ. ჩუბინაშვილის განმარტებით, «ეზროს» ვითომც ესდრას წინასწარმეტყველსა ჭნიშნავდეს. რაზედ არის დამყარებული ეს მისდომა, — ჩუბინაშვილს არავითარი საბუთი არ მოჰყავს; სოღო მისმა სიტყვამ წამიცადა და ესდრას წიგნი გადამაკითხინა... და, რასაკვირველია, კერც ერთი აზრი, — მე-176 ხანაში ვითომც ესდრას მოწმობით გამოთქმული, — ვერა კზოვე. ახად

საქართველოს  
საქართველოს  
საქართველოს

რედაქციის მართლ-წერილობა სიტყვა „ეზროს“ ვიღაცას სახელად უნდა ვიგულისხმოთ, თუმცა ამ სახელით არც ერთი ფილოსოფოსი, პოეტი ან რომელიმე წარჩინებული კაცი ცნობილი არ არის.

მეორე ლექსი გრამატიკის მხრით სრული არ არის: „საბრალოა, ოდეს კარდი დაეთრთვილას, დაცაეზროსა“, — აქ წინადადებას საგანი აკლია: არა სჩანს, ვის დაეთრთვილას და დაცაეზროს კარდი? და შემდეგ, მესამე ლექსში: „ეკას ბადასში არა ჭკვანდესა“ — აგრედვე შეუსრულებული ფრაზაა: რას ან ვის არა ჭკვანდეს ბადასში? ამას გარდა ფრაზიდან ის აზრიც გამოდის, ვითომც ბადასში ვიღაც არა ჭკვას, — რომელიც უგუღმა შედარება იქნება, რადგან დაწვი დაუდარება ბადასშისა და არა ბადასში დაწვისა. — დამეთანხმეთ, რომ ამისთანა ენის შეუსრულებლობა რუსთაველს ვერ მიეწერება.

გრამატიკისა და ლოგიკის-მიერის შეცოდების გარდა მე-176 ხანის სტილი საკმაოდ ამხილებს მის სიყალბეს. თუმცა შედარებანი, — დაერთვილული კარდი, ლერწამ-ტანი და პირ-ბადასში, — უკველია, რუსთაველის მეტაფორათა არსებლიდან არის ნათხვარი, მაგრამ ეს სიტყვა-კაზმულობა მხოლოდ ფუჭს აზრსა ჭკვანდეს. რა არის, მართლა, მე-176 ხანის იდეა, პროზად რომ გადაითარგმნოს? — საბრალოა მიჯნური მწუხარებისაგან პირ-მკრთალი, ნამტი-რადევი და გამხდარი, მისი ხეივანი მარტოობა და უგანგრობაა. დასტურ, საბრალოა, თუ კაცი მაგ ჭირში ჩაკარდა, მაგრამ ნუ თუკი სიტყვა ისეთი ძნელი დასაგებებელია, რომ მის დასამტიკინებლად დიონისი ბრძენის და ვიღაც ეზროს აკტორიტეტი იყოს საჭირო? ცხადია, რომ აკტორისაგან ხმარებული დონის-მიება არ შეესაბამება მისაღწევს საგანს, რადგან ერთის მარტივის აზრის გამოსათქმელად გადამეტებული ენა-მზეობა დაუწევია.

ზემოდ განხეთ, რომ „ეზროს“ სახელით ესდრას წინასწარმეტყველი ვერ იგულისხმება, იმიტომ რომ ესრდას მიჯნურობისა არა დაუწერია-რას; ხოლო რაც შეეხება დიონისის, დიდად საეჭვოა, რომ ეგ ბრძენი ესდრასზე უაღრესი აკტორიტეტი იყოს სამიჯნურო საქმეში... დიონისი ბრძენი ცნობილია ღუთის-მეტყველად, და თუმცა ვერ ვიტყვი, მის ნაწერებში საარაბო საგანზედ არ იყოს რაიმე ნათქვამი, რადგან მისნი თხზულებანი მე წავითხული არა მაქვს, მა-



გრამ, რომ იყოს კიდეც, შემთხვევით, მაინც რა მოსაყენებელია მისთვის? სიტუაცია იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ უბედური მიჯნური საბრალდოა? რასაკვირველია, რუსთაველი ამისთანა «სილადეს» არ ჩაიდენდა და სამიჯნურო საქმეში დვთის-მეტყუელებს კი არ იმეორებდა, არამედ მოშაირებებს დაუთმობდა სიტუაციას, რომელთაც ეს საქმე უკედ შეუგნიათ. რუსთაველს მრავალი ღრმა და ფილოსოფიური აზრი წარმოუთქვამს, მაგრამ მათს დასამტკიცებლად ბრძენთა იმეორება არ დასტირებია. ზოეტის ჭკუას თავისუფალი და გაბეჯადვია და თავის სჯაში ავტორიტეტებს არ ემყარება; ხოლო მე-176 ხანის დამწერის სჯა სასქოლასტიკო სჯას მოგვაგონებს, იმ მწიგნობარის ძაბუნს სჯასა, რომელიც კერ გაჭებდავდა თავისს აზრის წარმოთქმას, რაც უნდა უბრალე უოფილიყო, თუ არასიტუაციის ან ჰლატონის და ან სამღვთა-წერილის სიტუაცია საბუთად არ დაერთო.

ასლა გაკსინჯოთ, რა დამოკიდებულება ან რა შინაგანი ერთობა აქვს მე-176 ხანას თვით მოთხრობასთან. ვის შეეხება ამ ხანაში გამოთქმული იდეა, ვინ არის ის საბრალე მიჯნური, რომელსაც სხვა ილაჟი არა დარწინია-რა, გარდა იმისა, რომ «სადმე გაღარბდეს, სამყოფოტაგან იაბურროს?» თუ ტარიელი უნდა კიგულისხმეთ, — იმის სულის მდგომარეობაზედ ლაპარაკი ჯერ ადრეა. ზოემის მოთხრობიდან ტარიელს ჯერ არ ვიცნობთ; იგი მოჩვენებასავით უერვად დაგვეჩხა და აგრევე უნდა გაჭქა; თვლი მდავს მოკვართ ვილაც მტირადის ვეფხის-ტუალასისა და მისი შესედულობა ცხადად არ გუანსოვს; მის მნახველთ აქმდის კერ შეუტუვით, ვინ იყო «იგი მოყმე» — ადამიანი თუ კმშიკი, — და რადგან მისი სულის მდგომარეობისა ჯერ არა ვიცნით-რა, ახლავე მისი საიდუმლოს გამხილება წინასწარი იქნებოდა და მოთხრობას ინტერესს წაართმევდა. ტარიელის ვინაობას, მის მიჯნურობას და თავგადასავლს მხოლოდ შემდეგის თავიდანა ვცნობთ (გვ. 65), როდესაც თვითონ ვეიამობს თავის აზრს. ამიტომ მე-176 ხანაში გამოქსნულ მიჯნურის მდგომარეობა ტარიელს კერ მიეჩქება, — მეტად შორი სიტუაცია იქნებოდა და გამოუცნობი გამოცნა.



უგუკველია, მე-176 ხანა აკთანდილს შეეხება, იმიტომ რომ მისი «გაჭრის და გადაწობების» ამბავს მიუძღვის, მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ ამ ხანაში გამოსატული მდგომარეობა მიჯნურისა არაფერში არა ჰგავს აკთანდილისას. აკთანდილ დიალმც სანბალოა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ «გარდი დაეთრთვილოს და ლერწამი ტანად ეზროს»; ჩვენს თანაგრძობას მხოლოდ მისი «ხორცთა და წვა» არ იზიდავს, არამედ მისი სულით ტანჯვა, მისი უილაჯობა და ტრაგიზმი მის მდგომარეობისა. — ტარიელის ძეხნას აკთანდილმა თითქმის სავი წელაწიდი მოანდომა, «ეყოლი ვირი ქვეუნიას მოკლო, სრულად მოიარა, მაგრამ იგი მის ამბისა მსმენელსაც კერ მიჰსკადარა»; ამასობაში თინათინისაგან დანიშნული ვადა ილეკა, და რადგან «მის მზისა გაურამნ სიცოცხლე გაუხიარა», აკთანდილს «საგონებელი შექქმნა»: «თუ დაებრუნდე, ეზოში ხანი რად ვიყავ შე გულად? ჩემსა რა კვადრო მნათობსა, ვიყავ რად დღეთა მლეკულად», და (გვ. 41)

186. „თუ არ დაებრუნდე, საქებრად დავყვე სხვანიცა ხანანი, რომელსა ვეძებ, ვერა ვცნე ამბავნი მე მისთანანი, დრო გარდაუწყედეს შერმადინს, შეჭრეს ლაწვიისა ბანანი, მივიდეს, ჰკადროს მეფესა საქმენი დასაგვანანი“...

ამ გაჭირებიდან «გონება-შეიწრობული» აკთანდილ მანინ გონივრულად ისწინის თავსა: რა გადასწყვიტა, რომ უცნო მოყმეხედ (გვ. 42)

191 „...ულონიოდ მართალ-იყვენს, რომელთაცა ჭაჯად სთქვიან; ნაწ ტირილი არას მარგებს, ცუდად ცრემლი რასა მდიანი!“

193. მობრუნება დააპირა...

რამი ჰგავს ეს მხნე, გონიერი და გამჭრიახი გმირი იმ მიჯნურს, რომელსაც სხვა კერა მოუგვარებია—რა თავის ჭირისთვის, თუ არ «სადმე გადარბიდე, სამეოფთაგან იახეზროს?» აკთანდილ უბედური და სასოწარკვეთილი მიჯნური არ არის ტარიელსაგან, რომელიც «მხეცთა თანა იარება მართო ტეკრად, არას ვაცნა არ იახლებს საუბრად და შემაქტეკრად» (271 ხანა, გვ. 57). მისი თინათინ ჭაჯებს არ წაუყვანიათ, არამედ მშვიდობით ზის თავის მამასთან და ღოგის



ავთანდილს მოეღოს. რად უნდა «გალარბდეს» ავთანდილს და რად უნდა «სამყოფთაგან იაბეზროს», თუ მისმა მნათობმა «სამიძღო უბრძანა» და «მისცა წამალი გულისა, აქმდის დაკარგულისა», და როდესაც კარგად ახსოვს თინათინის სიტყვა: ჰბოკებს თუ არ ჰბოკებს იგი «უცხო მოემესა», — თინათინ კით კოკობი და გაუფრ-ტკეპელი კარდი, დახვდება დაუძგნარი (131 ხანა, გვ. 28).

ავთანდილს არ შეეფერება მეტადრე უკანასკნელი ლექსი მე-176 ხანისა, — «იგი სადმე გალარბდეს, სამყოფთაგან იაბეზროს», — რადგან ავთანდილ, გელად თუ რბის ღარბობისთვის კი არა, არამედ ვეფხის-ტყაოსნის საძებრად; მის მგზავრობას საგანი აქვს და საგანს, რასაკვირველია, ვერ მიაღწევს, თუ «სამყოფთაგან იაბეზრებს».

სწინს, რომ მე-176 ხანის დამწერს ვერ შეუგნია ვერც ავთანდილის ხასიათი და ვერც მისი მდგომარეობა. მისი ცრემლი ჰხანს და თავის თანაგრძნობას გამოთქმის ჰლაშობდა, ხოლო რადგან ცრემლის მიზეზს ვერ მიხვდა, მისი თანაგრძნობაც უადგილო და შეუსაბამო გამოვიდა.

## VIII

ავთანდილ, რა ჰბოკა ვეფხის-ტყაოსანი და მის ბანასაც მიაგნო, წდილობს მისი აზბავი შეიტყოს ასმათისაგან. ტარიელის ჰკაბიდან წასკლის შემდეგ, ავთანდილ შეიბურობს ასმათს და ეხვეწება «მისი რამ უთხრას, ვინ არის ტან-სარო, პირ-ბავმიანი?» (გვ. 50).

233. ქალი ეტყოდა ტირილით: — სარჩელი უგავს ბეობასა —  
 „თუ არ შმაგი ხარ, დამეხსენ; შმაგი ხარ, მოდი ცნობასა;  
 „აწ მეტად ძნელსა საქმესა მნუკავ აღვილოდ თხრობასა;  
 „სუღად ნუ სტღები, ნუ ელი მაგა აზბისა მზობასა“

234. კვლავ ეტყვის: „ყმაო, რა გინდა ანუ მენუევი მე რასა?  
 „მაგა საქმესა ვერა იქმს ვერცა კალამი წერასა;  
 „შენ ერთხელ იტყვი: „მითხარო“, მე ასჯერ გითხრობ „ვერასა“,  
 „ვითა სიცილი ტირილსა, მიჯობს ვაგლახი მღერასა“.

დააკვირდით მე-233 ხანის სწორსა და დასტურ სიტყვას, — «სარჩელი უგავს ბეობასა», — რომელიც ჰმართლდება დანარჩენ სამს





ლექსში. მდგომარეობისა-და-გვარად, დიალამც ამისთანა უნდაა უფრო ფილიყო ასმათის ზასუხი, რადგან იგი, კითქაღი, ტანად სუსტია, და ძალადობის გამო ტირის და ჩივის; ხოლო გულისთ ძლიერი და ამაჟი, თავის მტანჯუელს გარდაწვეუტელს და დამცინავ ზასუხს ამ-ლექს და ამიტომაც მისი სიტყვა განახენსავით მოკლე და გარდა-კვეთილია. ასმათ ამობს: «თუ არ შმაგი ხარ, დამესხუნ; შმაგი ხარ, მოდი ცნობასა», — ჟურაც ისმის ამ სიტყვებში ზინდი და მიუღვა-რება იმ კაცისა, რომელმაც ეს-იყო ძალადობა იხმარა, «დაახა, ვი-თა კაკები მახესა», და რომელიც მას ჭკურტადნა ებილწებოდა» (230 და 231 ხანა); აქვე გამოსტვირს დანინვა და მიუგარებლობა ამაჟის სულისა ბრიუვის მძლავრობის ზირდაჰირ. «აწ მეტად ძნელ-სა საქმესა მნუგავ ადვილად თხრობასა», — ამით ასმათს უნდა შვა-გონოს ავთანდილს მისი თხრობის აუსრულებლობა; ხოლო აქ სვე-დაც ისმის ასმათისა, იმიტომ რომ ტარიელის თავგადასავალის მო-გონება გულს უდაგავს და მისის ამბის გადათქმით სომ სულისთ დაიტანუება. ამ სიტყვებს ბუნებითად მოსდევს ასმათის შეუდრეკე-ლი დასკვნა: «ცუდად ნუ სცდები, ნუ ელი მავა ამბისა მობასა».

მორჩა და გათავდა! მეტი რაღა ექნებოდა სათქმელი ასმათს კილაც უნხო კაცთან; რომელიც საიღამაც მოგარდნილა, თავს დას-ცემია და ჩასციება «ტან-სარო და ზირ-ბავიანისა» ამბავი, გინდა არ გინდა, მიაშეუა? საუბედუროდ, მწიგნობარმა სიტყვის ფასი არ იცის და მრავალ-სიტყვაობაში გრძნობის ძალას ეძებს; მისთვის არ კმარა ასმათის გარდაწვეუტელი ზასუხი და უნდა «კვლავ» რაღაც ათქმეინოს.

მე-234 ხანაში ასმათ ეუბნება ავთანდილს: «ყმაო(?), რა გინ-და, ანუ მენუგვი მე რასა?» — უგუნური კითხვაა მას შემდეგ, რაც ასმათმა გადაწვეუტელი ზასუხი მისცა ავთანდილს. «მავა საქმესა ვერა იქმს ვერცა კალამი წერასა», — თითქო ტარიელის ამბის თხრო-ბა კალმით უფრო ადვილი იყოს, ვინემც ენით! ამას გარდა, რა არის ეს ფრაზა, თუ არ უგუპური გამეორება მესამე ლექსისა მე-233 ხანისა: «აწ მეტად ძნელსა საქმესა მნუგავ ადვილად თხრობასა?» ხო-ლო ამ ლექსში დამაზი ანტიტესა, ზირველში კი მხოლოდ უმნო გაზვიადება.



მესამე ლექსი: «შენ ერთსულ იტყვი «მათსარო», მე ასევე თხრობს «ვერსას», — შეარად წინააღმდეგია ასმათის გადაწყვეტილის პასუხისა; პირიქით, ავთანდილის ასს თხროვნად ასმათ ერთს «ვერსას» ეუბნება. მე-234 ხანის დამწერმა არ იცის, რომ ვინც ერთ თხროვნად ასევე «ვერსას» იტყვის, იმის უარს ძალა ეკარგება და მალე დაჭეუება კიდევ მიხროვნელსა. ბოლოს ასმათ დაურთობს: «ვითა სინცილი ტირილსა, მიჯობს ვაგლასი მღერასა». თუმცა ამ ლექსის აზრი გამოცანის ფორმით არის გამოთქმული, მაგრამ ავტორი ტყუილად მომდინარე და სტუისთვის ძალა დაუტანება, რათა თვისის აზრის სიდატაკე «სიტყვის მღერით» დაეყარას: სინცილი «მღერის» შედეგია და ტირილი გლოვისა, მაშასადამე, თუ ვისმე ტირილი სინცილს უჩვენია, მის მიხედვით — გლოვისა — «მღერას» ამჯობინებს. ლექსის აზრი ისრადვე ფუჭია, როგორც, მაგალითებ, ამ ფრაზისა: ვითა წამთარი წაფსულსა, მიჯობს სინცილე სითბოსა. აქ არც გამოცანის «სელოვნება» და არც შედარების სიტყურთე არა სჩანს, არამედ მხოლოდ პლეონაზმი, ცარიელი მრავალ-სიტყვაობა.

მოსალოდნელი იყო, რომ უაღბის-მქნელი, პოეტურ გრძობას მოკლებული, «სიტყვის მღერას» ხელს მიჭეოფდა და მიეტიკებოდა კიდევ კვ წინააღმდეგობა, თუ მისს აზრს რამე საბაბა ჭეონოდა, მაგრამ ვაი ის არის, რომ მე-234 ხანის უგანასკნელ ლექსს არავითარი გაკშირი არა აქვს ასმათის სსვა სიტყვაობთან. მართლად, რისთვის ეუბნება ასმათ ვიღაც უცხლსა და პირველად ნახულს კაცსა: «მიჯობს ვაგლასი მღერასა»? რასაკვირველია, არა იმისთვის, რომ თვისის სულის მდგომარეობა გაუზიაროს, რადგან ავთანდილ მისთვის გარეგნულად, თითქმის მტერი. მაგ სიტყვებს ერთი-ღა მნიშვნელობა შეეფერება: ვითომც მიხედა, რომლითაც ასმათს უნდა თავიდან აცილოს ცარიელის თავ-გადასავადის შობა. სოლო ნუ თუ კვ სიტყვები ასმათს უარის თქმის მიხედვით ჩამოერთმევა? როდესაც ასმათ თავს იმართლებს (233 ს.) «აწ მეტად ძნელსა საქმესა მწუკავ ადვილად თხრობასა», — ეს უარი დასაჭერებელია და ბუნებითი, რადგან ძნელი საქმე ადვილად კერ მოჭნდება; მაგრამ თუ ასმათ ცარიელის ამბავს იმიტომ კერ უამბობს ავთანდილს, რომ «ვაგლასი უჯობს მღერასა», შეგვიძლიან

ვიკითხოთ, ნუ თუ ტარიელის ამბის თსრობა ასმათს «მღერად-მღერად» ახნდა?!

ასმათის უარის-თქმის მიზეზი ადგილი მისასდობია: შირველ, მას არ უნდა ტარიელის საიდუმლო გამჟღავნოს ვიდრე უცხო კაცთა, — ეკერ გიციობ, ვინ ხარ, ვის გითხრა სიტყვანი მოსანდონია (241 ს., 51 გვ.), ეუბნება ასმათ აუთანდილსა; და მეორედ, წარსულის ჭირის მოგონება უცხო კაცის წინ ასმათისთვის, რასაკვირველია, სადნინო არ არის, მქუტად მნელი საქმეა. ამიტომ ამ მიზეზის მოყვანა, ვითომც «მიჯობს ვაგლასი მღერასა», ერთი დიდი რამ სისუფელეა, რომელიც რუსთაველს კერ მიეწერება.

IX

ავთანდილ, რაკი სკეწით ასმათს კერა ათქმევინა-რა, «ბირსა ზედან გატყულისდა, თვალთა სისხლი მოედინა, ადგა, თბითა წამო-ჭრიდნა, ეელსა დანა დაახვინა». სოლო ამ მძლავრობაზედ (გვ. 51)

239. ჭარლმან უთხრა: „გვე ღონე მოიგონე მეტად ავი:  
„თუ არ მომკლავ, არ მოვკვდები, მრთელი ვარ და მოუკლავი;  
„რად რა გითხრა, სადამდისცა ვიყო ჭირთა უნაზავი;  
„კვლავ თუ მომკლავ, სასაუბროდ აღარ მედგას ზედან თავი“.

240. კვლავ ეტყვის: „ყმაო, რად მპოვე, ვინ მეუბნები მე ვინო?  
„გვე ამბავი ცოცხალსა ენითა ვერ მათქმევინო!  
„მე თავი ჩემი ნებითა ჩემითა მოგაკვლევინო,  
„ვითა უსტარი ბეღითი, ადვილად დავაზევიინო.

241. „ჩემი სიკვდილი შენ ჩემად პატიჟად ნურად გგონია,  
„მით რომე დამსხნი ტირილსა, შემშრების ცრემლთა ფონია;  
„ჩალად მჩანს ყოვლი სოფელი, მისთვისვე შემოწონია!  
„ვერ გიციობ ვინ ხარ, ვის გითხრა სიტყვანი მოსანდონია“.

მე-240 ხანა საკვირველად მოგვაცანებს სემო-მოყვანად მე-234-ს თავის ენათ, კილოთი და უადგილობით; ამიტომაც საფიქრებელია, რომ ეს ორივე ყაღბი ხანა ერთის აკტორისა უნდა იყოს, აქაც, მე-240 ხანის სიყაღბე შედარებით აღმოჩნდება. მე-239 და 241 ხანების აზრი ნათელია: შირველში ასმათ უცხადებს აუთან-



დილს, რომ სიკვდილის დამუქრებით ის მაინც ვერას ათქმევინებს, იმიტომ რომ მას სიკვდილისა არ ეშინიან; სოლო მეორეში ასმათ უჩვენებს, თუ რა მიზეზია მისგან სიკვდილის უშიშრობისა. ამ აზრს შუა ეწინარება მე-240 ხანა, არღვევს მის ლოგიკურს შედგომილებას და ასუსტებს მის მშთაბეჭდილების ძალას.

თავის თავადაც მე-240 ხანა უაზროა: პირველი მისი ლექსი— «ყმაო, (?) რად მშოკე, ვინ მეუბნები მე ვინა?\*)—მე-236 ხანიდან არის ნათხოვარი, სახელდობრ: «რას შეგესწარ, მე ვინ ვარა, ანუ შენო!» (გვ. 50) სოლო ეს უკანასკნელი ლექსი თავის ადვილზეა და ჟურჯან ზასუსად ჩაითვლება, რადგან ამ ზასუსს მიუძღვის ათანდილის თხოვრა: «კერ დაგესსნები, მიაშე, ჩემგან ნუღარა გრცხვენია» (235 ხ., 50 გვ.); მკვრამ, როდესაც კაცს ვინმე უელზედ დანას დაბჟენს, ის ვეღარ უზასუსებს: «ყმაო, რად მშოკე, ვინ მეუბნები მე ვინა?»—ეკ დიადაც დიდი სისულეე იქნება... მეორე ლექსი—«ეკე აშაზი ცოცხალსა ენითა კერ მათქმევინო!»—გამეორებაა მე-239 ხანის ლექსისა: «რად რა გითხრა, სადამდისცა ვიყო ჭირთა უნახავია. სოლო განსხვავება ამ ლექსთა შორის ის არის, რომ პირველი უფრო მდამიურის ენით არის ნათქვამი და თვისის ვილეთი უმიზეზო ჭირვეულობასა და ჯაბრზე შედგომასს ჭკავს.

უკანასკნელი ლექსები: «მე თავი ჩემი ნებითა ჩემითა მოგაკვლეკინო, ვითა უსტარი ბედიით ადვილად დაგახკევინო»—სრულეებით არ ეთანხმება ასმათის სიტყვებს მე-241 ხანისას. რადა და რისთვის აკვლეკინებს კერე ადვილად თავის თავს ასმათ, ან რად ადარებს თავის თავს «ბედიით უსტარსა?» ამის მიზეზი და საბაბი არსაიდან არა ხსანს. ასმათის სიტყვებში რაღაც უტუნური და მკვეხარა თავის თავის სიმულევილი იხატება, მხდალის სულის ბაქიობა, რომელიც ცდილობს თავისი სიჯაბზე დაჭყაროს და არ შეშენის იმ ამაყსა და უბედურს სულსა, რომელსაც ჩაღად უნნს უკვლი სოფელი, მისთვისვე შეუწონია!»

\*) საუცხოვო მიმართვია ეს ალერსიანი «ყმაო», როდესაც კაცს ყელზედ დანას აბჯენენ!.. იხ. აგრედვე მე-234 ხ. ასმათ დიდი ზმარობს ამ სიტყვას, მაგრამ სულ სხვა მდგომარეობაში (მე-237 ხ.).

ავთანდილის და ასმათის შუერის სცენა შესანიშნავია პოეტური მშვენიერებით და თავისი ფსინოლოგიური სინამდვილით: ტანად სუსტი, სოლოდ ძლიერი ქალი შეებმის ღონიერს გმირსა და ბრძოლიდან გამარჯვებული გამოდის მხოლოდ თავისი სულის სიმტკიცის წყალობით. თავის მოპირდაპირესთან საბრძოლველად ასმათ ჭმარობს დაცინვას მასკილად და მიუგარებლობას—ფარად,—ეს მიუმდინარი იარაღია უღონოსა ძაღადობის წინააღმდეგ, და ბოლოს ღონის-ძიებებს მიჰხდის ავთანდილს, რომელიც იძულებულია აღიაროს თავისი დამარცხება: «არ ეგების აწ ამისა ასრე თქმევკ, სხვასა საქმეს მოკიგონებ, სჯობს საქმისა გამოჩნევკ». (ს. 242, გვ. 52).

ასმათისა და ავთანდილის შებმა პოეტის თსრობით კი არ გამოისახება, არამედ მათის სიტყვა-შასუხით; მათის დიალოგიდან, — რომელიც თითქმის დრამიდან იუოს ამოღებული, — კნობთ თან-დათან ასმათის ხასიათს და მის სულის მდგომარეობას. უკანასკნელი შასუხი ასმათისა (მე-239 და 241 ს.) უღრესი გამოთქმა მისი სულის ძლიერებასა, — ჩვენს თვალწინ ცხოვლად აიმართება მისი ნაქვთი და ცხადდება მისი სული — შატოოსანი და ერთგული, ამაყი და თავისუფალი, სასოწარკვეთილი და უბედური; სამდვილი შატოოსანი ქალი, რომელსაც სიკვდილი უჩნენია ერთგულობის ღალატს, უოკელ ძაღადობას ეურნება და რომლის გული ღებება და თანაგრძნობით ინთება მიჯნურის ბედის გასსენებით.

ასმათის შასუხის კილო სრულიად ეთანხმება იმ იარაღს, რომელითაც თავის მოპირდაპირეს ეკამთება, — დაცინვას და ათვალწუნებას; უოკელ მის შასუხში, — მე-233, 236, 239 და 241 ხანებში, — ეს კილო მტკიცედ არის დაცული, და ამიტომ აქ ერთის ნოტის შეცდომისაგან თანხმობა დაიშლება და «მსმელისა ყურნისა დაკაღდება». თუ შევადარებთ ამ შასუხების კილოს მე-234 და 240 ხანებსა, მათი სიყალბე თავისთავად გამოჩნდება, იმიტომ რომ ამ ხანებში დაფუთიანებული წუწუნის მეტია არა მოაპოვება-რ.



ბოლოს, ასმით დაჯიბრდა ავთანდილს, ტარიელს გაგატნობო და რადგან მათის პირდაპირის შეყრისა კშინოდა, ავთანდილ ქვაბში დამალა, რომ ჭკერ ტარიელის გუფი მოკეო მისთვის და ესრედ მათი ნასკა მოეკვარებინა. ამ დროს ტარიელ შემოადის (გვ. 56 — 57):

265. ამარტის ფერად შესცვალა ბროლი ცრემლისა ბანამან, დიდ ხან იტირეს ყმამამან და მან ქალმან შაოსანამან; შეჭხნა, შეიღო აბჯარი, ცხენიკა შეიყვანა მან; დადუმდეს, ცრემლნი მოჰკვეთნა შავმან გიშრისა დანამან.

266. ავთანდილ სარკმლით უბერეტდა, ტყვე, საკნით ნაზატები; მან ქალმან ქვეშე დაუგო ვეფხის ტყავისა ნატები; მას ზედა დაჯდა იგი ყმა, სულ-თქვამს ჭირ-მონამატები, — სისხლისა ცრემლსა გაეწნა შუა გიშრისა ხატები.

267. მან ქალმან ხელ-ჰყო კვესითა გზება ცეცხლისა ნელისა, ეგონა ჰამა ხორცისა შემწვრისა, შეუქნელისა, მიუპყრა; ერთი ახლიჩა, — ქმნაა საქმისა ძნელისა — ძალი არ ჰქონდა, დაუწყო გამოყრა უცოხნელისა.

268. ცოტად მიწვა, მიიძინა, თუცა ყოლა ვერა მეტი, შეჰკრთა, დიდი დაიზახნა, წამოვარდა ვითა რეტი, იზახდის და წამწამ იკრის გულსა ლოდი, თავსა კეტი; ცალ-კერძ ჰზის და პირსა იხოკს ქალი მისი შენამბერეტი.

269. „რად დაბრუნდი“, მოახსენა, მითხარ რაცა წაგეკილა!“ მან უბრძანა: „მონადირე მეფე ვინმე გარდმეკიდა, ჰჰყვეს ლაშქარნი უთვალავნი, ბარგი მძიმედ აეკიდა, იგი მინდორს ნადირობდა, დაეფანჩეა მარეკიდა.“

270. „სევდად მეცა კაცთა ნახვა, ცეცხლი უფრო გავიალე; არ მივეო ახლოს შეყრად, თავი ჩემი შევიწყალე, მათგან მკრთალი შემოვბრუნდი, ტყესა შიგან დავიმალე, ავთქვი: ნუთუშეა უკუშრიდა, რა გათენდეს წავალ ხვალე“.

ეს ნაწიეეკტი განგებ გრძლად გადმოკწერე, რომ მე-267 და 268 ხანების უადგილობა უფრო ცხადად გამოჩნდეს. კვანებ ანდ



ერთი უაღბი სანა ისე ადვილად არ გამოიჩნება, როგორც ეს უაღბი მკრამ უფრო უადვილად მოთხრობას: დაბრუნებული ტარიელ ასმათმა დასვა, მწვადი შეუწვა და მიართვა; გმირმა სორცი ძლივს თუ იგემს და უნდუნელი გამოჭყდა; მერე, რა ცოტად მიიძინა, შეკრთა, რეტიანივით წამოკარდა, იძინდა და თავში იტყმდა. ამხედ ასმათ ჭკითხავს: რად დაბრუნდიო, მითხარ, რაღა წაგკვიდაო; და ტარიელ უამბობს, რაც მოუვიდა მგზავრობის დროს.

გაგიგონათ ამხედ უგუნური და წარმარა მოთხრობა?!...

თუ ტარიელ ძილში აშეკრთა, დიდი დაიხანა, წამოკარდა, ვითა რეტი, იხანდის და წამწამ ივრის გულსა ლოდი, თავსა კატიო,— უეჭველია, ძილში სახარული რაღაც ზმანება, და ესრედ დაფეთიანებულს კაცს, სისულელე არ იქნება, ჭკითხონ: რად დაბრუნდიო?!... ამის გარდა, განა დასაჯერებელია, რომ თავში-საღებ სიზმრის მხასკელმა, როცა ჭკითხავენ: რა წაგკვიდაო, თავისი სიზმარი კი არ უამბოს, არამედ, რაც მკ სიზმრების წინადაცხადად ჭინას. საოცარი კიდევ ის არის, რომ მე-267 და 268 ხანებში ხანამბობი კაივალისა სრულიად უშედეგოდ რჩება. ტარიელს დაფეთიანების საჩინო მიზეზი არა აქვს, არ კიციო, რისგან შეკრთა და ან რად იტყმს თავში კეტს და ან რითი გათავდა კვ ამხავი. ხუ თუ უკვლავ ეს იმისთვის მოჭნდა, რომ ასმათ მისი შენამკვრეტი ცალკერმ იჟდეს და ჰარსა იხრეკეს, არ უშლიდეს ტარიელს გულში ლოდის ტემის, არც კი ჭკითხოს, თავს რისთვის იკლამ, არამედ იკითხვიდეს— რად დაბრუნდიო?!...

უკვლავ ეს წარმარობა და გაუგებლობა არ იქნებოდა, თუ მე-267 და 268 ხანები არ ფოფილიყო. მაშინ შინ-შემოქმეულს და მტირალს ტარიელს ასმათ, მიკებებისთანავე, ჭკითხავდა: რად დაბრუნდი და რა წაგკვიდაო? ტარიელიც უამბობდა, რაც თავის მგზავრობაში ჭინას. ესეთი მოთხრობა ბუნებრივი და დასაჯერებელი იქნებოდა, მით უფრო რომ არც ერთს გული არ მოუთმენს, რომ შემოსულის უმაღლე კაცს არა ჭკითხოს: სად იუვიო, რა ჭინას, ან რა ამხავაო? და იქმდის კერ გასძილებს, რომ კაცმა სადილი მიართვას, სადილს უკან გამოიძინოს, და მაშინ-ღა უამბოს თავისი თავ-გადასავალი.



ვისაც ზოგმა წაკითხული აქვს და ვინც ტარიელის მწუხარების მიზეზი იცის, ადვილად მიჰხედება, თუ რა აზრი აქვს მე-267 და 268 ხანების დამწერს, როცა გმირს დააფეთიანებს. ტარიელისთვის თავში-საწყობი საყვარელის დაკარგვაა, და თუ ძილში «შეკრთა, დიდი დაიზანსა... და სხვანი, — ჭკუაწვდ ახლავა, რომ სიზმარში თავისი დაკარგული საყვარელი ჰქნას; თუმცა ავტორი ამხედ არას გვანობებს, მაგრამ, თუ ეგ არ იყოს, სხვა რა უნდა იყოს ტარიელის ღრიალის მიზეზი?!... ხოლო ვინც «ვეფხისტყაოსანს» შირველად ჰკითხულობს, იმისთვის ეს გადაკერით თქმა გაუგებარი რჩება, და თუ მიხვდა მკითხველი, — უფრო უარესი, მაშინ ამბავის ინტერესი დაიკარგება, რადგან, რაც შემდეგ უნდა გამოცხადდეს, მან წინასწარვე იცის. არც მაგისტანს გადაკერით ლაპარაკი უყვარს რუსთაველსა და არც ისე გამოუცდელი მოხრობელია, რომ მოხრობის ინტერესის გამოხრავა არ იცოდეს.

თუმცა მე-267 და 268 ხანების დამწერს ტარიელის დიდი მწუხარება და მისი სიყვარულის უიმედობა უნდოდა გამოეთქვა, მაგრამ ამ განზრახვის აღსრულება ისევე მოუხერხებელი დარჩა, როგორც თვით განზრახვა — უაღვილო. ტარიელის მწუხარება საყვარელის დაკარგვისთვის დაიღაც ძლიერი და უსამსღვრია, ხოლო ეს გრძნობა, ზოგის გამოხატვით, მინც ადამიანური და ადამიანურად გამოითქმის. ყაღბის-მქნელმა არ იკმარა არც ტარიელის შეუშრობელი ცრემლი, არც მისი გაჭრა და კვლად რბენა და სხვა, მაღაც უნდა დაუკარგოს და ძილიც გაუერთოს, სუსტი მადა და უძილობა ეკვლა მიჯნურსა სჭირს და, რადგან ტარიელ დიდი მიჯნურია, ყაღბის-მქნელის გონებით, — მისი ჭირიც დიდი უნდა იყოს: — უბრალო მიჯნური ხომ ცოტასა სჭამს, ტარიელი კი, რადგან დიდი მიჯნურია, ერთს ახლებს, მაგრამ ღვჯის ძალა არა აქვს და ურცხნელს გამოჰყრის; უბრალო მიჯნურმა თავისი დაკარგული საყვარელი სიზმარში თუ ჰქნას, გამოღვიძებისას იტირებს და, ბეკრი-ბეკრი, თუ ერთხელ თავში ხელი იცეს, დიდი მიჯნური კი განა მაგას იკმარებს? რა ბძანება! — «წამწამ იკრის გულსა ღოღი (ჭებრ ცოტას) და თავსა კეტი!» ესრედ გადაჭარბებით და გაზვიადებით





გამოსატული გრძნობა ტარიელისა რაღაც მსეტური, დუსტორი და სამასხარო გამოვიდა.

სტილით მე-267 და 268 ხანები ისევე არა ჭკავს რუსთველისეულის, როგორც თვით აზრი ამ ხანებისა: ვეკლგან მრავალ-სიტყვაობა, გადაჭარბება და გაზვიადება: ტყუილი და ამის გამო სურათიც დუსტორი და უგემურია. — უბრალო აზრი, — ამათმა ცეცხლი დაანთოგო, — მთელ ლექსად არის გაბრტყელებული: «მან ჭადმან სელაქო კეკსითა გზება ცეცხლისა ნელისა», თუმიც ამ მრავალ-სიტყვაობით სურათს სიმშვენებურ არა ემატება-რა. «ხორციისა შემწვარისა, შეშენელისა» — ტყუილი გამოერება, რადგან ხორცი ან შემწვარი, ან მოხარშული იტყუება. ლექსი: «ერთი ახლიან, — ქმნას საქმისა მკელისა» — უგემური ზრანტყა, რომელიც გმირს ტარიელს არ შეშენის. «დაუწყო გამოყრა უცოხნელისა», — უოკლად უზოეზიო და უესტეტიკო სურათია, რომელიც მკითხველს მხოლოდ გულს დასძმარავს; ხოლო ფაღბის-მქნელმა არ იკმარა ამ უგვანო და საზიზღარის სურათის წარმოდგენა, და, რათა გაკლდებინა და გაერბელებინა ხევის გუნებაში მისი შთაბეჭდილება, დაუმატა სიტყვა «დაუწყო».

მე-268 ხანის ლექსი: «ცოტა მიწვა, მიიძინა, თუნც უოლა კერა მეტა» — ცარიელი მრავალ-სიტყვაობაა, რომელიც მხოლოდ იმის გვაუწყებს, რომ ტარიელმა მიიძინა. წინამდებარის გულსა ღოდი, თავსა კეტი... წარმოდგინეთ, კანც ერთ სელში ღოდი უჭირავს, მეარეში — კეტი და ხან გულში ღოდს იკრავს, ხან თავში — კეტსა... რომელ სზილოს მკერდი გაუძლებს, ან რომელს კამბენის თავი ამ რემა-ტყუებს?! გმირის ასეთი ვაება ღიმილს თუ მოჭკვრის მკითხველს, თორემ თანაგრძნობას და სიბრაღეულს კერ აღძრავს მის გულში.

**XI**

ტარიელის შინ-დაბრუნების ამბის მოსმენათ (გვ. 57)...

271. ქალსა ცრემლი გადმოსცვივდეს ან-ნავეცი, ბერის-ბევრად; მოახსენა: „მზეცთა თანა იარები მარტო ტევრად,



„არას კაცსა არ იახლებ საუბრად და შემაქცევრად,  
„მას მაგითა ვერას არგებ, დღეთა შენთა ცუდად ჰლევ რად?“

272. „ყოელი პირი ქვეყანისა ერთობ სრულად მოგიელია?  
ერთი კაცი შემაქცევრად შენად ვითა დაგელია?  
„გიახლოს და არ გაშმაგდე, თუკა ტირი არ გაკლია;  
„შენ მოჰკვდე და იგი წახდეს, ესე შენთვის რა მადლია!

273. უბრძანა: „დაო, ეგვა მსგავსი შენისა გულისა,  
„მაგრა არ არის ქვეყანად წამალი ამა წყლულისა;  
„ვის ძალ-აქვს პოვნა კაცისა, თვით სოფლად არ მოსულისა?  
„ჩემი ღზინია სიკვდილი, გაყრა ხორცთა და სულისა“.

მე-271 და 272 ხანებას შეფარდებიდან სხანს, რომ მეორე ხანა პირველის მიხამკა და გამოარებაა. პირველი ლექსი მე-272 ხანისა ნათხოკარია მე-181 და 191 ხანებიდან, სდაც ეს ლექსი ესრედ არის თქმული: „ყოელი პირი ქვეყანისა მოკლო, სრულად მოიარა“ (გვ. 42) და „ყოელნი არსნი ცათ-ქვეშეთნი ერთობ სრულად მამივლიან“ (გვ. 42). ლექსი: „ერთი კაცი შემაქცევრად შენად ვითა დაგელია?“ გამოარებაა მესამე ლექსისა მე-271 ხანისა—„არას კაცსა არ იახლებ საუბრად და შემაქცევრად“. ლექსი: „გიახლოს და არ გაშმაგდე, თუცა ტირი არ გაკლია“—უცილობელი საკუთრებაა ყაღზის-მქნელისა, ამაში ის არავის ჰბამკეს და თავისებურ ქმნილებას გვიძღვის. —მაგრამ ვაი ამისთანა თავისებურებას!... „გიახლოს და არ გაშმაგდე“—ძალიან დაგვიანებული და გამოუსადეგარი გაფრთხილებაა, როდესაც ტარიელი ხელია და შმაგი. უკანასკნელი ლექსი: „შენ მოჰკვდე და იგი წახდეს, ესე შენთვის რა მადლია“, უდრის უკანასკნელსავე ლექსს მე-271 ხანისა: „მას მაგითა ვერას არგებ, დღეთა შენთა ცუდად ჰლევ რად?“ მხოლოდ აზრი პირველში (მიხამკაში) უფრო მდებია ერთ არის გამოთქმული.

კილო მე-272 ხანისა განსხვავდება მე-271 ხანის კილოსაგან: უკანასკნელი კილო შეკონებისა და საუკუდურისა, ხოლო პირველისა უფრო დანინვის კილოსა ჰკავს, რომელიც არ შეესაბამება ასმათის და ტარიელის ურთიერთობას. ნუ დაივიწყებთ, რომ ასმათ ტარიელს „მოასხენებს“ და ჰკადრებს, —ხოლო ტარიელ—უბრძანებს; ტარიელს თუ ასმათ დობილად მიანია, ასმათ მიინც კმსა-

სურება გმირსა და ინდოთ მეიქსა და კჳერობა ვით ჰატრინსა და უფროსს, ამიტომ ლაღობის კილოთი ლაჰარაკს ასმათ ვერ ჰკადრებდა.

ხლო უაღრესი საბუთი მე-272 ხანის სიყაღბისა მისი გამოსადგეობაა. ეს ხანა არც ერთს აზრს არ შეინაკს, რომელიც მე-271 ხანაში არ იყოს, მოთხრობას არს უმეტებს და არს გვიხსნის, მხოლოდ იმეორებს, რაც უკვე ნათქაჳამა და თავის მრავალსიტყუაობით ჰოემის ადუსტირებს.

XII

ტარიელისა და ავთანდილის შეყრა კსრედ არის აწერილი ჰოემაში (ტკ. 59):

281. მათ აკოცეს ერთმანერთსა, უცხოობით არ დაჰრიდეს; ვარდსა ჰხლენდეს, ბაგეთაგან კბილნი თეთრნი გამოსჳვირდეს; ყელი ყელსა გარდააქედეს, ერთმანერთსა აუტირდეს; ქარვად შეჰქმნეს იაგუნდნი მათნი, თუცა ლალად ლირდეს.

282. მობრუნდა, ყმამან ავთანდილს ხელი შეუბჳრა ხელითა; ერთგან დასხდეს და იტირეს დიდ-ხან ცრემლითა ცხელითა; ასმათი სულსა უღებდა სიტყვითა საკვირველითა; „თავთა ნუ დაჰხოცთ, ნუ ბნელ-იქმთ მხესა თქვენისა ბნელითა“.

283. ტარიელის ვარდი იყო დათრთვილოული, არ დაზრული; ყმასა უთხრა: „მესწრაფების, მითზარ შენი დაფარული, ჰეინ ხარ, ანუ სით მოსულხარ, სადაური, სით მოსრული? „მე სიკვდილსა აღარ ვახსოვ, ვარ მისგანცა გაწირული“.

ეს სტუნა ორთა გმირთა შეყრისა ბუნებურია, — და, მასასადამე, ადგილი გასაგონიც, — მინამ მე-281 ხანას არ გასცალდებოთ: ავთანდილმა თავისი საძებარი ჰჰოკა და ტარიელმა, მარტოობი შეჭირვებულმა, უცხო მოყმეში თავისი მოყვასი სული იცნა, ამიტომაც ორთავე გმირმა „უცხოობით არ დაჰრიდეს“, ერთმანერთს ჰოეხვიანენ და აკოცეს. ბეერის ჳირის გარდახდისა და დიდის მოლოდინის შემდეგ ორთავეს თავისი საწადელი ჰჰკდა, და ამის გამო იცინიან და სტირიან, რადგან ესეთია კაცის ბუნება. თუ მის გულში



დიდი მწუხარება და სისარული შეიყარა, მის ზირზედ ცრემლი და სიცილი იბრუნა. ესრეთია ზირველი შთახეჭდილება დიდის სისარულისა, რომელიც დიდს მწუხარებას მოსდევს, მერე რაგი სისარული სძლევეს წარმაჯალს ჭირსა, ცრემლიც შრება.

უკვლავ ეს ადვილი მისასხვედრია, ხოლო მე-282 ხანიდან იწურობა რაღაც უცნაური გაუგებლობა. «ერთგან დასხდეს და იტირეს დიდხანს ცრემლითა ცხელითა», ამბობს მე-282 ხანის დამწერი, მაგრამ რად იტირეს ხელ-მეორედ დიდ ხანს? — ეს დამწერმა თუ იცის, თორემ ტირილის მიზეზი აქ არსაიდანა სჩანს. თუ ეს გულ-შემტკიავრობის ცრემლია, ავთანდილმა ხომ ტარიელის ამბავი ჟერ არ იცის და არც ტარიელმა ავთანდილისა, ამიტომ მათს დიდი ხნით ტირილსა საგანი არა აქვს. თუმიცა ჩვენის ზოქმის გმირნი მეტად გულჩვილნი არიან და «კეფის-ტყალსანი» ერთობ ბევრი ცრემლი იღვრება, მაგრამ არც ისეთნი მტირალანი არიან ტარიელ და ავთანდილ, რომ უმიზეზოდ ცრემლი ქლვარონ.

სხუენბული ლექსი ეწინააღმდეგება ზირველს ლექსს მე-283 ხანისას — «ტარიელის ვარდი იყო დათრთვილული, არ დაზრულია». რასაკვირველია, ცრემლითა ცხელითა დიდის ხნის ტირილს შემდეგ ტარიელის ვარდი მხოლოდ დათრთვილული არ იქნებოდა... ეწინააღმდეგება აგრედვე მეორე ლექსსა იმავე მე-283 ხანისას, სადაც ტარიელ ეუბნება ავთანდილს: «მესწრაფების, მითხარ შენი დაფარული» და სსვა. თუ გმირნი «ერთგან დასხდეს და იტირეს დიდ ხანს ცრემლითა ცხელითა», საგონებელია, რომ ტარიელ არ ეშურებოდა ავთანდილის ამბის შეტყობას და, მაშასადამე, მისი «მესწრაფების» ტყუილი სიტყვა ყოფილა.

მესამე და მეოთხე ლექსი მე-282 ხანისა — «სმითი სუელსა უღებდა სიტყვითა საკვირველითა: (?) «თავთა ნუ დაჭხოცთ, ნუ ბნელ-იქმთ შხესა თქვენისა ბნელითა» — მართლადაც საკვირველი სიტყვაა! დ. ჩუბინაშვილის განმარტებით ასმათს ვითომც უნდა ეთქვა: «თქვენნი შხენიც (მიჯნურნიც) დაბნულდებიანო, თქვენ რომ თავს დახსოცთო», მაგრამ ასეთი აღსნა დასაჯერებელი არ არის, რადგან ტარიელმა ჟერ არა იცის-რა ავთანდილის «მზისა» (მიჯნურისა) და არც ავთანდილმა ტარიელისა და, მაშასადამე, ასმათის სიტყვა მათ-



თვის გაუგებარი დაჩუბოდა. ხალხი თუ ასმათმა იცის ტარბუღისა და ავთანდილის მიჯნურობა, რაღა შნო და ლახათი აქვს მის სიტყვას, როცა ვისაც ეუბნება, ისინი მის გადაკერით ლახარაკს ვერ მისგებდნენ?...

დ. ჩუბინაშვილის განმარტება, ცოტა არ იყოს, ძალ-დატანებულია და შემცდარი. «ნუ ბნელ-იქმით მზესა თქვენისა ბნელითა». ფრანკის დამწერს, კოცნებ უფრო მარტივი აზრი უნდა გამოეთქვა, სსსკდობრ: ნუ წაიხდენთ თქვენს შეგნებას (მზეობას), სილამაზეს თქვენის მწუხარებით, ცრემლით.—მაგრამ ვით ვერ შეგნვია ასმათ ტარიელის ტირილსა? ვით ვერ დარწმუნდა, რომ ცრემლი ვერას აკლებს გმირის «მზეობასა»? ან რა უნდა ჩააგონოს ასმათმა მაგ სიტყვით ტარიელს, რომელიც ჰხანობს, რომ ძე სიკვდილსა აღარ ვასსოვ, ვარ მისგანცა გაწირული»,—ნუ თუ ინაღვლის ტარიელ, ტირილმა სილამაზე არ წამიღოსო და მაგის გულისათვის ცრემლს შეიშრობს?!...

რაც უნდა აზრი ვათხოვოთ ასმათის სიტყვას, იგი მანც ესაგვირველია... თავის უგუნურობით. უცნაურ გულ-შემატკავრობას იჩენს ასმათ ტარიელის ტირილისათვის, როდესაც მის წინაშე კანმა კინაღამ თავი კეტით არ გაიტებს და გული ღოდით არ დაამსხვრია, ასმათ გი «მისი შენამტკვრეტი ცალ-კერძ იყდა» და არც უშლიდა, არც «სუფსა უღებდა».

ამიტომ მე დარწმუნებული ვარ, რომ მე-282 ხანა აზოკრიფულია და რუსთაველს არ ეკუთნის. თუ მე-281 ხანიდან პირდაპირ მე-283 ხანაზე გადავალთ, მოთხრობის მიმდინარეობა უფრო ბუნებრივი და ნამდვილის მსგავსი შეიქმნება: ჭკუასედა უფრო ახლავ, თუ ტარიელ, პირველ მიგებებისა და თვისის სინარულის გამოთქმისათანავე, ჰკითხავდა ავთანდილს მისს კინაობას და მისს მოსვლის მიზეზსა, თორემ დიდის ხნის ტირილის შემდეგ მაგისი კითხვა მეტად დაგვიანებულია.

აღ. ს — შვილი



# ენა და ერობნება

(А. Потебня—„Языкъ и народность“)

დიდი ხანი არ არის, რაც გარდაიცვალა რუსეთში ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ა. პოტებნია. განსვენებული პოტებნია დიდი მკოდნე იყო რუსეთის მწერლობისა და ბევრსა მუშაობდა საკუთრად ენისა და მისის ბუნება-მნიშვნელობის გასარკვევად, გასათვალისწინებლად. ერთმა მისმა მოწაფემ ამ დღეებში დაჰბეჭდა პატარა წიგნი და სცადა თვისის მოძღვრის აზრებისათვის ერთად მოეყარა თავი. მოწაფეს ფიქრად ჰქონდა აგრედვე მდაბიურად, ადვილად გასაგების ენით განემარტნა ის ფილოსოფია ენისა, რომელსაც ჰქადაგებდა შესანიშნავი პროფესორი უნივერსიტეტში და ამა თუ იმ სამეცნიერო თხზულებაში. ეს წიგნი ჯერ ჩვენ არ გვინახავს. არც სხვა თხზულებანი მოიპოვება პოტებნიასი ტფილისში. მხოლოდ ამ წლის „Вѣст. Евр.“ ის ოქტომბრის წიგნში ვნახეთ ერთი წერილი, პროფესორის სიკვდილს შემდეგ აღდგენილი მისთა მეგობართა მიერ შავად დაწერილ ქალაქდების მიხედვით ზემოხსენებულ სათაურითა. სწორედ შესანიშნავი წერილიცაა ეს წერილი, სავსე ღრმა-აზროვანის შენიშვნებითა და დაკვირვებით, არა მარტო ენის შესახებ, არამედ იმ მნიშვნელობის შესახებაც, რომელიცა აქვს ენას ერისა და სახელმწიფოს ცხოვრებაში.

დედა აზრი ამ წერილისა ის არის, რომ შემცდარნი არიან ისინი, ვინც ჰფიქრობენ, ვითომ კაცობრიობის განათლებას, წარმატებას თან მოსდევს ეროვნულ თვისებათა მისუსტება, წარხოცვა და გაერთიანება კაცობრიობისაო, ვითომ, რაც უფრო ვრცელ-

დება და ძლიერდება ცივილიზაცია, მით უფრო ნაკლებად-  
შესამჩნევი გარჩევა ერთა შორის, ხოლო, პირ-იქით, რაც უფ-  
რო ნაკლებ იქნება გავრცელებული იგივე ცივილიზაცია, მით  
უფრო მეტი იქნება განცალკევება ერთა და თავისებურობა მა-  
თიო. პოტენზიას საკმაოდ დაწვრილებით მოჰყავს ის საბუთები,  
რომელზედაც ამყარებენ ამისთანა შემცდარს აზრს მისნი მლა-  
დადებელნი. იგინი ამტკიცებენო, რომ თავისებურს ზნე-ჩვეუ-  
ლებას ამ ქაშად ევროპის მიყრუებულ მხარეში თუ შეხვდებით.  
ხოლო განათლებულ ადგილას, განათლებულ ქვეყნებსა და  
საზოგადოებაში დიდი ერთფერობა სუფევს ზნე-ხასიათსა, ჩა-  
ცმა-დახურვასა და სმა-ჰამაშიო. განათლებულ კაცს, ვინც უნ-  
და იყოს, გერმანელი, ინგლისელი, გინდა ფრანგი,—თუ კი ბევრი  
უმგზავრნია ევროპაში, ბევრი უნახავს,—ვერ გააჩჩევ ერთს  
მეორესაგანაო. ამ სახით, ნელ-ნელა შეიქმნა საერთო-საკულ-  
ტურო ტიპი, რომელიც ჰგავს არა ფრანგს, ინგლისელს, ან  
გერმანელს, არამედ საზოგადოდ განათლებულს კაცსაო.

ზოგნი იმასაც კი ამტკიცებენო,—ამბობს პოტენზია, რომ  
ვიჯომ ევროპის ენათა შორის ჩნდება ახალი ევროპული სინ-  
ტაქსისი, დაფუძნებული ძველ ენათა სინტაქსისზედაო.

აი ამ აზრს არღვევს თავის წერილში პოტენზია, არღვევს  
დიდის გონება-მახვილობითა და საფუძელიანობით და თან, გზა  
და გზა, ისეთი კერძო შენიშვნებიცა აქვს გამოთქმული საკუ-  
თრად ენისა და სიტყვიერება-ხელოვნების შესახებ, რომ სწო-  
რედ ხელის ხელ საგოგმანებელი მარგალიტებია.

ვეცდებით, რაც შეიძლება მოკლედ მოგახსენოთ, როგორ  
არღვევს ზემოხსენებულს აზრს განსვენებული მეცნიერი.

ყოვლად შეუძლებელიაო, ამბობს პოტენზია, რომ ჯერ  
თუნდა მარტო ერთი კაცი პირ-წავარდნითა ჰგავდეს მეორეს;  
ანუ ერთმა განგებ მოახერხოს მეორეს დაემსგავსოს სისრული-  
თა. როგორც თავისებურია და გულ-ჩაკეტილი თითოეული კა-  
ცი, ისევე თავისებურია და გულ-ჩაკეტილი მთელი ერიცა,  
რომელიც სხვა არა არის-რა, თუ არ კრებული თვითოეულ  
ადამიანთა. ერთის ერის კულტურის გავრცელება მეორეში გა-



ერთიანება გვეგონია მხოლოდ დრომდე, ვიდრე საზოგადოებრივი მსჯელობა ვვაქვს. ნამდვილად კი ეს ასე არ არის — ქრისტიანობა ერთია: მაგრამ შეჰხედეთ, რამდენ ნაირი ხასიათი მიიღო და დღეს უკვე არსებობს მართლ-მადიდებლობა, კათოლიკობა, ლოტრანგობა და სხვანი. მართლ-მადიდებელ ქრისტიანობაშიც დიდი გარჩევაა, იმის-და მიხედვით, თუ რომელის ერის ქრისტიანობას აიღებთ: ბერძნებისას, რუსებისას, აბაშელებისას, თუ რომელისაზე სხვა მართლ-მადიდებელ ერისას. არაფრის განხილვა არ შეიძლება ისე, რომ სახეში არ იქმნას მიღებული ის ადგილი და ვითარება, სადაც ესა თუ ის ამბავი სწარმოებს, თავს იჩენს.

ერთი და იგივე არაკი ან თქმულება ხშირად ბევრს სხვადასხვა ქვეყანაშია გავრცელებული, მაგრამ მაინც ერთგან იგი სხვაა, ხოლო სხვადან — სხვა. სულ იმაზეა დამოკიდებული მათი გარჩევა, სად როგორ ესმით, სად როგორ ჰმოქმედობს იგი არაკი, რომელსაც იმისთანავე სიცოცხლე აქვს მინიჭებული, როგორც ენას. ეს სიცოცხლე სხვა-და-სხვა ქვეყანასა და ერში სხვა-და-სხვა ნაირად სჩქეფს. ხელოვნების ნაწარმოების სიცოცხლეს სულ იმაზეა დამოკიდებული, ესმით მისი მნიშვნელობა თუ არა და სად როგორ ესმით. ასე რომ არ იყოს, ისეთისავე ყურადღების ღირსი იქნება ესა თუ ის ნაწარმოები ხელოვნებისა, როგორც უბრალო კლდის ნატეხი, ტილოს ნაქერი და სხვ. ხოლო თუ ასეა, ვინ იტყვის, რომ ისევე ესმით ეხლანდელ ბერძნებს მნიშვნელობა თავიანთ ქანდაკებისა, როგორც ესმოდათ დროსა აღორძინებისასა. ეგ ნაწარმოებნი სულ სხვა-და-სხვაა მაშინ და ეხლა. ნივთიერი არსება მათი კი დღესაც იგივეა, მაგრამ სულიერი არსება მათი დღეს სხვაა და მაშინ სხვა იყო. ესეთი განსხვავება ჩნდება, არა მარტო დრო-ჟამის მიხედვით, არამედ ერთა მიხედვითაც.

წინად ეგონათ და ზოგს ეხლაც ჰგონია, რომ ენა მხოლოდ ღონისძიებაა, საღსარია აზრის გამოსახატავი. ასე რომ იყოს, მაშინ გარჩევა სხვა-და-სხვა ენას შორის გამოსახატავის აზრის შესახებ ისეთივე იქნებოდა, როგორიც არსებობს სხვა და სხვა



ხელსა და შრიფტს შორის ერთსა და იმავე ანბანში. მარტო სულ ერთია, რა ხელითაა უნდა დასწეროთ, ან რა მოყვანილობის ასოებითაა უნდა დაჰბეჭდოთ წიგნი, ოღონდ კი გარჩევა და წაკითხვა შეიძლებოდა. ამ გვარადვე სულ ერთი და იგივე იქმნებოდა აზრისათვისაც, რომელ ენაზედაც უნდა გამოგეტქვათ. ასე რომ იყოს საქმე, რაკი ერთხელვე გაგრცელდებოდა აზრი, რომ გარჩევა სხვა-და-სხვა ენას შუა მხოლოდ გარეგანია, არა-არსებითია, რომ სიყვარული დედა-ენისა მხოლოდ მიჩვევის საქმეა, ისეთის მიჩვევისა, რომელსაც ვითომ არავითარი ღრმა საფუძველი არ მოეპოვებაო, ასე რომ იყოს, ვიმეორებთ, მაშინ ისევე ადვილად და ხშირ-ხშირად შევიცვლიდით ენას, როგორც ტანისამოსს ვიცვლით. ბოლოს ის გამოვიდოდა, რომ, როგორც ფილოლოგები ხმარობენ სიადვილისათვის ლათინურს ენას სხვა-და-სხვა ენების შესწავლის დროს, ან როგორც აწესებენ ერთისა და იმავე წესის წონასა და ზომას, დღეს თუ ხვალ შევითვისებდით ერთს რომელსამე, უფრო ნაძალადეგობით, ჭკუის ძალ-დატანებით მოგონილს, უფრო ადვილს და მარტივს საზოგადო ენას. მოსალოდნელი იქმნებოდა, რომ ამისთასა ენას ჯერ ინტელიგენცია და დიდად განათლებულნი შეითვისებდნენ, რომელთაც დღესაც აქვთ საზოგადო ნაძალადევი, განგებ მოგონილი ენა, როგორც არის ციფრები, სააღგებრო, საქიმია და სამეტეოროლოგია ნიშნები და მერე, ნელ-ნელა გაგრცელდებოდა და მთელს კაცობრიობასაც მოეფინებოდა. მაგრამ ეს ასე არ არის. ჩვენმა საუკუნემ დაამტკიცა, რომ ენა მარტო აზრის გამოსახატავი ღონისძიება კი არ არის, არამედ აზრის შემქმნელი და დამბადებელი ღონისძიებაცაა.

ენას, ენის ტენიკას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს აზრის ნაწარმოების ღირსებისა და სიკეთისათვის, ვიდრე, მაგალითად, ხერხსა და შნოს, იარაღსა და მასალას მხატვრობასა და ქანდაკება-ჩუქურთმის ნაწარმოებისათვის.

ენა თვალის ჩინსა ჰგავს. როგორც მცირეოდენი ცვლილება თვალის მოწყობისა და თვალის-ჩინის ნერვებისა იწვევს სრულიად სხვა შთაბეჭდილებას და მით სავსებით ჰმოქმედობს



ადამიანის ფიქრსა და აზრზედ, ისე ყოველივე წვლილი ენის აგებულებაში იწვევს, ჩვენდა დაუკითხავად, აზრის თავგანებურს ბადე-ქსოვილებს. გავლენა აზრზედ ენის ყოველისავე წვლილისა მხოლოდობითი რამ საქმეა და მის მაგიერობას სხვა ვერა გასწევს-რა.

სულ ერთი არ არის აზრისათვის, რომელ ენაზედ არის იგი გამოთქმული. ის აზრი, რომელიც გამოთქმულია ერთს ენაზედ, ხშირად ძნელი გამოსათქმელია მეორეზედა. ზოგიერთი ოხუნჯობა, ანდაზა, იდიოტიზმი, ხშირად, თითოეული სიტყვაც კი, გამოთქმული ერთს ენაზედ, სრულიად ვერ გამოითქმის მეორეზედ. ამისი მაგალითები ყველას ეცოდინება. პოეზიაშია ცხადადა სჩანს ესა. აი, სხვათა შორის, ერთი ამისთანა მაგალითი: ვილაც ბერძენი იჯდა თურმე ზღვის ნაპირად და რაღასაც დაჰლიღინებდა თავისთვის. ბოლოს გული აუჩუყდა და აცრემლიანდა. ქართველმა თურმე მოჰკრა ამას თვალი და ყური და სთხოვა ბერძენს, გადმოთარგმნე, რას ამბობდი სიმღერითაო. ბერძენმა გადთარგმნა: „იჯდა ერთი ჩიტი მთაზედ, არ ვიცი ქართულად რა ჰქვიან, იჯდა, დიდ ხანს იჯდა, შემოჰკრა მერე ფრთა-ფრთასა, გაჰფრინდა შორს, შორს და ცხრა მთა და ზღვა გადაიარა“... ეს იყო და ესა. ქართულად არა გამოვიდა-რა, ბერძნულად კი ძალიან საგრძნობელი თურმე იყო, დარდების ამწლელი.

პოეტისთვის ხომ შეუძლებელია უცხო ენაზედ გამოსთქვას თვისი გულის-ნადები. ტურგენევი ამბობს: „ჩემს სიცოცხლეში არას დროს არც ერთი სტრიქონი არ დამიწერია სხვა ენაზედ, თუ არ რუსულად; უცხო ენაზედ რომ მეწერა, ბელეტრისტი კი არა, საძაგელი რამ ვიქმნებოდი. როგორ შეიძლება სწეროს კაცმა უცხო ენაზედ, როდესაც თავისს საკუთარზედაც, ღვიძლ დედა ენაზედაც კი ძლივს ახერხებს ადამიანი სურათის, აზრის გამოხატვას, გამოთქმას“...

უცხო ენა კი არა, თუნდა სხვა-და-სხვა კილო, აიღეთ ერთისა და იმავე ენისა. პოეტისათვის ესეც დიდი განსხვავებაა. არის იმისთანა გრძნობა და აზრები, რომელსაც ვერავითარი



ნიჭიერი კაცი ვერ გამოჰხატავს, ვერ გამოიწვევს, თუ საერთო სალიტერატურო ენაზე სწერს, გარნა სათემო კილოზედ წერით კი ყოველივე იგი ბევრად აღვილად გამოსატქმელია. არიან მწერლები, რომლების ნიჭიც შუათანა კაცის ნიჭზედაც კი დაბლა სდგას, როდესაც ისინი სწერენ სალიტერატურო ენითა, ხოლო მაშინ კი, როცა თავიანთ სათემო კილოზედა, ანუ საკუთარ, ბავშვობიდანვე შეთვისებულ ენაზედა სწერენ, დიდს ხელოვანებას იჩენენ. — ჩვენა გვყავს ამისთანა მწერლებიო, — ამბობს პოტებნია და უთუოდ ტარას შევჩენკოსა ჰგულისხმობს, — ჰყავთ გერმანელებსაც და დიდად აფასებენ მათს გავლენასა და მნიშვნელობას საერთო-გერმანულ ენისა და ლიტერატურისათვის. ეს აზრი იდიომებისა და კილოკაეების შესახებ საყოველთაოდ არის გავრცელებული და არ საჭიროებს ავტორიტეტების მიერ შემოწმებასაო.

პოტებნია არ უარ-ჰყოფს უცხო ენების ცოდნის საჭიროებას, აგრედვე თარგმანების დიდს მნიშვნელობას დედა-ენისა და სამშობლო ლიტერატურის წარმატების საქმეში. გეოტესავით, რომელიც ამბობს, ვინც უცხო ენა არ იცის, იმან არც თავისი დედა-ენა იცისო, განსვენებული პროფესორიც იმ აზრისაა, რომ უცხო ენების ცოდნა და თარგმანი უცხო ლიტერატურის ნაწარმოებისა ფრიად საჭიროა და სასარგებლო დედა-ენისა და სამშობლო ლიტერატურის გაძლიერებისათვისაო. პოტებნია უარ-ჰყოფს მხოლოდ იმ აზრს, რომ ვითომ ეგ ცოდნა და ეგ თარგმანები სპობს ეროვნულს თვისებას, აერთებს სხვა-და-სხვა ერს, ერთს თარაზოში გამოჰყავს განსაკუთრებული თვისებანი ერთაო. ასე რომ იყოს, არც მთარგმნელი იქმნებოდნენ ძლიერი თვისის ენითა, არც თარგმანები იქმნებოდა ისეთი, რომ ლებიც შესანიშნავია ენის თავისებურობითა და ხელოვანებითა. მაშინ როდესაც ბევრი ისეთი თარგმანებია, სხვათა-შორის, სამღვთო-წერილის წიგნებისა, რომელიც მრავალს ორიგინალ ნაწარმოებზედ მალლა სდგას, როგორც ზემოხსენებულის თვისებით, ისე იმითიცა, რომ დიდს სამსახურსაც უწევს ლიტერატურის დამოუკიდებელს განვითარებას. სკოლაშიაც კი თარგმნა უცხო



ენებიდან დედა-ენაზედ, თუ დაცულია ზოგიერთი ვითარება, ძლიერი იარაღი იმისათვის, რომ მოსწავლენი დაახლოვდნენ დედა-ენის სულისა და ანდერძის ცოდნაში და აღიძვრნენ დამოუკიდებელის შემოქმედობისათვის დედა-ენაზედ წერითა. ის „ზოგიერთი ვითარება“ კიდევ ის არის, რომ უცხო ენის სწავლება იწყებოდეს მაშინ, როცა მოწაფემ საკმაოდ შეითვისა თვისი დედა-ენა და კიდევ ისა, რომ ენა შეგირდებისა დედა-ენა იყოს მასწავლებლისათვის; რომ მასწავლებელს შეეძლოს მოსთხოვოს შეგირდებს რიგიანი თარგმანი დედა-ენის თვისებათა მიხედვისამებრ.

ცეცხლი მაშინ არის, როდესაც ერთი ერი მეორეს დაჰმორჩილებია და სკოლაში სხვა ენა სუფევს, ხოლო ოჯახში სხვა. ამისთანა სკოლა შეგირდების ენას ყურს არ უგდებს, ამ მზა-მზარეულ გასანათლებელს იარაღს ხელს არა ჰკიდებს, არამედ ასწავლის მოწაფეებს უცხო ენას და თუთიყუშებადა ჰქმნის. ცხადია, რომ ამისთანა სკოლის შეგირდები, თუ სხვა რამ გარემოება არა არის-რა საქმეში ჩარეული, ყველაფერში იმათზედ დაბლა იდგებიან, რომელთაც, სკოლაში რომ შევიდნენ, კი არა უნდა დაევიწყებინათ-რა, არამედ უნდა ესწავლათ და სკოლაში გაგონილითა და იქ აკრეფილის ნამცეცეებით საკვები მიეცათ სკოლაში შესვლამდე დაზოგილ და მოპოვებულ აზრების დიდ ბოლაზისათვის. ასეთს დამორჩილებულს ხალხში მის საქმეს აუფუჭებს ბევრი სხვა გარემოებაცა და ცხოვრების შეცვლილი ვითარებაცა. ამ სახით, ამისთანა ერისათვის, ნელ-ნელა, თითქო საქმეთა ბუნებრივის მიმდინარეობით, ისეთი სამწუხარო ვითარება იბადება არსებობისა, რომელიც გონებრივის დამორჩილებისა და დაჯაბნებისაგან წარმოსდგება. ეს დამორჩილება მით უფრო დიდი და შესამჩნევი იქნება, რაც უფრო ნაკლებად არის მომზადებული დამორჩილებული ერი იმის ენის შესათვისებლად, ვინც იმორჩილებს და სჩაგრავს. ამისთანა ძალ-მომარეობის დროს აზრი დაჩაგრულის ერისა ჰქრება და მის ალიავს იჭერს უაზრობა, უგონობა, აკლება და გაუდამბურება ჭკუისა. ხალხი არას დროს თავის ნებით არ ანებებს თავს თვისსა ენას,

სხვათა-შორის, იმიტომ რომ ინსტიქტითა ჰგრძნობს შიშს, ვინაშნა თუ გონება ჩემი გაუდაბურდეს, აზრი ჩემი გათახსირდეს, ჭკუა აკლებულ და გავერანებულ იქმნასო.

ერთად-ერთი ნუგეში ის არის, პოტენიას აზრით, რომ ამისთანა ბარბაროსული საქმე ძნელი მოსახერხებელია დამწიგვრელისათვის, თუმცა სრულიად შეუძლებელი კი არ არის. ძველადაც და ახლაც გავლენა ერთის ერის ენისა მეორისაზედ უფრო ლექსიკური იყო. დამორჩილებულის ერის ენაში ვრცელდებოდა ცალკე სიტყვები დამმორჩილებელის ერის ენისა. გარნა ლექსიკა ენისა ისეთი რამ არის ენაში, რომ მტკიცე ბურჯივით უძლებს ყოველ-გვარ ზედ-მოზღვავებულს მტრის მოსევას. ყოველი უცხო სიტყვა, შეპარული ამა თუ იმ ენაში, უნდა გადაიქმნას, გადაიცვალოს და დაექვემდებაროს მის მუხრუქს, რომელიც არის გრამატიკა.

ნუგეშივეა ლიტერატურა. რუსეთშიაც იყვნენ ოდესმე მრავლად გადაგვარებულნი, არ მცოდნენი დედა-ენისა. არამც თუ თითო-ოროლანი, თითქმის მთელი წოდება ადგა გადაგვარების ზხას. ხოლო განათლებული, რომელიც მონაწილეობას იღებს ლიტერატურისა და მეცნიერების შექმნა-გაძლიერებაში, ანუ თვისის ნება-ყოფლობით და შეგნებით ეძლევა მათ მიმდინარეობას, დიდი ძალაა. შეიძლება მისი აზრი და ფიქრი მდაბიო ერის აზრსა და ფიქრს არა ჰგავდეს, მაგრამ ის მაინც გადაგვარებული არ არის; პირ-იქით, იმას უფრო მეტი უფლება აქვს სთქვას, ნამდვილი შვილი ვარ ჩემის ქვეყნისაო. მართალია, მათ შორის საერთოა ძირითადი თვისება აზრისა და მსჯელობისა, მაგრამ განათლებულს კაცს ის უპირატესობა აქვს კიდევ მდაბიოს წინაშე, რომ ამ მდაბიოზედ ჰმოქმედობს მხოლოდ მცირედი ნაწილი საერო ანდერძისა, სახელდობრ, განსაკუთრებით მხოლოდ ზეპირ-სიტყვაობით გარდმოცემული ანდერძი იმ მცირე ადგილისა, საცა დაბადებულა, ხოლო განათლებული მრავალ-გვარად იბანება საერო ცხოვრების ათას-წლოვან მომდინარეობაში, მაშინაც, როცა იგი მრავალ-შტოიანია და მაშინაც, როცა ბოლოს ეს მრავალი შტო ერთად შეერთებულა,



ერთ დიდ-მდინარეობად გადაქცეულა. ასეთს ერთს დიდს მდინარეობას წარმოადგენს მის დროინდელი მწერლობა.

ამიტომ განათლებული კაცი უფრო მტკიცეა ეროვნების დაცვაში, ვიდრე მდაბიო. მდაბიო უღბოეთში სრულიად იგიწყებს თითქმის სამშობლოს და, თუმცა გაჭირვებით, მაგრამ მაინც სწავლობს, უცხო ენას, ხოლო სამაგიეროდ დიდის სიადვილით იგიწყებს თავისს საკუთარს ენასა, როგორც, მაგალითად, პოლონელი ჯარის-კაცნი რუსეთის ჯარში. განათლებულისათვის უცხოეთშიაც ძნელი არ არის, რომ უდიდესმა ნაწილმა მისის ეროვნების სტიქიონებისამ იმოქმედოს იმაზედ.

ამ სახით, ის უნდა დავასკვნათ, დასასრულ, რომ, თუ ცივილიზაცია დაბადებაა და გაძლიერება ლიტერატურისა, და თუ სალიტერატურო განათლება, უფრო მეტს ვიტყვით, თუ ის მკირედი ნამცეცები ცოდნისა, რომელიც საჭიროა, რომ კაცმა გამოიყენოს და მოიხმაროს ლოცვანი, დაბადება, კალენდარი, დაწერილი დედა-ენაზედ, უძლიერესი ღონისძიებაა ადამიანის დაცვისათვის გადაგვარებისაგან, მაშ, ცივილიზაცია თავის-თავად, არა თუ არა სპობს ეროვნულ თვისებათა და არ აერთებს სხვა-და-სხვა ერთა, არამედ ჰშველის იმ თვისებათა გამტკიცებასაო...

ამით ვათავებთ ლაპარაკს პოტებნიას შესანიშნავის წერილის შესახებ. მეათელიც ვერ ამოვკრბით იმისი, რაც იქ ღრმა აზრებია გამოთქმული, მეტადრე ისეთის საგნების შესახებ, როგორიც არის: ეროვნება და განსხვავება მისი ეროვნების იდეასაგან, საერთო-საკაცობრივო ცივილიზაციისა და ეროვნების ურთიერთობა და სხვ. წერილს საზოგადოდ საკონსპექტო ხასიათი აქვს, აზრები ნაწყვეტ-ნაწყვეტად არის გამოთქმული და ამიტომ მისის შინაარსის სავსებით გადმოცემა, ცოტა არ იყოს, ძნელია. საჭიროა მკითხველმა, რომელსაც საინტერესოდ მიაჩნია ეს საგანი, თვით წაიკითხოს წერილი პოტებნიასი.

# რ ძ მ

ვ\*)

## ქართული მრგობი

### ც) ერბოს გამოსავალი, მისი შედგენილება, დარსება და ნაკლულებანება

ჩვენ წინადაც ბევრჯელ გვქონია ლაპარაკი—რაზედაც არის დამოკიდებული ერბოს გამოსავალი და ამისათვის აქ მხოლოდ მოკლედ გავარჩევთ ამ საგანს: ერბოს გამოსავალი ჯერ, რასაკვირველია, დამოკიდებული იქნება საზოგადოდ რძის შედგენილებაზე და მერე, თუ ერბო მომზადებულია ნალებიდან, მაშინ დამოკიდებული იქნება აგრედვე იმ გარემოებაზედაც, თუ რამდენი ერბო გადავიდა ამ ნალებში რძიდან და შემდეგ იმაზედაც რა გარემოებაშიაც იყო შედღვებილი ეს ნალები. რძის შედგენილებაზე ჩვენ ხშირად გვილაპარაკნია და რაც ნალებს შეეხება ამ მხრითაც ჩვენ უკვე ვიცით, რომ ნალებში ერბოს რაოდენობა ყოველთვის ერთგვარი არ არის. ამ გარემოებას, რასაკვირველია, დიდი გავლენა ექნება ერბოს გამოსავალზე. საზოგადოდ რომელ ნალებშიაც ბევრი ერბო არის, ის ნალები უფრო ბევრ ერბოს მოიგროვებს დღეების დროს, თუმცა კი მხოლოდ ერთ მიჯნამდინ; თუმცა მსუქანი ნალების დღეების დროს დოშიაც ბევრი ერბო რჩება, მაინც გამოსავალი მეტი ექნება, ვინემ იმ ნალებს, რომელშიაც ბევრი ერბო რჩება, მაინც გამოსავალი მეტი ექნება, ვინემ იმ ნალებს, რომელშიაც შედარებით უფრო ცოტაა ერბო. აი შემელის გამოცდილება ამ

\*) „მოამბე“ № XI.



საგნის შესახებ. ამ სწავლულმა სხვა-და-სხვა შედგენილობების ნაღებები შესდლებოდა ერთსა-და-იმავე სადღვებელში და დღვებაც მოახერხა ერთსა-და-იმავე გარემოებაში.

ნაღების რაოდენობა კილოგრამობით.	ერბოს რაოდენობა ნაღებში.		ერბოს რაოდენობა დოზში.		ერბოს რაოდენობა კარაქში კილოგრამობით	ერბოს მოგროვების სისრულე.
	%	კილოგრამში.	%	კილოგრამში.		
1) 13,222	8,72	1,212	0,22	0,022	1,022	96,2
2) 15,00	24,12	3,022	0,22	0,022	3,222	98,2
3) 15,00	35,02	5,222	1,22	0,122	5,222	96,2

როგორც ვხედავთ, რამდენადაც ნაღები მდიდარია ერბოთი, იმდენად ბევრი ერბო რჩება დოზში და იმდენადვე ბევრი კარაქის გამოსავალია, ესე იგი, იმდენად აღმატებულია ერბოს მოგროვების სისრულე, მესამე გამოცდილების გარდა, როცა სადღვები ნაღები ძალიან სუქანი იყო, რის მიზეზიც იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოდ ძალიან სუქანი ნაღები ძნელად იდღვიბება; ყველაზე კარგად იდღვიბება მხოლოდ იმისთანა ნაღები, რომელშიაც ერბოს რაოდენობა შეადგენს 20—30%; მაშასადამე, სადღვები ნაღების მოხდის დროს, მისი სისუქნე 30% ერბოს არ უნდა გადასცილდეს და ამასთან ისიც კარგი იქნება, რომ ერბოს რაოდენობამ 20%-ზე ძალიან ძირს არ დაიწიოს. სწავლულების ფიქრით, ძალიან მსუქანი ნაღებიდან ერბოს მოგროვების სისრულე იმიტომ არის დაბალი, რომ ამ შემთხვევაში ერბო ძალიან მალე გროვდება; მართლა-და, ჩვენ ხომ უკვე ვიცით, რომ დღვების მალე გათავება ძალიან ცუდად მოქმედობს ერბოს გამოსავალზე.

კარაქის შედგენილება და მისი სისუქნე ერთის მხრით დამოკიდებულია სადღვები მასალის მდგომარეობაზე და დღვების რიგზე და მეორის მხრით აგრედვე თითონ ამ კარაქის გაწმენდაზე და მის ხნიანობაზე.

წინადაც გვქონდა ლაპარაკი და ეხლაც გავიმეორებთ, რომ პირდაპირ რძიდან მოწმენდილ კარაქში უფრო ბევრი





წყალი და ხაჭო ურევია, ვიდრე ნაღებიდან მომზადებულში, ამას გარდა, რამდენადაც საღებები მასალა დამკვავებული იყო ღღვების დროს, იმდენად აქედან მომზადებულ კარაქს ბევრი ხაჭო ექნება შერეული. ამასთან ისიც ხომ ვიცით, რომ თუ ღღვება მაღალ ტემპერატურაზეა მოხდენილი, მაშინ ეს ერბო ძალიან რბილი იქნება და ხაჭოც ბევრი ექნება. ამასთან, მეორეს მხრით, ისიც მოვიგონოთ, რომ გადაუხელებელ კარაქში უფრო ბევრი დო არის, ვიდრე გადახელილში და მართო გადახელილში უფრო ბევრია, ვიდრე გადახელილში და დამარილებულში. რაც შეეხება ერბოს ხნიანობის ზედგავლენას მის შედგენილებაზე, ამ მხრით საყურადღებო ის არის, რომ რამდენადაც ერბო ძველია, იმდენად ცოტა წყალი ექნება, რომელიც, რასაკვირველია, დაშრობით შორდება.

აი რძიდან და ნაღებიდან მომზადებული კარაქის შედგენილება:

	რძიდან მომზადებული კარაქში:	ნაღებიდან მომზადებულში:
წყალი	16,11 %	14,08 %
ერბო	80,00 —	83,83 —
ხაჭო, შაქარი და სხვანი	3,27 —	2,17 —
ნაცარი	0,19 —	0,12 —

დამარილებულია ერბოს შედგენილება: ემერლინგმა გამოიკვლია 9 ნიმუში დამარილებული გოლშტინიური ერბოსი და ფლეიშმანმა 16 ნიმუში ეგრედ-წოდებული „კარგი შესანახი ერბოსი“ და აი ამ გამოკვლევის შედეგი:

	ემერლინგის ანალიზიდან:	ფლეიშმანის ანალიზიდან:
წყალი	11,81 %	10,78 %
ერბო	85,33 —	85,20 —
ხაჭო	0,281 —	0,181 —
შაქარი	0,281 —	0,281 —
ნაცარი	1,12 —	2,80 —



აქვე მოვიყვან ფიტის ანალიზებსაც, რომელმაც გამოიკვლია ლონდონის ბაზრის ერბოს ნიმუშები და საშუალოდ აი რა შედეგნილება აღმოჩნდა:

	28 ნიმუში ულეზიგ-გო- ლმტნილიან მოტანილი ერბოსი.	12 ნიმუში დანიიდან მო- ტანილისა.	25 ნიმუში შეკტიიდან მოტანილისა.	საფრანგეთის ერბო, ნიმუ- ში, მარილია- ნი.	78 უმარილო.	50 ნიმუში ინგლისური ერბოსი.
წყალი	11,99%	13,35%	13,70%	12,105%	13,123%	11,84%
ერბო	85,47	83,40	82,89	84,34	84,82	86,02
ხაქო, შაქა- რი და სხვ.	1,19	1,39	1,33	1,60	1,36	0,60
მარილი	1,35	1,86	2,03	2,01	0,69	0,83

საშუალო შედეგნილება კარგად გასუფთავებული და გაწმენდილი კარაქისა, უკანასკნელ გადაზელის შემდეგ, წარმოადგენს შემდეგ შედეგნილებას:

	დამარილებუ- ლი:	უმარილო:
წყალი	12,50%	14,00%
ერბო	84,50	83,50
ხაქო	0,50	0,50
შაქარი	0,50	1,50
ნაცარი	0,10	0,20
მარილი	1,50	—

საზოგადოდ, კარაქში ანუ ერბოში ცხიმოვან ნივთიერებათა რაოდენობა 80%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს და 90%-ზე მეტი ძალიან იშვიათია და ისიც მხოლოდ ძველ ერბოში. წყალის რაოდენობა იცვლება 10%-იდან 15%-დინ და 8%-ზე ნაკლები იშვიათია; თუ წყალის რაოდენობა 15%-ზე მეტია, მაშინ ერბო ცუდად შემუშავებულია.

რომელიმე ზემოდ მოხსენებული საშუალებით კარგად მომზადებული ერბო წარმოადგენს ერთგვარს ცხიმოვან ნივთიერ-



რებას, მშვენიერი და მადიანი ფერისას და გემოც ნაზი და აქვს. მისა გემო დამოკიდებულია როგორც რძეზე, ე. ი. ძროხის ჯიშზე, ისე საკვებაზე და საძოვარზე. როგორც ძროხის ჯიშს, ისე საძოვარს დიდი გავლენა აქვს ერბოს ღირსებაზე. გათქმულია საქვეყნოდ ჯერსეის, ლიმუზანის და კერარის ჯიშის ძროხებისა; აგრედვე კარგი ერბოთი გათქმულნი არიან ზოგიერთი საძოვრები; საზოგადოდ შენიშნულია, რომ გრანიტის (granitique) მთების (ჯავარიანი) ადგილების საძოვარს ყველაზე უფრო კარგი და გემრიელი ერბოს მიცემა შეუძლიან. კარაქის ანუ ერბოს ღირსებაზე და მის გემოზე ცხიმოვან ნივთიერებათა რაოდენობა ცოტად მოქმედობს და ისიც მხოლოდ მაშინ, როცა ამ ნივთიერებათა რაოდენობა ძალიან შემცირებულია. მაგრამ ამის წინააღმდეგ ხაქოს რაოდენობას დიდი გავლენა აქვს ერბოს ღირსებაზე; თუ ხაქო კარაქში ვადამეტებულია, მაშინ ერბოს ცუდი გემო ეძლევა და ამასთან, რასაკვირველია, გამძლეობაც უმცირდება. აგრედვე და უმეტესადაც დიდი გავლენა აქვს ერბოს ღირსებაზე და გემოზე, მის სინაზეზე თითონ ცხიმოვან ნივთიერებათა ვითარებას; მათი რაოდენობა კი მხოლოდ მის გამძლეობაზე მოქმედობს; რამდენადაც ერბო სუქანია, იმდენად უფრო გამძლე იქნება. რამდენადაც შემცირებული იქნება სამზარეულოდ სახმარ ერბოში ფერდ წოდებული არა ცხიმოვან ნივთიერებათა რაოდენობა, ე. ი. რამდენადაც სუქანი იქნება, იმდენად დიდი ფასი ექნება, რადგანაც ამაზეა დამოკიდებული იმისი გამძლეობა.

კიდევ გავიმეორებთ, რომ ერბოს ღირსება დამოკიდებულია როგორც თითონ რძის ვითარებაზე, ისე შესაძლებელი მასალის მდგომარეობაზე. რასაკვირველია, სხვა-და-სხვა ხარისხის ერბო მომზადდება იმის დაგვარად, თუ ძროხები როგორ იყენენ ნაკვებნი, აგრედვე რა ლაქტაციის ხანშია ეს რძე ანუ ნაღები შედღვებილი და ან რძიდან არის თუ ნაღებიდან მომზადებული.

ამას გარდა ესევე ღირსება დამოკიდებულია იმაზედაც, მტკანარი იყო თუ დამკვებელი თითონ შესაძლებელი მასალა და აგრედვე იმაზედაც, თუ როგორ იყო შემუშავებული და შენა-



ხული მომზადებული ერბო. ამაზე ჩვენ უკვე გვქონდა რაკი, როცა რძის საზოგადო თვისებას ვარჩევდით და ამისთვის აქ მხოლოდ შემოკლებით გავიმეორებთ:

საკვებავეს რომ დიდი ზედგავლენა აქვს რძის თვისებაზე და ეითარებაზე ჩვენ პირველ წერილში გავარჩიეთ. ესევე ფაქტორი, რასაკვირველია, იმოქმედებს ერბოს გემოზე, მის ფერზე, მის კონსიტენციაზე, თუმცა კი ჯერ კარგად არ არის გამოკვლეული როგორ იმოქმედობს ყოველგვარი საკვებავი ცალცალკე; მათი ზედმოქმედება ჯერ დამტკიცებული არ არის ფაქტებით.

ყველაზე უფრო კარგად ცნობილია საკვებავის მდგომარეობის ანუ თვისების ზედგავლენა ერბოზე: მაგალ. დამზალი და დაობებული საკვებავი, აგრედვე ნაწვიმარა ცუდად მოქმედობს და ამის წინააღმდეგ რამდენადაც ეს საკვებავი კარგდროზეა მოთიბული და მოგროვილი, რამდენადაც საღად არის შენახული, იმდენად ეს ხელს უწყობს ერბოს გემოს, მის სიკეთეს. კირხნერი მოგვითხრობს, რომ 1877 წელს ძროხებს შემთხვევით აძლევდნენ სხვა-და-სხვა საკვებაეთან ცუდად წამხდარ და დაობებულ ლობიოსაც. ამის გამო ამ ძროხების რძიდან მომზადებულ ერბოს ისეთი ცუდი და მწარე გემო ჰქონდა, რომ მისი მოხმარება შეუძლებელი იყო; როცა შესწყვიტეს ლობიოს მიცემა, მაშინ ერბოს ისევე გაუსწორდა გემო. ამბობენ, რომ ნოტიო წელიწადსაც ცუდი ზედგავლენა აქვსო ერბოს გემოზე როგორც ზაფხულში, ისე ზამთარში. ამის მიზეზი ერთის მხრით ის არის, რომ ძროხები ძნელად იტანენ ნოტიო ამინდს და მეორეს მხრით ისიც, რომ ნოტიო წელიწადში საკვებავი ძალიან წყლიანია და თვისებაც კარგი არა აქვს—ეს ზაფხულში და რაც შეეხება ზამთარს, ეს იმიტომ რომ ნოტიო წლის ბალახი კარგად ვერ იქნება გამშრალი და შენახული, რის გამოც მალე წახდება და წამხდარი თივა ხომ, როგორც უკვე ვიცით, ცუდად მოქმედობს ერბოს ღირსებაზე.

ცალცალკე საკვებავი მასალის გავლენაზე ის შეიძლება ითქვას, რომ მთის და თრიალეთების ნაზი ბალახი და თივა



ხელს უწყობს კარგი არომატურიანი ერბოს მომზადებას; აგრეთვე კარგად მოქმედობს სამყურა ბალახი და იოანჯა. ამის წინააღმდეგ, თუ ბალახში შერეულია მინდვრის ხახვი და ნიორი და სხვა ამისთანა მყრალი ბალახ-ბუღახი, მაშინ ერბო კარგი არ გამოვა, ამასაც გადაეცემა საკვებადის სუნის და გემო. ამ ბოლოს დროში ევროპაში, სადაც ბალახი და თივა ძვირია, ძროხებს ჰკვებენ ზეთის გამოხდის შემდეგ დარჩენილი წეწონით ანუ ხიჭით, და მის მდგომარეობას დიდი მნიშვნელობა ექნება ერბოს ღირსებისთვის; თუ ხიჭი ახალია და სალი, მაშინ ხშირად კარგად მოქმედობს და თუ დამძაღებული და დაოხებულია, მაშინ კი ძალიან აფუჭებს ერბოს გემოს. ევროპაში იძულებულნი არიან ძროხები ჰკვებონ კიდევ სხვა-და-სხვა გვარი საკვებადით, კარტოფილით, ჭარხლით და სხვანი, მაგრამ რადგანაც ესენი ჩვენში ჯერ გავრცელებულნი არ არიან, ამისათვის აქ არას ვიტყვი მათ გაელენაზე.

ლაკტაციის პერიოდის გავლენა რძეზე ჩვენ უკვე აწერილი გვაქვს პირველ წერილში; ესევე პერიოდი, რასაკვირველია, მოქმედობს ერბოს ღირსებაზედაც. რადგანაც დიდი ხნით მწველავი ძროხები ხშირად მწარე რძეს იძლევიან, ამისათვის ამ რძიდან გაკეთებული ერბოც მწარე უნდა იყოს და ეს, რასაკვირველია, შეამცირებს მის ღირსებას,—ერბოს რაღაც ტლანქი გემო ეძლევა.

რაც ერბოს მოსამზადებელი მასალის მდგომარეობას შეეხება, ამ მხრით ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ რამდენადაც ეს მასალა მტკნარია, რამდენადაც ნაღები ახალი მოხდილია, ე. ი. რამდენადაც ეს ცოტათი არის გადაგვარებული, იმდენად აქედან მომზადებული ერბო დიდ ხანს შეინახება კარგად და უვნებლად და იმდენად კარგი და ნაზი გემოც ექნება.—ცენტრიფუგის და შეარცის საშუალებით მოხდილი ნაღები უფრო გამძლე ერბოს იძლევა, ვინემ სხვა საშუალებით, რომელთა ხმარების დროსაც მოსალოდნელია ნაღების დამევაება, როგორც ვოლშტინიური საშუალება და სხვ. მართალია, დამევაებული ნაღები ძლიერ არომატურიან კარაქს იძლე-



ვა, მაგრამ ძნელი შესანახია; მტკნარი ნაღები კი ნაზგემოდან ერბოს იძლევა, რომელიც გამძლეც არის. ამ ორთა შუა ამორჩევა, რასაკვირველია, დამოკიდებული იქნება მჭამელის პიროვნულ მიდრეკილებაზე, ზოგს ერთი მოსწონს და ზოგს მეორე. შემძლე და მდიდარი ხალხი ეხლა უფრო მტკნარი ნაღების კარაქს აფასებენ. საფრანგეთში დიდი ხანია უპირატესობას მტკნარი ნაღებიდან მომზადებულ კარაქს აძლევენ და ეხლა გერმანიაშიაც შეიგნეს ამ მასალიდან მომზადებული კარაქის ღირსება. რაც შეეხება ერბოს გამძლეობას, ამ მხრით ორივე გვარი ნაღებიდან მომზადებულ კარაქს ერთგვარი გამძლეობა უნდა ჰქონდეს, თუ, რასაკვირველია, ორივე გვარი ნაღები ერთგვარი ყურადღებით არის მომზადებული და მყავე ნაღები ძალიან არ არის დამყავებული, არამედ მხოლოდ მომწიფებულია. ამას გვიმტკიცებს ფლეიშმანის გამოკვლევა, რომელმაც ერთგვარად მომზადებული ნაღებიდან აიღო ორი ნიმუში და ერთი მათგანი შესდღვობა, როცა ის ჯერ ისევ მტკნარი იყო და მეორე ნიმუში კი ჯერ ცოტად დაამყავა და მერე შესდღვობა. ორივე ნიმუშიდან მომზადებული კარაქი ერთგვარად გარეცხა და ერთსა და იმავე გარემოებაში შეინახა და მათ შორის არავითარი შესამჩნევი განსხვავება არ აღმოჩნდა შენახვის დროს.

ერბოს ღირსებაზე გავლენა აქვს აგრედვე ნაღების ანუ რძის ხნიანობასაც. რამდენადაც ახალია რძე ანუ ნაღები, რამდენადაც ცოტა დრომ გაიარა რძის მოწველიდან და ნაღების მოხდიდან შედღვებამდინ, იმდენად უფრო კარგა იქნება მომზადებული კარაქი.

აქვე ორიოდ სიტყვით ავწერთ ერბოს ნაკლულევენებასაც და მათ მიზეზს. ამ ნაკლულევენებათ ეკუთვნიან:

1) საკვების გემო (Futtergeschmack), რომელიც ერბოს გადაეცემა რძიდან და რძეს ძროხის საკვებავიდან და, მაშასადამე, ეს გემო შეიძლება სხვა-და-სხვა იყოს. ამაზე ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი და გამეორება საჭიროდ აღარ მიგვაჩნია.



2) ძროხის სხდგომის სუნია და გემო. (Stallgeschmack), როცა ერბოს გომის ზედგავლენა ეტყობა. ასეთი არა სანია მოვრო გემო გამოწვეულია უწმინდურების ვაზო რძის შენახვის დროს გომებში და განსაკუთრებით მაშინ, თუ წველის წინად ძროხებს ძუძუები დაბანილი არა ჰქონდათ, ან რძე ცუდად იყო გაწურული და სხვანი. როგორც თვითონ გომის ჰაერი, ისე რძეში ჩაცვივნილი ნების ნამცეცები აძლევენ ერბოს ამისთანა ცუდ გემოს. ამის აშორება, რასაკვირველია, დამოკიდებული იქნება სისუფთავეზე რძის მოწველის და შენახვის დროს.

3) მურაღი მამკე სუნანია (rauchige, dumfige) ერბო მაშინ გამოდის, როცა რძე ანუ ნაღები დღეების წინად შენახული იყო იმისთანა ადგილში, სადაც ჰაერი წმინდა არ იყო, რაც ადვილი წარმოსადგენია ღარიბი ოჯახობის სახლებში, როცა ბევრნი სცხოვრობენ. ხშირად მდიდარ ოჯახობის ერბოსაცა აქვს ეს გემო, თუ ზამთარში რძე შენახული იყო მუშების საწოლ ოთახში; აგრედვე ეს სუნი მოსალოდნელი იქნება, მეტადრე ზაფხულში, თუ სარძევე გომებზე ანუ ჩემებზე ახლო არის.

4) ზეთის გემო. როგორც გამოკვლევამ დაამტკიცა, კარაქს ზეთის გემო მაშინ ეძლევა, როცა შესადღეები ნაღების მომწიფების დროს მას კარგი ყურადღება არა აქვს მიქცეული და განსაკუთრებით მაშინ, როცა ნაღებს დასამეფებლად ან ძალიან დაძველებულ ნაღებს უმატებენ და ან ძალიან მეფე დოს. საზოგადოდ, თუ შესადღეები მასალა ძალიან ხნიანია, მაშინ უეჭველად აქედან მომზადებულ ერბოს ზეთის გემო ექნება. ამგვარი გემოს მიზეზი ჩვეულებრივ ერბოს სიმეფე არის (ბუტირინის სიმეფე), რომელიც ადვილად ჩნდება, თუ რძის შაქარი გადამეტებულად არის განაწილებული; ერბოს სიმეფეს ცუდი გემო აქვს და ამ გემოს, რასაკვირველია, კარაქსაც გადასცემს. ამ ნაკლოვანების აცილება ადვილი შესაძლებელი იქნება, თუ ნაღების ან რძის მოსამწიფებლად ახალი და ახლად დამეფებული რძე იქნება ნახმარი. მტკნარი ნაღებიდან მომზადებულ კარაქს არას დროს არ ექნება ზეთის გემო.



5) ქონის გემო. ხშირად კარაქს ქონის გემო შენახვის ხან ახლად მომზადებულსავე და ხან რამდენიმე ხნით შენახვის შემდეგ. პირველ შემთხვევაში ამ ნაკლულევანების მიზეზი ძროხების საკვებავი უნდა იყოს, მეტადრე თუ ნაკვებნი არიან ქარხლის თავებით და სხვანი; მეორე შემთხვევაში კი ამის მიზეზი ნაღების ცუდი მოვლა იქნება, რადგანაც ამ გარემოებაში გაჩენილი ერთგვარი ბაქტერიები ცუდად მოქმედობენ ცხიმოვან ნივთიერებაზე. თუ ერბოს ქონის გემო შენახვის დროს დაეტყო, მაშინ ეს ერბო ფერს იცვლის, თეთრდება და გარეგანი შეხედულობითაც კი ქონს ემსგავსება. ესეთი გადაგვარება ჯერ შესანახავი ჭურჭლის გვერდებთან ხდება და მერე აქედან შიგ ერბოშიაც ვრცელდება. თითქმის ესეთივე ცვლილება უჩნდება ერბოს, როცა ეს ერბო რამდენიმე ხნით მზეშია გამოდგმული. ასე გადაგვარებული ერბოს ფერის გათეთრება უნდა გამოწვეული იყოს თავისუფალ ცხიმოვან სიმკვავეთა ზედმოქმედებით; სიმკვავენი თითონ შედეგნი არიან ერბოს გადაგვარებისა და თავის მხრითაც გამოიწვევენ ამავე გადაგვარებას.—ამ სენთან ბრძოლა მხოლოდ სიწმინდით და სისუფთავით შეიძლება, როგორც ნაღების დამკვებების დროს, ისე ყოველი ჭურჭლის ხმარების დროს.

6) თევზის ზეთის ანუ ზიპის გემო (fischige, thranige). ზიპის გემო ძველ, ძალიან დაძველებულ ერბოს უჩნდება; თუმცა ამ ნაკლულევანების მიზეზი შეიძლება ძროხების საკვებავიც იყოს, როცა ისენი განსაკუთრებით წყნონით (ხიჭით) არიან ნაკვებნი, მაგრამ უმთავრესი ამის მიზეზი უფრო ერბოს ცხიმოვან ნივთიერებათა გადაგვარება არის და ესეც სხვადასხვა ბაქტერიების ზედმოქმედებით არის გამოწვეული; ეს ბაქტერიები განსაკუთრებით მაშინ ჩნდებიან, თუ ნაღები კარგი ყურადღებით არ იყო შენახული.

7) მწარე გემო (bittere). ეს გემო ხშირად წარმოსდგება თვითონ რძის მწარე გემოსაგან, რომელიც, როგორც ვიცით, ან დიდი ხნით მწველავი ძროხისა უნდა იყოს, ან ძროხებს დაზიანებული, გასივებული ძუძუები ჰქონებიან. აგრედვე





შესაძლებელია გამოწვეული იყოს საკვებავის ზედმოქმედებით, მეტადრე თუ ამას შეჰყვა ხანჯკალა (ლოპინარი). ესევე მოსალოდნელია საკვებავის გამოცვლის დროს, როცა ძროხა გომიდან მინდორშია გაშვებული და ან მინდვრიდან გომშია დაბაგებული. ამავე სიმწარის მიზეზი, როგორც კრიუგერის გამოკვლევა გვიჩვენებს, შეიძლება წარმოსდგეს ერთგვარი ბაქტერიისგან Proteus-ის ჯიშისა, რომელიც ხაჭოზე მოქმედობს და ერბოს სიმჟავეს ამზადებს. შესაძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ Proteus-ის მიერ ხაჭოდან მომზადებული სიმჟავე ერბოს შეერიოს და გაამწაროს.

8) საჭლავანძი კრბო. ამ ერბოს გარედან მუქი ყვითელი ფერი აქვს და შიგნით კი სულ მოთეთრო არის. ასეთი ერბო გამოკვლეული იყო კრიუგერისაგან და აქედან აღმოჩნდა, რომ იმაში ძალიან ცოტა იყო თვითონ ერბო (ცხიმოვანი ნივთიერება) და ამის წინააღმდეგ ბევრ აზოტურ ნივთიერებასა და შაქარს შეიცავდა და ამასთან ამ ერბოს რაღაც მყრალი, წამხდარი, შარდის სუნი ჰქონდა; ამ ერბოს თეთრი გული თუ ჰაერის ზედმოქმედების ქვეშ იყო გაშვებული, ისევე ყვითლდებოდა, როგორც მისი პირი. ამ სწავლულმა ამ ერბოს შუაგულში იპოვა რამდენიმე ჯიში ბაქტერებისა, რომლებიდანაც გამოწვეული იყო მისი ზიანი; ამავე ერბოს გარეთა ნაწილებშიაც იპოვა ერთი ჯიში სოკოებისა, რომლისაგანაც გამოწვეული იყო ფერის გამუქება. თუ ამგვარი ერბოს დამაზიანებელი ბაქტერიები წმინდა ერბოში იყვნენ გადატანილნი, მაშინ ერბოზე ვერ მოქმედობდნენ. აქედან ცხადია, რომ ისინი მხოლოდ ხაჭოზე მოქმედობენ და, მაშასადამე, ერბოს ამგვარი დამაზიანება მხოლოდ მაშინ არის მოსალოდნელი, როცა იმას ბევრი აზოტური ნივთიერება აქვს შერეული. თუ ერბო კარგი მასალიდან არის შედღვებილი და შემდეგ კარგადაც არის გაწმენდილი, მაშინ შიში არ უნდა გვქონდეს ასეთის დამაზიანებისა.

9) აზოლუბული კრბო (streifige). აზოლებული ანუ დალაქიანებული ერბო ის ერბოა, რომელსაც ერთგვარი ფერი



არა აქვს, არამედ ერთი კეცი და ან ერთი ადგილი მუქია, ვიდრე სხვა კეცი და სხვა ადგილი. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს ცუდად მოხერხებული შეფერიანებით და ან ცუდად დამარილებით. თუ მარილი კარგა არ არის არეული ერბოში, მაშინ წყალის რაოდენობა სხვა-და-სხვა ნაწილებში სხვა-და-სხვა იქნება; საცა ბევრი მარილია მოგროვილი, იქ წყალიც ბევრი მოგროვდება და ამავე ადგილას ერბოც უფრო მუქად შეიფერება; ამის გამო ერბო მიიღებს აზოლებულ ანუ დალაქიანებულ სახეს. ამის ასაცილებლად ერბო კარგად უნდა გაღიზილოს და კარგად უნდა აირიოს.

10) ღაობებულა კაბო. ხშირად ერბოს ბოქკებში ჩადების შემდეგ აქა-იქ ობი ეკიდება. ეს ობი ადვილი მოსაშორებელია, მაგრამ ერბოს კი ძალიან ცუდს გემოს აძლევს. ობი ანუ წვრილმანი სოკოები, რომლისაგანაც ობი შესდგება, ერბოს ანაწილებენ და ჩქარა შეუძლიანთ მთელი ბოჩკა დააზიანონ. ამის მიზეზი ის არის, რომ ბოჩკები ალბად როგორც ავსების წინად, ისე შემდეგაც შენახული იყვნენ ნოტიო ადგილას.

11) ჭურჭლას ანუ ბოჩკის გემო. ეს ნაკლულევანება ძალიან გავრცელებულია და მაშინ უჩნდება, როცა ერბო დიდი ხნით არის შენახული ბოჩკაში. ამ ნაკლულევანების შედეგი რაღაც შწარე-ტკბილი გემოა, რომელიც ძალიან საზიზღარია. ეს გემო ჯერ იმ ერბოს უჩნდება, რომელიც ბოჩკის გვერდებზე ახლო არის და შემდეგ შიგ ერბოშიაც ჩაატანს და ბოლოს ერბო მთლად წახდება და გადაგვარდება. წინად ეგონათ, რომ ეს ბოჩკის ხის გემოა, რომელიც ერბოშიაც გადადის, მეტადრე თუ ბოჩკა კარგად არ არის შენახული. ეს, რასაკვირველია, შესაძლებელია, მაგრამ ამის მიზეზი შეიძლება ერბოშიაც იყოს, კარგად მომზადებულ ერბოს ან სრულებით არ ეტყობა ბოჩკის გემო და თუ დაეტყო, მაშინ ძალიან გვიან. ის გარემოება, რომ ნაკლულევანება იწყება გვერდებიდან და შემდეგ შიგ ერბოშიაც ჩადის, იმას გვიჩვენებს, რომ აქ ჰაერსაც უნდა ჰქოდეს მონაწილეობა, რომელიც ჯერ გარეგან ნაწილებზე მოქმედობს, სხვა-და-სხვა თავისუფალ სიმთავეს აჩენს

და შემდეგ შიგნითაც შედის; ამ ჰაერთან იქნება ბაქტერიებიც იღებდნენ მონაწილეობას. ამისათვის ამ ნაკლულევიანების ცილებლად ყველაზედ პირველად ის არის საჭირო, რომ ერბო კარგად იყოს მომზადებული და გაწმენდილი; ამის შემდეგ სახმარებელი ბოჩკებიც კარგად უნდა იყვნენ გარეცხილი და გამომშრალი; აგრედვე საჭიროა, რომ ერბოს ჩაღების წინად გვერდებზე მარილი ჰქონდეს წასმული და ერბოთი უკვე გაფსებული მშრალ ადგილს იყოს შენახული.

ერბოს სხვა-და-სხვა გვარი ნაკლულევიანების აწერა ცხადად გვიჩვენებს, რომ მისი დაზიანების მიზეზი ხშირად სხვა-და-სხვა ბაქტერიების გაჩენა არის, რომლებიც ან თითონ ერბოზე მოქმედობენ და სხვა-და-სხვა გვარად აზიანებენ, ან ერბოში დარჩენილ ხაჭოზე და ან კიდევ ერბოს მოსამზადებელ მასალაზე, როგორც რძე, ნალები და სხვანი. მაშ აქაც, როგორც მთელ სარძევე მრეწველობაში, მიუცილებლად საჭიროა მუდმივი ყურადღება და სიფრთხილე როგორც რძისა და ნალების შენახვის დროს, აგრედვე დღეებისა და მომზადებული ერბოსი. ერთის სიტყვით, მკაცრი ყურადღება უნდა იყოს მიქცეული, რომ ჯერ ყველა ერბოს მასალიდან და შემდეგ თვითონ ერბოსაგანაც აცილებული იყოს ყველა ის გარემოება, რომელშიაც ადვილად ჩნდებიან ეს მავნე ბაქტერიები.

როგორც წინადაცა ვსთქვით, ერბოსთვის კარგი სარგებლობა მოაქვს არჩეული დედის (ბაქტერიების) ხმარებას რძისა და ნალების დასამკვავებლად. ამას გარდა სადღეები მასალის სტერილიზაცია (გააზატება) კარგი იქნებოდა, განსაკუთრებით მტკნარი ნალებისა. ენგსტრემი ამისთვის ურჩევს შემდეგ საშუალებას: ნალები ჯერ უნდა გაცხელდეს შესაფერ ჭურჭელში 78—79°-დინ და მერე უმაღლეს გაცივდეს 8°-დინ. ამის შემდეგ სიჩქარით შეუღებებიან დღეებას და ამისთვის, რასაკვირველია, სადღეები მასალა უნდა მოთბეს დღეებისათვის შესაფერ ტემპერატურამდინ. მართალია, ამგვარად მომზადებული ერბო თავისი ღირსებით ბევრად ჩამოუვარდება იმ ერბოს, რომელიც გაუცხელებელი ნალებიდან იყო მომზადებული, მაგ-



რამ ეს განსხვავება მხოლოდ დროებითია; რამდენიმე კვირის შემდეგ კი, როცა გაუმთბარ ნაღებიდან მომზადებული ერბო უკვე დაზიანებულია, ცოტად დამძალებული, გამთბარი ნაღებიდან მომზადებული ერბო კი ჯერ ისევ კარგია და არავითარი ზიანი და ნაკლულევანება არ ეტყობა. როგორც კირხნერი გვარწმუნებს, უფრო კარგი გავლენა აქვს ერბოზე შემდეგს საშუალებას: (რომელიც ერთმა ჟურნალმა Molkerei-Zeitung დასახელა) ნაღები ჯერ უნდა გაცხელდეს 15 წუთის განმავლობით მხოლოდ 65<sup>0</sup>-დინ და ამის შემდეგ უმაღლეს გაცივდეს 2<sup>0</sup>-მდინ. ასე მომზადებულ კარაქს ნაღულის გემო არა აქვს და კარგადაც ინახება.

სოქსლეტისაგან არის დამტკიცებული, რომ ჰაერის და სინათლის მოქმედება ხელს უწყობს ცხიმოვან ნივთიერებათა განაწილებას. ამის გამო კარგი იქნებოდა, რომ კარგად მომზადებული ერბო სიბნელეში იყოს შენახული და თუ შესაძლებელია ადგილს ფანჯრები აქვს, მაშინ ამ ფანჯრებში მწვანე ანუ ყვითელი მინები იყოს ჩასმული.

აქ კიდევ გავიმეორებ, რომ კარგი ერბო ყველასთვის კარგი არ არის; ეს პიროვნულ გემოზე და მოთხოვნილებაზე იქნება დაფუძნებული; ერთს ის ერბო უყვარს, რომელიც დამუშავებული ნაღებიდან ირის მომზადებული და მეორეს ამის წინააღმდეგ ის, რომელიც მტკნარი ნაღებიდან მზადდება; ზოგს უმარტივო ერბო უყვარს და ზოგსაც მარილიანი. მაგრამ ამასთან საზოგადოდ ეს კი უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ ერბოს სუნი და გემო სრულიად წმინდა იყოს, ესე იგი, თუ კარაქი მუდამ ნაღებიდან არის მომზადებული, იმას ერთგვარი, თავის შესაფერი და ძლიერი არომატი უნდა ჰქონდეს და თუ მტკნარი ნაღებიდან არის, მაშინ მისი გემო სრულიად ტკბილი და ნაზი უნდა იყოს.

ჩრდილოეთ გერმანიაში და ყველგან, სადაც გასაყიდ ერბოს ამზადებენ, მაგალითად დანიაში და შვეიციაში, ყველაზე კარგ და გამძლე ერბოდ ის ითვლება, რომელიც ყანების მომკის შემდეგ არის მომზადებული, ე. ი. ის ერბო, რომელიც



შემოდგომით არის მომზადებული და ამასთანავე ყველაზე ზად ის კარაქი ითვლება, რომელიც ახალ ნაწველი ძროხის ნაღებიდან მზადდება. ორივე შემთხვევაში კარაქი მომზადებულია დამყავებული ნაღებიდან. როგორც ინგლისში, ისე საფრანგეთში და გერმანიის დიდრონ ქალაქებში დიდი პატივი აქვს მტკნარი ნაღებიდან მომზადებულ კარაქს (საფრანგეთში გურნეული და იზინის კარაქი); იტალიაში ნაქებია მაჯანას კრბო, ამერიკაში—ფანსა და ავსტრიაში—ეგრედ-წოდებული „ჩაის კრბო“.

კრბოს დამზადება და მისი გასწორება. რაც უნდა კარგი ერბო იყოს, თუნდ მტკნარი ნაღებიდან მომზადებული, მაინც მოსალოდნელია მისი ერთბაშად წახდენა და გადაგვარება, დამძაღება. ამ დროს ერბოს რაღაცა ცუდი სუნი ეძლევა და საზიზღარი გემო, მწარე და მწვავე; ამასთან შეხედულობაც უფუქდება, აქა-იქ ფერი უმუქდება. ხშირად ამავე დროს ერბოზე ჩნდებიან სხვა-და-სხვა ჯიშის სოკოები და განსაკუთრებით იმ ადგილებზე, სადაც ჰაერი ბევრი ხვდება; აქა-იქ ობი ეკიდება (ხან მწვანე და ხან წითელი) და ეს ობი გასაცვიფრებელი სიჩქარით მრავლდება. რაში მდგომარეობს ეს დამძაღება? ერბოს დამძაღება იმაში მდგომარეობს, რომ ამ დროს შიგ ჩნდება თავისუფალი ცხიმოვანი სიმეავენი. როგორც უკვე ვიცით, ერბო ქიმიურად ეთერია, ე. ი. ის სხეული, რომელიც წარმომდგარია სხვა-და-სხვა თავისუფალ სიმეავეთა გლიცერინთან შეერთებით და აქედან წყალის გამოცლით, ყველა ეთერები ჩვეულებრივ თავისუფლად ნაწილდებიან დიდი ხნის შენახვით, თუ შიგ წყალი ურევია. ამ კანონს, რასაკვირველია, ერბოც ექვემდებარება. სრულიად ახლად მომზადებულ ერბოშიაც კია ცოტაოდენი თავისუფალი სიმეავენი და დროს განმავლობაში ეს სიმეავენი მატულობენ და ამის გამო ერბოს სულ სხვა სუნი და გემო მიეცემა. როცა ამ სიმეავეთა რაოდენობა ერთ მეთათსამდე აიწვეს (ერბოს წონასთან შედარებით), მაშინ ერბო უკვე მძაღეა. მაშასადამე, ერბოს დამძაღება კანონიერი ბუნების მოვლენაა და ამის აცილება, სრულიად



აცილება შესაძლებელი არ არის, თუმცა კი მისი შესაძლებელიც არის და ადვილიც; ამ შემთხვევაში საჭიროა წყალის ზედმოქმედების აცილება, რაზედაც ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი და რაზედაც შემდეგაც მოვილაპარაკებთ. აქედან ცხადია, რომ თითონ ერბოს ბუნებაშია მისი დამძაღების მიზეზი. ამის მიუხედავად, ამავე გადაგვარების მიზეზი შეიძლება გარეგანიც იყოს და მათ შორის ჰაერის ქანგზადის მოქმედებას პირველი ადგილი უჭირავს და განსაკუთრებით მაშინ, როცა მის მოქმედებას ხელს უშობთ სინათლის მოქმედება. პირველი შედეგი ქანგზადის მოქმედებისა არის ერბოს არომატის დაკარგვა; ამის შემდეგ ერბო თეთრდება გარედან (წყალშიაც კი, თუ ამ წყალს ჰაერი არ აკლია) და ქონის გემო მიეცემა და ეს გემო თანდითან მატულობს და ძლიერდება. დამძაღება ანუ ეთერთა განაწილება ყველაზე წინადად ადვილად ასაორთქლებელ სიმკვავეთა ეთერებისაგან იწყება; ქანგზადის მოქმედებაც პირველად ამ სიმკვავეებზე იწყება. ამ მოქმედების გამო, სხვათა შორის, ქიანჭველების სიმკვავეც ჩნდება, რომელიც ნორმალურ ერბოში სრულებით არ მოიპოვება. მაშასადამე, ერბოში გაჩენილი ერბოს სიმკვავე და ქიანჭველის სიმკვავე უნდა იყვნენ დამძაღების მიზეზნი. მაშ ჰაერი, სინათლე, მიკრობები და თვითონ ერბოს ბუნება ერთმანეთის შემწეობით აჩენენ და იწვევენ ერბოს აგრეთ გადაგვარებას, რაც იმით მტკიცდება, რომ ერბო კარგად და დიდი ხნით ინახება, თუ ეს წყალით არის გადამდნარი და გერმეტიულად დახურულ ჭურჭელში შენახული და ან იმისთანა ჭურჭელში, რომელიც დაფუკულია და, ჰაერის მაგივრად, ნახშირის სიმკვავით გავსებული. რასაკვირველია, მარილიც ხელს უშობთ ერბოს შენახულობას; მარილი ამცირებს ერბოში მყოფ წყალსა და დოს და ამის გამო ასეთი ერბო უფრო დიდ ხანს ინახება. ცნობილია და ამაზე ჩვენც გვქონდა ლაპარაკი, რომ ის ერბო უფრო მალე მძაღდება და ფუჭდება, რომელიც უფრო სველია, ესე იგი, რომელიც უფრო ბევრს წყალსა და დოს შეიცავს. დამძაღებული ერბო დიდხანს მთავე არის და ამ დროს ის ჯერსრულებით არ არის გაფუ-



ქებული, მაგრამ ბაქტერიები სხვაგვარადაც დაიწყებენ მოქმედებას და განსაკუთრებით ხაჭოზე, რომელიც აგრედვე განაწილდება და სხვათა შორის ერთგვარი ტუტი ჩნდება, რომელსაც ნიშადურის ტუტი ჰქვია. ამ დროს ერბოს რეაქცია ტუტი აქვს და სრულიად გაფუჭებულია, იმისი გამოსწორება შეუძლებელია.

რამდენიმე სხვა-და-სხვა საშუალება არის ნარჩევი ერბოს დიდი ხნით შესანახად, როგორც მაგალითებზე ანტისეპტიკური საშუალებანი (ბორაქსის ანუ გვარჯილას შეყრა), მაგრამ მათი ხმარება სარჩევი არ არის და არც ბევრი სარგებლობა მოაქვთ; აგრედვე იმასაც ურჩევენ, რომ ერბო შენახული იყოს ან უჰაეროდ და ან ნახშირის სიმქავის ატმოსფერაში, აგრედვე მარილ-წყალში და ან კიდევ გადადნობილი. ამათზე ჩვენ შემდეგ მოვილაპარაკებთ და ეხლა კი ორიოდ სიტყვით გავარჩევთ შეიძლება თუ არა დამძალებული ერბოს გამოკეთება და მისი გამოყენება? თუ ერბოს სიმძაღე მთლად გამჯდარი არა აქვს, თუ ეს სიმძაღე ჯერ ისევ დასაწყისშია, მაშინ ერბო უნდა გადაიზილოს იმისთანა წყალში, რომელშიაც გასხნილია ცოტაოდენი ნახშირ-მქავე ნატრი ( $\text{Na}^2\text{CO}^3$ -სოდა) და ამის შემდეგ წმინდა წყალშიაც გაირეცხოს. ასე გარეცხილი ერბო ეხლა რძეში უნდა გადაიზილოს კარგა ხნით და შემდეგ ურძეოდ, რომ შერჩენილი რძე ისევ გამოსცილდეს. ზოგი იმასაც ურჩევს, რომ ტუტი წყალით გარეცხის შემდეგ ეს ერბო წვრილ-წვრილად დაიჭრას და ნაღებთან და ნაღების დოსთან შეიღვებოს და მოგროვების შემდეგ ისევე გაიწმინდოს, როგორც ჩვეულებრივ. რასაკვირველია, ასე გამოკეთებული ერბო პირველი ხარისხისა არ იქნება, მაგრამ საჭმელად მაინც ისე საზიზღარი აღარ იქნება და აღარც მანებელი.

მაგრამ თუ ერბო უკვე მთლად დამძალებულია, მაშინ იმისი გამოყენება აღარ შეიძლება და ვერც იმისი გასწორება და ამის გამო ან საპონის და ან სანთლების მოსამზადებლად ხმარობენ, როგორც ქონს. რამდენადაც ერბო დაბალი ხარისხისა იყო და რამდენადაც მას შერეული ჰქონდა უცხო-



ნივთიერებანი და განსაკუთრებით ხაქო, იმდენად მაღლედ მშველდება. როგორც წინადაც ვთქვით, ერბოს შენახულობაზე ისე ის გარემოება არ მოქმედობს—მტკნარი ნაღებიდან არის მომზადებული თუ დამუყავებულიდან, როგორც მისი შემდეგი შემუშავება; რამდენადაც სრულიად ექნება გამოცლილი დომდენად დიდ ხანს შეინახება. საზოგადოდ, დამარილებული ერბო უფრო კარგად და უფრო დიდ ხანს ინახება, ვინემ უმარილო და აგრედვე გადამდნარი ერბოც უფრო კარგი შესანახია, ვინემ გაღუმდნარი; რასაკვირველია, თითონ გადამდნარი ერბოც თუ დამარილებულია, მაშინ უფრო კარგად უნდა შეინახოს.

თუ საჭიროა მტკნარი კარაქის დიდ ხანს შენახვა მტკნარადვე და სადაც, მაშინ ამისათვის საჭიროა სიწმინდე და სიგრილე; სიგრილე ზამთარში ადვილი მოსახერხებელია და ზაფხულში კი ამისთვის საჭიროა სხვა-და-სხვა ღონისძიების ხმარება: ან სარდაფში უნდა იყოს შენახული და ან საყინულეში; აგრედვე ურჩევნ ერბო შენახული იყოს თიხის ქურქელში და დახურული თიხისავე სახურავით; თითონ ქურქელი და სახურავი ხშირად უნდა იყოს წყალათ დასველებული, რომელიც თავის აორთქლების დროს ქურქელს და შიგ მდებარე ერბოს აცივებს.

რაც შეეხება დამარილებულ ერბოს შენახვას, ამაზე ჩვენ უკვე ვრცლად გვქონდა ლაპარაკი და ამისთვის აქ გამეორება საჭირო აღარ არის; აქ მხოლოდ მოკლედ გავარჩევთ სხვა ერბოს შესანახავ საშუალებათ, მაგალითებრ, ერბოს გადადნობას და უჰაეროდ შენახვას.

ერბოს გადადნობა. ქვემო გერმანიაში, ავსტრიაში, შვეიცარიაში, საფრანგეთში და ჩვენშიაც, სადაც გავრცელებული არ არის კარაქის დამარილება და ამის გამო მხოლოდ ცოტა ხნით შეიძლება მისი შენახვა, ერბოს შესანახავად ერბოს გადადნობა არის გავრცელებული. გადადნობას ის დანიშნულება აქვს, რომ ამით ერბოს გამოეცალოს შიგ შერეული წყალი და ხაქო, შაქარი და სხვა ყველა, რაც კი ერბო არ არის და



ამგვარად სრულიად განთავისუფლდეს უცხო ნივთიერებათაგან, გაიწმინდოს და კარგი შესანახავი გახდეს. რადგანაც ერბო ღნება 37<sup>0</sup>-ზე, ამისათვის მის გადასადნობად ეს ერბო ამ ტემპერატურაზე უფრო მაღლა უნდა გათბეს ან წყალის და ორთქლის შემწეობით და ან პირდაპირ ცეცხლზე. — ყველა იმ ქვეყნებში, სადაც გავრცელებულია ტაფა-მწვარები და ერბო-ფქვილის საქმელები (ყველიერის საქმელი: ქადა, ქუმელი, ფალუსტაკი და სხვანი) და ან სადაც ქონის ხმარება ან გავრცელებული არ არის და ან ძნელი საშოვარია, იქ ყველგან სამზარეულოში გადამდნარ ერბოს ხმარობენ. ამის გამო გადამდნარი ერბო ძალიან გავრცელებულია იმისთანა ქვეყნებში, სადაც ჯერ არ იციან კარგი გამძლე კარაქის და ერბოს მომზადება და ან სადაც გამდნარი ერბო უფრო უყვართ და უფრო ეტაბებიან.

თუმცა ერბოს გადადნობა ძნელი არ არის, მაგრამ მაინც დიდი ყურადღება უნდა, რასაკვირველია, თუ უნდათ, რომ გადამდნარი ერბო მართლა გამძლე და კარგი ღირსებისა იყოს. გადამდნარ ერბოს მოსამზადებლად ასე იქცევიან: აიღებენ წმინდა მოკალულ ქვას, ან თეთრი თუნუქისას და ან ჩინურისას და შიგ ჩასდებენ ახლად მომზადებულ და კარგად გადაზედილ ერბოს ისე, რომ ქურქელი პირამდის არ იყოს გავსებული. ამის შემდეგ ამ ქურქელს ჩასდგამენ 40<sup>0</sup>-მდინ გამთბარ წყალში და ისე, რომ ქურქელი უფრო ღრმად იყოს ჩაფლული, ვინემ ერბოს პირი. სამი-ოთხი საათის განმავლობაში წყალს ასეთი ტემპერატურა უნდა ჰქონდეს. ერბო დადნება და დაილექავს ხაქოს და წყალს, რომელშიაც გახსნილი იქნება შაქარი, მარილი და ალბუმინი. თითონ ერბოს პირზედაც მოგროვდება თხელი კანი, შემდგარი თეთრი ქაფიდან, რომელიც რამდენჯერმე ქაფქირით უნდა მოიხადოს. ამის შემდეგ ერბო სრულიად დაიწმინდება, გამკვირვალე გახდება და თუ რამდენიმე ხანში ქაფი აღარ გროვდება, მაშინ თბილი წყალიდან ამოიღებენ (ჩვეულებრივ ექვსი საათის შემდეგ) და სადმე დასდგამენ, რომ ცოტათი გაცივდეს. როცა ცოტად გაცივდა და



პირზე ერბოს გამაგრება ეტყობა, მაშინ ამას გადაასხმის დროს სანახავ ჭურჭელში; თუ საჭიროა, შეიძლება რამე სამოსელშიაც გაიწუროს. რალა თქმა უნდა, რომ ერბოს გადასხმის დროს იმას არ უნდა გადაჰყვეს მის ქვეშ მყოფი წყალი და ხაქო. გადადნობით კარაქს ჩვეულებრივ 17—20% აკლდება და თუ მხედველობაში ვიქონიებთ იმ ერბოს რაოდენობასაც, რომელიც ქვებში რჩება და ქვებს გაჰყვება, მაშინ ეს ნაკლი 20—25% აიწვეს. გადამდნარ ერბოს უფრო ყვითელი ფერი აქვს, უფრო მკვრივია და გემოც სულ სხვა აქვს.

ქვემო გერმანიაში და ჩვენში ერბოს გადასადნობად ცოტა სხვა ფრივ იქცევიან: კარაქით სავსე ჭურჭელს პირდაპირ ცეცხლზე სდგამენ და ისე აცხელებენ, ვინემ გამდნარ ერბოდან გამოცლილი წყალი არ აღუდდება; ამ დროს მთელი მასსა ემუხსისის სახეს მიიღებს. ქაფის მოხდის შემდეგ ცეცხლიდან გადმოიღებენ და შეასვენებენ. ჩვენში ხშირად უფრო ძალიან და უფრო დიდ ხანს აცხელებენ, ვინემ ერბოს მთელი წყალი არ გამოსცილდება და ერბო გამჭვირვალი არ გახდება; ხან მარილსაც უმატებენ ქვებშივე. სამწუხაროდ, ამგვარად გადამდნარი ერბო დამწვარია, და უკვე ცოტაოდენად გადაგვარებული, რისგამოც ძალიან მალე დამძალდება. ერთი სიტყვით, თუ ერბო სიფრთხილით არ არის გადამდნარი და დამწვარია, მაშინ კარგად არ შეინახება, თითქმის ისევე მალე გაფუჭდება, როგორც გადუმდნარი. რასაკვირველია, გადადნობა ველარას არგებს, თუ ერბო უკვე წინაღვე წამხდარია. გადამდნარი ერბო უნდა ჩაასხან თიხის ჭურჭელში, რომელიც დაქაშანურებული არ უნდა იყოს და ან ჩინურში. თუ ერბო დამძალდა და თუ ან ამ ერბოს მარილი აქვს მოყრილი, მაშინ ქაშანურზე იმოქმედებს და ტყვიას გახსნის, რაც მავნებელია. გადამდნარი ერბო უნდა შეინახონ ცივ ადგილას და არას დროს მიწაში არ უნდა ჩაფლან; ადგილი კარგად უნდა იყოს გამოწმინდებული. თუ გადამდნარი ერბო კარგად არის მომზადებული, ის კარგად და კარგა ხნით შეინახება.



ზემო გერმანიაში, ჰოლლანდიაში, დანიაში და შვეიცარიაში გადამდნარ ერბოს ხმარება გავრცელებული არ არის; ქვემო გერმანიაში, ავსტრო-უნგარიაში და შვეიცარიაში კი შინ სახმარებლად ამზადებენ გადამდნარ ერბოს, აგრედვე საფრანგეთშიაც. რუსეთში ამგვარ ერბოს ძალიან ბევრს ამზადებენ გარედ გასატანად, გასასყიდად; ევრედ-წოდებული „ციმბირის ერბო“ გადამდნარი ერბოა, რომელიც ციმბირში მზადდება და აქედან გამბურგში იგზავნება, მაგრამ რადგანაც გემო კარგი არა აქვს, ის ვერ უწევს კონკურენციას ამერიკიდან მოტანილ ერბოს.

თუ გადასადნობი ერბო სრულიად ახალი, მტკნარი და სალი არ არის, მაშინ მისი გადადნობის დროს შემდეგ ხერხს ხმარობენ: ნახევარ ლიტრ თბილ წყალში გახსნიან ცალ-ცალკე 60 გრამ. შაბს და 20 გრამ სოდას; ორივე ხსნილს გააცივებენ და რამე ჭურჭელში ერთად ლურევენ; ამ არევის დროს ხსნილი ქაფდება, რადგანაც ერთი ნაწილი ნახშირის სიმკვებისა ეცლება და ამისათვის ფთხილად და ცოტაცოტაობით უნდა აირიოს, ჩვეულებრივ სოდის ხსნილს ცოტაცოტაობით მიუმატებენ რამე ჭურჭელში ჩახხმულ შაბის ხსნილს. ახლა თუ გადასადნობი ერბო ცოტად დამძალებულია, იმას ისე დაადნობენ, როგორც ზემოდ იყო ნარჩევი და გაცივების შემდეგ მოაშორებენ დადნობის დროს მის ქვეშ მოგროვილ წყალსა და ხაქოს. ამას ხელმეორედ დაადნობენ და თუ დამძალება დასაწყისშია, ძლივს ეტყობა, მაშინ თითო კილოგრამ ერბოზე მიუმატებენ 3 გრამ შაბის ხსნილს 100 კ. ს. წყალით გაზავებულს; კარგად შეანჯღრევენ, შეურევენ და ასე გაუშვებენ ერთს ან ორ საათს. თუ ერბოს დამძალება უკვე ეტყობა, მაშინ იხმარებენ წინად მომზადებულ შაბისა და სოდის ხსნილს და აიღებენ თითო კილო ერბოზე 100 გრამს და ისევე მოიქცევიან, როგორც ნათქვამი იყო წინად, ესე იგი კარგად შეურევენ გამდნარ ერბოს. როცა ერბო გაცივდება და გაიყინება, მაშინ კარგად გარეცხავენ და გადაზელენ; ამის შემდეგ კიდევ გაადნობენ და ჩაასხამენ შესანახავ ჭურჭელში. გაცივების შემდეგ ერბოს პირს



დახურავენ კალას ფურცლით, ქალაღდს შემოახვევენ და შეი-  
ნახავენ გრილ ადგილს. როგორც ლეხე გვარწმუნებს, ამგვარი  
ხერხით შეიძლება კარგა დამძალებული ერბოს გამოკეთება და  
ასე შემუშავებული და გადამდნარი ერბო კარგი საქმელი იქ-  
ნება.

გადამდნარ ერბოს ის თვისება აღარა აქვს, როგორც ბუ-  
ნებით ერბოს; ამას წყალი აქვს გამოშორებული და ამის გამო  
ისეთი გემო და სინაზე აღარა აქვს როგორც კარაქს. მართა-  
ლია, ეს ერბო ზოგიერთი საქმელისთვის აღარ ევიარება და ეს  
მხოლოდ იმიტომ, რომ წყალის მოშორების გამო ქონს ემსგავ-  
სება, მაგრამ ამასთან ამასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ისე ფრთხი-  
ლად და წყალზე გადამდნარი ერბო, როგორც ჩვენ ავწერეთ,  
კარგად გაწმენდილია და გაშორებულია იმ ნივთიერებათაგან,  
რომელიც იმის წასახდენ მიზეზს შეადგენენ. თუ გადამდნარი  
ერბოსი დიდი ხნით შენახვა უნდათ, მაშინ საჭიროა მისი დამა-  
რილება და იმავე გვარად, როგორც კარაქის დამარილებაზე  
იყო ნათქვამი.

თუ ვისმე გადამდნარი ერბოს გემო არ მოსწონს, იმას  
შეუძლიან ამას კარაქის გემო მისცეს შემდეგის მოხერხე-  
ბით: აიღებენ კარგ რძეს ან ნაღებს, საღვებელში ჩაასხამენ  
და შიგვე მიუმატებენ გადამდნარ ერბოს და კარგად შეან-  
ჯღრევენ. ამის შემდეგ ცოტა ხნით დაიცდიან, რომ მისმა  
ტემპერატურამ დაიწიოს და შეუდგებიან დღეებს. ასე მოგ-  
როვილი და გადაკეთებული გადამდნარი ერბო ისევე კარგი  
იქნება, როგორც ახალი კარაქი.

ერბოს უჭკაროდ შენახვა. რაც შეეხება ერბოს გამძლეო-  
ბის მეორე საშუალებას, ესე იგი მის უჭკაროდ შენახვას, ამი-  
სათვის ბევრი ლაპარაკი არ დაგვჭირდება. პირველი მოთხოვ-  
ნილება ამ მხრით იმაში მდგომარეობს, რომ კარაქი მტკნარი  
ნაღებიდან იყოს მომზადებული და შემდეგ კარგად გადაზე-  
ლილი, რასაკვირველია, უწყლოდ, ასე მომზადებულ ერბოს  
შემდეგ ჩასდებენ პატარ-პატარა თუნუქის კოლოფებში და ისე,  
რომ ერბო კარგად ჩატკეპნილი იყოს და კოლოფიც სრულე-



ბით სავსე. ამ კოლოფს თავის სახურავს დახურავენ გერმანულად, შეძერწავენ კალით და საქმე გათავებულისა. ამგვარად შენახული ერბო კარგა ხნით ინახება სრულიად მტკნარი და გემრიელი. ამას ეძახიან შესანახავ ერბოს (beurre de conserve, preservirte butter). ამ საშუალების გამო ეხლა შესაძლებელია სრულიად მტკნარი და ნაზი კარაქი გაიგზავნოს ძალიან შორს სრულიად უვნებლად. დიდი ხანი არ არის, რაც ასე დაიწყეს მომზადება და გაგზავნა მტკნარი ერბოსი; პირველად დიდი საზოგადოება შესდგა კოპენჰაგენში ბუსკის მეოხებით (Busek junior et Co.), რომელსაც ასეთი სახელი ჰქვია: „the Scandinavion Preserving Butter Company“ და როცა ამ საზოგადოების საქმე კარგად წავიდა, ეხლა რამდენიმე ამგვარივე საზოგადოება არის დაფუძნებული და რემდენსამე მილიონ კილოგრამ ერბოს ამზადებს ასე და გზავნიან შორს თბილს ადგილებში, როგორც ინდოეთი, ჩინეთი, ისპანია და სხვანი.—აქ, რასაკვირველია, დიდი ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული როგორც ერბოს მომზადებას და გაწმენდას, ისე კოლოფებში ჩაწყობას.

დო და მისი გამოყენება. ყველამ იცის, რომ ერბოს მოგროვების და ამოღების შემდეგ სადღვებელში რჩება ესრედწოდებული დო (la beurre) ეს დო ხშირად უფრო ბევრს წყალს შეიცავს, ვიდრე რძეში იყო, რადგანაც ბევრი დღვების დროს ხან ცივს და თბილს წყალს უმატებენ და ხან დოს გამოშვების შემდეგ ერბოს სადღვებელშივე რეცხენ და ამ ნარეცხსაც დოს უმატებენ. ამისგამო დოს სხვა-და-სხვა შედგენილება ექნება, იმის დაგვირად თუ რამდენი წყალი აქვს შერეული. ჩვენ აქ მარტო წმინდა დოზე ვილაპარაკებთ, რადგანაც ძნელია წყალნარევზე რამე გადაწყვეტილი ითქვას; შერეული წყალის რაოდენობა შეიძლება სხვა-და-სხვა იყოს. ჩვენ აქ არც იმ ერბოს რაოდენობას მივიღებთ მხედველობაში, რომელიც უკვე მოგროვილია და რამე მიზეზის გამო სრულიად არ არის გამოცლილი.

იმის დაგვირად, თუ რა მასალა იყო ნადღვები (რძე ანუ ნაღები და ესენიც დამუშავებული თუ მტკნარი) დოც ან შეავე



იქნება და ან მტკნარი. რადგანაც დოში ყოველთვის უფრო ცოტა ერბო არის დარჩენილი, ვიდრე კარგად ნაღებ-მოხდილ რძეში, ამისათვის მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, რომ ამას ისეთივე და ან უფრო მოლურჯო ფერი ჰქონოდა, როგორც ნაღებ მოხდილ რძეს, მაგრამ ამის მიუხედავად ჩვენ სულ სხვას ვხედავთ; დო თავისი შეხედულებით ძალიან ემსგავსება ნაღებ-მოხდილ და მსუქან რძეს. ამისგანა სწავლულები ფიქრობენ, რომ დოში ხაქო იმისთანა მდგომარეობაში აღარ არის, როგორც რძეში იყო; უეჭველია, რომ იმ მექანიურმა შემუშავებამ, რომელიც დღევანდის დროს ხდება, სრულიად შესცვალა რძის ხაქო. ამას გარდა საზოგადოდ ისიც არის შენიშნული, რომ მტკნარი ნაღებიდან ან რძიდან მომზადებული დო საშინელის სისწრაფით მძალდება და მწარდება და თუ ამგვარი დო ყველის მოსამზადებლად არის ნახმარი, მაშინ იმასაც გადასცემს ამ მწარე გემოს; ამისთანა დოს მწარე გემო უფრო მაშინ ერკობა, როცა ცხელია. ამის წინააღმდეგ, თუ რძე დამზადებული რძიდან ანუ ნაღებიდან არის მომზადებული და ამასთან თუ ამ დოში ხაქო ჯერ აქრილი არ არის, მაშინ იმას სრულიად არ ერკობა მწარე გემო. მტკნარი დოს დამძალების მიზეზი ჯერ კარგად არ არის გამოკვლეული, მაგრამ იმას კი ფიქრობენ, რომ ამ სიმძალის მიზეზი შიგ დოში დარჩენილი ერბოს დამძალება უნდა იყოსო. აღბად ეს წვრილმანი ერბოს წვეთები, რომლებიც დღევანდით არ მაგრდებიან და არ ეცლებიან, ადვილად მძალდებიან ან თვითონ დღევანდის დროსვე (რადგანაც მტკნარი მასალა ჰაერით უნდა იყვეს გაჟღენთილი) და ან სადღევანდელად გამოშვების შემდეგ. ასე კი ფიქრობენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ იძულებულნი ვართ აღვიაროთ, რომ ამაზე ჩვენ ნამდვილი არა ვიცით-რა. როგორც ვიცით, დოში დარჩენილია ის წვრილმანი ერბოს წვეთები, რომლებიც დღევანდის დროს არ მაგრდებიან და მათი რაოდენობა ნაღებებიდან მომზადებულ დოში 1% არ უნდა გადასცილდეს; თუ ამაზე გადამეტებულია, მაშინ ეს გვიჩვენებს, რომ დღევანდელი კარგად არ იყო მომზადარი;

ჩვეულებრივ კი, თუ ღღვება კარგად იყო წაყვანილი, ამ ერბოს რაოდენობა დაიწვეს 0,2%-დინ.

აზოტური ნივთიერების რაოდენობა დოში თითქმის ისეთივეა, როგორც რძეში; აგრეთივეა შაქრის რაოდენობაც, თუ, რასაკვირველია, შედღვებილია მტკნარი ნაღები ანუ რძე; ამის წინააღმდეგ, თუ სადღვები მასალა უკვე დამჟავებული იყო ღღვების ღროს, მაშინ შაქრის რაოდენობა დოში შემცირებულია და მისი ადგილი რძის სიმჟავეს უჭირავს. რაც შეეხება მარილების რაოდენობას, ესეც ისეთივეა, როგორც რძეში. მაშ, მტკნარი დო რძიდან იმით განირჩევა, რომ ამ დოში მხოლოდ ერბოს რაოდენობა არის შემცირებული. თუ ერბო შეფერიანებული იყო სადღვებელშივე ღღვების ღროს, მაშინ, რასაკვირველია, ცოტაოდენი ამ საფერავისა დოშიაც იქნება. აი როგორ გამოიხატება ქიმიურად დოს შედგენილება:

წყალი	=	91,24	%
ერბო	=	0,26	—
ხაჭო	=	3,20	—
ალბუმინი	=	0,20	—
შაქარი	=	4,00	—
მარილები	=	0,70	—

დო ურიგო საჭმელი არ არის, თუ, რასაკვირველია, სალია და დამწარებული არ არის; სალი, მტკნარი და ან დამჟავებული დო გემრიელია და მჟავე სასიამოვნო და გამაგრილებელი.

დოს ბერს ქვეყნებში ხმარობენ ეგრედ-წოდებული მჭლე ყველის მოსამზადებლად; ამ შემთხვევაში ამ დოს ან რძეში ურევენ და ან ცოტაოდენ ცხიმოვან ნივთიერებას, ქონს ან ზეთს უმატებენ. ამაზე ჩვენ შემდეგ გვექნება ლაპარაკი. როგორც ყველამ იცის, ჩვენშიაც დოს ერთგვარი ყველის მოსამზადებლად ხმარობენ, რომელსაც დომხალს ეძახიან. რადგანაც ჩვენში ხშირად უფრო დამჟავებულ მაწონს სდღვებენ, ამისათვის დოში დარჩენილი ხაჭო უკვე შედღვებულია, აჭრილი და თუ დო რამდენიმე ხნით წყნარად სდგას, მაშინ ხაჭო დაი-



ლექება და შრატს გამოეცლება. ამის შემდეგ შრატს გადაასხამენ და დანარჩენ დოს პარკებში გასწურავენ და გასწურულს საკმაო მარილს მოაყრიან და შნიებავენ. გასწურული დომხალი რომ კარგად იყოს დაქაჯული, მაშინ უტკველია უფრო კარგად, დაუძიდებლად შეინახება, თუ ამასთან მარილიც ბლომად აქვს მიცემული. სამწუხაროდ, ამისთვის ჩვენში ჯერ კარგად მოწყობილს საქაჯავენს არა ხმარობენ და ამიტომაც რამდენიმე ხნით შენახულ დომხალს ყოველთვის მძაღვ გემო აქვს. კარგად მომზადებული და კარგად შენახული დომხალი ისევე კარგი და გამოსადეგი საქმელია, როგორც ყველი და დომხალის შექამანდი ერბოთი და ყველით შენელებული ისევე კარგი და ნოყიერი საქმელია, როგორც სხვაგვარი ხარშო და ხორცის წვენი.

დოს გამოყენება, რასაკვირველია, სხვანაირადაც შეიძლება და განსაკუთრებით ცხოველების საკვებადაც; ევროპაში გავრცელებულია ამ დოთი ღორების და ინდოურების გასუქება. რადგანაც დოს თითქმის იმისთანავე შედგენილება აქვს, როგორც ნაღებ-მოხდილ რძეს და რადგანაც ამ ნაღებ-მოხდილ რძის მოხმარებაზე და გამოყენებაზე ჩვენ წინად გვქონდა ლაპარაკი, ამისათვის ეხლა აღარას ვიტყვი. აქ მკითხველების ყურადღებას მივაქცევ ამ დოს და ნაღებ-მოხდილი რძის ერთგვარ მოხმარებაზე, რომელიც ამ ახლო ხანში ევროპაში ვრცელდება: რადგანაც დო და ნაღებ-მოხდილი რძე ბუნებითი რძიდან მარტო იმითი განირჩევიან, რომ მათში შემცირებულია ცხიმოვან ნივთიერებათა რაოდენობა, ამიტომ ამ ბოლოს დროს იმას ცდილობენ, რომ რამე ცხიმოვანი ნივთიერების შერევით ესენი დაუახლოვონ რძის შედგენილებას და ამით რძესავით იყენენ გამოყენებულნი. ეხლა დოდან და ნაღებ-მოხდილ რძიდან ამზადებენ ერთგვარ ემულსიას რამე ცხიმოვან ნივთიერებასთან შეერთებით, რომელიც ამ შემთხვევაში ან ქონია და ან ზეთი. ამ ნივთიერებათა შესარევად და შესაკავშირებლად მოგონილია სხვა-და-სხვა მანქანები, ემულსირები. ამ მანქანების აწერას საქიროდ არ ვრაცხთ, მხოლოდ



იმას კი ვიტყვით, რომ ესენი ბევრად მიემსგავსებიან ცენტრალურ ფუგებს. ასე მომზადებული ემუსლია შეხედულობით და შედგენილებით თითქმის სრულიად არ განირჩევა რძიდან და ამიტომ როგორც ყველის მოსამზადებლად, ისე ცხოველების საკვებად ხმარობენ. სამწუხაროდ, ამგვარად მომზადებულ ყველს არც კარგი გემო აქვს და არც დიდის ხნით შენახულობა; ისევ ცხოველების საკვებად არის კარგი გამოსადეგი.

გ. ზეტრააშვილი

(შემდეგი იქნება)



## მთიულეთი 1804 წელსა

ისტორიული ამბავი

### XI

მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში ევროპა შეაძრწუნა საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ. ამ საშინელმა კორიანტელმა დედა-მიწის პირიდან მტვერივით აღგავა ძველის საფრანგეთის სახელმწიფო წეს-წყობილება და სამუდამოდ დაამხო ბურბონთა სამეფო სახლთან ერთად ის ძველის-ძველი და ჭეშმარიტებად მიჩნეული აზრი, რომ მეფობა კაცთა საქმე კი არ არის, არამედ ზეცაშია ნაკურთხი და კაცთა საბედნიეროდ მოვლენილი ამ ქვეყნადაო. ევროპის მეფე-ბატონნი, მთავარ-გამგებელნი, ერთის სიტყვით, ყველანი, ვისაც კი ხელთ რაიმე უფლება ეჭირა, შიშითა ძრწოდნენ ამ საშინელის ვეშაპის წინაშე და ელდა-ნაკრავსავით აჩქარებით თათბირს შეუდგნენ, როგორ შევაჩეროთ და როგორ მოვულოთ ბოლო ამ უსიამოვნო და საერთო მყუდროების დამარღვეველ მოვლენასაო. ძლიერნი ამა ქვეყნისანი კარგადა ჰგრძნობდნენ, რომ რევოლიუცია მარტო საფრანგეთს არ დასჯერდებოდა საასპარეზოდ და უეჭველია, დღეს თუ ხვალ, გამოინფარდებდა აღმოსავლეთისკენ, გადმოჰლახავდა მდ. რენს და თამამად შეუდგებოდა თვისის დედა-აზრის განხორციელებას და კაცთა შორის დამყარებას. ამისათვის ევროპის სახელმწიფოანი და მთავარნი მალე გაიფიცნენ და ულმობელი ომი გამოუცხადეს საფრანგეთის რევოლიუციას. ყოველი წუთი ძვირფასი იყო, დახანება და მოლოდინი, აცა საქმე რითი ვათავდებოა, არაფერს ეგვანებოდა და გაიმართა საკვირ-

ველი და უმაგალითო ბრძოლა-ჭიდილი. ერთის მხრივ გათამამებული, გამაყებული საფრანგეთის ჯერედ-გამოუცდელი, ახალგაზდა ჯარი, გამოუცდელისა და ჭაბუკის სარდლებით, მაგრამ აღფრთოვანებული სამშობლოს სიყვარულით და რევოლუციის მიერ აღვიარებულ პრინციპებით და მეორეს მხრივ თითქმის მთელი ევროპა ძლიერისა და მრავალის მხედრობით. ვერც სიმრავლემ, ვერც სიძლიერემ და ვერც გამოცდილებამ ვერ უშველა გაფიცულ მოკავშირეთა. რესპუბლიკის ჯარი ყველგან იმარჯვებდა და შემოსეულ მტერს გმირულად და ვაჟაკურად ეგებებოდა. რესპუბლიკის ახალგაზდა გენერლები: ჟურდანი, მორო, მასენა და სხვანი ზურგზე ბოლს ადენდნენ ჭაღარით მოსილ მოკავშირეთა სარდლებსა და დამარცხებულთ მალე პირი აქნეინეს თავ-თავიანთ სახლებისაკენ. რესპუბლიკამ არ იკმარა შემოსეულ მტრის დამარცხება და გაწბილება; გამარჯვებით წაქეზებული მალე თვით საკუთარ სამფლობელოებში შეუვარდა და იქ, თვით მტრის მიწა-წყალზე, მორიგების ისეთს პირობას უდებდა, რაიც მის გულს შეაჯერებდა.

ასე დიდებულად, თამამად, საშიშრად და გამარჯვებით დაიწყა თვისი არსება და მოქმედება ახლად დაფუძნებულმა რესპუბლიკამ, ასე გამარჯვებით იღვწოდნენ სამშობლოსთვის მრავალი მოღვაწე და სამხედრო კაცი, მაგრამ მალე ყველას გადააჭარბა კორსიკანელმა გმირმა ნაპოლეონმა. ამ საკვირველმა კაცმა სულ მცირე ხანში ისეთი სახელი და დიდება მოიხვეჭა, რომ მის სიდიადეს და სახელსა აღექსანდრე მაკედონელის, ან კართაგენელ ჰანიბალის სახელსა და გმირობას თუ შეეუდარებთ, თორემ სხვა შესადარებელი მაგალითი არ ვიცით. ჯერ ისევ შეთვრამეტე საუკუნე არ დასრულებულიყო, რომ ბონაპარტეს სახელმა თვით საფრანგეთში ყველა დაჩრდილა, დააბნელა. მისს სხივითა და შარავანდელით მოსილ სახელსა ველარა ედარებოდა-რა. ხუმრობა საქმე არ არის, როცა ხუთიექვსი წლის განმავლობაში ვიღაც გვარ-ტომობით უცნობი, ღარიბი, თითქმის უბატრონო პორუჩიკი დიდებულ და ძლიერ-



მოსილ გენერალად გამოდის, მერე ისეთ გენერალად, რომელიც  
 მაც არ იცის, რა არის შიში, დამარცხება და მხოლოდ გამარ-  
 ჯვებისკენაა გაწვდენილი მისი მკლავი. ნაპოლეონის ხელ-ქვეი-  
 თი ჯარის-კაცი დარწმუნებული იყო, რომ ამ კაცის დამარცხე-  
 ბა, შედრეკა მტერს არ შეუძლიანო; ასეთი ფიქრი და რწმენა  
 ერთი ათად ამხნევებდა და ათამამებდა და, რაღა თქმა უნდა,  
 რომ ასეთის მხედრობით ნაპოლეონი სასწაულ-მოქმედებდა და  
 შიშის ზარსა სცემდა მტერსა.

ვილაც რომანისტმა სთქვა კორსიკანელებისა, რომ კორსი-  
 კანელი, თუნდ უბრალო სოფლის ბიჭი, ან საწყალი მწყემსი  
 იყვეს, ბუნებითაც გმირია და ყოველი მისი საქციელი, მიხვრა-  
 მოხვრა, სიტყვა-პასუხი გმირისასა ჰგავსო. არ ვიცით, რამდენად  
 მართალია რომანისტი, შეიძლება მართლა კორსიკანელები ბუ-  
 ნებით გმირად იბადებიან, ან იქნება რომანისტმა ეს პარადო-  
 ქსალური აზრი იმისთვისა სთქვა, რომ ნაპოლეონ ბონაპარტე  
 კორსიკანელი იყო, მაგრამ ეს კი ქეშმარიტებაა და ყოველს  
 ექვს გარეშეა, რომ ნაპოლეონმა ბევრი საგმირო საქმე მოიქმე-  
 და ჯერ კიდევ ვიდრე მხოლოდ მხედრობის სარდალი და შემ-  
 დევ კონსული იყო. ევროპა მძულვარებით აღივსო ნაპოლეო-  
 ნისადმი, ან კი ვინ მოუწონებდა საქციელს ამ აღამიანს,—  
 რომელიც ასე თავხედად, ასე თამამად და უღმობელად ეპურო-  
 ბოდა მირონ-ცხებულ გვირგვინოსანთა. საცა კი გაჩნდებოდა  
 ნაპოლეონი, იქ, უსათუოდ, რაიმე ცვლილება უნდა მოეხდინა,  
 მომეტებულ ნაწილად საუკუნოებით არსებულ მონარქიების  
 მაგიერ ერთ მშვენიერ დღეს ნაპოლეონი რესპუბლიკას დააარ-  
 სებდა, გვირგვინოსან მფლობელს ტახტიდან ჩამოაბრძანებდა,  
 მორჩა და გათავდა. რაღა თქმა უნდა ასეთი უზრდელობა და  
 თავხედობა ნაპოლეონისა გულის უკლავდა ევროპის გვირგვი-  
 ნოსანთა და დღე-და-ღამ იმის ფიქრში იყვნენ, როგორმე  
 ფრთები შევაკვეცოთ ამ „კორსიკანელ მეტიჩარას“ და ლა-  
 ზათიანად ჰკუთ ვასწავლოთო. ყველაზე მეტად კონტინენტალურ-  
 მა ევროპამ იწენია ნაპოლეონის უზრდელობა და თავხე-  
 დობა, რადგან სწორედ აქ დანავარდობდა და დაპარპაშებდა



ნაპოლეონი, აქ იყო, რომ ძველს სამეფოებს ჩინჩხვარივით ამსხვრევდა და მათს ნანგრევებზე რესპუბლიკებს აარსებდა, თითქო ხუხულას, ან უბრალო ქობ-მახს აკეთებდნო. მაგრამ დაუძინებელ მტრად ნაპოლეონს ინგლისი გარდაექცა. ინგლისი მოსვენებას არ აძლევდა ნაპოლეონს და უსისიანებდა ევროპას. ბრაზით გულზე სკდებოდა ნაპოლეონი და, რადგან თვით ინგლისს ზღვით შემოზღუდულ ტერიტორიაზე ვერას დააკლებდა, განიზრახა ეგვიპტე ჩამოერთმია და სრულიად მოეღობოლო ინგლისის მფლობელობისათვის ამ ქვეყანაში. ამ აზრის განსახორციელებლად ნაპოლეონმა გაილაშქრა ეგვიპტისაკენ. რაკი ნაპოლეონი გაიგულეს საფრანგეთიდან, ევროპის სახელმწიფოებმა ხელ-მეორედ შეჰკრეს კავშირი საფრანგეთის საწინააღმდეგოდ. ამ კავშირში ინგლისმა მოახერხა რუსეთის ჩათრევაცა.

დიდი ხანი იყო, რაც რუსეთის იმპერატორ პავლე პირველს გული ეთანაღრებოდა ბონაპარტეზე. თვითმპყრობელი იმპერატორი, ცხადია, ადვილად ვერ აიტანდა ნაპოლეონის სითამამეს და განიზრახა მისი დასჯა, როგორც თაეწასულ მეტიჩარასი. მოგეხსენებათ, როცა კაცს ძალა შესწევს და მოისურვებს რასმესა, მიზეზს ყოველთვის ადვილად იშოვნის ხოლმე. ამ ჟამადაც მიზეზად ომისა, ან როგორც დიპლომატები და ისტორიკოსები ამბობენ, casus belli, იმპერატორმა უბრალო რამე დაიხვია ხელზედ და ნატკენის გულის გასამთელებლად გამოჩენილ მხედართ-მთავარ სუვოროვის უფროსობით ჯარი გაჰგზავნა საფრანგეთს. მამაცურად იბრძოდა სუვოროვი, ბევრჯელაც გაიმარჯვა, მაგრამ ბრძოლის ველი მიინც საფრანგეთს დარჩა. გენერალმა მასსენამ რუსის გენერალი რიმსკი-კორსაკოვი უწყალოდ დაამარცხა. რაც ამ გენერალს დაუსრულებელი დარჩა, ის დაამთავრა ეგვიპტიდან დაბრუნებულმა ნაპოლეონმა. ბრძოლის ველზე რუსები აღარ იყვნენ, იმპერატორი გაუწყრა ავსტრიელებს და უკან დაიბრუნა ჯარები, და ამის გამო ნაპოლეონმა მარტო ავსტრიელებზე იყარა ჯავრი. სოფელ მარენგოსთან, ჩრდილოეთ იტალიაში ისე დაამარცხა



ავსტრიელნი 1800 წელსა, რომ იძულებული გახდნენ მოემხრონ დობიანობა ეთხოვათ პირველი კონსულისთვის და ომიანობა შეეწყვიტათ.

ოთხი წელიწადი გავიდა ავსტრიელების დამარცხების შემდეგ ს. მარენგოსთან, ნაპოლეონი უკვე იმპერატორად აღიარეს საფრანგეთში, პავლე გარდაიცვალა და რუსეთის ტახტზე აბძანდა იმპერატორი ალექსანდრე კუროთხეული. ალექსანდრე აგრე რიგად არ ეძებდა ნაპოლეონთან დავი-დარაბის ატეხას, მაგრამ საფრანგეთის დაუძინებელმა მტერმა ინგლისმა კიდევ ჩაითრია რუსეთი კოალიციაში სწორედ იმ დროს და წელსა, როდესაც კავკასიონის უღელ-ტეხილის ხევ-ხუფებში გამწარებული ბრძოლა იყო გაჩაღებული მთიულთა და რუსთა შორის. მართალია, რუსები 1804 წელს ჯერ არ მისულიყვნენ ბრძოლის ველზედ, მაგრამ ამ წელს მომზადება იყო საჭირო საომრად გასაგზავნის რაზმისა. მაინც დიდი დრო არ გასულა ამ ხანიდან და მეორე წელს, სახელდობრ 1805 წელსა, ნაპოლეონმა სოფელ აუსტერლიცთან ავსტრიელებისა და რუსების შეერთებულ ჯარებს ანდერძი აუგო და საშინლად დაამარცხა.

ასე აირ-დაირია და დაიხლართა საქმე ევროპაში, როდესაც მთიულებმა აჯანყების დროშა გაშალეს. საპოლიტიკო ჰორიზონტი ნისლითა და ბურუსით იყო მოცული. როდის გადიყრიდა ცა ღრუბელსა, რომელს სახელმწიფოს რას მოუტანდა, ვის გააბედნიერებდა და ვის დედა-მაწასთან გაასწორებდა, არავინ არა იცოდა-რა. რუსეთი ნებსით და უნებლიეთ ევროპის საქმეებში გაერთო, ნაპოლეონს შეებრძოლა, იმ ნაპოლეონს, რომლის სახელიც და გმირობა-მოქმედებაც საარაკო და ლეგენდარული შეიქმნა, არამც თუ ჩვენთვის, არამედ თვით მაშინდელთათვისაც. იმპერატორმა პავლე I ხერიი ვერა ჰნახა ამ საკვირველ კაცთან ბრძოლაში, ალექსანდრე კიდევ, რამდენჯერმე დამარცხებული, იძულებული შეიქმნა შემდეგ მიეღო მთელ მისის ერისთვის დამლუპავი, ესრედ წოდებული კონტინენტალური სისტემა, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ ნავთ-სა-



დგურნი დაუბშეს ნაპოლეონის ძალ-დატანებით ინგლისის სიგმა ხომალდებს. ამითი ნაპოლეონი ინგლისის ჯავრსა ჰყრილობდა, მაგრამ ნიეთიერი ქონება, ეკონომიური კეთილდღეობა და ეპრობა-მრეწველობა უკან-უკან მიდიოდა. დამარცხებული იმპერატორი ალექსანდრე და მისი მხედრობა ჰგრძნობდნენ და თითქოს წინა-გრძნობა დაჟინებით ჩასჩიჩინებდა, რომ ბრძოლა რუსთა და ფრანგთა შორის ავსტრიასა და პრუსიის მიწა-წყალზე არ დასრულდებოდა, რომ აუცილებელი გახდებოდა შეტაკება, შებრძოლება ორის დიდის ბუმბერაზისა, ერთის მხრივ ტახტისა და სამეფოთა ნათფოტივით და ჩხირივით დამმსხვრეველ ნაპოლეონისა და მეორეს მხრივ ძველ სამეფო სავგარეულო ოჯახთა და სამეფო ტახტთა ქირისუფალ—იმპერატორ ალექსანდრეს შორის. ნაპოლეონი თვით იმპერატორობაშიაც უღარესი რევოლიუციონერი იყო, ხოლო ალექსანდრე ქმსა ჰუმანიურ აზრებით აღფრთოვანება-გატაცებისა—განუსაზღვრელი კონსერვატორი.

აქ, ევროპის ამ დახლართულ საქმეთა შორის და ორის იმპერატორის ხასიათის განსხვავებაში უნდა ვეძებოთ მიზეზი, რომ იმპერატორი ალექსანდრე პირველშივე უარზე იყო, არ მინდა საქართველოს შემოერთება, ვისა აქვს თავი მოუაროს მაგ სიშორე ქვეყანას, ან ვისა სცალიან ეხლა მაგ გადაკარგულ და უშველებელს უზარ-მაზარ მთებს ამოფარებულ ქვეყნისათვისაო. თუ კი რამ მოგვეპოვება, ან ჯარის კაცი, ან რაიმე საღსარი, აქაა, შინაა საქირო და საქართველოს რილათი ვუშველოთო.

ზემოდ უკვე მოვიხსენიეთ, რა ზუზვით უგზავნიდნენ პეტერბურგიდან საქართველოს მთავარ-მართველს, თ. პ. დ. ციციშვილსა საქირო ფულსა ქვეყნის მოსაწყობად და გასაძლად. სიუხვეს არც ჯარის გამოგზავნაში იჩენდნენ. კვირა—თვე ისე არ გაივლიდა, რომ არ მოეწერათ, ჯარებს ვერ მოგაშველებთ, აქაც საქირონი არიანო, როგორმე იოლად წადი იმითი, რაც ხელთა გაქვს და სხვა ამგვარი. 27 თიბათვის თარიღით აღნიშნულ რესკრიპტში მთავარ-მართველის სახელო-



ბაზე იმპერატორი ალექსანდრე პირველად აღნიშნავდა მისი მხარეების რემოვბას და სწერს თ. ციციშვილს, მართალია გიგზავნით მანდ მყოფ მხედრობის გასაძლიერებლად ერთს მუშკეტერის პოლკსა არტილერიის ნახევარ როტათი და ექვსის სუბუქის ზარბაზნითაო, მაგრამ უნდა ეცადო, რაც შეიძლება, კეთილგონიერების განკარგულებით მოაწყო მანდაური საქმენი და ჯარები აღარ მომთოხოვოვო. <sup>1)</sup>

ასე ბჭობდა და სჯიდა იმპერატორი ალექსანდრე პირველი, ვიდრე კაველინი მივიდოდა პეტერბურგსა და შეატყობინებდა, რა გაქირებაში ჩაცვივდა საქართველოში დაბანაკებული რუსის მცირე მხედრობა, რომელსაც სრული ამოწყვეტა და ამოქლეტა მოელოდა, თუ დახმარებას არ აღმოუჩენდნენ თ. ვოლკონსკის. ეს ცოტაა, კაველინმა მოახსენა ხელმწიფეს, რომ თუ მალე დარიალის დახშული კარი არ გაიხსნა და ეხლავე ლინიიდან მაშველი ჯარი არ დაიძრა, რუსების ბატონობას საქართველოში სამუდამოდ ბოლო მოედება და ტყუილუბრალოდ ჩაივლის ოთხის წლის ჯაფა და შრომაო. შეწუხებულს და შეშფოთებულს იმპერატორსა ამ მწარე და უნუგეშო ამბით ეტყობა სულ გადაავიწყდა კორსიკანელი გმირი, მისი თავებლობა, ეტყობა გადაავიწყდა აგრედვე თვასი მოკავშირენი პრუსიელნი და ავსტრიელნი და თვალწინ მხოლოდ უდგა თვისი მცირე მხედრობა, საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეს გაბნეული, რომელსაც გარს მტერი შემოპრტყმოდა და უქადიდა განადგურებას. „პატივი და დიდება სამშობლო იარალისა“ მოითხოვდა შურის ძიებას, შელახული სახელი ერისა ხელ-ანლა აღდგენასა და აბა ამისათვის რალას დაზოგავდნენ ან იმპერატორი, ან მისი მინისტრები! არც არაფერი დაზოგეს. სეტყვა-სავით წამოვიდა ახალ-ახალი ჯარი ყოველის მხრიდან, საილა-

<sup>1)</sup> იხ. Акты, т. II, гл. 294. ნამდვილში ასეა გამოხატული ეს აზრი: „Впрочемъ, какъ видѣнное существованіе обстоятельство не представляетъ удобства удалять войскъ отъ тѣхъ пунктовъ, на которые они въ разныхъ случаяхъ потребоваться могутъ, то и нужно, чтобы благоразумными распоряженіями своими поставили вы себя въ состояніе обитаться безъ новой ужъ ихъ прибавки“.



ნაც კი შეიძლებოდა მისი გამოგზავნა. ყირიმიდან წამოსული პოლკს და არტილერიას თან მოაყოლეს ლინიიდან: ხუთი პოლკი დონელ ყაზახთა, 3,088 შეიარაღებული რეკრუტი, 100 ყაზახი მოზდოკის პოლკისა, ორი როტა არტილერიისა და ქვეითი ჯარი ოთხის დიდის ზარბაზნით: ექვსი როტა ყაზახნი მუშკეტერის პოლკისა, სამი როტა ვოლოგდისა და ერთი სრული როტა დრაგუნის პოლკისა.<sup>2)</sup>

კავკასიის ლინიაზე დაყენებულ ჯარების უფროსს, გენერალ-ლეიტენანტს გლაზენაჰს იმპერატორი სწერს, პასუხს აგებ, თუ ვინიცობაა მალე ჯარები არ მიგიშვებლებია თ. ვოლკონსკისათვის და შეკრული გზა არ გაგიხსნიაო. ამ რესკრიპტში, ჯარების დაუყოვნებლივ გაგზავნის გარდა საქართველოში დარიალის ხეობით, სხვაც ბევრი რამაა საყურადღებო. იმპერატორი არიგებს გენერალ გლაზენაჰსა, ეცადე, როგორმე შეატყობინო თ. ვოლკონსკის, რომ მაშველი ჯარი დაიძრა ლინიიდან და გაავრცელე, განფანტე, ერთის სიტყვით, მთელ ქვეყანას მოსდე ხმა, რომ ჩრდილოეთიდან დიდძალი ჯარი წამოვიდა საქართველოში შესასვლელადა-თქო. ასეთი ხმაო, ბრძანებს იმპერატორი, რა თქმა უნდა, ერთი-ათად გაზვიადებული, კი სამსახურს გაგვიწევს. ამითაც ნუ დაკმაყოფილდები, უბრძანებს იმპერატორი ალექსანდრე, ისარგებლე მანდაურ ხალხის დაუდგრომელობით და თავ-ქარიანობით, მიჰმართე იმ საშუალებას, რომელსაც არა ერთხელ მაგ ქვეყნებში სასწაული მოუქმედნია; უბოძე ჯილდოთ ფული, დაჰპირდი ჯამაგირს უფროს კაცებს და სხვა მრავალი ამგვარი საჩუქრები და ჯამაგირის აღთქმაო, ამბობს იმპერატორი, დროებითაც არის დაამშვიდებს და დააშოშმინებს აღელვებულ ხალხსა და — რაც უფრო სახირო და სასარგებლოა — ერთი-ერთმანეთის ნდობას დააკარგვინებს, რის გამოც შეიძლებენ ერთმანეთს ჭ წაიკიდებიან.<sup>3)</sup> აქტებიდან

1) *ibid.* გვ. 295—297.

2) დედანში ასეა ეს აღვლილი: „... воспользуйтесь... и т. п. средствами, могущими сь одной стороны хотя временно успокоить, а сь другой раздѣлять и посѣять недобѣрчивость между народами сь ихъ другъ къ другу“. Акты, т. II გვ. 295. რესკრიპტი 27 სექტემბრის თარიღისაა.



არა სჩანს და სხვა წყაროდანაც არ ვიცით, რამდენად გზამი-  
 ყენა, ან როგორ ისარგებლა გენერალ-ლეიტენანტმა გლაზენაპმა  
 იმპერატორ ალექსანდრეს დარიგებით, შესძლო თუ არა ამ  
 გენერალმა ჩამოეგდო შუღლი კავკასიის სხვა-და-სხვა თემთა  
 შორის, განთესა თუ არა შხამი უნდობლობისა და მძულვარე-  
 ბისა, ერთის სიტყვით, არ ვიცით, განახორციელა თუ არა ძვე-  
 ლთა რომაელთაგან ანდერძად დატოვებული, გაცვეთილი, მა-  
 გრამ ჯერ კიდევ ხმარებული პრინციპი: divide et impera (გაა-  
 ცალკევე და ისე იუფლე); დიად, არ ვიცით, როგორ მოიხმარა  
 ბრძოლის ველზე დაბერებულმა გენერალმა ეს მოშხამული დი-  
 პლომატური იარაღი. დარწმუნებული ვართ, რომ არც თვი-  
 თონ იმპერატორ ალექსანდრესა სჯეროდა, რომ გამოიყენებდა  
 ამ ნაზს, მაგრამ გესლიან სადიპლომატო ისარს გენერალი,  
 რომელიც მხოლოდ თოფ-ზარბაზნის ხმარებას იყო მიჩვეული,  
 რომლისთვისაც ტყვია-ყუმბარის სტვენა-ზუზუნი მუსიკა იყო  
 და ხმლის ტრიალი მუდმივი ვარჯიშობა, ჭკუა-გონებისა კი  
 არა, არაიქედ მკლავისა და ხელისა. ეს მოსაზრება ჭეშმარიტე-  
 ბას რომ იყვეს მოკლებული, მაშინ იმავე რესკრიპტში, საი-  
 დანაც ეს ცნობები მოგვყავს, აღარ იქნებოდა მიმატებული,  
 რომ მაინცა და მაინც, უკეთუ თქვენის უფროსობის ქვეშ მყო-  
 ფი ჯარი საკმარისი არ აღმოჩნდეს, მაშინ მიჰმართეთ „შავის  
 ზღვის მხედრობის“ ატამანს მაშველ ჯარისათვისაო. იმპერა-  
 ტორი დარწმუნებული რომ ყოფილიყო, გენერალი გლაზენაპი  
 გონივრულად ისარგებლებს დარიგებითაო, მაშინ „შავი ზღვის  
 მხედრობისაკენ“ აღარ გაუშვერდა ხელსა, რადგან ოსმალეთის  
 ხომალდები ამ დროს ბუზებივით ირეოდა შავ ზღვაზე და  
 უკეთუ ჯარებს დასძრავდნენ რუსები, ადვილად შეეძლოთ  
 თვისი ჯარები ნაპირას გადმოესხათ და შეიძლება ყირიმი დაე-  
 ბრუნებინათ უკან. მართალია, ოსმალეთი და რუსეთი ამ დროს  
 მეგობრები იყვნენ, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რა უბედური და  
 მღელვარებით სავსე დრო იყო ეს დრო. ძალას უბირატესობა  
 ჰქონდა დათმობილი და ვინც ვის დაასწრობდა, ის ივდებდა  
 ხოლმე ხელთ საჭირო ადგილებს. რამდენისამე წლის შემდეგ

ჩვენც ასე მოვიქეცით. დაგვიკირდა ფოთი სამეგრელოს მთავრთების შემდეგ, გავგზავნეთ ჯარი და ოსმალებს წავართვით, თუმცა ომი არა ყოფილა რუსეთსა და ოსმალის შორის.

იმპერატორმა ალექსანდრემ მადლობა გადაუხადა თ. ვოლკონსკის და ქებით მოიხსენია მისი გაბედულობა, რომ დროზე შეატყობინა საქართველოში დაბანაკებულ ჯარის გაქრევილი მდგომარეობა. ჩამოვიდნენ თუ არა ჯარებია ლინიდან, სწერდა იმპერატორი თ. ვოლკონსკის, ერთი ნაწილი ჯარისა ერევანს გავგზავნე და აღადგინე შეწყვეტილი მისვლა-მოსვლა ერევანსა და ტფილისს შორის, რომ საშუალება მისცე მთავარ-მართებელს თ. ციციშვილს ხელ-გაშლით იმოქმედოს მტრის წინააღმდეგო. \*) მაგრამ თ. ციციშვილმა დიდ ხანს აღარ იცადა ერევანსა და, მაშველ ჯარის მოსვლამდინ, აჭყარა ბანაკი და ტფილისისაკენ გამოეშურა, სადაც ასე აიწეწ-დაიწეწა რუსის მთავრობის საქმენი. ტფილისს რომ მოახლოვდა მთავარ-მართებელი, შეიტყო, რომ ხელმწიფე ამპერატორს, თავ. ვოლკონსკის მოხსენების გამო, მალე მოგვხედე, თორემ ვიღუპებითო, ჯარები გამოგზავნა. ამ გარემოებამ ცეცხლი მოუკიდა თ. ციციშვილს, როგორ თუ გაპბედა ვინმე და ჩემდა დაუკითხავად აქედან სამწუხარო ამბები გაპგზავნა პეტერბურგს და შეაშფოთა გულ-ჩვილი იმპერატორიო. დაბრუნება აღარც კი მოიცადა ტფილისსა, იქვე გზიდან გაუგზავნა ალექსანდრეს მოხსენება, ნუგეშითა და იმედით სავსე. მაგარის ხასიათის და მხნე მთავარ-მართებელი გულს არას დროს არ იტებსა და ჩვეულებრივის სითამამით სწერდა იმპერატორსა, რომ ყოველივე დავამშვიდე, დავაწყნარე და თავის დონეზე დავაყენეო. თათრებმა თავთავიანთ სახლებს მიაშურესო. მოხვევნი და დიდისა და პატარა ლიახვის ოსები შიშითა ძრწიან, რადგან თავიანთის თავქარიანობის გამო ჩემს დაბრუნებას არ მოელოდნენო. ქსნის ერისთავნი მაიორი თ. მირმანოზი და სოლომონ ერისთავი გავუგზავნე და შევეუთვალე დაწყნარდნენ და დამშვიდნენ, მი-

\*) АКТЫ, т. II, стр. 329 - 330; ЗАБ. А. Д—а, стр. 368.



საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
სამსახური

ვსწერე აგრედვე ბატონიშვილს ფარნაოზსა, მოინანიოს თუ-  
სი ცოდვანი და გამოცხადდეს ჩემთანა. თუ ჩემს დარიგებას  
არ შეისმენენ, მაშინ მე თვითონ გავსწევ ანანურს კავკასიის  
გრენადერის პოლკით და ჭკუას ვასწავლიო. სასურველია, რომ  
სისხლი არ დაიდვაროსო, ამბობს თ. ციციშვილი, მაგრამ რა  
ვქნა, მეტი ჯანი არ არის, თუ საჭიროება მოითხოვს, იარაღი  
უნდა ეიხმარო, რადგან ფული და საჩუქარი ვერას არიგებს,  
დასაჩუქრებული მემამოხენი უფრო თავს გადიან და ბრიყვდე-  
ბიან, ასეთია ჩვეულება ამ აზიელებისაო. თავმოყვარების შებ-  
ღალვას ასე თუ ისე მთავარ-მართებელი გაუძლებდა, მაგრამ  
ის ფიქრი უწამლავდა გულსა და მუცელსა, რომ ღვთაებად  
მიჩნეული იმპერატორი დაალონა თ. ვოლკონსკიმ კაველინის  
გაგზავნით. ღვთით, ყველაფერი კარვად მოეწყობაო, სწერს  
მთავარ-მართებელი ალექსანდრესა, საშუხარო და საგლოვია-  
რო აქ არა არის-რა, მხოლოდ გულს ის მიწყლულებს და  
კრემლს მადნსო, რომ ნაზი, ჩვილი და მგრძნობიერი თქვენი  
გული შეუშფოთებიათ აქაურის ვითომ გაჭირვებულის ამბები-  
თაო. <sup>5)</sup> ასეთივე რიხიანი და იმედიანი მოხსენება გაუგზავნა  
თ. ციციშვილმა შინაგან საქმეთა მინისტრს გრაფ კაჩუბეის,  
ჩემის დაბრუნებით გულ-გახეთქილი ბატონიშვილები მალე  
გაეკლებიან მემამოხე მთიულებსა და ყველაფერი სასიამოვნოდ  
გათავდება. ესეც რომ არ იყვეს, შემოდგომა კარს მომდგარია  
და მემამოხეთ, მეტი რა ჯანი აქეთ, შეწყალება უნდა ითხო-  
ვონ, თორემ ტყესა და ხეობებში, საცა ზაფხულობით საქმელ-  
სასმელს ადვილათა შოულობდნენ, შიმშილით გასწყდებიან.

იმ დროს, როდესაც ასეთს ტკბილს და ყურისთვის სასია-  
მოვნო ამბებს იწერებოდა პეტერბურგსა, სულ სხვა ცეცხლი  
უტრიალებდათ გულში მთიულებს. ბატონიშვილი, თითქოს  
ციებ-ცხელებითაა აღზნებულიო, ისე მოქმედებდა და მხნობ-  
და. ფარნაოზმა დაინახა თავისი გაჭირვებული მდგომარეობა,  
მაგრამ სულით არ დაერდომილა და მხნობას უმატა, სწორედ იმ

<sup>5)</sup> ibid. გვ. 330.

გვარ კაცივით, რომელიც გულში გადასწყვეტავს და სასოწარ-  
კვეთილებით დაიძახებს: ან ეხლა, ან აღარასოდესაო. 16 ოქ-  
ტომბერს მთავარ-მართებელი ჯარით დაიძრა ტფილისიდან ანა-  
ნურისაკენ, კავკავიდან კიდეც მოდიოდა ქვეითის ჯარით, არ-  
ტილერიით და ყაზახთა რაზმებით გენერალი ნესვეტაევი. ნე-  
სვეტაევის უკან მოსდევდა გენერალი გლაზენაპი. ჯარი ნელის  
მარშით მოდიოდა წინა, არა ჩქარობდა, ჩახერგილ და გაოხრე-  
ბულ გზას ასწორებდა, თერგზე ხიდებს ჰმართავდა და თან მეთ-  
მობზე მთიულეებს ებრძოდნენ. ყაზახთა რაზმთა უფროსი პოდ-  
პოლკოვნიკი ბიხლოვი იძულებული იყო სათითაოდ იერიშით  
აეღო გამაგრებული ადგილები, დარჩალი, ლარსი, ყაზბეგი და  
სიონი, ანანურამდინ სისხლის ღვრა არ შეწყვეტილა და სო-  
ფელ სიონთან მოხდა დიდი თვალ-საჩინო ბრძოლა.

ბიხლოვი ცდილობდა მალე ჩაეგდო ხელში ყაზბეგის  
ციხე, რადგან ბატონიშვილი ფარნაოზიც აქეთკენ მოეშურე-  
ბოდა მთიულებით ამ ციხის დასაჭერად და გასამაგრებლად.  
ბიხლოვმა (დაასწრო ფარნაოზსა ყაზბეგის დაჭერა. ასე რომ  
ფარნაოზი იძულებული გახდა თავი შეეფარებინა ს. სიონის  
ციხე-კოშკებში. ბიხლოვმა აქ მთიულებს სძლია და მოუკლა  
100 კაცი და 5 ნ ტყვედ წაიყვანა. <sup>6)</sup>

ამბოხების ასპარეზი და მოედანი მარტო ჩრდილოეთის  
მხრით არა მცირდებოდა. სამხრეთიდანაც გამარჯვება ველარა  
ჰნახეს მთიულებმა. 20 აგვისტოდან დაწყებული ქ. დუშეთი  
თითქმის ხელში ჰქონდათ მთიულებსა, აქ გამართული ყაზარმა  
დასწევს და ბატონიშვილ ეახტანგის ვენახში ყურძნით პირს  
იმტკბანურებდნენ. კაპიტანმა მატუშევიჩმა დუშეთის ციხიდან  
გამოლალა მემამოხენი და კეისხევის მალლობებზე საშინლად  
დაამარცხა 2,700 კაცი, ასე მოგვითხრობს მატუშევიჩის ფორ-  
მულიარი. <sup>7)</sup> ამგვარად მემამოხენი ნელ-ნელა და ძალა-უნებურად  
იჯუჯგებოდნენ ანანურთან, სადაც ან უნდა შებმოდნენ მთი-  
ულნი რუსებს უკანასკნელად, ან დამორჩილებოდნენ. დუშეთის

<sup>6)</sup> Д—на Закавказ. 33. 370.

<sup>7)</sup> *ibid.* 369—370.



დაკარგვამ მეტად მოუცარა ხელი მეამბოხეთ, რადგან ამას შემდეგ ტფილისიდან თავისუფლად და გაუქირვებლად შეეძლო წამოსულიყო თ. ციციშვილს და კავკასიის გენერალის პოლკსა. ჩრდილოეთიდან მომდინარე ჯარს, ეტყობა, დუშეთის ციხის აღება უმნიშვნელო გარემოებად მიუჩნევია, და ალბად ამისათვის თვედორე ახვერდოვი, რომელიც გენერალ ნესვეტაევს ჰხლებია, სტეფან-წმინდიდანა სწერს თ. ერისთავსა, კარგს იზამთ მანდენდანაც ისე შეაწუხოთ და შეზხუთოთ მთიულეები, როგორც აქედან ჩვენ სულსა ვხდითო. წერილი მხიარულის კილოთია და წერილი, სწორედ იმ კილოთი, როგორიც შეეფერება გამარჯვებულს და ძღვევა-მოხილს სარდალსა, რომელსაც აღარაფრის შიში არა აქვს და მტერს ისე უტკერის, როგორც ყურ-მოკრილ მონას და მასთან შეხვედრა მწუხარების მაგიერ სიამოვნებას აგრძნობინებს ადამიანს. დუღარუკოს თავ-პირი დავამტვრიეთო, ატყობინებს ახვერდოვი ერისთავსა, მის სოფლებს ცეცხლი წაფუკიდეთ და ისე გადავბუკეთ, რომ ნატამალიც აღარ დარჩა. ჩვენ სამი ათას კაცზე მეტი ჯარი გვყავს და 30 ზარბაზანი გვაქვს. მოწინავე რაზმი ზარბაზნებით სტეფან-წმიდაშია და ორ დღეს მთელი ჯარი აქ მოიყრის თავსა. მაშინ კაცს გამოვგზავნი კაიშაურსა და ყველაფერს დაწვრილებით შეგატყობინებო. <sup>8)</sup>

როგორც მაღალს მთიდან დაგორებულ ქვას ძნელად თუ რაიმე გააჩერებს, ისე ბატონიშვილ ფარნაოზის და მთიულეების საქმე, რაც ხანი გადიოდა, უკან-უკან მიდიოდა, მხოლოდ, ეტყობა, ერთხელ კიდევ გაუღიმნია მათთვის ბედსა და თავიანთ საყვარელ სალოცავ ლომისასთან გაუმარჯვნიათ. ამ გამარჯვების ამბავი მეტის-მეტად მკრთალადაა და ბუნდოვანად მოთხრობილი აკტებში, ასე რომ კაცი ვერ მიხვდება, რა ღირსებისა იყო, ან რა ფასი ჰქონდა ამ გამარჯვებას. ანანურის სტრიკაპჩის ხოდირევსკის რაპორტიდანა სჩანს მხოლოდ, რომ მთიუ-

<sup>8)</sup> ახვერდოვის წერილი აკტებში რუსულადაა დაბეჭდილი და თავში აწერია, რომ ქართულიდანა ნათარგმნია. იხ. АКТЫ, т. II, 83-832.

ლებმა რუსის მხედრობა დაამარცხეს და მ ზარბაზანი წავსრო-  
 თვეს. ამას შემდეგ მემამოხენი მისულან ანანურს, გაჩერებუ-  
 ლან სამის ვერსის მანძილზედ და მოლაპარაკება გაუმართნიათ  
 კომენდანტთან. ამისაც რვა კაცი გაუგზავნია მოციქულად და  
 მათ შორის ერთი დეკანოზი. მემამოხეთ მოციქულები გაურე-  
 კიათ და დეკანოზისთვის კი ტანისამოსი შემოუხევიათ, წვერ-  
 ულვაში დაუგლეჯიათ, დაუჩეხიათ, მონარქისაგან ნაბოძი მკერ-  
 დის ჯვარი აუძვრიათ და ასე გაუპატიურებული და შერცხვე-  
 ნილი მოძღვარი თავიანთსას დაუტოვებიათ. ანანურის კომენ-  
 დანტისთვის კი შეუთვლიათ, გასწი, გავგეცალე, თუ სიცოცხლე  
 გინდაო, თუნდა მოზღოკსა, თუ არა—და ტფილისსაო. რისთვის ჩაი-  
 დინეს ასეთი საქციელი, რალა მარტო ამ მოციქულზე მოიღეს  
 თავიანთი რისხვა, რაპორტიდან არა სჩანს. წყალ-წაღებული  
 ხავსს ექიდებოდაო, ეგება ასე დაემართათ მემამოხეთ. რაკი  
 მტერი ყველგან ამარცხებდა, რაკი ველარ შეიმაგრეს მისი გა-  
 მარჯვებული წინ-მსვლელობა, სიბრაზისაგან გონება დაჰკარგეს  
 და ჯავრი ამ საცოდავ მღვდელზე იყარეს, ან ვინ იცის, შეი-  
 ძლება იმიტომ დაივიწყეს წესი და რიგი ელჩის და მოციქუ-  
 ლის პატივით მიღებისა, რომ მის მკედრზედ დაინახეს მტრისა-  
 გან ბოძებული ჯვარი, რაიცა ნიშნავდა რუსეთისადმი ერთგუ-  
 ლებასა.<sup>9)</sup>

რასაც გენერლები გლაზენაპი და ნესვეტაევი და მოწინავე  
 რაზმის უფროსი პოლკოვნიკი ბიხალოვი<sup>10)</sup> აკლებდნენ ბატო-  
 ნიშვილს ფარნაოზსა და მემამოხე მთიულეებსა, იმას მთაში გა-  
 გზავნილი მთავარ-მართებლის მიერ თ. მირიმიანოზ და სოლო-  
 მონ ერისთვიანი უსრულებდნენ. მათის წერილებიდანა და რა-  
 პორტებიდან ცხადადა სჩანს, რა მხნეობას და ენერგიას იჩენ-  
 დნენ ეს მოციქულნი. გაფაციცებით თვალ-ყურს აღევნებდნენ  
 ფარნაოზის ყოველს ნაბიჯს და, რასაც კი შეიტყობდნენ,  
 უმალ ან მთავარ-მართებელს აცნობებდნენ, ან კიდევ ჯა-  
 რის უფროსთა. მთას მოეფინა მათი ჯაშუშნი და სანდო კა-

<sup>9)</sup> *ibid.* გვ. 222.

<sup>10)</sup> ხან პოლკოვნიკადაა მოხსენებული ბიხალოვი და ხან პოდპოლკოვნიკად.



ცნი, საშველი აღარ იყო იმათგან. ესეც არ იკმარეს, ვინაჟამო ქულთ და მთიულთ დაუწყეს ჩაგონება, შეიპყარით ბატონი-შვილი, მთავრობას წარუდგინეთ და შესაფერ ჯილდოს მიიღებთო. მართალია, ზოგჯერ თავგამოდებით საესე პასუხს იღებდნენ მირმანოზი და სოლომონი, მაგრამ ასეთი პასუხი მათს მხნობას და ერთგულებას არ ამცირებდა. ხელმწიფე იმპერატორს პასუხს ვასცემთო, შეუთვალეს ერისთვიანთ თიანელებსა, თუ თქვენ მიწა-წყალზე გაატარებთ ფარნაოზსა და ხელ-ფეხ შეკრულს არ წარმოგვიდგენთო. თუ ჩვენ მამულზე გამოივლის ბატონი-შვილიო, შემოუთვალეს თიანელებმა, ხელსაც ვერ ვახლებთ ბატონიშვილსა და დაქერით ხომ როგორ გავებდავთ, ან როგორ შევკადრებთო.<sup>11)</sup>

შევიწროებული, სულ-შეხუთული ბატონიშვილი ფარნაოზი, დამარცხებული გენერალ ნესვეტაევისაგან, საჩქაროდ გაეცალა ხევსა, სადაც ტყვეობას და შერცხვენას ვერ აიცილენდა თავიდანა. ფარნაოზი გადიქრა ხევსურეთსა და ფშავსა, ეხვეწებოდა, ემუდარებოდა ამ გმირობით გათქმულ მთიულთ, ბედი ერთხელ კიდევ ვცადოთ, შევეუტიოთ რუსობასაო, მაგრამ ვერას გახდა, ხალხი აღარ გაჰყვა ბატონიშვილსა. თ. ციციშვილი ასე მოახსენებს ხელმწიფეს ამ გარემოებას, გული გაუსკდათ ხევსურთა და ფშავლებს ჩემის ერეგნიდან დაბრუნებითო და ამისათვის ბატონიშვილს უარი უთხრეს, ველარ შევებრძოლებით რუსობასაო.<sup>12)</sup>

მთავარ-მართებელი ზეცას დაეწია სიხარულით, რომ ხევსურებმა და ფშავლებმა უარი უთხრეს ფარნაოზსა, რის გამოც ბატონიშვილი იძულებული გახდა სპარსეთისაკენ გაქცეულიყო. ანაწურს რომ ამოველიო, მოახსენებს თ. ციციშვილი უქვეშევრდომილესად იმპერატორსა, საქმე გათავებული დამხვდაო. უჩემოდ მამაცმა გენერალმა ნესვეტაევმა და პოლკოვნიკმა ბიხალოვმა ბოლო მოუღეს შეამბოხეთ, თვითვეული მათი ბრძოლა სრული გამარჯვება იყო. შიშმა და თრთოლამ მოიკცა მემამბოხენი და ძრწიან

<sup>11)</sup> АКТЫ, т. II 331—332.

<sup>12)</sup> *ibid.* 33. 143.



საქართველოს  
ისტორიის

თავის მწარე ბედისათვის. ასეთის გამარჯვებისა და საზღვარ-  
მოქმედებისათვის მთავარ-მართებელი სთხოვს იმპერატორს დაა-  
ჯილდოვოს ნესვეტაევი მესამე ხარისხის ვლადიმირის ჯვარით  
და ბიხლოვი ამავე ორდენით, მხოლოდ მეოთხე ხარისხისა. მე  
აქ საქმე აღარა მაქვს-რა, მოახსენებს თ. ციციშვილი ალექსან-  
დრე I-სა, აჯანყების მოთავეთ გავბაწრავ და შემდეგ დიდსა და  
პატარა ლიახვზედ გადავალ, რათა დაეხსნა ტყვეობიდან რიშ-  
კოვის პოლკის ჯარის კაცნი, რეკრუტნი და აგრედვე ცხენე-  
ბიო. ეს ბრწყინვალე მოქმედებაო, ამბობს მთავარ-მართებელი,  
სრულიად არა ჰგავს საქართველოში დარჩენილ ჯარის მო-  
ღვაწეობას ჩემის აქ არ ყოფნის დროსაო. მაგრამ მარტო სა-  
ნუგეშებლად და იმპერატორის დასამშვიდებლად არაა დაწერი-  
ლი ეს მოხსენება. მთავარ-მართებელს მეტი შემთხვევა ეძლეოდა  
გამოეთქვა თვისი საყვარელი აზრი—უაღრესი ერთგულება ხელ-  
მწიფისადმი და აღენიშნა ის მწუხარება, რაიცა იმპერატორმა  
იგრძნო და გამოიარა თ. ვოლკონსკის მიერ მიწერილ მოუფიქ-  
რებელ მოხსენების გამო. გული მომიკვდა მწუხარებისაგან, სული  
ჩემი სევდამ მოიცვა, როცა გენერალმა ნესვეტაევმა შემატყობინა,  
რომ საქართველოსი და ჩემის გაჭირვებულის მდგომარეობით  
ერევანს თქვენ შეშფოთებულხართ და გენერალ-ლეიტენანტ  
გლაზენაპისთვის გებრძანებინათ, ყოველ დღე მოეხსენებინა  
თქვენთვის აქაური ამბები. მიზეზი ამ ჩემის ასეთის უბედურე-  
ბისა, რომელიც იმითი გამოიხატება, რომ შეშფოთდა მგრძნო-  
ბიერი და ჩველი თქვენი გული ისაა, რომ გენერალი თ. ვოლ-  
კონსკი, რადგან უფლება ჰქონდა უქვეშევრდომილესად მოე-  
ხსენებინა აქაური ამბები, მხლალ სომხებს და თავქარიან ქარ-  
თველებს მიენდო და მოგახსენათ ჭეშმარიტებას და სიმართლეს  
მოკლებული ცნობანი. სადაც ღმერთია, წმინდა სახელი თქვე-  
ნის იმპერატორებითის უდებულესობისა და ძლევა-მოსილი რუ-  
სეთის მხედრობა, განა შესაძლებელია იქ ადამიანი მოელოდეს  
რაიმე უბედურებასა?—ჰკვირობს მთავარ-მართებელი. საცა კი  
გაფჩნდია, ათავეს ასე თ. პავლე დიმიტრის ძე თავისს მოხსე-  
ნებას, ყველა დაწყნარდა, დამშვიდდა, ყველა შეწყნარებასა



და პატივებასა მთხოვდაო და მე მხოლოდ ის-ლა დამრჩენისა, რომ გამოვიკვლიეო, რა იყო მიზეზი საქართველოში აღრეულობისაო. 18)

ვიდრე თ. ციციშვილი აღრეულობისა და ამბოხების მიზეზს გამოიკვლევდა, ბატონიშვილ ფარნაოზს თავისს თავის გადარჩენისათვის უნდა ეფიქრნა რამე. ფიქრის დროც კი აღარ იყო, რაც შეიძლებოდა, მალე უნდა გასცლოდა სამშობლოს, თვის მიწა-წყალსა, რომლის სიკეთისათვისაც ჰფიქრობდა სისხლი თვისი დაეთხია.

მთიულეთიდან ბატონიშვილმა თავის ერთგულ მხლებლებით, რომელნიც უბედურებაშიაც თავს არ ანებებდნენ ფარნაოზსა, გასწია კახეთის გზით ერევნისკენ. გაქცევის დროსაც ბატონიშვილს ისეთივე შეცდომა მოუვიდა, როგორც მთიულეთში ასვლისას. იმის მაგიერ, რომ ხევსურეთიდან პირდაპირ დაღესტანს გასულიყო, კახეთზე წამოვიდა. ამ დროს კი კახეთი გაივსოა რუსის მხედრობით. ერევნიდან დაბრუნებული ლაშქარი ეხლა თავისუფალი იყო და ყველა საქირო ალაგას ჯარები და ყაზახები ჩაუყენეს. მთავარ-მართველმა უბრძანა ლაშქრობიდან დაბრუნებულ გენერალ-მაიორ პორტნიაგინს, ან ცოცხალი ან მკვდარი უნდა მომგვარო ბატონიშვილიო. პორტნიაგინმაც რაზმ-რაზმად დააწყო მის ხელქვეით მყოფი ჯარი და განაზნია კახეთში. ძნელი იყო უვნებლად გადარჩენოდა ასე სიფრთხილით გაბმულ ბადესა. თიანეთში კიდევ თ. ციციშვილმა ჩააყენა ყაზახდოს მუშკეტერის პოლკის კაპიტანი თ. სავარსამიძე ორის როტა ჯარით და ზარბაზნებით. ახსენა ღმერთი ფარნაოზმა და წამოვიდა კახეთზე, შეიტყეს თუ არა ჯაშუშების შემწეობით ბატონიშვილის ამოსვლა, პორტნიაგინი და თ. სავარსამიძე გამოეკიდნენ ლტოლვილ ფარნაოზსა. თ. სავარსამიძემ ქვეითი ჯარი და ზარბაზნები თიანეთს დასტოვა, შეჰკრიბა სუბუქი ყაზახთა რაზმი და წამოეწია კიდევ, მაგრამ ეხლაც, როგორც საწურბლესთან, სტიქიონმა იხსნა. ღამის წყვდიადმა დაჰფარა ფარ-

18) *ibid.* გვ. 334—335.

ნაოზი და ამ ხანად გადაჩა ტყვეობას. კაპიტანი თ. სავარსაძის მიძე პირში ჩალა-გამოვლებული დარჩა. შეიტყუა თუ არა მთავარ-მართებელმა, ბატონიშვილი ხელიდან გაუსხლტა პორტნი-აგინსა, თ. სევარსამიძეს და ნიავეით მიჰქრის სპარსეთისკენაო, მაშინვე ტფილისიდან აფრინა ახალი რაზმი მაიორ გოკოლოვის უფროსობით. რადგან უქართველოდ დაჭერა ბატონიშვილისა თითქმის მოუხერხებელი იქნებოდა, თ. ციციშვილმა თან გააყოლა ბრიგადირი თ. თამაზ ორბელიანი, ძმა იმერეთის დედოფლისა და მახლობელი ნათესავი ფარნაოზისა. <sup>14)</sup> დემურჩასალოსთან, ასე 40 ვერსის მანძილზე ქ. ტფილისიდან, ქვემოთ მტკვრის ჩაყოლება, თვესა ოქტომბერსა 1804 წელსა, ბრიგადირმა თ. თამაზ ორბელიანმა შეიპყრო ბატონიშვილი ფარნაოზი თავისის მხლებლებით. დემურჩასალოსთან აღვილი გასასვლელი ფონი ყოფილა, მაგრამ მაინც ბარე ორი დღე გაატარეს ლტოლვილთ მტკვრის პირზე და ვერ გაბედეს გასვლა. ყაზახელ აღა-მუსტაფას შეუთვალა ფარნაოზმა, მშვიდები ვიხოცებით, პატარა პური და ხორცი მოგვაწოდეთ და გასასვლელი ნავეები გვიშოვნეთ. პური და ღვინო კი მალე გაუზაფენა მუსტაფა-ალამ, მაგრამ ეტყობა, რადგან ნავეები არა ჰქონია მზადა, დროზედ ვერ მიაშველა და ამასობაში თ. თამაზ ორბელიანი, მაიორი გოკოლოვი, ბორჩალოს თათართა ბოქაულის თანაშემწე პრაპორშჩიკი ქანანოვი წამოეწივნენ და შეიპყრეს გაქცეულნი. <sup>15)</sup>

ტრაგედია შესაფერად ვერ დასრულდა და ნამდვილ კომედიად გარდაიქცა. ბატონიშვილის დამჭერელთ კინკლაობა და ჩხუბი მოუვრდათ, არა მე დაეჭირე, არა მეო. ყველასა სურდა დაემშვენებინა გულ-მკერდი სისხლის ჯვართა. განსაკუთრებით წიწმატობდა IX კლასის მოხელე მერაბოვი, ყაზახთა თათართა ბოქაულის თანაშემწე. ეტყობა, საქმე ისე გამწვავებულა, რომ მთავარ-მართებელი იძულებული გახმდარა პეტერბურგს ხელმწიფესთვის მიეწერა, ოთხი-ხუთი კაცი ერთმანეთს ედავება

<sup>14)</sup> დედანში ასეა: „Родной племянникъ царевичу по женѣ“.

<sup>15)</sup> *ibid.* გვ. 148; Д—აа Закавк. გვ. 370—371.



ბატონიშვილის დაქერას და ვიდრე საფუძვლიანად აღმოვაჩინებ, ვინაა მართალი და ვინ მტყუანი, ვერავის წარმოვადგენ დასაჯილდოვებლადო. ეს სასურველი გამოძიებაც მალე მოხდა, აღმოჩნდა, რომ ფარნაოზის დაქერაში თავი ისახელეს თ. თამაზ ორბელიანმა, მაიორმა გოკალოვმა და პრაპორშჩიკმა ქანანოვმა. ჯილდოც უხვი მიიღეს: თ. ორბელიანს ანნას ჯვარი მეორე ხარისხისა შეუცვალეს ამავე ხარისხის ჯვრითა, მხოლოდ აღმაზეებით შემკული უბოძეს, გოკოლოვს მესამე ხარისხისა და ქანანოვს მისცეს თერგის ყაზახთა ჯარის უპიტნობა. მეცხრე კლასის მოხელე მერაბოვი დარჩა ხახა-მშრალი. 16) კვი გუნებაზე ვერც საწყალი მუსტაფა იყო. რაკი ვერ გააპარა ბატონიშვილი სპარსეთს და მთავარ-მართველმა შეუტყო ცუდლუტობა, წერილი მისწერა, რუსების ერთგულობაში ამომდის სული, მუდამ ჟამს ვეძებდი შემთხვევას დამემტკიცებინა ერთგულობა და აი, როდესაც მომეცა შემთხვევა, ჩემი თავი არ დაეზოგე. საგძალი იმიტომ გავუგზავნეო, რომ ჩემზე დანდობილიყვნენ, იარაღიც და ცხენებიც იმიტომ ვუბრძანე მოეპარათ, რომ უფრო აღვილად შემეპყრო და სხვა ასეთი თავის მოკატუნების ამბავი. აქტებიდან სჩანს, რომ თ. პავლე დიმიტრის ძეს არ შეუწყნარებია ეს თავის გამართლება და, რაღა თქმა უნდა, თავისებურად გაუწევდა ანგარიშებს ასეთის რუსების ღალატისა და ფარნაოზის ერთგულობისათვის. 17)

დემურჩასალოს გაბაწრული ბატონიშვილი ფარნაოზი თავის მხლებლებით თ. ორბელიანმა ტფილისში ჩამოიყვანა და წარუდგინა მთავარ-მართველს. 18) კაბუკი ფარნაოზი ციხეში ჩააბ-

16) მერაბოვზე ასე მოახსენებს თ. ციციშვილი ხელმოწიფეს, როცა მუსტაფა-აღამ საგზალი გაუგზავნა ბატონიშვილსა; „Мерабовъ о томъ ничего не вѣдалъ“. იხ. АКТЫ, т. II, გვ. 144.

17) *ibid.* გვ. 142, 144.

18) ფარნაოზთან ერთად დიპლომატიკის არქივანდრიტი იოსტოს ანდრონიკაშვილი. თავადიშვილი: ალექსანდრე კავკაზაძე, ნინია თარხნიშვილი, ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, ნინია ანანიშვილი, მერაბ ანდრონიკაშვილი, დიმიტრი ვახვახიშვილი, გრიგოლ ვახვახიშვილი და გრ. ნათალიშვილი. აზნაურნი: ნინია დუქაძე, მთიულეთის მოსურავი ზაალ კობიაშვილი, იმერელი ივანე და ოსი დუღეთი. ამათ გარდა ახლდა ბატონიშვილს 13 კაცი გლეხი: ოსი და ქართველი და თავადებს—5 კაცი-



ძანეს და ულუფად მთავარ-მართებელმა დღეში 5 მან, დაუნიშნა, იულონზე ნაკლები ხუთი მანეთით, იმიტამაო, სწერს თ. ციციშვილი გრაფ კოჩუბეის, რომ ფარნაოზმა იულონზე გაცილებით მეტი ზარალი მოუტანა საქართველოსაო. ფარნაოზს არ მიუღია მთავარ-მართებლის წყალობა, უარი უთქვამს მის მიერ დანიშნულ ულუფაზე. ამ ამბით ისე გაცეცხლებულა და გაკაპასებულა თ. პავლე დიმიტრის ძე, რომ წერილით შეურაცხება მიუყენებია. გამოუცხადე ჩემს მაგიერად, უბძანებს თ. ციციშვილი თ. ვალკონსკის, დაუბრუნოს გაბრიელ ყაზბეგს, რაც რამ ნივთები წაართვა და უთხარიო, რომ ძარცვა-გლეჯას და ავაზაკობას ხელმწიფის ულუფის მიღება სჯობიანო. <sup>19)</sup>

ფარნაოზმა არც ციხეში მოისვენა და ერთ ვაი-ვაგლახს უტყხავდა მთავარ-მართებელსა. სულ ხუთი თვე იყო ციხეში დატუსაღებული ფარნაოზი და, ღმერთმა უწყის, რამდენჯერ დააკარგვინა მოთმინება თ. ციციშვილსა. ერთხელ მოახერხა და ვილაც მეგობარს წერილი მისწერა, ორი ცხენი შემიგულე ქალაქს გარედ, გაპარვას ვაპირებო, მეორედ წერილი გაუგზავნა უცნობ მეგობარსა და ემუდარებოდა, საწამლავი რამ მიშოვნე, აქ სიცოცხლეს სიკვდილი მიჩვენებიაო. რუსეთში გაგზავნის ჟამმა რომ მოატანა, თ. ციციშვილმა ფული გაუგზავნა ორთავ ძმებსა—იულონსა და ფარნაოზსა—სამგზავროდ და ქურქები. ფარნაოზმა არცერთი არ მიიღო, თავი დამანებეთ, თქვენნი არა მინდა-რაო. მეტი ჯანი არ იყო, მთავარ-მართებელმა უბრძანა ძალად წამოესხათ ქურქი, რადგან აპრილის პირველ რიცხვებში სიცივით გაიყინებოდა საქართველოს სამხედრო გზაზედ უქურქოდ. მაინც ვერ მოითმინა და საყვედურით დაარჩო თ. ციციშვილმა ფარნაოზი ურჩობისათვის: ხელმწიფის საჩუქარს რომ უკადრისობ და ყველაფერს იწუნებო, აბა ვაიხსენე, შენ და შენმა უგანათლებულესმა ძმებმა რამდენი უბედურება მიაყენა საქართველოსაო. წყალობის ღირსი არა ხარ, როგორც მეამბოხე, მაგრამ მე მაინც 150 ბაჯადლო ოქროს გიგზავნი და ოთხ ქურქსაო. ამას შემდეგ არც თქვენგან და არც თქვენ მეუღლისაგან არავითარ წერილს აღარ მივიღებო. <sup>20)</sup>

<sup>19)</sup> იბ. АКТЫ, т. II, № 143.  
<sup>20)</sup> ibid., № 146.



1805 წელს აპრილში თ. ციციშვილმა იულონი ნაოზი რუსეთს გაისტუმრა, ბინად იულონს ქ. ტულა აუჩინეს და ფარნაოზს ვარონეჟი, სატახტო ქალაქიდან უფრო მოშორებით, ვითარცა იულონზე უფრო მომეტებულიად დამნაშევებს. დღეში იულონს 15 მანეთი ეძლეოდა სახარჯოდ და ფარნაოზს 10 მ. ორთავ უმაღლესნი ტუსალნი თავიანთი სახლობით მთავარ-მართებელმა ჩააბარა ვასილიევს და უბრძანა დანიშნულ ალავას უვნებლად მიიყვანო. გზის საჭირო ხარჯი ისეთის დაწვრილებით და სიმტკიცით გამოიანგარიშა თ. ციციშვილმა, აღამიანს ეგონება, საქართველოს მთავარ-მართებელი მეაფთიქესთან ყოფილა შეგირდად და იქ უსწავლია ზუსებით და სიმტკიცით ყველაფრის აწონ-დაწონვა. სულ ორთავ ბატონიშვილების გადაყვანას რუსეთსა და იქ—ტულასა და ეორონეჟს—დაბინავებას მოუწდა 5,116 მ. 30 კაპეიკი. ასე იათად დაუჯდა მთავრობას ამ ორ მემბოხისა და საქართველოს ტახტის მიძიებელის ბატონიშვილების დაბინავება ისეთს ალავას, საიდანაც საქართველოს ხმასაც ვეღარ მოაწვდენდნენ, არამც თუ კიდევ რაიმე მდელვარება და ამბოხება გამოეწვიათ თავიანთ ქვეყანაში.<sup>21)</sup>

ასე დასრულდა მათი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა.

ა. ფარანელი

(დასასრული იქნება)

<sup>21)</sup> უმნიშვნელოდ არ მიგვაჩნია მოვიყვანოთ აქ იმათი სახელები, ვინც ბატონიშვილებთან მწარე ბედს თავისი ბედი შეუერთა და ნებსით თუ უვნებლეთ საშობლოდან გადახვეწა იკისრეს: იულონის მეუღლე სალომე, შვილიხი მათნი: ლუარსაბ და დიმიტრი, თამარ და ერთიც მცირე-წლოვანი ქალი; ამაღა: მღვდელი, მთავარი ანდრია, ექიმი სტეფანე; ახნაურნი: დავით აბაზაძე, ავთანდილ აბაზაძე, ნონია არისოვი(წ); მღვდლებნი: ნონია მეტრეველი და ივანე ალამდაროვი; მზარეული ჭრისტესია, დალაქი მათე; მოახლენი: ძიძა სანდომისი, თვალღამაზისი, დედოფლისყული, იშედისყული, პირმარგალიტისა, დაღარიმი და გულდასაპა.

ფარნაოზის სახლობა: მეუღლე ანა; ოთხი მცირე-წლოვანი ქალი; ამაღა: მოძღვარი, მთავარი ანდრია; ახნაურნი: ერალი შანშიევი და ანდრია ილექსევი; მოსამსახურე მარკოზა ფარეშევი; მზარეული გლაბა; ახნაურის ქალი ანა სულხანიშვილისა; გოგოები: ძიძა თინათინა; ნანბა, მარინე, კიკიძისა, თვალღამაზისა და მამისყული. იხ. АКТЫ, Т. II, 83. 146—147.

## ქერძო თაოსნობა და ჩვენი ქალები

ამას წინად დაბეჭდილ წერილში\*) ის დედა-აზრი დავა-საბუთეთ, რომ ეხლანდელ დროში ქვეყნად არსებობისათვის აუცილებლად საჭიროა განვითარებული ქკუა და გამჭირახი გონება, რომელიც მოიპოება მხოლოდ განათლებით; რომ განათლება არის ერთად-ერთი საღსარი ეკონომიურად აღორ-ძინებისა და ხალხის ყოველ-გვარ ბედნიერებისა; რომ გაუნათ-ლებელი ერი ძალაუნებურად უნდა ამოსწყდეს, რადგანაც ყო-ველთვის დამარცხებული იქნება „არსებობისთვის ბრძოლაში“. აქედან ის საბოლოო აზრი დავასკვნით, რომ საჭიროა ვი-ზრუნოთ ჩვენის ხალხის განათლებისათვისა-მეთქი. განათლება ისეთი რთული საქმეა, რომ მარტო მთავრობა აქ ვერას გაარი-გებს, თუ საზოგადოებამაც არ ამოუჩინა, როგორც ქონებრივი, ისე ზნეობრივი დახმარება. მთავრობას სხვა ათასი რთული სა-ქმე აქვს თავს მოხვეული, რომელიც მოითხოვს აუარებელ ხარჯს, დროსა და ენერჯიას; მთავრობა ვერ იზრუნებს მარტო განათლებისათვის. ამიტომაც ყველგან, დაწინაურებულ ქვეყნებ-ში, კერძო თაოსნობას სწავლა-განათლების საქმეში ფართო ასპარეზი აქვს დაჭერილი. ჩვენ სხვებზე მეტად გვეჭირვება იგივე კერძო თაოსნობა. ამაზე სიტყვას აღარ ვავაგრძელებდი, რომ ქართველ კაცს ერთი დიდად მანებელი ზნე არა სჭირდეს. ეს სულ სხვას შესჩერებია თვალეში და მის ლოდინშია, აბა რო-დის ჩამივარდება პირში მწიფე მსხალიო. დროა მოვიცილოთ ეს ცუდი ზნე, თუ ჩვენის თავის სიკეთე გესურს. ძალა-უნებუ-

\*) „კერძო თაოსნობა სწავლა-განათლების საქმეში“, „მოამბე“ 1895 წ. № 6.



რად მაგონდება ხალხის ერთი თქმულება: კაცი წყალში ჩაიხვე-  
ბოდაო და ღმერთს შეევედრა: მიშველეო; ღმერთმა უპასუხა:  
გაანძრიე ხელები და მეც მოგებმარებო. სწორედ ამ ბრძნულს  
თქმულებაში გამოიხატება კერძო თაოსნობის მნიშვნელობა.  
თუ კაცი თავის თავისათვის თვითონ არა ცდილობს, თვის ბე-  
დნიერებისათვის თვითონ არ იღვწის, ერთი მიზრძანეთ, სხვა  
რად იზრუნებს მისთვის?

ეხლა იმაზე მინდა ვთქვა ორიდღე სიტყვა, თუ ვინ უნდა  
წარუძღვეს წინ ხალხს იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც  
არის სწავლა-განათლება. წინადაც მოგახსენებდით, და ეხლაც  
ვიტყვი, რომ აქ ერთი და ორი კაცი, თუნდ ათიც, გენიოსე-  
ბიც რომ იყვნენ, ვერას გაარიგებს; აქ საჭიროა კოლლექ-  
ტიური ძალა ყველა განათლებულთა ქართველთა. მადლობა  
ღმერთს, ეხლა ბლომად არიან ამისთანანი. ჩემის ფიქრით,  
პირველად ეს საქმე უნდა იდგას თავს ჩვენმა სამღვდელოებამ.  
ეს წოდება დღეს დიდი ძალაა; ვამბობ, „დღეს“, იმიტომ რომ  
ეხლანდელი სამღვდელოება სანახევროდ, თუ მეტად არა, გა-  
ნათლებულთაგან შესდგება. ამათ უნდა მიჰყვნენ მასწავლებელ-  
ნი, ნამეტურ სოფლის მასწავლებელნი, რომელნიც აგრედვე  
დიდ ზნეობრივ ძალას წარმოადგენენ. ამათ უნდა დაეხმარონ  
ყველა ისინი, რომელთაც რაიმე კავშირი აქვთ ხალხთან,  
მაგალ., მომრიგებელნი შუა-კაცნი, (мировые посредники) და  
სხვანი. ყველა ამათს წმინდა მოვალეობას შეადგენს, შეაგო-  
ნონ ხალხს სწავლის საჭიროება და ამ აზრისთვის ფულის გამო-  
ღების საჭიროება შეძლების გვარად.

მაგრამ ყველაზე მეტს შემწეობას ამ საქმეში აღმოგვიჩენდ-  
ნენ ქალები, რომ, საუბედუროდ, ისინი ჯერ ტკბილ ძილში  
არ იყვნენ. ვის არ მოეხსენება, თუ რა დიდი ძალაა ქალი-  
ყოვლად შემძლებელნი გმირნი, უშიშარნი მებრძოლნი, ხში-  
რად ქალების ყურ-მოქრილი ყმანი ყოფილან. ქალის ძალა  
ჩვენს ხალხსაც კარგადა აქვს შეგნებული: დედა-კაცმა თუ გაი-



წია, ცხრა უღელი კამეჩიც ვერ დაიკავებსო. აქ იმის კვლევას არ შევუდგები, სად, რომელ ქვეყანაში რა სიკეთე დაუთესია ქალს, ან რა დიდი სამსახური გაუწევია კაცობრიობისათვის. ეს ერთობ შორს წაგვიყვანდა. ვიტყვი მხოლოდ, რომ არც ერთი დიდი საქმე არ გაკეთებულა ქვეყანაზედ, რომ მამა-კაცთან ერთად დედა-კაციც არ რეულიყოს შიგ. მაგალითად, ქრისტიანობა ავიღოთ. მთელი ისტორია ქრისტეს რჯულის გავრცელებისა წარმოადგენს აუარებელს მაგალითს ქალის თავ-განწირულის მოქმედებისას ამ ასპარეზზე. მამა-კაცთან ერთად დედა-კაცი იმდენ სულის ძალას იჩენდნენ, რომელსაც განცვიფრებაში მოჰყავდა ურჯულონი (მოიგონეთ წმ. ქეთევანის წამება). ნეტავი რა იქნებოდა დღეს ოთხასი მილიონი საქრისტიანო ერი, რომ ქალებიც არ ჩარეულიყვნენ ამ დიდს საქმეში?

ყოველ კეთილ-გაწყობილ ქვეყანაში მამა-კაცთან ერთად ქალიც გამოადის სამოქმედო ასპარეზზე. ჯერ მარტო ის წარმოიდგინეთ, რა ოჯახია ის ოჯახი, სადაც მხოლოდ მამა-კაცი მუშაობს, და დედა-კაცი კი გულ-ხელ დაკრეფილი ზის და ქამასმის მეტს არას აკეთებს? რაც ოჯახზე ითქმის, იგივე ითქმის მთელს ერზე; ერიც იგივე ოჯახია, მხოლოდ დიდი კი. ქალია ოჯახის სულის ჩამდგმელი, ქალია ერის სული, მისი სიცოცხლის უმთავრესი ძარღვი. სადაც ქალი არ ვარგა, იქ არც ოჯახი ვარგა, არც ერი. თუ ჩვენმა პატარა ერმა მთელი საუკუნოები განვლო და დღეს კიდევ სული უდგია, უნდა უმადლოდეს თავისს შესანიშნავს ქალებს. უწინ ქართველი ქალის სახელი შორს იყო განთქმული. მისი შეურყეველი პატიოსნება და თავ-განწირული სიყვარული ოჯახისა და მამულისა დიდს პატივსა სდებდა მთელს ქართველობას. ქალი იყო ნამდვილი დედა-ბოძი საქართველოს ცხოვრებისა; იმაზედ ტრიალებდა მთელი შინაური ცხოვრება ამ ქვეყნისა. ქალი გახლდათ აღმზრდელი და სულის ჩამდგმელი იმ ვაჟ-კაცთა, რომელნიც ისეთის თავ-განწირვით და სიმამაცით იცავდნენ თავისუფლებას და ქრისტეს რჯულს. მამა-კაცებს, როგორც მოგვხსენებათ, არა სცალო-



დათ სახლისათვის: ისინი მუდამ ლაშქრობაში იყვნენ. ვინ ჰმართავდა ამ დროს საქართველოსა? ვინ იყო მისი მფარველი ანგელოზი, მისი სიწმინდისა და ზნეობის შემნახველი, მისის ახალ-თაობის აღმზრდელი? ქალი. საქართველო ქალითა სცოცხლობდა. უწინდელი ქალი ნამდვილი მეუღლე იყო მამა-კაცისათვის, ესე იგი, ისე ეწეოდა ცხოვრების ჯაპანს, როგორც მამა-კაცი. მისის წარმოდგენით ოჯახი და მამული ერთი იყო, როგორც პირველი უყვარდა, ისე შეორე. ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ ის ძლიერი ალტრუისტული გრძნობა, რომლითაც გამსჭვალულნი იყვნენ ჩვენი ქალები. იმისთანა რაინდი ქალები, როგორნიც იყვნენ, მაგალითებრ, მრავალ-ტანჯული ქეთევან ან გამოჩენილ გმირთა, ხერხეულიძეთა დედა, რომელიც ერთის მოკლულის შვილის მაგიერად შეორეს ჰგზავნიდა ბრძოლად, სანამ ყველანი არ დაიხოცნენ, სულაც არ იყო იშვიათი ამბავი ჩვენს ცხოვრებაში. ამათთანა ქალები რომ ჩვენს ხალხს ბევრი არა ჰყოლოდა, განა შესძლებდა იმ უდიერ მტრების მოგერებას, რომელნიც ყოველ მხრიდან თავს ესხმოდნენ?

ერთი ნასწავლი ამბობს, ვაი იმ ერს, რომელსაც ქალები არ უვარგანანო. აქ რომ საქმე ეშხიან თვალეზზე და კოკობ ტუჩებზე იყოს, იცოცხლეთ, ჩვენ დაწინაურებულნი ვიქნებოდით, ჩვენოდენი ქარგი ქალი სხვას ვისა ჰყავს? დარეინი ამბობს ერთ ალაგას: თუ რომ სპარსეთში ლამაზი კაცი შეგხვდათ, იცოდეთ, რომ იმას ან დედა, ან ბებია ქართველი ქალი ჰყოლიაო. აი რა აზრისა იყო გამოჩენილი მეცნიერი ჩვენის ქალების სილამაზეზე. საუბედუროდ, მარტო გარეგანი მშვენიერება არა კმარა, და ზემო ნათქვამი სიტყვები შეეხება არა ხორციელ სილამაზეს, არამედ სულიერს. აი სწორედ ამ მხრითაც მაღალ წრეზედ იდგნენ ჩვენი უწინდელი ქალები. რა ვთქვათ ეხლანდელეზზე? ერთი მზგავსება-ლა შეჩინიათ ეხლანდელ ქალებს ძველებთან: გარეგანი შეხედულება—სახის სილამაზე, (თუმცა, ვგონებ, ამითაც ძალიან დაიხიეს უკან).

რაც შეეხება სულის მშვენიერებას, აქ კი სრული გადაგვარებაა. წარმოდგენაც კი გიძნელდება იმისი, რომ დღევანდელი ზანტი, უმოქმედო და საზოგადო ინტერესებს მოკლებული ქართველი ქალი უწინდელ ენერგიით და სიცოცხლით სავეს ქალისაგან წარმოსდგა. დააკვარდით ჩვენს ცხოვრებას, აიღეთ რომელიც გინდათ საზოგადო საქმე, — არსად ქალის ქაჭანება არ არის. ხან-და-ხან ასე გგონია, ჩვენი ქალები არც კი არსებობენ ქვეყანაზეო. მიბრძანეთ, რაში სჩანს მათი სიცოცხლე? რომელი საქმე ამჟღავნებს მათს ქვეყნად არსებობას? ცოცხალი კაცი იმით იცნობება, რომ აკეთებს რასმე, გარნა, მიბრძანეთ, რას აკეთებენ ჩვენი ქალები, რა აზრს, რა იდეალებს ემსახურებიან? აქ ანგარიშში მოსატანი არ არის თითო-ორიოლა მოღვაწე ქალი; მე მოგახსენებთ ჩვენ განათლებულ ქალების უმრავლეს ნაწილზე. რასაკვირველია, არც მამა-კაცები სწყვეტენ ციდან ვარსკვლავებს, ამათშიაც ბევრია საზოგადო საქმისადმი გულ-შეუტკივარი, პირადის ინტერესების მიმდევარი, მაგრამ დაგვიფაროს ღმერთმა ისეთის საერთო უმოქმედობისაგან, საერთო ძილისაგან, როგორიც ჩვენს ქალებს სჩვევია: მამა-კაცებსაც რომ ისე ეძინოთ, როგორც ქალებს, მაშინ ხომ ჩვენში არავითარი წარმატება არ იქნებოდა. მართალია, ბევრი არაფერი საქმეა ჩვენში გამოწყებული საზოგადო ხასიათისა, მაგრამ რაც კი არის, ისიც მხოლოდ მამა-კაცების წყალობით. აიღეთ თუნდ ლიტერატურა: გარდა ერთი-ორის ქალისა ვინ მოღვაწეობს ამ ასპარეზზე? სულ მამა-კაცები. თუ დღეს ჩვენი ლიტერატურა, ცოტად თუ ბევრად, აღორძინებულია და სიცოცხლის ნიშანწყალი აჩვენა, უნდა ვუმაღლოდეთ მამა-კაცებს, ქალებს აქ არავითარი წილი არ უდევთ. მაგრამ ლიტერატორობა მძიმე საქმეა; ავიღოთ უფრო იოლიანი ასპარეზი — სწავლა-განათლების საქმე. განა რომ ფართო ასპარეზი აქვთ აქ ჩვენს ქალებს გადაშლილი? თუ სხვაგან არა, აქ ხომ აუარებელის სარგებლობის მოტანა შეეძლოთ ჩვენს განათლებულ ქალებს; მერე როგორ ისარგებლეს ამ ასპარეზით? რამდენი უფასო ბიბლიოთეკა, საკვირაო ან საღამური სკოლებია მათის თაოსნობით ჩვენში



დაარსებული? რამდენი ასი ათასი წიგნია მათგან ნათარგმნი, გადმოკეთებული ან შედგენილი და ხალხში გავრცელებული? სად ან რომელ ადგილს უკითხავენ ისინი უმეცარ ხალხს სასარგებლო წიგნებს? პასუხი ამისა თვით ქალებისთვის მივიღო-დვია.

შეიძლება ნებით ან უნებლიეთ შეცდომილს აზრს ვლადებდეს, შეიძლება ცილსა ვწამებდეს ჩვენს ქალებს; შეიძლება ისინი დიდს საქმეებსაც აკეთებდნენ, მაგრამ მე კი არაფერი ვიცოდე. ღმერთმა ქმნას, რომ ეს ასე ყოფილიყოს, სიხარულის მეტი არა დამრჩება-რა მაშინ, მაგრამ ვაი რომ ფაქტები სხვას ჰღალატებდნენ. მოვიყვანოთ ზოგიერთი მათგანი: ოცი წელიწადია, რაც ჩვენში „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ დაარსდა მამა-კაცების თაოსნობით. რა შემწეობა აღმოუჩინეს ჩვენმა ქალებმა ამ ფრიად სასარგებლო დაწესებულებას? არაფითარი. აგერ ათი წელიწადია, რაც პატივცემულმა მ. ვ. ორბელიანისამ დედათა სკოლის დაფუძნება განიძრახა ტფილისში და ამ აზრით მიჰმართა ყველა გულშემატკივარს შემწეობისათვის. გვეგონა, ჩვენს ქალებს გაეღვიძებოდათ და დატრიალდებოდნენ, რადგანაც, რაც უნდა იყოს, „დედათა სკოლა“ უფრო ხვდება მათს გულს, ვიდრე საზოგადოდ „სკოლა“. მაგრამ აქაც გაგვიცრუვდა იმედები: ათის წლის განმავლობაში მეთედვიც კი არ შეუკრებიათ იმ თანხისა, რომელიც საჭიროა სკოლის დაარსებისათვის. ეს ტფილისში; ეხლა ქუთაისს გადავიდეთ: ამ ათისა თუ თორმეტის წლის წინად ჩვენმა ქუთათურმა ქალებმა განიზრახეს თვიურის ჟურნალის დაარსება; ნებაც მოუვიდათ და კიდევ დაიწყო ჟურნალმა გამოსვლა „ქართულ ბიბლიოთეკა“-ს სახელწოდებით. ჟურნალმა იმ თავითვე საზოგადოების თანაგრძნობა დაიმსახურა; ხელის-მომწერლებიც საკმაოდ აღმოუჩნდნენ; ჩვენს სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა. მაგრამ არ გასულა ორი წელაწადი და ჟურნალი მოისპო.

ამ სამის წლის წინად ქუთაისში დიდის ამბით გაიშარა საკვირაო სკოლა აქაურს ახალგაზდა ქალების თაოსნობით. საზოგადოება დიდის აღტაცებით მიეგება ამ დიდად სასარგებლო საქმეს. შეგირდების რიცხვმა ასს გადაამეტა პირველ კვირაშივე. ოც-და ხუთამდე ქალ-ვაჟი ჩაეწერა მართო მასწავლებელთა სიაში. ერთის სიტყვით, საქმე გაჩაღდა. მაგრამ... არ გასულა წელიწადი, ქალებს რაღაც კინკლაობა მოუვიდათ და საქმე იმით დაბოლოვდა, რომ ოც და ხუთ მასწავლებელში სკოლას შერჩა მხოლოდ სამი მასწავლებელი (დამფუძნებელი) და სხვებმა კი თავი დაანებეს ძალაუფლებურად ამ დიდად საჭირო საქმეს. შეგირდების რიცხვი განახევრდა კი არა, გამე-სამედლა კიდევ.

სულ უკანასკნელ ამბავს მოგახსენებთ ჩვენის ქალების მოღვაწეობისას: შარშანწინ, როდესაც უფასო ბიბლიოთეკების დაარსება ჩვენში თითქმის მოღად გადიქცა, ჩვენმა ქუთათურმა ქალებმაც სჭყიტეს თვალები. თუ კი გურულებმა ხუთ-ექვს ადგილას დაიარსეს უფასო სამკითხველოები, ჩვენ რაღა გავვიჭირდა იმისთანაო, სთქვეს ჩვენმა ახალგაზდა ქალებმა, რომ ერთი სამკითხველოც ვერ დავაარსეთ ამოდენა ქალაქისათვისა. სთქვეს და შეუდგნენ კიდევ საქმეს; სულ რაღაც ორისა თუ სამის თვის განმავლობაში შეჭკრიბეს საჭირო თანხა. მას აქეთ, ბატონო, ვუყურებთ, ვუყურებთ, თვალები გამოგვიღამდა მაგრამ სამკითხველო კი არსადაა. არ ვიცით, ან ის შეკრებილი ფული რა იქნა, ან ფიქრობენ რასმე თუ არა ჩვენი ქალები ამ საქმის თაობაზე. უშველოს ღმერთმა, ისევ ქალაქის თვითმართველობა მიხვდა, რომ ამოდენა ქალაქს კი ეკადრება ერთი სამკითხველოვო და კიდევ დაარსა, მაგრამ რა? აქ დაიარება ეგრედ წოდებული „чистая публика“, და, რაც შეეხება ჩოხა-ახალოხიანებს და უკალოშოებს, ისინი ვერც-კი ჰბედავენ იქ შესვლას. ამნაირად ისინი, ვისთვისაც საჭირო იყო სამკითხველო, კიდევ ცარიელზე დარჩნენ. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ის როგორღა ავხსნათ, რომ ჩვენი განათლებული ქალები არავითარ მონაწილეობას არ



იღებენ იმ საქმეშიაც კი, როგორც არის, მაგალითებზე, იმ ფასიან წიგნების ბეჭდვა და მათი გავრცელება ხალხში. ეს ხომ დიდს ნიჭსა და შრომას არ თხოულობს? წარმოდგინეთ, რომ აქაც კი მართო მამა-კაცები მოღვაწეობენ. ეინ არიან ყველა ეს თავართქილაძეები, ჭიჭინაძეები და სხვანი? ერთის სიტყვით, რომელი საქმეც უნდა აიღო საზოგადო ხასიათისა, ქალი არსად არ ურევია.

აბა, ავიღოთ ახლა სხვა ქვეყნების მაგალითები; ვნახოთ, თუ იქაც ისე უსაქმურად სხედან ქალები, როგორც ჩვენში. თავი დავანებოთ საზღვარ-გარეთელ ქალებს, ისინი ერთობ მაღლა სდგანან განათლების წრეზე, და ჩვენს ქალებს საბაზი მიეცემათ სთქვან: ჯერ ისე გაგვანათლეთ, როგორც ისინი არიან განათლებულნი, და მერე გვისაყვედურეთო. არა, შორს ნუ წავალთ, რუსის ქალები ავიღოთ მაგალითად. ესენი ხომ დიდად არ არიან წინ წარსულნი ქართველ ქალებზე. მოგეხსენებათ, რომ ჯერ-ჯერობით რუსეთში სწავლა-განათლება საზოგადოდ სუსტად არის გავრცელებული; ნამეტურ დაბლა სდგას ქალების განათლება (იხილეთ ჩემი წინა სტატია, „მოამბე“ № 6, 95 წ.); მაშასადამე, თუ ჩვენის ქალების უსაქმურობა შედგება სუსტის განათლებისა, იგივე ნაკლი უნდა სჭირდეთ რუსის ქალებსაც. აბა გაუგონოთ, რას ამბობს ცნობილი მწერალი ი. აბრამოვი ამის თაობაზე: („Недѣля“ № 30, 1895 წ. სტატია: „Гимназисты и гимназистки“).

„გინც კი დაჭკვირვება პროკინციის ცხოვრებასაო,—ამბობს აბრამოვი,—დამეთანხმება, რომ, რაც კი რამ კარგი კეთდება ესლანდედ დროში პროკინციებში, უმეტესად ქალებსაგან კეთდება. მაგალითად, ავიღოთ ხალხის განათლების საქმე, რომელიც თან-და-თან მკრ თანაგრძნობას ქმარულსს საზოგადოებაში. ეს ფრიად დიადი საქმე უმეტეს ნაწილად მთლად ქალებს აწევს ტვირთად. \*) საკვირაო თუ საღამურა (вечернія) სკოლები, სახალხო ბებლიოთეკა-

\*) ხანები სიტყვებ ქვეშ ჩვენ გვიკუთვნის.

ბი, სახალხო წიგნების საწეობნი და სხვა ამგვარი გონების აღმშენებელი დაწესებულებანი, რომელნიც შექმნა გონება-განათლებულად-მიანთა კერძო თაოსნობამ და მათმა უნგარო შრომამ, სულ ქალების საქმეა, ნამეტურ გიმნაზიებში ახლად კურს დამთავრებულ ქალების საქმე. სწორედ ესენი არიან მათის სულის ჩამდგმელნი, ხელმძღვანელნი და მმართველნი. მაგალითად მოვიყვანოთ ორ-სამ ზრუნვინდალურ ქალაქს: ხარკოვიში არსებობს სამი საკვირაო სკოლა, ორი ქალებისათვის და ერთიც კაპებისათვის. ამ სამ სკოლაში სწავლობს 800 მოწაფე; აქვე არის ქალებისათვის საღამურის სკოლა 200 მოწაფით. ყველა ეს სკოლები დაფუძნებულია კერძო თაოსნობით; საქალებო სკოლები—დედა-კანტაგან და სკაფო—მამა-კანტაგან, მაგრამ ქალების წახედურობით კი. ყველა ამ სკოლებში მოღვაწეობს სრულიად უსასუიდელოდ 120-დე ადამიანი, რომელთა შორის მხოლოდ ათია მამა-კანტი, დანარჩენები სულ ქალებია. ხარკოვიშიც დაფუძნებულია სამი უფასო სამეითსკელო-ბიბლიოთეკა, და არსებული იმავე კერძო თაოსნობით. ჟერ მარტო ზირველ სამეითსკელოსა ჭეჯს 80-დე ხელმძღვანელი, რომელთა შორის ათი მამა-კანტი და დანარჩენი კი ქალები. მარტო ხარკოვის საზოგადო ბიბლიოთეკაში მუშაობს სრულიად უფასოდ 40-მდე ახალგაზდა ქალი.

აქვე არსებობს ურთი-ერთ შორის დამხმარებელი საზოგადოება მასწავლებელთა და აღმზრდელთა, რომელიც დიდს შუქსა ჭეფენს შთელს სამხრეთ რუსეთსა; ამ საზოგადოების წევრებად მარტო ქალები ითვლებიან.

ტფილისში ადგილობრივ გიმნაზიებში კურს-დასრულებულმა ახალგაზდა ქალებმა ამ რამდენისამე წლის განმავლობაში დააარსეს ორი საკვირაო სკოლა, ერთიც ყოველ-დღიური, სახალხო ბიბლიოთეკა, სახალხო წიგნების საწეობი და ურთიერთ-შორის დამხმარებელი საზოგადოება მასწავლებელთა. ყველა ამ დაწესებულებას განაგებენ მხოლოდ ქალები. \*)

სტავროპოლში არის სამი საკვირაო სკოლა, სადაც ოთხსამდე მოწაფე სწავლობს ყოველ წლივით. აქაც მასწავლებლობას ეწე-

\*) ქართველი ქალები ამით შორის, ხამწუხაროდ, ძლიერ ცოტანი ირიან.



ვიან სრულად უსასუიადლოდ მხოლოდ ქალები. ამისთანა მაკაბეებს ბეკოს მოკაუქვანდა, რომ საჭირო იყოს. საითაც კი გაიხვდაკ, უკელგან შესვლებით ამისთანა ამბაკსა.

ასე ამბობს ის მწერალი, რომელიც ზედ-მიწევნით იცნობს რუსეთს და მის ცხოვრებას.

ამას ჩვენის მხრით დავსძენთ, რომ რუსის ქალები, არა თუ განათლების საქმეში იჩენენ თავს და თავ-განწირულებამდის იღწვიან ამ ასპარეზზე, არამედ ყოველ საზოგადო საქმეშიაც ერევიან, რომელიც კი მათს სამშობლოს მოუხდება. ბევრნი მათგანნი იმდენ ძალასა და ენერჯიას ჰპოულობენ, რომ ათასგვარ დაბრკოლებას სთურგნიან, სტოვებენ დედ-მამას, ნათესავეებს, მეგობრებს და ასობით, ორასობით მიესწრაფიან საზღვარ გარედ, რათა მალალ სწავლით განიბრწყინონ თავი და ორკეცი, სამკეცი სარგებლობა მოუტანონ თავიანთ ქვეყანას. გაზეთები ამბობენ, რომ უმეტეს ნაწილს ყველა მოსწავლე ქალებისას შვეიცარიის, გერმანიის და საფრანგეთის უნივერსიტეტებში შეადგენენ რუსის ქალებიო. აი, ბატონებო, სადასდევს საფუძველი რუსეთის ბრწყინვალე მომავალისა; დიად, ქალების სიფხიზლე, მათი ასპარეზზე გამოსვლა—უტყუარი ნიშანია კარგის მომავალისა.

თუ ჩვენის ქალების უსაქმურობა დაბალის კულტურით აიხსნება, რატომ იგივე მიზეზი რუსების ქალებზე არ ჰმოქმედებს? განა ის სულიერი წყარო, რომელსაც ეწაფებიან რუსის ქალები, ერთი და იგივე არ არის ჩვენშიაც? როგორც .იქ, ისე აქ ამ წყაროდ ითვლება საქალებო გიმნაზიები. არავითარი განსხვავება არც პროგრამებში, არც სწავლა-გადაცემაში რუსეთისა და კავკასიის გიმნაზიათა შორის არ არსებობს. მაშ რით აფხნათ ეს დიდი განსხვავება რუსთა და ჩვენთა ქალთა შორის? მართალია, ჩვენი საზოგადო ცხოვრება იმდენად უფერული და უხიაგოა, რომ არა თუ არ წაახლისებს კაცს ასპარეზზე გამოსასვლელად, არამედ, პირიქით, იმთაც კი ხელს უშლის, აყოყმანებს, შუა გზაზე აჩერებს, ვინაც უკვე გამოსულა სამოქმედოდ. სასწუხაროდ, ეს ასეა, მაგრამ ცხოვრებას





შეიქმს თვით საზოგადოება; საზოგადოება კი შესდგება ქალთაგან და კაცთაგან. თუ ჩვენი დღევანდელი ცხოვრება უფერულია და უნაყოფო, ბრალი აქაც უმეტეს ნაწილად ქალებს ედებათ, რომელნიც არავითარს მონაწილეობას ამ ცხოვრებაში არ იღებენ. მაშ ამ მიზეზით თავის მართლება ჩვენს ქალებს არ ძალუძთ. საზოგადო ცხოვრება არც რუსებში გახლავთ მაღალ წრეზედ, მაგრამ, როგორც აბრამოვის სიტყვებიდანა სჩანს, ეს მიზეზი იქ ვერ აფერხებს ქალების მოქმედებას.

ამას წინად ჩვენმა ქალებმა ერთი ალიაქოთი ასტეხეს გაზეთ „ივერიაში“ ბ-ნ ჩოროას შენიშვნის გამო, რომელიც ქართულის ენის უცოდინარობას სწამებდა და სრულიად სამართლიანად ურჩევდა, რომ ინგლისელ ქალის ვარდროპისათვის წაებაძნათ. გადვიკითხეთ ზოგიერთი მათი წერილები, მაგრამ ვატეხილი უნდა ვთქვათ, ბევრი ვერაფერი გამოვიტანეთ. ქ-ნი სულხანიშვილისა ბრძანებდა: თუ ქალები არ ვარგივართ, ისევ თქვენ, მამა-კაცები ბრძანდებით მიზეზიო. აი სწორედ, რუსები რომ იტყვიან: „съ больной головы на здоровую“, ეს არის. მართალია, მამა-კაცებშიაც ბევრია მკონარე, უსაგნო, პირად ინტერესების მიმდევარი, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ისეთებიც ბლომადა გვყავს, რომელთ დაულალავ მოღვაწეობაზეა დამყარებული მთელი ჩვენი ავლა-დიდება, — ჩვენი პატარა პროგრესი. საკვირველია, რატომ პირველების მაგალითს მისჩერებიან ჩვენი ქალები და არა მეორებისას? ვთქვათ კიდევ, რომ ყველა ჩვენი მამა-კაცი უსაქმურნი და უსაგნონი არიან ცხოვრებაში; ნუ თუ აქედან ის უნდა დავასკვნათ, რომ ქალებიც ასეთები უნდა იყვნენ? ვერაფერი მსჯელობაა.

„იმ დროს, როდესაც ქალები ასე მოქმედებენო, განაგრძობს იგივე აბრამოვი თავის წერილში, მამაკაცი მხოლოდ პლატონურს თანაგრძნობას უცხადებენ იმათაო და, თუ ოდესმე ჩაერივნენ საქმეში, უთუოდ როგორც მბრძანებელნი ან უფროსნი. კიდევ კარგი, რომ ასე იყოს; ათასგვარი დაბრკოლება, რომელიც ჩვენს ქალებს წინ ელობება სწავლა-განათლების საქმეში, გამოწვეულია სწორედ განათლებულ მამა-კაცებთაგან“.



აი, ბატონებო, იქ, რუსეთში, მამა-კაცების მაგალითით არც კი ყოფილა, თურმე, საჭირო. იქ ქალები მამა-კაცებს კი არ შესწერებინან თვალ-წარბში და არ ეუბნებინან: ჩვენი უფარგისობა თქვენი ბრალიაო; იქ მამა-კაცები ხშირად ხელსაც კი უშლიან, თურმე, ქალებს, მაგრამ ესეც ვერ აფერხებს მათს სამაგალითო მოქმედებას. ჩვენში რალა ღმერთი გასწყრა! რატომ ჩვენში კი ვერა ვხედავთ ამისთანა ამბავს? ნუ თუ საფიქრებელია, რომ ჩვენს განათლებულს ქალებს არ ესმოდეთ, რომ გარდა პარიჟის მოღებისა, ბულვარ-ბალებში პრანჭვა-გრეხისა და ბალ-პიკნიკებში სიარულისა, სხვა უფრო მაღალი აზრიც არის საჭირო ცხოვრებაში, — ის აზრი, რომელიც აკეთილშობილებს ადამიანს და მაღლა აყენებს სხვა ქმნილებათა შორის!

იქმნება ისა ბრძანონ, რომ ჩვენში განათლებულ ქალთა გუნდი მცირეაო. სტატისტიკები, როგორც ამას წინადაც მოხსენებული მქონდა, განათლებულს უწოდებენ ყველას, ვინც კი წერა კითხვა იცის. ნუ დავეთანხმებით სტატისტიკებს და განათლებულად ჩავთავოთ მხოლოდ ის ქალები, ვისაც საშუალო სასწავლებელი შეუსრულებია. ამათი რიცხვიც რომ მივიღოთ მხედველობაში, გამოვა, რომ ჯერ მარტო ქუთაისსა ჰყავს არა ნაკლებ 300 განათლებულ ქალისა, რომელთაც ამ ოცის წლის განმავლობაში დაუსრულებიათ ქუთაისის საქალაქო გიმნაზია. ახლა ტფილისშიც ამდონივე გვეყოლება გიმნაზიებში და ინსტიტუტებში კურს დასრულებულები, თუ მეტი არა. ამრიგად მარტო ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიაში გვეყოლება არა ნაკლებ 600 განათლებულის ქალისა. ახლა ეს მიბრძანეთ, რა გააკეთა ამ ექვსასმა ქალმა ჩვენში ამ ოცის წლის განმავლობაში? რით აღბეჭდა მან თვისის ცხოვრების კვალი? პასუხი მკითხველებისათვის მიმინდვია. ჩვენ კი ამას ვიტყვი, თვითეულ ქალს სხვა რომ არა ეკეთებია-რა, გარდა იმისა, რომ წელიწადში თითო ზღაპარი ან სხვა რაიმე ზეპირ-გადმონაცემი ჩაეწერა თავის რვეულში, რომელიც ბებიისაგან ან ბაბუასაგან გაუგონია, დღეს გვექნებოდა დიდი და ძვირფასი ტომი სახალხო ნაწარმოებისა. თვითეულ ქალს რომ წელიწადში

ორ-ოლი თუმანი მაინც შეეკრიბა საქველ-მოქმედო აზრით, — არ გეგონათ ეს დიდი გასაჭირი საქმე იყოს: მე ვიცი მაგალითები, რომ წელიწადში კი არა, სამის დღის განმავლობაშიაც კი შეჭკრიბეს ოც-ოცი მანეთი ჩვენმა ქალებმა, როცა დასჭირდათ, მაგალითად, პიკნიკისათვის! — ამ ოცის წლის განმავლობაში შესდგებოდა კაპიტალი (600×20×20) ორას ორმოცი ათასი მანეთი, რომლის ყოველწლიური სარგებელი 5%-ს კვალობაზე შეადგენდა 12000 მანეთს. თავნი ფულისთვის რომ ხელი არ გვეხლო, მარტო სარგებლით (12 ათასი მანეთით) შეგვეძლო დღეს ვაგვემართა 30-დე კარგად მოწყობილი სკოლა (ოთხასი მანეთი რომ ვიანგარიშოთ თითო სკოლაზე), რომელშიაც 1500 ქართველი ყმაწვილი მიიღებდა ყოველწლივ სწავლას! (თვითეულ სკოლაში რომ 50 ყმაწვილი ვიანგარიშოთ) დახეთ, ქალბატონებო, რა იოლიანის ჯაფით შეგეძლოთ დიდი საქმის გაკეთება, რომ მოგენდომებინათ! ახლა თუ ამას თან დავსძენთ, რომ ბევრს თქვენგანს უფრო მეტის საქმის გაკეთება შეეძლო, ვიდრე ორის თუმნის შეკრება წელიწადში, ან ერთის ზღაპრის ჩაწერა, მაშინ ადვილად წარმოიდგენთ, თუ რა დიდი დანაშაული მიგიძღვით თქვენის ქვეყნის წინაშე. მაგრამ ბოეტისა არ იყოს:

მას ნუღარ ესტირით, რაც დამარბულა,  
 რაც უწყალს დროს ხელით დანთქმულა,  
 ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს:  
 ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,  
 ჩვენ უნდა მივსკეთ მომავალი ხალხს...  
 აქ არის, დედავ, შენი მაღალი  
 დანიშნულება და საღმრთო ვალი.

ვისურვოთ, რაც მიმავალ თაობას დაჰვიწყებია და ვერ აუსრულებია, მომავალს მაინც აღესრულებინოს და მით ცოტად მაინც გადაეხადოს ის „საღმრთო ვალი“, რომელიც წინა თაობას ვერ გადაუხდია.

## მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან

### II \*)

#### § 1.

სხვა-და-სხვა ხმოვანი და უხმო ბგერა მეგრულისა უდრის (ედრება) იმავე ხმოვან და უხმო ბგერას ქართულში.

სრულიად ერთგვარი სიტყვები მეგრულსა და ქართულში:

აბა	ბარი	დარე	ზეწარი	კუჭი
აბალი	ბატკანი	დარწმუნება	ზეინკალი	კუპატი
აფშარა	ბოდინი	დამტკიცება	ზღვა	კალათი
ამლაკი	ბუჭუჭი	დაბრკოლება	ზოგება	კიბე
ასალი	გუდა	დაბალი	თამამი	კაბა
ბედი	გალობა	დაბადებული	თაღი	კათხა
ბეჭედი	გვარი	დაღი	თასმა	კაკულა
ბარგი	გვიანი	დერგი	თემი	კალამი
ბუმბული	გლაზა	დედუფალი	თითო	კალანდა
ბინა	განიერი	დადა	თოკი	კვეკვერეში (2)
ბრალი	გალავანი	ეშმაჭი	თოფი	კალაპოტი
ბურთი	განი	ეგება	თათმანი	კამა
ბოლო	გახვიებული	ერდგული	თოთო	კამბეჩი
ბარბაცი	გუგული	ეჭვი	თორნე	კანჭი
ბადე	და	ვაჭარი	თხა	კვიცი
ბაია	დეიდა	ვადა	თხილამური	კიდობანი
ბონდი	დიდი	ვალი	კანი	კილი
ბალიში	დადე	ზომა	კარი	კილო
ბორკილი	დრო	ზეთი	კუზი	კირი
ბარდი	დაჯერება	ზერდაგი	კელივერი	კისერი



კოკა	მხიარული	პალური	ტაბაკი	ქანცო
კურკანტელა	მალალი	პირუა	ტანტალი	ქერქი
კონდახი	მოსამართლე	პირობა	ტარი	ქინძი
კუ	მაკე	პაჭიჭი	ტაშთი	ქონდარი
კულა	მანკი	ეამი	ტილო	ქუდი
კუნთი	მართალი	რიგი	ტკეცი	ღალატი
კანკალი	მაჭარი	რგება	ტურა	ღარიბი
კურო	შარღი	რკინა	ტუტა	ღვარი
ლაფი	მარცხი	რახი	ტყვე	ღართი
ლოგინი	მარწუხი	რიდება	ტვინი	ღერი
ლაგამი	მატრაკვეცი	რიკი	უბედური	ღველი
ლარტყა	მეში	რიტინი	ურემი	ღილი
ლეკური	მიზეზი	როფი(ე)	უბადო	ღონე
ლექვერი	მიმინო	რული	უბირი	ღორჯო
ლერწი	მოგებული	რჯული	უბრალო	ყორე
ლურჯი	მტყუანი	საქონელი	უგვარო	ყუდრო
ლომი	მჩატე	სახე	უფლება	ყურღველი
ლილა	ნება	საქმე	უცებ	შიში
მოგონება	ნიშანი	სუსტი	უცხო	შველა
მეტი	ნახთა	სახელი	ფასი	შორს
მწვადი	ნერგი	სიკეთე	ფერი	შხამი
მინდორი	ნათელი	სარგებელი	ფიცარი	შანა
მოთმინება	ნათლია	საძაგელი	ფურცელი	შარა
მოლი	ნაკითხი	სოფელი	ფუჭება	შუკა
მორჩილი	ნაკურთხი	სიტყვა	ფართო	შეწუხებული
მარჯვე	ნიჭი	სილა	ფელამუში	შეხვეწა
მარანი	ნიორი	სარჯელი	ფაფარი	შიშინი
მშვიდობით	ოთახი	სარჩული	ფარდაგი	ჩქარი
მაული	ობროდი	სამართალი	ფაცური	ჩხუპი(ბი)
მამიდა	ოთხი	საყვედური	ფარშავანგი	ჩოჯანი
მამული	ორბი	საჭირო	ფაცხა	ჩეჩუა
მარცხი	ორგული	სათაკილო	ფერო	ჩერი
მოწამე	ოფოფი	სანთელი	ფიცხელი	ჩიტი
მოციქული	ოშოშია	საშიში	ფონი	ჩუქება
მუნჯი	პალო	სახსარი	ფინა	ჩახვი
მედიდური	პეტელი	სიპი	ქვიშა	ცალიერი
მოწმობა	პაჭანაკი	ტანი	ქვაბი	ცა
მოწონება	პირველი	ტატი	ქალაქი	ცული



ცალი	ძერა	წირვა	ჭაჭა	ხორბალი
ცხენი	ძეწკვი	წყნარი	ჭაკი	ხილი
ცქვიტი	ძვირი	წამალი	ჭანდარი	ხუთი
ცანცალი	ძიება	წესი	ჭილოფი	ხუნდი
ცილი	ძმარი	წერო	ჭლექი	ხაზი
ძვირფასი	ძნელი	წაქა	ხამი	ჯაჭვი
ძვლი	ძონძი	წერწეტი	ხარბა	ჯვარი
ძუა	ძუძუ	წვენი	ხარება	ჯორი
ძაფი	წვალება	წკირი	ხარკი	ჯამაგირი
ძაგარი	წონა	ჭკუა	ხარშო	ჯარი
ძაბრი	წილი	ჭირი	ხარჯი	და სხე.
ძაბუნი	წუხება	ჭორი	ხატი	
ძანძალი	წისქვილი	ჭარხალი	ხერხი	

ჩვენი სიტყვათა კრებული ამ გვარ სიტყვების რიცხვის მეოთხედსაც არ შეადგენს, მაგრამ ჯერ ერთი, რომ ჩვენ მეგრულ-ქართულ ლექსიკონს არ ვადგენთ და მაგალითისათვის მოყვანილიც საკმარისია, და, ამასთან, ამ გვარნი პირწმინდად ერთნაირი სიტყვები იმდენად საინტერესო არაა შედარებით ენის მკვლევართათვის, რამდენად მონათესავე სიტყვები, ცოტად თუ ბევრად განსხვავებულნი ერთმანერთისაგან.

## § 2.

ა. ერთნი ხმოვანი ბგერანი მეგრულისა ედრება სხვა ხმოვან ბგერებს ქართულში\*)

მეგრული:	ქართული:	} მეგ.: ა = ქარ.: ი
ა) ატამა	ატამი	
ანგურა	ანეგური	
ზარა	ზარი	
წიწილა	წიწილი	

\*) მეგრ. ღ = ქართ. ო (ცაგ. § 6); ჰერი = ქორი; ღ = ი: ზესხერი = სისხლი; ღ = ა: კერები = კრავი; ღ = ე: კვალა = კველი და სხე. თვით მეგრულში ღ უფრო ხშირად დიალექტ. გადადის ი-ზე.



მეგრული:

ქართული:

b) ვარ	ვერ
კვარი	კვერი
კობა	კოპე (ნახე ჩუბინ.)
ზალა	ზელა
ღლა	ღღე
კვდალა (დიალ. კიდა)	კედელი
თასტა	თესტა
ლუბა	ლუბე, უბე
ლაკვი	ლეკვი
ღარღილი	ღერღილი
ზარუა	ზერტა
მისარი	მესერი
ტახუა	ტებტა
ჭაჭუა	ჭეჭტა
მა	მე
ართი	ერთი
მაფა	მეფე
ტყა	ტყე
უღვრაკ	უღრეკი
ღაღე	ღეღე
მახუთა	მეხუთე
კაჩა	კაჩო

მეგრ. ა = ქართ. ე

c) მალაზონი	მოლაზონი
ჩიტია (მოთხრ.)	ჩიტო (მოთხრ.)

მეგ. ა = ქ. მ (იშვიათად)

d) მართვე	მართვი
ალაგე	ალაგი
მეხვადე	მიხვდა
ჭიპე	ჭიპი
ზვენი	ზვინი
ფუჭე	ფუჭი
კვეკვერეში	კვეკვერიში

მეგრ. ე = ქართ. ი

მეგრული:	ქართული:	
e) მახარებელი ლებია	მახარობელი ლობია	{ მეგ. მ=ქარ. ო *)
f) ქალე ტაფე ბამბე ძიძე წითელე წმინდე ფენჯერი	ქალა ტაფა ბამბა ძიძა წითელა წმინდა ფანჯარა	{ მეგრ. მ=ქართ. ა
g) ცხვინი ძღვინი გემო გოსინჯი (დიალ.) გასინჯი (დიალ.) გო- [სინჯი დიდა ერიდი კიცი ფინტა	ცხვენი ძღვენი გემო (დიალ. მეგრულ- შიაც ინმარება გემო) გასინჯე დედა ერიდე კეცი ფენვა	{ მეგრ. ი=ქარ. მ
h) ქირი, (ქერი) ღვინი პატინი, (პატენი, ზოგან პატონი)	ქორი ღვინო ბატონი	{ მეგ. ი=ქართ. ო

\* ) ჩვენ ამ განყოფილებაში (თავი მე-2, II) რამე ფონეტიკ. მოვლენის სამაგალითოდ მოყვანილ რამე სიტყვას სხვაგან არ ვიმეორებთ, თუნდაც სხვა რამე მოვლენის მაგალითადაც გამოსადევიც იყოს იგი სიტყვა. მკითხველს არ გაუჭირდება თვითვე შეავსოს მაგალითები, აქვე მოყვანილ მასალიდან.





მეგრული:	ქართული:	
i) ცილი	ცილა	} მეგრ. ი=ქართ. ა
წურბელი	წურბელა	
არიკი	არაკი	
ხელი	ხველა	
ძალი	ძალა	
კარდილა	კარდალა	
ხინჟი	ხინჟა	
k) სო	სად	} მეგრ. მ=ქართ. ა
ქოთომი	ქათამი	
ობელი	აბელი	
ნოდი	ნადი	
გოლახე	გალახა	
ბონუა	ბანვა	
გოწეწილი	გაწეწილი	
დორეკე	დარეკა	
გოტენილი	გატენილი	} მეგრ. მ=ქართ. მ
გოკვათუა	გაკვეთუა	
l) (სამურხ.) კიბო	კიბე	
ოზე	ეზო	
მეძობარი	მეძებარი	} მეგრ. მ=ქართ. მ
ხორხი	ხერხი	
m) დაწონება	დაწუნება	} მეგრ. მ=ქართ. უ
n) აკურთხუ	აკურთხა	} მეგრ. უ=ქართ. ა
ბული *)	ბალი	
დადული	დედალი	
მუმა	მამა	

\*) ვიშეორებთ, ჩვენ მოგვყავს უფრო საზოგადო ფორმა სიტყვისა და არა მისი ყველა დიალექტ. ფორმები.

მეგრული:	ქართული:	
მუმული	მამალი	} მეგრ. უ=ქართ. ა
სუმი	სამი	
ლუმა	ლამე	
გალარბუ	გალარბა	
o) შუშელი	შიშველი	} მეგრ. უ=ქართ. ი
ტუტელი	ტიტველი	
p) კუნთხუ	კუთხე	} მეგრ. უ=ქართ. მ
ლული	ლეღვი	
ხუმულა, (-მელა)	ხმელი	
q) ლუმუ	ლომი	} მეგრ. უ=ქართ. მ
სამუთხე	სამოთხე	
თუხარიკი	თოხარიკი	
ბულეკი	ბოლოკი	

ბ) მეგრულის ქართულთან შედარებით უფრო სრულ-  
 ხმოვანობის (ПОЛНОГЛАСИЕ) მაგალითები:

მეგრული:	ქართული:	მეგრული:	ქართული:
გვიმარა	გვიმრა	თხოლო	თხლე
ფურინუა	ფრინვა	თვალუა	თვლა
ღირინვა	ღრინვა	ხუმა	ხმა
ხონუა	ხვნა	თომა	თმა
მუხური	მხარე	აქი	აქ
კირვა	კრვა (მო, შე-კრვა)		

ბ) მეგრულ სიტყვებს ხშირად ჩართული (ჩამატებული)  
 აქვს რომელიმე ეგრედ-წოდებულ „პარაზიტულ“ ანუ „ირრა-

ციონალურ“ ზგერათაგანი (რ, ნ, მ, ფ, ვ), ანა-და სიტყვას —თავში მობმული რამე უხმო ესეთი ზგერა, მაშინ როდესაც ამ ფონეტ. მოვლენათა არა აქვსთ ალაგი თანაბარ ქართულ სიტყვების შესახები, აი ამის მაგალითები:

მეგრული:	ქართული:	მეგრული:	ქართული:
კუთი	კუთი	უმბელო	უმბელო
ცინდა	ციდა	არდგილი	ადგილი
ზუნთხი	ზუთხი	მარწონი	მარწონი
ზინდუა	ზიდუა	ქორსა	ქოსა
იმენდი	იმედი	მზარუა	ბერვა
მანგარი	მაგარი	შამბი	შაბი
ყვინთელი	ყვითელი	ომბოლი	ომბოლი
წაკინდება	წაკიდება	ფოჩვი	ფოჩვი
ჩინთი	ჩითი	ვარ	არ
უნთო	უთო	აფსო	ასო
ქვახე	ქახე	ფსალი	სალი
არკვანი	აკვანი	ოფსი	ოსი
ლასგრევა	ლესვა	ფსქელი	სქელი
ქირქა	ქიქა	ხვარხვი	ხახვი

დ) მაგალითები, როცა ზემოხსენებულ მოვლენას პირიქით ქართულში აქვსთ ალაგი და მეგრულში კი არა:

მეგრული:	ქართული:	მეგრული:	ქართული:
ქა	რქა	ჯიკი	ჯირკი
კჷ	რკო	ჯარი	ჯავარი
მაკი	მანკი	ძაღე	მძაღე
კვინჩა	სკვინჩა	ხაშუა	ხარშუა
სხული	მსხალი, სხალი	ლუკა	ლუკმა
ხული	მხალი, ხალი	წარი	წარბი
ითამ	მითამ, ვითამ	იპინა	იპრინა
ჩატე	მჩატე	დონგი	მდონგი
წიკვილი	მწიკვილი	გოფხეკ	გაფხეკ



მეგრული:	ქართული:	მეგრული:	ქართული:
ღირე	ღვირე	ფაში	ფაშვი
მოკითხა	მოკითხვა	რგვალი	მრგვალი
პატიი	პატივი	წუთხე (წყვთ)	მწუთხე
ტანჯა	ტანჯვა		

2) ბევრ ხმოვანთა შეხვედრისაგან წარმომდგარ hiatus-ის (елияние) ასაცილებლად სიტყვას ჩაერთვის მეგრულში რომელიმე ირრაციონალური ბგერა:

მეგრული:	ქართული:
ბედინერი	ბედინერი-ს მაგიერ — ბედინერი
ლანძღუვა	(ლანძღვა-ს მაგიერ) — ლანძღვა

3) მეგრ.:	ქართული:	მეგრული:	ქართული:
უ	უი(=ვი)	საკურელი	საკვირველი
ო	უა(ვა); (ანუ ქ. ო=მეგ. ვა=უა)	თოლი	თვალი (თუალი)
		სათოლე	სათვალე
		ეჩვა	ეჩო

### § 3 V

ა) მეგრულის ერთნი თანხმოვანი (=უხმოანი) ბგერანი უღრიან სხვა თანხმოვან ბგერებს ქართულისას.

a) ყ=ყ; ქ=კ  
ყ=კ

მეგრული:	ქართული:	მეგრული:	ქართული:
ყვალი	ყველი	ყურზენი	ყურზენი
ყინუა	ყინვა	იყიდღ	იყიდა
ყვანა	ყანა	გოყინილი	გაყინილი, გაყინული

მეგრული:	ქართული:	მეგრული:	ქართული:
ყუა	ყუა	ჩიკვი	ჩხიკვი
ყოფა	ყოფა, ყოფნა	სკა	სკა
ქვეყანა	ქვეყანა	ქობალი	ხორბალი
მორაყვ	მორეკა	ღიახ	ღიღ

b) მეგრ. ლ = ქარ. ლ

გვერი	გველი	ხვამარდი	ხვამალდი
გური	გული	ქალარდი	ქალალდი
გურ-ფიცხელი	გულ-ფიცხელი	კვრღე	კლღე
თოქართო	თოქალთო	წიფური	წიფელა
თგრი	თოვლი	ჩერტი	ჩელტი
კიბირი	კბილი	თოფური	თაფლი
მუნტური	მატლი	მონტყორი	მატყლი
მაწუვადი	მაწოვარი, მწოვარი	კართე	კალთა
ტყურა	ტყულა, ტყული	ოსური	ასული
წყარი	წყალი	ისერი	ისლი
ხართა	ხალთა	ქვირი	ფქვილი

შენაშენა 1. მეგრ. ლ = ქარ. მ (იხ. ცაგარ. 52 გვ.)

რწვანე — მწვანე  
წურწუფა — წუმწუფა

მაგრამ ასეთი შემთხვევები, სადაც ენა ძრიელ მცირე რიცხვს მაგალითებისას წარმოგვიდგენს, ჩვენ ზოგან გამოვტოვეთ.

შენაშენა 2. მეგრ. ლ = ქარ. ნ, წ (იხ. ცაგარ.)

ლევში = ნემში (ცაგ. ნახ. ქვემ.)  
უდილოლი = უდედური (ცაგარ.)  
ლადერი = ნედლი  
ლიშანი (ვაჟა-ფშავე.) = ნიშანი

## c) ნ==მ, რ, ლ

მეგრული:	ქართული:	მეგრული:	ქართული:
ნტერი	მტერი	მაგანა	ნამგალი (მანგა-
დიანთილი	დედამთილი	ნდიდარი	მდიდარი [ლი]
ხენწიფე	ხელმწიფე	ნდოლო	მდელო
სუნელი	სულელი	ნტვერი	მტვერი
გაჩენდგ	გაჩერდა	ნწარე	მწარე
წანა	წელი	თუთუმი	თუთუნი

## d) მეგ. ქარ. მეგრ. ქარ.

ჩ = ც;	ღ = თ
ღ = რ;	თ = ღ
(ქ = ტ)	

ეჩი	ოცი	სინჩხე	სიცხე
კოჩი	კაცი	ჩილამური	კრემლი
ვარჩხილი	ვერხლი	ღიხა	თიხა
ჩილი	ცალი	ღუდი	თავი
ჩურუვა	ცურუა (ცურვა)	ჩხვინდი	ცხვირი
კიჩუა	კეცუა (კეცვა)	თუნთი	დათვი
ფუჩი	ფუცი	ფიევი (ფირტი)	ფილტივი

## მეგრ. ქართ.

## შ==წ

მ) ჰყუთა	წყრთა	ჰყოლოფუა	წყალობა
მაჰარალი	მწერალი	ჰვეთი	წვეთი
ჰყორი	მწყერი	ჰვიმა	წვიმა
ჰაბუ	წებო	ჰყვალუა	წყვეტუა (წყვე-
ჰარუა	წერუა (წერა)		ტა)



ჯ=ძ, რ, ღ, ც.

მეგრული:	ქართული:	მეგრული:	ქართული:
წ) ჯერღვი	ძარღვი	ჭუჯი	ყური
ჯოლორი	ძაღლი	ხუჯი	მხარი
ჯიმა	ძმა	ღეჯი	ღორი
ჯუა (ძუა)	ძუა	ხოჯი	ხარი
ერჯი	ვერძი	ფუჯი	ფური
სინჯა	სიძე	ხინჯი	ხიდი
ჯინჯი	ძირი	ჯიხა	ციხე (ცაგ. § 36)
პიჯი	პირი		

მეგრ. შ = ქართ. ს; ც=ს; ჯ=შ.

გ) შუმა	სუმა(სუთ=სვით),	შხვა	სხვა
შური	სული [სმა]	შურო	სულ
შური-წმინდა	სული-წმინდა	ცურუ	სურო
ჭყეში	წყესი, მ-წყემსი	ჯინი	ჟინი
		ჯანგი(ღანჯი)	ჟანგი

მეგ. ქარ. მეგ. ქარ.  
 ჯ = ს; ს = ჯ  
 შ = ც; ძ = ჯ

ი) ზესხერი	სისხლი	ძღვენი	ძღვენი
სიზმარი	სიზმარი	კინძუა	კაზმვა (შეკაზმვა)
შხური	ცხორი, ცხოვარი, ცხუარი, ცხვარი		

ერთნი ბაგის-მიერი ბგერები მეგრულისა გადადიან სხვა ბაგის-მიერ ქართულ ბგერებზე:

მეგრ.	ქართ.	მეგრ.	ქართ.
ი) აბჟანდი	ავეანდი	ბარგუა	მარგუა(მარგლა)
აბზლუნდი	ავზლუნდი	ნაბეტანი	ნამეტანი
ყამბარი	ყავარი	ღლამი	ღლავი

მეგრული:	ქართული:	მეგრული:	ქართული:
ნდემი	(ნ)დემი	მინ	ვინ
თიფი	თივა	პატონი	ბატონი
თიფუა	თიბუა	ხვარება	ხმარება
ბინეხი	ვენახი	ბუა	მზე (☾=ზ)
		კერები	კრავი

ბ) მეგრული ერთ-ერთი მშტვინავი (შიპიაში), ანუ მსტვინავი (სვისტიაში) ბგერა (კბილებ-ენის მიერი და სასა-ენის მიერი) — ხორხის მიერი (გორტ.) = ქართულში (იმავე ანუ სხვა რომელსამე) მშტვინავსა, ანუ მსტვინავ ბგერას უ-ხორხის-მიეროდ. მაგალითად ჭკ ქართულში — ჰქრება - რა ხორხის მიერი — უნდა = ჭ: ჰკოლა = ჰლე, მჰლე; „შგ“-ს ქართულში უნდა უდრიდეს შ, ანა-და ის ამ „ძილის“ მონათესავე ბგერა, რომელიც ქართულის ძილის დარია (ეჭვივალენტია) მეგრულში. ქართულის შ ეჭვივალენტია მეგრულში უფრო ხშირად ჯ (იხ. თ. II, III, V). მაშასადამე შგ = ქართ. ჯ, მაგალითად მარძვეანი = მარჯვენა. მაგრამ ამ ფონეტიკურ თანაბრობას ქვემო მოყვანილი მაგალითები სიტყვის ახსნაზე უფრო თვალსაჩინოდა ჰხდინან:

მეგრული:	ქართული:	მეგრული:	ქართული:
ჩქიმი	ჩემი	ჰკედი ანუ ჰკი-	ქაღი
ჰკომი	ჰამე	დი	
ჰკერვა	ჰრვა	მარძვეანი	მარჯვენა
ჰკოლა	ჰლე, მჰლე	ო-შქარი	სა-შვალი
ჰკადე ანუ ჰკად	მჰედელი (იხ. ქვ.)	მუნჩქვა	მაჩვი
ცხაცხვი(უ)	ცაცხვი	უშქური	ვაშლი
ცხორცხალი	ცოცხალი	ჩქინი	ჩვენი
შხაშხი	შაშხი	დიშქა	შეშა
წკუნწკი	ძუნწი	შქა-დლა	შუადლე
სქანი	შენი	შქეირატუა	შრეტა, შრეტა



ბ) მაგალითები, როცა ქართული სიტყვები ბოლოვდებიან მარცვლით ღა და როცა ეს „ღა“ მოკვეცილი აქვს მეგრულ სიტყვებსა (სიტყვის ბოლო ხმოვანის ცვლილებით ანუ უცვლელად მეგრულში):

მეგრული:	ქართული:	მეგრული:	ქართული:
a) ხე	ხელი	ულუ	ულელი
ვეე (=ვე)	ველი	ჭითა	წითელი
ბაღე	ბედელი	სქუა	შვილი
ჩხე	ცხელი	გენძე ანუ გინძე	გძელი
ტი	ტილი		
ბურღლა	ბურტყლი	ცემუ	ცმელი
ბირცხა	ფრჩხილი	თხე-თხე	თხელ-თხელი
თხემუ	თხმელი(ა)	ტკაუ(ტკაუ, ტკუუ)	ტკაველი, მტკამელი
შხუ	სხვილი, მსხვილი*)	უფი	ოფლი

ბ) სხვა ბოლო მარცვლებ მოკვეცილ სიტყვათა მაგალითები მეგრულში:

მეგრ.	ქართ.	მეგრ.	ქართ.
ღულა	მღულარე	ჭა	ჩალა
სანძლო	სამძღვარი		

ღ) პირიქით ქართულში მეგრულთან შედარებით ბოლო მარცვალ (ლებ)-ნაკლებ სიტყვათა მაგალითები:

მეგრ.	ქართ.	მეგრ.	ქართ.
კოლონა	კოლო	ღობერი	ღობე
კიბოია	კიბო	პურასქია	პრასა
კუღელი	კუდი		

\*) შეადარეთ ჩერქეზული შხუ დიდი (ლიული), შხა—დიდი ყაბარდულად (Лопатинский).

მ) მეგრ. მ (ეე) = ქართ. აჰი:

მეგრ.	ქართ.	მეგრ.	ქართ.
ნათესეე	ნათესავი	ხვე	ხვაევი
ნოტე	ნეტავი	საფულე	საფლავი
საწირე	საწირავი	გათემა	გათავება
კვლე(კილე)	მკლავი	კარე	კარავი
ქვე	ქვაევი	ამბე	ამბავი

შ) მაგალითები უხმოთა გადანძრევისა (перестановка) მეგრულში:

მეგრ.	ქართ.	მეგრ.	ქართ.
თერთი	თეთრი	ფირქი	ფიქრი
კანდიორი	კანდიერი	წინგი	წიგნი
რგილი	გრილი	შხირი	ხშირი
რქევი	ქვრივი	რკუ-მოწამე	კრუ-მოწამე
რლია	ილლია	მართახი	მათრახი
რქელი	ქრელი	მარლი	მადლი

ზ) სხვა-და-სხვა მეგრულ-ქართული სიტყვები, რომელთა ნათესაობა (და თანაბრობა) ცხადია ზემო თქმულის საფუძვლითა.

მეგრ.	ქართ.	მეგრ.	ქართ.
ბრელი	ბრეელი, ბეერი	მოგგრძე	მოგრძე
ბერწოული	ბროწეული	თქულა	თქმა
გაბზარხული	გაზაფხული	თხულა	თხოვნა
დოლუმპუეა	დალუპვა	ზესქევი	შაშვი (ზ=შ; სქ=შ)
ლუსმარი, ლისმარი	ლურსმანი	ლები	ლეიბი
ნოშქერი	ნახშირი	შე	სველი
		რცხონუა	ვარცხნა



მეგრული:	ქართული:	მეგრული:	ქართული:
ქური	ქუსლი	უკო-ხლე	უკან
ნერსი ანუ ნირ- სი	ნისლი	ინჭა	ჭა
ტყილი	ტყირპი	ცალიერი	ცარიელი
წო-ხლე	წინ	სქუამი	შენიერი, მშენიერი

შ. ჭანაია

(შემდეგი იქნება)



## მენათხა ნინოშვილი (ინგოლრუჟა)

(მეგობრის მოგონება)

### I

განსვენებული ეგნატე ნინოშვილი (ინგოლრუჟა) შირველად გავიწანი გურიათს ერთ-ერთს სოფელში 1887 წ. მისი სახსუნჯო ფელეტონი (1887 წ. მარიაშობისთვის «იკერიას» №-ში იყო დაბეჭდილი) გურიაში მიწის-ძეწის შესახებ, ის-ის იყო, ახალი წაკითხული მქონდა. «დიდად მასიაშოვნა თქვენმა ფელეტონმა... გულწრფელად გირჩევთ ხშირად სწეროთ და გაგვანოთ ეს გურთხეული, მაგრამ უწნობი გურთხე საქართელოსი; მე თქვენ მოგახსენოთ, მასალა შემოგაკლდებოთ...» გურთხარი მე. ახალგაზდა აკტორს თითქო შერცხვო. «რა იქმნება მაგით, ბატონო, ვის რას გამოგადგებია...» ეს დარცხვენა, ეს მოკრძალება განსვენებულის ხასიათის განსაკურთხეული, ნაშნობლივი თვისება იყო. ასეთი მოკრძალებული იყო განსვენებული, როცა შირველად გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, ჟერ უველასათვის უწნობი გლესის-შვილი, ვრუ სოფელში მცხოვრები, მზის სინათლეს, თვალის გახელას, საზოგადოებას დანატრულებული ეგნატე; ასეთივე მოკრძალებული და შორიდებული დარჩა განსვენებული ეგნატე, როცა მისი სალიტერატურო ფინიონობია, ასე თუ ისე, გამოირკვა, როცა ხვეს ნორჩს ლიტერატურაში ახალგაზდა მწერლებ შორის საბატო ადგილი დაჭირა; როცა დაბეჭდა მისი «სიმონა», მისი «ქრისტინე».

სულ იმას ამბობდა ეგნატე, ჟერ თითონ უნდა იყვეს ვანი საფუძვლიანად მომზადებული, რომ სხვას გამოადგეს, მცირედიც არის, სამსახური გაუწიოსო, რომ მისი მოლუაწეობა თვალსაწინო

იქონა... თითქმის ყველა წერილში, ეგნატესგან ჩემთან მოწერილში, ის აზრად გამოთქმული, — ჩემის ჯღაბნით არაფერი გამოკვალა, ტყუილად დროსა ვგარგავო... როცა 1892 წ. იმის მოთხრობათა კრებული ცალკე წიგნად დასტამდა კ. თავართქილაძემ, აი ეგნატე, სხვათა შორის, რასა მწერდა: «რაც შეეხება ჩემს მოთხრობებს, მგონია, შენ გადაჭარბებული აზრი გაქვს მასზე შედგენილი. ჩემის ფაქტით (არ იფაქრო, მეტიზარობით ვამბობდე), ამ გაჭირვების დროს ორიოდე გროშს მემიზოვებსა-მეთქი, თორემ ამ მაზანს გარდა სრულიად არ იყო საჭირო იმათი ცალკე წიგნად გამოცემა. ამას მე თაობაშიაღ გამობოდი და ესდაც ვამბობ. კარლა ჩსკიძეს და მე დიდი დაკა გექონდა ამასეა.

ჩემს პირველად განცობის დროს, ეგნატე ასლად დაბრუნებული იყო საფრანგეთიდან, სადაც ქალაქ მონპელიეში რამდენიმე თვე გაეტარებინა უკიდურეს სისწყალებში და ღუკმა-პურისათვის სისაწარვეკეთით ბრძოლაში. სანამ საფრანგეთს წავიდოდა, თავისს სოფელ ჩოჩხათში ყოფილიყო მასწავლებლად. ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის მე-III კლასიდან გამოსვლის შემდეგ, ვინ იცის, სად არა ყოფილა, რა წვალება არ გამოუკლია. ეგნატე სცდილობს სოფელს დროებით გაეტალღოს, მოშორდეს, და სხვაგან წავიდეს სადმე. გადასწყვიტა ტფილისში წასვლა. იქ ლეთისნიერი ხალხი ბეკრია, სამოუშაოს მიშოკნიან, თუნდა მენასშირედ დაუდგებიო და როგორმე თავს გავიტანო. მაგრამ წასვლას ფული უნდოდა და კვდილი კიდევ ეგნატეს არა ჰქონდა, გარნა მოხუცისა და ღარობის მამის შეწესება არ ინდობა. ეგნატემ შემდეგს საშუალებას მიჰმართა. ჩოჩხათიდან ბათომში მიდის, — სადმე დღიურ მუშად დაუდგები და საგზაო ფულს ვამოკნი და იქიდან ტფილისს წავალო.

ბათომში ასლად ჩამოსულმა ეგნატემ ბინა ერთ ნაწინობთანა ჰპოვა. ერთს ქარხანაში კიდევ დღიურ მუშად დადგა. დაკისრებული ჰქონდა ურმები დაეტვირთა ნაკოის ფუთიან თუნუქის ჭურჭლებითა, დანიშნულ ალაგამდე მიეტანა, იქ დაეტალღა ურმები და მერე უკანვე დაბრუნებულიყო. ამ მუშაობისათვის მსომანსა დამწერს დღეში ოთხი აბაზი ეძლეოდა!... ეგნატე კმაყოფილი იყო ასეთის სასუიადღისა, — მართლაც, ცოტასა ვმოულობ, მაგრამ რასაც ვმოულობ,



ჩემის ოფლით, ზატოისნად ვმოუღობო. ფუღს მალე მოკვდები და ტფილისში გაუსწვეო. სუსტის აკუბულობის ეგნატე, რა თქმა უნდა, ვერ იტანდა ჟანის დიდს გარჯასა, და მუშაობით მოწყვეტილი და დაღლილ-დაქანცული ბრუნდებოდა საღამოზე შინა. მეგობარი, რომელთან დროებით თავი შეაფარა, უშლიდა, კაცო, რასა სხადი, სად შეგძლიან ასეთის ჟათის ატანაო.

— «რა კქნა, ცუდად ხომ ვერ გაზებრდები? როგორც შემიძლია, ისე უნდა ვიშოვო ფუღიო». ოცი დღე იმუშავა ეგნატემ ამ გარდა. ერთს თუძანს თავი მოუყარა და მეგობარს გამოუცხადა— ტფილისში მივდივარო. «შე კაი კაცო, ტფილისში წასასვლელ ფუღისათვის თავს რაღად აკლავდიო, ჩემთვის გეთქვა, განა მე კი ვერ მოგიხერხებდი მაგდენსაო?!.. — «არა, შენ რათ უნდა შემეწუხებინო, ან შენ რა გაქვს, მე მომცე? მით უფრო, როცა შემძლო მუშაობა, ვითომ რათ არ უნდა მემუშავნა და ისე არ მუშავნა საჭირო ფუღიო!... ჟერ ის გადავიხადო, რაც ზატოვი მეცო.

ამის შემდეგ ეგნატე ტფილისში ჩამოდას, სადაც მთა-წმიდის კალთაზე არწივის ბუდესაკით მიკრულ ზაქარია ჭიჭინაძის ღარიბულს სახლში, ამ ყველას ბოჯანო და უსაკანო ემაწვილკაცობის თავშესაფარში, დროებით ბინა დაიდო. ძლიან დასუსტებული იყო ეგნატე ამ დროს ჟანით. ცარიელი ძაღლი და ტუპი იყო თურქი, ძონძებში გასკუული. ზაქარია ჭიჭინაძის დედა, ეს ყველას მამიდა და ყველასთვის გულშემატკივარი, შუაზედ უყოფდა ეგნატეს თავისს ღარიბულს ღუემასა. «ჟუი, დედასა, შეილო, ჩემის საწყალის ქმრის სახელი ჭქვიან, ამას როგორ არ უნდა ვუმატრონო მე უბედურმაო. თან იმისიც ეშინოდა ზაქ. ჭიჭინაძის დედასა, ხელში არ შემომაკვდეს ეს უბედური და დასამარხი და თავში-საცემი არ გამიხდესო. ამჟე დროს ეგნატე არსენ კალანდაძის ქართულ სტამბაში შევიდა ასოთ-ამწეობად, სადაც ორიოდე თვე ძლივს დაქუო და მერე ისეკ შინისაკენ დაბრუნდა აკადემოფი. თითონ ბეგრს არას ამბობდა ხელ-მე ამ პერიოდისას, რომელიც დიდის სიმწარითა და ტანჯვა-ვაკებით გაეტარებინა.

გაჭირებული იყო ეგნატეს ცხოვრება განსაკუთრებით ამ ხანებში მით უფრო, რომ, გარდა ზაქ. ჭიჭინაძისა და მისის დედი-

საქართველოს  
მეცნიერებათა  
აკადემიის  
გამომცემლობა

სა, ჰატრონი და უფროს-მგდებელი არაინა ქუანდა. გაუთიფიფიფი  
ჩამომხმარი, გამკალ-ტყაკებული, დაფხრწილ ჩონაში გახვეული ადა-  
მიანს სარდაკობით უკსებდა გულისა. შეგნება სიმარტოკისა, უუკი-  
დურისის სისაწყელისა, ობლობისა სანინლად სტანჯავდა სულე-  
რად და ხარციელად ეგნატესა და მთელს მისს არსებას რადც  
თავისებურს ბეჭედს ასკამდა. სტამბაში მხოლოდ ზურის-სატმელ  
ფულის საშოვნელად იყო შესული, დროებით. აქ რა ვიქნები, სა-  
ჭმლის ფულს მომცემენ, თან «კაი კარესა» გვეინობ და წიგნებს  
ბრეელს ვიშოვი წასაკითხისათა. იმედი ასულდგმულებდა ეგნატესა,  
იმედით სტანცნობდა, იმედით აღჭურვილი არაფრად ავდებდა შე-  
ვიწროებულს მდგომარეობას. ის ვი არა, თითქო თავიც მოჭქონდა  
თავისის გაჭარებულის მდგომარეობითა. «დემოკრატს» მეტი რა  
მინდოდა, — იტყოდა ხოლმე ძალდატანებულის გულმაგრობითა. —  
კაი «არისტოკრატებს», რომ, თუ ერთი ბეწო რამ დააკლდათ, დეი-  
სოცებიანთა...

II

ტფილისიდან დაბრუნებული ეგნატე იყო სოფლის მწერლადც,  
იყო სოფლის მასწავლებლადვე, ტელეგრაფის სამსახურიც-ვი გამო-  
ურდა. იმავე თავითვე სადარდელი ისა ჰქონდა, სწავლა მაკლავ, უი-  
რადღო ვარო, და ეგ სწავლა, ეგ იარაღი, როგორმე უნდა შევიძინო,  
თორემ ცხოვრებასთან ბრძოლაში მალე უნდა ჩამოვყარო ფრთებიო.  
ლოლოდ წიგნის, შემთხვევით ხელში ჩავარდნილისა და ხარბად წა-  
კითხულისა და გადაკითხულის წყალობით, და უფრო ხასწავლ ამხა-  
ნაგ-მასწავლებლების გაკლენით, ცოთ-ცოტათი თვალე კხილება,  
ცხოვრებასა, ქვეყანასა და მათს უკუუღმართობასა უფრო შეგნებით,  
ცნობიერად დაუწყო ყურება. გლეხის შეილს, ტანჯვით დაბადებულს,  
ტანჯვით აღზრდილს, ტანჯვაშივე მყოფს უფრო ავდილად კსმის  
თავისის ტანჯულის მოძმის — გლეხის დავრდომილი მდგომარეობა  
და სიბეჩავე. ბუნებრივი, თანდაყოლილი გრძნობა დაჩაგრულის შე-  
ლისა უფრო უცხოველებს. ეგ გრძნობა, ეგ სურვილი გულში კერ

ეტევა, გარკვევად გამოსვლასა ჯლამის, სიტყვის—საქმედ გადასვლასა,  
განხორციელება სწავლიან...

სკოლაში ეგნატე-მასწავლებელი თავგამოდებითა სტადილბს სხვისთვის სსსარგებლო იყოს, მაგრამ მალე იგრძნო, რომ აქ საფუნელი მკლავია, სუსტი ვარ გონებით, მომწინააღმდეგეთა. ჩემის ცოდნით ვერას გახდება კაცი. არა, უნდა ვისწავლო. როგორმე საფრანგეთში წავალ, თავისუფალი ჭკუენახა, სწავლას არავის უშლიანო. ფუფუნ რომ არ მექმნეს, არა უშავს-რა, —ვიმუშავებ და იქ მუშად ყოფნა მირჩევენია აქ «უსტავლელად» ყოფნასა. იმედი ჭქონდა, თუ კი როგორმე საფრანგეთამდე მიაღწევდა; ბევრს ისტავლიდა; განათლებული ხალხიც დამეხმარებო.

ამ იმედებით და რამდენისამე თემნით წასულა ეგნატე საფრანგეთში. თავისი სავალი, რა თქმა უნდა, დიდს ხანს არ გაჭეოლია. სტადი მუშაობა, მაგრამ უბრალო, დღიურ მუშადაც ვერ გამოგდებო. ვერ ერთი, ჩემის სუსტის ჯანით ბევრს ვერაფერს ვაკეთებდო, და მეორედ—იქაურს მუშებს ცოდნა აქვთ იმისი, რასაც აკეთებენო. მართლ ჯან-ღონეზე დანდობილი კაცი ფონს ვერ გაკაო. მაინც რამდენსამე თუკს მუყაითად მეცადინებოდა, ფრანგული ენაც შეისწავლა, წიგნებიც, რაც შეეძლო, ბევრი წაიკითხა და ასევე გურიას მოაშურა.

დაბრუნდა-გია საფრანგეთიდან ეგნატე ინგოარეყვა, მაგრამ მისი სული, მისი გონება საფრანგეთშივე დარჩა. მისი აზრები თავს დასტრიალებდა ზნაოეს, ქენუას და სსკ მისთანა თავისუფლების სამშობლო ქალაქებსა... მისი გული იქითკენ იწევდა. სტადილობდა მოკეროებინა ფული და როგორმე კიდეც წასულიყო «თავისუფალ ჭკუენახაში» სწავლის წყურვილის მოსავლავადა.

ამ ხანებში (1888 წ.) ეგნატე აწ განსჯენებულ თ. გრიგოლ გურიელთან იყო სვერეტრად. ენკეიდან ჩემ მოწერილ წერილის ზისუსხდა იმავე წლის მარამობისთვის 30 თარიღით აი რასა მწერსთვის სოფ. ჩონხათიდან: ესულ გურიაში უნდა დარჩეო?—მეკითხები. მამ რა კენა, ძმაო? ხომ განახამს ფრთებ დატრიალი ფრინკელი, რომელიც აღმა-აღმა გასაფრენათ იწევდა, მაგრამ ძალი კი არ შესწევდა? სწორეთ ამ ფრთებ მოტრიალ ფრინკელს გავს ჩემი წა-



დილიც: გუდს სწუროა, ენატრება სწავლა-განათლების შექმნა, ეგნატე-პარტიის თავისუფალი ცხოვრების შესედა, მაგრამ ღონე და გარემოება არ შემწევს ეგ წადილი განკანონრიელი. ეინ იცის, იქნება როდესმე თუ არა, ისეთი ბედნიერი შემთხვევა, ისეთი ბედნიერი დრო, რომ პარტია და სხვა მისთანა თავისუფლების სამშობლო ქალაქები ენახო, თავისუფლების ქანგებით სავსე „Marsellieuse“ გაგიგონო! ექ, ეგ შემთხვევის საქმეა და არც ღირს ამისე ლაპარაკია.

ისე მოჭკვდა ბედშავი, რომ ეს «შემთხვევა» ვერ ელირსა; ისე გამოესაღმა ამ წუთი-სოფელსა, რომ სამზღვარ-გარედ ხელ-მოკრედ წასვლის წადილი ვერ აისრულა.

როგორც რეკით მოკისსენიეთ, ნინოშვილი თ. გრ. გურიელთანაჲ იყო. როგორც მესმოდა, ეგნატემ ძალიან გამოიყენა გრ. გურიელის მდიდარი ბიბლიოთეკა. მოკლე ხანში, რაც ღირსად მიანდა წავითხვისა, ყველაფერი წავითხა თურმე.

ეგნატეს გრ. გურიელთან ყოფნის დროს იყო აღმრული გურიისში მწვავე საქმე გლეხებსა და ერთან გვაროვნობის აზნაურებ შორის შესახებ ტყის მიფლობელობისა. დიდი განსეთქილება და დავა ასტუდა. ბეერი სისხლიც დაიღვარა ამ განსეთქილებისა და დავის დროს ორსავე მხარესე, ბეერს აუტირდა ცოლშეილი. მართალი მხარე—გლეხობა იხაგრებოდა. ეგნატე ინგორუევას მოსიყვარულე და გრძნობიარე გული ვერ ითმენდა ამ შემთხვევაში გარეშე-მყურებელსავით დარჩენას. სული აუტოკდა, თვალები ცრცხლით ანთო და მხაგრელთა საწინააღმდეგოდ და მსურვალე მონაწილეობან მიიღო ამ დავი-დარბაში.

ეგნატე ინგორუევა თავ-გამოდებით გამოეჭომაგა გლეხებსა. მთელი თავისი ცოდნა, სიმარჯვე, მოხერხებულობა გამოიჩინა ეგნატემ, რათა გზა-დბხეულ გლეხებისათვის გზა ეჩვენებინა, სამართლის კარები ესწავლებინა, ფეს-ქვეშ გათელილი მათი უფლებანი აღედგინა. ეგნატე მთელის თავისის ხალგაზდურის ენერგიით, უანგარობით გაუმკლავდა ძალ-მოძრეობასა, უეანონობას პირში შეება. თანაც დარწმუნებული იყო, რომ მოწინააღმდეგენი ამისათვის შეზღუდვად არ აკოცებდნენ, იცოდდა, რომ ამისათვის თავის-თავს დიდს



საფრთხეში აგდებდა. ისეთი დრო იყო; ათკადისწუნეს და მისაკლავად დასდევდნენ, როგორც «ბუნტოზიკს», «მოუსვენარს», «არა-მკითხე მოკეთეს» და სსკ. ეგნატეს მტრებსა და მდეუნელთ სელზე მისი სისაწყვე ქონდათ დასვეული. «ის რო გაი გაცი და ნასტავლი იყო, ასე უცხო-უგლოდ, უსაგოდ არც იტანტავლებდა». ამ ზემოხსენებულის ამბის გავლენით აქვს ეგნატ ინგორუეკას «ზღაღასტომის ტა» დაწერილი.

### III

1890 წელს ეგნატე ინგორუეკას ზესტაფონში ვხვდებით ნიკ. დოღობერიძის შავის-ჭვის კანტორაში ერთ-ერთ მოხელედ. ნ. დოღობერიძე, ის-ის იყო, ხლად იკიდებდა ფეხს შავის-ჭვის წარმოებაში; მასთან მოსამსახურეთა რიცხვი ძლიან მცირე იყო. მთელს კანტორის საქმე და მართვა თითქმის ეგნატე ინგორუეკას აწვა გასურებდ. იმას ებარა გასა, ის უსწორდებოდა მუშებსა, შავის-ჭვით დატვირთულ ვაგონების ზესტაფონიდან ფოთში გასტუმრება იმასვე ეკითხებოდა. ვერ მოასწრებდა ერთის საქმის გაკეთებას, მეორისათვის უნდა ეზრუნა. ვინც დაჭკვირებია ზესტაფონში შავის-ჭვის კანტორებში ციებ-ცხელებით მუშაობასა, კროდინება, რა ტანჯვა-ვაებაა ჭათურის მადნებიდან შავის-ჭვის ჩამომტან მეურმეებისა თუ ჩაღვადრებისათვის ანგარიშის გასწორება... იესო ქრისტეს სულგრძელება და მოთმინება უნდა ქმნდეს ადამიანსა, რომ გაუძღოს ამ წამებას, რომ დღეში ერთი ოცჯერ მეტად მაინც ცუდი სიტუება არ გააგონონ, ოც და ათჯერ—გული არ მოაყვანინონ, ასჯერ—თავ-ბედი არ აწყველინონ და არ ანატრებიონ—ნეტავ არც გაჭეხილიყუ და არც ამ დღეში ჩაკვარდნილიყუაი...

ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში უნდა ეოფილიყო ეგნატე ინგორუეკა ზესტაფონში; ისიც ადვილია წარმოსადგენია, რომ ასეთს სამსახურში დადგომას მარტო უკიდურესი მდგომარეობა-და აძულებდა. ისედაც სერვებ-აშლილი, გულ-ფიცხი, დასუსტებულის ატუბულებას ეგნატე ზესტაფონში, შავის-ჭვის კანტორაში მუშაობითა, უფრო უძღურდება, სულეირად იტანება, ლუქა-პურის შოვნას ან-



დომებს თვისს ენერჯისა, თვისს ხსლგზდურს ძალ-ღონესა, გორც გონებრივსა, ისე ფიზიკურსა,—თითქო მართო ხორციელს მოთხონილების დაკმაყოფილება ყოფილიყოს მისი იდეალი, სავა-ნი მისწრაფებისა, ნატურისა... თითქო სსვა უფრო ძალაღი, უფრო სათანადო დანიშნულება არა ჰქონდა მისს ნიჭსა... რამდენჯერ უთქვამს გულ-დაწვეპტილს, სულთა და სორციოთ მოშეპულსა: «დრო სრულებით არა მაქვს ამ დასაქრეკში «კაი-კაი» წიგნები კიკითხოკო. დაღლილი, დაქანტული, მუშეთან ჭიჭინით ილაჯ-გაწვეპტილი, ერთი ბქო თავისუფალ დროს გადახანჩუნებდა თუ არა, რომელსამე წიგნს ჩაფორინდებოდა და სარბად დაუწვებდა კითხვასა. თავგამოდებით სრდილობდა თავისს თვითგანვითარებასა, სრდილობდა—რაც სსს-წაკლებულა კერ შემინა, მე მანინ შეეძინოკო.

უნდა გეუურობინათ, რა აღტანებული, რა ასულდგმულეული ამბობდა ხოლმე თავისს აზრს წაკითხულის შესახებ ამსხანგების იმ შატარ წრეში, რომელიც ეგნატემ სესტაფონში გაინანა და რომელსაც ნაკსაყუდელსავით მიაშურებდა ხოლმე ყოველთვის, როცა კი თავისუფალი დრო ექმნებოდა... თვალთვან ცეცხლსა ჰქოიდა, გამხმარს, გამკალტყავებულს ადამიანს თითქო სამოსანის ღონე მოემატო, თითქო გავოლიათდა, როცა დაიწვებდა აწინდელ ხსლ-გზდობის მოვალეობასა და მოქმედების პროგრამის განმარტებასა და მის შესახებ სხვა-ბასსა. რო გეთქვით, ესა და ეს არგებს «პრო-ექტარისაო», «გლესაო» და, აბა, შენ იციო, მზად იყო სსსრჩე-ბელაზედაც კი ასულიყო და თვალც კი არ დაქსამხამებინა, ერთის სინახულის ხაზიც არ გამოჰხატოდა სსსეკედ. თავისებურის აზრი-ხა იყო განსკენებული ჩვენს მაღალ წოდებაზე—თავად-აწინაურობაზე-და. ეს წოდება დაუძინებელი მტერია გლესობისაო, შარხაიტია, მუ-ქთა-ხორაა და, რაც უფრო ადრე გასწედება, მით უკეთესიაო...

«კაი» წიგნების სეიდვა განსკენებულს ეგნატეს თითქმის ავად-მყოფობადა ჰქონდა გადაქცეული. ყველაფერს იკლებდა—ტანთ, ფესთ, სსკმელს, სსსმელს—ოღონდ «კაი რამე წიგნი» უეიდნა. ეგნატეს ტანს იშვიათად მიჰკარებია ფაქიზი ტანისამოსი, თუმცა ჰქონია შე-მთხვევა ასეთის ტანისამოსის სეიდვისა. კარგი ტანისამოსი «არის-ტოკარტებისა» სსქმეა; მე—«დემოკრატს» ისეთი უნდა მეცვას, არ



შეძრვიდესო. თავისის მცირე ჟანგირიდან მას შემდეგ, რაც ტაოჯენს მამას მიაწოდებდა, ცოტაოდნით გაჭირვებულ ამხანაგ-მეგობრებს ხელს მონაწილეობდა, დანარჩენს უგუგუადად რამე «კაი წიგნის» სყიდვას მიახმარებდა. ამ «კაი» წიგნში უსათუოდ ისეთი რამ უნდა წერებულყო, რომ ესწავლან—ამდენი ქვეყნად დამყარებული ბორბტება როგორ უნდა მოსხმობილიყო, ამდენ გაჭირვებულთათვის რა წამალი გამოეძებნა უბედურებისაგან დანსნისა; ქვეყნის მტრსა და დუშმანსა როგორ გაჭმელავებოდა...

ზევით აღენიშნეთ ტვირთ-მძიმეობა ეგნატეს სამსახურისა; ვსთქვით, რამდენი ღონე და ძალა აგლდებოდა ამ ტანჯვა-წვალებას; ისიც ვსთქვით, რომ ჟანის ტანჯვას სულეორი ტანჯვაც ერთოდა ზედ. მისი გამუდმებული სალაპარაკო იქაურ მუშების ბეჩავი მდგომარეობა იყო, რომელსაც აქ ორიოდუ სიტყვით მოვიხსენიებთ.

ზესტაფონში შავის-ქვის წარმოება წარმოადგენდა (და მკონი დღესაც ასეა) ჩარჩობას, ძალ-მომრეობასა და მოტყუებასე დანსებულს. აშკარა, ურცხვი მოტყუება მანებიდან ზესტაფონში შავის-ქვის გადმომხიდეველ უვიც ჩაღვადარ-მუერმეებისა სასწორზე, როგორც თვით მანებში, ისე ზესტაფონში, მოტყუება თულის მიცემის დროს; მოტყუება—დღისათ, მოტყუება—ღამით; დაბრეყება, ცემა-ტყემა,—აი სურათი ზესტაფონში შავის-ქვის წარმოებისა. დაბრეყული, დაწოკებული გლეხი-მუშა უზატრონოდაა დატყებული, ქომავი ანაინა ჭყავს—მალა ღვთისა და ძარს თავის თავის მეტი.

აი ამ სურათის მოწამე იყო ეგნატე, ის ეგნატე, რომელიც ყოველს უსამართლობასე თოთვის წამალსავით იფეთქებდა ხოლმე. მერე, მე თქვენ მოგახსენოთ, მოეჩადებოდა ვისიმე! მთელი ხანი, რაც ზესტაფონში დაჭყო, საცა ვი შემთხვევა ეჭმებოდა, იმას სცდილობდა—დამწავრელი კმსილებისა, გარნა დანავრულისათვის ქომავობა გაეწია, ამაგა დაედო. თავისის ზირდაპირობისათვის უმრავლესობისაგან დაუმსახურებელი სახელიც ვი დაიმსახურა. გუდაბრეყულია, გიყიაო!—იმხოდნენ ეგნატესას.—ქვეყანა ვის გაუსწორებია, რა ახლა ამან გასწოროსო?... და მებრვე სხ. ადვილად მი-



სკდება კაცი, ყოველსავე ამს როგორ უნდა ემოქმედნა მისს დას დაწ აშლილს ნურკებსე.

თვისის მისივეარული გულის წყალობით, ეგნატემ ძალიან მალე იცოდა დახლოება კაცისა, დამეგობრება. თუ თვალში მოუვიდოდათ, გადაგიშლიდათ მთელს თავისს გულს და შიგ ჩაკასკედებდათ. მაგრამ სულ უბრალო, თითქმის უმნიშვნელო მიზეზი იქმნებოდა, იმავე ეგნატეს მთელი თვისი მეგობრობა და სიყვარული კეთილ ერთის წუთის განმავლობაში და მოსისსლე მტერივით გადაგიდებოდათ. ის აღმინა, რომელიც მისთვის გენიოსიც იყო, ყოველსავე უპრობისებით აღსაკვეთ, ნიჭითა და მხნეობითაც შეგობილი, მეორე წუთს ადვილად განდებოდა, უპრობისსო, უნიჭოდ, ნაცარქქვად, ერთის სიტყვით აღმინის ყოველ ღირსებას მოკლებულ კაცად გადაიქცეოდა. რაკი ერთი ავითვალწუნებდათ, თქვენნი სამოვლილი მანად გადაიქცეოდა. ესეშიც თქვენ განდებოდათ, მუსხანათიც. მზად იყო უკანასკნელის დონესათვის მიუშრთის — მოკვლით. «სამაგელი არ უნდა აჩსებოდეს დედამიწის ზურგზედა». რეკოლეკრი სულმუდამ თან დაქქონდა ყობით, თუმიც მაკვლითი არა ყოფილა, რომ როდისმე ვისთვისმე ესროლნა.

რამდე ღაზარკის დროსაც სხვას არავის გაიკვდა ისეთსა, ვინც, ოდნავად არი, არ მოსწონდა. ზესტაფონის რკინის გზის სადგურზე რომ გამოვიდოდა, დაკლებდა ხელს ვარ. ჭიჭინამეს, ან კარ. ჩსეიმეს, გაისმობდა ცალკე და ისე დაუწევდა სშირად სულ ცრუდ-უბრალო ღაზარკისა.

IV

1891 წლის გაზაფხულზე ეგნატე ინგოროუყამ ჩვენის საერთო ნაცნობის, ვარლამ ჭიჭინამის ხელთ ტფილისში თავისი მოთხრობა — «უნაურო სენი» გამოამიგზავნა. თანაც მოხლდა, «იკერიისა» რედაქციელებს იცნობ და ეკბე ივარგოს ამ მოთხრობამ და დახბეკვდინოყო. იმ ხანებში რედაქცია «იკერიისა» თითქმის მთლად გრ. უიფშიმეს ებარა, თუ არ de jure, de facto მანინა. ისეთი დრო იყო, როცა გრ. უიფშიმი «ახალგაზდა» მწერლებს სენიო ექება.



ყოველ ახალგაზდის მიერ წარმოდგენილს მოთხოვნას, თუ  
 ტარ ანის, ნიჭის ნასახს დაატეობდა, დიდის სიამოვნებით ჰბეჭდა-  
 ვდა გაზეთში. «მა როგორ იქმნება, უნდა წავასაღისოთ... დღეს  
 სუსტი მოთხოვნა მოიტანა, ხვალ, იქმნება, უკეთესი მოგვაწოდოს,  
 მერე კიდევ უკეთესი, და, ასე ამ გზარად, ჩვენის მწერლების მნი-  
 რედს გუნდს ერთი მწერალი კიდევ მოემატება».

ამ მოთხოვნის დაბეჭდვის შემდეგ არ გასულა დიდი ხანი,  
 იმავე 1891 წელს, ეგნატე ინგოროუვა ნ. დოლობერიძის დასთხო-  
 ვნია და ექსპერტ ტიმოფეევის საფილექსურო დასა ჩარიცხულა  
 სამსახურში. მისში ტფილისში ჩამოვიდა და მხასა,—დასი სა-  
 მუშაოდ დაღესტანში მიდის და მერე იქ მივსდევო. ძალიან კი უჩი-  
 ვოდა ჟანსა და სისუსტეს. ისედაც დასუსტებულს, დაღესტანში რა  
 გამძღებინებსო.

შემოდგამაზე საფილექსურო დასმა, ჩაუღებრივ, მუშაობა  
 გაათავა და ეგნატე უაღაგოდ დარჩა. ზაფხულში აღებულ ჟამბი-  
 რებიდან სუთი თუმანი რის კაი-ვაგლასით გადაეხარჩუნებინა. მი-  
 თხრა, ამ ფულთი მინდა რამდენიმე თვე მაინც ტფილისში ვიცხო-  
 ვრო, გავიტრა აჭური ინტელიგენციაო. ეგნატემ დაიჭირა ერთი  
 ზატარა ოთახი კლისაბუდის ქუჩაზე, იუიდა რუსული წიგნები და  
 შეუდგა მერადინეობას.

ამ ხანებში დაიბეჭდა «ივერიაში» ეგნატეს «შალასტომის  
 ტბა», რომელმაც ერთბაშად მოუზოვა და გაუთქვა სასული. მის მე-  
 გობართა და ნაწნობთა გული იმედით აგვივსო ამ მოთხოვნის წა-  
 კითხვამა და უფრო მოწინააღმდეგით დაუწყვეით ახალგაზდა აკტორს  
 უფრება. «შალასტომის ტბას» მოჭყვა «არშიენა».

ამავე დროს ხუთი თუმანი ნასახი-ღა იყო ძირს. «რა მეშვე-  
 ლება, ფული შემოდელიაო»,—სასოწარკვეთილებით ამბობდა ხოლმე  
 ეგნატე. ერთს დღეს მწარედ შემოძივლა, ჩემი «სკაბიჩესკისა» თხზუ-  
 ლებანი უნდა გაეყიდო და, იქნება, შეიდეკელი მიზოვნო ვინმე, იათად  
 მივცემო. გაჭირვებულს ეგნატეს იმ ხანად, როგორც იყო, ხელი მოანა-  
 ცრელებინეს, როგორც შეემლოთ, მიეშველენ, გარჩა ეგ შველა წკა-  
 თი იყო, და მისი მდგომარეობა კი უფრო დიდს შველასა და და-  
 ხმარებას თხოულობდა, რამაც მის მეგობართა და ნაწნობთა ხელთ



არ იყო. ბარემ ვათესებდით მისს ნიჭსა, ბარემ შეგნებულნი ვიყავით და, რომ ეგნატესე დადებულნი ვიყავით ერთი-ოცნად, ერთი-ასნად შიშობდა სამაგიერო ნაყოფსა; მაგრამ მაგარიცა და რბილიც ის გახლდათ, რომ მისის ახლო მეგობრებისა და ნაცნობების მდგომარეობა ბეჭი არაფრითა სჯობდა იმის განწირულს ყოფასა...

ყოფილო, უსასწრო ეგნატე ინგოროყუვა ტფილისიდან ბათომში მიდის. იქ ერთის ნაცნობის საშუალებით ერთს ქარხნის კანტორაში ადგილსა შოულობს და დღეს-ხვალიობით დროს ატარებს. რამდენისამე ხნის ტანჯვითა და წვალებით ცხოვრების შემდეგ ეგნატემ ისევე ზესტაფონს მიაშურა, სადაც ი. კაკაბაძესთან, როგორც ყოველთვის, მეგობრულს ნათესაყუდარსა ჰქმნობდა.

1891 წლის გასულს აქვს ეგნატეს დაწერილი თავისი მოთხრობა «სამონა». ამ მოთხრობით უფრო მიიქცია ახალგაზრდა აუტორმა შეთხვეულ საზოგადოების ყურადღება. ცოცხალმა ენამ, მოთხრობის არაკმა, სადად და მდაბიოდ ნააშობმა და შირდაშირ ცხოვრებიდან ამოღებულმა, თავისის სინამდვილით, რეალიზმით თანაბრად აუტოკა გული გურულს მუშასა, გლეხსა, ქართულის წერა-კითხვის ჩათვლით მცოდნესა და გული აუტოკა ინტელექტისა, რომელსაც გურია და გურული მხოლოდ სიტყვით გაგონა, რომელიც გურულის ცხოვრების აღწერას შირველად ჰკითხულობდა.

▼

1892 წლის გაზაფხულზე გელაჟ უბრუნდება ნ. ლოდბერიძის კანტორაში სამსახურსა, სისხლის გამშრობ, ჯანის წამრთმეკს სამსახურსა. სწორედ ამ შავ-ქვამში მუშაობამ გაუნახვერა ეგნატე ინგოროყუვას თავისი ბედ-გურული სიცოცხლე. «რო ვქმნა, გაჭირვება, თორემ ამ ჯანაბას (შავ-ქვამში სამსახურს) მის დღემში არ მოკუბრუნდებოდიო», — მითხრა განსუენებულმა, როცა შემთხვევით მისი თანამოსამსახურე გაკხდა.

ნ. ლოდბერიძეს გამშობა ჰქონდა კანტორა, ეგნატე ინგოროყუვამ ბეჭი გაჭირვება გამოიარა იმ ადგილსადაც. ერთი ბეჭა მო-



ცალკეობა არა ჰქონდა, თავის დასუსტებულ ნერვებისათვის აწინააღმდეგებდა და წიგნი ეკითხნა, ან ეწერა რამე. აი თვითონ რას იწერება გომში ცნობებისას:

«არ ვფიქრობ, რომ აქ რამეს დაწერა შეიძლებოდა, თუმცა-ღა კი შენ ძლიერ მიჩნევ რამე დაწერო. ახა, წარმოიდგინე, რის დაწერა შეიძლება ასეთ გარემოებაში: ათასწლიანი გარყვნილი ხალხის სამივიტნოს გვერდზე არის მიკეთებული ბუდესავით ერთი ოთახი, რომელსაც სიგარე 5 არშინი აქვს, სიგანე  $3\frac{1}{4}$  არშინი, სიმაღლე  $3\frac{1}{2}$ . იატაკი დამბალი, ოღრო-ზღრო, უსერიო ჭერს ჭვემოვან ისეთი დვირუები აკრავს, რომ კაცის თავი უწევდება ჭვემოვან. ერთი ხელის გულის ოდენა ფანჯარა. ამ კუბო-ოთახს სამივიტნოსაგან აშორებს კარდონივით თხელი ფიციის კედელი. დუქნიდან ისე შემოდის მთვრალი ხალხის უყვანი, ჩხუბი, ღანძლავა და აუღ-მაუღას ხმა, თითქო შიგ, ჩვენთან იყავს. ასეთი მორთული ჩვენი ოთახი ისეა გაუსილი (გახსოვდეს, რომ ამ ოთახში 2 კაცი ვცხოვრობთ) უსერიო სტოლით, უსერიო ღოგინებით, ნიშებით, წაღვატებით, რაღაც ჩვენი ხაზაგ-ხუბავით, რომ ვერც კი გაიმორკვი შიგ. ვერ სინცხები არც კი დაწეულა და სულის შესუთვას კგრძნობ შიგ. რაღა იქნება შემდეგ? მაკვირებს, როგორ გასძლო შარშან(ს) გ—ქმ ამ საშინელ მდგომარეობაში? ერთი საჩივარიც არ განუცხადებია—გლანა ოთახია!!! ახლა მოდი და იძუთავე, თან წერე ამისთანა მდგომარეობაში? შეიძლება? არ ვფიქრობა.»

გომში ყოფნასა და იქ ტანჯვა-წვალების შესახებ აი გიდეე რას იწერება ეგნატე მეორე წერილში, გომიდანვე 1892 წლის 7 მაისს:

«...კვდივარ ათასი უსერიო მუშაობით და ოსებთან დავიდარბისაგან მოქანცული; გარშემო შავი ქვის მტრისაგან გამოურული ჯარი, მთვრალი ხალხის უყვანი, საშინელი ღანძლავა-გინება, ყვარული და ჩხუბი, სულის შემსუთავი სინცხე; კუბოს ოდენა სხვა-დასხვა სურდა-მურღით გატენილი ოთახი, რომელსაც ერთი ხელის გულის ოდენა «ფორტოკა»-ს გარდა ფანჯარა არსადა აქვს გასაუფრები. აი ერთი წამის წინეთ გასტუმრე ერთი პარტია მეურმი (თითქმის 40 კაციმდე ერთი კვიტანციით), რომელსაც ათი წლის სამუოფი სისხლი დახარჯე. გახედავ-და, გამოხედება ახალი გუნ-





დი, რომელსაც ან კვიტანცია გადაუსწორებია, \*) ან სხვა ერთი ჩსუბი აუტესნია და ახლა მოდის ეგნატორნიკია-ს\*\* წასაყვანად. ხელახლა იგივე ჩსუბი და დაკვი-დარბა, ხელ-ახლა იგივე წვალება ფულის გაყოფაზე; ასევე გაყოფა, ასევე დაუთვლი; გეისედავ და კიდეკ მობრუნებულა და თხოულაბს ხელ-ახლა ანგარიშს. წავა, გაისტუმრებ, როგორც არის მეურმეებს. გინდა სული მოიბრუნო. გაიღება კარები და შემოტევა მთვრალი ხალხი და უფარის ესა და ეს მომიადეა-ო (ეს ოხერი,) ჩვენა კანტორა ეგდას დუქანი ჭკონია). ეუბნები, (—) «გადი გარედ, ეს დუქანი არ არის»-ო, მაგრამ რა ბრძანება! სანამ ერთ აყალ-მაყალს არ გაგიწვეს, კერ გადგინი გარედ. დღეს ერთი ჩამცილება — ძმარლი მომიადეა-ო. აბა შენი «არა» და «კი» სადაა ეუფრება სიმთვრალისაგან თვალ-დაბნეულ ოსს! «დამით მინც მოეისვენება»-ო, ფიქრავ, მაგრამ კვ იმედიც გიმტყუნდება. ჩვენ(ს) ოთახზე მოკრულ დუქანში სმა, უფარლი, ჩსუბი, ზურნა, ღანძღვა, ასე რომ დილაძე უნდა უფრო ამ შესაკებულს ჭარმონიულს სმაურბასა.

ერთს წემოხსენებულ გადასწორებულ კვიტანციების გამო ოსებთან ატეხილ ჩსუბში ეგნატემ რეკლავებინც კი მოიშველია. მაგრამ არაკის-რა დაშავება და სჯემ, როგორც იყო, მშვიდობით გათავდა. 1802 წ. 31 მაისს ეგნატე ინგოარუყვა ნ. დოდობერიძის წესტაფონის კანტორაში ოსებთან აყალ-მაყალს შესახებ აი რას იწებება:

\*) მეურმეები (მომეტებულად ოსები) გომში შავ-ქვას ჭიათურის მადნებიდან ეზიდებოდნენ. ყველა შავ-ქვის მწარმოებელს თავისი მადანი აქვს საკუთარი ან იჯარით აღებული. როცა მეურმეს შავ-ქვის მიუწონავდნენ გომში წახლებად, თან ბარათს (კვიტანციას) აძლევდნენ და შიგ უწერავდნენ, იმასა და ამას აძლენი და აძლენი ფული შავი-ქვა მოაქვს და ყოველ ფულის გაღატანაში მაზანდაზე, ვთქვათ, 28 კ. მიეციო გომის კანტორაშიო. უფრო დახელოვნებული მეურმეები სკდილობდნენ კვიტანციაში აღნიშნული შავი-ქვის ჭირა მეტზე გადაესწორებინათ. თუ კანტორაში მოსამსახურე მეურმესთან ანგარიშის გასწორებას დროს სიყალბეს დროით შეიმჩნედა, ზომ კარგი; თუ-კი მეურმეს სიყალბე გაუვიდოდა და მოსამსახურეს იმაზე მეტს ჭირას გამოართმევდა, რაც მადნიდან გამოტანებულ კვიტანციაში ეწერა, ეს მეტად მიცემული ფული კანტორაში მოსამსახურის გადასახადი ხდებოდა, თუ კანტორის პატრონი არ აპატივებდა. აი, ამ გადასწორებაზე ლამარაკობს ეგნატე თავის წერილში.

\*\*) ესე იგი, ეგნატე ინგოარუყვა.



«ხვალ მაიღებთ, ესე იგი გამოკვჩანინ თვიურ ანგარიშს (კანტორასას). მკრამ რალა თვიური ანგარიშის დაწერა შეიძლება აქ, სადაც დღეში ოთხი-ხუთი ჰერტოკოლი უნდა გაწერინოთ ყანდარმებს!\*) აქ ყოფნა და ომში ყოფნა ერთი და იგივეა იმისთვის, ვინც ოსებს ყოველივე უთაურობას, სიყაღბეს და მოტყუებას არ შეაჩვენს. წარმოდგინეთ, მარტო დღეს ექვსი კვიტანცია მაიღებთ ოსებისაგან, ექვსივე გადაკეთებული; გადაკეთებიათ 28 კანკეიი\*\*\*) ოც და ათად. თითოეულ კვიტანციას ათი და თუთხმეტი მუერმე ოსი ახლავს. ოცდა გამოკვჩანდე—კვიტანცია გადაკეთებულია-მეთქი, იპურეს სანჯღები, მოდინ, —ბიჭი ხარ და ნუ მოკვნივთ ოცდა ათ კანკეისა(!) სხვა რა გზაა, უნდა დაიკაო რეკოლეკრი ხელში და გაუჩრდე სალდათივით წინ. —ესლას სსკები გაიკებენ(;) ჩეკნებს ჩსებს უშერებან, რეკოლეკრით დახრცვას უშირებენო, იგრანალებს მთელი ხალხი და აწკება კანტორასს. მაყურებელი ხალხი სულ-გატკრინული მიიპარება—ოსებმა ჩვენც არ დაგვსოცანო. ერთი სიტყვით აქ რომ ერთ დღეს სისხლს გაიფუჭებ კაცი, იმას ათი წლის კარგი ცხოვრება ვეღარ დააჭიდდოკებს. სულ მთლად მოიშალა ამ მუდამ მღელვარებაში უმიხლოდაც უსერიო ცხოვრებით გაფუჭებული ნერვები.

«ყველანი ამოებენ, რომ თაკის დღეში არ ყოფილა ის, რაც წრეულს არის გომშიო. თვილბე კანკებამე, ცოტა უკლია, აგრე გამოიქცევა აქედან. საწყალ ოქროშირ ჩანანბეს და მის კანცებს, რომ შეიმწყვდევენ ხოლმე ოსები(,) რაცა სურთ(,) იმაზე ითანსმებენ. ისე-ისევე ერთი ჩვენი კანტორა არის, რომელიც უმაგრდება ჭერ-ჭერობით და ოსების საბურთაოდ არ არის.

«დღეს, როგორც ვსთქვი, ექვსი გადაკეთებული (ქირა იყო გადაკეთებული) კვიტანცია მოიტანეს (№№ 8, 9, 17, 18, 19, 24, —საყდრის\*\*\*)) კვიტანციაები). შირველ კვიტანციაზე (№ 8) კანკებამის მწონელი, ტატო ჩლიბკილი, ჩამოვიდა შუქრუთიდან, იმან(ის) მოწმად დაგვიდგა—სწორედ 30 კანკეკად გაურბდნენო. და ასე

\*) ოსების თავ-გასულობაზე.

\*\*) თითო თუთხმეტი შავ-ქვის გადმოტანის ქირა.

\*\*\*\*) საყდარი —სოფელია კიატურისიკენ და შიგ მადნებია.

(30 კანკეში) გაუუსწორდით, რასაკვირველია, ჟანდარმის თანხმობის  
რებით სელწერილის ჩამორთმევეთ. 2 კვიტანციაზე (№№ 9, 17  
საყდრისა) ზოტოკოელი შეკადგენინეთ ჟანდარმს და 28 რვა კა-  
ნკეში გაუუსწორდით; ერთ კვიტანციაზე (№ 18, საყდ. ჟანდარმა(ი)  
კერ დაწმუნდა, — არ ეტყობა გადაკეთებლობა და, რადგანაც პეტრის  
კვიტანცია იყო (24 ფუთი), მიიკვით 30 კანკ.; ჟანდარმა მითხრა —  
როცა მანიფესტი\*) მოგვას, მომიტანე და მამინ შეკადგენ ამის შე-  
სახებო ზოტოკოელსაო. ორ კვიტანციაში (№№ 19 და 24), ესენი  
საკმაოდ დიდი კვიტანციები იყო, — ერთი 248 და მეორე 212 ფუ-  
თი, თითონ დაშეთანხმენ რსები, — როგორც თქვენ გენებოს და  
იცნოთ, ამდენი უნდა ყოფილიყო, ისე მოგვეცით, და ჟანდარმა  
აღარ მოგვეყვანას, ისე მიიკვნი რც-და-ათის მაგვირად 28 (რცდა-  
რვა კანკეი). (ეველა კვიტანციას ეტყობოდა რომ წინად 28 კანკე-  
კი ყოფილიყო დაწმული.

«საკა აჭაური საქმე, მუდამ ჩსუბი, მუდამ კაი-კაცლასი, მუდამ  
რეკლავური და ხანჯალი...»

მეორე დღეს, 1 იანისს, გომიდანვე ნ. დოღობურიძის ზესტა-  
ფონის კანტონში ამ შინაარსის წერილსა ჰგზავნის:

«...ვისაც აჭაური (გომის) გარემოება არ უნახავს, ის ადგილად  
(კერ) წარმოადგენს ამას. მე, უნდა გამოეკუთდე, მომძულდა თავი  
და ცოტა მაკლან თავის დანებებას. იტვი არ არის, ამის წაკითხვის  
შემდეგ იკითხავთ: მას როგორღა სძლებდნენ შარშან კაკვამე და  
ნესტონა? შარშანაც სამნი არ იყვნენ? არ ვიცი როგორ სძლებდა.  
მხოლოდ ეს კი ვიცი, რომ 1890 წელს მეც ვიყავ აქ, ვიყავ შუა  
ზაფხულში, როცა ქვის გადმოტანა ეველა დროზე მეტა. მაგრამ  
სრულებითაც არ მიმხელდებოდა მამინ აჭაური მუშაობა. ესლა კი  
სადილ-ვანშამის ქამას და ძილს ძლივს გასწრებ. ამასთან კიდევ  
ყოველ წამში ახალ-მხვალი და კაი-კაცლასი!»

\*) მანიფესტი მეორე პირია შავ-ქვის კანტონებში შემოდებულ კვიტანციე-  
ზისა, რომელსაც ქვის გადმოტანს იტანენ ხოლმე. ტალონი რჩება თვითონ იმ კან-  
ტონში, საიდანაც შავ-ქვასა მგზავნიან გომისა თუ ზესტაფონის თავ-კანტონებში,  
კვიტანციის შავ-ქვასთან ერთად შავ-ქვის გადმოტანს აძლევენ თავ-კანტონში  
წასადგენად; ხოლო მანიფესტს მერე უგზავნიან თავ-კანტონებს ქვის მომტანთა  
შეიწარმოდგენილ კვიტანციებთან შესამოწმებლად.



გენტიეს მეგობრულს რჩევას ვაძლევდი წერილით, თუკი თხოვდა, თავისი დონე, ჟანი დაწვრილა საზოგადო საქმიან-  
 თვისა.

«... შენ მარბე:—მწერდა გენტიე ამ ჩემის წერილის მასუ-  
 ხად,—როს ჭკუას გადასწორებულე კვიტანციისათვის ოსებს თავი  
 შეაკლავ? მართალია, ჭკუა ვი არა, სისულელეა და მერე რა დიდი  
 სისულელე! შენი სიტუების არ იყეს, რის გულისათვის? მე გეტყვი  
 და სბოლოოდ ერთი გროში დაგჩნეს! ვალები თუ არ დამჩნებო-  
 დეს, გროში ვინდა ჩივის! მაგრამ რა უნდა ქნას კაცმა? ან სულ  
 უნდა დაჯანებო აქაურობას თავი, ან ოსებს უნდა დაკუთმო ყოვე-  
 ლივე სიყალბე, რომელშიაც ბოლოს მე დამდებენ ბრალს—«ვინ იცის,  
 იქნება, ოსებს ვი არა, თითონ გადაგისწორებია ეს კვიტანციებო  
 (სომ იცო იტვიანობის ამბავი). თუ არა და ენსუბო უნდა. უნსუბ-  
 რად, სომ იცო, სიმართლეს ვერ აღადგენ, სიყალბეს სინამდვი-  
 ლედ მოგჩენებენ. ვსტადე, რამდენსე ტებილად, თავმდაზლად და  
 ადამიანურად დაუწყებ ღაშაჩაკს, იმდენსე ოსი, გაუთაურებულე ოსი,  
 ხმას იმადლებს, გლანძაკს, დაუახნებას და გადასჯას გიბირებს.  
 ესლა წარმოდგინე ჩემი მდგომარეობა: თავი დაჯანებო და მის წა-  
 ვიდე? რა გჭამო? მერე ვიდე კანტორის თულიც დამელება ვაზად.  
 ამყოფს ავევე და დამყოფს დავევე, ესე იგი ვამლიო თული ვაზბ  
 კვიტანციებში, გავხდე ოსების გულისა? მერე რით ვაკვირთლო  
 ნიკოლოზთან\*) თავი? კრიტიკული მდგომარეობა რომ იტყვიან, ეს  
 არის. სულ ორი გზა დარჩენილა,—ერთს დაადგები, ტეტსლში ჩა-  
 ვარდება, მეორეს,—წყალში. ესლა რომელი ვარჩიო? სულ ერთი არ  
 არის?»

## VI

1892 წლის ზაფხულში გომში სორეკლა განხდა. ყოველივე  
 აღებ-მიცემა შესწყდა; შავის-ქვის ოპერაციას შეჩერდა, კანტორები  
 ყველა დაიკეტა. სხვათა შორის ნ. დოდობერიძის კანტორაც დაი-

\* ნიკოლოზ დოდობერიძისთან.



კებ გომში. ეგნატე ინგოროყუვა სესტაფონში ჩამოვიდა, გაუხირობდა და ნ. ღოდობერიძეს და ავადმყოფი თავისს სოფელში, ნონხათში, წავიდა თავისს მამასთან.

მაგრამ დიდს ხანს ვერ გასძლო სოფელში. ტფილისისაკენ მოისწრაფოდა—ესხვან სინტონსლეს, იქ (ტფილისში) სიკვდილი სუობანო, ის არის ჩემი «ელტქმის ქვეყანა». მწერდა: «მე შინ (ნონხათში) ვარ. მარცხს, უკუელ შემთხვევაში ერთი რამ უნდა გთხოვო: თუ შეგობლია, მოძინებზე «იკერიის» რედაქციაში მუდამი სამუშაოს შოვნა. ავად ვარ, მაგრამ რა გუყო, კარგა როდის ვეოფილვარ! სანამ ცოცხალი ვარ, ჭამა ხომ მინდა. იქ (რედაქციაში) მუშაობა ქე მანც არ მეთავილება. მუშაობასაც შეგობლებ. ერთი სიტყვით, თქლო, თუ ჩემთვის კარგი გსურს, გაძაწევე ეს საქმე. მგონია, ესლა ვაკანსიაც არის. შენ იცი, ეცადე, მეტი რაღა გითხრა. სხვა ადგილი, რაც უნდა იყო, არ მინდა, არა თუ ესლა, თავის დღეშიაღ».

«იკერიის» რედაქციაში ჩემის ნაცნობებისათვის არავისათვის მიმიწერია ეგნატეს შესახებ. გინდაც რომ აღმოჩენილიყო მისთვის ადგილი, ვინცადი, ჩქარა უნდა გამოქცეოდა გასეთში მუშაობასა, როგორც შეუფერებელს მისის ჟანსისა და ფინსის ხასიათისათვის, და, რამდენადაც მასოკს, ეს ჩემი არაი ჟერ წერილით გაუზიარევი ეგნატესა და მერე სიტყვიერადც ვუთხარა.

1892 წ. ოქტომბერში ეგნატე ტფილისში წამოვიდა და კვლავ მოხანსა ზაქარია ჭიჭინაძის სასლი. რამდენსამე ამხანაგს სესტაფონში საერთო წერილი გამოგვიგზავნა და ასე აკვირა თავისი დაბინავება ტფილისში:

«მე დღეს მოკვდი ქალაქსა სატანტოსას და დავეკვიდრე სახლსა ზაქარიასასა.

«დღეს დაღას ნაღდი ფული მქონდა: 5 მანეთი რუსული ასიგნაცია, ანუ კრედიტი ბილეთი, 70 კაპეიკი რუსული ვერცხლი, ესე იგი ლიგატურა და 2 კაპეიკა წმინდა სპილენძი. რაც შეეკება ჩემს ჟანს, გზაში ცოტა უფრო ცუდად შევიქენი. მაგრამ იმედი მაქვს ამ ზამთარს რომ მთაზე გაგატარებ და მომავალ ზაფხულს—სადმე დაბლობში, იმედი მაქვს სრულად გამოვმრთულდე. ვინაგუნე ისეთი



ადგილიც, სადაც 7 კანკეად ძალიან მაგრად ეძღები. ვინც კი შეეძინა ამბავი, ზოგისა გიუვართ (ჯამბაკურიძისა\*) სო აუკვავა ჩვენი ზოგისა) და ასეთი სადილის შესახებ შეთხუზავთ:

„წაღას იგი ხაცია,  
 წომლის ბეგეტრისტმა უნდა ჭამოს  
 შეიდა კანკეიანი ზორცია!“

თქვენ რაც გინდა იგი თქვით და მე კი ძალიან ეძღები.

მართლაც, მინდოდა ზღანი გამომეგზავნა ჩაქარას სახლისა. მაგრამ ხატვა არ ვიცი. მას ავიწერთ: მთა-წმინდის ბუნებრივი სიმაღლე რომ არ ყოფნისა ჩაქარას, ხელაგურად მიუცია სიმაღლე გადაუშენებია ზედ წვეროზე ერთი ძალიანი ოთახი და დაჭურვებს თბილისს.

მეცადინეობა ისე კარგად შეიძლება, რომ ჩაქარას ქადაგებაში ამ წერილის დაწერის დრო ძლიერ ვიშოვე. ძილიც ძნელია, რადგანაც ღამითაც საჭიროდ დაინახა ქადაგება. წერა-კითხვას ვერ შევიძლება, დრო არ მექნება. მაგრამ სამაგიეროდ ქადაგება გამბრძნეებს.

მეტი წერა აღარ შემიძლია, ესე იგი დრო აღარა მაქვს, ქადაგება უნდა მოვისმინო.

დიდ ხანს არ გაუგლია და აი ეგნატე კვლავ რას იწერებოდა: „...რაც თთილისში ამოველ, ამ ბოლოს დროს 9/10-ს დღე და ღამისა ღოგინში გწეკარ უძღურების გამო. მაინც სულ მოძელა იმ გარემოებამ, რომ შინიდან ძლიერ ცუდი ამბები მომდის: გუშინ დამარხეს ჩვენი ოჯახიდან ერთი უსაყვარელი ჩემი ნათესავი. მე ისიც ვერ შევიძელი, რომ ან ავადყოფილი მენახა და ან დამარხვასე მანც დავსწრებოდი.“

ვეინი, მკითხავ—რას დასწერეო. აბა რა უნდა დასწეროს ასეთ მდგომარეობაში კაცმა! მე კი მაინც არ დაუფურე თავს, ძალა დაკატანე და ერთი უხვირო მოთხრობა (სახელად «ზარტასია») დაუ-

\*) ერთი ვინმე გურული თბილისი ჯამბაკურიძის, უხვირო ლექსებს სწერდა თურმე. მისის მხავას ავტორების მოლექსობას „ჯამბაკურიძის“ ფაზდა ეგნატე ინგოროყვა.

ფლახზე ჩვენი ამხანაგობის \*) კრებულისათვის. გადარევი კიდევ. მაგრამ იმედი ვი არა მაქვს, რომ გავიდეს. \*\*) ესლა ვი აღარ მაქვს წერის ღონე. წერის მაგარად მიმი-მომიდვას ვასკელებ და ვწავარ ლაგინშია.

ეგნატე ტფილისში ვერსად დადგა სამსახურში და თან არც უნდოდა დამდგარიყო სადმი. «პრიკაშიკობაში» და სხვის თვალწარბში ტყვერამ კაცობა გამინასკვრაო, — არა-ერთხელ მწარედ შემოუჩინვლია ჩემთვის.

ასევე მწერლობას მიმართა, იქ დაუწყო ძეხნა ცხოვრებისათვის სასასარსა. 1892 წლის დამდეგსა და მასში «იკურიაში» დაბეჭდილ მოთხრობებს «სიმონა» და «ქრისტინეში» რედაქციისაგან ჭონორარი მიიღო, თუმიცა პირველ მოთხრობის დაბეჭდვისათვის პირობა არ მიუცია რედაქციას ეგნატესათვის — გასამრჯელოს ფულს მოცემო და არც იმას მოუთხოვია ჭონორარი. დეკემბრის რამეტოდან მოყოლებული კიდრე 27 მარტამდე, ესე იგი ოთხის თვის განმავლობაში მიიღო ეგნატემ ნაწილ-ნაწილად ამ ორ ზემოხსენებულ მოთხრობების ჭონორარი 146 მანეთი და ამით იბრუნებდა სულსა.

VII

ეგნატემ 1893 წელს გაზაფხულზე, ექამ ქაქოქეს რჩევით, ქალაქს სრულებით დაახება თავი. ფელტეები სრულად გაუფუჭდა, ძლივს-და სრიალებდა, სულ იმას გაიმხროდა, სული მიკუბდება, ჭური არა მყოფნისო. ერთს ხანს ბათომში გადაესასლა. მეგობრების დახმარებით, როგორც იყო სულს იბრუნებდა. ტფილისიდან რე-რე-რე სელს უმართავდნენ უგანასკნელ დღემდე მიღწეულს ბელჯეტრისტსა. დიდი გულმტკივნეულობა გამოუჩინა უდროოდ სამარისაკენ მიმავალს ჩვენს საუკეთესო შვილს ჩვენმა პატრიარქულმა პედაგოგმა იაკობ გოგებაშვილმა, რომელსაც გული

\*) ესე იგი წიგნების გამომცემელ ქარველთა ამხანაგობისათვის, რომლის წევრიც ეგნატე იყო. ამ «ამხანაგობას» 1893 წ. განხრახვა პქონდა «კრებული» დაიბეჭდა.

\*\*) ეს მოთხრობა ეგნატეს სიკვდილის შემდეგ, 1894 წ. «კვილში» დაიბეჭდა.



ტრემლად ეწურებოდა, როცა გაიგებდა ეგნატე ინგორუეჟას თანდათან უიმედო ეოფისა. სსკა წვერნი ჩვენის საზოგადოებისა, რომელთაც თუ იურიდიულად არა, ზნეობრივად მაინც მოეთხოვებოდათ, უკანასკნელ დღეში მეოფე მწერალს დახმარებოდნენ და სიკვდილის წინა დღენი, ტოტათაც არის, დაეძებინათ, განზე იდგნენ—«ჭირა, მუზობლისასაო...»; ყურები დაიხრეს, — მომავლად ეგნატეს კანესა არ გაუიგონოთ; თვალბზე სული დაიფარეს—მისა უკანასკნელი ბრძოლა არ დაინახათ სიკვდილთანაო...

ზაფხულში ეგნატემ «იურიის» რედაქციას წარუდგინა თავისი მოთხრობა ჩვენი ქვეყნის რაინდი» და სთხოვა: ძალთან მიჭირს, თუ მოგეწონებათ, დამბეჭდეთ და სკედრი ფული ძალე მომიშველეთ. მაგრამ, სამწუხაროდ, არ კიციოთ რა მოსაზრებით, «იურიის» რედაქციამ ეს მოთხრობა არ დაბეჭდა, და დიდად გულისტკენი და აღშოთებული ეგნატე იმულებული იყო «გვალში» მიეტანა და იქ დაბეჭდა სასყიდლითა.

ბათომიდან, უკანასკნელს დღეს რომ მიატანა, ეგნატე ისეკ თავისის მშობლების სახლს დაუბრუნდა, სადაც 1894 წლის 29 აპრილს კიდევ განუტევა თავისი მრავალტანყული სული...

ეგნატე ინგორუეჟას დასაფლავებაზე დიდძალი საღმრთო მოყვარე თავი: მრავალი წარმომადგენელი იყვნენ ჩვენის სსკა-და-სსკა წოდებისა, თუ ყურნალ-გაზეთებისა, — ყველანი გვირგვინებითა. ყველანი შეეცადნენ შესაფერი უკანასკნელი პატივი ეცათ, უკანასკნელი საღამო მიეცათ ეგნატესათვის, რომელიც ისე მოკვდა, რომ პატივისცემა იშვიათად თუ ვისვანძე ახსოვდა, ვარდა ორიოდ-სამაოდ დაახლოებულ ნაცნობ-მეგობრისაგან.

ეგნატე ინგორუეჟა დასაფლავებულ იქმნა თავისის სოფელ ჩოჩხათის ეკლესიის გალავანში.

თ. სახლავია



## გიგლიოგრაფია

„ჩემო შვინდავ!“ სურათი შ. არაგვისპირელისა, სახალხო  
წიგნი, № 7.

დღეიანდელ ჩვენს ახალგაზრდა ბელეტრისტებში შესამჩნევი ადგი-  
ლი უჭირავს ბ-ნს შ. არაგვისპირელს. სულ სუთი-ეჭესი წელიწა-  
დია, თუ არა ვსცდებით, რაც ამ ახალგაზრდა მწერალმა დაიწყო წე-  
რს პატარა-პატარა ამბებისა და მოთხრობებისა. პირველი მისი რდა  
სახელბეტრისტო ასპარეზზედ იყო «ახრეშუმის ხელსახოცია», დაბეჭ-  
დილი გ.ზ. «ივერიაში». იმ პირველს რდასვე ეტყობოდა, რომ მის  
ავტორს ნიჭი აქვს ჩვენი ცხოვრების ხელოვნებით დასურათებისა  
და ცხოველ, სინცნისლით საგვ სურათების დახატვისა. პირველ  
რდას მოჭყვას მეორე, მესამე, ბერად უკეთესი ნაწერები ჟურ ისევ  
სასწავლებელში მეოფის ახალგაზრდა ავტორისა და მკითხველმა სა-  
ზოგადოებამაც მიაჭტია ყურადღება ახალს მწერალს, ახალს ბელე-  
ტრისტს.

ჟურ მწერალთა და მწერლობის მოყვარულთა მცირე გუნდს  
აღებდა იმედი, რომ ახალი, ნიჭიერი მწერალი ემატება სამშობლო  
ლიტერატურასა, და მერე თან-და-თან მკითხველს საზოგადოება-  
საც აკვსო გული საამოვნებითა და ნუგეშითა. განსვენებულს ნინო-  
შვილს მაშინ ჟურ სახელი არ მოეხეკა. ახალგაზრდა ბელეტრის-  
ტებში მხოლოდ დურუ მეგრელი, იასონ ნიკოლაიშვილი და მელანია  
მოლაწეობდნენ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ვაჟა-ფშაველას,  
რომლის პროზით ნაწერებს სრულიად სხვანაირი, განსაკუთრებული  
ელოფერი ელო, სხვა ხასიათი და მიმართულება ჰქონდა. მანც ვაჟა-  
ფშაველა, ჩვენის ფიჭრით, უფრო მგონიანა, მოდექსე, კიდრე ბე-  
ლეტრისტი.



უკვე ამის გამო მწერლობაც და საზოგადოებაც სიამოვნებით და იმედით მიეკება შ. არაგვისპირელის გამოჩენას და, თუ არა ესტუმბით, საღისით ადევნებდა თავალ-უურს მისის ნიჭის ზრდას და წარმატებას. ამის საბუთად ისინა კმარა, რომ მისი ჰატარ-ჰატარა ნაწერები, თითქმის უკვალა, გადათარგმნილ იქმნა რუსულად და დაბეჭდა ზოგი ვაზ. „Кавказ“-ში, ზოგი „Новое Обозрение“-ში და, ასე ტასინჯეთ, ერთი ვაზ. Каспий-შიც კი. ჩვენი საუკეთესო მთარგმნელები, როგორც, მაგალითად, გრ. კოლსკი, იხონელი და ა. ნიკიტინი, თითქო ერთმანერთს ეჯობებოდნენ, დიბეჭდებოდა თუ არა ახალი ნაწერი შ. არაგვისპირელისა ქართულად, თითქმის მაშინვე სთარგმნიდნენ რუსულად.

ის ჰატარა სურათი, რომლის სათაურიც ზემოდ ამოწერეთ, ერთი საუკეთესო ნაწარმოებია ჩვენის ბელეტრისტის ბ-ნის შ. არაგვისპირელისა. შინაარსი მისი სულ მარტივია: ჰატარა სოსოს, მამით ობოლს, რომელიც დღისის მესრეთ არის გუთნის-დედა ქიტუსასთან, დაეკარება ღამის მესრეს წყალბით ერთად-ერთი საუკარელი ხარი შვინდა. მანამდე შინარული სოსო დიდადა სწეხს, ჰურსაც კი აღარა სტამს და სამხრობისს დაეთხოვება გუთნის-დედას ხარის სამებნელად. შემდეგ კარგა ხნის მებნისა, დიდის წუხილისა და ტირილისა, შემდეგ თანხანარის გულის ხეთქისა უამინდო ღამეში, სოსო იზოვის ქალაში თავის საუკარელს შვინდას, მიჰკარდება და ჰკონის, ხოლო ხარი სამაგეოროდ სინარულით შეჰმეუის და ალერსის ნიშნად ულკავს სახეს.

აი ეს მარტივი ამბავია მოთხრობილი ამ ჰატარა წიგნაკში და ისეთის ცხოველებით არის მოთხრობილი, რომ ცოცხლებივით თავალ-წინ გიდეგებთ გუთნის-დედაც თვისის მოდგამებით, ღამის მესრენიცა და ჰატარა სოსოც, ეს უმთავრესი გმირი ამბისა. მეოთხეულსა ჰკონია, თითქო ვინც უკვალს, ვინც ამ წიგნაკშია დასახლებულია: ქიტუსასაც, სოსოს დედასაც და თვით ჰატარა მესრე სოსოსაც, რომლის იდეალია კარგი მესრე იყო, მეორე ხარისც გაზარდოს და ბოლოს იქნება გუთნის-დედაბისაც მოკსწროს. ჰატარა სურათი სოფლის ცხოვრებისა თავალ-წინ გიყენებთ თითქმის მთელს სოფლის ცხოვრებას, მის ჰატარარქალურს წეს-წყობილ-

ბას, მშვიდობიანს მოღვაწეობას ბუნების დასწავლავით, მასთან ცხოველად დაკავშირებით. სურათები ბუნების აღწერისა ამ მატარა წიგნაკში საუფსოვოა. უმთავრესი ინტერესი აქვს სოსოს ფსიხოლოგიას, მატარა ბავშვის სულის მოძრაობისა და კითხვების დასურათებას. ბავშვებისა და სოფელელ მატარა ბიჭების ფსიხოლოგიის ზედ-მიწევნით იცის ჩვენმა ავტორმა, ისე ტვიშლის თვალ-წინ მათის სულის კითხვებს, თითქო იმათს გულში ზისო. მოგონეთ თუნდა პირველი სტენები შ. არაგვისპირელის დიდის მოთხრობისა «და-ძმა», რომელიც შარშან დაიბეჭდა «მოამბეში». მანც ფსიხოლოგიურს ანალიზს ძრეულ ეტანება ჩვენი ბელეტრისტი და, სიმართლე გვაიმულებს ვსთქვამთ, რომ არა უოკელთვის ესერება და-ნამდვილებით და ზედ-მიწევნილის ნიშანდობლობით გამოხატვა დიდების ფსიხოლოგიისა. ხან-და-ხან, ზოგიერთს თავისს ეტიუდში მისს ფსიხოლოგიას დიდების სულის კითხვებისს ეტეობა სიუალებე, ნაძადადობა. გაისხუნეთ შ. არაგვისპირელის ეტიუდი: «ადე, ჩამოვიდა», «ქარი გი ამ დროს ზუოდა, კენსოდა და გმინავდა». მაგრამ ეს ნაკლი ემნევა მსოფოდ ზოგიერთს ნაწერს და, შესაძლოა, შედეგი იყოს აჩქარებისა და იმ გარემოებისა, რომ ზოგიერთნი სურათნი და უმთავრესი პერსონაჟები საკმაო ხანს არ უტარებია გულში ავტორს, არ გაუთბია თავისს გძნობით.

ჩემო შეინდასაცა შეენიშნეთ ორიოდე ალაგას მცირედი სიუალებე, რომელსაც სასურველია ერიდოს ჩვენი ბელეტრისტი. გუთნის-დედა ქიტესა უჩქებს დედას შვილს იმ დროს, როდესაც თვით სოსოს იქ დედის გვერდითა სდგას. იქნება სოსოს არცეი ესმის ეს ქება, მაგრამ ქიტესა გონიერი გლესია, ძველებური კარია და არასდროს არ იტვირთებდა პირში სოსოს ქებას. ამისთანა სოფელელთა აზრით, ესეთს ქებას შეუძლიან გარყვანს ბავშვი. შვილი მტრულად განაზრდე, მოვერულად გამოგადგებო, აა ის სიბრძნე, რომელსაც ადგია ამ შემთხვევაში ქიტესასთან სოფელელი.

მეორე მცირედი სიუალებე ისა გვეგონია, რომ ქიტესას მორცხვი 14 წლის ქალი ისეთის გადაჭარბებულის აღერსიანობით კვიდება სოსოს და ესევეება, პური ჭამეო. შესაძლოა, თველეს ძალიან ეტოდება სოსო, რომელიც დიდადა სწუნდა ხარის დაკარგვას, თუმ-



რა არა სჩანს, იცოდა თუ არა ეს გარემოება თეკლე. აგორე უფილიყო, მაინც კვ კადვე საბუთი არ არის, რომ ისეთის გადაჭარბებულის აღერსიანობით მოეჭნეს თითქმის გასათსოვარი ქალი თეკლე 11 წლის სოსოს, ქვერ-ახუკ მუზობლის ბიჭს. სოსო რომ თეკლეს ძმა უფილიყო, მაშინ კადვე ადგილი მისასუკდრი იქნებოდა ასეთი აღერსი თეკლესი სოსოს მიმართ. ეს ჩვენის სოფლის გრიკეტის წინაღუდეგია. მაინც და მაინც არ ახირდება და არ ვიტყვი, უსაუთოოდ ეს ასუკ-მუთქი. შესაძლას თეკლე ისეთის ექსანსიურის ხასიათისას, რომ არ შეუძლიან თავისი აღალი, უმანკო გრძნობა შენობებისა დაღონებულ და შშიერ ბავშვის დახასუკე არ გამოსტყვას გადაჭარბებით და ისეთი აღერსი არ დაუწყო, რეგორც საკუთარს ძმას და ნათესავს.

მერმე მცირე სიყალბედ მიგეანნია სენას ჭალაში ხარის ძებნისა და სოსოსგან საშინელსა და ჟოჯოხეთს დაშეში, როცა რა ჭქუსს და გერგანას, კლას და შემდეგ საშინელი სეტყვარ მოდის. დიდა სიყვარული სოსოსი შეინდას მიმართ, თავის ხელითა ჭყავს გამოსდალი ეს ხარი ამ პატარას, მაგრამ, თუ არა ვსცდებით, ბავშვის გრძნობას სიყვარულისასა და ძულებისას, შეუძლებელია ისეთი აგრესიული ხასიათი ჭქონდეს, ისეთს სიმტკიცეს იხენდეს, რეგორსაც იხენს ეს გრძნობა სოსოსი. არც თუ 11 წლის პატარა ბიჭს, რომელსაც იქნება ტანთ-ხანგრეკი არ ესერსება რიგინად, არამედ დიდსაც კი გაუჭირდება იმ ჟოჯოხეთს დაშეში სიარული ჭალა-ჭალა, თითქმის ტყე ადგილას დაშის უკუმეთ საბნელეში. ვანბას, რაც მოუკა, მოუკა, იტყოდა დიდა ამისთანა გარემოებაში, ხოლო ბავშვი შიშით კერ დადებოდა ჭალაში და, რაკი დღისით მთელს საღამოს ექებდა და კერ იზოვა, დაბრუნდებოდა შინ და მიქმართავდა ამისთანა შემთხვევაში საზოგადოდ პატარებს ერთადერთს ფარსა და ხმადს—ტირილსა, ამ ნიშანს გრძნობის შასი-გურად გამონენისას. დიდა, ტირილითა და ქუნალით, შეიძლება, სოსოს ძლიერ ბეკრი გტირინა და ექუსნა, გული ამოკეგნა და გულ-დაშეკარს და გულ-დადაგულს, ტირილით დაოსებულს მაინც ტებილად და გუნებურად მისძინებოდა დედის მუსლით-მირას.

ამით გათავებთ ჩვენს მცირე საბიბლიოგრაფიო შენიშვნას და საჭიროდ მიგვაჩნია განმეორებით ვსთქვათ, რომ ეს პატარა ამბავი მაინც ერთი საუკეთესო ნაწარმოებია ჩვენის ავტორისა, სასიამონო წასაკითხია; თვისის სელაგებობით, სოფლის ცხოვრების ცხოველის დასურათებით ეს პატარა ამბავი დიდად ატკობს მკითხველს და ჭბადავს მის გულში კეთილს, კაცთ-მოყვარულს გრძნობას და აუვარებს, არამც თრ სოფელს, სოფლის მცხოვრებთ და სოფლის იდილოურს სურათებს, არამედ პირუტყვსაც კი.

გრ. ყ—მე

Di una grammatica inedita della Lingua Georgiana scritta da un cappuccino d'Italia, note di E. Teza. Venezia, 1894. (დაუბეკლავი გრამატიკა ქართულის ენისა, თაწერილი იტალიელ კაპუცინის მიერ, შენიშვნა ე. ტეცისა.—ვენეცია, 1894 წ.).

ეს პატარა შენიშვნა ბ. ტეცისა გადმოებეჭდილია ვენეციის ინსტიტუტის უფროსადან: *Atti de R. Istituto Veneto di scienze, lettere ed arti* (tomo VI, serie VII,—1894—95.)

როგორც ვიცით, ახალ დროის ევროპას საქართველო პირველად იტალიელმა მოგზაურებმა გააცნეს მე-XV საუკუნეში. იტალიელებმავე გააცნეს ევროპას ქართული ენა მე-XVII საუკუნეში, სასკლდობრ ზაოლინმა (1629 წ.) და მღ. ფრანსესკო მარია მაჯიო და ზალერმომ (1643 წ.). ზაოლინმა ქართველის ირბასის შემწეობით შეადგინა პირველი იტალიურ-ქართული ლექსიკონი და მაჯიომ—პირველი ქართული გრამატიკა იტალიურ ენაზე. ეს გრამატიკა დაიბეჭდა რომში ორჯერ 1643 და 1670 წწ.

მეორე ქართული გრამატიკა კიდეც იყო შედგენილი იტალიურ ენაზე Girolamo da Norcia'ს მიერ, რომელიც ცხოვრებდა საქართველოში მე-XVIII საუკუნეში და იყო მეტოქისმეტე პრეფექტი იტალიელ მისიონერთა საქართველოში. ამან კარგად იცოდა ქართული ენა და შეადგინა იტალიელ მისიონერთათვის ქართული გრამატიკა, რომელიც დიდად მოწონებული იყო და დიდხანს იყო ხმარებაში. ამ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისშიც უოფილა ეს გრამატიკა.



მატიკა გორის კათოლიკეთა მონასტერში, როგორც შემოქმედის მონასტერში ტიპი. შემდეგ ამისა, რა იქნა ეს გრამატიკა და არსებობს ესლან, თუ არა, არავინ იცის.

სოლო ერთი ქართული გრამატიკა, იტალიურ ენაზე შედგენილი, უბოვნია კლავროს, რომელმაც დიდად ისარგებლა მის მიერ დაწვებული ქართული გრამატიკის შედგენის დროს. თავისი გრამატიკა, როგორც ვიცით, კლავროსს არ დაუძთავრებია და იგი დაძთავრა ბროსემ, რომელმაც 1837 წ. გამოცრა იგი ჰარაიში ასიურ სანოგადობის მინდობილობით. თავის გრამატიკაში ბროსე იხსენიებს კლავროსის ნაქონ ქართულ გრამატიკას, იტალიურ ენაზე შედგენილს, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ ასახელებს ავტორს ამ გრამატიკისას და ამბობს, რომ იგი უცნობა მისიონერის არისო. ბროსემ იცოდა, რომტიერის მოწმობით, რომ ერთი ქართული გრამატიკის ავტორი იყო დე ნორჩია. თუ ვი, მიუსხედავად ამისა, ბროსემ ვერ აკუთვნა დე ნორჩიას ის გრამატიკა, რომელიც ხელთ ქქონდა მას, და სრულიადაც არ აღუძრავს ეს საგანი, — ცხადია, რომ ამ საგნის გადასაწეკეტად საკმაო მასალა არ ქქონია.

ესლა ბ. ტერას შეუქმნია ჰარაიში ერთი ხელნაწერი ქართული გრამატიკა, იტალიურ ენაზე შედგენილი. ამ ხელნაწერის განხილვა ბ. ბტერას შენიშვნის საგანი. ხელნაწერს ასე აკავწერს ბ. ტერას: ფორმატი ხელნაწერისა არის III—8<sup>o</sup>; სულ 192 გვერდი აქვს. დაწერილია თავიდან ბოლომდე ერთის ხელით, როგორც ეტეობა, იმისთანა კანის მიერ, რომელიც იტალიაში უნდა ყოფილიყო აღზრდილი. მხოლოდ შირველ გვერდზე აწერია სხვა ხელით, ცუდის ლათინური: *Liber hic patrum est Missionariorum Akalzichis degentium non alienando ut pote necessarius ad adifesendam Linguam a novellis Missionariis giorgianam.* ერთს გვერდზე კიდევ ეს წარწერა აქვსო ქართულად: „ესე წიგნი ტერ ანტონისი არის“.

შემდეგ ამისა ტერას მოქუჯავს სრულიად წინასიტყვაობა ამ გრამატიკისა. წინასიტყვაობაში ავტორი დარბეზას ამდეკს საქართუელში ახალ მოსულ მისიონერებს, თუ როგორ შეეძლიანთ ადვილად შეისწავლოთო ქართული ენაო. სხვათაშორის ურჩევს ახალ მოსწავლეთა, რომ სხვაობს ქართულიდან იტალიურად სთარგმნოთო და არა იტალიურადან ქართულადო.

ტრე ცდილობს გამოარკვიოს, ერთი და იგივეა ეს გრამატიკები: მისგან ნაშთი, კოლუმბოზის ნაქანი და დენორონიას შედგენილი, თუ სამი სხვა-და-სხვა გრამატიკაა? ტრე უფრო იმ აზრისაა, რომ ეს გრამატიკები სხვა-და-სხვა ავტორებისაა, მაგრამ ასეთი დასკვნა ვერ არის ჰეროკანად დასაბუთებული. ტრე ამბობს, რომ ამ საგანს სელასლაკ დაკუბრუნდებოდა, როცა უკედ მეროდინებაო ქართული ენა, რომლის შესასწავლად და სასელმძევანულად ხუბინაშვილის ლექსიკონი და გრამატიკა მამქსო. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ქართულის ცოდნა ვერას უშეკლის ბ. ტრეს ამ საქმეში, თუ საგნის გამოსარკვევად მეტი მასალა არ ექმნა ხელში. მართლაც, დენორონიას გრამატიკა სრულიად უცნობი რამეა ვეკლასათვის, რადგან არც არავის აუწყობს იგი და არც არავის აქვს იქიდან ამონაწერი ადგილები. ტრესაგან აღმრულა საგანი სანტერესოა ქართულის გრამატიკის ისტორიისათვის და ამიტომ კარგი იქნება, რომ ჩვენში მოამბუბოდეს დენორონიას გრამატიკა. იგი თავის დროს ძლიერ გავრცელებული უნდა ყოფილიყო საქართველოში გათოლიკე მისიონერთა შორის. ამიტომ შეიძლება იმისი სელასწერი მოამბუბოდეს ქართველ კათოლიკეთა რომელსამე ეკლესიაში. რაც შეეხება კოლუმბოზის ნაქან გრამატიკას, იგი პარიზის აზიურ ბიბლიოთეკაში უნდა იყოს.

Gustave Le Bon—Les lois psychologiques de l'évolution des peuples.—Paris, 1894.—(გუსტავ ლე ბონი—ერთი განვითარების ფსიხოლოგიური კანონები).

ფრიად სანტერესო საგანი, რომელიც ამოურჩევა ავტორს, და მშეენიერი, ადვილად გასაგები ენა, რომელიც განსაკუთრებით ნიჭია ფრანგთა მწერლებისა, — აი რი ღირსება ამ წიგნისა. კარგი იქნება, რომ ეს წიგნი ქართულად გადმოითარგმნებოდეს, თუ მთლად არა, შემოკლებით მაინც. სინამდვიე ეს მოხდებოდეს, საჭიროდ მიგვანია ჩვენს მკითხველებს გავაცნოთ უმთავრესი აზრები ამ წიგნისა. აი ეს აზრები.

კაცთა ტომები განიარჩევიან ერთმანეთისაგან როგორც ანატომიურად, ისე ფსიხოლოგიურად. ყოველ ტომს თავისებური



ფსიხოლოგია აქვს. რომელისაჲმე ერის ფსიხოლოგია რომელიცაა ღმრთისაჲმე  
 ღმრთისაჲმე, ამისათვის საჭიროა ძლიერ დიდი ხანი. როცა შეკადრებთ  
 ხელმე ერთმანეთთან ჩრის ერის შუათანა კაცებს, მაშინ განუბრი-  
 ვის მხრით მათ შორის დიდს განჩევას ვერ შეატყობთ; ხო-  
 ლო თუ შეკადრებთ ამ ერთა უწარმინებულეს წევრთა, მაშინ გან-  
 სხვავება მეტად დიდი აღმოჩნდება. განათლების მხრით უკან-ჩამოჩენ-  
 ნილის რომელისაჲმე ერის ცალკე გვაძებს თუ შეკადრებთ ერთმანეთ-  
 თან, დაგვწმუნდებით, რომ მათში განსხვავება ძლიერ მცირეა. რა-  
 მდენადან კი უფრო ძალა სდგას განათლების გზაზე, იმდენად  
 უფრო განიჩევან ერთმანეთში მისი წევრები. ამრიგად განათლე-  
 ბა კი არ ათანასწორებს ერთმანეთში კაცთა და ერთა, არამედ ჭბა-  
 დაეს მათ შორის უთანასწორებას და ძლიერებს სხვა-და-სხვაობას.  
 ამ საგნის შესახებ ლებონი და ჰოტენბინა\*) ერთს და იმავე დასკვნა-  
 მდე მისულან, ურთიერთის დამოუკიდებლად, რასაკვირველია.

ლებონის აზრით, ერის ისტორიაზე შესამჩნევი ზედმოჭმე-  
 დება არც რომელისაჲმე შემთხვევასა აქვს, არც გარეშე გარემოებას და  
 არც განსაკუთრებით პოლიტიკურ დაწესებულებას. ერის ბედს შე-  
 იქმს უფრო მისი ხასიათი.

აქ არ შეგვიძლიან არ შევნიშნოთ, რომ ეს აზრი, ასე კატე-  
 გორიულად გამოთქმული, სოციალისტის ისტორიულ მაგალითებს  
 ეწინააღმდეგება. მართლაც, თუ ხასიათი ერისა არის მისი მკვიდრი,  
 განუშორებელი თვისება, თუ ხასიათი შეიქმს ერის ისტორიულ  
 დანიშნულებას და ბედსა, მაშ რად მოხდება ხელმე, რომ რომელიმე  
 კრი ვერ წარმეტყულებას, სახელს იხვეწს, ძლიერდება, სხვა ერთა  
 შორის შირველ ადგილს იტკის, როგორც პოლიტიკურის ძალით,  
 ისე განათლების მხრით, და მეტე კი დაქვეითების გზას ადგებს და  
 უკან ჩამოჩება ხელმე. გავისყნოთ, მაგალითად, რომაელები და  
 ბერძნები. ამნარის შემთხვევის შესახებ, ლებონი ჰასუსად იმას ამ-  
 ბობს, რომ ყოველი ფსიხოლოგიური არსება როგორც ყოველი  
 ანატომიური არსება, ბერდება, ცვლება და ქრება; რომ ერის ხა-  
 სიათის და ფსიხოლოგიის შექმნას ფრად დიდი დრო სჭირდე-

\*) იხ. ზემოდ სტატია „ენა და ეროვნება“ (პოტენბინის წერილის შესახებ).



ბაო, ხოლო მის გარეუხას და დაცემას კი სულ მცირე დრო უნდა, რომელთა სახელმწიფოს დარღვევა მხოლოდ მათის სასაბაობის უკონად გაფუჭებას უნდა მიეწეროსო, თორემ ჭკუა-გონები და განათლება მათი ისევე ისე იყო განვითარებული დარღვევის უამისა, როგორც წინადაო.

ვიფიქრობთ, რომ ასეთი ახსნა ყოველგან არ არის საკმაო და გამოსადეგი; მაგალითად მოვიყვანოთ არაბები, რომელნიც საოცარის სისწრაფით გაძლიერდნენ, განათლდნენ, და შეძვედნენ უკონადვე დასუსტდნენ და სიბნელათ მოიხვედნენ. თუ სასაბაო ეგრე ადვილად და მალე შეიცვლება ხან ისე და ხან ასე, სჩანს, რომ იგი ვერ ყოფილა ერთი რამ მტკიცე და ბეჯითი და, მაშასადამე, მარტო სასაბაოთ ვერ აიხსნება ერის ისტორია და მისი ისტორიული ბედი. ამიტომაც ვიფიქრობთ, რომ ლე-ბონის აზრი ისეთივე ცალ-მხრივია, როგორადაც ცალ-მხრივია იმ შენეერთა თეორია, რომელნიც იფიქრობენ, რომ ისტორიას შეიქმს მხოლოდ ეკონომიური წარმატება. არა, ისტორია მტკიცე რთული რამეა და მისი ახსნა ასეთის ცალ-მხრივის თეორიებით არ შეიძლება.

სასაბაოთან ერთად (à côté), ამბობს ლე-ბონი, იდეებიც უნდა ჩაითვალოს განათლების უმთავრეს ფაქტორებადაო. ამ იდეათა შორის ყველაზე მეტი მნიშვნელობა რელიგიური იდეებს აქვსო. ახალი საწმინტოება ყოველთვის წინამორბედი ყოფილაო ახალის განათლებისა (ცივილიზაციისა); რა-ცა საწმინტოება გამჭრალა, განათლებაც დაცემულაო. აწინდელი საწმინტოების მდგომარეობა საფუძველს უკადმევს ვიფიქრობთ, რომ ქვეყნიერობა უნდა შეიცვალასო.

დასავლეთ კერძაში ეკონომიური ბრძოლა და სოციალიზმი გვიანდოებს ჩვენის განათლების ბოლესაო; მოვა დრო, რა-ცა ჩვენს დამკვლელულ განათლებას დაამსობს ბარბაროსთა ბრბოო. ეს დრო ვერ ახლა არ არის, მაგრამ უკვე ადვილად მოვაო. მაშინ შეასრულებს თავის დანიშნულებას რუსეთაო...

ბარბაროსების სახელწოდების რა მოგახსენოთ, თორემ სხვაფერ, ლე-ბონის ბავთი თითქოს რომელიმე სლავიანოფილი ღაღადებს... სჩანს, რომ ფრანგი, თუ გინდ ფილოსოფოსი იყოს იგი, უწინარეს ყოვლისა, მონაა თავის სამშობლოს თანამედროვე პოლიტიკისა...

## შინაური მიმოხილვა

ზოგიერთი ჩვენი პატარა საქმეები.—ბათუმის ქართველობა და მისი ორი საქმე—სკოლა და ეკლესია.—ზონის მასწავლებლები.—სახალხო ბიბლიოთეკები, სახალხო კითხვა და „წერა-კითხვის საზოგადოება“.—ქართული საეკლესიო გალობის ნოტებზე გადაღება.—თ. დავ. გურამიშვილის სიტყვა, წარმოთქმული ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის კრებაზე.—გაზეთებს გაზეთებითვე უნდა ვუგოთ პასუხი.—პეტერბურგის სტუდენტების აზრი.

ქართველთა ცხოვრების მეთვალყურემ განსაკუთრებულის ყურადღებით უნდა ადევნოს თვალი იმ შინაურ საქმეებსა, რომლებიც შედეგია ჩვენის თაოსნობისა და ნაყოფია ჩვენის შრომისა. მხოლოდ ამ საქმეების შესახებ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი ღვიძლი შვილია ჩვენის თვით-მოქმედებისა. თუ ამ საქმეებს ჩვენ არ მოვუარეთ, თუ ისინი გონიერად არ წავმართეთ და რიგიანად არ ვასაზრდოვეთ, მათი ბედი ხელიდან წასულია, რადგან სხვებისაგან თუ ხელის შემწლას არა, შემწეობას მაინც არ უნდა მოველოდეთ. ამიტომ ყოველი ასეთი საქმე, როცა იწყება, რაც უნდა პატარა იყოს იგი, იმედს გვაძლევს, რომ ქართველობა ძალას იკრებს. როდესაც კი ასეთი საქმე სისრულეში მოდის, დროს განმავლობაში ძლიერდება და საზოგადოებაში ფეხს მაგრად იკიდებს, მაშინ გაბედულად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ იგი უტყუარი ნიშანია ჩვენის ძალ-ღონისა. მართალია, ზოგიერთი ამ საქმეთაგანი დასაწყისში, პირველ შეხედვაზე, მეტად მცირე რამეა, იგი არ იზიდავს საყოველთაო ყურადღებას, რადგან არ ჰყვირის და ზიზილ-პიპილებით არ არის

შემკული. ხშირად ამისთანა საქმის მოთავეთა სახელებსაც საზოგადოება მხოლოდ მაშინ გაიგებს, როცა გაზეთებში წაიკითხავს, რომ მათ ეს და ეს საქმე ითავესო. ამისთანა საქმეები კიდევ უფრო ღირსია ყურადღებისა, რადგან ყოველი საერო და საქვეყნო საქმე უფრო საიმედოა, როცა ქვემოდან იწყება, როცა იგი შედეგია ხალხში გავრცელებულის აზრისა, იმ აზრისა, რომელიც ხალხს გრძნობად გადაჰქცევიან. ამიტომაც მკითხველი ნუ დაგვემდურება, თუ იმ თვალ-საჩინო საქმესთან ერთად, რომელსაც მთელის საზოგადოების ყურადღება მიუპყრია და ბაასი გამოუწვევია, აღვნიშნავთ იმისთანა საქმეებსაც, რომელთაც არავისი ყურადღება არ დაუმსახურებიათ და მხოლოდ მცირე ადგილი დაუჭერიათ გაზეთის წვრილმან ამბებში.

ჩვენს საზოგადო საქმეთა შორის საპატიო ადგილი უნდა დაიჭიროს იმ ორმა საქმემ, რომელსაც 19 ნოემბერს ბათუმის ქართველობამ საფუძველი დაუდო. ამ დღეს ბათუმის ქართველობამ ყოვლად სამღვდელოს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსს გრიგოლს აკურთხებინა დამთავრებული შენობა „ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების“ სკოლისათვის და ქართულის ეკლესიის საფუძველი.

ბათუმის ქართული სკოლა გახსნა „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ თითქმის პირველსავე ხანებში, როცა კი დაარსდა თვით საზოგადოება. ეს სკოლა გახსნილი იყო ბათუმის მკვიდრთა მუსულმანთათვის, რომელნიც, ხანგრძლივის დაშორების შემდეგ, ის-იყო შემოგვიერთდნენ. მალე აღმოჩნდა, რომ ბათუმის სკოლა საჭირო იყო აგრედვე იმ ქართველობისათვისაც, რომელიც მიაწყდა ბათუმს გურია-სამეგრელოდან. სამწუხაროდ, „წერა-კითხვის საზოგადოებას“ ძვირად უჯდებოდა ეს სკოლა და მეტად უძნელდებოდა მისი შენახვა, ისე რომ საზოგადოების წლიურ კრებებზე არა ერთხელ აღძრულა სარჩიელი, რომ სკოლა დაეხუროთო. საბედნიეროდ, ეს არ მოხდა და საზოგადოების გამგეობამ ერთი საშუალება იღონა: სთხოვა ბათუმის ქართველობას, მიიღეთ მონაწილეობა სკოლის სვე-ბედში და აღმოგვიჩინეთ რაიმე შემწეობაო. მაშინ შესდგა იქაურ ქართვე-



ლებისაგან პატარა წრე, რომლის შემწეობა ამ სკოლის საქმეში თანდათან ისე ძლიერდებოდა, რომ „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ სამუდამოდ უარჰყო სკოლის დახურვის აზრი, თუმცა სკოლა მაინც დიდს ხარჯსა სთხოვდა საზოგადოებას.

ამ მდგომარეობაში იყო სკოლა, როცა ბათუმის ქართველობამ გადასწყვიტა თავის ხარჯით სკოლის შენობა აეგო და მით აეცილებინა „საზოგადოებისათვის“ ყოველ-წლიური ხარჯი 60—70 თუმანი, სახლის დასაქირავებლად. სამის წლის განმავლობაში ბათუმელებმა კერძოდ მოგროვილის ფულით ააშენეს ისეთი შენობა, რომელიც ჰქონდა 15,000 მანეთზე მეტი. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ქართველები საზოგადოდ დაჩვეულნი ვართ ამისთანა საქმეების გაჭიანურებას, რომ თითქმის ვერც კი წარმოგვიდგენია, თუ საფუძვლიანის საქმის მალე გაკეთებაც შეიძლება; თუ გავიხსენებთ, რომ ქალთა სკოლისათვის და ქართულ მუზეუმისათვის ხუთი-ექვსი წელიწადია ფული გროვდება მთელს საქართველოში და იმდენი ვერ მოგვიგროვებია, რომ იმედი მაინც მოგვეცემოდა, სკოლა ან მუზეუმში ოდესმე გვეღირსებოთ,—უნდა აღვიაროთ სიმართლე და ვსთქვათ, რომ ბათუმის ქართველობამ ამ საქმეში არა ჩვეულებრივი მხნეობა და სიცოცხლე გამოიჩინა.

შენობის დამთავრებით ბათუმის სკოლას, რასაკვირველია, მტკიცე საფუძველი დაედო, მაგრამ სკოლა მაინც ჯერ-ჯერობით უზრუნველ-ყოფილად არ ჩაითვლება, სანამდი არ ექნება ისეთი თანხა, რომლის სარგებელს შეეძლოს ყოველ-წლიურის ხარჯის დაფარვა. იმედი გვაქვს, რომ ბათუმის ქართველობა შემდეგში მეტს მხნეობას თუ გამოიჩინს, თორემ ნაკლებს არა, და უეჭველად შესძლებს სრულიად უზრუნველ-ჰყოს თავისი სკოლა, ეს პირველი შეილი მისის თვით-მოქმედებისა.

სკოლის შენობის დამთავრებასთან ერთად, ბათუმელებმა, როგორც ზემოდ ვსთქვით, ქართულის ეკლესიის საფუძველი ჩაყარეს. ჩვენ არ ვიცით არც გეგმა ამ ეკლესიის და არც ხარჯი, რამდენიც დასჭირდება იმის აშენებას. ყოველ შემთხვევაში ცოტა ფული არ ეყოფა ეკლესიის აგებას და თუ, მიუხე-

დავად ამისა, ბათუმელებმა გაჰბედეს ამ საქმის დაწყებას, რომ მათ იმედი აქვთ თავის თავისა და საქმეს კიდევ დაავი- გვინებენ მალე იქნება, თუ გვიან.

სკოლის და ეკლესიის საქმეს რომ ბათომელებმა ერთად მიჰყვეს ხელი, ეს შემთხვევითი გარემოება არ უნდა იყოს. უეჭველია, ბათუმის ქართველობა დარწმუნდა, რომ სკო- ლაც და ეკლესიაც ერთს და იმავე მდგომარეობაშია ჩვენში, და თუ გვსურს, რომ სკოლა და ეკლესია ჩვენი შესაფერი იყ- ვნენ და იქ ქართული ისმოდეს, მათი ხარჯი ჩვენვე უნდა ვი- კისროთ. ეს მოგვიტანა ჩვენ ჟამთა ვითარებამ. რასაკვირველია, ასეთი ვითარება არც სამართლიანი და არც სანუგეშოა ჩვენ- თვის, რადგან ხელმოკლეობისა და გაუნათლებლობისა გამო ჩვენ ვერ შევიძლებთ ჯეროვანად გავუძღვეთ ამ საქმეებს. მაგ- რამ, თუ მეტი გზა არ არის, დროს შესაფერად უნდა ვიმო- ქმედოთ. ბარაქალაც ბათუმელ ქართველობას, რომ ეს ვითა- რება შეიგნეო და მის კვალობაზე მედგრად იღვწის.

ეკლესიის საფუძველის კურთხევის დროს გურია-სამეგრე- ლოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა წარმოსთქვა საყურადღებო სი- ტყვა, რომელშიაც, სხვათა-შორის, შეეხო ამ ეკლესიის მნიშვნე- ლობას და ბრძანა:

„ყველა მართლ-მადიდებელსა საყდარსა, რომელიც კი აღ- შენდება ამა ქვეყანაში, აქვს და ექმნება ფრიად დიდი და თვალ- საჩინო მნიშვნელობა, მაგრამ უმეტესი მნიშვნელობა ექმნება აწ დაწყებულსა სახლსა უფლისასა: ცხოველი სიტყვა სახარე- ბისა იმ ღვიძლ ენაზე, რომელზედაც ასე საუცხოვოდ უბნო- ბენ ჩვენნი მოძმენი ძველნი ქართველნი, მისწვდება იმათ გუ- ლამდე; სამშობლო გალობა, სამშობლო ენაზე ქადაგებანი, საღმრთო წიგნებთა კითხვის მოსმენა, რომელნიცა არიან თარ- გმნილნი ამა ქვეყნისა შვილის გიორგი მთაწმინდელისაგან, გა- უთბობენ ყველას გულსა, სასიამოვნოდ აუძგერენ და აუტოკე- ბენ მას; შეგვაყვარებენ ურთიერთსა და ძმურად შეგვაკავში- რებენ. აი სად არის მნიშვნელობა ამა ახალის საყდარისა!“



ჩვენ გვესმის პატივცემულის მღვდელ-მთავრის სურვილი, რომ ჩვენი მოძმენი მუსულმანენი, რომელნიც დიდი ხანი არ არის, რაც ქრისტიანენი ყოფილან, ისევ შემოგვიერთდნენ სარწმუნოებითაც. შეიძლება ამ ეკლესიამაც ის მნიშვნელობა იქონიოს, რომელზედაც ჰეიქრობს მღვდელ-მთავარი. შეიძლება ეს შედეგი თავისთავად მოჰყვეს ამ ეკლესიის აშენებას. ხოლო ჩვენ არ უნდა დავაკისროთ მას მაინცა-დამაინც ასეთი დანიშნულება. ჩვენ მოვალენი ვართ დავარწმუნოთ ჩვენი მოძმენი, რომ ჩვენ ნამდვილი ძმები ვართ და ვიქნებით კიდევ, თუმცა სხვა-და-სხვა სარწმუნოების მიმდევარნიც დაერჩეთ. მით უფრო სარწმუნო იქნება მათთვის ასეთი გამოცხადება ჩვენის გრძნობისა, რომ ქართველი ქრისტიანი არც ყოფილა ოდესმე და არც ეხლა არის თანატიკოსი, როგორც ჰმოწმობს ყოვლად-სამღვდლო გრიგოლი ამ ჩინებულის სიტყვებით:

„საქართველოს ეკლესია მუდამ ეამს პატივისცემით ეპყრობოდა სხვა სარწმუნოების აღმსარებელთა ერთა; ეკლესიასა ივერიისასა არ ახსოვს სარწმუნოებრივი ამბოხება, არ ახსოვს დევნა, ტანჯვა და კოცონსაზედა შეუბრალებლად დაწვა სხვათა მესჯულეთა. დღესაც სიყვარულითა და ღმობიერისა გულითა ეპყრობა იგი მაჰმადის აღმსარებელთა ქართველთა და ძმურად შეეგება მათ; კაცი ვერც-კი შეატყობს, თუ ჩვენ და იგინი სხვა-და-სხვა სარწმუნოებისანი ვართ“.

ბათუმელ ქართველების ერთსულობას და ძმურად მოქმედებას, მათის სარწმუნოების და შთამომავლობის განურჩევლად, აი როგორ გვიწერს კორესპონდენტი, რომელიც დასწრებია 19 ნოემბერს ბათუმის ამბავს:

„უნდა გამოვსტყდეთ და ვსთქვათ, რომ ბათუმელი ქართველები სრულიად არ გვანან სხვა ქართველებს, ე. ი. იმ ქართველებს, რომლებიც სცხოვრობენ შიდა საქართველოში, მაგალითად ქუთაისში, ტფილისში და სხვა წვრილ ქალაქებში. იქ ორს ინტელაგენტს კერ აზოკი, რომ ერთმანეთის შურსა და იმუღებაში არ ამასდიოდეს სეჟა; აქ, ბათუმში კი, რაღაცა ძა-

ლას გაუსულ-ერთხორცებია საქართველოს სხვა-და-სხვა ხეებიდან თავ-მოყრილი ქართველობა: ქართლ-კახელი ტექია, წმინდა იმერი, მკვირცხლა გურული და მეგრელი, გამაჰმადიანებული ქართველი, — ყველა ესენი მტკიცედ შეკავშირებულან, ძმურად გადუქვდიათ ყელი ყელსა, ხელი ხელსა და შესდგომიან წარმატების გზასა. აი ამ ძმურისა და გაერთიანებულის ძალით ააგეს ბათუმელმა ქართველებმა ტაძარი სწავლამეცნიერებისა, აი ამ ძალითვე შეუდგნენ ღვთის ტაძრის აშენებასაცა. დიდი ხნის ნატვრა მათი შესრულდა და კურთხევა ქართული სასწავლებლისა და კურთხევა ეკლესიის საძირკვლისა მოხდა ერთს და იმავე დღესა, ცხრამეტს ამა ნოემბრისასა“.

(„ივერია“ № 260).

საკვირველია, რომ ასეთსავე ფხას და სიცოცხლეს თვით-მოქმედების სარბიელზე იჩენენ ჩვენები სხვა ქალაქებში გაფანტულებიც, მაგალითად, კავკაის ქართველობა, რომელმაც კავკაეში ქართული სკოლა დაარსა, მისთვის შენობა ააგო და სკოლის ყოველ-წლიურ ხარჯსა სწევს; აგრედვე ბაქოს, ყარსს და განჯას მცხოვრები ქართველები, რომელნიც მუდამ მზად არიან დაეხმარონ და ეხმარებიან კიდეც ყოველ კეთილ საქმეს, რაც კი დაიწყება ჩვენში.

ხონიდან სწერენ ტფილისის გაზეთებს, რომ იქაურის სემინარიის მასწავლებლებს განუზრახავთ ხონში სახალხო ბიბლიოთეკა გახსნან და მისი განყოფილებანი სხვა-და-სხვა სოფლებში. ხონშივე აპირობენ სახალხო კითხვების გამართვასაო.

სახალხო ბიბლიოთეკები ბლომად იხსნება ამ უკანასკნელ წლებში. საიდანაც სრულებით არ ფიქრობთ, გაზეთებში კორესპონდენციებს კითხულობთ, ამ და ამ სოფელში ამან და ამან გახსნა სახალხო ბიბლიოთეკაო. კარგი ნუგეშია ასე ბლომად ბიბლიოთეკების გახსნა, თუ ბიბლიოთეკებიც ნამდვილია და მათი მოქმედებაც უტყუარია. შეიძლება ზოგჯერ ასეც მოხდეს, რომ ვინმემ შეჰკრიბოს ათიოდე წიგნი და გამოაცხდოს,



ბიბლიოთეკა გავხსენიო. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ბიბლიოთეკა მართლა რიგიანი იყოს, მაგრამ მკითხველები არა ჰყავდეს, და სათვალავში კი გვქონდეს, რომ ბიბლიოთეკა გახსნილია და მოქმედებსო.

ამ ბიბლიოთეკათა კეთილად წასამართავად საქიროა, რომ „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ იკისროს მათი საერთო ხელმძღვანელობა და დახმარება. მით უფრო უნდა იკისროს ეს საქმე „წერა-კითხვის საზოგადოებამ“, რომ გარეშე ძალთა წყალობით მისი მოქმედება შეზღუდულია: ვერც ახალ სკოლებსა ხსნის და ვერც სახალხო კითხვებსა. ამის შესახებ ხშირად გაისმის გაზეთებში „საზოგადოების“ მიმართ საყვედური. რა გასაკვირველია, ასეთი საყვედური რომ გამოსთქვან იმისთანებმა, რომელთაც სხვისი უსაფუძვლო ძაგებაც სასახელოდ მიანჩიათ ან რომელთაც საქმის გარემოება არ იციან. ახირებული ის არის, რომ „ივერიაც“ უკიეინებს ამ შემთხვევაში „საზოგადოებას“ და ამდენ ხანს სახალხო კითხვათა გაუმართველობას იმით ხსნის, რომ „საზოგადოებამ“ მიივიწყაო ეს დიდ-მნიშვნელოვანი საქმე (№ 268), თუმცა წესდება ნებას აძლევს ამ სახალხო საკითხავთა გამართვისასაო. სამწუხაროც ის არის, რომ წესდებაც უფლებას აძლევს, თვით საზოგადოებამაც განიზრახა და დიდად მოიწადინა წესდებისა და თავის მოვალეობის შესრულება, მაგრამ მაინც ვერას გახდა, რადგან ქართულად სახალხო კითხვების გამართვის ნება ვერ აუღია და რუსულად ვის წაუკითხოს...

ხონის მასწავლებლების ზემო აღნიშნული თაოსნობა, თუ მართალი გამოდგა იგი, ერთის მხრით არის საყურადღებო და სასიამოვნო. დღემდინ ჩვენ საზოგადო საქმეებში მხოლოდ სოფლის მასწავლებლები იღებდნენ მონაწილეობას. რაც შეეხება ქალაქის მასწავლებლებს, მეტადრე საშუალო სასწავლებლებში მოსამსახურეთა, ისინი არავითარ საზოგადო საქმეში არ იღებდნენ და არც იღებენ მონაწილეობას, თითქოს ჩვენში არც კი არსებობდნენ იგინი. რა ზნეობრივი გავლენა უნდა იქონიონ ამისთანა მასწავლებლებმა მოზარდ თაობაზე, ადვილი წარმო-



სადგენია. დღეს ხონის მასწავლებლები პირველად აპრობირებენ როგორც სჩანს, თავიდან მოცილონ ეს არა საქებური ზნე.

ამ ქრისტიანობისთვის განხორციელდა ერთი დიდი ხნის დაწყებული საშვილიშვილო საქმე. ჩვენ ვამბობთ ქართული საეკლესიო გალობის ნოტებზე გადაღების შესახებ. ეს საქმე იკისრა ერთის მხრით ყოვლად სამღვდელთა ალექსანდრე ეპისკოპოსმა, რომელმაც, ათიოდე წელიწადია მასაქეთ, ფასი გამოიღო და მიანდო ცნობილს პროფესორს მუსიკისას ბ. იპოლიტოვ-ივანოვს, ქართლ-კახეთის კილოს საეკლესიო გალობის ნოტებზე გადაღება. ბ. იპოლიტოვ-ივანოვს ეს საქმე შეუსრულებია და 7-ს ამა თვის საქართველოს ექსარხოსმა ტფილისის სემინარიის ეკლესიაში დანიშნა ქართული წირვა, რომელსაც დაესწრო თვით ექსარხოსი, ალექსანდრე ეპისკოპოსი, მრავალი სამღვდლოება და ქართველი საზოგადოება. შეასრულეს ოქროპირის წირვა ქართულის გალობით. წირვა რომ დასრულდა ექსარხოსმა მიჰმართა საზოგადოებას და გამოუცხადა, თქვენი აზრი უნდა მაცნობოთო ამ გალობის შესახებ, რადგან მოწონების შემდეგ ეს გალობა უნდა დაიბეჭდოს და ეკლესიებს უნდა დაურიგდეს სახმარებლად.

შემდეგ ამისა დაიბეჭდა კიდევ ქართული გალობა გურია-იმერეთის კილოსი (ლიტურგია იოანე ოქროპირისა), რომელიც გადაიღო ნოტებზე ბ. ფილიმონ ქორიძემ გურია-იმერეთის საუკეთესო მგალობელთა გადმოცემით. რამდენადაც ვიცით, ბ. ქორიძეს ამ საქმეში დიდი შრომა მიუძღვის. მის მიერ ნოტებზე გადაღებული გალობა მხოლოდ მეოცედი დაუბეჭდიათ ჯერჯერობით. დაბეჭდვა ამ ნოტებისა იკისრა მ. შარაძის და ამხ. სშამბამ. ამ გამომცემელთა ცნობილი მხნეობა და საქმის ერთგულობა იმედს გვაძლევს, რომ დანარჩენ ნაწილებსაც ბ. ქორიძის შრომისას მალე ვნახავთ დაბეჭდილებს.

ამ რიგად შეგვიძლიან ჩვენი სულიერი განძი, რომელიც გვიანდერძეს ჩვენმა წინაპრებმა, გადავსცეთ შეუბღალავად ჩვენს



შთამომავლობას. ეს შეგვაძლებინა ჩვენ პატივცემულისა დიმიტრი  
ქსანდრე ეპისკოპოსის უხვმა შეწირულობამ და ბ. ფილიმონ  
ქორძის დაუღალავმა შრომამ.

რასაკვირველია, გალობის ნოტებზე გადაღებით და არც  
ნოტების დაბეჭდვით ეს საქმე არ ჩაითვლება დამთავრებულად  
და ჩვენი მოვალეობა არ იქნება შესრულებული. საქიროა კი-  
დევ, რომ დაბეჭდილი ნოტები გავრცელდეს, გალობა ისწავ-  
ლებოდეს ჩვენს სასწავლებლებში და შემოღებულ-იქმნას ყვე-  
ლა ეკლესიებში. ყოველივე ეს ვალად ადევს ჩვენს სამღვდე-  
ლოებას. იმედი გვაქვს, რომ ამერ-იმერი სამღვდელოება ერთ-  
გულად შეასრულებს ამ მოვალეობას.

ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობას ამ ქრისტიანობისთვის  
საგანგებო კრება ჰქონდა. ამ კრებაზე თ. დავით გურამიშვილმა  
წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც მიჰმართა ქართლ-კახეთის მარ-  
შალს. ეს სიტყვა შეეხებოდა პეტერბურგის და მოსკოვის ზო-  
გიერთი გაზეთების გამოლაშქრებას ქართველთა წინააღმდეგ.  
აი, სხვათა შორის, რა სთქვა თ. გურამიშვილმა იმ ცილის-წა-  
მების შესახებ, რომელსაც უხვად ავრცელებენ ერთნაირის დარ-  
გის რუსული გაზეთები ამ უკანასკნელ დროს:

„ისინი ამტკიცებენ, ვითომ ჩვენ, ქართველებს, ყველა ადგი-  
ლები გვეჭიროს აქ სახელმწიფო სამსახურისა, ვითომ დაუძინე-  
ბლად ვსდევნიდეთ რუსთა ელემენტს, ხელს ვუშლიდეთ, რომ  
ჩვენს ქვეყანაში რუსმა არაფითარ საქმეს ხელი არ მოჰკიდოს.  
იქამდე მივიდნენ, რომ ერთის ქართველის მოხელის მოქმედე-  
ბა, რომელსაც სახელმწიფო მიწები უნდა დაეცვა და ნება არ  
მისცა კერძო კაცთ ამ მიწების დაპატრონებისა, იმათ ისე ჩასთვა-  
ლეს და ისე ახსნეს, რომ წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს რუ-  
სთა ინტერესებსაო. ამის მიზეზით ისინი მოუპრიდებლად ურჩე-  
ვენ მთავრობას ჩვენს სამსახურიდან განდევნას, როგორც არა-  
საიმედო ელემენტისას და თითქმის გაძევებასაც კი იმ ქვეყნი-  
დან, რომელშიაც, ნებითა უფლისათა, რამდენისამე ათასის  
წლის განმავლობაში ვცხოვრობთ“...

„თქვენო ბრწყინვალეობავ! იმედი მაქვს გამომთქმელთა ქნები ყველა აქ მყოფთა სურვილისა, თუ მოგმართავთ და ვთხოვთ—დაგვიფარეთ ამ დაუმსახურებელ დევნიდან, ღონისძიება რამ იხმარეთ, რომ რუსთა საზოგადოებამ ჩვენს შესახებ მართალი შეიტყოს, რომ თავისის თვალით დაინახოს და დარწმუნდეს, რამდენად არა ჰგავს დედანი იმ მახინჯს კარრიკატურას, ღუბჭირს სახეს, რა სახითაც გვასურათებენ ჩვენ ორივე სატახტო ქალაქების ზოგიერთი გაზეთები. ამასთან სრულიად მივემზრობი ჩვენთა ბრალმდებელთა იმ აზრს, რომ ჩვენს ქვეყანაში სენატის რევიზია იყოს დანიშნული. ვთხოვთ, თქვენო ბრწყინვალეობავ, ხელი შეუწყეთ, რომ ეს სურვილი რაც შეიძლება მალე განხორციელდეს. მე ამ თავითვე თამამად ვაცხადებ, რომ პირუთენელი და მიუდგომელი რევიზია სენატისა სიკვდილის განაჩენს წაუკითხავს ცილის წამებასა და სიცრუეს, ხოლო სიმართლეს მის შესაფერს ადგილს მიუჩენს, იმ ადგილს, რომლიდამაც მის ძირს ჩამოგდებას ასე გულ-მოდგინედ ცდილობენ მატყუარნი და ბოროტ-განმზრახველნი“.

თავად-აზნაურობა ამ სიტყვას ხანგრძლივ შეუწყვეტელის ტაშის-ცემით მიეგება და გუბერნიის მარშალმა კი პასუხად შემდეგი სთქვა:

„ბატონებო, მე ამ საგნის გამო არავითარის საუბრის ნებას ვერ მოგცემთ. ხოლო იმისთვის, რომ გული დაგიმშვიდოთ თქვენ და ერთობ თავად-აზნაურობას, უნდა მოგახსენოთ, რომ მაგ ზედ-მოსევას ჩვენზე არავითარი კავშირი არა აქვს მთავრობის სურვილთან და შეხედულობასთან, თქვენ ყველას მოგეხსენებათ, რომ რუსეთთან შეერთებამდინაც საქართველოს ჰქონდა მასთან საერთო ინტერესები, რომელნიც გვიწვევდნენ ამ დიდ მართლმადიდებელ სახელმწიფოსთან გაერთებისათვის. ჩვენი ერთგულება მთავრობასა უკვე უწყებული აქვს; რაც შეეხება ჩვენთა ბრალმდებთა, იცით, ბატონებო, რა ამოქმედებთ ჩვენ წინააღმდეგ? იციან, რომ ჩვენ, ქართველები, კონსერვატორები ვართ. ამის შემდეგ მე ამაზე ყოველს საუბარსა ვსპობ“.



თ. გურამიშვილის სიტყვა ფორმითაც ლამაზია და კეთილ-  
შობილურ გრძნობითაც სავსეა. ამიტომაც თავად-აზნაურობის  
მთელის კრებულის გრძნობაზედ დიდად იმოქმედა ამ სიტყვამ.  
კრებული ხანგრძლივის ტაშის-ცემით მიეგება ამ სიტყვას და  
ფრიალ მოიწონა იგი. ცხადია, რომ სიტყვაში გამოთქმული  
გრძნობები ყველა დამსწრეს გულს მოხვდა.

ხოლო ჩვენის ფიქრით, იმისთანა საგნის შესახებ, რო-  
მელსაც თ. გურამიშვილი შეეხო და იმისთანა კრებულში, რო-  
გორიც თავად-აზნაურობის ყრილობაა, წარმოთქმულ სი-  
ტყვას მარტო გრძნობა კი არ მოეთხოვება და მარტო ჩვენს  
გულს კი არ უნდა მოხვდეს იგი, არა, ასეთს სიტყვას უფრო  
ბეჯითი შინაარსი უნდა ჰქონდეს, იგი გულს კი არა, ჭკუა-  
გონებასაც უნდა მოხვდეს, არამცთუ ჩვენსას, არამედ ყველა-  
სას, ვინც მოისმენს ან წაიკითხავს იმას. აქ სიტყვას უნდა  
ჰქონდეს მიზანში ამოღებული რაიმე პრაქტიკული საგანი,  
რომელიც ექვემდებარებოდეს კრებულს და რომლის თაობაზე  
კრებულს შეეძლოს კანონიერი საშუალება რამე იღონოს.

ამ აზრით რომ გავსინჯოთ თ. გურამიშვილის სიტყვა,  
იგი სრულებით არ გვაკმაყოფილებს. შინაარსი ამ სიტყვისა  
მხოლოდ ეს არის: გაზეთები ცილსა გვწამებენო და თქვენ,  
ბ-ნო მარშალო, გთხოვთ დაგვიფაროთ ამ ცილისწამებისაგან  
და საზოგადოებას დაუმტკიცეთ, რომ ეს ცილისწამებააო.

ჩვენის ფიქრით, ასეთი საგანი და ამ სახით განმარტებული  
სრულებით თავად-აზნაურობის კრებულის საქმე არ იყო. ბექდვის  
სიტყვასთან ბრძოლა მხოლოდ ბექდვის სიტყვით შეიძლება. აქ  
თავად-აზნაურობის კრებული არაფერ უნდა იყოს. თავად-აზნაუ-  
რობის კრებული ერთად-ერთი ოფიციალური დაწესებულებაა  
ჩვენი, რომელსაც უფლება აქვს და მოვალეობაც, გამოარ-  
კვიოს ჩვენი საერთო საქიროებანი და ვითარებანი, იღონოს  
ამ საქიროებათა და ვითარებათა დასაკმაყოფილებლად და გა-  
საუმჯობესებლად ნამდვილი საშუალებანი. თუ კი ჩვენის ვი-  
თარების და მდგომარეობის განკარგება შეუძლიან მხოლოდ  
უმადლეს მართებლობას, მაშინ კრებულმა უნდა მიჰმართოს



მას ჯეროვანის შუამდგომლობით ან წერილობითა და ან თე-  
სის წარმომადგენელის პირითა.

თუ თ. გურამიშვილს მხოლოდ საბაბად ჰქონდა ის გაზე-  
თების ცილისწამება, რომელსაც იგი შეეხო, და პირდაპირ სა-  
გნად კი ისა ჰქონდა, რომ ლაპარაკი ჩამოგდო ჩვენის აწინ-  
დელის ნამდვილის მდგომარეობის და საჭიროების თაობაზე, მაშ  
რად არა სთქვა, რაც უნდოდა ეთქვა. თუ არა-და, პოეტისა არ  
იყოს, „ან ის რადა სთქვა, რაცა სთქვა?“ . . . . .

დაუბრუნდეთ ისევ რუსეთის გაზეთების ჩვენზე შემცდა-  
რის აზრების გავრცელების ამბავს და აღვნიშნოთ, რომ ამის  
თაობაზე მსჯელობა ჰქონიათ პეტერბურგის ქართველ სტუ-  
დენტებსაც, რომელთაც ამ სატკივრის მოსასპობლად უფრო  
შესაფერი წამლისათვის მიუგვნიათ, ვიდრე ჩვენს თავად-აზნაუ-  
რობას. ქართველი სტუდენტები ერთს საღამოს მიწვეული ჰყო-  
ლია ბ. ველიჩკოს. სხვა სტუმრებთან ერთად ყოფილან აგრედ-  
ვე რუსის გამოჩენილი მწერლები ბ.ბ. ვლად. სოლოვიევი და  
პროფ. ლამანსკი. აქ ის აზრი დაბადებულა, რომ ქართველებ-  
მა თვითონ უნდა გააცნონ თავისი თავი რუსეთის საზოგადო-  
ებასო. ბ. ვლ. სოლოვიევი კიდევ დაჰპირებია სტუდენტებს,  
თუ საქართველოს შესახებ ფაქტიურ მასალებს მომწოდებთ,  
მე დაეხმებოდნენ ახალ გაზეთში, რომელიც მომავალ იანვარ-  
ში უნდა გამოვიდესო („ივერია“, № 272).

„ამ დაპირებით ქართველებმა უსათუოდ უნდა ვისარგებ-  
ლოთო, ამბობს დასასრულს ერთი იქ დამსწრეთაგანი. საჭი-  
როა ჩვენ თვითონვე, როგორც პროფ. ლამანსკიმ სთქვა, გა-  
ვაცნოთ ქვეყანას ჩვენი თავი, ამისთვის უმჯობესი იქნება ან  
პეტერბურგში ან მოსკოვში გავიჩინოთ გაზეთი, რომლის და-  
ნიშნულებაც იქნება—გააცნოს რუსის საზოგადოებას საქარ-  
თველო და საზოგადოდ კავკასია. შეიძლება ეს ძნელი საქმე  
იყოს, მაგრამ სიძნელე იმას არა ნიშნავს, რომ ეს საჭირო  
არ იყოს. მაშინ შევიძლებთ საკადრისის პასუხის გაცემასაც და  
აქანთანავე ვერც რუსული პრესა გაჰხედავს, სიცრუვე და ქო-  
რი ილაპარაკოს ჩვენზეო“.

სრულებით თანახმა ვართ ამ აზრისა და დარწმუნებული  
ვართ, რომ ამისთანა შემთხვევაში ჩვენც სწორედ ის იარაღი  
უნდა ვიხმაროთ, რომლითაც გვებრძვიან. ბეჭდვით გამოთქმულ  
სიცრუეს ბეჭდვითვე გამოთქმული სიმართლე უნდა წავუყენოთ  
წინ. „ტყუილის მთქმელს, ტყუილის კარებამდი მიჰყეო“, ნა-  
თქვამია. ამ გონიერის რჩევის გამოყენება მხოლოდ მაშინ შე-  
იძლება, თუ ტყუილის მთქმელს პირზე ხელს კი არ დავაფა-

რებთ, სიტყვას ნუ ამოიღებო, არამედ დავაცლით სიტყვას, რისაკ  
 თქმა უნდა, მოვისმენთ ნათქვამსა და მერმე პასუხს გავცემთ.

დიალ, გაზეთია ჩვენს დროში ერთად - ერთი საშუალება  
 სიმართლის გავრცელებისა. ამ საშუალებით უნდა ვეცადოთ  
 გავაცნოთ ჩვენი თავი არამც თუ რუსეთის საზოგადოებას,  
 არამედ ევროპასაც. ნუ დავივიწყებთ, რომ თუ გაცნობას ყო-  
 ველთვის სიყვარული არ მოსდევს, სიყვარულს კი უსათუოდ  
 გაცნობა უნდა მიუძღოდეს წინ. მართალია, ცალკე, საკუთარი  
 გაზეთების დაარსება ძნელია და იქნება შეუძლებელიც იყოს  
 ჩვენთვის, მაგრამ, საბედნიეროდ, რუსეთშიც და ევროპაშიაც  
 არიან და ყოველთვის იქნებიან იმისთანა გაზეთებიც, რომელ-  
 ნიც სიმართლეს ერთგულობენ და ჩვენს სიმართლესაც მოი-  
 სმენენ, თუ ამ სიმართლის რიგიანად გამოთქმას შევიძლებთ.

### რედაქციამ მიიღო შემდეგი ახალი წიგნები:

1) ქართული გლობა, ლიტურგია იოანე ოქროპირისა,  
 მღვდლისა და მღვდელ-მთავრისათვის, გადაღებული თილიმონ  
 ი. ქორიძის-მიერ, შარტიტურა № 1. გამოცემა მ. შარაძის და ამს.  
 ფასი 1 მ.

2) ჩემო შეინდაგ! — მოთხრობა შ. არაგვისპირელისა, სა-  
 ხალხო წიკნი, № 7. ტფილისი 1895 წ. ფასი 3 კაპ.

3) მეთვეზის შვილი. — ზღაპარი ჰატარებისთვის 12 სურა-  
 თით, გამოცემა ი. როსტომაშვილისა, № 1. ტფილისი 1896 წ.  
 ფასი 20 კაპ.

4) შრამა, სამდიდრე და ფული. — შედგენილი ი. გორდე-  
 ლაძის მიერ მოწოდებებისთვის და ხალხისთვის, იოანე როსტო-  
 მაშვილის საფასით და რედაქციით გამოცემული, № 2. ტფილისი  
 1896 წ. ფასი 15 კაპ.

5) სოფლის ძაღვანა. — მოთხრობა იოსებ ჩიტაძისა,  
 მოწოდებებისთვის და ხალხისთვის, გამოცემა იოანე როსტომაშვი-  
 ლისა, № 6. ტფილისი 1896 წ. ფასი 15 კაპ.

6) ქალები. — შედგენილი თ. საბოკიას-მიერ, კ. თავართქი-  
 ლაძის გამოცემა № 53. ბათომი 1896 წ. ფასი 20 კაპ.

7) გაბატონებული წიგნებისათვის საკითხავი, გამოცემა ქე-  
 თასის საკვების სკოლისათვის, ტფილისი 1895 წ. ფასი 5 კაპ.

რედაქტორი  
 ალექსანდრე ჭყონია

გამომცემელი  
 ალექსანდრე ჭაბაძე

ზინაარსი 1895 წლის „მოამბის“ ნომრებისა

აბაშიძე კიტა—ეკოლოგიურია სალირიკო პოეზიისა საფრანგეთში  
 მე-XIX საუკუნეში (I, II).

აბუკინო—ჩემი დღიურიდან (XI).

არაბული გაჟიკა—ხეკსურული ლექსება (V).

არაგვისპირელი შ.—ქარი კი ამ დროს ზუოდს, კუნესოდს და  
 გმინაუდა.—ფსიხოლოგიური ეტიუდი (X).

— ლექთო, რა დაგიშაკე!?—ეტიუდი (XI).

— ექვ, ჟანდაბას ჩემი თავი და ტანია!—საშობაო ეტიუ-  
 დი (XII).

ახალგაზდა ქართველი—ფ...ს—ლექსი (V).

ბადრიძე გ.—სულით-აკადმუაფენი (X).

ბ.—ძე კ.—სასწაულისა თუ არა? (IX).

გაბრიელ ებისკაზოსი იმერეთისა, მისი ცხვარება და მოღვა-  
 წეობა (VIII).

განდეგილი—გოგია.—მოთხრობა (II—III).

— არა, არ ვსტიარი.—ლექსი (V).

გუგუნავა თ'დი სვიმონ—მოხუცის ანდერძი.—ლექსი (III).

დადიანი თ'დი დიმიტრა—(ხეკროლოგი) (VIII).

დაკენსი—რამა ბედნიერება.—ზღაპარი, თარგმანი კონ. ნიკოლა-  
 ძისა (I).

დავით მკვრელი—დაკარგული იმედი.—მოთხრობა (XII).

ევდოშვილი ი.—ორი ობოლი.—ამბავი (VI).

ეჟა—განთავადი.—მოთხრობა, თარგ. თ. სახლკიასი (III, IV, V, VI,  
 VII, IX, X, XI, XII).

გაჭა-ფშაველა — სის ბეჭი. — პოემა (I).

— უნუგეშო ეოფნა. — ლექსი (IV).

ზასკერ-მასოხ — საბრალე მამა. — ამბავი, თარგმანი კასკა ერისთავისა (XI).

თ—ლა — მშვიდობით! — სურათები სამეგრელოს ცხოვრებისა (VIII, IX, X, XI).

თულაშვილი გატანგ — შენიშვნა (V).

ტანგარეთელი იღ. — ქართული მუსიკა (II).

ტელ — მე მ. — სასაღვთო ზოგნა და მისი სახედაგოგო, საესტეტიკო და სამეცნიერო მნიშვნელობა (I, II, III, IV, V, VI).

ლალიონი — ფირალი დაკლამე. — მოთხრობა (IV, V).

ლეისტი არტურ — კარნიზანიძანთ ნინო. — მოთხრობა საქართველოს ცხოვრებიდან, თარგმანი გერმანულით (II, III, IV).

მთვარელიშვილი ნ. — ჩუენი ისტორია (V).

მ — ი თ. — ზოგიერთი ზნე-ჩვეულება ქორწინების დროს კასეთში (V).

მღვამელი შ. — სიმღერა. — ლექსი (VII).

ნადირამე ა. — ზალეს დარდი. — ამბავი (IX).

ნანობა — საღვთის განათლების შესახებ (XI).

ნაკვალავიშვილი იასონ — რას მეჩნით, მეც ადამიანი ვარ! — ამბავი (III).

— ცოლ-ქმარი. — მოთხრობა (V, VI).

ნა — ლა ა. — საღვთებატურეო შენიშვნები. — ახალა მოძღვარი მესამე დასისა — ყარიბი. — პოეტი რუს-იმერელი. — „კვალის“ კვენა-ბაქიაობა. — „კვალის“ ორი წლის ნაღვაწი გ. წერეთლისა. — სააზნაურო სკოლები და „წერა-კითხვის“ საზოგადოება. — გ. წერეთელი და მოკლე ვადიანი კრედიტი. — სამეურნეო თანხა. — „კვალი“ და სამეურნეო სწავლა-ცოდნა. — ი. როსტომიშვილის წერილები. — აკაკის „განცხადება-სავით“. — მესამე დასის ისტორიკოსები. — გ. წერეთელი, ძალად ბელადი მესამე დასისა და ბ-ნი ჯიბლაძე. — პასუხი ცრუ-მოწამეს — ბ-ნ სიკო მუხიანელს (III).

ზატრიაშვილი ფ. — ზნეობის განვითარება — სქესებრივი მორალე (XI).



პელაგიაშვილი — უდნაშვილი მსხვერპლი. — ამბავი (VI).  
პეტრიაშვილი გ. (პროფესორი) — რძე და მისი სსკა - და - სსკა  
გარდა გამოყენება (I, II, III, IV, V, VI, VII, VIII,  
IX, X, XI, XII).

პოტეხია — ენა და კრეზენა (XII).

რახვიაშვილი თ. — მძანი მრკაღნი. — ლექსი (VI).

როსტომიაშვილი დ. — სეკსურული სიმღერები (II).

— თუშური სიმღერები (III).

სანდრო წვერტიაშვილი. — ამბავი \*\*\* (X).

სასამართლოს წესდების გადასინჯვის გამო. — 1864 წ. 20 ნოემბერს დამტკიცებული სასამართლო წესდება ერთი უდიდებულეს რეფორმათიგანია იმპერატორის ალექსანდრე მეორესი. — ამ წესდების ბედი 1894 წ. 1 იანვრამდინ. — მართლმსაჯულების ახალი მინისტრი ნ. ვ. მურავიოვის აზრი წესდების დედა-აზრთა შესახებ. — წესდების გადასინჯავად დანიშნული კომისია. — სამოსამართლო პალატების უფროს თავმჯდომარეთა და პროკურორთა კრება პეტერბურგში 29—31 დეკემბერს 1894 წ. და 4 იანვარს 1895 წელს. — ნაფიც მსაჯულთა სამართალი. — მართებლობის მიერ დანიშნულ მსაჯულთა განწესება და დაწინაურება (VIII).

საღიტერატურო მიმოხილვა — „Моск. Вѣд.“-ი და „Сѣв. Вѣст.“-ი (VIII).

ს — შვილი აღ. — ეკეთხას-ტუასისისა ეაღბი ადგილები (XI—XII).

სა — ლი ბ. — კერძო თაოსნობა სწავლა-განათლების საქმეში (VI).

— კერძო თაოსნობა და სკენი ქალები (XII).

სახოკია თ. — ეგნატე ნინოშვილი (ინგოარეუკა). — მეგობრის მოგონება (XII).

სენკეიანი გერნაე — ნეტწლითა და მსხვილითა. — რომანი, თარგმანი გრ. ყ — ძისა (I, II, III, IV, V, VI, VII, VIII, IX, X, XII).

სერაო ძატილდა — შატარა რომანი. — მოთხრობა, თარგმანი (I).

სკოტტი-ვალტერ — აიკუნგო. — რომანი, თარგმანი (I—II).

სუტენერი ქნი — ომის მსხვერპლი. — ამბავი, თარგმანი ილოსი (XI).



უმიკანშვილი ზეტრე — გასამრჯელო სალიტერატურო შრომების  
 თვის (II).

ფავლენიშვილი რეგაზ — მოტუეხული. — მოთხრობა (XI—XII).

ფერერო გულიელმო — მესამე სქესი. — თარგმანი კ. ბ — ძისა. (VII).

ფრანელი ა. — მთიულეთი 1804 წელსა. — ისტორიული ამბავი (III,  
 V, VI, VII, VIII, IX, X, XI, XII).

ეიფშიძე გრ. — ღრიალდუ მოსაზრება ქართულის ენისა და გრამა-  
 ტიკის შესახებ (IV).

— თქდი რაფიელ ერისთავი და მისი სალიტერატურო  
 მოღვაწეობა (X).

ეზიბეგია ა. — ვინ გაკამტუენოთ. — დაუმთავრებელი მოთხრობა (VII).

შაღდელი ე. — შიღდა. — არქეოლოგიური წერილი (IV).

ცაგნი — სასოფლო სამეურნეო ამხანაგობანი საფრანგეთში. — თარ-  
 გმანი G — სა (IV).

ცახელი — წყარო. — ლექსი (IV).

— მხედარი. — ლექსი (X).

ჭაღადადელი გ. — გაჭყარებული ასოთ-ამწეობის შენიშვნა. — ლექსი  
 (II).

ჭარბია ზ. — ქართული სალიტერატურო ენა და ქართული მართლ-  
 წერა (IX).

— მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულე-  
 ბა ქართულთან (X—XII).

ხახანაშვილი ა. — ქართველთა მეფეთა ტიტული, კურთხევა და რე-  
 ვალიები (VII).

ჯ. — ორბელიანი ა. ვახ-შე — ღა-მამა-ღ-ხანის შემოსევა ტფილისში  
 (VIII).

ქეანე — \* \* ლექსი, თარგმანი ი. ბაქრაძისა (IV).

— ლექსი, თარგმანი შ. მღვიმელისა (VI).

ქონე ჟორჟ — გედის სიმღერა. — მოთხრობა, თარგმანი ნინო ლო-  
 ლობერიძისა (II).

М. Плохинский—Поселение грузинъ въ Малороссіи въ XVIII в.—Е. Такайшвили.—Сигель грузинскаго царя Баграта IV (1027—1072).—წმ. დიდი მოწამე, კახეთის დედოფალი ქეთევანი.—К. Н. Бѣгичевъ —Разведеніе чайнаго куста на Кавказѣ—(I).

А. Цагарели—Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности. Томъ I. Выпускъ третій, съ портретомъ профессора Д. I. Чубинова. С.-Петербургъ, 1894. სიმ. ლოლობერიძისა (III).

აკაკის ნაკვეთები, წიგნი პირველი, შეკრებილი და გამოცემული თ. სახლკაის მიერ ტფ. 1895 წ.—გორგი გვაზავა:—1) „ბატონიშვილი ლევან“—2) „ლილო“. ტფ. 1895 წ. (IV).

„ორი მოთხრობა“ ეგ. ნინოშვილისა (ინგოროყვასი), ავტორის სურათით და მისი ბიოგრაფია, შედგენილი გ. წერეთლის-მიერ, ტფილისი 1895 წ.—G.—Очерки по исторіи грузинской словесности. Выпускъ первый. Народный эпосъ и апокрифы.—А. С. Хаханова. Москва 1895 годъ.—მ. კელ—სა. (V).

თევდორე მღვდელი, სახალხო წიგნი № 5, თომანთ კობასი.—G.—იმერეთის მეფე სოლომონ დიდი. (VIII).

ჩემო შვინდავ! სურათი შ. არაგვისპირელისა, სახალხო წიგნი, № 7. (XII).

Di una grammatica inedita della Lingua Georgiana scritta da un cappuccino d'Italia, note di E. Teza. Venezia, 1894. (დაუბეჭდავი გრამატიკა ქართულის ენისა, დაწერილი იტალიელ კაპუცინის მიერ, შენიშენა ე. ტეჯისა.—ვენეცია, 1894 წ.) (XII).

Gustave Le Bon—Les lois psychologiques de l'évolution des peuples.—Paris, 1894.—(გუბტავ ლე ბონი—ერთგანვითარების ფსიხოლოგიური კანონები) (XII).

### პროვინციის ცხოვრება

კახეთი.— I. კახეთი დიდი ავადმყოფია.—ხედა-ხედ მოუსავლობა ხუთის წლისა.—თელავი და ახალი დარგი



ვაჭრობისა.—ვინ და რა ასულდგმულებს ამ ვაჭრობას, თუკა  
 ძალ-ღონე გამოლეული გლებ-კაცობა.—მიზეზი ჭირნახუ-  
 ლის მოუსავლობისა.—ვენახები.—შულავერ-რატენის დეი-  
 ნიები თელავში.—ერთს მარცხს მეორე და მესამე მო-  
 სდევს.—ვაჭრობით გასყიდვა გლებთა ავლა-დიდებისა ნა-  
 ფარეულსა და ენისელში.—ზემო კახეთს სამოვარი ადგილი  
 არ აქვს და სახნავიც ძალიან მცირედ მოეპოვება.—დავა-  
 ლიანება კახეთის გლებ-კაცობისა.—უზომოდ დიდი სარგე-  
 ბელი.—მცირედი საღსარი ხსნისა.—აბრამისძისა.

II.—სარწამუნოების მიძინებული გრძნობა.—ამის მიზე-  
 ზი.—ვინ უნდა უწინამძღვროს სოფელს.—მღვდლისა და მა-  
 სწავლებლის მოვალეობა.—სოფლის მრავალი გაჭირება.—  
 სამკალი ფრად არს, ხოლო მუშაკნი მცირედ.—თ. მ—სა.  
 (II).

კახეთი. — კახურისა და ქიზიყურ ვენახების ავადმყო-  
 ფობა და იქაურივე წლევანდელი ჭიოობა.—აბრამისძისა  
 (VII).

სმა ივრის ხეობადან.—იერემიასი. (IX).

ქართლ-კახეთის სამრეკლო სკოლების მომავალი და  
 მათი საკუთრება და სამაზრო ზედამხედველები.—  
 აბრამისძისა. (X).

აფხაზეთი.—თ. სახოკიასი. (XI).

## ზინაური მიმოხილვა

ქართული მწერლობა. — მწერლობის საჭირო მასა-  
 ლა.—ქართველს კაცს ხელმძღვანელი აკლია.—ჩვენი მწერ-  
 ლობის ამაგი.—საზოგადოებამ მწერლობას გაასწრო ზრდა-  
 ში.—ორი ტიპი გაზეთებისა.—ჩვენ პარტიული გაზეთები  
 გვეჭირვება ეხლა.—მათი ავი და კარგი.—აშკარა ბრძოლა  
 კი არა, მეღური ჰრყენის მწერლობას.—მოზრძანდით იბძო-  
 ლეთ!—ნ. ნიკოლაძისა. (I).

ჩემი დღიურია. — სახალწლო. — კარგი ჩვეულება. — ნუ  
წაებაძავთ. — როგორ მოვიდა წარსული წელიწადი. —  
გუნია და მისი კალენდარი. — ჩვენი „მოღვაწენი“. — რით  
არიან თურმე ისინი შესანიშნავნი. — წინასწარმეტყველებანი  
ახალის წლის გამო. — ახალი ქარი და მისგან აღძრული  
იმედი. — მისამკვლევი. — ი. ხონელისა. (I).

ბათუმის აჩქვანება. — დაგვიანებული მსჯელობა. —  
მრუდე ხეს რა გაასწორებს. — რა გვლუბავს? — რა ურჩია  
ნოტარიუსმა ადვოკატს. — ქიშპობა ურთიერთ შორის. —  
სხვაგან როგორ მოიცილეს ეს სენი. — საფედერაციო პრინ-  
ციპი. — შვეიცარიაში სამის ტომის ხალხი როგორ სცხოვე-  
რობს ერთად, ძმურად. — სურათი ჩვენის ქვეყნის მდგომარ-  
ეობისა. — ზოგიერთი რამ ჩვენის თაობის წარსულისა. —  
მორიგება და ლალატი. — განსვენებული იზმაილოვის რო-  
ლი ამებში. — მისი დროშა განკერძოვებისა. — მიზეზი მისის  
მოქმედების უნაყოფობისა. — წინასწარგაფთხილება ბათუმე-  
ლებისა. — ნ. ნიკოლაძისა. (III).

არეულობა ებრაელთა წინააღმდეგ. — თ. რაფიელ ერის-  
თავის იუბილეი. — უადგილო კინკლაობა. — „ჩერნომორსკი  
ვესტნიკი“. — წყალ-დიდობა და მისი ზარალი. — კომიტეტი  
დახმარებისათვის. — კიდევ ნაფიც მსაჯულთა სამართლის  
შესახებ ჩვენში. — აზრი „სევერნი ვესტნიკისა“. (XI).

ზოგიერთი ჩვენი პატარა საქმეები. — ბათუმის ქართველობა  
და მისი ორი საქმე — სკოლა და ეკლესია. — ზონის მასწავლებ-  
ლები. — სახალხო ბიბლიოთეკები, სახალხო კითხვა და  
„წერა-კითხვის საზოგადოება“. — ქართული საეკლესიო გა-  
ლობის ნოტებზე გადაღება. — თ. დავ. გურამიშვილის სი-  
ტყვა, წარმოთქმული ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის  
კრებაზე. — გაზეთებს გაზეთებითვე უნდა ვუგოთ პასუხი. —  
პეტერბურგის სტუდენტების აზრი. (XII).

### უცხოეთის მიმოხილვა

წარსული წელიწადი. — ნ. ნიკოლაძისა. — (I). —  
ახალი ვითარება ცვლილება საფრანგეთში. — ნ. ნიკოლა-



ძისა. — (II). — ახალი შოგოთი ოსმალეთში. — ნაწილი  
 ლადისა. (IV).

### დამატება

საქართველას სიძველენი. — (V, VI, VII, IX, X,  
 XI, XII).

# განცხადებანი

წიგნების გამომცემელ

მართველთა ამხანაგობის გამგეობისაგან

ქართველთა ამხანაგობის გამგეობამ განიზრახა რა ჭბეჭდოს ჰატარა ისტორიული წიგნაკები, უმორჩილესადა სთხოვს საქართველოს ისტორიის მცოდნე ჰირთ დაესძარონ ამხანაგობას და მოაწოდონ დასასტამბავად მარტივი ენით დაწერილი ეპიზოდები საქართველოს ისტორიიდან. სასურველია უოველი ეპიზოდი არ აღემატებოდეს ორ თაბახს, ესე იგი 64 გვერდს. მოწონებულ და დაბეჭდილ უოველ თაბახში (32 გვ. ფორმ.  $8\frac{1}{2} \times 5$ ) ავტორთ მიეცემა 30 მანეთი.

ამხანაგობა ეცდება უოველს წიგნაკს დაურთოს კმირთა სურათები, თუ კი მოიპოვება.

ამხანაგობის გამგე ალ. ჯაბაღარი

ამა წლის 25 დეკემბრიდან

# უზასოდ

პედლის ქართული კალენდარი

1896 წლისა

სამსუდურ გარეთიდან მიღებულ სხვადასხვა

ლამაჯ სურათებზე

დაკრული

მიეყება ყველა იმათ, ვინც იყიდის

„ქართველთა ამსანაგობის“ მალაზიაში

(ძვარვითის მაღაზიასთან)

„ამსანაგობის“ მიერ გამოცემულ

წიგნებს არა ნაკლებ 1 მ. 20 კან—სას.

ქალაქგარედ მცხოვრებთაგ კაგეზაგებთ, თუ ფაქტის  
სარჯს გამოეგზავნან.



1896



# „მოსამგე“

## თვიური ჟურნალი

(წელიწადი მესამე)

გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში

იმავსე პრეგრაჰით

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

	1 წლით	6 თვით	3 თვით
რუსეთის და კავკასიის ქალაქებში. . . . .	10 მან.	6 მან.	4 მან.
საზღვარ გარედ . . . . .	13 მან.	7 მან.	5 მან.

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე—4 მან., 1 აპრილამდე—3 მან. და 1 სექტემბრამდე—3 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ «მოაზების» რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩასზე № 13.

წიგნას მადანაებს, რომელნიც იკისრებენ ჟურნალ „მომგე“-ზე ხელის-მოწერის მიღებას, შეუძლიანთ აიღონ მთელის წლის შემოსატანიდან კამისიისა და ფულის გამოგზავნის-თვის ათა შაურა, ხოლო თუ ფულს ნაწილ-ნაწილ შემოიტანენ, ანაფერა დაეთმობათ.

შენიშვნა: 1) ჟურნალის თავის დროზე მიღებისათვის რედაქცია პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფული გამოგზავნილ ან შემოტანილ იქნება რედაქციის კანტორაში. 2) ქალაქ გარეშე ხელის-მოწერით ფულას მიღებას კვატანცია გავგზავნებთ მხოლოდ იმათ, ვინც ჟურნალის ფასთან ერთად წარმოადგენს 7 კაპ. ფოსტის მარკას ყოველ კვიტანციაზე.

ქალაქ გარედ მცნოგრებთათვის ადრესი: *Тифлисъ, Редакція „Моамѳе“.*

რედაქციამ მოსახერხებლიადა სცნო სოფლის მღვდლებს, სოფლის მასწავლებლებს, ხელოსნებს და მოწაფეებს ჟურნალი დაუთმოს რგა მანეთად წელიწადში. ვისაც 8 მანეთის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან პირველში ოთხა მანეთი შემოიტანოს და ორ-ორა მანეთიც მარტში და აგვისტოში.

# „ივერია“

გამოვა 1896 წელსაც

იმავე პროგრამით, როგორც წინაღ.

## ფასი გაზეთისა:

12 თვით . . . . .	10 მ. — კ.		6 თვით . . . . .	6 მ. — კ.
11 „ . . . . .	9 „ 50 „		5 „ . . . . .	5 „ 50 „
10 „ . . . . .	8 „ 75 „		4 „ . . . . .	4 „ 75 „
9 „ . . . . .	8 „ — „		3 „ . . . . .	3 „ 50 „
8 „ . . . . .	7 „ 25 „		2 „ . . . . .	2 „ 75 „
7 „ . . . . .	6 „ 50 „		1 „ . . . . .	1 „ 50 „

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანეთი; ხოლო თუ ტფილისის გარეშე ზელის მომწერელი ერთის ადგილიდგან მეორეში გადავიდა, უნდა წარმოგზავნოს ორი აბაზი.

## ფასი განცხადებისა:

მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზედ—16 კაპ.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

**ბფილისი, „ივერიის“ რედაქციას**

ნიკოლოზის ქუჩა, 21

და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარ. სასახლის ქუჩ., ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ. Редакция „ИВЕРΙΑ.“**

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.

სასაფლავო მკურნეობას, ვაჭრობას, მრეწველობას, კვანძობას  
მიას, სტატისტიკას, ჰიგიენას და საბუნებო

ყოველ-კვირეული ჟურნალი

# „მ მ უ რ ნ მ“

(წელიწადი შეტბრე)

გამოვა იმავე პროგრამით, წესით და ფასით, როგორც  
დღემდის გამოდიოდა. ჟურნალს 1896 წელს მუდმივს თანა-  
მშრომლობას გაუწევინ: თ'დი ივანე ზაქარიასძე ანდრონიკა-  
შვილი, ანატოლი ვუჩინო, გრიგოლ გველესიანი, იოსებ გუნ-  
ცაძე, არჩილ დარეჯანიშვილი, თ'დი ნიკოლოზ დგებუაძე, თ'დი  
ალექსანდრე თუმანიშვილი, ნიკოლოზ კურნალი, თ'დი ერმი-  
ლე ნაკაშიძე, ვასილ სულხანიშვილი, არტემ ფირალოვი, ალექ-  
სანდრე შარაშიძე, რაფიელ ჩიხლაძე, დ. მაჩხანელი და სხვ.  
ექიმები: გიორგი ბადრიძე, თ'დი ყარამან ჩიქვანი და სხვ.

ჟურნალს დახმარება აღუთქვას ჩვენმა ცნობილმა ზნეფე-  
სორმა ვასალ ჰეტრიაშვილმა.

რედაქცია ეცდება 1896 წ. უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს  
უარესი კულტურის მცენარეთა მოშენებას ჩვენს ქვეყანაში,  
ვიდრე დღემდის ჰქონდა მიქცეული ამ საგანს. სხვათა შორის  
მეურნეობის დარგიდან ჟურნალს უშზადებს მომავალ წლისათვის  
ბ-ნი ანატოლი ვუჩინო ინგლისურ თხზულების თარგმანს:

## რ ა ი

მისი მოხმება და დამუშავება.

თარგმანს დამატებული ექნება ბ-ნი ვუჩინოს პრაქტიკული  
შენიშვნები ჩაის მოყვანის თაობაზე საზოგადოდ ქუთაისის გუ-  
ბერნიაში და განსაკუთრებით ჩაქვში.

ხელის-მოწერა მაიღება:

ქუთაისში: რედაქციაში, გეგუთის ქუჩის გადასახვევში,  
ჰყონიას სახლი № 10 და წიგნების მაღაზიებში. გარეშე ადგი-  
ლებიდან ამ აღრესით უნდა გამოგზავნონ ფულები და დაბარე-  
ბის წერილები: Кутаисъ. Въ редакцію „Меурნэ“.

ჟურნალი ღირს: წლით 5 მან., ნახევარა წლით 3 მან.

რედაქტორი და გამომცემელი ილია ხაჩონია



# „კ ვ ა ლ ი“

გამოვა 1896 წ. ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბახამდის

რედაქცია ყოველ ღონისძიებას ხმარობს გააუმჯობესოს შინაარსი და სახე გაზეთისა, ამ განზრახვით მან დაიბარა ახლაც პეტერბურგიდან მრავალი საუკეთესო ცინკზედ და სპილენძზედ მოჭრილი მხატვრობა.

გაზეთი წლიურად ღირს გაუგზავნელად 7 მანეთი, ხოლო გაგზავნით 8 მან. ნახევარის წლისა: გაუგზავნელად 3 მ. 50 კ. გაგზავნით 4 მანათი. სამი თვისა: გაუგზავნელად 2 მანეთი, გაგზავნით 2 მანეთი და 50 კაპ. თითო ნომერი აბაზათ. ხელის მომწერლებს წლის ფული შეუძლიანთ ნაწილ-ნაწილ გამოგზავნონ.

## ხელის-მომწერა მიიღება

ტფილისში არწრუნისეულ ქარვასლის ქართულ სახალხო სამკითხველოში, „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ და თვით „კვალის“ და „ჯეჯილის“ რედაქციაში. (Артиллер. ул. д. Тамамшева, возлѣ Кадет. корпуса).

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერთა შეუძლიათ მიმართონ: **ქუთაისში:** ვარლამ ჭილაძის, ვ. ბეჟანეიშვილის, ძმ. წერეთლეების, ხეთერლის წიგნის მაღაზიებში და ბ. ნ. ლალიძესთან ზელტერის წყლის ქარხანაში.—**ბათუმში:** მათე ნიკოლაძის ეურნალ-გაზეთის სააგენტოში და პავლიონში გერ. კალანდაძესთან.—**ფოთში:** მიხაილ თურქიას.—**მთავანთაშენში:** (ხაშურში) იოსებ ფანცულაიას.—**თბილისში:** ივ. ჩიბალაშვილს.—**გორში:** არსენ კალანდაძეს.—**ჭავჭავაძეში:** თედორე კიკვაძეს.—**ყვარლისში:** ბ. ნ. არაბიძის წიგნის მაღაზიაში.—**ახალციხეში** და **ფშაველეთში:** კ. თავართქილაძეს.—**საჩხერეში:** ყარ. ჩხეიძეს.—**თელავში:** მიხეილ ცისკარაშვილს.

1896 წლის სკლის-მომწერებს „კვალისას“ დაურთავდება პრემიათ ახლა რომანი გიორგი წერეთლისა, სახელად

## „ბ უ ლ ქ ა ნ“

რომანი შედგება სამი ნაწილისაგან.

# ჯეჯილი

წელიწადი მეშვიდე

გამოვა 1896 წელს თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათაც აქამდის.

ჟურნალში მონაწილეობის მიღება ალგვიტქვეს ყველა ჩვენში საუკეთესო მწერლებმა.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს—4 მ. ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან.

ცალკე ნომრის ფასი ტფილისში არის 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

## ხელის-მოწერა მიიღება:

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში, (Дворцовая ул., д. Зем. Банка, № 102), ქართულ სახალხო სამკითხველოში (д. зем. банка № 32) და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (Артиллер. ул. д. Тамамшева, возле Кадет. корпуса).

2) ქუთაისში—3. ბეჟანეიშვილთან, და თ. მთაერეიშვილთან.

3) გორში—არ. კალანდაძესთან.

4) ბათუმში—მ. ნიკოლაძის სააგენტოში და გერ. კალანდაძესთან.

5) თელავში—მ. სისკარაშვილის აფთიაქში.

6) საჩხერეში—ჟარამან ჩხეიძესთან.

7) თიორნეთში—ივ. ჩიბალოიშვილთან.

8) ყვირილაში—არაბიძის წიგნის მაღაზიაში.

9) მიხაილოვში—ი. ფანცულაისთან.

ზოსტის აღრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა

# „მ წ ყ ე მ ს“-ზე

და

## რუსულ „П А С Т Ы Р Ъ“-ზედ

ფასა ჟურნალისა:

12 თვით „მ წ ყ ე მ სი“	3 მ.	6 თვით „მ წ ყ ე მ სი“	2 მ.
— „ ორივე გამოცემა	4 „	— „ ორივე გამოცემა	3 მ.
— „ რუსული	3 მ.	— „ რუსული	1 მ.

სოფლის მასწავლებელთ და ლარიბთ გაზეთები დაეთმობათ  
მთელის წლით **ს ა მ მ ა ნ ე თ ა დ.**

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების  
სახლებში და ვეირაძეში რედაქტორის საკუთარს სახლებში.

გაზეთზე ხელის მოწერა შეიძლება როგორც ვეირაძეში,  
აგრეთვე ქუთაისშია და ცფაღასში წერა-კითხვის გამაგრე-  
ლებელ საზოგადოების წიგნის მალაზიაში, ბ. შიო ქუჩუკაშვილ-  
თან. ფოთში—დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭაროვთან; გორში—სა-  
სულ. სასწავლებლის მასწავლებელ ილია ი. ფერაძესთან; საჩ-  
ხერში—მ. ყარამან ჩხეიძესთან; ახალციხეში—დეკანოზ დ. ხა-  
ხუტოვთან. ახალსენაკში—სასულიერო სასწავლებლის მასწავ-  
ლებელ სპირდონ ან. მატარაძესთან.

გარეშე მცხოვრებთა ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ  
ადრესით: **Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала**  
**„МЦКЕМСИ“ и „ПАСТЫРЬ“.**

ამ მიმდინარე წლის საჩუქარი **შოთა რუსთაველის მხატვ-  
რობა** უკვე დაურიგდათ ხელის-მომწერთ და ვისაც ჯერ არა  
აქვს მიღებული, ისინიც მალე მიიღებენ.

1895 წლის „მ წ ყ ე მ სი“-ს ხელის-მომწერლებს საჩუქრად  
დაურიგდებათ მოზრდილი ფოტოგრაფიული მხატვრობა საქარ-  
თველოს მეფის წმიდისა **დავით აღმაშენებლისა** და იმე-  
რეთის ეპისკოპოსის **ზაბრიელიისა.**

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1896 ГОДЪ

(Пятьдесятъ-первый годъ изданія).

# „КАВКАЗЪ“

Редакторъ-издатель Ю. Н. МИЛЮТИНЪ.

Подписная пѣна:

На 12 мѣсяцевъ	Городская.	Иногородная.	Заграничная.
11	11 р. 50 к.	13 руб.	18 р. 40 к.
10	10 „ — „	12 „	— „
9	9 „ — „	11 „	— „
8	8 „ — „	10 „	— „
7	7 „ — „	9 „	— „
6	6 „ — „	8 „	— „
5	5 „ — „	7 „	10 „
4 мѣсяца	4 „ 50 „	5 „	— „
3	3 „ 50 „	4 „	6 „
2	2 „ 50 „	3 „	— „
1 мѣсяць	1 „ 50 „	1 „ 75 к.	2 „

Подписка принимается съ перваго числа cadaго мѣсяца.

Желающіе подписаться съ разерочкою вносятъ 2 р. при подпискѣ и по 1 р. къ первому числу cadaго слѣдующаго мѣсяца до погашенія всего причитающагося платежа.

**ПЛАТА ЗА ОБЪЯВЛЕНІЯ** (со строки петита или занимаемаго, ею мѣста): *На послѣднихъ страницахъ*: съ мѣстныхъ объявленій (кавказскихъ)—8 коп., съ прочихъ—10 коп., за каждый разъ. *На первыхъ страницахъ* вдвое. За большія многократныя объявленія по соглашенію. За разсылку особыхъ приложений 8 рублей съ тысячи.

Подписка и объявленія принимаются въ конторѣ „КАВКАЗА“ Тифлисъ, Дворцовая улица, домъ Тифл. Двор. Зем. Банка.

*Частныя объявленія изъ С.-Петербурга, Москвы, Царства Польскаго, Прибалтійскаго края и за границы принимаются исключительно въ Центральной конторѣ объявленій торговаго дома Л. и Э. Метцель и К<sup>о</sup> въ Москву (Мясницкая, домъ Спиридонова) и въ его отдѣленіи въ С.-Петербургѣ (Большая Морская № 11).*

При конторѣ газеты „КАВКАЗЪ“ принимается подписка на телеграммы „Россійскаго телеграфнаго агентства“.

открыта подписка на 1896 г.

на ежедневную газету

## „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(Тринадцатый годъ изданія).

Въ 1896 г. „Новое Обозрѣніе“ будетъ выходить въ Тифлисъ, какъ и въ прошлые годы, ежедневно, по программѣ газеты литературной, общественной и политической, **НО ВЪ УВЕЛИЧЕННОМЪ ФОРМАТѢ.**

**ПЛАТА ОСТАЕТСЯ ПРЕЖНЯЯ:** съ пересылкою и доставкою: на годъ 10 р., на полгода—6 р., на три мѣсяца 3 р. 50 к., на одинъ мѣсяць 1 р. 50 к., *За границу:* на годъ 17 р., на полгода—9 р., на 3 мѣсяца—5 р. (Подписка принимается не иначе, какъ считая съ перваго числа любого мѣсяца). Для сельскихъ учителей и благотворительныхъ учрежденій **ПЛАТА Пониженная:** на годъ—7 р., на полгода 4 руб.

Для годовыхъ подписчиковъ, какъ городскихъ, такъ иногородныхъ, обращающихся непосредственно въ контору редакціи, **ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА** на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится—3 р., къ 1-му марта—2 р., къ 1-му мая—3 р. и къ 1-му сентября—2 р.

Подписка принимается въ Тифлисъ—въ конт. газеты. Барятинская, № 8.

Лица, подписавшіяся на годовое изданіе „Новаго Обозрѣнія“ 1896 г. въ настоящее время, будутъ бесплатно получать газету въ текущемъ году со дня подписки.

---



# ОТКРЫТА ПОДПИСКА

на 1896 г.

НА ГАЗЕТУ

## „ТИФЛИССКІЙ ЛИСТОКЪ“

Съ перваго января „Тифлисскій Листокъ“ будетъ выходить безъ увеличенія подписной цѣны для городскихъ подписчиковъ, въ ФОРМАТѢ БОЛЬШОГО ГАЗЕТНАГО ЛИСТА и будетъ имѣть на каждой страницѣ шесть колоннъ

(ФОРМАТЪ ГАЗЕТЫ „КАВКАЗЪ“).

Увеличеніе формата даетъ редакціи возможность знакомить читателей ежедневно съ текущими новостями дня и разнообразить содержаніе газеты.

### Подписная цѣна:

ГОРОДСКАЯ			ИНОГОРОДНАЯ.	
На годъ . . . . .	5 р.	}}	На годъ . . . . .	7 р.
„ 6 мѣсяцевъ.	3 р.	}}	„ 6 мѣсяцевъ.	3 р. 50 к.
„ 3 „ .	1 р. 75 к.	}}	„ 3 „ .	2 р. — „
„ 1 „ .	— 75 к.	}}	„ 1 „ .	1 р. — „

Подписка принимается ИСКЛЮЧИТЕЛЬНО въ конторѣ изданія:  
Тифлисъ, Головинскій проспектъ, домъ № 3, а въ г. Бану—въ табачномъ магазинѣ Энфіаджіанца.

О ПОДПИСКѢ НА

# „Т Р У Д Ы“

ИМПЕРАТОРСКАГО

## ВОЛЬНАГО ЭКОНОМИЧЕСКАГО ОБЩЕСТВА.

Журналъ «Труды» выходитъ шестью книжками въ годъ, отъ 8 до 10 печатныхъ листовъ, черезъ два мѣсяца каждая.

### П Р О Г Р А М М А:

I) Журналы и протоколы общихъ собраний, со включеніемъ отчета секретаря.

II) Сельское хозяйство. Журналы засѣданій I-го отдѣленія Общества и доклады, касающіеся предметовъ занятій этого отдѣленія.

III) Технические сельскохозяйственныя производства. Журналы засѣданій II-го отдѣленія и доклады по части техническихъ сельскохозяйственныхъ производствъ.

IV) Сельскохозяйственная статистика и политическая экономія. Журналы засѣданій III-го отдѣленія и доклады по статистикѣ и политической экономіи.

Обзоры сельскохозяйственной литературы, дѣятельности сельскохозяйственныхъ Обществъ и вообще сельскохозяйственной жизни страны, если будутъ служить предметомъ докладовъ въ средѣ Общества.

Кромѣ того, въ „Трудахъ“ помѣщаются свѣдѣнія о дѣятельности комитета грамотности и почвенной комиссіи, состоящихъ при И. В. Э. Обществѣ, и доклады, сдѣланные въ ихъ средѣ.

V) Корреспонденція Общества. Вопросы и отвѣты лицамъ, обращающимся въ Общество.

Подписная цѣна 3 руб. въ годъ съ пересылкою и доставкою; полугодовой подписки и на отдѣльныя книжки не принимается.

Подписчики «Трудовъ», желающіе получать и «Пчеловодный Листокъ», доплачиваютъ 1 руб. 50 коп. (вмѣсто 2 руб., платимыхъ отдѣльными подписчиками «Пчеловоднаго Листка»).

За объявленія взимается: за 1 стр. 8 руб., за  $\frac{1}{2}$  стр. 4 руб. и за  $\frac{1}{4}$  стр. 2 руб. Для подписчиковъ-же на «Труды» того года, въ которомъ дѣлается объявленіе, за 1 стр. 3 руб., за  $\frac{1}{2}$  стр. 1 руб. 50 коп. и за  $\frac{1}{4}$  стр. 1 руб.

Подписку слѣдуетъ адресовать: С.-Петербургъ, 4 рота Измайловскаго полка, д. №  $\frac{1}{33}$ , въ редакцію «Трудовъ».



ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1896 ГОДЪ НА

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНЫЙ, НАУЧНЫЙ И ПОЛИТИЧЕСКІЙ ЖУРНАЛЪ

# „СЪВЕРНЫЙ ВѢСТНИКЪ“.

(Годъ изданія XI).

Въ 1895 г. въ „Съв. Вѣстн.“ было между проч., напечатано: ХОЗЯИНЪ и РАБОТНИКЪ. Пов. Гр. Л. Н. Толстого.—ИЗБИРАТЕЛЬНАЯ РЕФОРМА ВЪ БЕЛЬГИИ. В. Спасовича.—СЪ УВІЙЦЕЙ. Пов. П. Боборыкина—ПЕРЕПИСКА МОПАССАНА СЪ ВАШКИРЦЕВОЙ.—ОТВЕРЖЕННЫЙ. Ром. Д. Мережковского.—„НИКОЛАЙ НИКОЛАЕВИЧЪ ГЕ“.—БІОГРАФ. очеркъ. В. Стасова.—ЖЕНСКАЯ ЖИЗНЬ. Пов. М. Крестовской.—О ЗНАЧЕНИИ ВОЙНЫ ДЛЯ СОВРЕМЕННАГО ОБЩЕСТВА. Проф. Л. Камаровскаго.—ХОЛЕРА. разск. Кота-Мурлыки.—О СИНДИКАТАХЪ.—Проф. А. Исаева.—ЗАКОННЫЯ ЖЕНЫ. Пов. О. Шапирь.—НѢТЬ БѢДНОСТИ ВЪ РОССИИ. П. Кузнецова.—НЕ ПО ПРАВДѢ. Пов. В. Дмитріевой.—СУДЪ ПРИСЯЖНЫХЪ; ОБЪЕДИНЕНІЕ СУДА И СУДЕБНЫЙ ЯЗЫКЪ. М. Стивала.—ТУРГЕНЕВЪ И ТОЛСТОЙ. Проф. Д. Овсяннико-Куликовскаго.—СТАРЫЙ И НОВЫЙ ЛАМАРКІЗМЪ. Проф. Н. Холодковскаго.—ИСПОВѢДЬ. Анни Безантъ.—ОБЫВАТЕЛЬ, РУБЛЬ И БЛАЖЕНСТВО. П. Кузнецова.—НА РОДИНѢ ХРИСТА. В. Еорженевскаго.—РАЗЛУКА. Разск. Л. Гуревичъ.—СУДЬБА ИСЛАМА. Проф. А. Трачевскаго.—РЪПИНЪ И ГЕ. А. Вольнскаго. МИССЪ МАЙ. Разск. З. Гиннiусъ.—ПО ПОВОДУ ВЫСТАВКИ ОБЪ ИСКУСТВѢ. М. Антокольскаго.—СЕЛЬСКО-ХОЗЯЙСТВЕННЫЙ СОВѢТЪ. М. Стивала.—ГЕРГАРДЪ ГАУШТМАНЪ. Проф. Л. Шепелевича.—ЗАМѢТКИ НЕРВНАГО ЧЕЛОВѢКА. Л. Полонскаго.—НАШИ ЗЕМЕЛЬНЫЯ ДѢЛА. П. Кузнецова.—ЭВОЛЮЦІОННАЯ ИДЕЯ ВЪ ЕЯ ЕСТЕСТВЕННО-ИСТОРИЧЕСКОМЪ РАЗВИТІИ. Проф. В. Шимкевича.—ПЕРЕСЕЛЕНЧЕСКОЕ ДѢЛО СЪ 80-хъ ГОДОВЪ. Проф. А. Исаева.—ТЯЖЕЛЫЕ СНЫ. Ром. Ѳ. Сологуба.—ЗЕМСКІЯ ДѢЛА. М. Петрова.—НАЯДА. Разск. А. Черзнаго.—ПОЛОЖЕНІЕ ЖЕНЩИНЪ ВЪ СОЕДИНЕННЫХЪ ШТАТАХЪ.—ПАМЯТИ ЯДРИНЦЕВА. Проф. А. Исаева.—ЗА ГРАНИЦЕЙ. Воспоминанія А. Верещагина.—ПО ПОВОДУ МОДНЫХЪ РАЗГОВОРОВЪ. П. Кузнецова.—ОСНОВНЫЯ НАЧАЛА СУДЕБНЫХЪ УСТАВОВЪ. В. Устинова. QUO VADIS. Истор. ром. Генриха Сенкевича.—АНГЛІЙСКОЕ ВЛІЯНІЕ ВЪ РОССИИ П. Воборыкина.—РАБОЧЕ НА СИБИРСКО ЖЕЛѢЗНОЙ ДОРОГѢ. Н. Арѣьева.—РАСКОЛЬ ВЪ РАДИКАЛЬНОЙ ЖУРНАЛИСТКѢ ШЕСТИДЕСЯТЫХЪ ГОДОВЪ и Д. И. ПИСАРЕВЪ. А. Вольнскаго.—РЕЛИГІОЗНО-ПОЛИТИЧЕСКІЕ ИДЕАЛЫ ПОЛЬСКАГО ОБЩЕСТВА. М. Урвина.—ПЕРЕСМОТРЪ ГОРОДОВОГО ПОЛО-

ЖЕНЯ. П. Кузнецова.—ВОПРОСЪ ОБЪ ЭЛЬЗАСЪ И ЛОТАРИНГІИ.  
 Проф. Л. Камаровскаго.—КИСТЯКОВСКІЙ КАКЪ КРИМИНАЛИСТЪ.  
 Проф. И. Фойницкаго.—ПРОЗРѢЛА. Пов. П. Боборыкина.—РОМАНИСТЪ-  
 МОРАЛИСТЪ. Проф. Л. Шепелевича.—ЗАПИСКИ А. О. СМІРНОВОЙ.  
 (Смерть Пушкина.—Лермонтовъ.—Листъ.—Глинка.—Живописецъ Ивановъ  
 и пр.).—СТИХИ: Н. Минскаго, К. Фофанова, Д. Мержковскаго, О. Чюми-  
 ной и др.

## ЕЖЕМѢСЯЧНЫЕ ОТДѢЛЫ ВЪ ЖУРНАЛѢ:

1) ОБЛАСТНОЙ И ЗЕМСКОЙ ОТДѢЛЪ (статьи и замѣтки разныхъ  
 лицъ по вопросамъ областной, земской и городской жизни). 2) ПРОВИН-  
 ЦІАЛЬНАЯ ПЕЧАТЬ. П. Прозорова. 3) ВНУТРЕННЕЕ ОБОЗРѢНІЕ. 4  
 КОРРЕСПОНДЕНЦІИ ИЗЪ ЗАГРАНИЦЫ. 5) ТЕАТРЪ 6) ИЗЪ ЖИЗНИ  
 И ЛИТЕРАТУРЫ 7) КРИТИКА И БИБЛОГРАФІЯ 8) НА ЗАПАДѢ. \*\*\*  
 9) ЛИТЕРАТУРНЫЯ ЗАМѢТКИ. А. Волинскаго.

ЦѢНА: Годъ: Полгода Четверть ЦѢНА: Годъ: полгода: Четверть.

Безъ достав. 12 р.—к. 6 р.—к. 3 р.—к.	Съ пересыл. 13 р. 50 к. 7 р.—к. 3 р. 50 к.
Съ достав. 12 „ 50 „ 6 „ 50 „ 3 „ 50 „	За гран. 15 „ — „ 8 „ — „ 4 „ — „

Въ главн. конторѣ допускается разсрочка безъ повышенія годовой цѣны.  
 Для учащихъ и учащихся льготныя условія.

Новые годовые подписчики „Сѣвернаго Вѣстника“ на  
 1896 г. получаютъ вмѣстѣ съ № 1 журнала за 1896 г.  
 первый томъ ром. Генрика Сенкевича „Quo vadis“ (все  
 напечатанное въ журналѣ въ №№ 5—12 за 1895 г.) въ  
 видѣ бесплатнаго приложенія.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ въ Главн. Конторѣ. Спб. Троицкая. 9;  
 въ Московскомъ Отдѣленіи при книжн. маг. К. Тихомирова, Кузнецкій  
 Мостъ; въ Спб. въ кн. маг. Фену, въ Москвѣ, въ конт. Н. Печковской,  
 во всѣхъ кн. маг. Корбасникова, „Новаго Времени“ и др.

РЕДАКТОРЪ-ИЗДАТЕЛЬНИЦА Л. Я. Гуревичъ.



ОТКРЫТА ПОДПИСКА  
на 1896 годъ



НА НОВУЮ ПОЛИТИЧЕСК. ОБЩЕСТВЕН. И ЛИТЕРАТУР. ГАЗЕТУ

„КАЗБЕКЪ“.

Газета будетъ выходить во Владикавказѣ три раза въ недѣлю по воскресеньямъ, вторникамъ и четвергамъ

ПО СЛѢДУЮЩЕЙ ПРОГРАММѢ:

1) Дѣйствія и распоряженія Правительства.

2) Статьи по экономическимъ, этнографическимъ, бытовымъ и другимъ вопросамъ, касающимся Кавказа вообще и Терской области по преимуществу.

3) Хроника: мѣстные происшествія, извѣстія внутреннія и внѣшнія, съ указаніемъ ихъ источниковъ.

4) Корреспонденціи изъ разныхъ мѣстъ и телеграммы.

5) Судебная хроника безъ осужденія рѣшеній.

6) Фельетонъ, новости изъ области наукъ и искусствъ-повѣсти, рассказы, очерки оригинальные и переводные, статьи популярно-научнаго содержания.

7) Смѣсь, справочныя свѣдѣнія и объявленія.

подписная цѣна: съ доставкою во Владикавказѣ на годъ 6 руб., на 6 м. 3 р. 50 к., на 3 м. 2 р. и на 1 м. 75 к., съ пересылкою по почтѣ на годъ 7 р., на 6 м. 4 р., на 3 м. 2 р. 50 к., на 1 м. 1 р.; отдѣльный номеръ 5 коп.

*Подписка и объявленія принимаются у издателя*

**СЕРГЕЯ ЮСИФОВИЧА КАЗАРОВА.**

*Издатель С. Казаровъ.*

*Редакторъ А. Колубейко.*

Годъ XIV

1896

Годъ XIV

ВЪ ГОРОДЪ КАРСЪ

КАРСКОЙ ОБЛАСТИ

ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА ГАЗЕТУ

„КАРСЪ“

НА ТЕКУЩІЙ 1896 ГОДЪ

Газета «Карсъ» въ 1896 году будетъ издаваться на тѣхъ-же основаніяхъ, какъ и въ текущемъ 1895 году, по той-же программѣ и подъ тою-же редакціею.

*УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:*

съ доставкою и пересылкою ТРИ рубля въ годъ.

Подписка принимается въ редакція газеты «Карсъ», въ гор. Карсъ, куда адресуютъ свои требованія и иногородные.

Газета „Карсъ“ имѣетъ ближайшею цѣлью всестороннее изученіе Карсской Области и распространеніе въ обществѣ вѣрныхъ и точныхъ свѣдѣній, какъ о нынѣшнемъ ея состояніи, такъ и о мѣропріятіяхъ, направленныхъ къ ея благоустройству.

ПОДЪ НОВОЙ РЕДАКЦІЕЮ

ВЫШЛА ТРЕТЬЯ, ДЕКАБРЬСКАЯ, КНИЖКА НАУЧНО-ЛИТЕРАТУР-  
НАГО И ПОЛИТИЧЕСКАГО ЖУРНАЛА

## „НОВОЕ СЛОВО“.

СОДЕРЖАНИЕ: 1. Волчья сыть, Романъ въ трехъ частяхъ. Часть первая. (Главы I—VI). В. Немировича-Данченко. 2. Очерки современныхъ направлений. (Экономическій материализмъ на русской почвѣ). Н. Вельтовъ. Къ вопросу о развитіи моистическаго взгляда на исторію. (Окончаніе). В. В. З. Восточный Магазинъ. Главы (X—XV). (Окончаніе). Повѣсть П. Засодимскаго. 4. Веси Кострель. (Окончаніе). Повѣсть мистрисъ Гумфри Уордъ. Пер. съ англійск. 5. Подъ праздникъ. А. Сѣрафимовича. 6. Сердце заговорило. Новелла Л. Весткирха. Переводъ съ немѣцкаго. О. Н. Н. 7. Моя родная тетюшка Сара. (Разсказъ изъ еврейскаго быта). Н. Пружанскаго. 8. Паденіе Вирона. (По новымъ даннымъ изъ разныхъ архивовъ). А. Врикнера. 9. По поводу отчетовъ государственныхъ учреждений земельнаго кредита за 1894 годъ. Изъ—ича. 10. Буковскій интеллигентный поселекъ. (Очеркъ изъ исторіи культурныхъ колоній). Н. Энгельгардта. 11. Гергардъ Гаутманъ. Е. Дегена. 12. Научная хроника. Агрономія. Источники азота. 13. Новые книги. 14. Въ области европейской мысли Л. О. 15. Обзоръ заграничной жизни. I. Интересы дня. II. Между журналами и газетами. 16. Обзоріе внутренней жизни. ВЫСОЧАЙШІЙ МАНИФЕСТЪ. Земство и города. Я. Абрамова. Школьный вопросъ на нѣкоторыхъ земскихъ собраніяхъ Нижегородской губерніи. А. Штевенъ. Изъ юридической области. Д. Л. Письма изъ провинціи. Къ вопросу о церковно-приходскихъ школахъ. Н. Х. Письмо изъ Кіева.—Изъ Тамбова В. Чернова.—Изъ Саратова. Я. Вур—ка. Выборгъ. Вл. Верештама.—По поводу внутреннихъ вопросовъ. С. К. Обо всемъ. Варанчука. 17. Обзоръ общедоступныхъ книгъ Комиссіи Сиб. комитета грамотности. 18. Объявленія

Въ журналѣ принимаютъ участіе: Я. В. Абрамовъ, В. В., П. В. Засодимскій, Н. Н. Златовражскій, Н. А. Каблуковъ, С. П. Кривенко, Д. Н. Маминъ-Сибирякъ, Г. А. Мачетъ, Николай—овъ, Л. Е. Оболенскій, Н. А. Рубакинъ, А. М. Скабичевскій, Б. М. Станюковичъ, В. А. Тимирязевъ, А. П. Чеховъ, Щепотьевъ (Е. С. и С. А.) и др.

Годовая подписка на ежемѣсячный научно-литературный и политическій журналъ (отъ 25—30 печ. лист.) „НОВОЕ СЛОВО“ принимается съ 1-го октября 1895 по 1-ое октября 1896 г. Подписная цѣна съ пересылкой на годъ 10 р., безъ пересылки на годъ 9 р., на полгода 5 р., на три мѣсяца 2 р. 50 к. за границу на годъ 12 р.

Адресъ конторы редакціи: Спб. Спасская ул., (уг. Надеждинской), д. 15. кв. 1.

Отдѣленіе конторы: Спб. Невскій пр., д. 54, „Библіотека Черкесова“. Городская подписка принимается, кромѣ конторы редакціи и ея отдѣленія, въ книжныхъ магазинахъ „Новаго Времени, Н. П. Карбасникова, К. Риккера, Диззерлинга (Мелье) и въ библіотекѣ Л. Т. Рубакиной (Вол. Подъячская, д. 24).

Лица, выписывающія изданія Н. О. Поповой черезъ контору редакціи или ея отдѣленіе, за пересылку не платятъ.

За редактора А. Н. Поповъ.

Издательница О. Н. Попова.



ქართულთა ამხანაგობის გამოცემა № 36.

# ღვინის ღაყენება

შედგენილია

პროფესორის ვ. ბეჭტრიაშვილის-მაერ.



ფასი 2 მან. და 50 კპპ.

ისუიდება საკუთარს კიოსკში ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.





**131.** ნასყიდობის წიგნი,  $31 \times 22,5$  სანტიმეტრი, დაწერილია ქალაქალზე ნუსხა-მხედრულის ხელით, ნიშნებათ იხმარება სამ-სამი წერტილი.

**1701, მაისის 15. ქ.** სახელითა და სახიარისა არსება მტთისა, მამისა, ძისა და სულისა წმიდისათა, თავდებობითა, მიწობითა და შუამდგომლობითა, ესე ფიცი, პირი და ნასყიდობის წიგნი მოგეცით ჩუენ კორხმაზასშვილმა კახაბერმა და ძმამან ჩემან პაპუნამან, და ავთანდილამა და ჩამამავალმა სახლისა ჩემისამა შენ ჩემს ბიძასშვილს ასიტასა და ყმასა შენსა მედიასშვილს შიოს და ბერუას და ქუბას, და შვილს ბასილას, და ქიტოას, და ბერუას და თამაზას, ჩამამავალთა სახლის თქვენისთა ასრე და ამა პირსა ზედან, რომე დამეჭირა და ჩემის დაჭირებისათვის მოგყიდეთ ჩენი სამკუთხედო მამული აკურის ხევზედ, აკურას ჩემის ყმის ხიზანას კერძი წისკვილი, და გვერდის მიწის ძამნშვილს ვენახის გარდის, სხუა ხელ შეუვალად თქვენთვის მამიცი თავისის გასვლით და შესვლითა, მთითა და ბარით, ველითა და ვენახითა, საძებრითა და უძებრითა, ავიღევით ფასი მთელი და უკლები, ზედ აღარა დარჩა-რა ერთის იოტის ფასი. ვინცა და რამაც კაცმა შლით ხელი ყოს, მასმც რისხავს თავად ღმერთი და ყოელი მისი წმინდანი ზეცის და ქუეყანისანი, ნუმც ისხნება სული მისი ჯოჯოხეთიდანა, ნურცა ელუსარემს წასლითა და ნურცა ჩოხის ჩაცმითა. არის ამისი მოწამე თავად ღმერთი და ყოელი მისნი წმინდანი, და კაცთაგან ჩუენი განაყოფი ბაინდურა, ყორღანა და ნასყიდა, პეტრესშვილი სეხნია და ხატოასშვილი ნაზარა, ტერტერა, აღნიშვილი ნასყიდა და გიორგი, იქივე აკურას ამბალაშვილი იასე, კახიშვილი კახუა, და მე ბეჟანისშვილს შერმაზანს დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. დაიწერა მაისის <sup>1)</sup> აე, ქქს ცჰთ. ამ ნასყიდობის უნდა მიეცეს ასიტას მიწის ლალის ნახევარი და ვენახის კულუხი მთლივა, ამისთვინ რომ ასიტამ ამის ფასად თავი-

<sup>1)</sup> დედანში სწერია: დიწერა მის.



სი სასახლის ადგილი ენ(ა)გეთს კახაბერს მისცა, და თუ ამისი მოდავე ვინმე გაგინდეს, პირის და პასუხის გამცემი მე კახ(ა)-ბერი და ჩემი ძმები ვიყვნეთ +++.

**132.** ნასყიდობის წიგნი, 43X15,5 სანტიმეტრი, დაწერილია ქალღმერთ რვეალი მხედრულის ხელით. ნიშნებით იხმარება სამსამი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

**1703, ქრისტეშობისთვის 1.** ქ. სახელითა სახ[ი]ერისა არსება დაუსაბამოსა, დაუსრულებელისა ღთისა, მამისა, ძისა და სულისა წმინდისათა, თავდებობითა, მინდობითა და შეამდგომლობითა, ესე ფიცი, პირი და ნასყიდობის წიგნი, მოგეცით ჩვენ უსუბეგის შვილმან პატამ და ძმამა ჩემა ავთანდილ თქვენ გოშტაშაბიშვილს პაპუნას, შვილთა თქვენსა ამილღამბარს, თამაზს, ყაფარბეგს, ბეჟანს, გოშტაშაბს, როსტომს, ქაიხოსროს და ბარათას, ასე და ამა პირსა ზედან, რომე დაგვეჭირა ჩვენის ღიღის დაქირებისათვის, მოგყიდეთ ჩვენი მამა პაპათ ნასყიდი სამკვიდრო და უსყიდი ვენახი, ავი[ლეთ] ფასი მთელი და უკლები, ზედ აღარა დარჩა-რა ერთი იოტის ფასი. არის იმისი სამძღვარი ერთი ნაპირი თქვენი სამძღვარი ზვარი, იქით ჩეკურაშვილის ვენახამდი, აქეთ კახიშვილის ვენახამდი თავის გზითა და საწნახლითა, შესავალ გასავლითა, ყოველითურთ უნაკლულოდ მოგვიყიდა. ღმერთმან გამარჯვებაში მოგაკმაროს. ვინცა და რამაც კაცმა ამ ჩვენგან მოსყიდულსა ვენახს შემოგეცილოს, მასამც ედების კეთირი გეზისა, შიშთული იუდისა, ძრწოლა კენისა, მეტეხილობა დეოსკორესა, ცოცხლივ დანთქმა დათან და აბირონისა<sup>1)</sup>, ნურათამც ნუ იხსნების სული მისი ჯოჯოხეთისაგან, ნურცა ჩოხათა ჩაცმითა და ნურცა ელუსარემსა წასულითა, ნურცა ათორმეტთა უდაბნოთა შეწირვითა. ხოლო ამისი გამთავებელი აკურთხოს ღ'თნ, ამინ. არის ამის მოწამე ძვირ უხსენებელი ღ'თი, კაცთაგან რევიშვილი გოდერძი, საჩინოს-

<sup>1)</sup> დედანში ამ სამის სიტყვის მაგიერ სწერია: თანა აბირონისა.

შვილი ფარსადან, გერმანოზიშვილი იასე, ქავთარიშვილი გუგუნა, ყარაბუდახიშვილი შიოშ, ჩემი ყმა გაკკლი ხუცესი, თაკკელი მამაგულაშვილი ებალა, თქვე[ნ]ი აზნაურშვილი ბერძნი-  
შვი[ლი] ოთარი. მე ყორღანაშვილს მდივანს იარლის დამიწე-  
რი[ა] და მოწამეც ვარ. დაიწერა ქრიშტიშობისთვის დამდგეს,  
ქს ტჷ + +.

**133.** გუჯარი, 34×16 სანტიმეტრი, დაწერილია ქალღმერთზე რვა-  
ლი მხედრულის ხელით, ნიშნებით იხმარება ორ-ორი წერტილი  
თითოეულის სიტყვის შემდეგ.

**1705.** ქ. ნებითა და შეწევნითა მღვთისათა, მეოხებითა  
ყოვლად წმინდისა მღთისმშობელისათა და მარადის ქალწუ-  
ლის მარიამისათა, ძლიერებითა და ცხოველს მყოფელისა პატი-  
ოსნისა ჯვარისათა, წმინდათა ანგელოზთა და მთავარ-ანგელო-  
ზთა მიქელ და გაბრიელისათა და ყოველთა წმინდათა მღთი-  
სათა, რომელნიცა სათნო ეყოს უფალსა ჩვენსა იესოს ქრის-  
ტესა და სათნო ყოფად არიან, ამათით თავდებობითა შემოგწი-  
რეთ ჩვენ აბაშიშვილმა სუფრაჯმა დავით და ძმამან ჩვენმა სუ-  
ფრაჯმა აბაშ, შვილმან ჩვენმან ნოდარ და მომავალთა სახლი-  
სა ჩვენისათა თქვენ ყოვლად პატიოსანს ხატსა მაცხოვრისასა  
ქვემო ვარსიმაშვილის ვენაკი, ესიტაშვილს რომ უჭირავს, იმას  
გარდა ნონიაშვილების ვენაკი საკულუხოთ, რომე ძველთაგნვე  
თქვენი ყოფილიყო, ასრე რომე აიწყოდეს, ოთხი პატრონსა  
და მეხუთე საყდარს მოეკმარებოდეს. ვენაკი კარგა შეინახოს  
რთვლამდი და რთველში იქ მდგომს კაცს უჩვენოს და, თუ  
ავათ შენახოს, სამართლიანის საქმით გარდაკდევინებდენ. არა  
მოგეშალოს ჩვენგან და არცა შემდგომთა მეპატრონეთა ჩვენ-  
თაგან. შეიწირე შენ საშინელო ხატო მაცხოვრისაო, მცირე  
ესე შესაწირავი და ნაცვლად გვაგე დღესა მას დიდსა განკი-  
თხვისასა. ვინცა და რამანცა კაცმა ეს ჩვენგან შეწირული მო-  
გიშალოს, რისხავსმცა მამა, ძე და სული წმინდა, ხოლო და-  
მამტკიცებელი ამისი ღმერთმან აკუთხნეს. არის ამისი მოწამე



სვეტის ცხოველის წინამძღვარი გაბაშვილი ბატონი იოსებ, ჩვენი აზნაურშვილი ბლორძელი, სალოხუცესი ზურაბ, კიდევ ჩვენი აზნაურშვილი ლამაზაშვილი პაპუა და ავთანდილ, მსახური ნეგულაშვილი ხოსია, ნინუა სვიმანაშვილი დალაქი, კიდევ ჩვენი მსახური დუჭნუკელი რევაზაშვილი გიორგი, იმისი შვილი რევაზა, ანდრეული ჩვენი მსახური დონდარაშვილი პაპუა, იქივე ასატურაშვილი ჩვენი მსახური თამაზა, ალიაშვილი ხანვერდი. მე მცხეთის კანდელაკიშვილს ათანასეს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი, ქქსა ტჟგ.

მონა მღთისა  
დავით

ბექედზე სპარსული წარწერაც არის.

**134.** განჩინების წიგნი, 39 X 20,3 სანტიმეტრი, დაწერილია ქალაქ-ღზე რგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებათ თითოეულის სიტყვის შემდეგ ნახშირია ორ-ორი წერტილი.

**1706, მკათათვის 28. ქ.** ამას წინაღ პირველითვე ზეცით საქართველოს მეფედ განკუთნილისა და აწ სასუფეველსა ცათა შინა სულ ბრწყინვლად მანათობელისა, პაპის ჩვენის, მეფის პატრონის შაჰნავაზის ეამში, მარნეულელმა გოსტამაზიშვილს პაპუნას დღღღგას ბოლოს მიწებს წამოსცილებოდენ. მეფეს ვახტანგ მღივანბეგი და გიორგი მღივანი გაეგზავნა, პაპუნას წმინდის სამების ხატი ჩამოესვენებინა, თავისი ნათესავნი თან მოჰყოლოდენ და ეფიცნა, მაგრამ ზოგიერთი მიწები მღივანბეგს პაპუნასათვის გაეშვებინა. ახლა კიდემ მარნეულნი იმ დაფიცებულს მიწებს წამოსცილებოდენ. ჩვენ საქართველოს ჯანიშინმან, ბატონიშვილმან პატრონმან ვახტანგ, ამის გასასინჯავად მღივანი გივი უჩინეთ, გაეგზავნეთ, და გაესინჯა. პაპუნას არას ემართლებოდენო, მაგრამე ულაპარაკობისათვის პაპუნასათვის ეკლესიიდან გარდმოსავალს გზასთან ერთი დარგი მიწები კიდემ გაეშვებინებინა, რე მარნეულელთათვის დაენებებინა, სამნები ჩაესხა და გაესამძღვრა; იმ სამნებს და გარიგებას იქით პაპუნას კელი ნუ აქეს, და აქეთ მარნეულელთა ტყუილად მიწებს რომ წამოსცილებოდენ, პაპუნას რუს წყალიც მარნეულელთ

მოენდომათ, მიგრამე მოკითხული ვქენით. რუსთან და წყალთან მარნეულელთ კელი არა აქესთ და ნურც უხსენებენ, რაც საძოვრად ის მიწები არ დაენებებინათ, წყალთან საქმე არა აქესთ-რა. ქქსა ტყუდ, მკათათვის კჭ.

მონა და ყმა  
გიორგისა დი-  
ვანგვი ერას-  
ტი.

რტოდ ვარ დავითის  
მგელ ლომად ვით ის  
ვახტანგ ვამტიცებ  
მეფის ძეობით.



**135.** სითარხნის წიგნი, 26,5 X 29 სანტიმეტრი, დაწერილია სქელ ქალაღზე რგვალი მხედრულის ხელით, ნიშნებათ იხმარება ყოველი სიტყვის შემდეგ ორ-ორი წერტილი.

**1712.** ნებიტა და შეწევნიტა მლთისათა ჩვენ საქართველოს მქონებელმან იესიან, დავითიან, სოლომონიანმან, ბატონი-შვილმან, პატრონმან ვახტანგ და თანა მეცხედრემან ჩვენმან, ჩერქეზის ბატონის ასულმან, დედოფალთ-დედოფალმან, პატრონმან რუსუდან, პირშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან ბატონიშვილმან ბატონმან ბაქარ, შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ გაბაშვილს წინამძღვარს იოსებს, მაყამსა ოდეს კნაკეთს აბულაშვილის საკომლოს სითარხნეს და გვიჯენით, ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მოკსენება თქვენნი და ასე გაგითარხნეთ, რომე არაფერი საჩვენო სათხოვარი და გამოსაღები არა გეთხოვბოდეს რა. აწე გიბძანებ კარისა ჩვენისა გამრიგენო, თქვენცა ასე დაუმტკიცეთ, რა რიგადაც ამ ჩვენსა ნაბოძებსა სიგელსა შინა ეწეროს. დაიწერა ბძანება და ნიშანი ქქსა ქართულსა უ, ქრისტეს აქეთ ჩდაბ, კელიტა თუმანიშვილის დავითისიტა. ვახტანგ (ხელჩართულათ), რუსუდან (ხელჩართულათ).

**136.** პირობის წიგნი, 40 X 19 სანტიმეტრი, დაწერილია ქალაღზე ნუსხა-მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება ორ-ორი წერტილი.

**1712.** ქ. ესე წიგნი მოგართვით ჩვენ გოსტაშაბ[ის]შვილმა თ]ამაზ, ამილლაბარ და ყაფარბეგ თქვენ [ჩვენ] რძალს მდი-

ვანბეგის ქალს ბატონს გუქას ასრე რომენ, მ[ამა] ჩვენს დას-  
 კირებოდა და იბაშერისათვის დაღვინას ერთი საკომლო მა-  
 მული მიეყიდნა და მოურაობაც იმისთვის მიეცა. ახლა ჩვენის  
 ნებით ჩვენ მოგახსენეთ და თქვენის ზითვით დაიხსენით თხუ-  
 თმეტ თუმნათ, რომ თუთხმეტი თუმანი თეთრი მიეცით ამ წე-  
 სით, რომენ როგორათაც იბაშერის წიგნში ეწეროს, იმ რი-  
 გათ თქვენთვის მოგვიცემია ის ერთი საკომლო მამულიცა და  
 მოურაობაცა და რახან თქვენი თუთხმეტი თუმანი მოგცეთ  
 სასახლოთ, ის მამული ისრევ სასახლოთ და საერთოთ დაე-  
 დვათ, ვინ იცის, თეთრი ვერ მოგცეთ, ის საკომლოცა და მო-  
 ურაობაც, რაგვარადაც იბაშერს ქონაღეს, იმ რიგათ თქვენ-  
 თვის მოგვირთმეცია. არც შენ თეთრის სარგებელი გვთხოო და  
 არც ჩვენ მამულის ქამასა და მოურაობას გეცილოთ. არის  
 ამის მოწამე იარალისშვილი იოსებ [იოსებ], ციციშვილი ბა-  
 დურ [ბადურ], ქავთარისშვილი სულხან და სულ ჩვენი მსახურ  
 აზნეურშვილნი ამის დამხდურნი და მე ონოფრეს დამიწერია  
 და მოწამეცა ვარ, დაიწერა ქვს შ. [გოსტაშაბისშვილი  
 თამაზ \*].

განის არშიაზე სხვა ხელით:

ქ. ამისი გამრიგებელი და მოწამე ჩვენ ბატონი მთაიარ  
 ეფისკოპოზი ნიკოლოზ

მონა ლთისა  
 მთერ ეფისკოპოზ  
 ნიკოლოზ

ქ. მე მდივანი გივი ამისი მოწამე ეარ [ ].

**137.** წყალობის წიგნი, 40×13 სანტიმეტრი, დაწერილია ქაღალდზე  
 ნუსხა-მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება თითო წერტილი.

**1713, ქრასტაშობასთვის 1.** ქ. სახელითა სახიერისა, არ-  
 სება დაუსაბამოსა, დაუსრულებელისა, ძალ განუზომელისა ლთი-  
 სა, მამისა, ძისა და წმინდისა სულისა, თავდებობითა, მინდობი-  
 თა და შეუამდგომლობითა ყოვლად უბიწოსა და ბიწ-შეუზნებე-  
 ლისა დედოფლისა ჩვენისა ლთის-მშობელის, მარადის ქალწუ-

\*) დედანში რგვალი ბეჭედი უზის და არა ოთხ-კუთხი.

ლის მარიამისათა, პატროსნისა და ცხოველს მყოფელის ანგელოზთა თავდებობითა, წმინდათა და ზეცისა ძალთა ანგელოზთა და მთავარ ანგელოზთა მიქაელ და გაბრიელისათა, და წმინდასა წინასწარმეტყველის და წინა-მორბედის ნათლის მცემლის იოვანესითა, და იოვანე ქალწულ მახარებელისათა, სხვათა ყოველთა წმინდანთა ღთისათა, თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა ესე მამულის ფიცი, პირი და სიგელი, ჟამთა და ხანთა გასათავებ[ლი] და შეუცვალებელი წიგნი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ გოსტაშაბისშვილის პაპუნასშვილმა თამაზ, ძმისწულმა ჩემან ამილამბარ, ძმამან ჩემან ყაფარბეგ, სხვათა შვილთა და ძმისწულთა ჩვენთა ბეჟან და გოსტაშაბ, როსტომ, ქაიხოსრომ, ვახუშტიმ, გიორგიმ, თქვენ ჩვენის მამის პაპუნას ნახევარი<sup>1)</sup> ძმას ხოსიტასშვილს ასლანს, შვილსა შენსა იასეს, ქაიხოსროს, და შვილთა და შვილიშვილთა შენტა, მაშინ ოდეს ჩვენ რომე გავიყარენით, ვითაც ჩვენს ოჯახზედ გარჯილნი და ვალდებულნი იყვენით ო გული გვეალებოდათ, ამიტომ ჩვენგან სარჩო ითხოეთ, ჩვენც ვითაც გემართლებოდით, ამიტომ მოგეცით ჩვენის ბარათში გამოყოლილის მამულებიდან აგვდანეთს სოლომას ნაქონი სახლკარი, შენ რომ სასახლე გიდგს ისი უმამულოდ, იქივ ერთი კომლი გელიტაშვილი გიორგი თავის მამულით და წინა ნაფუზრის ნახევრით, იქივ მახარაშვილი ივანა, იქივ პასუკაშვილი ბერია, ესენი თავის შვილით, მთით, ბრით, ყოვლის მისის სამართლიანის სამძღვრით თქვენთვინ და შვილთა თქვენთათვინ გვიბოძებია უცილებლად და მოუდევრად, ასე რომ ამ მამულით ვისთანც გინდოდეს, რომ მიხვიდე, კელმწიფესთან თუ რასაც კაცთან საყმოთ მახვიდე, ეს მამული თან მოგყვეს, ჩვენგან არ დაგეშლებოდეს, და არცა გიკითხოთ. ამისად გასათავებლად, თავდებად მოგვიცემია თავად ღთი და ყოველნი მისნი წმინდანი ზეცისა და ქვეყანისანი. აწე ვინცა და რამანც კაცმან ან მის მონათესავემან ამისად შლად კელ ჰყოს, მასმცა რისხავს მამა, ძე და სული წმინდა, და შემცაედების კეთრი გეზისა, შიშვთილი იუდასი, დანთქმა დათან და

<sup>1)</sup> ამ სიტყვის წინეთ რაღაც გამოტოვებულია ნამდვილში.

აბირონისა, ნურათამცა სინანულით ნუ იხსნების სული მისი ჯოჯოხეთისაგან. დაიწერა სიგელი ესე კელითა კელმწიფის კარის მდივან მწიგნობრის თუმანიშვილის გივისითა, ქქს, უა ქრისტიანობის ა.

გოსტაშაბიშვილი ერასტი \*)

თამაზ

ყაფარ ბეგ

პირველ გვერდის აშიაზე მხედრულ ნუსხურით:

ქ. მე მდივანბეგი ერასტი ამის გამრიგე

მონა და ყმა გი-  
 ორგისა დივან-  
 ბეგი ერასტი

**138.** სითარხნის წიგნი, 44,5 X 24 სანტიმეტრი, დაწერილია ქალაქ-  
 ლზე რგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება ორ-ორი  
 წერტილი თითოეულის სიტყვის შემდეგ.

**1715, თაბათვას 10.** ქ. ნებითა და შეწეენითა მლთისი-  
 თა ჩვენ მლთივ აღმატებულმან და მლთივ დამყარებულმან,  
 მლთივ ზეცით გვირგვინოსანმან, იესიან, დავითიან, სოლომო-  
 ნიან, პანკრატოანმან, მეფეთ მეფემან და თვით კელმწიფემან,  
 პატრონმან იესემ, ესე ამიერთ უკუნისამდე ქამთა და ხანთა  
 გასათავებელი სამკვიდროდ და საბოლოოდ გამოასადეგი წყა-  
 ლობისა და სითარხნის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გი-  
 ბოძეთ თქვენ ჩვენთა ერდგულთა და წესისაებრ ნამსახურს ყმა-  
 თა გოსტაშაბიშვილს ამილლამბარს და ძმასა შენსა მეგჯინიბეთ  
 უხუცეს ბეჟანსა, გოსტაშაბს და შვილსა შენსა დავითსა და ვა-  
 ხუშტისა, და სახლისა თქვენისა მომავალთა ყოველთავე. მა ქა-  
 მსა ოდეს მოგვიდევით კარსა დარბაზისა ჩვენისასა და თქვე-  
 ნის მამულის სითარხნეს დაგვეაჯენით, ვისმინეთ აჯა და მოკ-  
 სენება თქვენი და შეგიწყალეთ ნამსახურისა თქვენისა წილ და  
 ასე გითარხნეთ და გითავისუფლეთ, რომე მთასა და ბარს თქვენს  
 მამულს არაფერი საჩვენო სათხოვარი და გამოსაღები არა ეთ-  
 ხობოდეს რა: არა კოდის პური, არა საკომლო ბზე და ქათა-  
 მი, არა საბალახე, შიშლიგი და პირის-თავი, არა სამეგჯინიბო,

\*) დედანში რგვალი ბეჟედი უზის და არა ოთხ-კუთხი.



არა ნახირის თავი, ერთის სათათროს საურისა ზე ლაშქარ ნადგრო-  
 ბისგან კიდე. გქონდეს და გიბედნიეროს ღონ ჩვენს ერდგულად  
 სამსახურსა შინა და არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და  
 არცა სხვათა შემდგომთა მეფეთა და მეპატრონეთაგან. აწე გი-  
 ბრძანებთ კარისა ჩვენისა ვაჟილ-ვაზირნო და სხვანო წარვლენ-  
 ნილნო მოსაქმენო, ბრძანება ესე ჩვენი თქვენც ესრეთ დაუ-  
 მტკიცეთ და თანადგომისაგან კიდე ნურავინ შეეცილებით და  
 მოუშლით. დაიწერა ბძანება და ფარმანი ქქს უგ, მთიბათვის  
 ა, კელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობარი შვილის თუმანი-  
 შვილის დავითისითა. **აღიფუღასან** (ხელჩართულათ).

(მეორე გვერდზე აზის ბეჭედი იესესი. მხედრული წარწერა არ გა-  
 ნიორჩევა).

**139.** წყალობის წიგნი,  $43 \times 16,5$  სანტიმეტრი, დაწერილია ქალა-  
 ლზე ნუსხა-მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახშირია ყოველი სი-  
 ტყვის შემდეგ თითო წერტილი.

**1724 ენკენასთვის 22.** ქ. ნებითა და შეწვევითა მღთი-  
 სათა, ჩვენ მღთივ აღმატებულმან და მღთივ დამყარებულმან,  
 მღთივ ზეცით გვირგვინოსანმან, იესიან, დავითიან, სოლომო-  
 ნიან, პანკრატოანმან, საქართველოს ტახტისა და საპატრონოს  
 ფლობით მპყრობელ-მქონებელმან, მეფეთ-მეფემან და თვით  
 კელმწაფემან, პატრონმან იესემ, და თანამეცხედრემან ჩვენმან,  
 კახთა მეფისა ასულმან, დედოფალთ დედოფალმან, პატრონმან  
 ელენემ, პირშომომან და სასურველმან ძემან ჩვენმან, პატრონ-  
 მან თეიმურაზ და დავით, ესე ამიერით უკუნისამდე ჟამთა და  
 ხანთა გასათაეებელი სამკვიდროდ და საბოლოოდ გამოსადეგი  
 სახელს წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალებთ და გიბოძეთ  
 თქვენ ჩვენსა დიდად ერდგულსა და მრავალგვარად ნამსახურს  
 ყმასა გოსტაშაბიშვილს ამილღამბარს და შვილთა და მომავალ-  
 თა სახლისა თქვენისათა, მას ჟამსა ოდეს მოგვიდევით კარსა  
 დარბაზისა ჩვენისასა და წყალობას გვიჯენით, ვისმინეთ მო-  
 კსენება თქვენი და გიბოძეთ ჩვენის სახასოს შულჯვრას მო-  
 ურავობა, როგორადაც იქიურის მოურავის სარგო და წესი



იყოს, იმგვარად ყოვლის კაცის უცილებლად თქვენთვის და შეილთა თქვენთათვის გვიბოძებია. გქონდეს ჩვენსა ერდგულად სამსახურსა შინა და არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არცა სხვათა მებატრონეთაგან. აწე გიბძანებთ, კარისა ჩვენისა ვაჟილ-ვაზირნო და გამრიგენო, ბძანება ესე ჩვენი თქვენცა ესრეთ დაუმტნიცეთ. დაიწერა ბძანება და ფარმანი ქვს უაბ, ენკენისთვის კბ, კელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიფნობრის თუმანიშვილის დავითისათა.



**140.** ნასყიდობის წიგნი, 29,5 X 9,5 სანტიმეტრი, დაწერილია ქალღმერთ ზუსხა-მხედრულის ხელით. ნიშნებით ზოგჯერ იხმარება თითო წერტილი და ზოგჯერ ორ-ორი. ზოგიერთი სიტყვები წიგნისა გარყვნილათ არის დაწერილი.

**1729, მარტას 1.** ქ. ნებითა და შეწევნითა ღვთისათა ესე ნასყიდობისა წიგნი დაგიწერე და მოგეცე მე თქვე[ე]ნმა რძალმან თამარმან, შეილმა ჩემან ზაალ, შენ, ჩემსა მაზლსა, ბეჟანის-შვილსა თამაზსა, დაგვეჭირა ლ მოგყიდეთ ჩვენის ყმის<sup>1)</sup> მასახუდასა-შვილის დათუნასა და ნინუასა სახლი, ვორი მარანი, ბოსალი, ქვევრი, სათონე ორივე ალაგი და რაც იმათი წილი იყოს, თვის სამძღვრებითა, ავიღეთ ფასი სრული, [რო]გ[ორ]ც ჩვენი გული შეგაჯერდებოდათ. ჩვენი შენზე აღარა დარჩომილა-რა. ვინც ესე მოშალოს, ღმერთმან, ისა მოშალოსა თვისის სახისაგან, არის ამის მოწამე თავათ ღმერთი და ყოველი მის წმინდანი. ფარმუზის შვილი როსატომა, სამუტასაშვილი გიორ[გი], მისი შვილი ძულია და გიგლა, გურასაბასაშვილი ძულია, რამაზსა შვილი იასა, ოქროპირ, ზაქარა, ვარდუა, ზურაბა ჯეახსაშვილი, ზურაბა ღურმისხანისაშვილი და ლ[ა]მაზა ყორღნასშვილი. მე

\*) ეს ბეჭედი დედანში რგვალია და არა ოთხ-კუთხი.

1) დედანში სწერია: დაგაჭრა მოყადთ ჩვენისა ყმის.

ბოგვისა მამასახლისის დამიწერია. დაიწერა ესე წიგნი მარტისა, ქქს უაზ. ++.

ქ. მე თამაზამა საგინასაშვილმა ესა ნასყიდობისა წიგნი მაგართ[ვი], მომიყიდია, რაც ამა წიგნში ეწეროსა. ვინცა ამაში შემოგეცილოსა... არის ამისი მოწამე ჩემი ძმა დათუნა... ..ჩემი განაყოფი ბაგრატა, იასე, როსტომა.

გვერდის აშიაზე:

მე თამაზსა მამიყიდია, ყაბულიცა მაქვს ამის. სოლაღასა-შვილსა დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი.

მონა ღთისა  
ქაიხოსრო.

**141.** ნასყიდობის წიგნი, 30,5X17,2 სანტიმეტრი, დაწერილია ქალღმერთზე ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება სამსამი წერტილი. მართლ წერა ტექსტისა ძირელ გარყვნილი და ჩვენ მეტ ნაკლები ასოები გამოუშვით.

**1732, მაისის 21.** ნებითა და შეწევნითა მლთისათა, მამისა, ძისათა, სულისა წმინდითა, უმეტესთ კურთხეულის დედოფლისა ჩვენისა, მარადის ქალწულის მარიამის და რანიც წმინდანი იხსენებიან, იმათის მინდობითა და შუამდგომლობითა, ესე ამიერიოთ უკუნისამდისინ ხანთა და ქამთა გასათავებელი მტკიცე და უცილებელი, მოუდევარი, ულაპარაკო, ყოვლის ჩხუბის და ილისაგან გამოსული, საბოლოოვით გამოსადეგი, ესე ნასყიდობის წიგ[ნი] და სიგელი მოგეც მე თაყაშვილმა ქაიხოსრომ და სახლისა ჩემის მამავალმა შენ აგუჟანგელს მეთაშვილს ივანს და ძმისწულს შენსა გიორგისა, შვილსა შენსა ბერუასა და სახლის შენის მამავალსა, ასე რომე თათრიანობა იყო, ქვეყანა ურუმთ ეჭირა, და დამეჭირა, ღონე არა მქონდა, ჩემის ნება წადილითა მოგყიდე ჩემი სამკვიდრო მამული ზატაქანს, ასე რომე ორი წილი ჩემს ბიძაშვილს დემეტრეს მ(ი)ეყიდა იასე ასლანიშვილისათვის, იმისი მესამედი მე მერგებოდა, გამოლმა წისქვილის მესამედი თავისის წყალითა, რუითა, გადასაგდებითა, გასადინარითა, რაც წისქვილის სამართალი არის,

იმ რიგათ მესამედი შენტვის მომიყილია. კიდევ იმას და გავიდა იმავე წისქვილისა მკარეს ოთხის დღის მიწა, ერთის დღისა მუ- მულს საყავანს რომა გავა გზას ქვეით. კიდევ ორის დღისა ნარაყულს გაღმა. კიდევ ერთის დღისა იქვე წისქვილთან გზას ქვეით თავთავისის სამძღროთ სამძღრამდი. ესენი, რაც ამა სი- გელში გიწერია შენტვის მამიყილია, გქონდეს და გიბედნიე- როს ღმერთმა, ვით სხვის მონასყიდი ესე მოგაკმარდეს, შენტ ისრე მოგაკმაროს ღმერთმა, ამინ. ავიღეთ ფასი სრული, რითაც ჩემი გული შემიჯერდებოდა, არა დარჩომილა-რა შენზედა არა ერთის იოტის ფასის ოდენი. თუ ვინმე ამაზე წამოგედაოს ვინმე და ლაპარაკი დაგიწყოს რამაც კაცმა, მე პირი და პასუხი მიე- ცე. ვინც და რამანც ძემა აღამისმა ანუ უზესტაესმა, ანუ უქვე- დაესმა ამა წიგნს კელიშალათ კელი ყოს, მასამც რისხავს დამბა- დებელი, დაუსრულებელი, ნუმცა იხსნება სული მისი ჯოჯოხე- თის გენისაგან. არის ამისი მოწამე თავათ ღმერთი და ყოვე- ლი მისი წმინდანი; კაცთაგან ამისი მოწამე გოსტაშაბიშვილი ამილაღბარ, იმისი ბიძაშვილი ქაიხოსრო **ქხსრო** და ფარსადა- ნიშვილი როსტომა კაკელათელი, პაპუაშვილი გიუა და იმავე ქაიხოსროს მსახური ძელიაი და კაკელი ხუცესი ბასილა, თემა- მაშვილი ივანა, და მე ბაგრატ გაბაშვილს დამიწერია, მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა ესე წიგნი მაისის 6<sup>ა</sup> გასულს, 1732<sup>წ</sup>.

**142.** ნასყიდობის წიგნი, 42 X 22 სანტიმეტრი, დაწერილია ქალღ- ზე მორგვალთ მხედრულის ხელით. ნიშნებად ნახზარია სამ-სამი წერტილი. მართლ-წერა ზოგიერთი სიტყვებისა გარყნილია და ჩვენ შევასწორეთ.

**2732, ღვინაბასთვის 15. ქ.** ნებითა, შეწვევითა მლთი- სათა, მამისა, ძისაითა, სულსა წმინდითა და უმეტესთ კურ- თხეულის დედოფლის ჩვენის მ[არა]დის ქალწულის მარიამისითა, იმათის მინდობითა და შუამდგომლობითა და რანიცა წმინ- დანი ზეცისანი, წმინდა გიორგი ძლევისა მთავარ მოწამე, იმი-


სის მინდობითა და შუამდგომლობითა, ესე ამიერით უკუნისამდე ხანთა და ჟამთა გასათავებელი მტკიცე და უცვალებელი მთავრად დევარი არას კაცისგან უცილებელი, უმიზეზო მოუდევარი, ესე ნასყიდობის წიგნი მოგეც მე ტბელმა (ტაბელმა) იაგულა-შვილმა გიორგიმა და შვილმა ჩემა აბრამამა და სახლისა ჩემის მამავალმა შენ ტბელს კელავეკას გიორგის, შვილს შენს კაციას და დარჩიას, თამაზას და სახლის თქვენის მამავალს, ასე რომე დამეჭირა და მოგადექ კარს და მოგყიდე ჩემი სამკვიდრო მამული, ასე რომე ავიღე ფასი სრული, რითაც ჩემი გული შემიჯერდებოდა არა დარჩომილა-რა ჩემი შენზედა არც ერთის იოტის ფასისა. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმა, ვითა სხვას მონასყიდეს მოკპაროდეს, შენც ისე მოგაკპაროს ღმერთმა, ამინ. ერთი ესე რომე ქვეყანა ურუმთ (ურუმათ) ეჭირა და არც ნასყიდს, არც უსყიდს არ იკითხვენ, კულუხზედა აიღებენ, თვარემა, ვინ იცის, ეგება მათს ბძანებით ქართველობა იქნას, არც კულუხი გეთხოვბოდეს. ასრე ამა პირობით მამიყიღია ჩემი სამკვიდრო ვენაკი თავის ახსიაშვილის სამძღვრამდი, ბოლოს შენსავე სამძღვრამდი, აქეთი გვერდი კევი, გამოღმა რომა რასც გაიტანს კევის, ვერვინ გეცილებოდეს თავისის სამართლიანის სამძღვრითა, წყალითა, გზითა, შესავალითა, სიმატითა, უმატითა, ასრე, რაც ამა სიგელში სწერია, შენთვის მამიყიღია მე აბრამს. ვინაც და რამანც ძემა ადამისმა, ან ჩემა მონათესავემა, ან მეზობელმა, ან ბატონმა შენ წამოგედლოს ამაზედა და ლაპარაკი დაგიწყოს, პირის და პასუხის გამცემი ჩვენ იაგულაშვილმა გიორგიმა და ჩემა შვილმა და სახლის ჩემის მამავალმა გავცეთ. არის ამისი მოწამე თავით ღმერთი, ყოველი მისი წმინდანი. ერთი ესე რომე ჩემიც ნასყიდი იყო ის ვენაკი და ძღვევის მთავარ მოწამის შეწირული იყო. ბატონს კელი არა ქონდა, არც აქვს. მეც ასრე შენთვის მამიყიღია, კელი არ ვის აქვს. კაცთაგან ტბელი (ტაბელი) მამასახლისი დათუნაშვილი დათუნ + და მღდელი იოსებ და მეძუნშვილი ებალა + და ჯოეშვილი ნასყიდა + და გორგაი, ახსიაშვილი ახსია + მეღიაშვილი ნასყიდა + და კაკათელაშვილი

თამაზა, კანკაშვილი პატ + კელიაშვილი ბერუა + და მე ბაგრატი  
 გაბაშვილს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. ვინც და  
 მანც ძემა აღამისმა ანუ მცირემა, ანუ შემდგომათ ვინც მეპა-  
 ტრონემა, ან რა ჯულიანმა, ან უსაჯულომა, რამაც კაცმა ეს  
 წიგნი მოგიშალოს, ან კელი ყოს, მასამც რისხავს დამბადებე-  
 ლი ღმერთი, ნუმცა იხსნება სული მისი ჯოჯოხეთისგან, იმა-  
 მაც იუდის მოძმე იქნება, რომელმაც იუდამა ქრისტე აწვალა,  
 ძრწოლა ქონდეს კაენის, დანთქმა ფაროზის (sic), ვინც შენ ეს სი-  
 გელი მოგიშალოს. დაიწერა ესე წიგნი ღვინობისთვის იკ, გა-  
 სულს, ქვს შგ ++.

პირველ გვერდზედ აშიაზედ: ქ. მე ედიშერ ამისი ყაბული  
 მაქვს. ამისი მოწამე გერმანოზიშვილაი კაცია.

**143.** ნასყიდობის წიგნი, 40,5X21 სანტიმეტრი, დაწერილია სქელ  
 ქალაღზე ნუსხა მხედრულის ხელით, ხოლო პირველი ორ-სტრი-  
 ქონ ნახევარი დაწერილია რგვალი მხედრულის ხელით. ნიშნე-  
 ბათ იხმარება ორ-ორი წერტილი-

**1735, ქრისტეშობისთვის 26.** ქ. სახელითა სახიერითა,  
 არსება დაუსრულებელისა, ძალ-განუზომელისა, ძლიერება  
 მოუკლებელისა, უნივთოსა, ურულოსა, ურებაშოსა, ყოვე-  
 ლა მარსებელისა, თვით არვისგან და(ა)რსებულისა, რა-  
 მელ არს და რომლისა ძლიერებითა იქმნეს ყოველნი არს-  
 ნი და არა არსნი, ხილულნი და უხილავნი, ნივთიერნი და  
 უნივთონნი, ძლიერნი და უძლიერესნი. ამა ყოველისა სიბრძნი-  
 თა განმგებელისა ჭთისა მამისა, ღმრთისა ძისა, ჭთისა სული-  
 სა წმინდისა, თავდებობითა, მინდობითა, შუამდგომლობითა  
 ყოველად უბიწოსა დედოფლისა ჩვენისა ჭთის-მშობელისა, მა-  
 რადის ქალწულისა მარიაამისითა, პატიოსნისა და ცხოველს-  
 მყოფელისა ჯვარისათა, წმინდითა და ყოველთა ნაშობთა  
 წინასწარმეტყუელისა და წინამორბედისა იოვანესითა, და იო-  
 ვანე ქალწულ მახარებლისათა, თანა-დგომითა ოთხთა თავთა  
 მახარებელთა და ათ-ორთა მოციქულთა, წმინდათა წინასწარ-



XIII ბიბლიოგრაფია.—ჩემო შვინდაქს სურათი შიო არაგვის-პირელისა, სახალხო წიგნი, № 7.—გზ ე—ბე. . . . . 136



II.—Di una grammatica inedita della Lingua Georgiana scritta da un cappuccino d'Italia, note di E. Teza. Venezia, 1894. (დაუბეჭდავი გრამატიკა ქართულის ენისა, დაწერილი იტალიელ კაპუცინის მიერ, შენიშვნა ე. ტუცისა.—ვენეცია. 1894 წ.) 141

III.—Gustave Le Bon—Les lois psychologiques de l'évolution des peuples.—Paris, 1894.—(გუსტავ ლე ბონი—ერთი განვითარების ფსიხოლოგიური კანონები). . . . . 143

### ქრონიკა:

XIV შინაური მიმოხილვა.—ზოგიერთი ჩვენი პატარა საქმეები.—ბათუმის ქართველობა და მისი ორი საქმე—სკოლა და ეკლესია.—ზონის მასწავლებლები.—სახალხო ბიბლიოთეკები, სახალხო კითხვა და აწერა-კითხვის საზოგადოება.—ქართული საეკლესიო გალობის ნოტებზე გადაღება.—თ. დავ. გურამიშვილის სიტყვა, წარმოთქმული ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის კრებაზე.—გაზეთებს გაზეთებითვე უნდა ვუგოთ პასუხი.—პეტერბურგის სტუდენტების აზრი. . . . . 146

XV შინაარსი 1895 წლის მოამბის ნომრებისა . . . . . I—VIII

XVI განცხადებანი.

### დამატება:

XVII საქართველოს სიკვდიელი. . . . . 129—144



# „ მ ო ზ მ ზ “



წელიწადი შვირთ

გამოდის ყოველ თვის პირველ რიცხვებში

1—10 თაბანი (224—320 გვ.)

**შასი შუხნალისა გაგზავნით:**

1 წლით ნ თვით მ თვით

რუსეთის და კავკასიის ქალაქებში 10 მან. 6 მან. 4 მან.

სახლვარ-ვარედ . . . . . 13 მან. 7 მან. 5 მან.

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანონ: პირველად—4 მან., 1 პირილამდე—3 მ., და 1 სექტემბრამდე—3 მან.

ბელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალი „მოამბის“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, № 13.

ქალაქს გარეშე ბელის-მოამბერმა ადრესის გამოცვლისათვის ათი შუარი უნდა წარმოადგინოს.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: **Тифлисъ, Редакция „Моамбе“**

ჟურნალში დასაბეჭდი წერილები და სტატიები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ბელნაწერები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ და ან შესწორებულ იქმნება. ბელნაწერები, რომლებიც არ დაიბეჭდება, პატრონებმა რედაქციაში უნდა მოიკითხოთ ერთის თვის განმავლობაში, — მერმე ვეღარ მოსთხოვენ რედაქციას; არავითარ მიწერ-მოწერა, დაუბეჭდელ ბელნაწერების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

ბელ-ნაწერები, რომლებზედაც არავითარი პირობა არ იქმნება აღნიშნული, რედაქციისაგან მიღებულ იქმნებიან როგორც უფასონი.

დასაბეჭდად წარმოგზავნილ თარგმანზე აღნიშნული უნდა იყოს უბეჭვლად ყველა ის წყაროები, საიდანაც არის თარგმნილი ბელ-ნაწერი.

რომელ ავტორსაც ან გამომცემელს ჰსურს, რომ ახალი წიგნის შესახებ ჟურნალმა თავისი აზრი წარმოთქვას, მათ ორ-ალრი ეგზემპლარი უნდა გამოგზავნიონ რედაქციაში.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდან სამ საათამდინ ნაშუადღევს.

რედაქცია უმორჩილესადა სთხოვს ყველა ბელის მომწერთ, რომელთაც კი ჟურნალის ნომერი არ მიუვათ, განცხადებასთან ერთად რედაქციას წარმოუგზავნიონ აგრედვე მოწმობა იმ ფოსტის კანტორისა, რომლიდანაც იღებენ ომრებს, რომ ამ კანტორას ესა და ეს ნომერი არ მიუღია, წინააღმდეგ შემთხვევაში ბელ-მეორედ ნომერი არავის გაეგზავნება.

რედაქტორი  
აღექსანდრე ჭყანია

გამომცემელი  
აღექსანდრე ჯაბადაძე